საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

# ბიზნეს-ინჟინერინგი
# Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

3
2013

# ბიზნეს-ინჟინერინგი
# Business-Engineering

**ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი**

უაკ (**UDC**) 338.22+62
ბ-666

№ 3 2013 წელი



ა. სიჭინავა (მთავარი რედაქტორი)
შ. ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ა. ქუთათელაძე (ელექტრონული ვერსიის ტექნიკური რედაქტორი)
თ. ლომინაძე (ელექტრონული ვერსიის რედაქტორის მოადგილე)

**სარედაქციო კოლეგია:** გ. აბდუშელიშვილი, გ. აბრამიშვილი, რ. არველაძე, ე. ბარათაშვილი, ბ. ბარკალაია, თ. ბაციკაძე, ბ. ბოქოლიშვილი, ზ. გასიტაშვილი, ი. გაბისონია, ჯ. გახოკიძე, ლ. გვასალია, ა. გლუშეცკი (რუსეთი), ივ. გორგიძე, ი. გუჯაბიძე, უ. დემირაი (თურქეთი), ც. დურული (გორი), ზ. ვაშაკიძე, რ. ვინთერი (შვეიცარია), ო. ზუმბურიძე, დ. თავხელიძე, ლ. იმნაიშვილი, ა. ინგოროყვა, კ. ისაევა (ყაზახეთი), პ. იონი (გერმანია), რ. შენგელია, ირ. ვოუთერ თენ ჰააფი (ნიდერლანდი), ი. კაკუბავა, ზ. კოვზირიძე, ი. კვესელავა, ლ. კლიმიაშვილი, პ. კოღუაშვილი, ე. ლობანოვა (რუსეთი), შ. ლომინაშვილი (ქუთაისი), ზ. ლომსაძე, ი. ლომიძე, გ. მალაშხია, მ. მამნიაშვილი, მ. მაცაბერიძე, გ. მჭედლიშვილი, შ. ნაჭყებია, რ. ოთინაშვილი, მ. პისანიუკი (მოლდოვა), ი. ჟორდანია, გ. სალუქვაძე, დ. სეხნიაშვილი, გ. სოსიაშვილი (გორი) კ. სოხაძე, რ. სტურუა, ჟ. სულეიმანოვი (ყაზახეთი), გ. ტყეშელაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ლ. ქარჩავა, რ. ქუთათელაძე, გ. ღავთაძე (ქუთაისი), ლ. ღოღელიანი, მ. ჩიქავა, დ. ჩომახიძე, ა. ჩხეიძე, ბ. ცხადაძე, გ. ძიძიგური, გ. ძლიერიშვილი, ნ. ხუნდაძე, ჯ. ჯანაშია, დ. ჯაფარიძე, გ. ჯავახაძე, დ. ჯანგულაშვილი, გ. ჯოლია.

**EDITOR :** A. Sichinava
**DEPUTY OF CHIEF EDITOR:** Sh. Veshapidze
**TECHNICAL EDITOR:** A. Kutateladze
**DEPUTY EDITOR:** T. Lominadze

**EDITOR STAFF:** G. Abdushelishvili , G. Abramishvili, R. Shengelia, R. Arveladze, E. Baratashvili, B. Barkalaia, T. Batsikadze, B. Boqolishvili, M. Chikava, D. Chomakhidze, A. Chkheidze, U. Demirai (Turkey), C. Duruli (Gori), G. Dzidziguri, G. DzlieraSvili, A. Frangishvili, I. Gabisonia, J. Gakhokidze, Z. Gasitashvili, L. Gvasalia, G. Gavtadze (Kutaisi), A. Glushetsky (Russia), L. Gogeliani, I. Gorgidze, I. Gujabidze, L. Imnaishvili, A. Ingorokva, K. Isaeva (Kazakhistan), J. Janashia, D. Jangulashvili, D. Japaridze, G. Javakhadze, P. John (Germany), G. Jolia, I. Jordania, I. Kakubava, L. Klimiashvili, P. Koguashvili, N.Khundadze, I. Kveselava, Z. Kovziridze E. Lobanova (Russia), I. Lomidze, Sh. Lominashvili (Kutaisi), Z. Lomsadze, G. Malashkhia, M. Mamniashvili, M. Matsaberidze, G. Mchedlishvili, O. Mraz (Czech Republic), Sh. Nachkebia, R. Otinashvili, M. Pisaniuk (Moldova), L. Qarchava, R. Qutateladze, G. Saluqvadze, K. Sokhadze, G. Sosiashvili (Gori), R. Sturua, J. Suleimanov (Kazakhistan), D. Tavkhelidze, G. Tkeshelashvili, B. Tskhadadze, Z. Vashakidze, R. Winter (Sweden), Ir. Wouter Ten Haap (Netherlands), O. Zumburidze.

**პასუხისმგებელი რედაქტორი:** დალი სეხნიაშვილი

**გარეკანის დიზაინის ავტორი:** დალი სეხნიაშვილი
**ტექნიკური რედაქტორები:** თეა მაისურაძე, თამარ ლაგვილავა

რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.



**მისამართი:**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოთ. 613ბ.
ტელ.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 593 30 07 65.
www.Business-Engineering. bpengi.com
ელ-ფოსტა: info@bpengi.com

**Editorial office address:**
Georgian Technical University
Tbilisi, Kostava str. 77. 613 b.
**Tel.:** 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 593 30 07 65.
www. Business-Engineering. bpengi.com
**E-mail**: info@bpengi.com



ISSN 1512-0538


ISSN 1512-0538

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები


რუსუდან ქუთათელაძე, ზურაბ ლიპარტია
**ბიზნესპროცესების რეინჟინერინგის მექანიზმში სერვისული ორგანიზაციების პროდუქტების გამოყენების საკითხისათვის** ..... 9

გიორგი მალაშხია
**ზომიერება: ეკონომიკურ-თეორიული ასპექტი უქმი დოვლათი - კეთილდღეობის რესურსი** ..... 19

Н.Ш. Чигогидзе
**ОСОБЕННОСТИ БУДУЩИХ ВОЙН И ПРЕДПОСЫЛКИ СОЗДАНИЯ ОРУЖИЯ НОВОГО ТИПА** .... 28


### ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები


ედუარდ კავთიძე
**მოგება და მისი განაწილების მასტიმულირებელი ფუნქცია** ..... 33

მაია გრძელიძე, მერაბ შალამბერიძე
**მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობის რეგულირება სტანდარტული პარამეტრების ოპტიმიზაციით** ..... 38

ნატო გეგენავა
**გლობალური ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში** ..... 48

ქეთევან მახარაძე, რუსუდან ფირცხალავა
**თბილისის სასმელი წყლის რესურსები და მათი ეკოლოგიური უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა** ..... 51

ნანი მამფორია
**„ბრენდინგი" - ქვეყნების გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში პოზიციონირების საშუალება** ..... 59

ირინა მამალაძე
**რისკების მართვა ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკაში** ..... 62

მზია წულუკიძე
**„ბრენდინგი "- წარმატების გასაღები** ..... 68

ოთარ ზუმბურიძე, მიხეილ ზიბზიბაძე
**კომპანიის ღირებულების ფორმირების ფუნდამენტალური პრინციპები** ..... 71


### გლობალური გამოწვევები და სოციალური პროგრესი


რუსუდან თევზაძე
**ურბანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი** ..... 73

თამაზ ბაქრაძე, ანა ანანიაშვილი
**ელექტრონული კომერციის განვითარების მნიშვნელობა** ..... 76

ნაირა გალახვარიძე, ეკა ივანიშვილი
**სოციალური სფეროს პროცესების დახასიათება და სოციალური კომპლექსის სახელმწიფო რეგულირების ობიექტები** ..... 66

ლამარა მინდორაშვილი
**უმუშევრობა და მისი სოციალური შედეგები საქართველოში** ..... 83

კობა სოხაძე, ზურაბ ფარესაშვილი
**ანტიმონოპოლიური პოლიტიკის თავისებურებანი საქართველოში** ..... 85

გოდერძი ტაბატაძე, ომარ ონიაშვილი, ნოდარ მაჭავარიანი, გელა ლობჟანიძე, ვალერი ხითარიშვილი
**ხარჯებისა და დანახარჯების შესახებ** ..... 90

მერაბ ვანიშვილი, ნინო ვანიშვილი, ლილი კოლუაშვილი
**ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში** ..... 95

ეკა აბესაძე
**ექსპორტ- იმპორტირებული საქონელი ქართულ ბაზარზე** ..... 103

გიორგი ცაავა, ლევან ცაავა
**სრატეგიული მართვის ფილოსოფია, ფინანსური უზრუნველყოფა და კონტროლინგი** ..... 106

## მეცნიერული სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგიები

გურამ ჯოლია
**ცოდნის ეკონომიკა — მუდმივი ცვლილების სამყარო** ..... 109

ირინა გოგორიშვილი
**ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო საგანმანათლებლო სისტემის გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში** ..... 114

რობერტ ბაბლიძე, მანონ ჩხაიძე
**მათემატიკის ერთგვარი ეპიდემიის შესახებ საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებში** ..... 124

ალექსანდრე ედიბერიძე, ოთარ ქართველიშვილი, ვალიდა სესაძე
**უნივერსიტეტის თანამშრომლობა წარმოებასთან — მიღებული გამოცდილებიდან სტრატეგიის დამუშავებამდე** ..... 127

## ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს-ინჟინერინგში

გულნარა კოტრიკაძე
**კრიპტოგრაფიაში ცნობილი ასიმეტრიული სისტემის დიფიჰელმანმერკლეს ალგორითმის გატეხვის მცდელობა (ნაწილი II)** ..... 130

გურამ ჯოლია, თამარ აბუაშვილი
**სოციალური ქსელები და კიბერ დანაშაული** ..... 133

ოთარ შონია, გიორგი ჯაფარიძე, ნინო ყველაიძე, მზიური ბარბაქაძე
**ინფორმაციის მნიშვნელობის – ღირებულების შეფასების მოდელები** ..... 138

## ბიზნეს-ინჟინერინგი კავშირგაბმულობაში

ოთარ ზუმბურიძე, ნინო ჟიჟილაშვილი
**საქართველო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე** ..... 141

## ბიზნეს-ინჟინერინგი ტრანსპორტში


ნუგზარ ნავაძე, ზურაბ მაჩიტიძე
**თბილისის სამგზავრო საავტომობილო სამარშრუტო ქსელის ოპტიმიზაციის ღონისძიებები** ..... 146

კონსტანტინე მჭედლიშვილი, ლევან იმნაიშვილი, მ. ფოლადაშვილი
**ტექნოპარკების ფუნქციონირების მნიშვნელობა და მისი დაფინანსების წყაროები** ..... 152

გურამ მიქაძე
**ზოგიერთი არალითონური მასალების ავტომშენებლობაში გამოყენების თავისებურებანი** ..... 157


## ბიზნეს-ინჟინერინგი მშენებლობაში


Ираклий Суладзе, Нино Каркусашвили, Тамаз Габададзе
**Исследование реологических и технических свойств цементов с добавкой суперпластификаторов** ..... 159


## ბიზნეს-ინჟინერინგი ქიმიასა და მეტალურგიაში


თამაზ პატარქალიშვილი
**ტყის როლი გარემოს ეკოლოგიურ სტაბილიზაციაში** ..... 162

მედეა ჩიქავა, თამარ ლობჟანიძე, მაია ვარსიმაშვილი, მერაბ ბაქრაძე, ინგა ბაქრაძე
**საქართველოს მოსახლეობის კვების ხასიათი** ..... 166

მზია წულუკიძე
**საღეჭი რეზინის სამომხმარებლო თვისებები, სამკურნალო პროფილაქტიკური დანიშნულება, ექსპერტიზა** ..... 172

ვასილ კოპალეიშვილი, ირაკლი აბდუშელიშვილი, იური კვირიკაძე, ლევან კოტიაშვილი, ირაკლი ქაშაკაშვილი
**40 АГФТ ფოლადის კვლევა** ..... 177

მანანა მარიდაშვილი
**ფარმაცევტული ბიზნესის რენტაბელობის განმსაზღვრელი ფაქტორები** ..... 180


## ბიზნეს-ინჟინერინგი ენერგეტიკაში


დემურ ჩომახიძე
**ქვეყანას ენერგეტიკული ბალანსი ესაჭიროება** ..... 190


## სამართალი და პოლიტიკა


პაატა კოღუაშვილი, ზაურ ჯინჯოლავა
**საკონსტიტუციო სასამართლოს დანაშაული მიუძღვის** ..... 195

ციალა ხინთიბიძე
**კულტურათა თანაარსებობა** ..... 202

ია რუსიეშვილი
**პოლიტიკური კრიტერიუმები — თურქეთის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე** ..... 204

მაია გურამიშვილი, ლაშა დავითულიანი
**რელიგია და პოლიტიკა** ..... 210

ქეთევან ჯიჯეიშვილი, ეკა ბუხრაშვილი
**პოლიტიკური ლიდერობის მოტივაციის ინდიკატორები** ..... 214

გიორგი კალანდაძე
**სახელმწიფო პოლიტიკა და საინფორმაციო საზოგადოება** ..... 219

სულიკო გრიგალაშვილი
**დიპლომატია რეგიონალიზაციის პირობებში** ..... 221

ნონა ლომიძე, სოფიო მიდელაშვილი
**ტერორიზმის როლი აგრესიული სეპარატიზმის ჩამოყალიბებაში (საქართველოს მაგალითზე)** ..... 225

მადლენა კოწოწაშვილი
**კონფლიქტები და ერთა თვითგამორკვევის საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები** ..... 228

## ტურიზმის ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა

ბესიკ ბარკალაია, ქეთევან ქაჯაია
**ტურისტული ბუნებათსარგებლობა და ეკოლოგია** ..... 232

## ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო კონცეფციები

ნუნუ გიგაური
**მენეჯმენტის მეთოდოლოგიის საფუძვლები კულტურისა და ხელოვნების სფეროში** ..... 237

Emilia Alaverdov
**The Islamic Renaissance or Radicalizetion of the North Caucasus Region ?** ..... 248

ეკა ბუხრაშვილი
**ექვთიმე თაყაიშვილი – ისტორიული მეთოდოლოგიის დიდოსტატი** ..... 251

გიორგი ჩხიკვიშვილი
**არჩილ ჯორჯაძის კულტურული ნაციონალიზმი** ..... 255

ეკა რუსიეშვილი
**სიტყვათა დაწერილობაში არსებული ვარიანტულობის ძირითადი ფაქტორები** ..... 258

## ახალი წიგნები

მურად შონია
**რეცენზია წიგნზე: სერგო ლომინაძე, ბრენდი და თანამედროვე ბრენდინგის ტექნოლოგიები** ..... 261

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ არჩილ ფრანგიშვილს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში იცნობენ როგორც მეცნიერს, მენეჯერსა და ორგანიზატორს, მეცნიერული სიახლეების, პროექტებისა და ინოვაციური ხედვების მხარდამჭერსა და ხელშემწყობს, პროფესორ–მასწავლებლებისა და სტუდენტების ქომაგს.

მის საგანმანათლებლო რეფორმატორობაზე მეტყველებს თუნდაც მის მიერვე შემუშავებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების გეგმა, რომელიც 2009 წლიდან დღემდე მოიცავს სტუ–ს მეცნიერული პოტენციალისა და უნივერსიტეტის განვითარების ბიზნესსტრატეგიულ ხედვათა გამას.

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, ბატონი არჩილის მეცნიერული გზა უხვი და შთამბეჭდავია: მან განვლო ნაყოფიერებით აღსავსე გზა ასპირანტიდან (1983–1987 წწ.) უნივერსიტეტის დოცენტის, პროფესორის რექტორის მოადგილისა დღევანდელ რექტორობამდე.

მას ემადლიერებიან კოლეგები თავისი მშობლიური ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტიდან (ახლანდელი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკ–ტი) დანყებული ბიზნეს–ინჟინერინგის ფაკულტეტით დამთავრებული, თვით ამ უკანასკნელი ფაკულტეტის შენარჩუნებისა და შიდასაუნივერსიტეტო ცხოვრებაში მისი ჩართულობის განსაზღვრა – როლით, ფუქნციითა და დანიშნულებთ – განუზომელია.

აქ გასაკვირი არაფერია: საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფ. ივერი ფრანგიშვილის შვილისაგან ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

არჩილ ფრანგიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო, მისი თვალსაწიერი ერთდროულად მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიების, კომპიუტერული ინჟინერიის, რთული სისტემებისა და მოდელირების მართვის თეორიულ კვლევას.

ბატონი არჩილი 2007 წლიდან დღემდე გახლავთ საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი, გარდა ამისა, იგი არის ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის ნამდვილი წევრი (2010წ.); საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი (2004 წ.); საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (1995 წ.); გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი (1994 წ.)

ბატონი არჩილი არის 200–ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 20 მონოგრაფიის, 11 სახელმძღვანელოს და 20 პატენტის ავტორი. 1993 წლიდან დღემდე მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაცულია 18 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ბატონი არჩილის საზოგადოებრივ–სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველია მისი ეროვნული, სახელმწიფო და სხვა პრემიების ლაურეატობა, ღირსების მედლისა და ორდენების ფლობა.

ბატონი არჩილი უწყვეტად საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის შუაგულში ტრიალებს. მისი ერთ–ერთი დამსახურებაა მსოფლიოში გაფანტული ქართველი მეცნიერების სამეცნიერო პოტენციალის მოზიდვა და სტუში დავანება, აგრეთვე თეოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ცენტრის (ხელმძღვანელი მეუფე ანანია ჯაფარიძე) არსებობა.

შემთხვევითი არც ისაა, რომ 2013 წლის 14 ივნისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ქართველოლოგიური კონფერენციის ჩატარება თემაზე: – „წარსული მკვიდრი საძირკველია ანმყოსი, როგორც ანმყო – მომავლისა", რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, მცხეთა–თბილისის მთავარეპისკოპოსის, ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა

და უნეტარესის ილია მეორის თანამონანილეობითა და ლოცვა-კურთხევით გაიმართა. მისი ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, საქართველოს საინჟინრო აკადემია.

და, რაც მთავარია, ბატონი არჩილ ფრანგიშვილისათვის 2013 წელი კიდევ ნარმატების მომტანი აღმოჩნდა: იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს.

ვ უ ლ ო ც ა ვ თ.

ჟურნალ ბიზნეს-ინჟინერინგის მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სიჯინავა
ჟურნალ ბიზნეს-ინჟინერინგის სტილური რედაქტორი
ბადრი ცხადაძე
11. 07. 2013

# ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები

## ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის მექანიზმში სერვისული ორგანიზაციების პროდუქტების გამოყენების საკითხისათვის

*რუსუდან ქუთათელაძე,*
*სტუ-ს სრული პროფესორი*
*ზურაბ ლიპარტია,*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*სრული პროფესორი*

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის არსებულმა ტემპებმა ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის (ბპრ) გატარების აუცილებლობაც დააჩქარა. იმისათვის, რომ საქართველო გახდეს კონკურენტუნარიანი ქვეყანა, საჭიროა რადიკალური ცვლილებების გატარება ბიზნესპროცესებში, მათი შესრულების ტექნიკა-ტექნოლოგიაში, მეთოდებსა დამიდგომებში, ორგანიზაციასა და მართვაში. რომლის მიღწევის ერთ-ერთ პრიორიტეტად **ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის** (ბპრ), რომლის მართვაში **იმიტაციური მოდელების** გამოყენებაა რეკომენდებული.

რეინჟინირინგის კონცეფციები ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში დამუშავდა, როდესაც ტეილორმა მენეჯერებს პროცესული რეინჟინირინგის მეთოდების გამოყენება საქმიანობის ორგანიზაციის პროცესების დასამუშავებლად და ასეთი პროცესების მწარმოებლობის ოპტიმიზაციისათვის გარდაქმნა შესთავაზა. XX საუკუნის დასაწყისში **ფაიოლმა** დაამუშავა რეინჟინირინგის კონცეფცია, რომლის თანახმად, ეს არის საქმიანობის განხორციელება, დასახული ამოცანების შესაბამისად, ყველა ხელმისაწვდომი რესურსებიდან ოპტიმალური უპირატესობის მისაღწევად. იმის მიუხედავად, რომ ჩვენს დროში ტექნოლოგიური რესურსები შეიცვალა, ამ კონცეფციას თავისი მნიშვნელობა და პოპულარობა არ დაუკარგავს. ბიზნესის პროცესების მართვაში რევოლუცია შემოიტანა **თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში** მიღწევებმა, რომლებიც ბიზნეს-პროცესების ინჟინირინგის და რეინჟინირინგის განხორციელების საშუალებას იძლევა.

**მ. ჰამერისა** და **დ. ჩამპის** განსაზღვრებისთანახმად, ბიზნეს პროცესების რეინჟინირინგი - ,,საწარმოს საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებში ძირეული გაუმჯობესების მისაღწევად ბიზნეს პროცესების (ბპ) ფუნდამენტური გადააზრება (ახლებურად გააზრება) და რადიკალური გადაპროექტირება". მეტიც, **ჯ. ჰარინგტონი, კ. ესელინგი** და **ხ. ნიმვეგენი** მას „პროცესის ინოვაციას უწოდებენ, რადგანაც მისი წარმატება მასზე მომუშავე გუნდის ინოვაციურ და შემოქმედებით უნარზეა დამოკიდებული".

**ბიზნესპროცესების რეინჟინირინგი** უზრუნველყოფს შემდეგი **ამოცანების** გადაწყვეტას:

1) შესასრულებელი ფუნქციების ოპტიმალური თანამიმდევრობის განსაზღვრა, რომელსაც მიჰყავს კლიენტები საქონლისა და მომსახურების გაყიდვისა და დამზადების ციკლის ხანგრძლივობის შემცირებამდე, რის შედეგადაც ხდება კაპიტალის ბრუნვადობის ამაღლება და ფირმის ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდა;

2) სხვადასხვა ბიზნესპროცესებში რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია, რომლის შედეგადაც ხდება მიმოქცევისა და წარმოების დანახარჯების მინიმიზაცია და სხვადასხვა სახის საქმიანობის ოპტიმალური შეთავსების უზრუნველყოფა;

3) ადაპტირებული ბიზნესპროცესების აგება, რომლებიც გამიზნულია ბაზარზე კონკურენტუნარიანობის, საწარმოო ტექნოლოგიების, პროდუქციის საბოლოო მომხმარებლების მოთხოვნილებათა ცვლილებების სწრაფი ადაპტაციისათვის და, მაშასადამე, უცხო გარემოს დინამიკურობის პირობებში კლიენტების მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად;

4) კლიენტებსა და პარტნიორებთან ურთიერთქმედების რაციონალური სქემების განსაზღვრა, და, როგორც შედეგი, მოგების ზრდა, ფინანსური ნაკადების ოპტიმიზაცია.

**ბიზნესპროცესების რეინჟინირინგი ხორციელდება** საინჟინრო მეთოდების გამოყენებისა და კონსალტინგური ფირმებსა და კომპანიის სპეციალისტების ერთობლივი გუნდების მიერ განხორციელებული ბიზნეს-პროცესების მოდელირების თანამედროვე პროგრამულ-ინსტრუმენტული საშუალებების გამოყენების საფუძველზე.

ბიზნესის რეინჟინირინგი ითვალისწინებს აზროვნების **ახალ წესს**. ეს შეხედულება უკავშირდება კომპანიის აგებას, როგორც საინჟინრო საქმიანობას. კომპანია ან ბიზნესი განიხილება როგორც ისეთი რამ, რაც შეიძლება იყოს აგებული,დაპროექტებული და გადაპროექტებული საინჟინრო პრინციპებთან შესაბამისობაში.

ამასთან არ შეიძლება ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის გაიგივება ლოკალური ამოცანების გადაწყვეტასთან, თუმცა ამ ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება წარმოადგენდეს ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის **შედეგებს,** რომელიც მოიცავს: ბიზნესავტომატიზაციას; პროგრამული უზრუნველყოფის რეინჟინირინგს; ორგანიზაციული სტრუქტურის რეორგანიზაციასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის უმნიშვნელოვანესი პრინციპებია:

1. ,,პროცესის ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეკუმშვა";
2. ,,პროცესის პარალელურობა" და პროცესის შესრულების მრავალვარიანტულობა;
3. შემოწმებისა დაშეთანხმებების რაოდენობის მინიმიზაცია;
4. კლიენტთან კონტაქტის ორგანიზაცია ,,უფლებამოსილი მენეჯერი-ს" მიერ;
5. შერეული ცენტრალიზებულ-დეცენტრალიზებული მიდგომის წესით უფლებამოსილების დელეგირება.

**ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის წარმატების ძირითად პირობებს წარმოადგენს:**

1. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ამოცანის სწორი გაგება, კომპანიის ხელმძღვანელობის ერთგულება რეინჟინირინგის მიზნებისადმი – უმაღლესი ხელმძღვანელობის მხრიდან კონტროლი;
2. კომპანიის თანამშრომელთა მოტივაცია, ზრდისაკენ სწრაფვა, ფირმის საქმიანობის გაფართოება, პერსონალის უფლებამოსილებისა და შრომის შემოქმედებითი ხასიათის გაძლიერება;
3. კომპანიის საქმიანობის კარგად დაყენებული მართვა, საკუთარი ძალებითა და კონსულტანტების დახმარებით ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის გატარების უნარი;
4. რეინჟინირინგის გატარებაში კონსალტინგური და სერვისული ორგანიზაციების რეორგანიზაციის გამოცდილებისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

ამგვარად, ბიზნესპროცესების გაუმჯობესების **კონცეფცია** არის მეთოდოლოგია, რომელიც დამუშავებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პროცესების გაუმჯობესების ჩასატარებლად. ეს მეთოდოლოგია დაფუძნებულია ოთხ მიდგომაზე:

1. სწრაფი ანალიზის გადაწყვეტილების მეთოდიკა (FAST);
2. პროცესის ბენჩმარკინგი;
3. პროცესის გადაპროექტირება;
4. პროცესის რეინჟინირინგი.

შესაბამისად, **ბიზნესპროცესის გაუმჯობესება არის მეთოდოლოგია,** რომელიც დამუშავებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პროცესების სრულყოფის ნაბიჯ-ნაბიჯ გასატარებლად. წარმოებითი ბიზნესპროცესების გაუმჯობესება მიმართულია საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის; ადმინისტრაციული ბიზნესპროცესების გაუმჯობესება მიმართულია ყველა ისეთი დამხმარე პროცესის სრულყოფისაკენ, როგორიცაა: ახალი პროდუქტის დამუშავება, შეკვეთების დამუშავება და ანგარიშგება კრედიტორებთან.

ბიზნესპრაქტიკაში არსებობს რიგი ინსტრუმენტებისა და მეთოდიკებისა, რომლებიც ეფექტიანია ისეთი პროცესის ცვლილების მართვისას, როგორიცაა შრომითი პროცესისაგან უარყოფითი შეგრძნებების მართვა, ცვლილებების **რუკის შედგენა** და **სინერგიზმი**. მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ თითოეულ პროგრამას ბიზნესპროცესების გაუმჯობესებისათვის უნდა ჰქონდეს **ძალზე დაწვრილებითი** (დეტალური) გეგმა ცვლილებების მართვისა და ეს პროგრამა ეფექტიანად უნდა განხორციელდეს. ორგანიზაციული ცვლილებებით მართვის პროცესი უნდა დაინერგოს ბევრად ადრე, ვიდრე დაიწყება პროცესის ცვლილება.

ბიზნესპროცესების მართვაში ყველაზე **ახალ მოდურ მიმართულებებს** შორის, რომლებიც წარმოიქმნა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში, პოპულარულია **„ექვსი სიგმა"**-ს მიდგომა ბიზნესის სრულყოფისათვის, რომელიც ცდილობს, იპოვოს და გამორიცხოს შეცდომათა მიზეზები ან დეფექტები ბიზნესპროცესებში, მომხმარებლისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვან გამომყვან პარამეტრებზე ყურადღების მიპყრობის გზით.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ბიზნესპრაქტიკაში ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა „ექვსი სიგმა", ხარისხის მართვა ICO 9000, მარკეტინგული სტრატეგიული კვლევები, მარკეტინგული საპროექტო ექსპერტიზა, მართვის მარკეტინგული სტრუქტურა და სხვ. **აქტიურად** უნდა იყოს გამოყენებული. სამწუხაროდ, მცდელობები ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის (ბპრ) მიდგომების გამოყენებისა წარმოების მართვის მარკეტინგული პრინციპების ათვისების გარეშე არაწარმატებულია. გამოცდილება უჩვენებს, რომ იმ პირობებში, სადაც გამოჩნდა ბპრ მიდგომა, მარკეტინგული კვლევები და მართვის მეთოდები, დიდი ხანია ჩვეულებრივ ინსტრუმენტებად იქცა.

**ბიზნესის სამართავად გამოყენებული მოდელები** შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად. ამ შემთხვევაში უმაღლეს დონეზე განლაგდება სტრატეგიული, ფუნდამენტური მოდელები, რომლებიც გლობალურ წესებს აღწერენ. ისინი ოპერირებენ მცირე რაოდენობით მაღალაგრერირებული მაჩვენებლებით (ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლით) და შეადგენენ სტრატეგიული მართვის საფუძველს. თავის მხრივ, სტრატეგიული მოდელები, იმ შეკითხვების მიხედვით, რომლებზეც უნდა პასუხობდეს, შეიძლება დაიყოს **კატეგორიებად:**

**ა) ფინანსური მართვის მოდელი;**
**ბ) მარკეტინგული მოდელი;**
**გ) წარმოების მართვის მოდელი;**
**დ) ლოგისტიკით მართვის მოდელი.**

ამ კატეგორიებს შეიძლება მივაკუთვნოთ **სხვა მოდელები**. მათ ასაგებად დასავლეთში მიღებულია პოპულარული მართვის კონცეფციები – MRP (Manu-

facturing Resource Planning), DRP (Distribution Resource Planning), DRP (Distribution Resource Planning), ERP (Enterprise Resource Planning), CSRP (Costumer Synchronized Resource Planning). ხოლო, **ტრანსაქციონიზმი** – მოდელის ფირმებში, რომელიც პასუხს აგებს გლობალური პრინციპების ოპერატიულ რეალიზებაზე, ჩვენ საქმე გვაქვს პროცესებთან, მონაცემთა ნაკადებთან და სხვა, ამასთანავე აუცილებელია ხაზგასმა, რომ ნებისმიერი მოდელი ასახავს მაპროექტებლების ამა თუ იმ ჯგუფის თვალსაზრისს. თითოეული მოდელისთვის ნიშანდობლივია თავისი მიზნები და ამოცანები, ამიტომ ბიზნესის ობიექტი, რომელიც წარმოადგენს რთულ კომპლექსურ ორგანიზმს, როგორც წესი, აღიწერება მოდელების გარკვეული რაოდენობის ნაკრებით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან მოცემული ბიზნეს-სისტემის საერთო მოდელს.

პრაქტიკა მოწმობს, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს დიდი მოცულობის ბიზნესპროცესებს. თითოეული მათგანი წარმოადგენს კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების თანამიმდევრობას. ამ ორგანიზაციების საქმიანობის წარმატება განისაზღვრება მისი ბიზნესპროცესების ეფექტიანი რეალიზაციით. ორგანიზაციების ცალკეული ქვედანაყოფების ან თვითონ ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია **ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის გზით (ბპრ)**, რომელიც არის თანამედროვე მენეჯმენტის თეორიის ახალი, პრაქტიკულად გამოუკვლეველი მიმართულება. რეინჟინირინგის თანახმად დღეისათვის ყველა ორგანიზაციის ფუნქციონირების პირობები იმდენად შეიცვალა, რომ მათი ნორმალური არსებობისა და კონკურენტუნარიანობის ერთადერთი პირობა ოპერაციების განხორციელების შიდა პროცესებისა და ტექნოლოგიების სრული გარდაქმნის აუცილებლობა გახდა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ბიზნეს-პროცესების მართვის სრულყოფაში, ასევე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება **ფინანსური ინჟინირინგის ინსტრუმენტებისა და პროდუქტების გამოყენებას** კორპორაციული მმართველობის ეფექტიანობის ამაღლებაში.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე, სადაც არ არსებობს გამართული სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა, რაც განაპირობებს კორპორაციების ინტერესების დაქვეითებას საინვესტიციო ღონისძიებებისადმი, მნიშვნელოვანია, მსოფლიო გამოცდილების დამკვიდრება ზოგადად მართვის საკითხებსა და კონკრეტულად საინვესტიციო პროცესების მართვაში ბპრ-ის მექანიზმების გამოსაყენებლად.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციური საქმიანობა ფინანსური ინვესტიციების ამოქმედებით იწყება, რომელიც ფულადი კაპიტალის გარდასახული ფორმაა. სწორედ ფულადი კაპიტალი იწყებს და ამთავრებს კვლავწარმოების პროცესს. შესაბამისად, საინვესტიციო სახსრების აკუმულირების მომენტიდან კაპიტალურ ქონებაში ავანსებული ღირებულების რეალურ ანაზღაურებამდე მოძრაობას მოიცავს.

ინოვაციური პროცესი მოიცავს სამ ძირითად ეტაპს: 1) გამოკვლევის დაწყებიდან მისი შედეგების პირველ ათვისებამდე; 2) სიახლეთა დანერგვიდან, ამ პროცესის უზრუნველყოფის ჩათვლით (ორგანიზაციული, ფინანსური, საკადრო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვ.) სასარგებლო ეფექტის მიღებამდე; 3) ბიზნესის ორგანიზების ეფექტიანი ფორმების დანერგვას.

როგორც პრაქტიკით დასტურდება, თანამედროვე კორპორაციების (საწარმოების) ეფექტიანობა და მათი განვითარების ტემპები სწორედ ინოვაციური პროცესის აქტივობით განისაზღვრება, რომლის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება. თავის მხრივ, ეკონომიკური ინვესტიციები კავშირშია ფინანსურ ინვესტიციებთან (აქტივების შეძენასთან ფასიანი ქაღალდების ფორმით). შესაბამისად, სიახლეთა ბაზარი ყალიბდება მატერიალური საქონლის ბაზრის და ფასიანი ქაღალდების ბაზრის გადაკვეთაზე.

საქართველოში საინოვაციო პროცესის განხორციელების ძირითადი სირთულეები დაკავშირებულია ორგანიზაციებში საკუთარი საშუალებების (როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო) წყაროებით ფინანსირების უკმარისობასთან, მათ შორის მოზდული სახსრების შეზღუდულობასთან. წარმოების მოცულობების შემცირებისა და მათი დაფინანსების მუდმივი დეფიციტის პირობებში შეუძლებელი ხდება ფულადი რესურსების გამოყოფა საინვესტიციო საქმიანობისათვის.

საქართველოში საინოვაციო აქტივობის განსაკუთრებით დაბალი დონით გამოირჩევა ის დარგები, რომლებიც ორიენტირებულია შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, როგორიცაა მსუბუქი და კვების მრეწველობა, საშენ მასალათა და ხის დამამუშავებელი მრეწველობა.სამამულო სამომხმარებლო საქონლის დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო, რომელსაც თან ახლავს იმპორტის ინტერვენცია, მეტად დაბალია წარმოების, მისი ტექნოლოგიურობის, ტექნიკური გადაიარაღებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის დონე.

საინოვაციო საქმიანობის მდგომარეობა და მისი აქტივობის დაქვეითების მიზეზები მეტ-ნაკლებად ანალოგიურია საქართველოს ეკონომიკის სხვა სფეროებშიც. **ფინანსური საშუალებების დეფიციტი** საინოვაციო აქტივობის დაქვეითების მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი ფაქტორია. არსებობს აგრეთვე სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასითის პრობლემები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და გადაცემა, ლიცენზირება და სერტიფიცირება და ა.შ. მეტ ყურადღებას და სრულყოფას საჭიროებს საინოვაციო საქმიანობის საინვესტიციო მექანიზმიც.

ისტორიული ექსკურსი მოწმობს, რომ XX საუკუნის 30-იანი წლების დასასრულამდე ეკონომიკური მეცნიერება ფართოდ არ განიხილავდა ინოვაციურ პროცესებს, როგორც ეკონომიკური ზრდის ერთ-

ერთ ძირითად ფაქტორს. ეკონომისტების უმრავლესობა ინოვაციებს განიხილავდა, როგორც ეგზოგენურ მოვლენას და ამიტომ ეკონომიკური განვითარების ევოლუციურ მოდელებში იგი პრაქტიკულად არ მიიღებოდა მხედველობაში. გარდატეხა ამ საკითხში უდიდესი მეცნიერული ღირებულების მქონე შრომებით შეიტანა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა **იოზეფ შუმპეტერმა**. იგი თავის შრომებში ეკონომიკის განვითარებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ინოვაციებს. რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდაში ტექნიკური ინოვაციების რაოდენობრივ შეფასებას, **კანტოროვიჩი, გოლოსოვსკი, სოლოუ** და სხვა გამოჩენილი ეკონომისტები, ერთობლივ ეროვნულ პროდუქტზე აღნიშნული ფაქტორის ზემოქმედების ხვედრით წილს აფასებენ 2/3-დან 87%-მდე, ხოლო ზრდის განმსაზღვრელ დარჩენილ ნაწილს მიაწერდნენ კაპიტალის დაბანდებას. დღეს ამ შეფასებებმა აღიარება ჰპოვა, მიუხედავად მათი პირობითობისა.

ფართოდ ცნობილი **კობა-დუგლასის** საწარმოო ფუნქცია და ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გამოყენებული **ვ. ლეონტიევის ფუნქცია** ყველაზე უკეთ აღწერენ რეალურ მოვლენებს, თუმცა სამეცნიერო პროგრესის ზემოქმედების განსაზღვრისათვის აუცილებელია საწარმოო ფუნქციისათვის შესაბამისი კოეფიციენტების დადგენა.

მრავალი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტის მიერ ჩატარებული კვლევები და პრაქტიკული მაგალითები ცხადყოფს, რომ სიახლეთა ინვესტირება ეფექტიანია, ინოვაციური ცვლილებები ეკონომიკურ სისტემაში ქმნის ეფექტიანი ზრდის შინაგან ენერგიებს, ინოვაციები უზრუნველყოფენ ეკონომიკური სისტემის ახალ წონასწორობით მდგომარეობაში გადასვლას.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებული ყველაზე გავრცელებული მიდგომით საინვესტიციო აქტივობა გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკაში გრძელვადიანი, სარისკო დაბანდებების განხორციელების დინამიკურ პროცესს, რომელიც როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ სფეროებზე აქტიურად ზემოქმედებს და სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია ამ პროცესის წარმატებულობაზე.

საინვესტიციო წინადადებების მიღება დაკავშირებულია კომპანიის ბიზნესრისკთან, გამომდინარე აქედან, საჭიროა პროექტის შეფასება-შერჩევა მოხდეს ალტერნატიული მეთოდებით: კერძოდ, პროექტის შეფასების და შერჩევის ალტერნატიული მეთოდებია: გამოსყიდვის პერიოდი, უკუგების შიდა განაკვეთი, წმინდა ახლანდელი ღირებულება და მოგებიანობის ინდექსი.

საგულისხმოა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში პრინციპულად შეუძლებელია მაკროეკონომიკურ დონეზე არსებობდეს ინოვაციებში ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრის რაიმე ერთიანი, დირექტიული ხასიათის მქონე მეთოდოლოგია. ვინაიდან საინვესტიციო საქმიანობა კავშირშია საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებასთან. საინვესტიციო გადაწყვეტილება კი ადამიანის ქმედებაა და არა ობიექტური მექანიკური პროცესი. კორპორაციების (ფირმების) ერთი ნაწილი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას იყენებს იმ მაჩვენებლებსა და მეთოდებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ მოთხოვნებს. ზოგიერთი კორპორაცია, ფირმა თუ ცალკეული მეწარმე კი ინვესტიციური პროცესის ანალიზისას იყენებს ერთობ მარტივ მიდგომებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ამ სფეროში ახალი იდეების და საინვესტიციო პროცესის შემდგომ კონტროლს.

მართვის თეორიიდან ცნობილია, რომ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება კომპანიის **შიდა ფუნქციების** გადაცემას სხვა ორგანიზაციაზე ტრადიციულად, „გავაკეთო თუ გავყიდო" გადაწყვეტილებებს უწოდებენ. ამ ტიპის გადაწყვეტილებებს ფინანსური მენეჯერები მაშინ იღებენ, როდესაც დანახარჯებს აანალიზებენ. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა კომპანიების დაინტერესება სერვისული (მომსახურე) ორგანიზაციების გამოყენებით, რაც რესურსების დაზოგვის ერთ-ერთ რეალურ ალტერნატივად მიიჩნევა **სტრატეგიული განვითარების** საშუალებას აძლევს კომპანიას. ვინაიდან დანახარჯები ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღების ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს, ფინანსური მენეჯერი კარგად უნდა ერკვეოდეს იმ ფაქტორთა ფართო სპექტრში, რომლებიც ამ გადაწყვეტილებაზე ახდენს გავლენას.

წინამდებარე ნაშრომში ვრცლად განვიხილავთ კომპანიის შიდა ფუნქციების შესასრულებლად სერვისული — მომსახურე ორგანიზაციების გამოყენების პოტენციურ საქმიანობას და პრობლემებს.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ საზოგადოებრივი ღირებულებების მწარმოებელ ჯაჭვში თანამედროვე კომპანიებიმრავალი ტიპის საქმიანობას (როგორც ძირითადს, ისე მეორეხარისხოვანს), გადასცემენ სხვა ორგანიზაციებს, მათ შორის პროდუქციის შექმნას, დისტრიბუციას, ოპერატიულ საქმიანობასა და საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების შექმნას.

კომპანიის შიდა ფუნქციების გადაცემა სხვა სერვისულ ორგანიზაციაზე ქმნის ახალი, ბიზნეს-პროცესების რეინჟირინგის (ბპრ) შესაძლო მნიშვნელოვან დამოკიდებულებებს და მოითხოვს მართვის მეთოდებისა და ცოდნის ახლებური „პაკეტის" გამოყენებას. აშკარაა, რომ კომპანიის შიდა ფუნქციების შესასრულებლად სხვა მომსახურე ორგანიზაციების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა ფორმალური პოლიტიკის ინსტრუქციების არსებობა. ამასთანავე გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ პრაქტიკაში მეტ წილ შემთხვევებში ასეთი რამ არ არსებობს.

**კომპანიის შიდა ფუნქციების სხვაზე გადაცემა, როგორც სტრატეგიული გადაწყვეტილება** სტრატეგიული აზროვნების ნახტომისებრი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად გვევლინება, რომლის მიზანია კომპანიის **კონკურენტუნარიანობის ამაღლება**, ისეთი კომპანიის ფორმირება, სადაც შესაძლებელი

იქნება ინვესტიციებისა და კომპანიის მართვის ორიენტირება საქმიანობის ვიწრო წრეზე, კერძოდ, კომპანიის ძირითად სიმძლავრეებსა და შესაძლებლობებზე. ეს შესაძლებლობები კომპანიაში წარმოქმნის ისეთ საქმიანობის ჯაჭვს, რომელთაც მენეჯერები ერთმანეთთან იმგვარად აკავშირებენ, რომ შეიქმნას განსხვავებული ტიპის ღირებულება კომპანიის სპეციფიკური მომხმარებლებისათვის,ამით ისინი აღწევენ ბაზარზე კომპანიის კონკურენციულ უპირატესობას.

ღირებულების მწარმოებელ სისტემაში შემავალი თითოეული საქმიანობისთვის კომპანიამ უნდა მიაღწიოს ეფექტიანობის გარკვეულ დონეს. აღწევს კი კომპანია ეფექტიანობის სათანადო დონეს, ანუ ისეთ დონეს, რომელიც უკეთესია კომერციული მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიერ მიღწეულ ეფექტიანობის დონეზე? თუ კომპანია ამას ვერ ახერხებს, მან უნდა უპასუხოს ასეთ კითხვას: შესაძლებელია კომპანიის საქმიანობის შედეგების გაუმჯობესება კომპანიის ზოგიერთი შიდა ფუნქციის სერვისულ ორგანიზაციებზე გადაცემით ან გარეშე მხრეების სხვა სახის მონაწილეობით, მაგალითად, ერთობლივი საქმიანობით.

კომპანიის საქმიანობის შედეგების გაუმჯობესება, რის მიღწევაც შესაძლებელია კომპანიის შიდა ფუნქციების სხვა ორგანიზაციაზე გადაცემით, შეიძლება ეხებოდეს: საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებას **დანახარჯების მინიმიზაციით**; პროდუქციის (მომსახურების) ხარისხისა და წარმოების ელასტიკურობის გაუმჯობესებით ზედნადები ხარჯების შემცირებით, წარმოების მასშტაბების ზრდით განპირობებული დანახარჯების ეკონომიით, მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით, ლევერიჯის ამაღლებით; ორიენტაციის გაძლიერებით კომპანიის ძირითად შესაძლებლობებზე და კომპანიის ზომის **ოპტიმიზაციით**. საბოლოო ჯამში, კომპანიამ სერვისულ (მომსახურე) ორგანიზაციაზე შიდა ფუნქციების, გადაცემით შეიძლება მნიშვნელოვან უპირატესობას მიაღწიოს **სტრატეგიულ განვითარებაში.**

ამასთან ისიც, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათად ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც ამგვარი სტრატეგიული არჩევანი კრახით დამთავრებულა. მართალია, კომპანიის შიდაფუნქციების მომსახურე ორგანიზაციაზე გადაცემის კონტრაქტები მიზნად ისახავს დანახარჯების ეკონომიას სულ მცირე 15%-ით მაინც (და ზოგჯერ 20-25%-საც კი), მაგრამხშირად ხდება, რომ ვერ მიიღწევა დანახარჯების ეკონომიის დასახული მაჩვენებელი. შეიძლება დანახარჯების ეკონომიამ მხოლოდ 9% შეადგინოს, ან მარტო წაუგებლობის პოზიციას მიაღწიოს, ან შეიძლება დანახარჯები გაიზარდოს კიდეც. ამგვარი შედეგები მაშინ დაფიქსირდება, როდესაც მომსახურების მომწოდებელი სათანადოდ ვერ აფასებს დანახარჯებს, არასწორად იგებს კონტრაქტს და სათანადო კონტროლს არ უწევს დანახარჯებს. ანალოგიურად, კომპანიის შიდა ფუნქციების მომსახურე ორგანიზაციაზე გადაცემით შეიძლება გაუარესდეს ხარისხი,კერძოდ მაშინ, როდესაც მომსახურების დონეები დასაბუთებულად არ არის განსაზღვრული და სათანადოდ არ კონტროლდება. ასეთ შემთხვევაში, ნაცვლად იმისა, რომ ამგვარი სტრატეგიული გადაწყვეტილებებით უფროეფექტიანად იქნეს გამოყენებული კომპანიის შესაძლებლობები, კვალიფიკაცია და ცოდნა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და კომპანიის საქმიანობის შედეგების გასაუმჯობესებლად, ძირი ეთხრება კომპანიის ფასეულობებს, რომელებსაც ის ეყრდნობა კონკურენციული უპირატესობების მოსაპოვებლად.

ტრადიციულად გადაწყვეტილების მიღება კომპანიის შიდა ფუნქციების მომსახურე ორგანიზაციაზე გადაცემის შესახებ ფინანსური მენეჯერის კომპეტენციაში შედის. ეს გადაწყვეტილება, მოითხოვს მისგან სათანადო კვალიფიკაციას და ცოდნას, რათა განსაზღვროს, შეაფასოს და შეუდაროს ერთმანეთს სათანადო დანახარჯები, რომელთა გაწევაც მოუწევს კომპანიას შიდა და გარეშე წყაროების გამოყენების შემთხვევაში თავისი მიზნების მისაღწევად.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების **პრაქტიკაში** კვლევები უჩვენებს, რომ **კომპანიის შიდა ფუნქციების მომსახურე ორგანიზაციაზე გადაცემას საფინანსო მომსახურების დარგში.**უმეტესობა კონცენტრირებული იყო მატერიალური წარმოების დარგებზე (პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებზე). მომსახურების სფეროს დარგები, როგორიცაა **საფინანსო მომსახურება**, მეტ-ნაკლებად უგულებელყოფილი იყო. იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შექმნილიყო კომპანიის შიდა ფუნქციების სხვა ორგანიზაციაზე გადაცემის გადაწყვეტილების არსსა და მნიშვნელობაზე მომსახურების სფეროს დარგებში, გამოკვლევა ჩატარდა დიდი ბრიტანეთისმშენებლობის დარგში, სადაც, **სამშენებლო საზოგადოებები** მიმართავენ იპოთეკურ დაფინანსებას საცხოვრებელი სახლების ყიდვის ხელშესაწყობად, იყენებენ სხვა სახის პირადი დაფინანსების საშუალებებსაც, (როგორიცაა მოსახლეობის პირადი დანაზოგები და სიცოცხლის დაზღვევა). გამოკვლევის პროცესში გასაუბრება ჩატარდა ექვს ორგანიზაციაში, მათ შორის, როგორც გაერთიანებული სამეფოს უმსხვილეს სამშენებლო საზოგადოებებში, ისე ყველაზე მცირე სიდიდის საზოგადოებებშიც დასაზოგადოებაში, რომელიც გარკვეულ რეგიონს ემსახურება რამდენიმე ფილიალის მეშვეობით.

დადგინდა, რომ სამშენებლო საზოგადოებებიც იმავე ტიპის იძულებით ფაქტორებს ექვემდებარება, რასაც სხვა დარგების კომპანიები, რომლებიც აქტიურად იყენებენ კომპანიის შიდა ფუნქციების სხვა ორგანიზაციაზე **გადაცემის პრაქტიკას**. ბაზარი დღითიდღე კონკურენციული ხდება, რაც კომპანიებს აიძულებს უფრო აგრესიულ პოლიტიკას მიმართონ თავიანთი საქმიანობის შედეგების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული დარგის რეგულირების შეწყვეტამ, ბაზარზე ახალ-ახალი კონკურენტების განუწყვეტელმა მოდინებამ და კლიენტების ინფორმირებულობის გაადვილებამ გამოქვეყნებული წყაროებისა და

ინტერნეტის მეშვეობით გაამძაფრა კონკურენციული გარემო და სამშენებლო საზოგადოებები კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ყველა მათგანს აწუხებდა პასუხი შემდეგ კითხვაზე: როგორ უნდა შეინარჩუნონ და გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობის შედეგები. გარდა ამისა, სამშენებლო დარგშიც, ისევე როგორც სხვა დარგების უმეტესობაში, დღითი დღე იზრდება მომსახურების მომწოდებელი კომპანიების რიცხვი იმ დონეზე, რომ გარედან შესაძლებელია ნებისმიერი სახის მომსახურების მიღება, რომელიც აუცილებელია ღირებულების მწარმოებელი ჯაჭვის საბოლოო შედეგის მისაღწევად. სამშენებლო დარგის ძირითადი ბიზნესის (იპოთეკური სესხების გაცემა) ორგანიზაციებიც კომპანიის შიდა ფუნქციების სხვაზე გადაცემას მიიჩნევენ აქტივებში ჩადებულ ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკების სხვაზე, გარე მომწოდებელზე, გადაცემის საუკეთესო საშუალებად.

ზემოთ აღნიშნული კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ მიღწეულია ბიზნეს პროცესების რეინჟინირინგის სრულყოფა. კერძოდ:

1) **პროდუქციის შექმნა**. მრავალ სამშენებლო საზოგადოებას სხვადასხვა ნომენკლატურის პროდუქცია ჰქონდა ნაყიდი, რომელსაც შემდეგ კლიენტების სპეციფიკური მოთხოვნილებების გათვალისწინებით სახეს უცვლიდა და თავის სასაქონლო ნიშანს ანიჭებდა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სტრატეგია გამოყენებული იყო მხოლოდ დამხმარე პროდუქციის მიმართ და არა იპოთეკური სესხების გაცემისას.

არსებული პროდუქციის **სხვისგან შესყიდვით** სწრაფად და მოქნილად ფართოვდებოდა სამშენებლო საზოგადოების პროდუქციის ნომენკლატურა და სრულყოფილად გამოიყენებოდა მოცემულ პროდუქციასთან მიმართებით საზოგადოების გამოცდილება და კვალიფიკაცია. როდესაც პროდუქცია თვითონ სამშენებლო საზოგადოებაში იყო შექმნილი, პროდუქციის შექმნაში საზოგადოებას ხშირად ჰქონდა მიღებული სხვა ორგანიზაციებისგან დახმარება. ფუნქციების „განაწილების" ანალოგიური პრობლემები ახასიათებს სხვა ისეთ დარგებსაც, რომელთათვისაც მთავარია პროდუქციის დიზაინი (მაგალითად, ტანსაცმლის წარმოება). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამგვარი სტრატეგიის ძირითადი სარგებელი მდგომარეობს პროდუქციის შექმნის დაჩქარებასა და კომპანიის საკუთარი გამოცდილების უკეთ გამოყენებაში.

2) **დისტრიბუცია**. ბაზარზე შესაღწევად აუცილებელია პროდუქციის ეფექტური დისტრიბუციის (გასაღების) ორგანიზება. სამშენებლო საზოგადოებები ტრადიციულად თავიანთი პროდუქციის დისტრიბუციას ახორციელებენ ფილიალების ქსელით — **საცალო ვაჭრობის ობიექტების** მეშვეობით, რომლებიც კონტრაქტებს დებენ კლიენტებთან და ხელს უწყობენ პროდუქციის გასაღებას. ამგვარი სტრატეგია საჭიროებს დიდ ინვესტიციებსა და ფილიალების დაკომპლექტებას მრავალრიცხოვანი კადრებით. შესაბამისად, სამშენებლო საზოგადოებებისათვის გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს იურისკონსულტანტების, უძრავი ქონების სააგენტოებისა და სხვა პროფესიული კონსულტანტების ფართო ქსელის შექმნა რათა მიღწეულ იქნეს პროდუქციის ფართომასშტაბიანი **დისტრიბუცია**, მნიშვნელოვანი დამატებითი დანახარჯების გარეშე. ამგვარი საშუამავლო ღონისძიებები ხშირად გამოიყენება პერიფერიებში, სადაც საზოგადოებას არა აქვს ფილიალი.

მსხვილ სამშენებლო საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს 1000-ზე მეტი სააგენტო, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ საზოგადოების იპოთეკური მომსახურების უდიდეს ნაწილს. შესაბამისად ამგვარი საქმიანობა მჭიდროდ არის ინტეგრირებული სამშენებლო საზოგადოების სესხის გაცემის პროცესებთან და საინფორმაციო სისტემებთან.

3) **ოპერატიული საქმიანობა.** ოპერატიული საქმიანობა გულისხმობს სამშენებლო საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას. მაგალითად, იპოთეკური სესხების გაცემის კონტექსტში ოპერატიული საქმიანობა მოიცავს კლიენტის მონაცემებს (მათ შორის გადახდისუნარიანობის) გამოკვლევას, რისკის შეფასებას, იურიდიული მომსახურების გაწევას ქონების გადაცემასთან დაკავშირებით და ოპერაციების დამუშავებას არსებული იპოთეკური სესხების ფონზე. ამგვარი საქმიანობის განმეორებითი ხასიათი ხელს უწყობს საზოგადოების მწარმოებლურობის გაუმჯობესებას. გამოკვლეულ ყველა ორგანიზაციაში იურიდიული მომსახურების ფუნქციები მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა ორგანიზაციებში იყო გადაცემული. **იურიდიული მომსახურების ბაზარი** სამშენებლო საზოგადოებას უადვილებს იმ იურისტთა სიის მოპოვებას, რომლებიც შეასრულებენ ქონების გადაცემის შაბლონურ სამუშაოებს. ანალოგიურად, სამშენებლო საზოგადოებები გარეშე მხარის მომსახურებას იყენებენ გადასაცემი ქონების გამოსაკვლევადაც, რაც მათი მომსახურების გეოგრაფიული არეალის გაფართოების საშუალებას იძლევა დანახარჯების ეკონომიის პირობებში.

ოპერატიული საქმიანობა ხშირად ეყრდნობა საინფორმაციო სისტემებს. მართალია, მეტ წილ დარგებში საინფორმაციო სისტემების შექმნის ფუნქცია სხვა მომსახურე ორგანიზაციებში არის გადაცემული, მაგრამ გამოკვლეული სამშენებლო საზოგადოებები ხშირად უპირატესობას ანიჭებდნენ ამ ფუნქციების საკუთარი ძალებით განხორციელებას. ამგვარ მიდგომას მრავალი სასარგებლო არგუმენტაცია ამყარებს: საინფორმაციო ტექნოლოგიები იყოფა ძირითად საქმიანობად, რომლებიც გავლენას ახდენდა კლიენტების მომსახურების ხარისხზე, უზრუნველყოფდა კონფედენციალობის დაცვას და ხშირ შემთხვევაში, დანახარჯების თვალსაზრისით უფრო ეფექტიანად იყო მიჩნეული ამ ფუნქციების შესრულება საკუთარი ძალებით. საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ფუნქციები გარე ორგანიზაციებზე ძირითადად მაშინ იყო გადაცემული, როდესაც არსებული რესურსები შეზღუდული

იყო და აუცილებელი იყო სისტემების შექმნისთვის დადგენილი ვადების დაცვა.

მიუხედავად ამისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნის სამუშაოებს თვითონ აკონტროლებდა ყველა სამშენებლო საზოგადოება, გარკვეული რისკებისა და პოტენციურად მაღალი საინვესტიციო დანახარჯების პირობებში. ამ პრობლემის გადასაჭრელად როგორც მსხვილი, ისე მცირე ზომის სამშენებლო საზოგადოებები სარგებლობდა ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებებით. მაგალითად „ლინკს" დაფუძნებული ჰქონდა კონსორციუმი, რათა ნევრები უზრუნველეყო სალაროს ავტომატური აპარატების ეროვნული ქსელით. კონსორციუმს შეეძლო თავისი წევრების დახმარება პრობლემის მოგვარებაში, რომლებიც წარმოიშობოდა კლიენტებისთვის ახალი ტიპის მომსახურების შეთავაზების დროს გეორაფიული სიშორისა და ახალ სფეროში საკმარისი გამოცდილების უქონლობის გამო. მცირე ზომის სამშენებლო საზოგადოებებიც ასევე იღებდნენ სარგებელს პროგრამული უზრუნველყოფის მომხმარებელი ჯგუფების წევრობიდან, რაც მათ ახალი საინფორმაციო ტექნოლოიების განხილვებში მონაწილეობისა და შემდეგ დამტკიცებული პროგრამული უზრუნველყოფის პროექტებში მონაწილეობის საშუალებას აძლევდა. მცირე ზომის სამშენებლო საზოგადოებებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის დანახარჯები სულ მცირე 10%-მდე მაინც იყო შემცირებული იმ დანახარჯებთან შედარებით, რომლებიც მათ საკუთარი ძალებით უნდა გაეწია.

4) მიწოდების ქსელის მართვა. გარედან მიწოდება საჭიროებს მართვის ახალი მეთოდების შემუშავებას. მენეჯერებს სჭირდებათ სათანადო კვალიფიკაცია და პრაქტიკული ცოდნა, რათა განსაზღვრონ პოტენციური მომწოდებლები და შეაფასონ მათი სანდოობა. საჭიროა კონტრაქტების შედგენა და შეთანხმება საქმიანობის მაჩვენებლების ისეთი ნორმების (სტანდარტების) უზრუნველყოფის შესახებ, რაც მყიდველ ორგანიზაციას შეიძლება ადრე ნათლად გაცნობიერებული არ ჰქონდა. მართვის სტილის შეცვლა საჭიროა პერსონალში მომხდარი ისეთი ცვლილებების გასაკონტროლებლად, რასაც იწვევს შიგა ფუნქციების სხვა ორგანიზაციაზე გადაცემა კომპანიის საკუთარი პერსონალის მოტივაციის პონენციური დანაკარგების დასარეგულირებლად. გარდა ამისა, მენეჯერებმა უნდა ისწავლონ, როგორ იმუშაონ მომწოდებელ ორგანიზაციებთან და მათ განსხვავებულ კულტურასთან, როგორ გააკონტროლონ მომწოდებელთა საქმიანობის შედეგები (ეფექტიანობა). გამოკვლეული ორგანიზაციების უმეტესობა აღიარებდა, რომ მოცემული ფუნქციების სხვაზე გადაცემა, შეთანხმება ეფექტიანობის მაჩვენებლების ნორმების შესახებ, საქმიანობის კოორდინაცია და მომწოდებლის საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება ხშირ შემთხვევაში ზრდის მმართველობით დანახარჯებს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ასევე რომ ორგანიზაციების მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როდის არის ორგანიზაციისთვის სასარგებლო მიწოდების ფუნქციების სხვაზე გადაცემა, პასუხები განსხვავებული იყო: რესპოდენტთა უდიდესი ნაწილი ამგვარ სტრატეგიას დამაკმაყოფილებლად აფასებდა, სხვებს არადამაკმაყოფილებლად მიაჩნდა. თუმცა ამგვარი დასკვნები იმ მენეჯერებს ეკუთვნოდა, რომლებსაც არ ჰქონდათ საკმარისი მტკიცებულებების ბაზა, რომლის საფუძველზეც უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება. მხოლოდ გამოკვლეული ორგანიზაციების ნახევარს მიაჩნდა, რომ მომსახურე ორგანიზაციების საქმიანობის შედეგები პასუხობდა მათთვის წაყენებულ მოთხოვნებს დამაკმაყოფილებლად. სამშენებლო საზოგადოების გამოკვლევამ გამოავლინა საერთო მოსაზრება, რომ ოპერაციების შესრულება თვითონ ორგანიზაციის ძალებით უფრო საიმედო, მოქნილი და ეფექტიანია. ამავე დროს ბევრ სფეროში, ორგანიზაციაში მიღწეული ეფექტიანობის მაჩვენებლები (სტანდარტები) გაცილებით უფრო ღირსშესანიშნავი იყო, ვიდრე ის, რისი მიღწევაც შეიძლებოდა ორგანიზაციის ფუნქციების გარეშე ძალების შესრულებისას.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სხვა ორგანიზაციაზე კომპანიის შიდა ფუნქციების გადაცემის სტრატეგიის უქონლობის პირობებში სხვა მომსახურეორგანიზაციაზე კომპანიის შიდა ფუნქციების გადაცემის გადაწყვეტილებების მიღება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომპანიისათვის თუმცა გამოკვლეულ სამშენებლო საზოგადოებებში მხოლოდ ერთს ჰქონდა ყოვლისმომცველი, ფორმალური, დამტკიცებული ინსტრუქციები სხვა ორგანიზაციაზე კომპანიის შიდა ფუნქციების გადაცემის გადაწყვეტილებების მიღების შესახებ. აღნიშნული საზოგადოების პოლიტიკა განსაზღვრავდა იმ როლსა და ფუნქციებს, რომლებიც უნდა შეესრულებინა გარე მომსახურ-სერვისულ ორგანიზაციას სამშენებლო საზოგადოების განვითარებაში.

გადაწყვეტილებების დელეგირებას განსაზღვრავდა ასევე მართვის სხვადასხვა დონისთვის, მომსახურების ხარისხთა, ფირმის სასაქონლო ნიშანთა, საბიუჯეტო დანახარჯებთან დაკავშირებული რისკის ფაქტორის გათვალისწინებით და ისე მომსახურე ორგანიზაციის გამოყენების გავლენას სამშენებლო საზოგადოებაზე იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებელი შეიცვლებოდა. ინსტრუქციები, რომლებიცარეგულირებდა ურთიერთობებს მომსახურე ორგანიზაციის საქმიანობასთან კულტურული შესაბამისობის ერთობლივი დაგეგმვისა და გრძელვადიანი ურთიერთობების დასამყარებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.

სხვა სამშენებლო საზოგადოებებში ფორმალური პოლიტიკის ინსტრუქციები ჩანაცვლებული იყო „გავაკეთო თუ ვიყიდო" გადაწყვეტილების აქტიური განხილვით თუმცა, თვითონ სამშენებლო საზოგადოებაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა მომსახურე ორგანიზაციების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე

ღირებულების მწარმოებელი ჯაჭვის მოდელის

სქემაზე (ნახ. 1) ნაჩვენებია კომპანიის შიდა ფუნ-ქციების სხვა ორგანიზაციაზე გადაცემის გადაწყ-ვეტილების მიღებისპოლიტიკის ფორმირების ორი მიდგომა: ა) წინასწარგამიზნული (ფორმალური) და ბ) იძულებითი.

ორივე მიდგომა ითვალისწინებს რისკის გადაცე-მას. თუმცა, ფორმალური მიდგომა ხელს უწყობს უფრო ქმედითი და კონტროლირებადი გადაწყ-ვეტილებების მიღებას კომპანიის შიდა ფუნქციების სხვა ორგანიზაციაზე გადაცემის შესახებ.

კომპანიის შიდა ფუნქციების სხვა ორგანიზა-ციაზე გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღე-ბისას საგულისხმოა, რომ რამდენადაც ნებისმიერი დარგი და კომპანია, გარკვეული თვალსაზრისით, უნიკალურია და შესაბამისად, ფაქტორები, რომ-ლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს კომპანიის შიდა ფუნქციების სხვა ორგანიზაციაზე გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად განსხვავე-ბული იქნება სხვადასხვა კომპანიაში და კონკრეტულ სიტუაციაში.

ამ ტიპის გადაწყვეტილებების მიღების დროს სასარგებლოა ისეთი სტანდარტული ანალიტიკური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა PEST და SWOთანალიზი, ხოლო ღირებულების მწარმოებე-ლი ჯაჭვის მოდელი (ნახ. 1) კომპანიას ეხმარება იმ გადაწყვეტილებებისგანხილვასა და გაანალიზებაში, რომელთა მიღებაც შეუძლია კომპანიას.

ამრიგად, ზემოთ აღწერილ სიტუაციაში კომპა-ნიის შიდა ფუნქციების სხვა ორგანიზაციაზე გა-დაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება და-ნახარჯების ანალიზს ეყრდნობოდა. გამოკვლევამ უჩვენა, რომ სამშენებლო საზოგადოებებში ხშირად ატარებდნენ იმ ცვლადი დანახარჯებისა და ზედ-ნადები ხარჯების ყოვლისმომცველ ანალიზს, რომ-ლებიც დაკავშირებული იყო საზოგადოების ყველა სახის საქმიანობასთან, შესაბამის აქტივებთან და მათ შექმნასთან. გარდა ამისა, რამდენიმე რესპონდ-ენტს გათვალისწინებული ჰქონდა იმ რესურსებთ-ან დაკავშირებული ხელსაყრელი დანახარჯებიც, რომელიც ხელმისაწვდომი გახდებოდა სამშენებლო საზოგადოებისათვის თავისი ფუნქციების შესას-რულებლად მომსახურე ორგანიზაციის გამოყენების შედეგად, როგორიცაა, მაგალითად, ალტერნატიუ-ლი ამონაგების თანხები, რომლებიც მიიღება შიდა პერსონალის საქმიანობით, ამ საოფისე ფართობის ალტერნატიული გამოყენება.პრინციპში დანახარ-ჯების ანალიზმა ასევე უნდა მოიცვას პოტენციური მომწოდებლის დანახარჯების ანალიზიც. იმისათვის, რომ კომპანიამ არ განიცადოს იმედგაცრუება სხვა ორგანიზაციაზე გადაცემული საქმიანობის დანახ-არჯების სიდიდეში, მომსახურე ორგანიზაციისთვის წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა დაბალი დანახ-არჯების უზრუნველყოფის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს სათანადო დანახარჯების მატარებლების დადგენით (როგორიცაა, წარმოების მასშტაბების ზრდით განპირობებული დანახარჯების ეკონომია, შესამცირებელი დანახარჯების ანალიზი პრიორ-იტეტების მიხედვით და შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს შედარებით მცირე დან-ახარჯებს). ჩატარებული კვლევებით გამოვლინდა, რომ გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მიწოდების ბაზ-რებზე და მათ ძალიან აწუხებთ მომწოდებლის მიმ-დინარე და პოტენციური საბაზრო ძალაუფლება. პოტენციური მომწოდებლები ის მომწოდებლები არიან, რომლებიც კომპანიებისთვის ხელმისაწვ-დომია და ამავე დროს შეუძლიათ დააკმაყოფილონ მასზე გადაცემული საქმიანობების ეფექტიანობის

| **კომპანიის ინფრასტრუქტურა** | |
|---|---|
| **კადრების მართვა** | სხვა ორგანიზაციების გამოყენება კადრების შესარჩე-ვად და დასაკომპლექტებად<br>რეალიზაციის საკითხებში ტრენინგების ჩატარების ფუნქციების გადაცემა |
| **ტექნოლოგიების შექმნა** | საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შე-ქმნის ფუნქციების გადაცემა |
| **მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება** | პროგრამული უზრუნველყოფის ერთობილივი შესყიდვების პროგრამები მცირე ზომის სამშენებლო საზოგადოებისა |

| **მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ადგილზე მომსა-ხურებით** | **ოპერატიული საქმიანობა** | **მარკეტინგი და რეალიზაცია** | **მომსახურება** |
|---|---|---|---|
| საოფისე საკანცელარიო საქონლის მომწოდებელი კომ-პანიების გამოყენება ფორ-მებითა და ბროშურებით მომარაგებისა და დისტრი-ბუციისათვის | • სალაროს აპარატები<br>• ბაზრის გამოყენება იური-დიული და კვლევითიი მომ-სახურებისათვის<br>• დიდი მოცულობის ან სპე-ციალური ბეჭდის ფუნ-ქციების გადაცემა | თანამდევი პროდუქტების შე-სყიდვა პროდუქციის ნომერ-კლატურის გასაფართოებლად სხვა ორგანიზაციების გამოყ-ენება ბაზრის გამოსაკვლე-ვად, საკუთარი პროდუქციის შექმნაში დასახმარებლად და პროდუქციის რეკლამირები-სათვის | დავალიანების ამოღების საკითხებში გარე კონსულტ-ანტებისა და სადაზღვევო მოთხოვნების ცხელი ხაზების გამოყენება |

ნახაზი 1. ღირებულების მწარმოებელი ჯაჭვის მოდელის სქემა

სტანდარტები. საზოგადოდ შიდა მოწოდებით განპირობებული დანაკარგები უფრო გაზრდილი იყო მომწოდებლის პოტენციური სავაჭრო ძალაუფლების გაძლიერების შედეგად იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არ მოქმედებდნენ კონკურენტულ ბაზრებზე ან სამშენებლო კომპანიას არ ჰქონდა მნიშვნელოვანი ბარიერები შიდა ძალებით მოწოდების მომსახურების აღსადგენად. კომპანიამ, მომწოდებლების ფინანსური სიძლიერისა და მათ მომავალ სტაბილურობასთან ერთად, ასევე უნდა განიხილოს სხვა გრძელვადიანი საკითხები, რომლებიც ეხება მოწოდების ბაზრის კონცენტრაციის ხარისხს. მოკვლევიდან გამომდინარეობს, რომ მოწოდების პირობების განხილვაში მიზანშეწონილია ისეთი ფაქტორების გათვალისწინებაც, როგორიცაა მომწოდებლის მზაობა, დააკმაყოფილოს კომპანიის კონკრეტული მოთხოვნილებები და აუცილებლობის შემთხვევაში დაკავდეს ისეთი საქმიანობით, რომელიც დაგეგმვის ინტეგრაციის საშუალებას მისცემს კულტურული შესადარისობის გარკვეული ხარისხის უზრუნველყოფასთან ერთად.

ამრიგად, მრავალ დარგს ისეთი გარემო პირობები ახასიათებს, როგორიც საფინანსო მომსახურების დარგს. ამგვარ პირობებს განეკუთვნება კონკურენციული ზეწოლა, სამუშაოების სწრაფად შესრულების საჭიროება და ცვალებადი მოთხოვნა და ამით განპირობებული პერიოდული სიჭარბე ან საკუთარი რესურსებისა და სიმძლავრის უკმარისობა. თითოეული ზემოთ აღნიშნული ფაქტორი მჭიდროდ არის დაკავშირებული კომპანიის შიდა ფუნქციების სხვა ორგანიზაციაზე გადაცემის გადაწყვეტილებასთან. ბიზნესპროცესების რეინჟირინგის სრულყოფისა და მმართველობით პრაქტიკაში დამკვიდრებით შესაძლებელი იქნება კორპორაციის (ბიზნეს-სფეროების) ეფექტიანობის ამაღლება და მოსახლეობის კეთილდღეობის განუხრელი ზრდა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ბარათაშვილი ე.,ქოქიაური ლ., მენეჯმენტის პრინციპები, თბ; 2010-606 გვ.
2. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა. მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თბ. 2007.
3. ბლანკი ი. ა. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, ტ.1. ქართულად თარგმნა ლ. ქოქიაურმა თბ., 2008. გვ. 7-18.
4. გარეთ რ. ჯონსონი;ჯენიფერ მ. ჯორჯიო, თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები;
5. ინგოროყვა ა., ცაავა გ., ფინანსური მენეჯმენტი: თეორია, მეთოდები და პრაქტიკა. ტ.2;
6. ლიპარტია ზ, გელაშვილი მ, ჯღარკავა ნ, ბერიშვილი ხ, კორპორაციული ფინანსები ტ.2, გამომც. „უნივერსალი", თბ., 2013 გვ.-556
7. სიჭინავა ა. ინვესტიცია და ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების დონის მაჩვენებლები, //ჟ. „ეკონომიკა", თბ., 2007, 10-12, გვ. 16-18.
8. ცაავა გ. „ფინანსური ინჟინერია": ლექციების კურსი". თბ., გამომც., „უნივერსალი", 2013.-665.
9. ღურწკაია კ.,ღურწკაია თ. „ბიზნესის საფუძვლები"; თბ. 2006
10. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა გამომც. „სიახლე", თბ. 2006.
11. Бригхэм Ю; Хъюстон Дж. «Финансовый менеджмент. Экспресс-курс. 4-е изд. /Пер.Санг. –СПБ .: „Питер» 2011. С. 19-40.
12. Корпоративные финансы: Учебник для вузов/ Под ред. М.В.Романовского, А.И. Вострокнутовой. СПБ.:Питер, 2011. -592


## რეზიუმე


სტატიაში განხილულია საქართველოს, როგორც კონკურენტუნარიანი ქვეყნის, ფორმირების თავისებურებები მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. საკითხის მნიშვნელოვნება გაანალიზებულია ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის (ბპრ) მექანიზმის სრულყოფისა და მის მართვაში იმიტაციური მოდელების გამოყენების პროცესის სპეციფიკის კონტექსტში.

განვითარებული ქვეყნების თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით ბიზნეს პროცესების რეინჟინირინგი (ბპრ) გულისხმობს აზროვნების ახალ წესს, რომელიც ხორციელდება საინჟინერო მეთოდების გამოყენებით და მოიცავს: ბიზნესავტომატიზაციას; პროგრამული უზრუნველყოფის რეინჟინირინგს; ორგანიზაციული სტრუქტურის რეორგანიზაციასა და მართვის ხარისხის გაუმჯობესებას.ბპრ-ის ისეთი ინსტრუმენტებიდა მეთოდები, როგორიცაა „ექვსი სიგმა", ხარისხის მართვა ICO 9000, მარკეტინგული სტრატეგიული კვლევები, მარკეტინგული საპროექტო ექსპერტიზა, მართვის მარკეტინგული სტრუქტურა და სხვა მართვის მეთოდები ობიექტურად უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს ბიზნეს პრაქტიკაში ქვეყანაში არსებული ბიზნესპროცესების მართვის გასაუმჯობესებლად. ნაშრომში შემოთავაზებულია კომპანიის ფინანსური მენეჯერების მიერ გადაწყვეტილების მიღების შიდა ფუნქციების სხვა ორგანიზაციაზე გადაცემის საკითხის ანალიზი, რომელსაც ტრადიციულად „გავაკეთო თუ გავყიდო" გადაწყვეტილებებს უწოდებენ. აღნიშნული ანალიზი ეფუძნებასაზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც რესურსების დაზოგვა წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიულ განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიისერთ-ერთ რეალურ ალტერნატივას. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში (რომელიც განხილულ იქნა დიდი ბრიტანეთის მშენებლობის დარგის მაგალითზე) მომსახურე ორგანიზაციებზე გადაცემული კომპანიის შიდა ფუნქციების უმეტესობა კონცენტრირებული იყო მატერიალური წარმოების დარგებზე. სამშენებლო საზოგადოებაში მიმა-

რთავდნენ დარგის, ძირითადი ბიზნესის იპოთეკურ დაფინანსებას საცხოვრებელი სახლების ყიდვის ხელშესაწყობად. აქვე იყენებდნენ სხვა სახის პირადი დაფინანსების საშუალებებსაც. ანალიტიკური პროცედურებითგამოიკვეთა, რომ მიღწეულ იქნა ბპრ-ის სრულყოფა, რომელიც აისახა: ა) პროდუქციის შექმნაში; ბ) დისტრიბუციის (გასაღების) ორგანიზებაში; გ) ოპერატიული საქმიანობის ხარისხის ამაღლებასა და დ) მიწოდების ქსელის მართვის გაუმჯობესებაში.

კომპანიის საზოგადოებრივი ღირებულების მწარმოებელი ჯაჭვის მოდელირების შიდა ფუნქციების სხვა ორგანიზაციაზე გადაცემის გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკის ფორმირებისას გამოყენებულ იქნა ორი მიდგომა: წინასწარ გამიზნული (ფორმალური) და იძულებითი, რომელიც ითვალისწინებს მეორე მხარისათვის რისკის გადაცემას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია დარგის (კომპანიების) განვითარების თავისებურებები და კონკრეტული სიტუაციები, რომელიც ისეთი სტანდარტული ანალიტიკური საშუალებების გამოყენებით უნდა იქნეს შეფასებული, როგორიცაა PEST და SWOT ანალიზი. შესაბამისად, ქვეყანაში ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის შემდგომი სრულყოფისა და მათი მმართველობით პრაქტიკაში დამკვიდრებით შესაძლებელი იქნება ბიზნეს სფეროების (კორპორაციის) ეფექტიანობის ამაღლება და მოსახლეობის კეთილდღეობის განუხრელი ზრდის უზრუნველყოფა.


## SUMMARY

*R. KUTATELADZE*
*Z. LIPARTIA*

### On the Problem of the Use of Serving Organizations' Products in the Reengineering Mechanism of Business Processes

The article discusses the importance of globalization in the world economy. The article also deals with the specificity of the process of formation of the country's competitive business reengineering mechanism, its refinement and use in the management of imitative models.

Considering the experience of developed countries, business reengineering provides new ways of thinking, including the following engineering methods: business automation, reengineering software, organizational structure reorganization and improvement of quality management. Georgia's business reengineering practice - the tools and methods, such as "Six Sigma" quality management ICO 9000, strategic marketing research, marketing expertise in the design, management and marketing structure and management methods should be used to objectively improve business management.

The paper considers peculiarity of the decision-making process implying passing internal functions by financial managers to other organizations, which is traditionally called "Should I make or sell" decision. While dealing with this issue, the practice of foreign countries – resource saving strategy as a real alternative strategy being implied – should be taken into consideration. The mentioned strategy is considered to be effective in achieving the company's strategic development. The research results show that the western developed countries' practice (which is discussed on the example of the UK construction industry), the company's internal functions are focused on serving organizations in various fields of material production. Construction of the applied field is aimed at facilitating the process ofpurchasinghomes - the main business of residential mortgage financing. The main strategy is also used for other types of personal financing tools as well. Analytical procedures concentrated on the efficiency of business engineering imply the process of perfection reflected in: a) the product, b) distribution (sales) organization, c) removing of the operational activities of the quality and d) improving the supply chain management.

The principle of cost producing chain modeling of the company's internal functions to other organizations for the transfer of decision-making policy is used in both approaches -pre-designed (formal) and the imperative one implying risk transmission. At the same time, we should consider the sector (companies) to develop specific and concrete situations in which standard analytical tools such as PEST and SWOT analysis should be used in the evaluation process.As a result, refining the process of reengineering business processes and using reengineering principles in the business management practice, might result in the observable improvement in the business spheres and consistent growth of the welfare of the population.

# ზომიერება: ეკონომიკურ-თეორიული ასპექტი
# უქმი დოვლათი - კეთილდღეობის რესურსი

*გიორგი მალაშხია,*
*სტუ-ს სრული პროფესორი*

ზომიერებისა და კეთილდღეობის ურთიერთკავშირზე გარკვეული აზრი ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ. მათ ესმოდათ, რომ დოვლათის სიუხვე თავისთავად არ ნიშნავს შესაბამის კეთიდდღეობას. ასევე ნათელი იყო, რომ საჭიროზე ნაკლები დოვლათი კეთილდღეობის შემცირებას ნიშნავს. კეთილდღეობა ზომიერი მოხმარებისა და დაკმაყოფილების ფარგლებში მიიღწევა. ყველასთვის ცნობილია ისიც, რომ კეთილდღეობისაკენ მიდრეკილება ადამიანის ბუნებრივი თვისებაა. ის ადამიანთა არსებობისა და განვითარების პირობათა ფართო სპექტრს მოიცავს, განსაკუთრებული ადგილი კი მასში მატერიალურ პირობებს უკავია, რომელთა განხილვას ქვემოთ შევეცდებით. ამასთან, უნდა ითქვას, რომ კეთილდღეობისა და ზომიერების ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით ბევრი რამ ადამიანებისთვის მეცნიერულ დონეზე გასარკვევი და ღრმად გასააზრებელია. ეს ეხება იმას, თუ რა არის ნამდვილი კეთილდღეობა; კეთილდღეობის რა რესურსები არის საჭირო საერთოდ, არსებული მატერიალური და სულიერი დოვლათი (სიმდიდრე) რამდენად სამყოფია ადამიანებისთვის; რა მიზეზებით არსებობს დოვლათის დეფიციტი და როგორ უნდა შეივსოს იგი; დაბოლოს, რაც არანაკლებ საყურადღებო და პარადოქსულია, რატომ ხდება, რომ უკმარობის პირობებში არსებული დოვლათიადამიანთა ერთი ნაწილის ხელში, ჯანსაღი აზრით, საჭიროზე მეტადაა თავმოყრილი, სრულიად არაეფექტიანად გამოყენება, დანაკაგებად იქცევა, რის გამოც მცირდება საერთო კეთილდღეობის ამაღლების შესაძლებლობა; საერთო კეთილდღეობის რა რესურსია ადამიანთა ნაწილის ხელში თავმოყრილი, ჯანსაღი აზრით, რაციონალურ ფარგლებზე ჭარბად, ზომაზე მეტად და როგორ შეიძლება იგი იქცეს საერთო კეთილდღეობის წყაროდ.

უწინარესად კეთილდღეობის ჭეშმარიტ გაგებაზე უნდა შევჩერდეთ, რადგან იგი სხვადასხვანაირად ესმით თეორიაში და ყოფით დონეზე. კეთლდღეობა ყოფით დონეზე და თეორიაში საერთოდ გაგებულია, როგორც ადამიანთა ნებისმიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საქონლითა და მომსახურებით. აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ყოველგვარი მოხმარება სიკეთეა (იხ. თეორეტიკოსების - ა. პიგუს, ი. ლიტლის, ა. ბერგსონის. კ. ეროუს და სხვ. ნაშრომები). ასეთი გაგება თითქოს უკავშირდება ადამიანის უფლებებს, მომხმარებლის ინტერესებს, სუვერენიტეტს. სინამდვილის მოვლენებში თუ კი ღრმად ჩავიხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ეს ასე არაა და არ შეიძლება იყოს. ყოველგვარ დაკმაყოფილებას არ მოაქვს სიკეთე. ამის დასადატურებლად უნდა განვიხილთ ,,მოთხოვნილების“ ცნება.

მოთხოვნლებები ობიექტურად, მათი დაკმაყოფილების შედეგის მიხედვით, უეჭველად დაიყოფა შემდეგ სახეებად: რეალური სარგებლობის (სიკეთის) მომტან, ანუ ჯანსღ, გონივრულ მოთხოვნილებებად და არაჯანსაღ, არაგონივრულ მოთხოვნილებებად, რომელთა დაკმაყოფილება არაა რეალური სიკეთე და არცაა მიზანშეწონილი. ეს უკანასკნელი თავისთავად ორგვარია; საზიანო მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება გარკვეულ ბოროტებას წარმოადგენს ადამიანებისათვის და უაზრო, ფუქსავატური მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება არაფრის მომცემია, ყალბი, მოჩვენებითი კეთილდღეობის მომტანია. გაუმრთლებელია, რომ ეკონომიკური თეორია, (სოციალური მეცნიერებები, საეროდ) გვერდს უვლის ყალბი, მოჩვენებითი კეთილდღეობის, კიდევ მეტი, თავისი და სხვების საზიანო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების არსებობას და ანალიზს, მაშინ როცა მას დიდი ადგილი უკავია ადამინთა ცხოვრებაში. ეს თეორიის დიდი ნაკლია.

არაჯანსაღი, არაგონივრული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოყენებულ დოვლათს განვიხილავთ როგორც ზედმეტს, რომლიც არ ტრანსფორ-მირდება სოციალური სიკეთეში. მას არ მოაქვს რეალური სარგებლობა ადამიანებისთვის ან მოაქვს ზიანი. სხვანაირად ეს არის დოვლათი, რომელიც ფაქტობრივად არაჯანსაღ (არაგონივრულ, არაფრის მომცემ ან საზიანო, ყალბ, მოჩვენებით) მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხმარდება. მას ვთვლით უქმ დოვლათად, ხოლო მის კვლავწარმოებას (შექმნას, გაცვლას, განაწილებას, მითვისებას) უქმ ეკონომიკად.

ადამიანთა (საზოგადოების) მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას გონივრულ ფარგლებში განვიხილავთ, როგორც ზომიერებას, ხოლო ამაზე გადაჭარბებით – როგორც ზედმეტობას, რაც წარმოიშვება ადამიანთა სიხარბის საფუძველზე. სიხარბე კი კაცობრიობის ცხოვრებაში დამანგრეველი ძალაა, რომელიც აპირისპირებს ადამიანებს ბუნებასთან და ერთმანეთთან. ამიტომაც ზომიერების დაცვა, სიხარბის დაძლევა მთელი კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

ზომიერების, სიხარბის დაძლევის პრობლემა არა მარტო დაბალი განვითარების, არამედ თვით განვითარებულ ქვეყნებშიც არსებობს. მათი გად-

აწყვეტა აუცილებელია, რომ საყოველთაო კეთილ-დღეობა იქნეს მიღწეული, ცხოვრება მსოფლიოში და ცალკეულ ქვეყნებში გახდეს ისეთი, როგორიც უნდა იყოს და შესაძლებელია იყოს. ამჯერად საყოველთაო კეთლდღეობის ერთ-ერთ განსაკუთრებულ პირობაზე გვექნება მსჯელობა, კერძოდ დოვლათის უაზრო, ფუჭ მოხმარებაზე, მის ზედმეტად ფლობაზე, რაც მას ანიჭებს უქმ ხასიათს.

ჭეშმარიტი გაგებით, დოვლათის უაზრო, ფუჭი მოხმარება, საკუთარი და სხვების საზიანო გამოყენება, საჭიროზე ჭარბად დაგროვება (ფლობა) ფართოდ შეინიშნება ადამიანთა ქცევებში. მისი შემაფერხებელი გავლენა ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე დიდია. მნიშვნელოვანწილად ამ მიზეზების გამო საყოველთაო კეთილდღეობის პრობლემა ვერ წყდება და მთელი კაცობრიობისა და ცალკეული ხალხების ცხოვრებაში ადგილი აქვს აღმაშფოთებელ ხარვეზებს, ადამიანთა დიდ უმრავლესობის სიდუხჭირეს. ეს მომენტი კი ერთ-ერთი ცენტრალური უნდა იყოს კეთილდღეობის თეორიაში, თუმცა ეს ასე არაა.

მოთხოვნილებათა დიდი ნაწილის არაჯანსაღი, არაგონივრული ხასიათი, ის, რომ ადამიანები ეტანებიან ისეთ რამეებს, რაც თვით მათაც აზიანებს და სხვებსაც ან სრულიად არაფრის მომცემია, უაზროა, ცნობიერებისა და ყოფიერების დიდი ნაკლია. ადამიანებს ხშირად სურთ დაეუფლნენ საგნებს არა ჯანსაღი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ პრესტიჟისთვის (ტ. ვებლენი და სხვ). ასეთი მიდრეკილება არსებულ სინამდვილეში ადამიანთა დიდი ნაწილის უარყოფით თვისებად უნდა იქნეს მიჩნეული. იგი ეფუძნება სიკეთის (სარგებლობის) არაჭეშმრიტ გაგებას, არასწორად გაგებულ (მახინჯ) ინტერესებს, გამრუდებულ მენტალიტეტს. ცნობიერება და მენტალიტეტი განსაზღვრავს ქცევას. გამრუდებული ცნობიერებიდან და მენტალიტეტიდან გამომდინარეობს ადამიანთა მეორე უარყოფითი თვისება - მათი არარაციონალური ქცევა, რომელსაც რეალური (ნამდვილი) სასარგებლო შედეგი, სიკეთე არ მოაქვს. თეორიის მტკიცება, რომ საერთოდ ადამიანები არიან რაციონალურები, რომ ინდივიდები ყოველთვის ყველაზე უკეთ აფასებენ თავიანთ მდგომარეობას, პრაქტიკაში არ დასტურდება. ადამიანები ხშირად უშვებენ ბევრ შეცდომას, არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას, ოპტიმალური გადაწყვეტილების უნარს.ეს ვლინდება მათ მიერ დოვლათის მოხმარებასა და დაგროვებაში არაჯანსაღი, არაგონივრული მოთხოვნილების დასაკმაყოფლებლად, განუსაზღვრელი სიმდიდრისადმი (შემოსავლისადმი) მისწრაფებაში, რასაც, როგორც ამაში საკაცობრიო სიბძნე გვარწმუნებს, რეალური სიკეთე არ ახლავს.

სხვანაირად ესაა ადამიანთა არაზომიერება (ზომიერების პრინციპის დარღვევა). ამის გამო გარკვეული დოვლათი ინდივიდთა ნაწილისთვის იქცევა ზედმეტობად, არსებითად არასაჭიროდ, უქმად. თეორია, როგორც ცნობილია, ქადაგებს მოთხოვნილებების განუსაზღვრელობას, რაც არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ. გონივრული (ჯანსაღი) მოთხოვნილებები როგორც პრაქტიკა პრაქტიკა ადასტურებს, შეზღუდულია მოცემულ მომენტში. ამისი მიზეზია ადამიანთა სამომხმარებლო ძალა შეზღუდულობა. მას არ შეუძლია, გონივრულ ფარგლებში, უზომო რაოდენობით რაციონალურად მოიხმაროს დოვლათი – საკვები, ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები, საცხოვრებლი ფართობი და ა.შ. უზომო რაოდებობით ფულის პირადი სიამოვნებისთვის დახარჯვისთვის მას დროც და ძალები არ ეყოფა. მომხმარებლის (მაშასადამე, საზოგადოებისაც) საომხმარებლო ძალის ამგვარ განსაზღვრულობას თეორია გვერდს უვლის. მოთხოვნილებათა უსაზღვროობის დოქტრინა საბაზრო იდეოლოგიიდან მომდინრეობს, რაც ადანიანთა გარკვეული ნაწილის ინტერესებს პასუხობს, რომ მოგების უსაზღვრო ზრდას მიაღწიონ. სწორი იქნება ვთქვათ, რომ მოთხოვნილებები იცლება, ვითარდება განუსაზღვრელად, მოცემულ მომენტში არაა რაოდენობრივად უსასრულო სუბიექტებისა და საზოგადოებისთვისაც. ამიტომაც გონივრულია ადამიანებს არ უნდა ჰქონდეთ მათ რეალურ სამომხმარებლო ძალაზე მეტი მოთხოვნლება. ამაზე მეტი კი ნიშნავს გონივრულობიდან, ზომიერებიდან გადახრილს, არანორმალურს, არასასურველს.

კეთილდღეობის არაჭეშმარიტი გაგება უკავშირდება იმასაც, რომ იგი ინდივიდუალიზმის მსოფლხედვის ასპექტითაა წარმოდგენილი, ანუ გაგებულია მხოლოდ ინდივიდთა, ადამიანთა ჯგუფის ინტერესების პოზიციიდან, უგულებელყოფილია საზოგადოებრივი ასპექტი, ინდივიდისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის კავშირი. მაგალითად, ცხოვრების ნორმალურად მოწყობისთვის მიუღებელია ისეთი მსჯელობა, რომ თითქოს ყოველ ადამიანს უნდა აინტერესებდეს საკუთარი კეთილდღეობა და არა სხვისი, არც უნდა ელოდეს სხვისგან დახმარებას, თითქოს ასე შეიძლება დამყარდეს კეთილდღეობა ყველასთვის. ეს შორსაა ჯანსაღი აზრისგან.

ეს თვალსაზრისი პირველ რიგში საზოგადოებრივი ცხოვრების არსს უგულებელყოფს, ეწინააღმდეგება თვით ბაზრის კლასიკურ (ა. სმითის) თეორიას, რომელიც ადამიანთა ეკონომიკურ ურთიერთობებში, თანამშრომლობაში ხედავს მასში მონაწილე მხარეთათვის ურთიერთხელსაყრელობას. ჯერ ერთი, ნებისმიერი ადამიანი საზოგადოების წევრია, მისი ცხოვრება საზოგადოების გარეშე წარმოუდგენელია. ინდივიდუალიზმი ცხოველური თვისებაა (ის უნდა განვასხვაოთ ინდივიდუალობისაგან, რაც უნდა ახასიათებდეს ყოველ ადამიანს). ცხოველები არ ითვალისწინებენ ერთმანეთის საჭიროებებს, თავისთვის ,,ზრუნავენ". მაგრამ ადამიანებისთვის ეს მიუღებელია, ასე საზოგადოება ვერ შედგება და ვერ იარსებებს. მეორეც, ნამდვილი კეთილდღეობის შინაარსს ეს ეწინააღმდეგება. შეიძლება განცხრომით მცხოვრებ ადამიანს თუ ადამიანთა ჯგუფს ჰქონდეს ნამდვილი კეთილდღეობის განცდა, თუ გვერდით ადამიანები გაჭირვენისაგან იტანჯებიან? ასე კი ხშირად გვხვდება, მაგრამ, ჭეშმარიტი აზრით, ეს

არ შეიძლება ნამდვილ კეთილდღეობად მივიჩნიოთ, საერთო კეთილდღეობისაგან მოწყვეტილი რეალური ინდივიდუალური კეთილდღეობა არ არსებობს. აუცილებელია ადამიანებს ეს ესმოდეთ. ამას ადასტურებენ კაცობრიობის ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები. მაგალითად, ილია ჭავჭავაზე აღნიშნავს: ,,ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომაც კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელი ერის კეთილდღეობაში."

კეთილდღეობის აზრის ეს ასპექტი მეტად მნიშვნელოვანია ჰუმანური, ცივილიზებული საზოგადოებისთვის, რასაც საბაზრო იდეოლოგია გვერდს უვლის. გამოჩენილი გარმანელი ეკონომისტისა და სახელმწიფო მოღვაწის ლ. ერჰარდის წიგნი ,,Wohnstadd fur alle" მისი მოღვაწეობის შესახებ გამსჭვალულია იმ პათოსით, რომ მიზანი უნდა იყოს ,,საზოგადოების ყველა ფენისთვის კეთილდღეობის მინიჭება".

აქვე შევნიშნავთ, რომ საყოველთაო კეთილდღეობაში არ ვგულისხობთ ეგალიტარიზმს, ბანალურ გამთანაბრებლობას, ადამიანთა მიერ ერთნაირ მოხმარებას, რაც გაუმართლებელია, რადგან მათი მთხოვნილებები განსხვავებულია. ერთნაირი მოხმარება, შემოსავლები უსამართლობა და უწესრიგობა იქნებოდა. საქმე ეხება ადამიანთა გონივრულ, ჯანსაღ მოთხოვნილებათა თანაბარ დონეზე დაკმაყოფილებას, რაც აუცილებელია სამართლიანი, ჰუმანური საზოგადოებისათვის.

ადვილი გასაგებია, რომ მოხმარებასა და ქონების დაგროვებას (ფლობას) ზომიერების საზღვრებს იქით, ადამიანებისთვის არავითარი რეალური სარგებლობა არ მოაქვს (შეიძლება მოჰქონდეს მოჩვენებითი). შეფარდებით ზედმეტი (ფაქტობრივად სასარგებლოდ გამოუყენებელი, უქმი) დოვლათის (სიმდიდრის) არსებობის ფაქტი გამომდინარეობს იქიდან, რომ გონივრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭიროზე ზედმეტი ეკონომიკური დოვლათი არ ტრანსფორმირდება სოციალურ სიკეთედ. ძნელი არ უნდა იყოს გავიგოთ, რომ ამგვარი ზედმეტი, უქმი დოვლათი არის დანაკარგი ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, გარკვეულწილად ამის შედეგად არსებობს დოვლათის უკმარობა ადამიანთა დიდი ნაწილისთვის იმასთან შედარებით, რაც ადამიანთა ჯანსაღი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მთელი არსებული დოვლათის გამოყენებისას შეიძლებოდა არ ყოფილიყო.

მაშასადამე, საქმე ეხება მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც უგულებელყოფილია თეორიის მიერ და რომელსაც მხოლოდ პრაქტიკა ინტუიციის დონეზე აწესრიგებს, მაგრამ ნაწილობრივ. ადამიანები ცდილობენ გამოიყენონ დოვლათი რაც შეიძლება სასარგებლოდ, მაგრამ მაინც სრულად ვერ აღწევენ ამას. ამასთან, სოციალური გარემო, ურთიერთობები უბიძგებს რეალობას იმისკენ, რომ ცალკეულ ადამიანთა ხელში ფაქტობრივად თავი იყარის ზედმეტი (ჭარბი), არსებითად მათი გონივრული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არასაჭირო სიმდიდრე. ეს განპირობებულია დოვლათის განაწილების მახინჯი მექანიზმით, რომლის წყალობით ადამიანთა გარკვეული ნაწილი იღებს დოვლათის შექმნაში მათი წვლილის არათანაზომად შემოსავალს.

საერთოდ, ადამიანთა არარაციონალურობის ერთ-ერთი საფუძველი არის დამახინჯებული ცნობიერება. კეთილდღეობის ყალბი გაგება ზომიერების დაკარგვის ერთი მიზეზია. მეორეა ადამიანთა მიდრეკილება მეტი სიმდიდრის, მოხმარებისკენ, იმის მიუხედავად, არის ნამდვილი აზრი, სიკეთე ამგვარ მისწრაფებაში და მის საფუძველზე მოქმედებაში, თუ არა. საბოლოოდ, საზოგადოების მასშტაბით, მთლიანობაში, აქ ჩნდება ასევე მასობრივი ფაქტორი - ადამიანთა მიმბაძველობა, შეჯიბრი უკვე სამომხმარებლო სფეროში, მოხმარების, სიმდიდრის მეშვეობით უპირატესობის დადასტურებისთვის.

რეალობა ასეთი: ფუჭი, უაზრო მოხმარება საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს საერთოდ ადამიანთა ცხოვრებაში. სინამდვილე სწორედ ასეთად ჩამოყალიბდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანთა ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამცირებს საყოველთაო კეთილდღეობას. ყოველივე ეს ისტორიული პროცესის შედეგია – ობიექტური სინამდვილის, ისტორიის ,,ცოდვებია" (,,შეცდომებია"), ვგულისხმობთ საზოგადოების ინტელექტუალური და კულტურული განვითარების არასაკმარის დონეს.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ზედმეტობა ერთ მხარეს და უკმარობა მეორე მხარეს დიდწილად უკავშირდება უსამართლობას, საერთოდ, და შემოსავლების (სიმდიდრის) განაწილებასა და გადანაწილებაში, ადამიანთა შორის მეტისმეტ უთანასწორობას, ზნეობრივ ხარვეზებს, საერთოდ საზოგადოების ცხოვრების, მოწყობის მანკიერებებს. სოციალური თეორიის დიდი ნაკლია, რომ იგი არ ითვალისწინებს ამ კავშირს.

ცნობილია, რომ უწინარეს ყოვლისა კეთილდღეობის წყაროა ის დოვლათი, სიმდიდრე, რომელიც პირველ რიგში არსებობს ბუნებაში და მიიღება მისგან. შემდეგ ესაა ბუნების დახმარებით წარმოებული დოვლათი, რომლის დიდი ნაწილი შექმნილია წარსულიდან (წინაპრებისაგან) გადმოცემული ცოდნის, გამოცდილების, მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლეების, ორგანიზაციის მეთოდების, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების (ძირითადი ფონდები) გამოყენებით. ბუნებისაგან მიღებული, ასევე წინა თაობების მიერ გადმოცემული რესურსები უსაყიდლოა (მუქთია). ბუნება და წინაპრები არაფერს ახდევინებენ ადამიანებს სოციალური ენერგიის - დოვლათშემქმნელი პოტენციალის წყაროებისთვის. ეს რესურსები კი ქმნიან ერთობლიობაში საზოგადოების დოვლათშემქმნელი პოტენციალის მნიშვნელოვან ნაწილს, რომლიც აღნიშნულის გამო უასასყიდლო, მუქთი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ. საზოგადოების კეთილდღეობის წყაროების დიდი ნაწილი, ამ გაგებით, გენეტიკურად მუქთია (კომერციულ მიდგომაში კი სხვა აზრია). ამის გარეშე სა-

ზოგადოების მთლიანად და ეკონომიკის პროგრესი შეუძლებელი იქნებოდა, მისი წყარო დაშრებოდა. აქედან გამომდინარეობს კეთილდღეობის ეკონომიკური რესურსის ხასიათი, კერძოდ ის, რომ მოქმედ თაობას ეკონომიკური კეთილდღეობის წყაროთა დიდი ნაწილი უსასყიდლოდ (მუქთად) ეძლევა, რაც აუცილებელია გავითალისწინოთ მასზე მსჯელობისას, რაც მთავარია, აღნიშნულ წყაროთა საყოველთაო კეთილდღეობისათვის გამოყენებისას.

სიმდიდრე რომ უმტესწილად იმ სუბიექტების მონაგარი არაა, რომლებიც მას ფლობენ, ეს დიდი ხანია იციან ადამიანებმა, მხოლოდ კარგად ვერ გაურკვევიათ, თუ რატომ და როგორ ხდება ეს. ჩვენ კი შევეცადეთ და დავადასტურეთ, რომ ეს ისტორიის მიერ ჩამოყალიბებული განაწილების მექანიზმისა (ცალკე სუბიექტები მას ვერ შექმნდნენ) და არსებული გარემოს წყალობით ხდება, რაც ცალკეულ ადამიანებს უქმნის შესაძლებლობას ფლონდნენ მეტს და მოიხმარდნენ ზედმეტს, ვიდრე მათ დოვლათის შექმნაში შეტანილი წვლილით ეკუთვნით.

სწორედ წმინდა (დანახარჯებზე მეტი) პროდუქტი და მისი წარმოქმნის შესაძლებლობა, დოვლათის განაწლების არსებული მექანიზმი არის მოხმარების გაზრდისა და დაგროვების, მათ შორის ზედმეტი მოხმარების და ზედმეტი დაგროვების საფუძველი. დოვლათის განაწილებისა და გადანაწილების გაუკუღმართებული მექანიზმისა და გამოყენების არარაციონალური წესის შედეგად წმინდა პროდუქტის ნაწილი იქცევა ზედმეტად მოხმარებულ თუ ჭარბად დაგროვებულ პროდუქტად, ე.ი ფაქტობრივად არასწორად გამოყენებულ, სასარგებლო შედეგის (სიკეთის) არმომცემ, უქმ დოვლათად. ადვილი გასაგებია, რომ აქ ძევს დოვლათის განაწილების უსამართლობა და მეტისმეტი უთანასწორობის მიზეზი. ამის ნათლად წარმოდგენას, გააზრებას და სათანადოდ შეფასებას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა პრაქტიკისთვის, საყოველთაო კეთილდღეობის ამღლებისთვის.

ყოველივე ამის გათვალისწინება აუცილებელია სინამდვილის მოვლენათა სწორი გაგებისთვის და პრაქტიკული ქცევისთვის. ამჯერად კი ჩვენ გვაინტერესებს თვით შექმნილი და საზოგადოების ხელთ არსებული დოვლათისა და საყოველთაო კეთილდღეობის თანაფარდობა მოცემულ მომენტში და დინამიკაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრებაში ადგილი აქვს ერთმანეთისაგან მათ მნიშვნელოვან დაცილებას. საყოველთაო კეთილდღეობა არ არ მიდევს დოვლათის, სიმდიდრის ზრდას. ეს გარემოებაც ყურადღების გარეშეა დატოვებული თეორიის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ იგი უდიდესი მნიშვნელობისაა. უნდა გაირკვეს რამდენია ეს გადახრა, რა მიზეზით აქვს ადგილი მას დასაბოლოო შედეგში როგორ გამოიხატება იგი.

ჩვენ ვთავაზობთ მიდგომას, რომლის მიხედვით უნდა ამოვიდეთ საყოველთაო კეთილდღეობის ორი საფუძვლიდან - დოვლათის სარგებლობის (სიკეთის) პოტენციალიდან და რეალურად (და არა მოჩვენებითად, ყალბად გაგებული) სასარგებლო გამოყენების ხარისხიდან, ანუ ამ პოტენციალის სოციალურ სიკეთეში ტრანსფორმაციის კოეფიციენტიდან.

შევნიშნავთ, რომ დოვლათის სარგებლობის პოტენციალის განსაზღვრისას,ზემოთ გადმოცემული კონცეფციის საფუძველზე, გამოვდივართ იქიდან, თუ რა რეალური სიკეთე შეიძლება დოვლათმა მოუტანოს ადამიანებს, ანუ რა გონივრული (ჯანსაღი) მოთხოვნილებები შეიძლება მან დააკმაყოფილოს და არა მოხმარებული დოვლათის ან მოთხოვნილებების დაკმაყოფილების - სარგებლიანობის საერთო სიდიდიდან; მეორე ასპექტია დოვლათის გამოყენება, თუ რისთვის, რა მიზნით და რა ხარისხით (რამდენად) არის ის გამოყენებული გონივრულად, რეალური სიკეთისთვის ან არის თუ არა მისი სარგებლობის პოტენციალი საერთოდ გამოყენებული. მაშასადამე, აქ ჩვენ ვემყარებით დოვლათის ,,სარგებლობის“ და ,,გონივრული მოთხოვნილების“ ცნებებს და არა საბაზრო ეკონომიკის ცნებებს ,,სარგებლიანობა “ და ,,მოხოვნა“. ეს უკანასკნელნი, როგორც ცნობილია, ნიშნავს, თუ როგორია საერთოდ ნებისმიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა (შესაბამისი საქონლის არსებობა ბაზარზე და მომხმარებლის მყიდველობითი უნარი). აქედან გამომდინარე, ამოსავლად ვიღებთ არა ობიექტის სარგებლიანობას, არამედ სარგებლობას.

ჯერ ერთი. ესაა შეფარდებით ზედმეტი დოვლათი (სიმდიდრე), საყოველთაო თვალსაზრისით, ან აბსოლუტურად ზედმეტი, კონკრეტული აზრით. სხვანაირად, ჯანსაღი აზრით, ის არსებობს სათანადო სასარგებლო გამოყენების გარეშე, მოჩვენებითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ფაქტობრივად საჭირო არაა ადამიამებისთვის, უქმია (ფუჭია) ან გამოყენებულია არა სასარგებლო, არამედ ადამიანებისათვის საზიანო მიზნით, თუ მათ არსებობას შევაფასებდით ჭეშმარიტი აზრით, მათზე მოთხოვნილება წარმოიშვება საზოგადოებრივ მანკიერებათა (მაგალითად, სამხედრო აგრესიის, ძალადობის მოლოდინი, ადამიანთა, ხალხების კონფლიქტების, უნდობლობის და სხვ.), ასევე ადამიანთა მახინჯი მოთხოვნილებების (თამბაქოს ნაწარმზე, ნარკოტიკებზე და ა.შ.,) გამო. ცივილიზებული, ჰუმანური საზოგადოების, ადამიანთა გონივრული მოთხოვნილებებისა და ქცევის პირობებში კი ეს საგნები იქნებოდა სრულიად არასაჭირო. მაშასადამე, მათი საჭიროება იქმნება ხელოვნურად. ფართო გაგებით, ისინი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ზედმეტი.

თვით კერძო ინდივიდების სამომხმარებლო ნივთების, ქონების ფლობას, რომელთა ამა თუ იმ (ხშირად დიდ) ნაწილს არ იყენებენ ჯანსაღი დანიშნულებით, ადამიანთა უმეტესობისთვის ადგილი აქვს არასწორი სამომომხმარებლო არჩევანის გამო (რაც არარაციონალობის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა, მიუხდავად თეორეტიკოსთა მტკიცებისა, თითქოს საშუალოდ მომხმარებელთა არჩევანი - მჯობინება, უპირატესობის მიკუთვნება ამა თუ იმ პროდუქტისთვის ყოველთვის სწორი იყოს). ჩვეულებრივ კი ჭარბი, ჯანსაზღი აზრით გამოუყენებელი

ქონების არსებობა გამოწვეულია ადამიანების არასწორი გადაწყვეტილებებით ნივთების შეძენისას, რომელთაც არ იყენებენ სრულად ან ნაწილობრივ გამოყენების შემდეგ აგდებენ, ან კიდევ უფუნქციოდ ინახავენ. ადამიანები დიდი რაოდენობით აფუჭებენ ან ცუდად იყენებენ საგნებს, რის გამო ისინი ზედმეტის სახე იღებს.

უნდა ითქვას, რომ ხელმოკლენიც უშვებენ შეცდომებს და ამის გამო იძენენ ისეთ რამეებს, რაც ნაკლებად ან სულაც არ ჭირდებათ. უფრო შეძლებულნი მეტ შეცდომებს უშვებენ და ბევრ რამეს ზედმეტს იძენენ. ამიტომ ოჯახების უმრავლესობაში შევხვდებით ზედმეტ, გამოუყენებელ, უფუნქციო საგნებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მდიდრების შესახებ. მათ გააჩნიათ პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილი დიდი ქონება, რომლის უმეტესი ნაწილი ემსახურება არა გონივრული (ჯანსაღი), არამედ პრესტიჟის, უპირატესობის დადასტურების, ზოგჯერ ფუქსავატური და ფუფუნებითი თუ სხვისი დაჯაბნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ყოველვე ამას, ჭეშმარიტი გაგებით, არა მოაქვს არავითარი რეალური სიკეთე. ეს სიმდიდრე უნდა განვიხილოთ როგორც ზედმეტი, რომელიც არსებობს უქმად, ნამდვილი ფუნქციის გარეშე. მისი არსებობა არღვევს ზომიერების ფარგლებს, აუცილებელისა და ზედმეტის ზღვარს.

საერთოდ დოვლათის შეფარდებითი ზედმეტობის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოვიყენოთ მარტივი ფორმულა (თუმცა მისი გაანგარიშებისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება არაა ადვილი).

$$Dti = Dp - ( P 1 + P2 + P3 + P4 + P5) / D p$$

სადაც: Dti არის ეკონომიკური დოვლათის სოციალურ სიკეთეში ტრანსფორმაციის კოეფიციენტი, Dp — შექმნილი რეალური დოვლათის სიდიდე; P 1 - ადამიანებისათვის ზიანის მომტანი პროდუქტები (თამბაქოს ნაწარმი, ნარკოტიკები, რომლებიც გამოიყენება მახინჯი მოხმარებისათვის; P2 - ნებისმიერი მოსპობის იარაღი (რომელიც ადამიანთა ჰუმანური ურთიერთობის პირობებში ზედმეტია); P3 - ფუჭად, არარაციონალურად მოხმარებული (დაგროვილი) დოვლათი (სიმდიდრე, პროდუქტები), რომელსაც რეალური სარგებლობა არ მოაქვს ადამიანებისთვის (ფუფუნების და ფუქსავატური მოთხოვნილების საგნები); P4 - პროდუქტების გაფუჭება და სხვა პირდაპირი დანაკარგები; P5 - ეკოლოგიური ზიანი.

რაც უფრო მეტია Dp / ( P 1 +P2 + P3 + P4 + P5), მით უფრო მაღალი იქნება საოველთაო კეთილდღეობა და, პირიქით. ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა უარესად დიდია. თუ საზოგადოება აღწევს მის მაღალ მაჩვენებელსა და გადიდებას, ის ამით ამცირებს საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის ერთმანეთისგან დაცილების მასშტაბს, ე. ი. აღწევს საყოველთაო კეთილდღეობის ამაღლებას, დამატებითი დოვლათის გარეშე, იაფად (ან სულაც ფატობრივად მუქთად, გამოყენების მცირე ხარჯები შეიძლება უგულებელვყოთ). ანალიზის შედეგად მივდივართ იმ დასკნამდე, რომ დოვლათის ნაწილი, რომელიც არ ხმარდება გონივრული, (ჯანსაღი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ერთობ დიდ ადგილს იჭერს საზოგადოების სიმდიდრეში (დოვლათში), მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ეს ნიშნავს, რომ ადამიანთა ხელთ არსებული დოვლათის (სიმდიდრის) დიდი ნაწილი არ ხმარდება მათ ჯანსაღ, გონივრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ანუ კეთილდღეობას. ფაქტების ანალიზის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ საზოგადოების ხელთ არსებული სიმდიდრის (დოვლათის) სასარგებლო, სიკეთის მოტანის პოტენციალი, ერთი მხრივ, და საყოველთაო კეთილდღეობა, მეორე მხრივ, ყოველთვის ბევრად სცილდებოდა და სცილდება ამჟამადაც ერთმანეთს. ეს უკანასკნელი საგრძნობლად ჩამორჩება პირველს. მიახლოებით შეიძლება ეს დღეისათვის შევაფასოთ დაახლ. ერთი მესამედით.

ზემოთ მოტანილ მსჯელობებს თუ შევაჯამებთ, უქმი დოვლთის არსებობისა და შესაბამისი დანაკარგების მიზეზთა შორის შეიძლება დავასახელოთ საზოგადოების წევრთა არაჯანსაღი (არაგონივრული) მოთხოვნილება, დაბალი სამომხმარებლო კულტურა, არარაციონალური მოხმარება, ადამიანთა და ხალხების არაჰუმანური ურთიერთობები (მტრობა, არაჯანსაღი მეტოქეობა და სხვ,), დოვლათის უსამართლო განაწილება და ზღვარს გადასული ქონებრივი უთანაბრობა. საბოლოოდ ყოველივე ეს თავს იყრის ადამიანთა და საზოგადოების განვითარების არასაკმარის დონეში, ნაკლებ ცივილიზებულობაში, მანკიერ გარემოში, არაჯანსაღ ზნეობაში, მენტალიტეტში, ცნობიერებაში. სწორედ ცნობიერება, მენტალიტეთან ერთად, წარმოადგენს ქცევის ამოსავალ პუნქტს. აღნიშნულ მიზეზთა შორის ხაზი უნდა გაესვას სოციალური ქცევის ხასიათის დიდ ადგილს დოვლათისა და შემოსავლების უსამართლო, მეტისმეტად უთანაბრო, უწესრიგო განაწილებაში. ეს, თავის მხრივ. არის საზოგადოების მოწყობის უდიდესი ხარვეზი, რომელიც მთელ ისტორიას გასდევს. იგი ვერ სწორდება საზოგადოების მიერ გამოყენებული ზომებით, შემოსავლების გადანაწილების სისტემებით, რომლებიც ამა თუ იმ ზომით ნებისმიერ ქვეყნაში მოქმედებს, უმთავრესად სახელმწიფოს მეშვეობით, თუმცა მნიშვნელოვნად არბილებს დოლათის განაწილების უსამართლობასა და უთანასწორობას. მაინც აუცილებელია სრულიად სხვა, კარდინალური საშუალებები.

ძნელი არაა მოტანილი მსჯელობიდან გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მიზანი უნდა იყოს:

Dti max ანუ P 1 +P2 + P3 + P4 + P5 0 ,

ე.ი უქმი დოვლათის, რაც შეიძლება შემცირება, რის მეტად მნიშვნელოვანი პირობა, განსაზღვრების მიხედვით, არის ზომიერება.

აქედან, ცხადია, რომ ზომიერების პრინციპში, დოვლათის შეფარდებითი ზედმეტობის აღმოფხ-

ვრის, არარაციონალური მოხმარების (დაგროვების) დაძლევაში ძევს საყოველთაო კეთილდღეობის ამაღლების ერთობ დიდი რეზერვი. იგი თავისი ხასიათით, გარკვეული აზრით, შეიძლება განვიხლოთ იაფ (მუქთ) რესურსად, რამდენადაც სრულიად არ საჭიროებს ან თითქმის არ საჭიროებს დამატებით დანახაჯებს შესაქმნელად, რამდნადაც საქმე ეხება არსებულს, მის გამოყენებას, დანაკარგის თავიდან აცილებას. მხოლოდ გამოყენება შეიძლება იყოს დაკავშირებული რაღაც რაღაც დანახარჯებთან.

ყოველივე ეს, გარკვეული აზრით, შეიძლება შევადაროთ საწარმოო რესურსების გამოყენებას. ცხადია, თუ შექმნილ საწარმოო სიმძლავრეს უფრო სრულად გამოვიყენებთ, მეტ პროდუქციას მივიღებთ, ხოლო თუ არასრულად ვიყენებთ, გაწეული კაპიტალური დანახარჯები უქმია, ეი. დანაკარგია. თუ შექმნილი მოხმარების საგნების (ქონების ) რაღაც ნაწილი არ გამოიყენება რეალური, ჯანსაღი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ანუ თავისი ნამდვილი ფუნქციით, ეს უკვე დანაკარგია. თუ ამგვარ უქმ დოვლათს გამოვიყენებდით, შესაბამისად ავამაღლებდით ადამიანების რაღაც ნაწილის კეთილდღეობას დამატებით დოვლათის (სიმდიდრის) შექმნის გარეშე. უეჭველია, რომ მსოფლიოში, განსაკუთრებით მდიდარ (განვითარებულ) ქვეყნებში ეს რეზერვი უზარმაზარია. მისი დიდი ნაწილი მდიდარ ადამიანთა ხელში არსებული ის ქონებაა, რომელიც ფაქტობრივად გამოუყენებელია რეალური სარგებლობის მისაღებად ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო (ფეშენებელური მარვალსართულიანი სასახლეები, ჭარბი სატრანსპორტო საშუალებები, ფუფუნების სხვადასხვა საგნები და ა.შ.).

მაშასადამე, საყოველთაო კეთილდღეობის იაფ (მუქთ) რესურსებად წარმოგვიდგება ზომიერ, გონივრულ მოთხოვნილებებზე გადამეტებით მოხმარებული, მოჩვენებითი სარგებლობის, ზიანის მომტანი და, ჯანსაღი აზრით, უსარგებლოდ და უმიზნოდ მოხმარებული თუ დაგროვილი დოვლათი (სიმდიდრე). იგი ადამიანთა გონივრული მოთხონილების დაკმაყოფილებისთვის გამოყენების შემთხვევაში დანაკარგიდან იქცევა კეთილდღეობის რესურსად, ანუ უქმი დოვლათიდან რეალურ დოვლათად. და ეს ხდება მხოლოდ გამოყენების წესის, მართებული დანიშნულების, განაწილებით ურთიერთობათა სამართლიანობის, მოხმარების რაციონალურობის პირობებში, რაც არავითარ ინვესტიციას არ ან თითქმის არ საჭროებს.

საკითხი დგება ამ რეზერვის გამოყენების შესაძლებლობისა და ფაქტობრივი გამოყენების შესახებ. ასეთი შესაძლებლობა არსებობს, რის წარმოდგენა ბევრს შეიძლება გაუჭირდეს, მაგრამ ეს ძნელი არაა სათანადო არგუმენტებით დავამტკიცოთ. თავიდან აქ უნდა ითქვას ზომიერების დამკვიდრების პირობებზე. ისინი შეიძლება შემდეგ-ნაირად ჩამოვაყალიბოთ.

ჯერ ერთი, ესაა საერთოდ მომხმარებელთა ქცევის რაციონალიზაცია, მისი მოქცევა ზომიერების ფარგლებში. მომხმარებლები არ უნდა იძენდნენ დოვლათს გონივრული, ჯანსაღი მოთხოვნილებებზე გადაჭარბებით, არ უნდა გასცდნენ ზომიერების ფარგლებს დოვლათის დაგროვებისას. ეს ადამიანთა რაციონალურობის ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ასპექტია.

მეორე, ადამიანები უნდა გათავისუფლდნენ მათ ხელში ზედმეტად თავმოყრილი ქონებისაგან. უნდა იშორებდნენ იმას, რაც საჭირო არაა ნორმალური, გონივრული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც შეძენილია ან დაგროვილია არასწორი სამომხმარებლო არჩევანის, არარაციონალური დაგროვების შედეგად. ესეც რაციონალური ქცევის ხარისხის ამაღლების კომპონენტია. იგი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ადამიანთა ერთი ნაწილის სათნოების (სიქველის)საფუძველზე სხვებისთვის სიმდიდრის (ქონების) მნიშვნელოვანი ნაწილის უანგაროდ გაღების გზით.

ყველა ეს მიმართულება უთუოდ ადვილად გასაგებია. ამ პირობათა განხორციელების, ქცევის რაციონალურობის ამაღლების, ზომიერების ობიექტური საწყისები უკვე შეიძლება არსებულ სინამდვილეში ადვილად დავინახოთ. რაღაც დონეზე მათი საწყისები უძველესი დროიდან მოდის და ვრცელდება, დღეისთვის კი საკმაოდ მასშტაბურ ხასიათს იღებს.

ძველთაგანვე ადამიანთა დიდ ნაწილს ზომიერებისაკენ უბიძგებდა მოთხოვნილებებსა და ფინანსურ შესაძლებლობებს შორის წინააღმდგობა, რაც აიძულებდა მათ უარი თქვან ზედმეტის შეძენაზე, ზედმეტის დაგროვებაზე, დაეცვათ ზომიერება.

ფინანსური შეზღუდულობა არ იყო და არაა ზედმეტისაგან თავის შეკავების ერთ-ერთი საფუძველი. ასეთი საფუძველია აგრეთვე შეგნება, თავშეკავების უნარი, ჩვეულება, ტრადიცია, საღი აზროვნება.

ადამიანთა ხელთ არსებული ზედმეტისაგან გათავისუფლების მაგალითები ცნობილია წარსულიდანაც და არაიშვიათად ვხვდებით დღევანდელ სინამდვილეში. მისი ამოსავალი პირობა ადამიანთა ცნობიერება, ჰუმანური ბუნებაა. არიან ადამიანები, რომელთაც კარგად ესმით, რომ ,,დიდებულია ადამიანი, რომელიც გასცემს“ (არისტოტელე). ასევე: ,,რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია.“ (რუსთაველი). რელიგიური მოძღვარნი ქადაგებენ: ,,სიმდიდრე და ქველმოქმედება განუყრელი უნდა იყოს“ ან კიდევ: ,,შენ იმიტომ გეძლევა სიმდიდრე, რომ გასცემდე“; ,,რამდენი სიმდიდრეც არ უნდა მოვიპოვოთ, მაინც სამარეში ჩავალთ, სადაც მეფეს გლახაკისგან ვერ გაარჩევ“ და ა.შ.

მთელ მსოფლიოში, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებში, აშშ-ში, ევროპაში ფართოდაა გავრცელებული ქველმოქმედება. ქველმოქმედებას ეწევიან საერთაშორისო ორგანიზაციები. ქველმოქმედების აქტს დიდი წვლილი შეაქვს უპოვარ ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებაში. ამის მაგალითი მრავალია. მათ შორის ერთ-ერთი შთამბეჭდავია ამერიკელი გამორჩეული 38 მილიარის გადაწყ-

ვეტლება შექმნან ფონდი ,,ჩუქების ფიცის“, სახელწოდებით, რაც გულისხმობს მათი ქონების ნახევრის გადაცემას საქველმოქმედო მიზნით. ამაზე უკეთესი რამ არსებულ რეალობაში მათ რა უნდა გააკეთონ! შვილებისთვის მემკვიდრეობით ქონების გადაცემაზე უარი თქვეს ამერიკელმა მილიარდერბმა ბუნ პიკინსმა, ენდრიუ ლოიდ უმერმა და სხვებმა.

ადამიანები სხვადასხვა, მათ შორის ე.წ მეორად საგნებს გადასცმენ ხელმოკლეებს უსასყიდლოდ ან იაფად. ცალკეულ შემთხვევებში ორგანიზებული წესითაც ხდება მათი შეგროვება და გადაცემა ქვეყნის შიგნით ან გარეთ. ეს დიდ დახმარებას უწევს ხელმოკლე ადამიანებს, აუმჯობესებს მათი ცხოვრების პირობებს.

ყოველივე ეს მაინც სულაც არაა საკითხის გადაწყვეტა. მხოლოდ ნაწილობრივ შველის ზედმეტი მოხმარებისა და ზედმეტი დოვლათის, როგორც ასეთის, არსებობის გამორიცხვას, უქმი დოვლათის (სიმდიდრის) გამოყენებას, გადაქცევას საყოველთაო კეთილდღეობის იაფ (მუქთ) რესურსად.

როგორც ვხედავთ, უდიდესი საკითხია, საერთოდ, ზედმეტი მოხმარებისაგან და დაგროვებისაგან ადამიანთა სრულად გათავისუფლება. როგორც ცხოვრებია გამოცდილება ადასტურებს ეს პრაქტიკულად რთულია. ის ადამიანთა შეგნებულობასთან, ზნეობასთან, ცნობიერებასთან ერთად, უკავშირდება აგრეთვე ინტერესებს, მათ ცვლილებებს, შეიძლება ვთქვათ, ნამდვილ მენტალურ რევოლულუციას. ამასთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალური გარემოს, ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფას სამართლიანობის, ჰუმანიზაციის მიმართულებით.

აღნიშნულ წინაპირობათა ჩამოყალიბება დიდ წინააღნდეგობებს ხვდება. ესაა, ჯერ ერთი, თანამედროვე მსოფლოში განათლების, კულტურის დაბალი დონე. მიუხედავად დიდი მიღწევებისა, ინტელექტუალურ-კულტურული დონე სრულად თვით მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც არ შეესაბამება მაღალ მოთხოვნებს, რომელიც საჭიროა ზომიერი ადამიანების საზოგადოებისთვის; მეორე, ადამიანის ბუნებაში დიდ ხნით ტრადიციით დამკვიდრებული მიდრეკილებები, ფასეულობით სკალა, რომელშიც ჭარბმა მატერიალურმა სიმდიდრემ წამყვანი ადგილი დაიკავა, დიდი მდგრდობით ხასიათდება და დაბრკოლებებს ქმნის ადამიანთა მენტლიტეტის შეცვლის გზაზე; მესამე, საერთო ზნეობრივი ნორმები და პოლიტიკური პრინციპები, ადამიანთა სოციალურ-ეკონომკურ ურთიერთობათა არსებული სისტემა, რაც ძირეულ გარდაქმნებს მოითხოვს ცივილიზაციის მაღალ დონეზე გადასვლსთვის, კონსერვატიულია და ძნელად ექვემდებარება ცვლილებებს. ადამიანები ხშირად თავიანთი ნების საწინააღმდეგოდაც იძულებულნი არიან დაექვემდებარონ ასეთ საერთო წესებს, ჩვევებს, ნორმებს, მათ ინერციას.

საგულისხმოა, რომ ადამიანთა დიდი ნაწილისთვის არსებული დამახინჯებული გარემო ხელსაყრელი და სავსებით მისაღებია, მათთვის ცვლილებები მიზანეწონილი არაა (მათი გაგებით).

აღნიშნული დაბრკოლებები ძლიერი და მყარია, რომელთა გადალახვა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ,,თანამედროვე ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მატერიალიზმი და ეგოიზმი, - აღნიშნავს ცნობილი თანამედროვე ბრიტანელი ისტორიკოსი ტონი ჯატი, - ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა როდია. ბევრ რამეს, რაც ბუნებრივად გვეჩვენება, საფუძველი ჩაეყარა 1980-იან წლებში. ესენია: სიმდიდრის დაგროვების აკვიატებული იდეა, პრივატიზაციისა და კერძო სექტორის კულტი, მზარდი უთანასწოობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, და, ყველაზე მეტად რიტორიკა, რომელიც ამას თან ახლავს, არაკრიტიკული აღფრთოვანება ყოველგვარი შეზღუდვებისაგან თავისუფალი ბაზრებით, სახელმწიფო სექტორის უგულებელყოფა, უსასრული ეკონომიკური ზრდის ილუზია... ასე ცხოვრება არ შეიძლება“.

ასეთია თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში ძირეულ ცვლილებათა, ზომიერებაზე გადასვლის, ზედმეტი მოხმარებისა და დაგროვებისაგან ადამიანთა გათავისუფლების დამაბრკოლებელი ფაქტორები. თეორიულად ზომიერების დამკვიდრება და ცხოვრების ჰარმონიზაცია სულაც მარტივია: ყველამ თავისი ნებით, შინაგანი კარნახით უნდა თქვას უარი ზედმეტ მოხმარებაზე და ზედმეტის ფლობაზე, რომელიც უსამართლობისა და უწესრიგობის წყაროა, ჯანსაღი აზრით, უაზრობაში (აბსურდში) გადადის, ადამიანურ სიკეთეს ეწინააღმდგება, შინაგანი მოწოდებით დაიცვას ზომიერება. სინამდვილეში ეს რთული პროცესი შეუძლებელი არაა, რადგან არსებობს ხელშემწყობი ფაქტორებიც. მატერიალური სიმდიდრე თანდათან უფასურდება სულიერი და ინტელექტუალური სიმდიდრის გვერდით. ამით სუსტდება მისდამი მიდრეკილება.

2. ზედმეტი მატერიალური სიმდიდრე სულ უფრო მძიმე ტვირთი ხდება ადამიანებისთვის და მისგან მიღებულ კმაყოფილებას აჭარბებს უსიამოვნება, საზრუნავი, რაც მას უკავშირდება, ის შემბოჭველის ხასიათს იძენს.

3. ადამიანთა საერთო განათლებულობა, ცივილიზებულობა ასუსტებს ზედმეტ მიდრეკილებას მატერიალური ნივთებისადმი. განათლებლი ადამიანები მას უფრო ნაკლებად ეტანებიან, ვიდრე დაბალი განათლებისანი და გაუნათლებლები. განათლებულები ჩვეულებრივ მეშჩანური მოთხოვნილებებისგან თავისუფალნი არიან, უფრო სულიერი სიმდრისადმი არიან მიდრეკილნი, თუმცა არსებობს გამონაკლისიც.

4. დიდია საზოგადოების ელიტარული ნაწილის, პროგრესული იდეოლოგიის, მათ შორის პოლიტიკურის როლიც. ძალადობის გარეშე ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია ადამიანთა რაციონალური ქცევის, ზომიერების დამკვიდრების საქმეში, რომლის გამოყენება ბევრადაა დამოკიდებული პროგრესულ ლიდერებზე, საზოგადოების ელიტაზე, მათ მოქმედებებზე, მათ ყოფით მაგალითზე და ა.შ.

5. არც თუ ისე მცირეა შიშის ფაქტორის, იმ საფრთხის გაცნობიერების როლი, რომელიც ელოდება ადამიანებს (კაცობრიობას) არაზომიერების, სიხარბის სამყაროში. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზნეობის ფაქტორს.

სოციოლოგიის ფუძემდებლის ა. კონტის აზრით, საზოგადოების მორალური სრულყოფა შესაძლებელია ალტრუისტული გრძნობის გაძლიერებით. მნიშვნელო-ვანია ადამიანთა აზროვნების (ცნობიერების) შეცვლა, ჭეშმარიტებისაკენ მობრუნება. გუსტავ ლებონის მიხედვით, დიად გარდაქმნათა, რომლებიც წინ უძღოდა ცივილიზაციების შეცვლას, წინაპირობა იყო აზროვნების წესის კარდინალური შეცვლა.

აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ამაოა ველოდოთ სწრფ გადასვლას ზომიერების, ცივილიზებულობისა და ჰარმონიული, ჰუმანური ცხოვრების მაღალ სამყაროში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პროცესი თვითდინებაზე იყოს მიშვებული. საზოგადოება, კაცობრიობა ბუნებრივი სვლის მოლოდინში არ უნდა იყოს და მიზანმიმართულად უნდა მოქმედებდეს ამ პროცესის დაჩქარებისთვის.

ზომიერების დამკვიდრებაში, ზედმეტი მოხმარებისა და ზედმეტის ფლობისაგან ადამიანთა გათავისუფლებაში ძევს საზოგადოების პროგრესის, ცივილიზებუ-ლობისთვის უდიდესი მნიშვნელობის შედეგები.

1. ზედმეტობასთან ერთად მცირდება ან ქრება უკმარობა, მაშასადამე, მაღლდება საეყოველთაო კეთილდღეობა გამოუყენებელი, უქმი იაფი (მუქთი) რესურსების ,,გაცოცხლებით," დანაკარგების აღკვეთით, სამართლიანი, ნებაყოფილობითი გადანაწილების გზით, დამატებითი დანახარჯების გარეშე.

2. აღმოიფხვრება დაცილება ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობის ამაღლებას შორის - უდიდესი წინააღმდეგობა საზოგადოების განვითარებაში.

3. ამაღლდება ადამიანთა თავისუფლების ხარისხი, ერთნი გათავისუფლდებიან ზედმეტი სიმდიდრის ტვირთისაგან, მეორენი - უკმარობისაგან, გაჭირვებისაგან.

4. უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი, აღმოიფხვრება უსამართლობა, გაუმართლებელი უზომო უთანასწორობა, ადამიანთა დიდი ნაწილის სიდუხჭირე. საზოგადოების, ხალხების, კაცობრიობის ცხოვრებაში მყარდება ჰარმონია, ცხოვრება ხდება უფრო ჰუმანური, სასიამოვნო ყველასათვის, ურთიერთობები ადამიანური, ესთეტიკურად მომხიბვლელი.

ეს ნიშნავს ახალ, სიხარბისაგან თავისუფალ, ნამდვილად ჰუმანურ საზოგადობას. კაცობრიობის გზა აქეთ ან კატასრტოფისკენაა მიმართული. როგორც ვხედავ, კაცობრიობის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვან ცვლილებებთან გვაქვს საქმე, რასაც არ შეიძლება სათანადო ყურადღება არ ექცეოდეს!


**რეზიუმე**

**ზომიერება: ეკონომიკურ-თეორიული ასპექტი**

შექმნილი დოვლათი (სიმდიდრე) და საყოველთაო კეთილდღეობა, ასევე მათი ზრდა ერთმანეთს არ შეესაბამება, კეთილდღეობა ბევრად ჩამორჩება დოვლათის (სიმდიდრის) რაოდენობასა და ზრდას. ამას ადამიანთა მიერ მოხმარებასა და დაგროვებაში ზომიერების დარღვევა ანუ გონივრულ, არაჯანსაღ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, საჭიროზე მეტის მოხმარება და დაგროვება, დოვლათის საზიანო გამოყენება განაპირობებს. ამ დროს ეკონომიკური დოვლათი არ ტრანსფორმირდება სოციალურ სიკეთეში, რეალურ სარგებლობაში. ეს, თავის მხრივ, ემყარება ადამიანთა გადაჭარბებულ მიდრეკილებებს დოვლათისადმი, მის უსამართლო განაწილებას და არარაციონალურ მომხმარებლურ ქცევას. ასე წარმოქმნილი რეალურად საჭიროზე მეტი დოვლათი (სიმდიდრე) შეიძლება განვიხილოთ როგორც შეფარდებით ზედმეტი, უქმი, რამდენადაც ის არ ემსახურება რეალური სარგებლობის (სიკეთის) მიღებას. ამ მდგომარეობის მეორე მხარეა დოლათის უკმარობა ადამიანთა უდიდესი ნაწილისთვის, საბოლოოდ საყოველთაო კეთილდღეობის შემცირება, დოვლათის ფაქტობრივი დიდი დანაკარგი.

ამასთან აღნიშნულ უქმ დოვლათს შეიძლება შევხედოთ სხვა მხრიდან და მასში დავინახოთ კეთილდღეობის ამაღლების დიდი რეზერვი, რომელიც, გარკვეულ აზრით, ფაქტობრივად უსასყიდლოა (მუქთია) როგორც არსებული და რომლის მხოლოდ სწორად გამოყენება, ზედმეტობიდან, დანაკარგიდან რეალურ რესურსად გადაქცევაა საჭირო. ეს აუცილებელია, რის შესაძლებელი გზები ადამიანთა პროგრესულ განვითარებაში ძევს.

**SUMMARY**

*G. Malashkhia*

**Economic-theory of Moderation**

Created goods (wealth) and universal welfare, as well as their growth, do not correspond to one another. Welfare is much behind the quantity and growth of the goods (wealth). This is caused by lack of reasonability of consumption and gaining, i.e. satisfaction of the unreasonable, unsound requirements, consumption and accumulation of the greater quantities than needed, as well as use of the goods for detrimental reasons. In such cases, economic goods are not transformed into the social wellbeing, actual benefits. This, on its side, is based on excessive trends to gaining of wealth, unfair distribution thereof and unreasonable consumption behavior. Thus, generated goods (wealth) in excess to the quantities actually needed could be regarded as relatively useless, as it does not serve to obtaining of actual benefits (wealth). The other side of this situation is lack of goods for the most people, finally reduction of the common welfare and actual great loss of the goods.

In addition, the mentioned useless goods could be regarded from the other point of view, seeing in them significant reserves for improvement of welfare, which, in the certain sense, are actually free of charge, as already existing ones and which could be transformed into the actual resources from the excess and loss. This is required and possible ways for this are within the progressive development of the mankind

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. არისტოტელე. რიტორიკა. თბილისი 1981.
2. ბასტია ფ. საკუთრება და კანონი. თავისუფლების ინსტიტუტის ბიბლოთეკა. III. თბილისი. 2005
3. ერჰარდი ლ.. კეთილდღეობა ყველასთვის. თარგმანი გერმ. 2011.
4. გ.მალაშხია. ,,მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია“ . თბილისი 1995.
5. გ.მალაშხია. მოგების მეტათეორია . ახალი ხედვა“ თბილისი 2012.
6. მალაშხია გ. სოციალურ-ეკონომიკური განვითარები დიალექტიკა. ზოგიერთი ასპექტი. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ.III. თბილისი, 2012 წარმოიშობა“.
7. მონტესკიე შ.. კანონთა გონი. ქართული თარგმანი. თბილისი, 1994.
8. ჭავჭავაძე ი.. თხზ. ტ.5. თბილისი, 1987.
9. Gustav Le Bon . The Crawd . N. Y. Voling Prss. 1962.
10. Macmillan Dictionary of Modern Economics. London and Basingstoke. 1992
11. Tony Judt. ILL fares the Land. . 2010
12. Waldemar A. Nielsen. The Big Foundetions. New York – London 1972
13. Платон. Полотик. Соч. т. 3, ч. II.

# ОСОБЕННОСТИ БУДУЩИХ ВОЙН И ПРЕДПОСЫЛКИ СОЗДАНИЯ ОРУЖИЯ НОВОГО ТИПА

***Н.Ш. Чигогидзе***, Доктор химии, академик Инженерной академии *Грузии,* Гту

Война есть силовой способ разрешения политических проблем. Назревающие в мире перемены геополитического характера без войн решить не удасться. Локальных войн избежать невозможно. Они будут возникать в самых проблемных регионах Земли. Рост населения; изменение климата; дефицит плодородных земель, пресной воды и продовольствия; постоянный рост цен на продукты питания и конкуренция из-за них могут спровоцировать массовые беспорядки и локальные столкновения. Кроме того, в поисках лучшей жизни большие массы трудоспособных, но безработных людей будут постоянно мигрировать из одной страны в другую, что неизбежно вызовет конфликты между коренным населением и переселенцами. Но войны в том виде, в каком их привыкли видеть люди, на современном этапе маловероятны, в первую очередь по экономическим соображениям. На протяжении нескольких тысячелетий типы вооружений стали настолько современными и разрушительными, что исчез любой практический смысл их применения. Во второй половине XX века военно-политические блоки НАТО и Варшавского Договора прекрасно понимали, что в случае прямого столкновения обеих сторон, победителя не будет. Но при этом, необходимо было постоянно сохранять и поддерживать паритет сил. «Пиррова» победа не устраивает ни одного участника вооруженного конфликта. Отсюда следует ряд главных выводов:

1) современная война должна быть экономически выгодна для большинства ее участников;

2) тотальная разрушительная война в нынешнем мире чревата катастрофой, она просто не окупится;

3) научно-технически и экономически развитые державы не заинтересованы в этом; опасность развязать кровопролитие исходит от малых и средних стран с диктаторскими, тоталитарными режимами власти, но их ресурсы ограничены;

4) современная война будет разительно отличаться от всех предыдущих: в ней не будет таких понятий, как линия фронта, позиционная война, окопная война, глубокий тыл и т.п.; «полем боя» будет общая территория всех стран – участниц конфликта;

5) главная военно-стратегическая задача новой войны должна быть решена одним мощным усилием в ограниченный промежуток времени;

6) характерная особенность современной войны – избирательность и точность поражения стратегических обьектов противника.

Ставка делается на высокоточное оружие, в создании которого используются высокие технологии. Основными направлениями технологической базы производства новейших вооружений являются информатика, микроэлектроника, робототехника, нано- и биотехнологии. Цель современной войны – уничтожение войск противника, командно-штабных пунктов и центров управления, его вооружений и боевой техники, нанесение непоправимого ущерба его экономике. Важное значение для боевых действий приобретает космос, откуда можно контролировать территории противника, управлять собственными вооруженными силами, определять цели для уничтожения, наносить удары. Не исключено применение новых видов оружия: климатического, психотронного, пучково-лучевого, геотектонического и т.д.

Нетрадиционными окажутся и формы будущей войны. Война может быть принципиально иной: энергетической, компьютерной, психотронной и т.д. Импульсом для начала боевых действий может быть террористическая акция, кибератака на государственные компьютерные сети, государственный переворот, техногенный катаклизм, человеческий фактор, природная катастрофа и пр. Мировой правопорядок может измениться в результате нескольких успешных локальных войн. При этом наблюдается удивительная тенденция: с увеличением количества локальных конфликтов, сокращается число крупномасштабных войн между государствами. Переход в активную фазу террористических войн также способствует изменению мирового баланса сил.

Началу военных действий будет предшествовать комплекс подготовительных мероприятий в сфере информации. Он включает активные информационно-психологическое воздействие на население и вооруженные силы противника. Происходящее будет преподано средствами массовой информации как вынужденная мера, крайне ограниченная и мастерски исполненная боевая операция.

Преимущество в современных высокоточных боевых системах обесценивает и подавляющий перевес противника в традиционных видах оружия. Это вынуждает совершенно иначе оценивать военные потенциалы сторон и боеспособность их вооруженных сил. Теперь тон задают новейшие виды вооружения и средства противодействия им. На смену изнуряющей «войны на истощение» приходит новая, более скоротечная форма войны. Задача состоит в том, чтобы уже в самом начале конфликта вывести из строя около половины обо-

ронительного потенциала противника, что принудит его остановить войну. Кроме того, традиционная схема военной организации представляет централизованную иерархическую систему, построенную на подчинении директивным указаниям сверху. В современных условиях быстротечных войн формы и методы выполнения боевых задач командования будут видоизменяться по усмотрению полевых командиров. Это даст очевидны преимущества. За счет самоорганизации и гибкого перестроения структур все процессы управления и сами боевые действия становятся более динамичными, активными и результативными, ускоряется процесс принятия решении, исчезают тактические и оперативные паузы в боевых действиях, которыми противник мог бы воспользоваться. Но успех во многом зависит от индивидуальных качеств, уровня подготовки, интеллекта и боевого опыта полевых командиров, личного состава.

Главный постулат в концепции быстротечной войны – это гарантированное достижение поражения наиболее важных целей противника в считанные минуты, независимо от местоположения объектов. Разумеется, что при осуществлении подобных молниеносных операций рассчитывать только на использование людских ресурсов невозможно и неправильно. Обязательным компонентом быстротечной войны должно стать «умное» оружие для проведения «хирургически» точных ударов в военных операциях любых масштабов. Поэтому все больший вес в армиях будущего приобретают боевые работы и автономные системы вооружений, которые управляются дистанционно из укрытых командных пунктов со спутников или по беспроводной связи. Эти системы вооружений включают беспилотные гиперзвуковые летательные аппараты, автономные танки и бронетранспортеры – разведчики. Главная особенность таких систем, наряду с боевой мощью, скоростью, маневренностью, полифункциональностью, защищенностью, многократностью использования, - это способность к выбору оптимального решения на поле боя из набора заложенных в программу вариантов. Главная функция роботов – действовать в конфликтных ситуациях и боевой обстановке, которые являются смертельно опасными для людей.

В настоящее время многие страны мира сформировали у себя специализированные подразделения компьютерной безопасности на государственном уровне, которые призваны защищать собственное киберпространство и разрабатывать кибероружие против вероятного противника. Ущерб от такого оружия сопоставим с ущербом от массированного ракетного удара.

Вконце 40-х годов XX столетия во многих развитых странах мира начался активный поиск методов воздействия на противника, обеспечивающих несиловое решение военных и политических задач. Приоритет в этом направлении исследований отдавался разработке методов и средств ментального воздействия на политическое руководство, армию и население вероятного противника. Интенсивные поиски сосредоточились на возможности аппаратурного воздействия на человека. Были разработаны модуляторы специальных волн, вызывающие в человека различные эмоции: тревогу, страх, панику, радость, раздражение или наслаждение. А также созданы средства суггестивного воздействия на человека в акустическом, световом, инфракрасном, ультрафиолетовом и радиодиапазоне.

Разрабатываемые виды вооружений и средства влияния на людей получили название «психотронного оружия», или «гуманного оружия».

Генераторы низкочастотных колебаний и генераторы направленного электромагнитного излучения, способные вызывать явление радиозвука в голове человека, разрабатывались именно как «гуманное оружие» и призваны были рассеивать толпу во время гражданских беспорядков, не причиняя серьезного вреда здоровью населения.

Первый боевой опыт по применению психотронного оружия против иракских войск был получен в 1992 году во время операции «Буря в пустыне». Эффект от совмещения двух частот в ухе солдат был потрясающим: он вынуждал войсковые подразделения просто бежать с поля боя.

Еще при жизни И.В. Сталина в СССР была создана закрытая лаборатория по изучению воздействия звуковых волн на биологические объекты. Возглавлял лабораторию известный в СССР архитектор А.К. Буров. Благодаря ему в СССР были созданы мощнейшие акустические излучатели («пушки Бурова»), в которых использовались звуковые волны очень большой интенсивности.

Разновидностью акустического оружия является инфразвуковое оружие, принцип действия которого основан на использовании мощного источника звуковых волн низкой частоты, порядка нескольких герц. Инфразвук легко проникает сквозь бетонные и металлические преграды, что затрудняет зашиту от него личного состава. Инфразвуковые колебания с частотой ниже порога восприятия человеческого уха (неслышимый звук) способны вызвать подсознательное ощущение тревоги, страха, отчаяния, ужаса. Возможны массовые проявления эпилепсии, инсультов или инфарктов миокарда (в зависимости от используемых частот) у населения и личного состава войск противника. При повышении мощности излучения на резонансных частотах возможны летальные исходы.

Большой вклад в исследования акустических эффектов внес американский физик Роберт Уильямс Вуд.

Более сильное поражающее действие, но регулируемое по интенсивности оказывает пучково-лучевое оружие. Оно представляет собой системы, комбинированно использующие несколько лучей в различных диапазонах для одновременного вывода из строя радиоэлектронного оборудования противника и воздействия на психику личного состава на большом расстоянии.

В качестве примера можно привести установку «Гранит», разработанную в Советском Союзе в 70-х годах XX века. В ней используется и мощный световой лазер, и мазер, дающий луч в радиочастотном диапазоне. Испытания проводились на сверхсекретном полигоне в Сары-Шаган (Казахстан), вблизи озера Балхаш. 10 октября 1983 года во время полета над полигонам американского космического корабля-челнока «Челленджер» (высота орбиты составляла 365 километров) был произведен «профилактический» выстрел по челноку из комплекса «Гранит». Мощность удара была небольшой, но экипаж «Челленджера» на полчаса потерял сознание, почти вся аппаратура челнока вышла из строя, для приземления пришлось применить ручное управление.

Современные пучково-лучевые системы, используемые в программах геофизического оружия, не передают энергию на расстояние, а вызывают энергетические выброс в заданной точке пространства.

Так называемое интегральное геофизическое оружие глобального действия подразделяется на тектоническое (литосферное), гидросферное, биосферное и т.д.

Идея сейсмооружия принадлежит русскому оружейнику Егорову, который еще в конце XIX века в Петербурге предложил бомбить шельфы Японии, чтобы сейсмическими волнами разрушить ее. В конце 20-х годов XX века в СССР начались исследования по использованию в военных целях разрушительных землетрясений. Сейсмические волны провоцировались мощными взрывами обычной взрывчатки. Аналогичные испытания проводила в те годы и Япония. Эти эксперименты на себе испытали многие шахтеры в разных странах. В 1932 году И.В. Сталин распорядился засекретить работы по созданию сейсмопотоков (так называли тогда тектоническое оружие) «выше возможной секретности».

Появление ядерного оружия и возможность проведения подземных ядерных взрывов еще больше усилили жестокую реальность тектонического (литосферного) оружия. Знаменитое постановление ЦК КПСС и Совмина СССР №1384-345 от 30 ноября 1987 года являлось нормативным актом, предписывающим проводить испытания советского сейсмооружия. Отметим сейсмопроект «Меркурий -18» - «методика дистанционного воздействия на очаг землетрясения с использованием слабых сейсмических полей и переноса энергии взрыва» и программу «Вулкан» - технология производства мощнейшего в мире сейсмовибратора ЦВО-100.

Поскольку коварным свойством сейсмического оружия является не только разрушение до основания среды обытания, но и воздействие на подсознание людей, вызывающее необратимые личностные изменения. Поэтому применение тектонического оружия губительно для нашей цивилизации.

Разновидностью геофизического можно рассматривать климатическое оружие. Его действие направлено на региональные изменения климата в результате целенаправленного вмешательства в атмосферные процессы Земли. Можно менять розу ветров на больших высотах, следовательно, и влиять на погоду. Целью применения климатического оружия являются:

- срыв государственных социально-экономических программ развития стран вероятного противника;
- падение сельскохозяйственного производства на территории противника;
- ухудшение продовольственного снабжения его населения и армии;
- техногенные катастрофы и аварии, остановка производств и систем жизнеобеспечения на подконтрольных противнику территориях;
- самопроизвольный выход на поверхность залежей углеводородов – нефти и газа.

Американская программа HAARP (High Frequency Active Autoral Research Program – программа активного исследования авроральной области) предусматривает мощное и целенаправленное воздействие радиоволнами высокой частоты на нижнюю ионосферу – часть околоземного пространства в полярных областях. Ее слои мгновенно разогреваются до плазменного состояния, создавая «эффект микроволновой печи». Разогретую плазму с помощью мощных лазеров можно легко перемещать в пространстве, обеспечивая нарушение рдиосвязи и систем управления противника.

Система HAARP состоит из трех нагревных комплексов: 1) в Тромсе (Норвегия) мощностью до 2 Мвт; 2) на военном полигоне Гаккона (Аляска) мощностью 3,6Мвт; 3) в Гренландии мощностью уже 10Мвт.Установки в Норвегии, на Аляске и в Гренландии создают определенный контур, который может выполнять функции новой системы противоракетной обороны, и в случае необходимости играть роль климатического оружия, накрывая полностью территорию Евразии, включая Китай.

Аналогичный русский радиокомплекс «Сура», самый старый из действующих в мире, расположен в 150км от Нижнего Новгорода в районе поселка Васильсурск, но его мощность всего 0,8 Мвт.

Создание и эксплуатация подобных систем обычно осуществляется под прикрытием научных исследований в области совершенствования радиосвязи. Но даже отдельные установки системы HAARP ни разу не включались на полную мощность, из-за опасения катастрофических последствий глобального характера.

Дело в том, что для современной науки пока слишком сложно смоделировать поведение таких взаимосвязанных систем, как атмосфера, ионосфера и магнитосфера Земли после столь сильного энергетического воздействия на них.

Применение геофизического оружия будет означать открыть «ящик Пандоры» для запуска цепочки геологических и биологических катаклизмов по всей планете, затрагивая даже страны, не участвующие в вооруженном конфликте. К тому же это противоречит заключенной в 1977 году Конвенции о запрещении во-

енного или любого иного враждебного использования средств воздействия на природную среду.

Но есть еще один аспект программы. Радиоволны сверхнизких частот, отражающиеся авроральной областью околоземного пространства, можно использовать в качестве психотронного оружия. За последние два столетия освоения полярных районов многие путешественники, землепроходцы, мореплаватели и исследователи Крайнего Севера отмечали, что северное сияние издает определенные звуки, которые раздаются близко от человека, тогда как северное сияние полыхает высоко в небе. Исследования показали, что с помощью ионосферных радаров в полярных районах, можно вызвать не только искусственное полярное сияние, но и низкочастотные биоактивные электромагнитные поля в заранее заданном районе на поверхности Земли, обладающие психотронным воздействием на людей. И ничего не надо разрушать и никого убивать!

Особый интерес представляет плазменное оружие. Еще в 1953 году академики А.Л. Минц, и Л.А. Арцимович разработали проект нейтронного пучкового оружия. Принцип его действия был основан на расплавлении урановых и плутониевых зарядов боеголовок баллистических ракет. Но в то время советское руководство сделало ошибочную ставку на создание антиракет.

В начале 70-х годов прошлого века вернулись к этой теме. Теоретические основы модификации ионосферной плазмы разработали советские физики В. Гинзбург, и А. Гуревич. Давно известно, что если перед летящим объектом создать разряженную атмосферу, он раскручивается и под действием центробежных сил рассыпается за доли секунды. С помощью плазмы можно изменить физические свойсива среды на пути летящих боеголовок, крылатых ракет и самолетов.

Поражающим фактором могут стать плазмоидные образования – сложные топологические структуры, обладающие магнитным зарядом (квазимонополя). Первые опытные испытания установки по созданию плазмоида были успешно реализованы в 1974 году. Антенна с фазированной решеткой сфокусировала высокочастотное излучение мощностью в 20Мвт на площади 10х10см и на расстоянии 1015м в камере, в которой образовался плазмоид. Потоки плазмоидов способны стать катализаторами ядерных реакций и влиять на критическую массу делящихся радиоактивных материалов. Следовательно, ядерные заряды стратегических ракет можно уничтожать не только в полете, но и в шахтах. Опасными целями становятся атомные электростанции, хранилища радиоактивных отходов, морские суда с ядерными силовыми установками, которые невозможно защитить. Эти же системы можно использовать и в мирных целях: разгонять облака, влиять на погоду и очищать от космического мусора околоземное пространство.

Обнаружено удивительное свойство плазмы на квантовом уровне черпать дополнительную энергию из окружающей среды и перерабатывать ее в электроэнергию, при этом к.п.д. такого процесса гораздо выше единицы! Эффект датского физика Хендрика Казимира (открыт в 1948 году) основывается на том, что абсолютный вакуум заполнен квантовыми частицами и колоссальную квантовую энергию можно получать посредством создания резонансного процесса.

В течение ближайщего десятилетия торсионные технологии вытеснят современную технику. Большой вклад в теорию и практику торсионных технологий внесли академики Е.Фрадкин и А. Акимов, физики Д. Иваненко и Г. Шипов. В разных странах известны теплогенераторы Р.И. Мустафаева – ученого из Твери, бестопливный двигатель, созданный академиком Ю. Бауровым. Американский специалист Брайан Берланд разработал специальные антенны, которые могут поглощать энергию как радиоволны, так и света.

Технологии, основоположником которых можно считать гениального сербского ученого Николу Тесла, имеют резонансный характер, т.е. даже очень слабое энергетическое воздействие в одном месте вызывает мощный выплеск энергии в заданной точке пространства, причем весьма отдаленной.

В 1942 году советский электротехник, докт. техн. наук, лауреат Сталинской премии Г.И. Бабат, усовершенствуя технологию точечной сварки, случайно получил искусственную шаровую молнию. Статья о шаровых молниях академика П.Л. Капицы была опубликована во втором номере «Доклады АН СССР» только в 1955 году. Гипотеза ученого ничуть не утратила актульности и в наше время. В ней он указал на возможность получения подобия шаровой молнии в лабораторных условиях. А уже в 1953 году Г.И. Бабат, независимо от методики Капицы, на практике экспериментируя с локализованными пучками дециметровых радиоволн, получал шары плазмы не только относительно стабильные, но и управляемые. Конечно, необходимо отметить более поздний проект установки по формированию плазмоидов под рукаводством главного конструктора академика Р.Ф. Авраменко.

Учитывая выше изложенное, понятно, что светящиеся шары в небе, принимаемые очевидцами за НЛО, могут иметь вполне рукотворное происхождение.

Растущее понимание, что современное оружие должно обладать избирательностью и направленностью поражающего действия (только в отношении противника), быть мобильным, удобным и эффективным в применении, приводит к появлению новых еше более изощренных средств массового поражения, соизмеримых или превосходящих по поражающему эффекту классическую триаду (ядерное, химическое и биологическое оружие). Для использования науки в подобных целях каких-либо ограничений в настоящий момент не существует. Сегодня имеются все возможности осуществлять на практике любые научные фантазии.

В качестве доказательства можно привести появление вариантов модифицированного биологического оружия на базе моргеллонов. Моргеллоны представля-

ют собой синтетические волокна на основе нанотехнологий, выполняющие одновременно роль искуственных паразитов и являющиеся сенсорными датчиками, способными принимать внешние сигналы. Профессор биохимии и клеточной биологии Нью-Йоркского университета Виталий Цитовский, первым изучив эти волокна, доказал, что они содержат субстанцию агробактерий Agrobacterium tumefaciens, которые способны генетически трансформироваться не только в растения, но и в клетки высших организмов, инфицируя и изменяя ткань.

Масштабные работы по изучению пси-явлений ведутся и в китайском Институте прикладных медико-космических исследований, более известном как 507 институт. А в СССР в 70-х годах прошлого века был основан специальный Научно-Исследовательский институт психотехнологий, где разрабатывались методики скрытого воздействия на противника. В 1977 году в США был создан Центр перспективных физических исследований, разрабатывающий программы управляемого человека.

Как видим, ведущиеся во всем мире работы по психотронному оружию носят хорошо осмысленный и активный характер. Его главными преимуществами являются:

1) категория нелетального типа оружия;

2) дистанционное и целенаправленное воздействие на противника;

3) внезапность, скрытность и регулируемость воздействия;

4) подавляющее превосходство как над своими противниками, так и политическими партнерами;

5) не разрушает материальные объекты и среду обитания.

В функции психотронного оружия входит манипуляции индивидуальным и общественным сознанием, управление поведением людей и изменение мировоззрения населения пративника. В основе его действия лежит открытие русского ученого А. Михайловского, сделанное им в середине 30-х годов двадцатого столетия. Он установил, что некоторые комбинации электромагнитных импульсов, повторяющиеся с определенной частотой влияют на участки мозга, ответственные за работу органов человека и его эмоции. В настоящее время созданы многочисленные психотронные генераторы, которые в зависимости от генерируемого сигнала, оказывают желаемое воздействие. Поэтому появление средств и методов глобального психофизического воздействия на людей не является утопией и чьей-то фантазией. Это приведет к тотальной войне за интеллектуальный потенциал населения в разных странах мира.

# ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები

## მოგება და მისი განაწილების მასტიმულირებელი ფუნქცია

*ედუარდ კავთიძე,*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

მესაკუთრეთა შრომაზე დამყარებულ ორგანიზაციებში მეწარმეობრივი სტიმულები, რომლებიც ბაზრიდან და სახელმწიფოდან მომდინარეობენ, ემთხვევა შრომის სტიმულებს. როგორც ცნობილია, ერთმანეთისგან განსხვავებული ფუნქციების შემსრულებლებს წარმოადგენენ არა მხოლოდ მესაკუთრე და მუშაკი, არამედ მესაკუთრე და მეწარმე, მაგრამ მეწარმეც შრომის გარკვეულ სახეობას ხარჯავს; იგი წარმოების ორგანიზატორია, ყველაზე მეტადაა დაინტერესებული წარმოების ეფექტიანი ორგანიზაციით, რადგან რისკს ეწევა და მოგება მას ეკუთვნის, ვინაიდან იმ საწარმოებში (ორგანიზაციებში), სადაც მესაკუთრეები თვითონ არიან მუშაკები, ისინი, ამავე დროს, თვითონ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობასაც. ჩვენ უნდა განვიხილოთ არა მესაკუთრეთა საქმიანობის და შრომის სტიმულების, არამედ სამეწარმეო და შრომის სტიმულების დამთხვევის შემთხვევა.

ასეთ შემთხვევას ხშირად ადგილი აქვს მცირე ბიზნესის სფეროში, თუმცა სხვა ორგანიზაციებიც, მაგალითად, კოოპერაციული ორგანიზაციები, შეიძლება ემყარებოდნენ მესაკუთრეთა საკუთარ შრომას.

ამრიგად, შრომის სტიმულების სისტემის ანალიზი არ შეიძლება ჩაითვალოს სრულად მეწარმეობრივი სტიმულების განხილვის გარეშე, რაც განაწილების მთელი სისტემის ანალიზთან მიმართებაში უნდა განხორციელდეს.

ნათელია, რომ მეწარმეობრივი საქმიანობის მთავარ საბაზრო სტიმულს წარმოადგენს მოგება.

საწარმოს მოგება ეწოდება ამ საწარმოს მიერ გაწეულ ხარჯებსა (რომელიც დაკავშირებულია წარმოებასთან ან მომსახურებასთან) და შემოსავლებს შორის სხვაობას, რომელსაც იღებს საწარმო თავისი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად. ხელფასი წარმოადგენს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის წინასწარ შეთანხმებულ შრომის ანაზღაურებას, ხოლო საწარმოს მოგება არის მეწარმის მფლობელობაში არსებული შემოსავალი.

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში არც ერთ ტერმინს არ გამოუწვევია იმდენი კამათი და აზრთა სხვადასხვაობა, რამდენიც გამოიწვია მოგების განსაზღვრამ. მისი განმარტება ექვემდებარებოდა კრიტიკას და იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ამიტომ, საჭიროა განვსაზღვროთ პრობლემის ზოგიერთი ასპექტი და მხოლოდ შემდეგ გადავიდეთ ძირითადი საკითხების განხილვაზე. ჩვენ შევეცდებით ერთად შევკრიბოთ ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც ერთობლიობაში ხელს უწყობს ამ საკითხის ახსნას.

მოგების განსაზღვრისას ხშირად ამბობენ, რომ ის არის მეწარმის შემოსავალი, მაგრამ ასეთი განმარტება წარმოშობს არც თუ იოლ პრობლემებს, მათ შორის იმას, ვინ შეიძლება იმსახურებდეს მეწარმის სახელს.

დიდი ხნის მანძილზე არ ხდებოდა მოგების და კაპიტალზე დარიცხული პროცენტის განსხვავება. ა. სმიტი, დ. რიკარდო, ჯ. ს. მილი და სხვა მკვლევარები მეწარმეს უთანაბრებდნენ კაპიტალისტს, რაც აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ მათ ეპოქაში ფირმის მიერ გამოყენებული კაპიტალის უმეტესობა (თუ არა მთელი კაპიტალი) ეკუთვნოდა მეწარმეს.

პირველად ამ საკითხის ახსნა სცადეს ჟ. ბ. სეიმ და გერმანმა. თანამედროვე ანალიტიკოსები კაპიტალის (საკუთრების) პროცენტს ანსხვავებენ მოგებისაგან. უფრო მეტიც, ხდება განსხვავება ხელმძღვანელის ხელფასსა და მოგებას შორის, სადაც გათვალისწინებულია მეწარმის მომსახურების „მიზანმიმართულობის ფასი“. ამასთან, ერთმანეთისაგან განსხვავდება მთლიანი მოგება და ეკონომიკური მოგება. ეკონომიკური მოგება მიიღება მთლიანი მოგებიდან იმ თანხისდაქვითვის შედეგად, რომელსაც მეწარმე – ფირმის ხელმძღვანელი მიიღებდა ჯამაგირის სახით სხვა კომპანიაში მუშაობის შედეგად, ხოლო თუ მას ფირმაში თავისი კაპიტალი აქვს გამოყენებული, მაშინ აგრეთვე – თანხისა, რომელსაც ის მიიღებდა ამ კაპიტალის სესხად გაცემის შემთხვევაში ან თანხისა, რომელსაც ის მიიღებდა ფიზიკურ კაპიტალზე იჯარის საფასურის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ელემენტებისა და წმინდა მოგების გაყოფა პრაქტიკულად შეუძლებელია; მას არ გააჩნია გარკვეული საზღვარი მეწარმის თვალთახედვით. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ასეთი გაყოფის ეკონომიკური არსი. მეწარმეს შეუძლია მიიღოს შრომის ანაზღაურება, როგორც ხელმძღვანელმა, მაგრამ გრძელვადიანი პერიოდი-

სათვის ის წარმოადგენს მისი შემოსავლის არცთუ მაღალ მაჩვენებელს იმასთან შედარებით, რაც შეიძლება მიეღო იმავე საწარმოს დაქირავებულ მუშას; ამ ზღვარზე ნაკლები ხელფასის გადახდის პირობებში მეწარმე იძულებული იქნება შეწყვიტოს თავისი საქმიანობა და მიიღოს მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი წინადადება დაქირავებული შრომითი საქმიანობის დაწყების შესახებ. ეს ზღვარი მხოლოდ თეორიულად დგინდება იმ უპირატესობის გათვალისწინებით, რასაც მეწარმე ახორციელებს თავისი საწარმოს კონკურენტუნარიანობის განხორციელების შენარჩუნებით. არსებობს ცნება „გამოსასვლელი ხელფასი“, რომლის დროსაც მეწარმე წარმოგვიდგება როგორც მოსამსახურე და ასევე, არსებობს ცნება „შესასვლელი ხელფასი“, როცა მოსამსახურეები წარმოგვიდგებიან როგორც მეწარმეები.

განხილული საკითხის ასეთი ანალიზი გაკრიტიკებულ იქნა ა. მარშალის მიერ თავის ნაშრომში „მოგების ახალი თეორიები“. ის თვლიდა, რომ მეწარმეები, რომლებმაც იციან თავისი „ფასი“, მასში არ ანგარიშობენ მმართველობითი შრომის ხელფასს, კაპიტალზე პროცენტს და ა.შ. ისინი თავიანთ თავს აიგივებენ საწარმოსთან და მოგებად თვლიან იმას, რაც რჩებათ მუშაკთა ხელფასის გადახდის შემდეგ. „წმინდა მოგება, მმართველის ხელფასი, პროცენტი კაპიტალზე, რომელიც განკუთვნილია მეწარმისათვის, არ შეესაბამება რეალობას. ეს არის იმ ეკონომისტების მონაგონი, რომლებიც შეყუჟულნი არიან თავიანთ სპილოს ძვლის სასახლეებში“,– თვლიდა მარშალი.

საეჭვოა დავეთანხმოთ ასეთ მოსაზრებას. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მეწარმეთა მცირე ნაწილი უარყოფს თავიანთ ანგარიშზე შეიტანონ საკუთრების (კაპიტალის) პროცენტი, რომელიც მათ დააბანდეს სამეწარმეო საქმიანობაში; მათი დიდი ნაწილი აკეთებს იმას, რომ მათ დაუწესდეთ დირექტორის „ჯამაგირი“ და თავიანთ მოგებას ადარებენ იმ შემოსავლებს, რომელიც მათ შეეძლოთ მიეღოთ სხვა საქმიანობით.

ამერიკელმა ეკონომისტმა პ.ლ. ბერნსტეინმა, რომელიც მუშაობდა მცირე მეწარმეების დაფინანსების პროგრამებზე, თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით საზოგადოებას შესთავაზა საკმაოდ საინტერესო მოსაზრება: მცირე მეწარმე მტკივნეულად აღიქვამს იმ მტკიცებულებას, რომ მის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება წარმოადგენს ხელფასის, პროცენტის, რენტისა და წმინდა (ეკონომიკური) მოგების ნარევს. უმრავლეს შემთხვევებში სირთულეები, რომლის გადალახვაც უხდება მეწარმეს, უბიძგებს მას მიზანდასახულობის ფასის გაანგარიშებისაკენ, რათა წარმატებით გააგრძელოს თავისი საქმიანობა.

იმ შემთხვევაში, როცა მეწარმე ეწევა მცირე საქმიანობას, პრაქტიკა აყენებს მიზანდასახულობის ფასის გაანგარიშების აუცილებლობას. მსხვილი წარმოების პირობებში ხდება მისი იგნორირება, რადგანაც მოგება კარგავს პერსონალური სიდიდისათვის დამახასიათებელ თვისებებს და გადადის ფირმის განკარგულებაში. აქვე წარმოიქმნება სიძნელეები მოგების განსაზღვრისას, როგორც „კლასობრივი შემოსავლისა“, რადგანაც თანამედროვე პირობებში არაფერი არ არის იმაზე ძნელი, ვიდრე მეწარმეთა „კლასის“ დახასიათება დღევანდელ საზოგადოებაში.

XIX საუკუნეში მეწარმეს უწოდებდნენ იმ პიროვნებას, ვინც იყო რაიმე საწარმოს მფლობელი. ეს კრიტერიუმი, რომელიც თავდაპირველად იყო მიღებული ინდივიდუალური საწარმოსათვის, მოგვიანებით გავრცელდა სხვა საწარმოებზეც, სადაც აქციონერები ითვლებოდნენ მეწარმეებად. ისინიმონაწილეობას იღებდნენ საწარმოს ეკონომიკური მოღვაწეობის პერიპეტიებში, რაც აისახებოდა მათი დივიდენდების მოცულობაზე მოცემულ საწარმოში.

საწარმოო პროცესისა და წარმოების განვითარებამ გამოიწვია საწარმოს მფლობელების (მეწარმეების) გაყოფა ორ ჯგუფად: ერთი მხრივ – აქციონერთა პასიური მასა, რომლებიც კმაყოფილდებიან მხოლოდ კაპიტალის შეტანითა და დივიდენდების მიღებით, და მეორე მხრივ, – წარმოების რეალური მმართველები, რომლებიც ხელმძღვანელობენ წარმოების პროცესს, მოგებისადა ფირმის მომავალი პერსპექტივისგათვალისწინებით.

მმართველობითი ჯგუფის შრომის ანაზღაურება (ხელფასი) იანგარიშება არა მოგების გათვალისწინებით, არამედ ისინი ღებულობენ ჯამაგირს, დანამატს და სხვადასხვა პრივილეგიებს. მათი შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია მათზე დაკისრებული ფუნქციების წარმატებით შესრულებაზე, რომელიც დაკავშირებულია წარმოების პროცესის მართვასთან. ისინი დაინტერესებულნი არიან იმით, რომ ფირმამ გრძელვადიანი პერიოდის გათვალისწინებით მიიღოს მაქსიმალური მოგება არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქედან გამომდინარეობს მათი რეპუტაცია და ხელფასი, არამედ იმიტომ, რომ ისინი განიცდიან ლტოლვას ძალაუფლებისაკენ.

ზემოთმოყვანილი პრობლემების განხილვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ მოგება არის შემოსავალის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც არ შეიძლება გაიგივებული იყოს რომელიმე სხვა ფორმასთან (ხელფასი, რენტა, პროცენტი) და რომლის სტრუქტურაც თანამედროვე ეკონომიკაში საკმაოდ რთულია. მან სწორედ ამიტომაც გამოიწვია კამათი თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში. ჩვენი აზრით,რთულია ტერმინის „მეწარმე“ შესაბამისი სუბიექტის განსაზღვრა. ეს ტერმინი აბსტრაქტული ტერმინია, ხოლო პრაქტიკაში ძნელია გამოყო ინდივიდი, რომელიც მეწარმეა, მაგრამ არ არის კაპიტალისმესაკუთრე ან/და მენეჯერი.

თავდაპირველად მოგებას აიგივებდნენ ხელფასთან, რომელსაც მეწარმე ღებულობდა თავისი შრომის საფასურად. ფონ უოლკერი თავის ნაშრომში „იზოლირებული სახელმწიფო“ აღწერდა უძილო ღამეებს, „როცა მეწარმე ადგენდა ახალ გეგმებს, ამუშავებდა ყველა შესაძლო ვარიანტს, მაშინ, როცა მისი მოადგილე ყოველდღიური დავალების შეს-

რულების შემდეგ იძინებდა წმინდანის ძილით“.

საწარმოს მოგების სიდიდე, ბევრადაა დამოკიდებული მეწარმის პირად თვისებებზე, მის განსაკუთრებულ ნიჭზე. სხვადასხვა საწარმოების მოგების სიდიდეებს შორის განსხვავება აიხსნება მათი ინდივიდუალური თავისებურებების მრავალფეროვნებით: ერთნი მოგებას ღებულობენ იმ ხელფასის ტოლი სიდიდით, რომელსაც ისინი მიიღებდნენ მმართველობითი შრომის გამოყენების შედეგად; მეორენი ღებულობენ გაცილებით მეტს ორგანიზაციული ნიჭისა და ბაზრის კონიუნქტურის კარგად ათვისების წყალობით, ხოლო მესამენი „ყველაფერს, რასაც შეეხებიან, ოქროდ გარდაქმნიან“.

ი. შუმპეტერს თავის ცნობილ წიგნში „ეკონომიკური თეორიის ევოლუცია“, მოცემული აქვს მეწარმე-ნოვატორის სახე, სადაც „მოგება წარმოადგენს ახალი საწარმოო ფაქტორების შეერთებისა და განხორციელების ფაქტორს“. მეწარმე-ნოვატორების გვერდით არსებობენ იმიტატორებიც, რომლებიც ისაკუთრებენ მეწარმის მოგებისგარკვეულ წილს. ამიტომაც, მეწარმეები იძულებულნი ხდებიან სისტემატურად დანერგონ სიახლეები თავიანთ წარმოებაში, რათა უზრუნველყონ წარმოებისმაღალი რენტაბელურობა.

ნებისმიერ წარმოებას თან ახლავს რისკის ფაქტორი. საწარმოს მოგება – ეს არის მეწარმის მიერ გაწეული რისკის კომპენსაცია, რომელსაც თან ახლავს გაურკვეველი პერსპექტივა. მეწარმე არასოდეს არ არის დარწმუნებული თავისი საქმიანობის წარმატებაში; მან არ იცის, მოცემული კონკრეტული საქმე მას მოგებას მოუტანს თუ ზარალს განაცდევინებს. სხვა სიტყვებით, მეწარმე თანაარსებობს გაურკვევლობასთან.

და მართლაც, მეწარმე ცხოვრობს სისტემატურად ცვალებად სამყაროში: ის ეჯახება ისეთ მოვლენებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია მკვეთრი ცვლილებები. ამგვარად, მეწარმე დაკავშირებულია რისკის ფაქტორთან, რომელიც ღებულობს სხვადასხვა ფორმებს.

არსებობს რისკის ისეთი ფორმები, რომლებიც შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნენ მეწარმის მიერ და რომლებიც იფარებიან სადაზღვევო შენატანებით (ხანძარი, სეტყვა). ასეთი რისკის ალბათობის გაზომვა სავსებით შესაძლებელია და იგი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მეწარმის მიერ. ხანძრის საშიშროებასთან დაკავშირებული სადაზღვევო შენატანი მეწარმისათვის წარმოადგენს საწარმოო ხარჯებს, ისევე როგორც ხელფასი ან ნედლეულის შესაძენად დახარჯული თანხები.

რისკის სხვა სახეობები გაუთვალისწინებელთა კატეგორიას განეკუთვნება და მათი დაზღვევა მეწარმის მიერ გამორიცხულია. უნდა გაიზარდოს თუ შემცირდეს წარმოება? საქონელზე ფასებმა უნდა მოიმატონ თუ დაიკლონ? ეს არის ის საკითხები, რომლებიც მეწარმემ თავად უნდა გადაწყვიტოს და პასუხისმგებლობაც თავის თავზე აიღოს. ამგვარად, მოგება წარმოადგენს რისკის შედეგს. მოგება დაუკავშირეს მეწარმის სამ ფუნქციას:

1. ლიდერობის ფუნქცია, რომელიც ნოვატორის ფუნქციის ანალოგიაა;
2. ცვლილებების შეგუების ფუნქცია;
3. რისკის თავის თავზე აღებისა და გაუთვალისწინებელი სიმძიმისფუნქცია.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ამ ფუნქციების განაწილება ხშირად ხდება მესაკუთრეთა და მენეჯერთა შორის, რომლებიც ამ განაწილების შედეგად ასრულებენ მეწარმეობრივ ფუნქციებს.

თანამედროვე ეკონომიკაში საწარმოს მოგება წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმით: ინდივიდუალური ფირმის მოგება – ეს არის მეწარმის მოგება, რომელმაც თავისიშესაძლებლობები შესწირა თავის საწარმოს და ამისთვის მან დახარჯა საკუთარი კაპიტალი და შრომა; მსხვილი ფირმის მოგება – ეს არის ორგანიზაციისმოგება, რომელიც დაშორდა თავის აქციონერებს და მისი ფუნქციონირება დამოკიდებულია იმ ხალხზე, რომლებიც იურიდიულად დაქირავებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან, ხოლო ეკონომიკურად – საწარმოს „მფლობელებად“ წარმოგვიდგებიან.

რა იურიდიული და ეკონომიკური სახითაც არ უნდა წარმოგვიდგებოდეს მეწარმე, მოგება მნიშვნელოვნად დაკავშირებულია წარმატებულ საქმიანობასთან. იგი კი, თავის მხრივ, ჩართულია საბაზრო ეკონომიკის ერთიან მექანიზმში. ეს მოგება წარმოიქმნება მეწარმისა და საბაზრო გარემო პირობების ურთიერთმოქმედებიდან და წარმოადგენს მეწარმის მმართველობითი უნარის წინასწარ განჭვრეტისა და საქმიანობის წარმატებისნიშანს.

მოგება არ წარმოადგენს მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობისათვის გაწეულ გასამრჯელოს და მეწარმეობის სტიმულს; ის ასრულებს ზოგ სხვა მნიშვნელოვან როლს, რომელიც დაკავშირებულია შემოქმედებითი საქმიანობის სტიმულირებასთან. ის მეწარმეები, რომლებიც ღებულობენ მოგებას, თავიანთ დანაზოგებს მიმართავენ წარმოების შემდგომი სრულყოფა-განვითარებისაკენ. ინდივიდუალური მეწარმეების მოგება, აქციონერების მოგება, გაუნაწილებელი მოგება - მიმართულია საწარმოო პროცესის განახლებისა და გაუმჯობესებისაკენ, ასევე ეკონომიკის საწარმოო კაპიტალის ზრდისა და საინოვაციო ხარჯების დაფარვისაკენ.

სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობისა და კაპიტალის ფორმირების მნიშვნელოვანი წყაროს გარდა, მოგება ასრულებს ორმაგ ფუნქციას, რომელიც აუცილებელია ეკონომიკის ზრდისათვის. მისი სიდიდეები იცვლება რიგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. მომგებიანი საქმიანობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს როგორც მაღალი, ისე დაბალი ეფექტიანობით. ამის გათვალისწინებით შეიძლება განვასხვავოთ იმ მოგების ხარისხი, რომელიც დაკავშირებულია შემოქმედებით სიახლეებთან, იმ მოგებისაგან, რომელიც ხშირად დაკავშირებულია იმიტაციასთან. ასევე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ

არსებობს დინამიკურად მომუშავე საწარმოთა განსაკუთრებული მოგება და რუტინული საწარმოების „ნორმალური მოგება“;

2. მოგება შეიძლება განიცდიდეს გარკვეულ ვარირებას, რომელიც დაკავშირებულია საქმიანი ციკლის ფაზასთან: მოგების ნორმა იზრდება კონიუნქტურის რყევის შედეგად, რომელზეც ზემოქმედებას ახდენენ სხვადასხვა ელემენტები;

3. მოგების ნორმები დამოკიდებულია ეკონომიკურ სტრუქტურაზე, უფრო ზუსტად, ამ სტრუქტურაში არსებულ ბაზრის ფორმებზე: მონოპოლისტური მოგება, ოლიგოპოლისტური მოგება, სავაჭრო მოგება და სხვ. გამომდინარეობენ ან ბაზრის ამ ფორმების სპეციფიკური ხასიათიდან, ან თვითონ მეწარმეთა საქმიანობის სფეროებიდან, რომელთა შორის მომგებიანობის მნიშვნელოვანი განსხვავებებია;

4. და ბოლოს, მოგების ნორმები დაკავშირებულია სოციალური სტრუქტურების არსებობასთან; ამ სფეროში განმსაზღვრელია სხვადახსვა ჯგუფების და სახელმწიფოს საქმიანობა.

სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფები, რომლებიც ზეწოლას ახდენენ სახელმწიფოზე, ამის მეშვეობით ახდენენ გავლენას მოგების ოდენობაზე. სუბსიდიებით, დახმარებით, საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკის გატარებით, სახელმწიფოს შეუძლია არა მარტო გაზარდოს მოგების სიდიდე, არამედ საშუალება მისცეს ფირმებს (რომლებსაც ემუქრებათ გაქრობის საშიშროება ძლიერი კონკურენციის გამო), გაიხანგრძლივონ არსებობა და გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა. შეიძლება, მოხდეს ისეც, რომ გარკვეული მიზნების მიმდევარმა სახელმწიფომ თავისი არასწორი პოლიტიკით შეზღუდოს მომგებიანობა, რასაც შეუძლია ეკონომიკის ზრდის შეწყვეტა.

მოგების განაწილება თანამედროვე პირობებში წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს შიდა პრობლემას; მას ასევე აქვს სოციალური და პოლიტიკური ასპექტები.

უპირველეს ყოვლისა, მოგების განაწილება საწარმოს შიგნით გამომდინარეობს ამ საწარმოს ფორმისა და სტრუქტურისაგან: თუ საწარმოს აქვს ინდივიდუალური ფირმის სახე, მაშინ საკითხი მოგების შესახებ გარკვეულია – მოგება მთლიანად რჩება საწარმოს მფლობელის განკარგულებაში; სხვა შემთხვევაში მოგების განაწილებას აქვს რთული ხასიათი, რადგანაც ის გამომდინარეობს ფირმის მენეჯერთა კორპუსსა და აქციონერებს შორის არსებული ძალთა თანაფარდობიდან. ხშირ შემთხვევაში, აქციონერებს აქვთ ობლიგაციების მფლობელების ფსიქოლოგია: ისინი ღელავენ თავიანთი კაპიტალის უსაფრთხოების გამო; შემდეგ მათი ფიქრი მიმართულია აქციების შემოსავლიანობაზე, რომელიც განისაზღვრება პროცენტის საბაზრო განაკვეთით და დივიდენდის განაკვეთით. აქციების ფასი, ამასთან ერთად, განისაზღვრება ფირმის რეპუტაციით და პერსპექტივით, რომლებიც მენეჯერთა კორპუსის კურსზე ბევრად არის დამოკიდებული.

ფირმის ხელმძღვანელობა უფრო მეტს ფიქრობს თვითონ ფირმაზე, ვიდრე მის აქციონერებზე. პ. ბერნსტეინი ამბობდა: „ფირმას აქვს საკუთარი ცხოვრება და საკუთარი ფასეულობები და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი ინტერესი, რომელსაც ის ემსახურება“. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, მოგება ნაწილდება ფირმის ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც ამას საჭიროდ ჩათვლიან ფირმის ხელმძღვანელები: რეზერვის შექმნა; ახალი ინვესტიციები, რომლებიც მიმართულია წარმოების გაფაროთებისაკენ; ფირმის პრესტიჟის შენარჩუნებისათვის გაწეული ხარჯების გაზრდა და სხვ.

შეღავათები, რომლებიც შემოსავლების განაწილების დროს მიეცემა ფირმის მომსახურე პერსონალს, ასევე პასუხობს მის ინტერესებს.

და ბოლოს, ხდება დივიდენდების გადანაწილება „დივიდენდების პოლიტიკის“ გატარებით.

ყოველივე ეს უკვე მოგების განაწილების ტრადიციულ, უფრო მეტიც, გაზვიადებით შეიძლება ითქვას „არქაულ“ სქემას წარმოადგენს. ამასთან ერთად, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ დღეს მოგების განაწილება წარმოშობს საწარმოში მომუშავე თანამშრომლების მონაწილეობის საკითხს საწარმოს განვითარების საქმეში. საწარმოს მუშაობის ეფექტიანობა მჭიდრო კავშირშია იმ წილებთან, რომლებსაც ფლობენ სხვადასხვა პროფილისა და შეძლების ადამიანები ფირმის ქონებიდან. ნათელია, რომ ამ შემთხვევაში დაქირავებული მუშები ითხოვენ თავიანთი უფლებების აღიარებას აქტივების ზრდის შედეგად მიღებული საწარმოს მოგების განაწილებისას. თუმცა, ერთმნიშვნელოვანი კავშირი მათ წილებსა და აქტივებისზრდის შედეგად მიღებულ დაქირავებულ მუშათა წილს შორის არ არსებობს.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მუშა-მოსამსახურეების მონაწილეობა საწარმოს განვითარებაში ხდება ორი გზით: 1. აქციების მიყიდვის გზით, რომელიც ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს და 2. მოგების განაწილების გზით, რომელიც ატარებდა როგორც ფულად ხასიათს, ასევე ვადაგადაცილებული ვექსილების ფორმას. აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამები სარგებლობენ სახელმწიფო ხელისუფლების მხარდაჭერით და მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით. ეს პროგრამები ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთის ქვეყნებში, რადგანაც ისინი გამოიყენება ყოველ მეოთხე წარმოებაში, სადაც მომუშავეთა რიცხვი აღემატება 50 კაცს. მათი მიზანია შრომითი ეფექტიანობის ამაღლება, დასაქმების სტაბილურობის გამყარება და საწარმოს შიგნით მეგობრული ატმოსფეროს შექმნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნაკარნახევია პრაქტიკული მოტივით და არა იდეოლოგიური მოსაზრებებით.

ბოლოს, რეზიუმეს სახით, ავღნიშნავთ, რომ საწარმოს მოგებაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი. შეიძლება თუ არა არსებობდეს მოგების ერთიანი თეორია? ჩვენი აზრით, საკითხი დასმულია არასწორად. ინსტიტუციონალური თვალთახედვით, მოგება წარმოიქმნება სხვადასხვა ფორმებით; ხანდახან მათ აქვთ განსაკუთრებით რთული ფორმის სახე,

რომელიც განპირობებულია სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური პირობებით. მთავარი არის ის, რომ ეს ინსტიტუტი ასრულებს ფუნდამენტალურ ეკონომიკურ ფუნქციას პროგრესირებადი ეკონომიკის განვითარების საქმეში. მოგებას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ის არის სტიმულირების საშუალება ეკონომიკის ეფექტიანობისა და განვითარების, შრომის ეფექტიანობის საქმეში.

### გამოყენებული ლიტერატურა


1.პოლ ჰეინე, ეკონომიკური აზროვნება, ტომი 1, თბილისი 2009

2. .პოლ ჰეინე, ეკონომიკური აზროვნება, ტომი 2, თბილისი 2009.

3.А. Маршал л - „Принципы политической экономии“, М., 1984 г., стр. 128.

4. П. Бернстейн - „Финансирование предприятий“, М., 1988 г., стр. 59.

5. Уолкер Ф. – „Предпринимательство и доходы“, М., 1994, с тр. 78.

6 .Бар Р. – „Политическая экономия“, т. 2, М., 1995, стр. 191.



**SUMMARY**

*E. kavtidze*

The difference between the expenses and the incomes made by this industry, which it takes as a result of realization of its product is called industry's profit. Salary is the wage agreed between the employer and the employee, but industry profit is the income existing in the enterpriser's ownership.

While defining the profit they say that it is enterpriser's income, but such definition arisesdifficult problems, including who might deserve enterpriser's name.

In the modern economy enterprise income is represented by different forms: profit of an individual firm – this is the enterpriser's profit which dedicated its ability to the enterprise and has spent its own capital and labor; wide firm profit – is the organization profit, which has left its shareholders and the function of which depends on the people, which belongs to the employee category, but economically – they are represented as the enterprise ''owners.''

# მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობის რეგულირება სტანდარტული პარამეტრების ოპტიმიზაციით

*მაია გრძელიძე,*
*აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი*
*მერაბ შალამბერიძე,*
*აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი*

ერის სრულფასოვანი განვითარების მაჩვენებელი ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობაა. 21-ე საუკუნისათვის დამახასიათებელია ადამიანის გარემომცველი გარემოს შემდგომი ჰუმანიზაციის მიმართულება და შესაბამისად მასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის ნორმალიზება, რასაც პირველ რიგში პირადი მოხმარების საგნების მოხერხებულობა განაპირობებს. შესაბამისად, პირადი მოხმარების საგნების სტანდარტიზაცია მნიშვნელოვანი საკითხია. მის სწორად გადაჭრაზე დამოკიდებულია მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ასეთ საგნებს შორის ფეხსაცმელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან მის სწორად შერჩევაზე ბევრადაა დამოკიდებული ადამიანის ყოველდღიური კომფორტი. ფეხსაცმელზე მოთხოვნილება მუდმივად არსებობს. ამიტომ მისი რეალიზაცია პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ყოველთვის იყო და არის ისეთი ფეხსაცმლის დეფიციტი, რომელიც ყოველმხრივ აკმაყოფილებს მომხმარებლის მიერ მასზე წაყენებულ მოთხოვნებს. ასე მაგალითად: მოხერხებულობა ფეხსაცმლის ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა, რომელიც გულისხმობს ტერფისა და ფეხსაცმლის ფორმისა და ზომების სწორ თანაფარდობას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს თანაფარდობა დაცულია, შესაძლებელია საწარმოს მიერ დამზადებულმა ფეხსაცმლის პარტიამ ვერ დააკმაყოფილოს ამა თუ იმ რეგიონის მოთხოვნილება, თუ დაცული არ იქნება გარკვეული ზომისა და სისრულის ფეხსაცმლის მოსახლეობის მოთხოვნილების მიხედვით პროცენტული გადანაწილება, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - დაცული არ იქნება რეგიონისათვის ფეხსაცმლის რაციონალური ზომა-სისრულითი ასორტიმენტი. რადგან შესაძლებელია მოსახლეობის ერთი ფენისათვის დამზადდეს დიდი რაოდენობით ფეხსაცმელი (ვთქვათ დიდი ზომების) და შეიქმნება უკმარისობა მეორე ფენისათვის (პატარა ზომების) ან პირიქით. ამრიგად მოხერხებული ფეხსაცმლით მოსახლეობის დაკმაყოფილების აუცილებელი პირობა არის მისი რაციონალური ზომა-სისრულითი ასორტიმენტის მიხედვით მიწოდება. ასეთი ასორტიმენტის შემუშავება კი მოითხოვს მოსახლეობის ტერფების მასიურ გაზომვა-შესწავლას.

მეცნიერული კვლევა მოზარდთა ტერფებისათვის საქართველოს მასშტაბით ჩვენს მიერ ჩატარდა სქესობრივ-ასაკობრივი კლასიფიკაციის სისტემის და რაციონალური ზომა-სისრულითი ასორტიმენტის შკალის აგების მიზნით. საქართველოს მოზარდთა ტერფების მასიური გაზომვის საფუძველზე მიღებული მონაცემების მეცნიერულად დამუშავებით შედგენილ იქნა მოზარდთა ფეხსაცმლის რაციონალური ზომა-სისრულითი ასორტიმენტი, რომლის წარმოებაში დანერგვა მეწარმეს შესაძლებლობას მისცემს დააკმაყოფილოს მოზარდი მოსახლეობის მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო ან პროფილაქტიკურ ფეხსაცმელზე და ამით თავის მხრივ დაიმკვიდროს ადგილი ბაზარზე, როგორც კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელმა. ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებას, წარმოების გაფართოებას, ასორტიმენტის და ხარისხის შემდგომ გაზრდას.

ფეხსაცმლის მწარმოებელთა ძირითადი ამოცანაა, მოსახლეობა დააკამაყოფილოს ლამაზი და მოხერხებული ფეხსაცმელით. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ფეხსაცმლის რეალიზაციის გაუმჯობესებაზე გავლენას ახდენს არა მარტო მისი ვიზუალური მხარე ანუ ფასონი (სილუეტი), მოდელი (დეტალთა ფორმა და განლაგება), მასალები და ტექნოლოგია, არამედ მისი უტილიტარული თვისებებიც: ფეხსაცმლის საყრდენი პლანტარული ნაწილის რაციონალური (ტერფის შესატყვისი) ფორმა, ტერფის და ფეხსაცმლის შესაბამისი ზომების სწორი თანაფარდობა, ფეხსაცმლის სიხისტე (მომხრელი, საყრდენი, გამშლელი), მასა, ჰიგიენურობა, ტოქსოლოგიურობა, ტენშენაცვლება, ტენგამტარებლობა, თბოდამცველობა, ელექტროგამტარებლობა და სხვა. ე.წ. ფიზიკური და ჰიგიენური თვისებები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ არა მარტო ტერფის, არამედ მთელი ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებაში. მათი გაუთვალისწინებლობა არის სწორედ ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა პათოლოგიების გამომწვევი მიზეზი.

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ნორმალური ფუნქციონირება პირდაპირ კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასა და ყოველდღიურ ყოფაცხოვრებასთან. საერთოდ, მოსახლეობის და განსაკუთრებით ბავშვებისა და მოზარდების საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ფუნქციონალური დარღვევები დაკავშირებულია ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციებთან, რაც წარმოადგენს გონებრივი შრომის და საერთოდ შრომისუნარიანობის დაქვეითების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს.

ადამიანის მოძრაობის ბიო-მექანიკიდან გამომდინარე, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ფუნდამენტს ტერფი წარმოადგენს, რომლის ნორმი-

დან მცირედი გადახრაც კი იწვევს მთელი კონსტრუქციის რღვევას. მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 80%-ს აქვს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ტერფის დეფორმაციებთან და შესაბამისად მისგან გამოწვეულ პათოლოგიებთან. მოზარდი მოსახლეობის დიდ ნაწილში ტერფის ფორმისა და ზომების გადახრით შეძენილი პათოლოგიები, ქვეყნის კლიმატურ-გეოგრაფიული მდებარეობა, ცხოვრების წეს-ჩვეულებები, სოციალური მდგომარეობა და ერისათვის დამახასიათებელი ანთროპომეტრიული თავისებურებების გათვალისწინება ის წინაპირობებია, რომელიც მოზარდი მოსახლეობის აღნიშნული პრობლემის გადაჭრისათვის სპეციალისტების წინაშე აყენებს სპეციფიკური მოთხოვნების დამუშავების აუცილებლობას.

დღეისათვის საფუძვლიანად არის შესწავლილი ყველა ქართველური და კავკასიური ეთნოტერიტორიული ჯგუფის ანთროპოლოგიური თავისებურებანი, ქართველი და საერთოკავკასიური ანთროპოლოგიური ტიპების ადგილი ზოგადრასობრივ სისტემატიკაში. ეს საშუალებას გვაძლევს ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად მცხოვრები ყველა ეთნოტერიტორიული ჯგუფის ანთროპოლოგიურ თავისებურებასა და მათ გენეტიკურ ურთიერთდამოკიდებულებაზე. ცნობილია, რომ ყოველი ერი ჩამოყალიბდა სხვადასხვა რასისა და ტომის წარმომადგენლებისაგან. ხოლო ერების ცალკეული შემადგენელი ჯგუფების რასობრივი თავისებურებანი დიდხანს ინახავენ ანთროპოლოგიური მსგავსებისა თუ განსხვავების იმ ნიშნებს, რომლებიც წინ უსწრებდა ერების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. მათი (ერების) დიდი ნაწილი ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე ცხოვრობს. მართალია ანთროპოლოგიური ნიშნები ხასიათდებიან მემკვიდრეობითი სიმტკიცით, მაგრამ არ არის გამორიცხული, საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ისტორიული პროცესების (ომები და ტერიტორიული გადანაწილება) დროს სრულიად წაიშალოს ადრეულ განსხვავებათა კვალი.

ისტორიული მონაცემების საფუძველზე, რასისათვის დამახასიათებელი ნიშნების კომპლექსის მიხედვით შესაძლებელია ამა თუ იმ ჯგუფის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა სურათის აღდგენა. ანთროპოლოგიის კუთხით მომუშავე ყველა მეცნიერი დაბეჯითებით აცხადებს, რომ არსებითი განსხვავებები სხვადასხვა ერების ანთროპოლოგიურ თავისებურებებს შორის გეოგრაფიულ-კლიმატური, სოციალური და სხვა მრავალი ფაქტორის გავლენის შედეგია, რაც თავის ასახვას პოულობს ძირითად ზომით ნიშან-თვისებებში (და შესაბამისად ასახვა უნდა ჰპოვოს ზომით სტანდარტებში). მით უმეტეს, ადამიანის განვითარების ცვლილების ტენდენციასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ წლების მიხედვით კვლევის შედეგების საერთო სურათი იცვლება [2, 3, 4], რაც გამოიხატება აქსელერაციაში (დაჩქარებული) და რეტარდაციაში (შენელებული) და განსხვავებულია გეოგრაფიული ნიშნით (მთისა და ბარის) და ცხოვრების პირობების (ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის) მიხედვით [3]. აქსელერაციის პროცესი ნათლად გამოიხატება 20-25 წელიწადში, რის გამოც ტერფის ზომების საშუალო მნიშვნელობა საგრძნობლად იცვლება. აქედან გამომ-

**ცხრილი 1. აქსელერაციის ფაქტორის შეფასება 1995 და 2008 წლების მონაცემების მიხედვით.**

| ფეხსაცმლის ჯგუფი და ასაკი | ტერფის სიგრძე | | | | შემოხვევა კონათა ნაწილში | | | | სიგანე კონათა ნაწილში | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1995 წელი | | 2008 წელი | | 1995 | | 2008 | | 1995 | | 2008 | |
| | ზომების საზღვრები (მმ) | მათემატიკური მოლოდინი | ზომების საზღვრები (მმ) | მათემატიკური მოლოდინი | ზომების საზღვრები (მმ) | მათემატიკური მოლოდინი | ზომების საზღვრები (მმ) | მათემატიკური მოლოდინი | ზომების საზღვრები (მმ) | მათემატიკური მოლოდინი | ზომების საზღვრები (მმ) | მათემატიკური მოლოდინი |
| მოსწავლე 7-9 წელი | 175-240 | 208,2 | 179-246 | 212,89 | 162-225 | 192,3 | 167-235 | 201,49 | 61-88 | 74,7 | 66-95 | 81,11 |
| გოგო 10-13 წელი | 205-258 | 234,01 | 201-260 | 239,1 | 178-246 | 210 | 189-245 | 220,65 | 67-99 | 83,05 | 74-98 | 87,78 |
| ბიჭი 10-13 წელი | 206-285 | 236,7 | 210-271 | 244,15 | 179-262 | 213,77 | 202-275 | 227,67 | 73-107 | 84,89 | 80-110 | 91,40 |

დინარე, დღეისათვის საქართველოს ფეხსაცმლის საწარმოები თავის პროდუქციას აწარმოებენ უკვე მოძველებული (აქსელერაციის თვალსაზრისით), სხვა ქვეყნის (რუსეთის, რადგან დღემდე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ისევ რუსული სტანდარტები მოქმედებს) მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილი სტანდარტებით.

XIX ს-ის ბოლო მეოთხედისა და XX ს-ის დასაწყისში ბევრ ქვეყანაში იქნა აღმოჩენილი, რომ მოზარდების წონა და სიმაღლე გახდა უფრო მეტი, ვიდრე მათი მშობლებისა შესაბამის ასაკში, ხოლო სქესობრივი მომწიფების პერიოდი დადგა უფრო ადრე. ამჟამად განვითარების დაჩქარებამ მოიცვა ერთდროულად ევროპის ქვეყნები, ამერიკა და აზიისა და აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა. ეს იძლევა საფუძველს ვისაუბროთ აქსელერაციაზე, როგორც უდიდეს ტენდენციაზე, რომელიც ახასიათებს თანამედროვე ადამიანის განვითარებას. განვითარების აჩქარება მიმდინარეობს მუდმივად, მცირე ვარდნებით. მსოფლიო ომის პერიოდში და გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება უფრო ინტესიური. ზრდასრული ადამიანის საშუალო სიმაღლე თითოეულ ათწლეულში იმატებს დაახლოებით 0,7-1,2 სმ-ით, ხოლო წონა -1,5-2,5 კგ-ით.

აქსელერაციის საკითხის საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობის შესამოწმებლად მოვახდინეთ მოზარდების პლანტოგრამების დამუშავების შედეგების შედარება ჩვენს მიერ 1995 და 2008 წლებში ჩატარებული ზომითი დიაგნოსტიკის შედეგად მიღებულ ძირითად სტატისტიკურ პარამეტრებთან. შედეგები მოყვანილია ცხრილში 1. და წლების მიხედვით ნამეტები ნაჩვენებია დიაგრამაზე- ნახ. 1.




ნახ. 1. ტერფის სიგრძის დინამიკა წლების და ჯგუფების მიხედვით.

როგორც ცხრილიდან ჩანს და მოსალოდნელიც იყო ტერფის ძირითადი ზომები გარკვეული სიდიდით მეტია საწყის მონაცემებთან შედარებით (4-დან 8 მმ-მდე, რაც შესაბამისად ფეხსაცმლის 1-2 ნომერს შეესაბამება), ანუ ადგილი აქვს აქსელერაციის პროცესს. წლების მიხედვით ნამეტები კარგად ჩანს დიაგრამიდან — ნახ. 1.

ფეხსაცმლის მრეწველობაში ერთ-ერთი ძირეული სტანდარტი არის 3927-88 - «საფეხსაცმელე კალაპოტები» [5[ და 11373-88- «ფეხსაცმელი, ზომები» [6]. აღნიშნული სტანდარტების ვადები ამოიწურა 1995 წელს. სტანდარტში მითითებულია მისი გადამოწმების პერიოდულობა 5 წელიწადი [6]. აქსელერაციასთან დაკავშირებით საჭიროა გადაიხედოს რეგიონალური ნორმატივები, რომლებითაც ჩვენ ვსარგებლობთ ფიზიკური განვითარების შეფასების დროს, რადგან მთელ ცივილიზირებულ მსოფლიოში მიმდინარე აქსელერაციის პროცესი თავის გავლენას ახდენს სასტანდარტო მონაცემებზე. ±2,5 მმ-ით გრძივი ზომები და ±3მმ შემოხვევითი ზომების ცვლილება იწვევს სასტანდარტო ზომითი შკალების შეუსაბამობას ასაკობრივი ჯგუფის რეგლამენტირებულ სტანდარტთან. ამდენად საქართველოს მოზარდი მოსახლეობისათვის აუცილებელია ახალი სტანდარტის შემუშავება.

ასაკობრივი ჯგუფების ზომითი შკალების შეუსაბამობას ზომების ფაქტიურ განაწილებასთან მოსახლეობის ერთობლიობაში, ერთის მხრივ მივყავართ დიდი ზომების ფეხსაცმლით საჭირო რაოდენობის ასაკობრივი ჯგუფების დაუკმაყოფილებლობასთან, მეორეს მხრივ - ნაკლებმოთხოვნადი, მცირე ზომის ფეხსაცმლის უმისამართო გამოშვებამდე. შედარებით დიდ საშიშროებას ბავშვთა ტერფების ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის მოძველებული სტანდარტების გამოყენების დროს წარმოადგენს ის გარემოება, რომ განსაზღვრული ასაკის ბავშვებისათვის იძენენ დიდი ზომის ფეხსაცმელს, რომელიც შეესაბამება ტერფის სიგრძეს, მაგრამ ფეხსაცმლის შიგა ფორმის აგებულებისა და პარამეტრების მიხედვით არ შეესაბამება ტერფის მორფოლოგიურ განვითარებას და განკუთვნილია მომდევნო ასაკობრივი ჯგუფისათვის.

ზემოთ განხილული საკითხები ადასტურებენ სტანდარტების - 3927-88 «საფეხსაცმელე კალაპოტები. საერთო ტექნიკური პირობები» და 11378-88 «ფეხსაცმელი, ზომები» - გადახედვის აუცილებლობას საფეხსაცმელე კალაპოტების აგებისათვის ძირითადი პარამეტრების დამუშავების მიზნით, რომლებიც უზრუნველყოფენ ფეხსაცმლის სრულ მოხერხებულობას თითოეულ სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში.

რაციონალური ზომა-სისრულითი ასორტიმენტის გაანგანგარიშება საჭიროა მოხერხებული ფეხსაცმლის დამზადების აუცილებლობიდან გამომდინარე. რაციონალური იქნება ისეთი ასორტიმენტი, რომლის საფუძველზე დამზადებული პროდუქცია მისაღები იქნება როგორც მოსახლეობისათვის, მაღალი პროცენტული დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ასევე წარმოებისათვის მისაღები-რეალიზაციის თვალსაზრისით და დასამზადებლად მოსახერხებელი, ე.ი. ტექნოლოგიურად ხელმისაწვდომი.

ზომა-სისრულითი ასორტიმენტით განისაზღვრე-

ბა დასამზადებელი ფეხსაცმლის ზომებით და სისრულეებით სერიაში მათი პროცენტული რაოდენობის განაწილება. დღემდე ზომა-სისრულითი ასორტიმენტის წამყვან პარამეტრს წარმოადგენს ფეხსაცმლის ზომა, რომლის განაწილება ექვემდებარება ნორმალური განაწილების კანონს. ნომრის მიხედვით ასორტიმენტის აგებისათვის საჭიროა ტერფის საშუალო სიგრძის $(\bar{L})$ და ამ ნიშან-თვისების გაბნევის საშუალო კვადრატული გადახრის $(\sigma_L)$ ცოდნა. ეს მნიშვნელობები ყველა სქესობრივ-ასაკობრივი კლასისათვის განსხვავებულია და კვლევებით დადგენილია, რომ მათი მნიშვნელობები ასევე განსხვავებულია ქვეყნების გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით. რეგიონებად დაყოფა განპირობებულია ტერფის საშუალო სიგრძის მსგავსების მიხედვით. მაგრამ ასორტიმენტის რაციონალურობაზე საუბარი შეუძლებელია მხოლოდ ფეხსაცმლის ზომის მიხედვით, რადგან ტერფის ძირითადი განივი და შემოხვევითი ანთროპომეტრიული ნიშან-თვისების გაბნევა განაწილებაში არანაკლებ საგულისხმოა, ვიდრე ტერფის სიგრძე. როდესაც საუბარია ფეხსაცმლით მოსახლეობის დაკმაყოფილებაზე, მხოლოდ ზომისა და საშუალო სისრულის მიხედვით ფეხსაცმლის დამზადების დროს შეიძლება დაკმაყოფილდეს მოსახლეობის 38%. [1]. დანარჩენი 62% რჩება მოხერხებული ფეხსაცმლით დაუკმაყოფილებელი, ტერფთან ფეხსაცმლის შემოხვევითი ზომების (ანუ სისრულის) შეუსაბამობის გამო.

მოზარდთა მშობლების გამოკითხვამ ცხადყო, რომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ არა ვიწროკვალიან, არამედ ისეთ ფეხსაცმელს, რომლის კვალის სიგანე შედარებით ფართეა და რითაც იზრდება სასიარულო ზედაპირზე დაყრდნობის ფართი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ასაკის მოზარდებისათვის (მოზარდების კვალის სიგანის თანაფარდობა ტერფის სიგრძესთან შედარებით მეტია, ვიდრე მოზრდილების).

კვალის რაციონალური სიგანის შერჩევა შესაძლებელია ანთროპომეტრიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ასორტიმენტის რიცხობრივი ანგარიშის დროს ტერფის კონათა ნაწილის სიგანის გათვალისწინებით, რომლის განაწილება ასევე ემორჩილება ნორმალური განაწილების კანონს.

როცა საუბარია ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის პრობლემებზე, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომავლის პროდუქტის, დღემდე არსებულზე უფრო მოხერხებული ფეხსაცმლის შექმნა, ფეხსაცმლის სრულყოფილი შიგა ფორმის დაგეგმარება, მრავალფაქტორული ამოცანაა. იდეალურთან მიახლოებული დაკმაყოფილების მიღწევა შესაძლებელი გახდება ზომითი შკალების აგების დროს რაც შეიძლება მეტი ფაქტორის გათვალისწინებით. საქართველოს მოზარდი მოსახლეობის რაციონალური და მოხერხებული ფეხსაცმლით დაკმაყოფილების მიზნით, რაციონალური ფეხსაცმელების შემუშავებისათვის აუცილებელი საწყისი მონაცემების მისაღებად, ჩვენს მიერ ჩატარდა საქართველოს მოზარდი მოსახლეობის ტერფების მასიური გაზომვა. არსებული მეთოდების გამოყენებით შესრულდა სტატისტიკური პარამეტრების გაანგარიშება და ძირითადი ანთროპომეტრიული ნიშან-თვისებების შედარება დღემდე მოქმედ სტანდარტებთან-კვლევის საფუძვლიანობის დასაბუთების მიზნით.

რაციონალური ფეხსაცმლის შექმნისათვის ობიექტური ინფორმაციის მიღებას უზრუნველყოფს ტერფის კვლევისადმი კომპლექსური მიდგომა. ანთროპომეტრიული კვლევის შედეგებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, როცა დაიწყო წარმოების პირობებში უცნობი მომხმარებლისათვის ფეხსაცმლის მასიური დამზადება, რაც შეუძლებელია მომავალი მომხმარებლის რეგიონის თუ ასაკობრივი ჯგუფის ტერფის აგებულებისა და ზომების შესახებ ზუსტი ინფორმაციის გარეშე. მწარმოებელმა აუცილებლად უნდა იცოდეს რა ზომების ფეხსაცმელი უნდა დაამზადოს ამა თუ იმ რეგიონისა და ასაკობრივი ჯგუფისათვის და როგორი უნდა იყოს ფეხსაცმლის ზომებისა და სისრულეების პროცენტული გადანაწილება, რათა უზრუნველყოს ისეთი ფეხსაცმლის წარმოება, რომელიც დააკმაყოფილებს მომხმარებლების უმეტეს ნაწილს და საუკეთესო შემთხვევაში ფეხსაცმლის ყველა ზომის რეალიზაცია მოხდება ერთდროულად, რაც განაპირობებს ერთის მხრივ მოსახლეობის უზრუნველყოფას მოხერხებული ფეხსაცმლით და მეორეს მხრივ საწარმოო ციკლის შემცირებას და წელიწადში ასეთი ციკლების რაოდენობის და შესაბამისად მოგების ზრდას (ტერფის განსაკუთრებული თავისებურებების მქონე მოსახლეობის მცირე ნაწილი კი იძულებულია მიმართოს ინდივიდუალურ წარმოებას). ფეხსაცმლის წარმოებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელია მოსახლეობის ტერფის ზომების განაწილებისა და მათი ტერიტორიული დიფერენციაციის ცოდნა. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისათვის ანთროპომეტრიული გაზომვები ტარდება მთელ მსოფლიოში.

ბავშვების ფეხსაცმელების ბაზრის შესწავლამ, მშობლების გამოკითხვამ და მდგომარეობის ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ პრობლემა, რომელსაც ვიკვლევთ, მეტად აქტუალური და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია. მოზარდთა მშობლების გამოკითხვა მიზნად ისახავდა მოხერხებულ (საჭიროების შემთხვევაში ორთოპედიულ) ფეხსაცმელზე მოთხოვნების ჩამოყალიბებას. გამოკითხვის და მათთან ჩატარებული საუბრების შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ბავშვებისათვის ოპტიმალური კონსტრუქციის ფეხსაცმლის შექმნის მიზნით. მოზარდთა ფეხსაცმელებზე მოთხოვნილების დამუშავებისათვის მომზადებულ კითხვარში შეტანილია ფეხსაცმელთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ფაქტორი, რომელიც განმსაზღვრელი უნდა იყოს ფეხსაცმლის არჩევის

დროს, ან რასაც უნდა ითვალისწინებდეს მყიდველი ფეხსაცმლის შერჩევისას. ანალიზით გამოვლინდა, რომ ადგილობრივი ფეხსაცმლის ბაზრები ვერ უზრუნველყოფენ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ბუნებრივი მასალებისაგან დამზადებული ფეხსაცმელებით (ბაზარზე შემოტანილი პროდუქციის 90% ხელოვნური მასალისაგან არის დამზადებული) და რომ არსებობს დიდი განსხვავება ბავშვების ტერფების ფაქტიურ განაწილებასა და მოქმედ ზომით შკალებს შორის. ეს განსაკუთრებით ეხება მოსწავლეთა ჯგუფებს. მათ ასორტიმენტში პატარა და დიდი სისრულეების უქონლობის გამო, ისინი იძულებულნი არიან ისარგებლონ შესაბამისად ერთი საფეხურით დაბალი ან მოზრდილი მოსახლეობის ფეხსაცმლით. დაბალი კლასის მოსწავლეები (33% გოგოებისა და 40% ბიჭებისა) სარგებლობენ შესაბამისად სკოლამდელი ასაკისა და მაღალი კლასის მოსწავლეთა ფეხსაცმლით, რომელიც თავის მხრივ სარგებლობენ ქალებისა და მამაკაცების ასორტიმენტით [1] და ა.შ.

საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) მოზარდი მოსახლეობის ფეხსაცმლით, პროცენტული დაკმაყოფილების თვალსაზრისიდან გამომდინარე, დღევანდელ პრობლემად ისახება საწარმოო ასორტიმენტის აგების არსებული პრინციპის დღევანდელ პირობებში (იგულისხმება დიდი საწარმოების ფუნქციონირების შეწყვეტა და მცირე საწარმოების გავრცელება) გამოყენების საკითხიც. დღემდე არსებული სტანდარტი [5, 6] გრაფიკულად ასე გამოიყურება: ნახ.2.

როგორც ნახ. 2-დან ჩანს ტერფის ზომების განაწილება არ ემორჩილება საყოველთაოდ აღიარებულ ნორმალური განაწილების კანონს (ექსპერიმენტის შედეგები კი ყოველთვის ახლოა ნორმალური განაწილების მრუდთან) და ამასთან არ მოიცავს ჯგუფში არსებულ ყველა ზომას. აქ ძირითადად პროცენტული რაოდენობა ნაჩვენებია მხოლოდ საშუალო ზომებისათვის. განაპირა ზომების ტერფის მქონე მოსახლეობის დაკმაყოფილება ცხადია უნდა მოხდეს მეზობელი ჯგუფების ხარჯზე. ეს კი ამცირებს ფეხსაცმლით დაკმაყოფილების პროცენტს.

ზომა-სისრულითი ასორტიმენტის შკალის აგების ასეთ პრინციპს გამართლება ეძლევა დიდი წარმოებების არსებობის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ერთი და იგივე წარმოებაში მზადდებოდა ყველა ჯგუფის ფეხსაცმელი და დაცული იყო ჯგუფებს შორის პროპორციები. მაგრამ დღევანდელ პირობებში, მცირე საწარმოებისათვის, როდესაც თვითოეული საწარმო სხვებისაგან დამოუკიდებლად მუშაობს, აუცილებელი ხდება სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფისათვის სრულყოფილი ასორტიმენტი, სადაც შკალა მოიცავს ჯგუფში შემავალ ყველა შესაძლო ზომას (±2σ-ს საზღვრებში) მათი ხვედრითი წილის პროცენტული რაოდენობის გათვალისწინებით. კვლევის შედეგების წინასწარი ანალიზით ზომა-სისრულითი ასორტიმენტის შკალის აგების არსებული პრინციპის მიხედვით მოსახლეობის მოთხოვნილების საერთო დაკმაყოფილების საშუალო პროცენტი არ აღემატება 76,23%-ს.




ნახ. 2. ფეხსაცმლის ზომების არსებული შკალის გრაფიკული სახე.

კალაპოტების და შესაბამისად ფეხსაცმელების ზომითი ასორტიმენტის მიხედვით დაყოფა ასაკობრივ ჯგუფებად მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველ რიგში დაყოფის აუცილებლობა განპირობებულია სქესობრივი ფაქტორით. დღემდე მათი კლასიფიკაცია სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნის მიხედვით ხდებოდა 10 ჯგუფად [6], ცხრილი 2.

ცხრილი 2. ფეხსაცმელების სქესობრივ-ასაკობრივი კლასიფიკაციის არსებული სისტემა.

| ჯგუფის | ფეხსაცმლის ჯგუფი | ასაკი (წელი) | ტერფის საშუალო სიგრძე (მმ) |
|---|---|---|---|
| 0 | ფაჩუჩები | 0-1 | - |
| 1 | გუსარიკი | 1-დან.-2,11-მდე | 146,8 |
| 2 | მცირე ბავშვი | 3-დან-4,11-მდე | 164,7 |
| 3 | ბავშვი (სკოლამდელი) | 5-დან-6,11-მდე | 185,4 |
| 4 | მოსწავლე გოგო | 7-დან-10,11-მდე | 206 |
| 5 | გოგო | 11-დან-15,11-მდე | 236,9 |
| 6 | მოსწავლე ბიჭი | 7-დან-10,11-მდე | 209 |
| 7 | ბიჭი | 11-დან-15,11-მდე | 237,4 |
| 8 | ქალი | 16-60 წელი | 244,4 |
| 9 | მამაკაცი | 16-60 წელი | 266,6 |

აღნიშნული სახით ჯგუფებად დაყოფა მეტწილად ხდებოდა ფეხსაცმლის მოდელირების თვალსაზრისიდან გამომდინარე, ვიდრე ანთროპომეტრიული ნიშნით და მორფოლოგიური აგებულების გათვალისწინებით. ამასთან კლასიფიკაციის ეს მეთოდი ართულებდა როგორც წარმოების პროცესს, ასევე ფეხსაცმლის მოხმარებას. სტანდარტის შეცვლაში პირველ რიგში იგულისხმება ასაკობრივი ჯგუფების რაოდენობის შემცირების შესაძლებლობის შემოწმება. ჯგუფების ფორმირების საფუძველი უპირვე-

ლესად არის მოსახლეობის ასაკი, ე.ი. დროის ის მონაკვეთი, როდესაც ორგანიზმი ხასიათდება ზრდის განსაზღვრული კანონზომიერებით.

ადამიანის ტერფი ზომების ცვლილებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში განიცდის. ეს ცვლილება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ზრდის (ბავშვობის) პერიოდში. ტერფის სიგრძისა და შემოხვევითი ზომების საშუალო მნიშვნელობებს შორის გოგოებისა და ბიჭებისათვის სხვაობა ადრეული ასაკიდანვე შეინიშნება.

ტერფის ზომების ცვლილების თავისებურებებზე დაყრდნობით, მეცნიერულად დასაბუთებული სქესობრივ-ასაკობრივი კლასიფიკაციის სისტემა შემუშავდა შემდეგი ფაქტორების გაანალიზება-დასაბუთების საფუძველზე [1]:

1) ერთობლიობაში ზომების განაწილების კანონზომიერებების ანალიზი;

2) ზომითი პარამეტრების ასაკობრივი ცვლილების ინტენსივობების ანალიზი;

3) ზომითი პარამეტრების რეგრესიულ-კორელაციური დამოკიდებულების სიმჭიდროვის ანალიზი;

4) გენერალურ ერთობლიობებში ასაკობრივი კლასების გაერთიანების შესაძლებლობების კვლევა;

5) წარმოების სპეციფიკა (კერძოდ საწარმოო ასორტიმენტის მოცულობის წარმოების მიერ ათვისების შესაძლებლობის კვლევა);

6) საწარმოო სერიის დასაშვები მოცულობა და სხვა.

ზომების ცვლილება დამოკიდებულია ტერფის ზრდის ინტენსივობისაგან. 3 წლამდე ბავშვის ტერფის სიგრძე მეტი ინტენსივობით იზრდება, ვიდრე შემდეგ წლებში. 3-დან 10 წლის ჩათვლით ასაკის გოგოებისა და ბიჭებისათვის ტერფი თანაბარი ინტენსივობით იზრდება (ორივე სქესისათვის დამახასიათებელია ინტენსივობის ცვლილების თავისებურებანი, კერძოდ-7-8 წლის ასაკში ზრდის შენელება და შემდეგ ინტენსიური ზრდა).

სხვაობა ტერფის ზრდის ინტენსივობაში არსებითი ხდება 11 წლის შემდეგ. 13 წლამდე გოგოების ტერფის სიგრძის ზრდის ინტენსივობა მცირდება 1,7 მმ-მდე და 15 წლის შემდეგ თითქმის წყვეტს ზრდას. ბიჭების ტერფი კი აგრძელებს ზრდას თითქმის იგივე ინტენსივობით 15 წლამდე. 15 წლის შემდეგ კი ზრდის ინტენსივობა საგრძნობლად მცირდება. ანალოგიური სურათი გვაქვს შემოხვევითი და განივი ზომების შემთხვევაშიც [1]. ეს მომენტი მნიშვნელოვანია ასორტიმენტის ფორმირების დროს, რადგან ფეხსაცმლის მოხერხებულობას (შეგრძნების ზღვარს) განსაზღვრავს $\pm 2{,}5$ მმ. ამ მცირე დიაპაზონში ყველა ნიუანსის გათვალისწინება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ფეხსაცმელი ხდება მოუხერხებელი და ასეთი ფეხსაცმლის ტერფზე და ნერვულ სისტემაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგები ყველასათვის ცნობილია. ამ ფაქტორების კომპლექსში საფუძვლიანი შესწავლის და დამუშავების შედეგად ჩამოყალიბდა სქესობრივ-ასაკობრივი კლასიფიკაციის ახალი სისტემა ცხრილი 3-ის სახით.

**ცხრილი 3.** სქესობრივ-ასაკობრივი კლასიფიკაციის ახალი სისტემა

| ფეხსაცმლის ჯგუფi | | | ტერფის სიგრძის საზღვრები (მმ) | კონათა ნაწილში შემოხვევის საზღვრები (მმ) | კონათა ნაწილში სი-განის საზღვრები (მმ) |
|---|---|---|---|---|---|
| N | დასახელება | ასაკი (წელი) | | | |
| 1 | ფაჩუნები | 0-1 | 100-135 | | |
| 2 | მცირე ბავშვი | 2-3 | 133-175 | 137-182 | 53-72 |
| 3 | სკოლამდელი ასაკის ბავშვი | 4-6 | 146-212 | 147-199 | 56-82 |
| 4 | მოსწავლე | 7-9 | 175-240 | 162-225 | 61-88 |
| 5 | გოგო | 10-13 | 205-258 | 178-246 | 67-99 |
| 6 | ბიჭი | 10-13 | 206-285 | 179-262 | 73-107 |
| 7 | გოგო და ქალი | 14 და მეტი | 221-275 | 196-260 | 76-100 |
| 8 | ბიჭი და მამაკაცი | 14 და მეტი | 242-305 | 215-267 | 85-107 |

ახალი სისტემის მიხედვით აგებული ასორტიმენტი წარმოების კალაპოტებით რაციონალური მომარაგების საშუალებას იძლევა, რაც დადებითად მოქმედებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე და თავის მხრივ მოგების მატების რეალური პირობაა. კლასიფიკაციის ახალ სისტემაში თვითოეული ასაკობრივი ჯგუფი სრულყოფილად მოიცავს შესაბამისი ასაკების ტერფების ძირითადი ზომების სრულ ერთობლიობას. ასეთი პრინციპის საფუძველზე აგებული ფეხსაცმლის ზომა-სისრულითი ასორტიმენტი, ანუ თვითოეული სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფისათვის შედგენილი ინდივიდუალური ასორტიმენტი სრულყოფილად მოიცავს ყველა ასაკობრივ კლასს და შესაბამისად ჯგუფში ზომების მთელ ერთობლიობას. ამით იზრდება ფეხსაცმელზე მოსახლეობის დაკმაყოფილების პროცენტი. განსხვავებით არსებული სისტემისაგან, სადაც ზომების განაწილება გარდამავალ ჯგუფებში შემოსაზღვრულია მომიჯნავე ჯგუფების ზომებით (ნახ. 2.) ე.ი. ორ მეზობელ ჯგუფს (მოზარდებში) საერთო ზომა არ აქვთ. ამიტომ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ასეთი სისტემა მცირე წარმოებებისათვის მიუღებელია, პირველ რიგში საწარმოო სერიის არასრულყოფილობის გამო.

სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისათვის ტერფის სიგრძის ანთროპომეტრიული მონაცემების მიხედვით შედგენილი ვარიაციული რიგები საფუძველს იძლევა აიგოს განაწილების მრუდები- ნახ. 3




**ნახ. 3.** ტერფის სიგრძის განაწილების მრუდები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

მოზარდთა სქესობრივ-ასაკობრივი კლასიფიკაციის ახალი სისტემის მიხედვით ფეხსაცმლის ზომა-სისრულითი ასორტიმენტის შკალის ასაგებად ტერფის ძირითადი ანთროპომეტრიული ნიშან-თვისებების განაწილების კანონების და მათ შორის დამოკიდებულების ხარისხის განსაზღვრის დროს საჭიროა შერჩეულ იქნას აღნიშნულ ზომით ნიშან-თვისებებს შორის ოპტიმალური ინტერვალები ტერფის შეგრძნების ზღვარის და ფეხსაცმლით მოსახლეობის დაკმაყოფილების პროცენტიდან გამომდინარე.

საგულისხმოა, რომ სავაჭრო ქსელში მუდმივად იყო სისრულითი ასორტიმენტის დეფიციტი, რასაც მომხმარებელი ყოველთვის აღნიშნავდა. დღეისათვის ეს პრობლემა ისევ აქტუალურია. მცირე საწარმოებში ორი და სამი სისრულით ფეხსაცმლის გამოშვება მრავალ პრობლემასთანაა დაკავშირებული. წარმოებაში სამი სისრულით ფეხსაცმლის დამზადების დროს დიდი ზომის საჭრისის გამოყენება ორი დაბალი სისრულის ნამზადისათვის იწვევს მასალის გადახარჯვას, ხოლო სამი სისრულის საჭრისის გამოყენება ზრდის საჭრისების მეურნეობას, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. გამოშვებული პროდუქციის პროცენტული თანაფარდობა სისრულის მიხედვით ყოველთვის იგეგმებოდა, მაგრამ არ სრულდებოდა. ფეხსაცმელი ძირითადად მზადდებოდა და დღესაც მზადდება საშუალო სისრულით, რაც მოსახლეობის დაკმაყოფილების პროცენტს დაახლოებით 80-85%-ის ნაცვლად 35-40%-მდე ამცირებს. ამიტომ ფეხსაცმლის სისრულის საკითხი მოსახლეობისათვის აქტუალური და აუცილებლად გადასაწყვეტი პრობლემაა, არა მარტო თეორიული კუთხით, არამედ ფეხსაცმლის მწარმოებლების მიერ ფეხსაცმლის წარმოების დროს ამ საკითხის გათვალისწინება გარდა მომხმარებლის ინტერესების დაკმაყოფილებისა, წარმოების ეფექტიანობის გარანტადაც იქცევა.

ჩატარებული კვლევის მიხედვით 1 ფეხსაცმლის სერიის ერთი სისრულით დამზადების შემთხვევაში მოსახლეობის მოხერხებული ფეხსაცმლით დაკმაყოფილების პროცენტი სისრულეთა შორის 6 მმ-ნი ინტერვალის დროს 22,7 -ა, 8 მმ-ნი ინტერვალის დროს 30,1 , ხოლო 10 მმ-ნი ინტერვალის დროს კი 37,9 . სამი სისრულის შემთხვევაში ეს ციფრები შესაბამისად არის- 60,9 ; 75,4 ; 86,1 . მაქსიმალურია დაკმაყოფილება ფეხსაცმლის ხუთი სისრულით დამზადების შემთხვევაში -94,4 . ვინაიდან მოზარდი მოსახლეობისათვის $\delta$ -ს მნიშვნელობა გაცილებით დაბალია, ბუნებრივია მათი მოხერხებული ფეხსაცმლით დაკმაყოფილების პროცენტი შესაბამისად მაღალი იქნება. წარმოების ტექნოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით ოპტიმალურად არის მიჩნეული ფეხსაცმლის $ï$ სისრ სისრულით, სისრულეთა შორის 8 მმ-ნი ინტერვალით დამზადება (ცხრილი 4).

სამი ნიშან-თვისების ურთიერთგანაწილების კანონის გამოყენება ფეხსაცმლის რაციონალური ზომა-სისრულითი ასორტიმენტის აგების მიზნით ამაღლებს სიზუსტის კლასს, რადგან შედეგად იძლევა ერთი ნიშან-თვისების დანარჩენ ორზე დამოკიდებულებას. დასახული ამოცანის გადასაწყვეტად გაკეთდა სამივე წამყვანი ნიშნის ურთიერთგანაწილების შემოწმება და მათი ცხრილური ფორმით ჩაწერა, რისთვისაც გამოყენებულ იქნა ორმაგი ნორმალური განაწილების კანონი, რომელიც შედეგად იძლევა ორი ნიშან-თვისების - ზომისა და სისრულის (ანუ რომელთა ნიშანდება მოცემულია ფეხსაცმელზე) ურთიერდამოკიდებულების შეფასების საშუალებას, ხოლო ამის შემდეგ გაკეთდა მესამე ფაქტორის - კონათა ნაწილში სიგანის განაწილების შეფასება ტერფის სიგრძისა და შემოხვევის მიმართ. ასეთი გადაწყვეტის პრაქტიკული შედეგია ის, რომ წარმოებათა უმრავლესობა ჯერ-ჯერობით ვერ შეძლებს სამ წამყვან ფაქტორზე გადასვლას და მათთვის მოსახერხებლად ისევ რჩება არსებული წამყვანი ნიშნების მიხედვით შედგენილი ასორტიმენტი. ხოლო მომხმარებლის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებით დაინტერესებულ მწარმოებლებს საშუალება ექნებათ თავიანთ საქმიანობაში ყურადღება გაამახვილონ მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორზე. განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება მოზარდების ფეხსაცმლის წარმოებას და მოსალოდნელ პათოლოგიებთან ბრძოლას.

დღემდე ჩატარებული მრავალრიცხოვანი კვლევები ადასტურებს, რომ მოხერხებული ფეხსაცმლით მოსახლეობის დაკმაყოფილების მაღალი მაჩვენებლის მიღწევისათვის ოპტიმალურია მისი სამი სისრულით დამზადება. თითოეული ზომითი ინტერვალისათვის გაანგარიშებულ იქნა დაკმაყოფილების პროცენტი სხვადასხვა სისრულისათვის, ანუ სიხშირეთა ის რაოდენობა, რომელიც მოხვდა $h_R = 6$ მმ-ის შემთხვევაში 6, 18 და 30 მმ-ის ფარგლებში (ტერფის კონათა ნაწილში შემოხვევის საშუალო მნიშვნელობიდან) შესაბამისად ერთი, სამი და ხუთი სისრულის დროს და $h_R = 8$ მმ-ის შემთხვევაში 8, 24 და 40 მმ-ის ფარგლებში. ანალოგიურად ჩატარდა კვლევა ერთი, სამი და ხუთი სიგანის შემთხვევაში. მოსახლეობის ფეხსაცმლით დაკმაყოფილების პროცენტები მოყვანილია ცხრილში 4.

ცხრილი 4. მოსახლეობის ფეხსაცმლით დაკმაყოფილების პროცენტი სხვადასხვა ზომითი ინტერვალებისათვის

| ინტერ-ვალები | | სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის ნომრები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| W | R | დაკმაყოფილების პროცენტი ფეხსაცმლის ერთი სისრულით დამზადების დროს | | | | | | | | დაკმაყოფილების პროცენტი ფეხსაცმლის სამი სისრულით დამზადების დროს | | | | | | | | დაკმაყოფილების პროცენტი ფეხსაცმლის ხუთი სისრულით დამზადების დროს | | | | | | | |
| სიგანე კონცათა ნაწილში | შემოხვევა კონცათა ნაწილში | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | სუ | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | სუ | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | სუ |
| | 6 | 31.04 | 30.0 | 26.2 | 20.9 | 23.2 | 21.2 | 21.8 | 24.91 | 78.11 | 77.1 | 69.8 | 56.6 | 62.8 | 58.3 | 60.4 | 66.19 | 97.4 | 97.5 | 92.9 | 79.4 | 88.6 | 84.7 | 85.6 | 89.5 |
| | 8 | 40.44 | 37.7 | 82.8 | 27.1 | 32.9 | 27.7 | 28.7 | 32.5 | 90.96 | 88.64 | 80.84 | 71.0 | 76.9 | 72.2 | 73.8 | 79.15 | 99.7 | 99.4 | 97.9 | 92.9 | 94.4 | 94.6 | 94.8 | 96.2 |
| 3 | | 29.4 | 28.7 | 27.04 | 22.45 | 25.65 | 26.79 | 24.72 | 26.39 | 75.2 | 73.12 | 70.82 | 61.3 | 68.04 | 64.82 | 67.33 | 70.36 | 97.3 | 94.8 | 93.1 | 86.3 | 91.3 | 93.2 | 90.8 | 92.4 |

როგორც ცხრილი 4-დან ჩანს დაკმაყოფილების პროცენტი მნიშვნელოვნად მაღალია ფეხსაცმლის სამი სისრულით დამზადების დროს ერთ სისრულესთან შედარებით. სხვაობა მათ შორის საშუალოდ 42%-ია სისრულეთა შორის 6 მმ-იანი ინტერვალის დროს და 46,65% 8 მმ-იანი ინტერვალის დროს. ე.ი. ერთი სისრულის შემთხვევაში სამ სისრულესთან შედარებით დაუკმაყოფილებელი რჩება მოხერხებული ფეხსაცმლით დაკმაყოფილებული მოსახლეობაზე გაცილებით დიდი რაოდენობა. რაც ცხადია მიუღებელია. ერთი სისრულით ფეხსაცმლის დამზადებით, განსაკუთრებით მოზარდებში მათი აბსოლუტური უმრავლესობა იძულებულია ატაროს მისი ტერფისათვის მოუხერხებული ფეხსაცმელი. ეს კი როგორც უკვე იყო აღნიშნული იწვევს მრავალ უსიამოვნო შეგრძნებას და პათოლოგიურ გადახრებს მოზარდის ტერფზე. რაც თავისუფლად შეიძლება აღმოიფხვრას ფეხსაცმლის სამი სისრულით დამზადებით.

მოსახლეობის ფეხსაცმლით დაკმაყოფილების პროცენტი საგრძნობლად იზრდება ფეხსაცმლის ხუთი სისრულით დამზადების შემთხვევაში-საშუალოდ 20,2%-ით. მაგრამ საგულისხმოა მეორე ფაქტიც, კერძოდ ერთი სისრულით ფეხსაცმლის დამზადება მარტივია ორგანიზაციული თვალსაზრისით. მაგალითად: თუ ჯგუფისათვის საჭიროა საჭრისების 9 კომპლექტი, სამ სისრულეზე გადასვლის დროს საჭრისების რაოდენობა იზრდება 27-მდე, დაკმაყოფილების პროცენტი კი მატულობს 43,9%-ით. სამიდან ხუთ სისრულეზე გადასვლით საჭრისების კომპლექტის რაოდენობა იზრდება 45-მდე, თითქმის ორჯერ, ხოლო დაკმაყოფილების პროცენტი კი ამ დროს მატულობს 20,2%-ით. ე.ი. ხუთი სისრულის შემთხვევაში წარმოების ორგანიზაცია რთულდება ორჯერ მეტად, ვიდრე მის მიერ მიღებული ეფექტი. ამდენად რეალურია და დამაკმაყოფილებელი ფეხსაცმლის სამი სისრულით დამზადება. ხოლო რაც შეეხება დაკმაყოფილების პროცენტს, მოსახლეობის ის რაოდენობა, რომელიც ვერ მოხვდა სამ სისრულიან ინტერვალში, იძულებულია შეირჩიოს ფეხსაცმელი მისი ტერფის მახლობელი ზომით. ამის გათვალისწინებით საჭიროა შეიცვალოს ფეხსაცმლის განაწილება, ე.ი. ამ შემთხვევაში ზომა-სისრულითი ასორტიმენტის ანგარიშის დროს უნდა მოხდეს სიხშირეთა გადანაწილება ხუთსისრულიანი განაწილების სამ სისრულეზე გადაანგარიშებით,

ცხრილი 4-დან ასევე ჩანს, რომ ფეხსაცმლის ერთი, უნიფიცირებული კვალით დამზადება აკმაყოფილებს მოსახლეობის საშუალოდ 26,39%-ს, ე.ი. თითქმის მეოთხედს. ხოლო სამი სიგანის (სიგანეებს შორის 3 მმ-იანი ინტერვალით) კვალით ფეხსაცმლის დამზადებით დაკმაყოფილების საშუალო პროცენტი თითქმის სამჯერ იზრდება. რაც საკმაოდ საგულისხმო ფაქტია. ამიტომ მართებულია მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ფეხსაცმელი, (განსაკუთრებით მოზარდებისათვის) აუცილებლად უნდა დამზადდეს სამი სისრულით და კვალის სამი სიგანით.

რაც შეეხება სისრულეთა შორის ინტერვალის ოპტიმიზაციის საკითხს, როგორც ცხრილი 4-დან ჩანს, სისრულეთა შორის 8 მმ-იანი ინტერვალის შემთხვევაში დაკმაყოფილების პროცენტი თითქმის 13%-ით მეტია 6 მმ-იან ინტერვალთან შედარებით. ეს პროცენტი განსაკუთრებით მაღალია მე-2-ე და მე-3-ე ჯგუფის მოზარდებისათვის (ასაკი 2-6 წელი). მაგრამ ამ ასაკობრივ ჯგუფებში შეგრძნების ზღვრის გათვალისწინებით რეალურია ფეხსაცმლის დამზადება სისრულეთა შორის 6 მმ-იანი ინტერვალით. და-

ნარჩენ ჯგუფებში იზრდება ტერფის ზომების საშუალო კვადრატული გადახრის მნიშვნელობა, ამდენად იზრდება განუსაზღვრელობის ინტერვალიც. ამიტომ მე-2-ე და მე-3-ე ჯგუფებისათვის შერჩეულ იქნა სისრულეთა შორის ინტერვალი 6 მმ, დანაჩენი ჯგუფებისათვის- 8 მმ.

სამი სისრულით განაწილების ანგარიშის დროს ბუნებრივია ისმება საკითხი ამ განაწილებაში ცალკეული სისრულის პროცენტული თანაფარდობის შესახებ, რომელიც დღეისათვის არსებული სტანდარტის მიხედვით ასეთია: ვიწრო- 10%; საშუალო- 60%; სრული- 30%. სისრულეთა ასეთი განაწილების გამოყენება მოზარდებში შეუძლებელია, რადგან ეს თანაფარდობა შესაბამისობაში არ მოდის მოზარდთა ჯგუფების სისრულეთა პროცენტულ განაწილებასთან. ამის დასადასტურებლად ზომითი ნიშანთვისებების განაწილების ცხრილების და ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა განაწილებაში სისრულეთა პროცენტული თანაფარდობის კვლევა. ამისათვის საჭიროა ცალკეული სისრულითი ინტერვალის სიხშირეთა შეკრება და მათი პროცენტული გადაანგარიშება. სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შედეგები მოყვანილია ცხრილში 5.

**ცხრილი 5**. განაწილებაში სისრულეთა პროცენტული თანაფარდობა თეორიული და ემპირიული მონაცემების მიხედვით.

| სისრულეთა შორის ინტერვალი (მმ) | | | ასაკობრივი ჯგუფის ნომერი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | საშ |
| თეორიული განაწილება | 6 | ვიწრო | 28 | 30 | 32 | 31 | 30 | 31 | 32 | 30 |
| | | საშუალო | 40 | 40 | 38 | 37 | 38 | 37 | 36 | 38 |
| | | სრული | 32 | 30 | 30 | 32 | 32 | 32 | 32 | 32 |
| | 8 | ვიწრო | 27 | 29 | 31 | 32 | 30 | 32 | 31 | 30 |
| | | საშუალო | 44 | 43 | 41 | 39 | 41 | 39 | 39 | 41 |
| | | სრული | 29 | 28 | 28 | 29 | 29 | 29 | 30 | 29 |
| ემპირიული განაწილება | | ვიწრო | 24 | 23 | 25 | 23 | 25 | 26 | 25 | 25 |
| | | საშუალო | 48 | 47 | 45 | 48 | 49 | 42 | 47 | 46 |
| | | სრული | 28 | 30 | 30 | 29 | 26 | 32 | 28 | 29 |

როგორც ცხრილი 5-დან ჩანს, თეორიულ და ემპირიულ განაწილებაში სისრულეთა პროცენტული თანაფარდობა მსგავსია, რაც იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ სტანდარტში მითითებული პროცენტული თანაფარდობა მიუღებელია მოზარდთა ჯგუფებისათვის. ე.ი. სტანდარტის მიხედვით სამი სისრულით ფეხსაცმლის დამზადების შემთხვევაშიც კი მოზარდი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუკმაყოფილებელი რჩება მოხერხებული ფეხსაცმლით. ეს განსაკუთრებით ეხება ვიწრო სისრულეს და შესაბამისად იქმნება საშუალო და სრული ფეხსაცმელების სიჭარბე. ამიტომ კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება იმის მტკიცება, რომ ზოგადად სისრულეთა პროცენტული თანაფარდობა ასეთია: ვიწრო-30%; საშუალო-40%; სრული-30%. ან უკეთეს შემთხვევაში შეიძლება თითოეული სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფისათვის გამოყენებულ იქნას კონკრეტული პროცენტული თანაფარდობა, ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე, დაკმაყოფილების პროცენტის გაზრდის მიზნით.

საქართველოს მოზარდი მოსახლეობის ფეხსაცმლის ოპტიმალური ზომა-სისრულითი ასორტიმენტი მოცემულია ცხრილში 6, სადაც ნაჩვენებია მოზარდთა ყველა ჯგუფის განაწილება ფეხსაცმლის ზომის მიხედვით, სისრულისა და კვალის სიგანის საწყისი მნიშვნელობის ჩვენებით, ერთი -საშუალო სისრულისათვის. (სამსისრულიან ზომა-სისრულით ასორტიმენტში სისრულეთა პროცენტული თანაფარდობა ნაჩვენებია ცხრილში 5)

**ცხრილი 6**. საქართველოს მოზარდი მოსახლეობის ფეხსაცმლის რაციონალური ზომა-სისრულითი ასორტიმენტი

| ჯგუფის N | | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საწყისი სისრულე მმ | | 160 | 172 | 192 | 210 | 214 | 222 | 235 |
| სისრულის ინტერვ. მმ | | 6 | 6 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 |
| კვალის საწყ. სიგანე მმ | | 62 | 68 | 75 | 83 | 85 | 89 | 95 |
| სიგანის ინტერვალი მმ | | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 |
| ფეხსაცმლის ზომა | 140 | 6 | | | | | | |
| | 145 | 10.5 | | | | | | |
| | 150 | 15.5 | | | | | | |
| | 155 | 20.5 | | | | | | |
| | 160 | 21 | 2.5 | | | | | |
| | 165 | 15 | 6 | | | | | |
| | 170 | 9.5 | 9.5 | | | | | |
| | 175 | 2 | 13.5 | | | | | |
| | 180 | | 15.5 | | | | | |
| | 185 | | 15 | 2.5 | | | | |
| | 190 | | 14.5 | 6 | | | | |
| | 195 | | 12.5 | 9 | | | | |
| | 200 | | 7 | 11.5 | | | | |
| | 205 | | 4 | 15 | | | | |
| | 210 | | | 16 | 4 | 3.5 | | |
| | 215 | | | 13.5 | 7.5 | 5 | 1 | |
| | 220 | | | 10 | 12.5 | 9.5 | 1.5 | |
| | 225 | | | 8.5 | 16 | 12 | 9 | |
| | 230 | | | 6 | 16.5 | 15.5 | 16.5 | |
| | 235 | | | 2 | 17 | 16 | 19.5 | 1 |
| | 240 | | | | 13 | 14.5 | 19 | 3.5 |
| | 245 | | | | 8 | 11.5 | 15 | 8.5 |
| | 250 | | | | 4.5 | 7 | 10 | 13.5 |
| | 255 | | | | 1 | 4 | 5 | 14 |
| | 260 | | | | | 1.5 | 0.5 | 17.5 |
| | 265 | | | | | | | 16.5 |
| | 270 | | | | | | | 13.5 |
| | 275 | | | | | | | 8 |
| | 280 | | | | | | | 3 |
| | 285 | | | | | | | 1 |
| | 290 | | | | | | | |

შემუშავებული პრინციპის მიხედვით, ანუ ცალკეული სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფისათვის ინდივიდუალური ზომა-სისრულითი ასორტიმენტის შკალის აგებით ზომის მიხედვით ფეხსაცმლით მოსახლეობის დაკმაყოფილების პროცენტი 90-96%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც ცხადია მნიშვნელოვნად უფრო მეტია და რაოდენობრივი დაკმაყოფილების თვალსაზრისით მისაღებია მოსახლეობისათვის. ზომა-სისრულითი ასორტიმენტის ახალი შკალის მიხედვით გაანგარიშებული მოსახლეობის ფეხსაცმლით დაკმაყოფილების პროცენტის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს მის რაციონალურობაზე და მისი გამოყენების შედეგად მაღალი ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მიღების აუცილებელ შესაძლებლობაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. მ. გრძელიძე. მოზარდის ტერფი და რაციონალური ფეხსაცმელი. მონოგრაფია. ქუთაისი.- 2010
2. Кранс В.М. Колесникова Н.А. Луковенко Г.В. Морфологические особенности развития детской стопы.- .- Москва: Изд-во ЦИТО #20, 1980.
3. Фарниева О.В. Нургильдиев К.М. Совершенствование размерной стандартизации ассортимента обуви.- Ашхабад: Легкая индустрия, 1982.
4. Холева Э. Кашуба З. Козловский Б. Луба Р. Основы рационального конструирования колодок и обуви.- Москва: Легкая и пишевая промышленность, 1981. с. 248.
5. ГОСТ 3927-88 «Колодки обувные».- Москва: Изд-во Стандартов, 1989.
6. ГОСТ 11373-88 «Обувь. Размеры».- Москва: Изд-во Стандартов, 1988.


### რეზიუმე


პირადი მოხმარების საგნების სტანდარტიზაცია მნიშვნელოვანი საკითხია. მის სწორად გადაჭრაზე დამოკიდებულია მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ასეთ საგნებს შორის ფეხსაცმელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან მის სწორად შერჩევაზე ბევრადაა დამოკიდებული ადამიანის ყოველდღიური კომფორტი. ნაშრომში მოცემულია ფეხსაცმლის სტანდარტული ზომითი ნორმატივების რეგულირების და ახალი ზომა-სისრულითი ასორტიმენტის ფორმირების მეთოდები.


### Summary


*M. Grdzelidze,*
*M. Shalamberidze*


Regulation a ratio between demand and delivery from optimization of standard parameters


Standardization of goods of personal consumption is an important question. On the correct solution of this task depends satisfactions of a growing demand of the population. Among such the subject is footwear as on an optimum choice of footwear completely provides daily comfort of the person. In the work presents methods of regulation of standard dimensional and formation of new sizes scales.

# გლობალური ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

*ნატო გეგენავა,*
*ეკონომიკის დოქტორი*

გლობალიზაციის ერთ-ერთ მახასიათებელს ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთდამოკიდებულების ზრდა წარმოადგენს, რომელსაც როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შედეგები ახლავს. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ცალკეული ასპექტების განხილვისას აუცილებელია გავაანალიზოთ ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც გამომდინარეობს მსოფლიოში მიმდინარე რადიკალური გარდაქმნებიდან და ხელს უწყობს გლობალური ბიზნესის აქტუალური პრობლემატიკის ჩამოყალიბებას. ესენია:

1. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების შედეგად მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკური სისტემის თანდათანობითი «გახსნის» პროცესი;
2. ქვეყნების თანამშრომლობა სავაჭრო სფეროში გაღრმავდა სავალუტო-საფინანსო სფეროში ურთიერთობათა გაფართოებით;
3. ახალი სახე მიიღო რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესმა, რომელმაც მოიცვა მსოფლიოს ქვეყნების პრაქტიკულად მთელი სპექტრი;
4. გლობალური ბიზნესის კიდევ ერთი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი თავისებურება, აისახა საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნაში, რომელთა მიზანია საერთასორისო ეკონომიკურ და სავალუტო-საფინანსო სისტემებზე დაკვირვება და რეგულირება, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ტემპებს;
5. გლობალური ბაზრების უმნიშვნელოვანესი ფენომენი გახდა ტრანსეროვნული კორპორაციები, რომლებიც დღეს წარმოადგენენ გლობალური ბიზნესის მთავარ ობიექტს, რომელიც განსაზღვრავს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს, ასევე მათ სამრეწველო, საინვესტიციო და სავაჭრო პოლიტიკას.

ყველა ამ ცვლილებამ გააღრმავა გლობალური ბიზნესი და გლობალიზაცია.

გლობალიზაციის ერთ-ერთი მახასიათებელია ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რომელსაც ახლავს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შედეგები. გლობალიზაცია — ეს არის წინააღმდეგობრივი პროცესი – ქვეყნების ერთი ჯგუფისათვის, გარკვეულ პერიოდში მას მოაქვს კონკურენციული უპირატესობა, მეორე ჯგუფი კი ხასიათდება ხალხის კეთილდღეობის დაცემით. საერთოდ იმ ტენდენციების ახსნას, რომლითაც გლობალიზაციის ეპოქაში ხასიათდება ურთიერთდაკავშირებული ნაციონალური ეკონომიკები, უნდა მიეძღვნას მსოფლიოს ტენდენციების მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი. მან არა მარტო უნდა ახსნას ის, თუ რატომ ხდება მსოფლიოში ესა თუ ის ეკონომიკური მოვლენა, არამედ მოგვცეს რეკომენდაციები იმის შესახებ, გლობალური ბიზნესის განვითარების შედეგად, როგორ შეიძლება მოვახდინოთ ზეგავლენა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების რეგულირებაზე.

დღეისათვის გლობალური ბიზნესის კონტექსტში საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციები აისახება სამეცნიერო გამოკვლევების პრობლემატიკაში. ეს პრობლემებია:

1. განვითარებული ქვეყნების მზარდი სავაჭრო პროტექციონიზმი და მისი ზეგავლენა საერთაშორისო ვაჭრობისა და ნაციონალური ეკონომიკის განვითარებაზე;
2. გაცვლითი კურსების რყევები, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო სისტემის არასტაბილურობა;
3. გლობალური მონოპოლიების მზარდი საფრთხე;
4. ნაციონალურ და მსოფლიო ეკონომიკაში უმუშევრობის მაღალი სტრუქტურა;
5. მსოფლიო ეკონომიკაში მატერიალური სიკეთეების არათანაბარზომიერი განაწილება ცალკეულ ქვეყნებს შორის და სიღარიბის ზრდა განვითარებად ქვეყნებში;
6. გლობალური ბიზნესის ზეგავლენა ეკოლოგიურ გარემოზე;
7. ეროვნული სახელმწიფოს არაერთგვაროვანი როლი გლობალური ბიზნესის რეგულირებაში;
8. გლობალური ბიზნესის ზეგავლენა ეროვნული სახელმწიფოს განვითარებაზე და სხვ.

საქართველოსათვის ეს პრობლემატიკა ერთობ მნიშვნელოვანია, რადგან მისი განსაზღვრა იძლევა შესაძლებლობას დაუკავშიროთ ერთმანეთს ის მოვლენები, რომლებიც მიმდინარეობს მსოფლიო ბიზნესსა და ეროვნულ ეკონომიკაში და ამის საფუძველზე გამოყოს ის პრიორიტეტები, რომლებიც მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან თანმიმდევრულად დაიწყო საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაერთიანებით საქართველო შეუერთდა საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელ ხელშეკრულებებს, მოწესრიგდა საერთაშორისო სამეწარმეო საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა. ამიტომ, მეცნიერ-ეკონომისტების წინაშე დადგა სერიოზული ამოცანა, ახალი პირობების ადეკვატური სამეცნიერო კვლევების წარმოება, რომლებიც სრულიად შეესაბამება გლობალური ბიზნესის დარგში მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებსა და ამ ფონზე ჩვენი

სახელმწიფოს გაზრდილ მოთხოვნებს.

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ: ქართული კომპანიების გასვლა საერთაშორისო ბაზრებზე და მათი საქმიანი ოპერაციების სფეროს გაფართოება საუნივერსიტეტო განათლების სფეროში დასაქმებული მეცნიერ-მკვლევარებისგან მოითხოვს გლობალური ბიზნესის სფეროში ახალ სასწავლო პროგრამებზე ორიენტაციას, ამ პროგრამებში კვლევითი კომპონენტის შედეგების ასახვას. აქ, ჩვენი აზრით უნდა წარმოჩნდეს გლობალური ბიზნესის უახლესი და აქტუალური პრობლემატიკის სპექტრი.

გლობალური ბიზნესის სპეციფიკა არის ის, რომ მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების წესებისა და პროცედურების აღწერის პროცესში ყოველთვის შეუძლებელია გამოვიყენოთ მწყობრი თეორიული მასალა. გლობალური ვაჭრობის და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თეორიები თანდათანობით ცვლილებას განიცდის. დღეისათვის არც ერთი თეორია არ იძლევა საერთაშორისო ოპერაციების სრულ აღწერას. გლობალური ბიზნესის გარემოს ანალიზის მეთოდები გართულებულია ეროვნული მახასიათებლების სიმრავლით, რაც ამ დარგის მენეჯერებს უქმნის სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების ფართო შესაძლებლობას, ამაზე მეტყველებს მრავალი საერთაშორისო კორპორაციის გამოცდილება. კონკურენტულ პირობებში მათ შეუძლიათ გამოიყენონ განსხვავებული მიდგომები და აირჩიონ თავიანთი ბიზნესის განვითარების სხვადასხვა მიმართულებანი. ამიტომ არის, რომ გლობალური ბიზნესის პრობლემატიკის კვლევის პროცესში დასაშვებია განსხვავებული, ზოგ შემთხვევაში დაპირისპირებული თვალსაზრისი.

გლობალური ბიზნესი არის ნებისმიერი ფირმის მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში ან ინვესტიციაში. აუცილებელი არ არის, რომ ფირმა გახდეს საერთაშორისო მეწარმე სხვა ქვეყნებში პირდაპირი ინვესტირებით, მონაწილეობდეს საერთაშორისო ბიზნესში, თუმცა ფირმები, რომლებიც სხვა ქვეყნებში ახორციელებენ ინვესტირებას, საერთაშორისო ბიზნესში მონაწილეობენ. ყველაფერი, რაც ფირმამ უნდა გააკეთოს, ეს არის პროდუქციისა და მომსახურების იმპორტი ან ექსპორტი.

მსოფლიო უახლოვდება კარგად ინტეგრირებულ გლობალურ ეკონომიკას, შესაბამისად, მრავალი ფირმა ხდება გლობალური ბიზნესის მონაწილე. ორგანიზაციები მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციებში. სხვადასხვა ქვეყნები ერთმანეთისგან პოლიტიკით, კულტურით და ასევე ეკონომიკური განვითარების დონით განსხვავდებიან. ეს განსხვავებები საერთაშორისო ბიზნესისგან სხვადასხვა ქვეყანაში საქმიანობის მიმართ განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს.

ქვეყნის საზღვრებს გარეთ ბიზნესურთიერთობების ხელმძღვანელობა მოითხოვს საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტირების სისტემის ცოდნას. გლობალურ ბიზნესში მენეჯერებს მოეთხოვებათ, გაუმკლავდნენ საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტირებაზე სამთავრობო შეზღუდვებს, ასევე გამონახონ იმის გზა, თუ როგორ იმოქმედონ სამთავრობო შეზღუდვებით გამოწვეულ საზღვრებში. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ფირმა ოფიციალურად თავისუფალი ვაჭრობის მომხრეა, ის მაინც მოითხოვს რეგულირებას.

გლობალური ბიზნესის მართვა საშინაოსგან ოთხი ძირითადი მიზეზით განსხვავდება:

· ქვეყნები განსხვავებულია ეკონომიკური მდგომარეობით, პოლიტიკური სისტემებით, კულტურის დონით;

· გლობალურ ბიზნესში პრობლემების სიმრავლე მნიშვნელოვნად აჭარბებს საშინაო ბიზნესში არსებულს როგორც რაოდენობით, ასევე სირთულის ხარისხის მიხედვითაც;

· გლობალურმა ბიზნესმა უნდა გამონახოს გზა, რომ იმოქმედოს საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტირების სისტემებში მთავრობის მიერ დაწესებული საზღვრების ფარგლებში;

· საერთაშორისო საქმიანობა მოითხოვს განსხვავებული ვალუტების გამოყენებას.

გლობალიზაცია ახალ შესაძლებლობებთან ერთად, ახალ პრობლემებსაც წარმოშობს, რომლებიც საგარეო ფაქტორებზე ეროვნული ეკონომიკის დამოკიდებულების ხარისხს უკავშირდება. იმავდროულად მცირდება ეკონომიკურ განვითარებაზე სახელმწიფოებრივი ბერკეტების გავლენაც. პრობლემები, რომლებსაც ქვეყნები გლობალიზაციის პროცესში აწყდება, დაძლევადია, რადგან ისინი ახალ პირობებში მუშაობას გულისხმობს. ამასთან, აუცილებელია მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციისა და თვითუზრუნველყოფას შორის კომპრომისის ძიება. ასეთია საერთო სქემა. კერძო შემთხვევაში ნეგატიური პროცესები, ხშირად, თვით ეროვნულ ეკონომიკაში წარმოიშობა.

ცნობილია, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ეფექტიანი ინტეგრაციის პირობა იყო და არის შიდა ბაზრის განვითარება. შეუძლებელია შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის ადგილის შეცვლა, თუ არ მოვახდენთ ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაციას ან წარმატებით კონკურენციას საგარეო ბაზარზე. შეუძლებელია სპეციალურად საგარეო მომხმარებლისათვის მაღალტექნოლოგიური პროდუქციის შექმნა, თუ ამ პროდუქციაზე ქვეყნის შიგნით მოთხოვნა არ არსებობს. ამისათვის საჭიროა გლობალურ ბაზარზე ეროვნული კომპანიების გაყვანის სტიმულირება, სახელმწიფოს მიერ მოფიქრებული კონკურენტუნარიანობის ამაღლების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება.

გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ძლიერი ეროვნული ეკონომიკის შექმნა, რაც გლობალურ პროცესებში მონაწილეობით მაქსიმალური სარგებლის მიღების საშუალებას იძლევა. გლობალიზაციაში მონაწილეობა სოციალურ-

ეკონომიკური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების კეთილდღეობის ამაღლების მძლავრი რესურსია.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ჭითანავა ნ. გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციები (კონცეფციურ-მეთოდოლოგიური მიდგომა), საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. VI, თბ., 2002, გვ. 7-8.
2. შანავა ზ. ეკონომიკის გლობალიზაციის გენეზისი და შინაარისი//სოციალური ეკონომიკა, თბ., 2010, №4, გვ. 30-39.
3. ფუტკარაძე რ., საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში//გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები. შრომების კრებული, თბ., 2008, გვ. 215-231.
4. სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001.
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2010.


### რეზიუმე


გლობალიზაციის ერთ-ერთ მახასიათებელს ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთდამოკიდებულების ზრდა წარმოადგენს, რომელსაც როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შედეგები ახლავს. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ცალკეული ასპექტების განხილვისას აუცილებელია გავაანალიზოთ ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც გამომდინარეობს მსოფლიოში მიმდინარე რადიკალური გარდაქმნებიდან და ხელს უწყობს გლობალური ბიზნესის აქტუალური პრობლემატიკის ჩამოყალიბებას.

საქართველოსათვის ეს პრობლემატიკა ერთობ მნიშვნელოვანია, რადგან მისი განსაზღვრა იძლევა შესაძლებლობას დაუკავშიროთ ერთმანეთს ის მოვლენები, რომლებიც მიმდინარეობს მსოფლიო ბიზნესსა და ეროვნულ ეკონომიკაში და ამის საფუძველზე გამოყოს ის პრიორიტეტები, რომლებიც მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ძლიერი ეროვნული ეკონომიკის შექმნა, რაც გლობალურ პროცესებში მონაწილეობით მაქსიმალური სარგებლის მიღების საშუალებას იძლევა. გლობალიზაციაში მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების კეთილდღეობის ამაღლების მძლავრი რესურსია.


### Summary

*N. Gegenava*

### The Perspectives of Development of the Global Business in Georgia


One of the characteristic features of Globalization is the growth of interdependancy of he economics which is accompanied both by positive and negative results. While considering the separate aspects of the economical development of the country it is necessary to analyze those principle problems which follow the radical transformations running in the world and promote to formation of the actual problematics of the global business.

This problem is very important for Georgia since its definition gives a possibility to interrelate those phenomena which take place in the world's business and the national economics and on its basis to separate those priorities which are important on a given stage for economic development of the country.

In the process of globalization the main goal of the economic policy should become the creation of strong national economics which, through participation in the global processes gives a chance to get the maximal profit. Participation in globalization is a powerful resource for a social-economical development and raising of well-being of people's life.

# თბილისის სასმელი წყლის რესურსები და მათი ეკოლოგიური უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა

***ქეთევან მახარაძე,*** *აკადემიური დოქტორი*
***რუსუდან ფირცხალავა,*** *ინჟინერ-ტექნოლოგი*

წყალი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი და ამავდროულად შეზღუდული ბუნებრივი რესურსია. დედამიწაზე ჯერ კიდევ არის ადამიანების საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საკმარისი სუფთა წყალი, მაგრამმსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შეფასებით, 1,1 მლრდ-ზე მეტ ადამიანს არ აქვს ხელმისაწვდომობა უსაფრთხო სასმელ წყალზე; 2,6 მლრდ-ზე მეტი ადამიანი განიცდის აუცილებელი სანიტარიული პირობების ნაკლებობას; 2,3 მლრდ ადამიანი ყოველწლიურად ავადდება უსუფთაო წყლით გამოწვეული დაავადებებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცივილიზებული სამყარო შეთანხმდა, რომ უსაფრთხო სასმელ წყალსა და სანიტარიულ პირობებზე ხელმისაწვდომობა დღეისათვის ადამიანის ერთ-ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის უფლებაა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს დედაქალაქის — თბილისისა და მისი შემოგარენის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების რესურსები მათისასმელ-სამეურნეო გამოყენების კუთხით და, ასევე ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები.

წყლის რესურსებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ყოველწლიურად განახლებად მტკნარ მიწისქვეშა წყლებს მათი სისუფთავისა და დებიტის მუდმივობის გამო. მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსები საქართველოში შეადგენს 573 $მ^3$/წმ, ანუ 18 $კმ^3$, რომლის 33% მოდის აღმოსავლეთ საქართველოზე. ბუნებრივი მიწისქვეშა წყლების მოცულობა ატმოსფერული ნალექების 18,7%-ს და საქართველოს ტერიტორიიდან ჩამონადენის 31,6%-ს შეადგენს; პროგნოზულ-საექსპლუატაციო რესურსები 4,2 $კმ^3$-ია, ანუ საქართველოს მთლიანი პროგნოზულ-საექსპლუატაციო რესურსების 39,5% [1, 2, 3].

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თანახმად, თბილისის ტერიტორია მიეკუთვნება თბილისის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყალწნევიანი სისტემის $1V_3$ ჰიდროგეოლოგიურ რაიონს, რომელიც შედის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალწნევიანი სისტემების ოლქში. ᲗᲝᲚᲥᲘᲡ ჰიდროგეოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს ქანების გაწყლოვანების მაღალი მაჩვენებლები ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში და დაბალი – აღმოსავლეთში, სადაც გამოიყოფა მინერალიზებული ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლების დიდი არეალი [4].

მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი და პროგნოზულ-საექსპლუატაციო რესურსები ინტენსიური წყალგაცვლის ზონაში ჰიდროგეოლოგიური ოლქისათვის, სადაც განთავსებულია თბილისის არტეზიული აუზი, შეადგენს: წყალშემცველი ჰორიზონტის ან კომპლექსის ფართობი – 1350 $კმ^2$, ბუნებრივი რესურსები – 3,1 $მ^3$/წმ და პროგნოზულ-საექსპლუატაციო რესურსები – 2,5 $მ^3$/წმ [1].

მიწისქვეშა წყლების ტერიტორიაზე განაწილების უთანაბრობა ართულებს მათ გამოყენებას. მსხვილი წყაროები განლაგებულია ძირითადად მთიან ნაწილში, მოშორებით დიდი დასახლებული პუნქტებიდან. მათი გამოყენება გაძნელებულია და ჯერჯერობით, ეკონომიკური თვალსაზრისით, არარენტაბელურია. ისეთი ქალაქები, როგორიცაა თბილისი, რუსთავი, მცხეთა და სხვ. დაშორებულია პროდუქტიული წყალუხვი კომპლექსებიდან; იგრძნობა სასმელი, ტექნიკური და სარწყავი წყლების მწვავე უკმარისობა, ამიტომ მდინარეთა ფილტრატების ბაზაზე აგებულია წყალასაღებ ნაგებობათა დიდი რაოდენობა, რომლებიც ნაწილობრივ უზრუნველყოფენ სამეურნეო და სასმელი წყლით დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს.

თბილისის მიდამოებში წყალსიუხვის მიხედვით აღსანიშნავია მდ.არაგვის აუზი, რომლის დამტკიცებული სამრეწველო მარაგებია 912 ათასი $მ^3$/დღღ; მდ.ქსნის აუზში სასმელი წყლების დებიტი შეადგენს 172,8 ათას $მ^3$/დღღ. წყალშემცველი ჰორიზონტების განლაგების სიღრმე დამტკიცებული საექსპლუატაციო მარაგებისათვის აღმოსავლეთ საქართველოში 5-დან 250-300 მ-მდე იცვლება.ყველაზე ნაკლები სიღრმე გააჩნია მიწისქვეშა წყლების ჰორიზონტებს მდ.არაგვის აუზში (5-დან 20 მ-მდე).

მდ.არაგვის აუზში არსებული მძლარი წყაროების საექსპლუატაციო რესურსები, დამტკიცებული ქ.თბილისის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისათვის, შემდეგია [3]:

საბადოები: ნატახტარი (ძველი)- მანძილი მომხმარებლიდან – 28 კმ; წყლიანი ჰორიზონტის სიღრმე – 20მ; ნატახტარი (ახალი)-მანძილი მომხმარებლიდან – 28 კმ;წყლიანი ჰორიზონტის სიღრმე – 5 მ; საგურამო - მანძილი მომხმარებლიდან – 28 კმ;წყლიანი ჰორიზონტის სიღრმე – 4 მ; ჭოპორტი - მანძილი მომხმარებლიდან – 35 კმ;წყლიანი ჰორიზონტის სიღრმე – 4 მ;ბულაჩაური - მანძილი მომხმარებლიდან – 45 კმ; წყლიანი ჰორიზონტის სიღრმე – 10 მ.

აღნიშნული საბადოების საექსპლუატაციო წყლების ჯამური რესურსია10,6 $მ^3$/წმ. ჩგარდა ამისა, აღსანიშნავია მდ.ქსნის უბანი, რომლის პარამეტრებია: - მანძილი მომხმარებლიდან – 40 კმ; წყლიანი

ჰორიზონტის სიღრმე –1—10 მ; საექსპლუატაციო წყლის რესურსი — 0,58 მ³/წმ.

ცხრილში 1 მოყვანილია ბულაჩაური-ნატახტარის და მუხრანის ველის მტკნარი მიწისქვეშა წყლების ზოგიერთი მახასიათებელი, მიწისქვეშა ჰიდროსფეროს ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციული ბიულეტენის მიხედვით [3].

ცხრილი 1

| № | დასახელება | დ ე ბ ი ტ ი ათ.მ³/დღ | მინერალ, გ/ლ | წყლის ტიპი |
|---|---|---|---|---|
| 1. | ბულაჩაური-ნატახტარი | 605 | 0.3–0.4 | კალც. ჰიდრო კარბონ |
| 2. | მ უ ხ რ ა ნ ი ს ველი | 43.2 | 0.2–0.3 | კალც. ჰიდრო კარბონ |

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების (2010წ.) თანახმად და ჩატარებული გათვლებით, თბილისის ტერიტორიის 1 კმ²-ზე მოდის 15,788 მლნ.მ³ მდინარეული ჩამონადენი,მოსახლეობის წყალუზრუნველყოფა ერთ სულზე შეადგენს 5370 მ³ ჩამონადენს წელიწადში.

თბილისსა და მის შემოგარენში მტკნარი წყლის რესურსები სხვადასხვა მიზნებისათვის გამოიყენება და მისი აღება ხდება როგორც ზედაპირული, ისე მიწისქვეშა წყაროებიდან. აღებული წყლის უდიდესი ნაწილი გამოიყენება მუნიციპალური/საყოფაცხოვრებო (სასმელი წყლის მიწოდება და კომუნალური საჭიროებები) და ენერგეტიკის სექტორების მიერ. სხვა მსხვილი წყალმომხმარებლებია: მრეწველობა, ირიგაცია, სათევზე მეურნეობა და ა.შ.

ამჟამად თბილისის მოსახლეობას, დედაქალაქში განთავსებულ ორგანიზაციებს, სამრეწველო და კომერციულ ობიექტებს წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებას უწევს კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი", რომელიც ჟინვალჰესისა და თეთრიხევჰესის საშუალებით ელექტროენერგიასაც გამოიმუშავებს. ორივე ჰესი საქართველოს ერთიან ელექტროსისტემაშია ჩართული. (მასალები მომზადებულია და GWP კომპანიის თანამშრომლებისა-ჰ. ვეიდელის და თ. მაკარაძის მონაწილეობით).

სასმელი წყალი ყოველდღიური მოხმარების სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტია, რომლის შექმნა-დამუშავებასა და მომხმარებლამდე მიტანას დიდი შრომითი და მატერიალური რესურსი ხმარდება. ამ საქმეს კომპანიის 1800-მდე თანამშრომელი ემსახურება. "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" დედაქალაქის მასშტაბით 440 000-მდე აბონენტს ემსახურება. აქედან 2000-მდე საბიუჯეტო ორგანიზაციაა, 15 ათასამდე კომერციული ობიექტი, დანარჩენი კი მოსახლეობაა. ყოველდღიურად კომპანია 1 600 000 კუბ. მეტრ სასმელ წყალს გამოიმუშავებს, რაც წლიურად 600 მლნ კუბ. მეტრს შეადგენს.

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" მართვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ხორციელდება. კომპანიამ ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემის ISO 9001 სტანდარტების შესაბამისი სერთიფიკატი 2006 წელს მიიღო. ხარისხის მართვის სერთიფიკატის მოპოვება და მისი მოთხოვნების დანერგვა კომპანიას ავალდებულებს მუდმივად იყოს ორიენტირებული მომსახურების გაუმჯობესებაზე.

ონკანის წყლის სასმელად გამოყენება სრულიად უსაფრთხოა თბილისში. ეს ნიშნავს, რომ სასმელი წყლის ხარისხი დედაქალაქში მთლიანად აკმაყოფილებს ეროვნულ სტანდარტებსა და ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებს.

თბილისის წყლით მომარაგება ხორციელდება სათავე ნაგებობებიდან. მათი საერთო სიმძლავრე შეადგენს 16-17 მ³/წმ. სათავე ნაგებობის სტრუქტურის საანგარიშო სიმძლავრეა: არაგვის ხეობა - 11 მ³/წმ; ღრმაღელის საფილტრე სადგური - 5,5 მ³/წმ და სამგორის საფილტრე სადგური - 5,3 მ³/წმ.

ჟინვალის და თბილისის წყლის რეზერვუარები წარმოადგენს რეგულირებული ჰიდრორესურსების საცავებს, რომლებიც წყალს აგროვებენ მდ.მდ. არაგვიდან და იორიდან.

არაგვის ხეობის ჰიდრორესურსების წყალმომარაგების სისტემა წარმოდგენილია 2300 კმ² ფართობის მქონე წყალშემკრები აუზით. ამ კუთხით, მდ.არაგვის შენაკადებიდან აღსანიშნავია თეთრი არაგვი, მთიულეთის არაგვი და ფშავის არაგვი. მდ.არაგვი იკვებება მიწისქვეშა წყლებით, წვიმებით, მდნარი თოვლისა და მყინვარების წყლებით. მიწისქვეშა წყაროები არაგვის ხეობაში წარმოდგენილია ნატახტარის და მუხრანის ველის სათავე ნაგებობებით. წყალდიდობას ადგილი აქვს გაზაფხულის ბოლოს, ზაფხულის დასაწყისში. ამ დროს მდინარის ნაკადის სისწრაფე აღწევს 1500 მ³/წმ. ზამთარი წყალნაკლულობის პერიოდია, ამიტომ წყლის ნაკადის სისწრაფე არ აღემატება 15 მ³/წმ.

ჟინვალის ჰიდროკომპლექსი, რომელიც აგროვებს 470 მლნ. მ³ წყალს, აშენდა 1985 წელს და მისი მთავარი დანიშნულება იყო მცხეთის, გარდაბნის და დედაქალაქის წყალმომარაგება. წყალი ჟინვალის წყალსაცავიდან მიეწოდება ღრმაღელის და სამგორის საფილტრე სადგურებს და, საჭიროების შემთხვევაში, თბილისის წყალსაცავს, მიზნობრივი დონის, მოცულობის (308 მლნ. მ³) შენარჩუნების მიზნით.

საჭიროების დროს ღრმაღელის და სამგორის საფილტრე სადგურები წყალს იღებენ თბილისის წყალსაცავიდან.

ამრიგად, თბილისის წყალმომარაგება ძირითადად ხორციელდება მდ.არაგვის ჭალის ტერასების თანამედროვე ალუვიური ნალექების გრუნტის წყლების, ჟინვალის მთავარი და ბოდორნის ბუფერული წყალსაცავების და მდ.იორის ბაზაზე მოქმედი თბილისის ზღვის წყლების ხარჯზე, აგრეთვე მდინარეების არაგვისა და ქსნის ფილტრატებით.ეს წყლები გამოირჩევა კარგი სასმელი თვისებებით.

მდ.არაგვის ჭალაში განლაგებული წყალასაღებები – ბულაჩაური, ჭოპორტი—მისაქციელი, ნატახტარი-სანაპირო, ნატახტარი-სიფონური და საგურამო წარმოადგენენ არაგვის გასწვრივ განლაგებულ ჰორიზონტალურ გალერეებს, რომელთა წარმადობის გასაზრდელად ფუნქციონირებენ ხელოვნურად შექმნილი საინფილტრაციო აუზები.

მუხრანის ველზე ღრმად არის განლაგებული და ეკოლოგიურად დაცულია მიწისქვეშა წყლების მდიდარი რესურსები. ამ რეზერვუარში, პროგნოზული შეფასებით, განთავსებულია დიდი რაოდენობის, უმაღლესი ხარისხის სასმელი წყლის მარაგები, რაც სრულიად საკმარისია თბილისის ცენტრალიზებული სასმელი წყალმომარაგებისათვის, მისი რაციონალურად ათვისების პირობებში. ამ აუზის წნევიანი წყლები სავსებით პასუხობს სასმელი წყლისადმი წაყენებულ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს და მის ბაზაზე საჩამომსხმელო ინდუსტრიის განვითარებას.

მდ.არაგვის აუზის, რომელიც თბილისისა და მისი შემოგარენის წყალუზრუნველყოფის ძირითადი უალტერნატივო წყაროა, ქვემო ნაწილში განთავსებულია წყალმომარაგების ნაგებობათა რთული კომპლექსი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი ნაგებობებით: ნატახტარის, მუხრანის, ბულაჩაურის ჭაბურღილები; მიწისქვეშა წყლების საინფილტრაციო აუზები; სალექრები; წყალმიმღებები და სამიჯნე საკნები; სატუმბი სადგურები; საქლორატოროები და სადრენაჟო მილგაყვანილობისა და წყალდენების მიწისქვეშა კომუნიკაციების ქსელი, რომელთა საშუალებითაც ხდება მაღალხარისხიანი სასმელი წყლის ტრანსპორტირება (11,0 $მ^3$/წმ, 346 მლნ. $მ^3$ წელიწადში).

სასმელი წყალი მიეწოდება თბილისის წყალსადენს, რომლის წარმადობაა 21,5 $მ^3$/წმ. წყლის ამ რაოდენობიდან 12,5 $მ^3$/წმ ქალაქს მიეწოდება მდ.არაგვის ფილტრატების ბაზაზე მოქმედი სათავე ნაგებობებიდან; დანარჩენი 9 $მ^3$/წმ არის ჟინვალის წყალსაცავიდან თბილისის ზღვაში გადმოგდებული ზედაპირული წყალი, რომელიც იწმინდება ღრმაღელისა და სამგორის გამწმენდ ნაგებობებზე და მიეწოდება ქალაქის მარცხენა სანაპიროს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და ქ.თბილისში წყალმოხმარების ნორმები უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში, მოსახლეობა მთლიანად მაინც არ არის წყლით უზრუნველყოფილი. ზაფხულის პერიოდში თბილისი განიცდის სასმელი წყლის ნაკლებობას. საორიენტაციოდ მოვიყვანთ წყალმოხმარების მაჩვენებლებს ზოგიერთი ქვეყნისათვის [1, 6]. ნორმა დღეღამეში ერთ კაცზე შეადგენდა (ლ): ყოფ. საბჭოთა კავშირში–400, აშშ–425, დიდ ბრიტანეთში–200. საქართველოში (სხვადასხვა წყაროების მიხედვით) სასმელი წყლის კომპლექსური ხარჯი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 690-715 ლ/დღღ, თუმცა უკვე ამჟამად წყლის მიწოდება ქ.თბილისში შეადგენს 1200 ლ/დღღ კაცზე, ჩვენი გათვლებით კი, ეს რაოდენობა 1670 აღწევს.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" (GWP) მონაცემები – თბილისის მოსახლეობის მიერ წყლის 24საათიანი მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე – წარმოდგენილია დიაგრამაზე:

არაგვის ხეობის სათავე ნაგებობა (ნატახტარის წყალდენი) გაშვებული იქნა ექსპლუატაციაში 1933წ., საანგარიშო სიმძლავრით 1283 ლ/წმ;სამგორის საფილტრე სადგური ექსპლუატაციაშია 1957 წლიდან, საანგარიშო სიმძლავრით 5300 ლ/წმ; ღრმაღელის საფილტრე სადგური ექსპლუატაციაშია 1985 წლიდან, საანგარიშო სიმძლავრით 1200 ლ/წმ, ხოლო 1988წ. მისი საანგარიშო სიმძლავრე 5500 ლ/წმ-მდე




თბილისის სასმელ-სამეურნეო წყლის ეკონომიური და რაციონალური გამოყენების აუცილებლობა აშკარაა. დიდი დანაკარგებია ქალაქის ძველ წყალსადენ სისტემებში, ძირითადად წყალსადენის ქსელიდან და სანიტარიულ-ტექნიკური არმატურიდან საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში.

წყალმომარაგების ქსელების, საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობების მდგომარეობა GWP- ის მონაცემებით, შემდეგია:

ქალაქში ცენტრალიზებული წყალმომარაგება ფუნქციონირებს 1862 წლიდან. მთავარი გამანაწილებელი ქსელის სიგრძეა 3600 კმ. არსებული ქსელების თითქმის 60% გაყვანილია 50 წლის წინ და მათი უმეტესობა გამოსაცვლელია.

გაიზარდა.

პრობლემის გადაჭრის გზას წარმოადგენს წყალმომარაგების ექსტენსიური განვითარებიდან ინტენსიურზე გადასვლა, რაც განაპირობებს წყლის დანაკარგებთან ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსის გატარებას. პირველ რიგში, აუცილებელია წყალსადენის ქსელის მოდერნიზაცია და სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის ეკონომიური მოდელებით შეცვლა, წყალსარგებლობის კულტურის დონის ამაღლება, წყლის მრიცხველების ფართოდ დანერგვა და საყოფაცხოვრებო პირობებში ტექნიკური წყლის გამოყენების შესაძლებლობის დადგენა და ა.შ.

საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა ჩამორჩება წყალმომარაგების განვითარების ტემპებს. ჯკანალიზაციის კოლექტორებისა და ქსელების სიგრძე თბილისში 1990 წლისათვის შეადგენდა 1525 კმ. წლების მანძილზე არ ტარდებოდა ამ სისტემების სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები, რის გამოც მათი უმრავლესობა მოითხოვს მთლიან ან ნაწილობრივ რეკონსტრუქციას. რიგ შემთხვევებში წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელები განლაგებულია ახლოს ერთმანეთთან, რაც ქმნის საკანალიზაციო წყლის წყალსადენის ქსელში გაჟონვის საფრთხეს. თბილისის კანალიზაციის სისტემა მთლიანად თვითდინებით მუშაობს, რაც რელიეფს უკავშირდება. იგი ძირითადად მოძველებულია და ქუჩების კოლექტორების უმრავლესობა გამოსაცვლელია. მუნიციპალური ჩამდინარე წყლები (საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სანიაღვრე წყლები) ქალაქში გროვდება ცენტრალურ საკანალიზაციო კოლექტორში და გამყვანი კოლექტორის გავლით მიემართება გარდაბნის გამწმენდი ნაგებობისკენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ობიექტი ძალიან დაბალი სიმძლავრით მუშაობს და ამჟამად იქ მხოლოდ მექანიკური გაწმენდა წარმოებს [7, 8].

წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები რთულ ნაგებობებს წარმოადგენენ და ამიტომ მათი აღჭურვა საკონტროლო საშუალებებით, ექსპლუატაციის ავტომატიზაციის დონე უნდა შეესაბამებოდეს რთული საინჟინრო სისტემებისადმი ნაყენებულ მოთხოვნებს. ეს მოგვცემს ინფორმაციის ოპერატიულად მიღების საშუალებას ქსელის ნებისმიერი წერტილიდან, რაც ხელს შეუწყობსდაზიანების კერის დადგენას და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას ქსელის რეკონსტრუქციისა და განვითარების თაობაზე.

საწარმოო საჭიროებაზე წყლის რესურსების გამოყენების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასმელი წყლის გამოყენების დაუშვებლობას სამრეწველო წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში, გარდა ნორმატიულად აუცილებელი შემთხვევებისა. თბილისში, ისევე როგორც საერთოდ საქართველოში, საწარმოების უმეტესობას არ გააჩნია ტექნიკური წყალმომარაგების სისტემები და სასმელი წყლის სამრეწველო გამოყენების დონე მაღალია. ზოგიერთ წარმოებაში დაუსაბუთებლად დიდი რაოდენობის წყალი იხარჯებოდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მეტალურგიისა და ლითონდამუშავების საწარმოებში. ამიტომ, აუცილებელია წყლის ხარჯვის ნორმირებისა და მკაცრი აღრიცხვიანობის შემოღება. წინა წლებში შემუშავებული იყო რეკომენდაციები მსხვილ სამრეწველო საწარმოებში წყლის ხარჯვის ლიმიტების დასადგენად, რაც ამჟამადაც აქტუალურია.

როგორც ცნობილია, მრეწველობაში წყლის ეკონომიის ერთ-ერთი ძირითადი რეზერვია წყალმომარაგების ბრუნვითი, განმეორებითი და თანმიმდევრული სისტემების დანერგვა, რის შედეგად შესაძლებელია სამრეწველო წყალმოხმარების საგრძნობი შემცირება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საწარმოებში ფასიანი წყალმოხმარების ფართოდ შემოღება. მრეწველობაში წყლის გადასახადი შემოღებული იყო ჯერ კიდევ 1979 წლიდან. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ეს ღონისძიება იქცა მრეწველობაში წყლის რაციონალური გამოყენების სტიმულად.

ქვემოთ განხილულია წყლის რესურსების გამოყენების ზოგიერთი ეკოლოგიურიპრობლემა. 21-ე საუკუნის დასაწყისში კაცობრიობის წინაშე წამოჭრილია ისეთი გლობალური პრობლემები, როგორიცაა გლობალური დათბობა, კლიმატის ცვლილება და ამ პროცესების ნეგატიური ზეგავლენა წყლის რესურსებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ეს უკანასკნელი 2010წ. მსოფლიო ქვეყნების ლიდერთა კოპენჰაგენის შეხვედრის მწვავე განხილვის საგანი გახდა. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ადამიანის სხეულის 70% წყლისგან შედგება და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია სასმელი წყლის ხარისხზე [10, 11].

ეკოლოგიური პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება ქალაქის მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს; ქალაქის ძირითადი გარემოსდაცვითი გამოწვევების საპასუხოდ, ეფექტური და ქმედითი გარემოსდაცვითი მართვისათვის აუცილებელია ქალაქის გარემოს მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა, ურბანული გარემოსძირითადი კომპონენტების დეტალური ანალიზი, როგორიცაა: ჰაერი, წყალი, ნარჩენები, ენერგია, მწვანე საფარი, ადამიანის ჯანმრთელობა და სხვ. [8].

გლობალურად მიმდინარე პროცესების მეცნიერული შესწავლისა და დაკვირვების შედეგების მიხედვით, მსოფლიოში ადგილი აქვს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მარაგების შემცირების ტენდენციებს. მრავალ ქვეყანაში პერმანენტულად აღინიშნება სხვადასხვა დანიშნულების წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესება და წყლის დეფიციტი, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნების მსხვილ ქალაქებში.

გამომდინარე აღნიშნულიდან, წყლის დაბინძურების ხარისხის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ის განეკუთვნება ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანებს, როგორც ნაციონალური უსაფრთხოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. რესურსების გამოყენებას თან უნდა

ახლდეს გარემოს და წყლის ობიექტების დაცვის ღონისძიებების გატარება. წყლის ეკოსისტემებს ახასიათებს სწრაფი აღდგენის უნარი პერიოდული ანთროპოგენური სტრესების შემდეგ, მაგრამ თუ ანთროპოგენური დატვირთვა ხანგრძლივი ან მუდმივია, მას შეუძლია გამოიწვიოს შეუქცევადი ნეგატიური შედეგები, მათ შორის ეროზიული და სელური პროცესების ინტენსიფიკაცია.

ზედაპირული წყლის ხარისხზე რეგულარული დაკვირვებები და წყლის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის ფლობა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ეფექტური გარემოსდაცვითი პოლიტიკის რეალიზაციისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე ზედაპირული წყლების ხარისხის მონიტორინგი გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს ფუნქციაა. აღნიშნული სააგენტო აწარმოებს ყოველთვიურ და სეზონურ დაკვირვებებს, წყლის სხვა ობიექტებს შორის, მტკვარზე, კუს ტბაზე, ლისის ტბაზე და თბილისის ზღვაზე. საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურების ფონური მდგომარეობის ფაქტობრივი ინფორმაცია გროვდება მონაცემთა ბაზაში შესაბამისი ბიულეტენების, მიმოხილვების თუ ცნობების მომზადებისთვის. მონიტორინგი ხორციელდება მდინარეთაშერჩეულ პუნქტებში. დაბინძურების ფონური მდგომარეობის შეფასებისათვის ისაზღვრება 33 ინგრედიენტი.

რაც შეეხება მდინარეების დაბინძურების ხარისხს, აქ ყურადღება მახვილდება ძირითად მდინარეებზე, მ.შ. თბილისის ფარგლებში მდ.მტკვარსა და მდ.ვერეზე, სადაც ძირითადი დამაბინძურებელია თბილისის სამეურნეო-კომუნალური კანალიზაცია; მდინარეებში ჩაედინება დიდი რაოდენობით ჩამდინარე წყლები და მათთან ერთად – მრავალი დამაბინძურებელი კომპონენტი. მათი შემცირება შესაძლებელია ახალი უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვით და მაღალეფექტური გამწმენდი ნაგებობების ამოქმედებით, რომელთა უმეტესობა აშენებული იყო 1972-1986 წლების პერიოდში [11]. არსებული მონაცემების თანახმად, 2001 წლისათვის არც ერთ ნაგებობაზე არ ფუნქციონირებდა გაწმენდის ბიოლოგიური საფეხური, ხოლო ჩამდინარე წყლების მექანიკური გაწმენდახორციელდებოდა მხოლოდ თბილის-რუსთავის გამწმენდ ნაგებობაზე.

საწარმოო ჩამდინარე წყლების მხოლოდ 10%-მდე იწმინდება წყლის ობიექტებში ჩაშვების წინ. ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია ნავთობპროდუქტები, ფენოლები, მძიმე ლითონები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ჩამონადენი, რომელიც შეიცავს პესტიციდებსა და სასუქების ნარჩენებს.

ზედაპირული წყლების დიფუზური დაბინძურების წყაროა საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელები და სამრეწველო ნარჩენების შემგროვებლები, რომლებიც უმეტესად განლაგებულია მდინარეთა ნაპირებზე და, როგორც წესი, არ პასუხობენ წყალდაცვით მოთხოვნებს. სამრეწველო ნარჩენები განთავსებულია საწარმოების და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. მრეწველობის სექტორის სრული დატვირთვით მუშაობის დროს განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ნარჩენები წარმოიქმნა. პოლიგონებზე არსებული ნარჩენები ატმოსფერული ნალექების, მათი სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით მეორადი გამოყენებისა და სხვა პროცესების გამო, გარკვეულ გავლენას ახდენენ ჰაერის, ნიადაგის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების ტოქსიკური ელემენტებით (მანგანუმი, თუთია, სპილენძი, ნიკელი, ტყვია, ვერცხლისწყალი და სხვ.) დაბინძურებაზე.

ურბანიზაციის პროცესების უარყოფითი გავლენა ბუნებრივი წყლების ხარისხზე გამოწვეულია გაჭუჭყიანებული სამრეწველო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების, აგრეთვე დასახლებული ტერიტორიებიდან ზედაპირული ჩამონადენის უშუალო ჩაღვრით წყლის ობიექტებში. ბუნებრივი წყლების გაჭუჭყიანებაში არსებითი წვლილი შეაქვს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მეურნეობათა ჩამდინარე წყლებსაც. მდინარეებში ჩამდინარე წყლების ჩაღვრასთან დაკავშირებით ხდება ჩამონადენის რაოდენობრივი მატება, მაგრამ მკვეთრად უარესდება წყლის ხარისხი და, აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს წყლის რესურსების გამოფიტვას.

თბილისის ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობის რაოდენობა 90-იან წლებში შეადგენდა 1275 ათას კაცს, ჩამდინარე წყლების მაჩვენებლები 1990 წლის დონეზეიყო სულ 103,7 მლნ.$მ^3$, ერთ კაცზე კი წელიწადში – 81,33 $მ^3$. სამრეწველო საწარმოებიდან მდ.მტკვარში უშვებდნენ ნარჩენებს, რომლებიც შეიცავდა 70-მდე გამჭუჭყიანებელ ნივთიერებას, მათ შორის ტოქსიკურსაც. მეტალურგიული და ქიმიური საწარმოებიდან ჩამდინარე წყლები ჩვეულებრივ შეიცავს 10 ათას მგ/ლ შეწონილ ნივთიერებებს, 30 მგ/ლ ამიაკს, 2 მგ/ლ ფენოლებს, 0,3 მგ/ლ პირიდინებს, 0,1 მგ/ლ ციანიდებს. ეს შედგენილობა 100-ჯერ და 1000-ჯერ აღემატება ზდკ-ს [1, 6].

"GEO - ქალაქები: თბილისი" 2011წ. ანგარიშის მონაცემებით, თბილისში მდ.მტკვარი ძირითადად ნუტრიენტებით – ამონიუმის იონებით და ნატრიუმის ნიტრიტით ბინძურდება, რომლის კონცენტრაცია რამდენჯერმე აჭარბებს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტებს, საქართველოსა და ასევე ევროკავშირის ლიმიტებს თევზის ეკოსისტემების შენარჩუნებისათვის. მდ.მტკვარში დაკვირვების ყველა წერტილში შეინიშნება ბიოლოგიური ჟანგბადის მოთხოვნის მაღალი მაჩვენებლები.

მძიმე მდგომარეობაშია მცირე მდინარეები, რომლებიც თბილისის ტერიტორიაზე მიედინება. მაგალითად, მდ.ვერე, დაბა წყნეთისა და ვაკის ფეკალური წყლებით გაჭუჭყიანების გარდა, ქალაქის ფარგლებში იღებს სხვადასხვა საწარმოებიდან ჩამდინარე წყლებს. ამის შედეგად მდინარის წყლებში აღმოჩენილია: ამონიუმის ნაერთები (8-27 ზდკ), ნავთობპროდუქტები (60 ზდკ-მდე), სულფატები (10 ზდკ-მდე), ფენოლები (30 ზდკ-მდე), სპილენძის ნაერთები (25 ზდკ), ბაქტერიოლოგიური ნივთიერებები

(ნაწლავის ჩხირი, საპროფილური ბაქტერიები). მდ. დიღმისწყალი (დიღმულა) ვაშლისჯვრიდან შესართავამდე გადაქცეულია ღია საკანალიზაციო თხრილად, რომელიც სავსეა სამრეწველო, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვით. მდ.ლოჭინი გაჭუჭყიანებულია ჩამდინარე წყლებით ნავთობისა და ავტოსატრანსპორტო ბაზებიდან, მეფრინველეობის ფაბრიკიდან და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნიდან.

ამასთან ერთად, თბილისის ტბებსა და რეზერვუარებში აღინიშნება ბაქტერიული და მიკრობიოლოგიური დაბინძურების მაღალი დონე (საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო. ეროვნული ანგარიში საქართველოს გარემოს მდგომარეობის შესახებ, 2007,2009), რაც საჭიროებს პირველი რიგის გადაუდებელ ბუნებადაცვით ღონისძიებებს.

არანაკლებ საგანგაშოა მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობით, კერძოდ, – მიწის ზედაპირის (ნიადაგების), ზედაპირული წყლების, ატმოსფერული ნალექების გაჭუჭყიანებით.

განსაკუთრებით საყურადღებოა მდ.არაგვის ჭალის ტერასების თანამედროვე ალუვიური ნალექების გრუნტის წყლების, ჟინვალის მთავარი და ბოდორნის ბუფერული წყალსაცავების წყლის ხარჯის მდგომარეობა. მკვებავი მდინარის დაბინძურების შემთხვევაში დიდია გრუნტის წყლებში ეკოტოქსიკანტების მოხვედრისა და სასმელი წყლების ხარისხის მკვეთრი გაუარესების ალბათობა.

90-იანი წლების შემდეგ გამოვლინდა წყალგასაყვანი მოცულობების შემცირების ტენდენცია, საწარმოთა დიდი ნაწილის გაჩერების გამო. მაგალითად, თბილისის ზონაში წყალგაყვანის მოცულობა შემცირდა 274 მლნ. $მ^3$-დან 128 მლნ. $მ^3$-მდე, ანუ 53%-ით. ამ გარემოებას შეეძლო ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესება, მაგრამ ასე არ მოხდა, გამწმენდი ნაგებობების არაეფექტური მუშაობის ან საერთოდ მათი არარსებობის გამო.

წყალმომარაგების სფეროში ერთ-ერთ უმძაფრეს პრობლემას სასმელი წყლის ხარისხი წარმოადგენს. 2001 წლის მონაცემებით [11], სასმელი წყლით მომარაგების მდგომარეობა და სასმელი წყლის ხარისხი ქვეყნის მასშტაბით არ იყო დამაკმაყოფილებელი. ქ.თბილისშიც კი რეგისტრირებული იყო სასმელი წყლის დაბინძურების შემთხვევები, რაც პირველ რიგში, წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემის არადამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობას უკავშირდებოდა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით, თბილისში 2001 წელს აღინიშნა ამებიოზის 115 შემთხვევა, ხოლო სოფლებში წყლის ხარისხთან დაკავშირებული დაავადებების რეგისტრაცია საერთოდ არ ხდებოდა.

შექმნილი მდგომარეობა ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ზედაპირული წყაროების დაბინძურების ინგრედიენტული მონიტორინგი, რისთვისაც მეცნიერთა ჯგუფის მიერ დამუშავებული და დანერგილია წყალმომარაგების ზედაპირული წყაროების დაბინძურების ხარისხობრივი შეფასებისა და პროგნოზირების ბაზური დესკრიფციული მოდელები [12]. მათი გამოყენება წყლის ნებისმიერი ობიექტის ეკოლოგიური მდგომარეობის კლასიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული დესკრიფციული მოდელების ანალიზური ბაზის საფუძველზე შექმნილია ნებისმიერი ზედაპირული წყლის ობიექტის ინგრედიენტული მონიტორინგის მრავალმიზნიანი საინფორმაციო-კომპიუტერული სისტემა, რომლის ფუნქციონირებაც შესაძლებელია თანამედროვე საერთაშორისო კომუნიკაციური (ინტერნეტ) ქსელების დახმარებით.

ამჟამად დედაქალაქის მოსახლეობის სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგი ხორციელდება კომპანია GWP ცენტრალური ლაბორატორიის მიერ იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია სასმელი წყლის ტექნიკურ რეგლამენტში. არსებული ტექნიკური რეგლამენტი შემუშავებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHOO) რეკომენდაციების, ევროდირექტივის მოთხოვნებისა და კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით. იგი ადგენს ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სასმელი წყლის სანიტარიულ ნორმებს.

სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ (დეკემბერი, 2007) და განსაზღვრავს წყლის ხარისხის მაჩვენებლებს და პარამეტრებს, ადგენს მათი შეფასების ჯერადობას, გამოსაკვლევი სინჯების რაოდენობას, სასმელი წყლის კონტროლის და მონიტორინგის სქემას.

დედაქალაქის სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგს ახორციელებენ კომპანია GWP-ის ლაბორატორიები, რომლებიც განლაგებულია სათავე ნაგებობებზე და iso/iek 17025:2010 სტანდარტით აკრედიტებული ცენტრალური ლაბორატორია, რომელიც მდებარეობს ღრმაღელეში, თბილისის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე. ლაბორატორიები მუშაობენ უწყვეტი ციკლით, 24-საათიან რეჟიმში.

კომპანიის ლაბორატორიებში სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლები: ზოგადი, ორგანოლეპტიკური, არაორგანული და ორგანული ნივთიერებები, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური და ვირუსოლოგიური და რადიოლოგიური მაჩვენებლები.

ცენტრალური ლაბორატორიის მიერ ჩატარებული ქიმიურ-მიკრობიოლოგიური ანალიზების რაოდენობა შეადგენს: ქალაქის ქსელიდან ყოველთვიურად 400-450 ანალიზს; სათავე ნაგებობებიდან ნედლი წყლის ანალიზი ყოველთვიურად – 29; სათავე ნაგებობებიდან (არაგვის ხეობა, ღრმაღელე და სამგორი) – 5-5 (სულ 15) მიკრობიოლოგიური ანალიზი; ანალიზები ქალაქის რეზერვუარებიდან საჭიროების მიხედვით

(ძირითადად გარეცხვის შემდეგ). წყალმომარაგების სათავეების წყლებზე ტარდება რუტინული და სრული ქიმიურ-მიკრობიოლოგიური მონიტორინგი: სამგორში, ბულაჩაურში, ღრმაღელეში, საგურამოში და ნატახტარში.

ქვემოთ მოყვანილია რუტინული ანალიზის პარამეტრები, რომელთა ყოველდღიური გამოკვლევა ტარდება წყალმომარაგების სათავეების ლაბორატორიებში (გარდა მიკრობიოლოგიური კვლევებისა, რომლებსაც ატარებს ყოველდღიურად ცენტრალური ლაბორატორია). სათავე ნაგებობათა ლაბორატორიებს ფორს-მაჟორული სიტუაციების დროს (წყალდიდობები, წყალმოვარდნები და სხვა საგანგებო შემთხვევები) უხდებათ დამატებითი ანალიზების ჩატარება წყლის დამუშავების დამატებითი ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით, როგორიცაა, მაგალითად, გააქტიურებული ნახშირის და ჭარბი კოაგულანტის გამოყენება.

კომპანიაში ფუნქციონირებს წყლის ხარისხისა და ცენტრალური ლაბორატორიის აკრედიტების მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც კოორდინაციას უწევს სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, განსაზღვრავს ლაბორატორიის ხარისხის მენეჯმენტის პოლიტიკას მოქმედი რეგლამენტების, სტანდარტების და სხვა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, აწარმოებს ლაბორატორიის ფუნქციონირებაზე სისტემატურ მონიტორინგს.

ეკონომიკის აღორძინება და შემდგომი განვითარება გამოიწვევს ქვეყანაში და კერძოდ, დედაქალაქში, სადაც თავმოყრილია მოსახლეობისა და საწარმოთა დიდი ნაწილი, წყლის ობიექტების გაჭუჭყიანების ზრდას, რომლისაგან დაცვისათვის მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული: ჩამდინარე წყლების ხარისხისა და რაოდენობის აღრიცხვისა და კონტროლის რაციონალური სისტემის შექმნა; წყალტევად წარმოებათა განლაგება წყლის რესურსების რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით; გამწმენდი სისტემების მოდერნიზაცია და თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონის გამწმენდ ნაგებობათა ეტაპობრივი მშენებლობა; წყლის რესურსების დაბინძურების და წყალმომარაგების სისტემების ფუნქციონირების ხარისხის შეფასება-პროგნოზირებაში დესკრიფციული (აღწერითი) მოდელირების გამოყენება წყალსარგებლობის კატეგორიების შესაბამისად და სხვ.ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა, რომლის წინაშეც დადგება წყლის მართვის სექტორი უახლოესი წლების განმავლობაში, არის წყლის რესურსების მართვის არსებული ცენტრალიზებული სისტემის შეცვლა ინტეგრირებული და მდინარის აუზზე ორიენტირებული მიდგომით.

ცხრილი 2

**თბილისის წყლის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები და ნორმატივები**

| № | ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები | საზომი ერთეული | ნორმატივი |
|---|---|---|---|
| 1 | ფერიანობა | ხარისხი | 15 |
| 2 | სუნი $20^0$ C ; $60^0$ C | ბალი | |
| 3 | გემო $20^0$ C | ბალი | |
| 4 | სიმღვრივე | მგ/ლ | |
| 5 | წყალბადის მაჩვენებელი | პ | |
| 6 | ამონიუმი | მგ/ლ | |
| 7 | ნიტრიტები (NO2) | მგ/ლ | |
| 8 | ნიტრატები (NO3) | მგ/ლ | |
| 9 | პერმანგანატული ჟანგვადობა, O2 | მგ/ლ | |
| 10 | ქლორი ნარჩენი თავისუფალი | მგ/ლ | |
| 11 | ქლორიდები (CI-) | მგ/ლ | 250 |
| 12 | მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები | კწე 1 მლ-ში<br>$37^0$ C<br>$22^0$ C | 20<br>100 |
| 13 | E- coli | | არ დაიშვება |
| 14 | საერთო კოლიფორმული ბაქტერიები | ბაქტერიების რაოდ.300 მლ-ში | არ დაიშვება |

**Summary**

*K. Makharadze*
*R. Pirtskhalava*

Tbilisi drinking water resources and some problems of their ecological safety

The drinking water supply of Tbilisi is mainly carried out from underground springs represented by Natakhtari and Mukhrani headwaters located in the Aragvi gorge. The total capacity of both ones is 16-17 $m^3$/sec. Totally 21.0$m^3$/sec (660 million $m^3$ annually) is piped to the city water-supply network. There are serious water losses in the old city water supply systems, mainly in water pipes and sanitary facilities of dwelling houses and social building. Almost 60% of the existed water pipes were built 50 years ago and most of them should be renewed. Tbilisi sewerage system and most street manifolds are very old and should be renewed as well. The problem should be solved by means of modernization of water-supply network and replacement of the existent equipment with water-saving models, as well as raising of water consumption culture among the citizens, country-wide installation of water-meters, etc.

It is vitally important to keep and improve the quality of drinking water that requires the incessant sanitary protection of water objects with permanent monitoring, modernization of water-treating facilities, implementation of modern technical-technological equipment, etc.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Природные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования. КЕПС при Президиуме АН Грузии. Мецниереба, Тбилиси, 1991
2. კ.ბეთანელი, მ.ჩიჯავაძე, ქ.მახარაძე. საქართველოს სასმელი წყლის რესურსები, მათი რაოდენობრივი, თვისებრივი და ტექნიკური მაჩვენებლები. ჟ. მეცნიერება და ტექნოლოგიები "№1-3, 2002
3. ინფორმაციული ბიულეტენი მიწისქვეშა ჰიდროსფეროს ეკოლოგიური მდგომარეობის და საშიში გეოლოგიურო პროცესების შესწავლის და პროგნოზირების შესახებ. საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2000
4. Гидрогеология СССР.Т.Х.Грузинская ССР. М.Недра, 1970
5. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-საქსტატი. თბილისი, 2011
6. ირ.ჟორდანია, თ.ურუშაძე, ქ.მახარაძე, რ.ფირცხალავა. თბილისის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები (წყლის რესურსები). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სტუ-ს საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. თბილისი, 2012
7. ი.ჟორდანია, მ.ჩიჯავაძე, გ.გობეჩია, ქ.მახარაძე. ქვემო ქართლის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები (წყლის რესურსები). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. თბილისი, 2003
8. GEO–ქალაქები: თბილისი. ანგარიშის რეზიუმე გადაწყვეტილების მიმღებთათვის, 2011
9. გ. გობეჩია, ქ. მახარაძე. მტკნარი წყლის რესურსები - ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ჟ. მეცნიერება და ტექნოლოგიები №4-6, 2007
10. ა.მინდორაშვილი. წყალი და ჯანმრთელობის პრობლემები საქართველოში. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი" №117, 2010
11. სასმელი წყლის ხარისხის და მომარაგების სტრატეგია. UN-ECE/WHO პროექტი "წყალი და ჯანმრთელობა" ოქმის განხორციელება საქართველოში. დანიის გარემოს დაცვის სააგენტო, დანიის ჰიდროლოგიის ინსტიტუტი. საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროები, 2003
12. ზ.ციხელაშვილი, ბ.ჭურჭელაური, გ. მეტრეველი. წყლის დაბინძურების ხარისხის დესკრიფციული მოდელირება. ჟ.მშენებლობა, "№2(13), 2009

# ,,ბრენდინგი''- ქვეყნების გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში პოზიციონირების საშუალება

*ნანი მამფორია,*
*სტუ-ს დოქტორანტი*

უწინარესად საინტერესოა გარკვევა იმისა, თუ რა აღინიშნება ცნებით ,,ქვეყნის ბრენდინგი". ეს მოვლენა ,,ადგილის ბრენდინგის" ერთ-ერთი შედარებით თანამედროვე მიმართულებაა. ქვეყნის ბრენდად ქცევის კონცეფციას თავდაპირველად საფუძვლად დაედო ნეოლიბერალიზმის თეორია, რომლის ქვაკუთხედი ბაზრის ყოვლისშემძლეობის აღიარებაა. ამ დოქტრინის მიმდევართა აზრით, ქვეყნები სულ უფრო ემსგავსებიან კორპორაციებს. ისინი მეწარმე სუბიექტების მსგავსად სხვადასხვა მიმართულებით ერთვებიან კონკურენტულ ბრძოლაში, რისთვისაც იყენებენ ნაირგვარ ბერკეტებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური მეთოდები. ამგვარ მოსაზრებებს ჯერ კიდევ 1970-იან წლებში გამოთქვამდა პოლიტოლოგი და ნეორეალიზმის თეორეტიკოსი კენეტ უელცი. იგი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო პოლიტიკის წარმართვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლის მიღება. სწორედ ამ დროიდან ტერმინი კონკურენტუნარიანობა, რომელიც ადრე მხოლოდ კომპანიების მეტოქეობის აღმნიშვნელად გვევლინებოდა, დამკვიდრდა პოლიტიკურ ლექსიკონში სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთობების დასახასიათებლად. კონკურენტული ბრძოლის წარსამართად კი, გარდა ქვეყნების არსენალში არსებული სხვადასხვა, მათ შორის ძალისმიერი ინსტრუმენტებისა, მარკეტინგული ღონისძიებების გამოყენებაცაა საჭირო.

ნეოლიბერალების აზრით, ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს ბაზარი არეგულირებს და აქედან გამომდინარე, ყველაფერი შეიძლება (უნ-და) გაიყიდოს, რადგან მთავარია ეფექტიანობის მიღწევა ყველგან და ყველაფერში. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მოსაზრებები საკმაოდ მძლა-ვრობს თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში და უკვე დიდი კამათია იმის შესახებ, მოხდეს თუ არა სახელმწიფოს ისეთი საბაზისო ფუნქციების პრი-ვატიზება, როგორიც არის თავდაცვა, საპოლიციო, პენიტენციალური თუ საფინანსო ადმინისტრირება, ჯერ ეს პოლემიკის ჩარჩოებს არ გასცილებია და არავის წარმოუდგენია ადამიანის ყოფიერების სრული ,,მარკეტიზაციის" დასრულებული კონცეფცია. თუ დავუშვებთ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს ყველა, ან მისი რომელიმე ფუნდამენტური ფუნქცია, შეიძლება გახდეს კანონიერი აღებ-მიცემობის საგანი, მაშინ, ალბათ, უნდა დავეთანხმოთ იმ მოსაზრებებს, რომელთა თანახმადაც საქონლის თუ კომპანიისა და ქვეყნის ბრენდიგს შორის არ არის დიდი განსხვავება. მაგალითად, ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების დარგში ნორვეგიელი პროფესორი მაგნე სუპხალენი თვლის, რომ პროდუქციისა და ქვეყნის ბრენდინგი თითქმის ერთი და იგივეა. განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ ქვეყნის ბრენდინგის დროს გაცილებით ძნელია ინტეგრირებული კომუნიკაციების გატარება, მაგრამ ჩვენ ქვეყნისა და საქონლის თუ კომპანიის ბრენდინგის სრული გაიგივება არ მიგვაჩნია მართებულად და ვთვლით, რომ ამ ორ საქმიანობას შორის ძალიან ბევრი განსხვავებაა.

საქონლისა და კომპანიის ბრენდინგს უკვე დიდი ხნის ისტორია აქვს და ამ მხრივ დაგროვილი ცოდნაც მეტად მრავალფეროვანია. ცხადია, რომ ქვეყნის ბრენდინგის დროს ამ გამოცდილების უგულებელყოფა წარმოუდგენელია, მაგრამ აუცილებელია გათვალისწინება მთელი რიგი სპეციფიკური მომენტისა. უპირველესი ის არის, რომ საქონელი, ისევე როგორც კომპანია, განკუთვნილია ბაზარზე გასატანად, მაგრამ როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქვეყნის პირდაპირი გაყიდვის აქტი ჯერ არსად დაფიქსირებულა. გამომდინარე აქედან, ქვეყნის ბრენდინგს მხოლოდ ირიბი მოქმედების ეფექტი შეიძლება ჰქონდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კუთხით გაწეული დანახარჯები პირდაპირ არ იძლევა უკუგებას, როგორც საქონლის ბრენდინგის შემთხვევაშია. გარდა ამისა, ქვეყნის ბრენდინგი არის მრავალი დაინტერესებული მხარის შეთანხმებული საქმიანობა, რაც აღნიშნული მოღვაწეობის უმთავრეს პრობლემადაც გვევლინება. სხვადასხვა ძალების მჭიდრო ურთიერთქმედების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს იმიჯის მიზანმიმართული ფორმირება. სხვადასხვა ძალებში იგულისხმება არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურები და კომერციული სექტორი, არამედ ისეთი სფეროს წარმომადგენლებიც, როგორიც არის ხელოვნება, განათლება და, რა თქმა უნდა, პრესა. აქვე უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ბრენდინგი არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს აფიორას ან თუნდაც არარეალური ინფორმაციის გამოყენებას. ის ყოველთვის არის ხერხი სინამდვილის ახლებური წარმოჩენისა.

ახალი საქონლის წარმოების თუ კომპანიის შექმნის მხრივ კომერციული სექტორი დიდი დინამიზმით ხასიათდება. ტერმინი ბრენდინგი კი სწორედ სიახლეზე მიუთითებს. პოლიტიკური ლანდშაფტი კი უფრო კონსერვატულია ვიდრე ბიზნეს-გარემო. ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა და სადღეისოდ მსოფლიოში არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 193 ქვეყანა, რომელთაგან თითოეულს გააჩნია საკუთარი იმიჯი. გამომდინარე აქედან, ქვეყნების შემთხვევაში საქმე უფრო ხშირად გვაქვს რებრენდინგთან და არა ბრენდინგთან, რადგან როგორც ფილიპ კოტლერი აღნიშნავს ,,ბაზარზე ახალი პროდუქტი არის ტაბუ-

ლა რასა - სუფთა დაფა, მაგრამ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საკუთარი წარსული, სხვა ქვეყნებთან ურთიერთქმედების ისტორია. იგი ვერასდროს შეძლებს საკუთარი იერ-სახის მთლიანად შეცვლას. ამავე დროს ის ვერას გზით შეცვლის ისეთ მახასიათებლებს, როგორიც არის საკუთარი მოსახლეობის კანის ფერი, კულტურა, ლანდშაფტი, რათა გადაიქცეს წარმატებულ, ლამაზ მოწესრიგებულ ბრენდად". ე. ი. შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არსებობენ და მათ მიმართ მსოფლიოში ფორმირებულია შეხედულებები, უნდა იქნას გამოყენებული რებრენდინგის მეთოდოლოგია, მაგრამ ჩვენი ეპოქა იმითაც არის რთული, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში პლანეტაზე გაჩნდა რამდენიმე ათეული ახალი სახელმწიფო, რომელთა საერთაშორისო ცნობადობა მინიმალუ-რი იყო. ალბათ მათმა წარმოქმნამ ჩამოაყალიბა ქვეყნის ბრენდინგისადმი სისტემური მიდგომა 90-იანი წლების შუა ხანებში.

ქვეყნის მიზანმიმართული ბრენდინგის პირველ მცდელობად უნდა ჩაითვალოს რეკლამის ცნობილი სპეციალისტის დევიდ ოგილვის საქმიანობა XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში. მან პუერტო-რიკოს მთავრობის დაკვეთის შემდეგ დაიწყო ამ სახელმწიფოს იმიჯზე მუშაობა. აღნიშ-ნული კონტრაქტის მთავარი მიზანი იყო როგორმე გაეზარდათ ამერიკელი ტურისტების ნაკადი პუერტო-რიკოში, რისთვისაც აუცილებელი იყო შეცვლილიყო ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულება. მაშინ ოგილვიმ აბსოლუტურად ზუსტად დაინახა პრობლემა და აღნიშნა, რომ ,,ჩვენ უნდა შევცვალოთ პუერტო-რიკოს უბადრუკი იერსახე, რაც სადღეისოდ მატერიკის მცხოვრებთა უმეტესობის გონებაში არსებობს. ეს მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის მშენებლობისათვის, ტურიზმისათვის, აგრეთვე მისი პოლიტიკური ევოლუციისათვის". ამ ფრაზით მან მიანიშნა, რომ ქვეყნის იმიჯის შექმნა კომპლექსური ამოცანაა, რომელიც ყველა დასაშვები და ხელმისაწვდომი საშუალებით უნდა განხორციელდეს და მარტო ერთი დარგისათვის ამგვარი მცდელობა წარმატებული ვერ იქნება. მას შემდეგ, რაც ოგილვის ხუთ წლიანმა საქმიანობამ პუერტო-რიკოსათვის დადებითი შედეგი გამოიღო, მან უფრო აქტიური სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობა წამოიწყო ამ მიმართულებით.

პირველად ცნებები ,,ქვეყანა-ბრენდი" და ,,ქვეყნის ბრენდინგი" სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმოქცევაში 1996 წელს შემოიღო ბრიტანელმა ექსპერტმა საიმონ ენჰოლტმა. იგი სადღეისოდ ცნობილია, როგორც ერთერთი დიდი მკვლევარი და პრაქტიკოსი აღნიშნული მიმართულებით. ენჰოლტი არის რამდენიმე ევროპული ქვეყნის მთავრობის მრჩეველი ბრენდინგის საკითხებში. გარდა კომერციული საქმიანობისა, ის ყოველწლიურად ატარებს ქვეყნის და ქალაქის ბრენდის ინდექსის დადგენასთან დაკავშირებულ გამოკვლევებს. სამუელ ენჰოლტმა და ევროპაში უძველესმა მარკეტინგული კვლევების სააგენტომ GFK ჯგუფმა დაიწყეს ერთობლივი პროექტის განხორციელება, რომელიც ეძღვნება ქვეყანა ბრენდების გამოკ-ვლევის საკითხს. ეს კვლევები ტარდება შემდეგი ექვსი პარამეტრის მიხედვით:

ექსპორტი - ფასდება ამა თუ იმ ქვეყნის პროდუქციის იმიჯი და ის დაინტერესება, რომელიც გააჩნიათ მომხმარებლებს მის მიმართ;

მთავრობა - ტარდება საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მთავრობის პატიოსნების და კომპეტენტურობის დონის განსასაზღვრად;

კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა - აჩვენებს, თუ რა დონეზეა თითოეული ქვეყნის კულტურა, როგორი მემკვიდრეობა გააჩნია მას ამ მხრივ, აქვე განიხილება სპორტული მიღწევებიც;

ადამიანები - იზომება მოსახლეობის რეპუტაცია ისეთი სფეროების მიხედვით, როგორიც არის ცოდნა, განათლება, გულღიაობა, სტუმართმოყვარეობა;

ტურიზმი - ფასდება ქვეყნის ტურისტული პოტენციალი. მისი მონახულების მსურველთა რაოდენობა და განწყობები;

ინვესტიციები და იმიგრაცია - განისაზღვრება ქვეყანაში ცხოვრების, მუშაობის, განათლების მიღების, აგრეთვე იქ არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მომხიბლავობა.

ქვეყანა ბრენდის შეფასების ამ მეთოდს ენჰოლტის ექვსკუთხედსაც უწოდებენ. საინტერესოა, რომ ენჰოლტსა და GFK ჯგუფს საკუთარი ბრენ-დის შეფასება შეუკვეთა მსოფლიოს ბევრმა სახელმწიფომ, რომელთა შორის არის ეკონომიკურად განვითარებული ყველა ქვეყანა. ეს ფაქტიც ადასტუ-რებს, რომ ქვეყნის ბრენდინგისადმი მსოფლიოში უკვე ძალზე სერიოზული დამოკიდებულებაა.

ქვეყნის ბრენდინგთან დაკავშირებულ კვლევებში, ამ საკითხით დაკავებული მეცნიერები და პრაქტიკოსები გამოყოფენ სამ მიმართულებას, რომ-ლებზედაც განსაკუთრებით მოქმედებს სახელმწიფოს იმიჯი. ესენია: ინვესტიციების მოზიდვა, ტურიზმისა და ექსპორტის წახალისება.

ტურიზმისა და ქვეყნის ბრენდინგის დაკავშირება სრულიად ლოგიკურია. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს იმიჯთან დაკა-ვშირებული პირველი კვლევები სწორედ ამ დარგის საჭიროებათა გამო წარიმართა. სადღეისოდაც ქვეყნის ბრენდინგის ეკონომიკური მიზნებიდან უმნიშვნელოვანესი სწორედ ტურიზმის წახალისებაა. რაც შეეხება ექსპორტს, აქაც კავშირი სრულიად აშკარაა, უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საინტერესო მოვლენასთან, როდესაც ხარისხიან საქონელს და მძლავრ კომპანიებს წვლილი შეაქვთ სახელმწიფოს საქმიანი რეპუტაციის ფორმირებაში, ხოლო ქვეყნის იმიჯი კი, თავის მხრივ, ზრდის მათ ფასეულობას.

წარმატებული დარგები და კომპანიები არსებითად ცვლიან მშობლიური ქვეყნის იმიჯს. ამ შემთხვევაში თამამად შეიძლება ითქვას, რომ სარგებელი ურთიერთგანმაპირობებელია. მაგალითად, გერმანია მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერია თანამედროვე ტექნოლოგიების და ხარისხის მხრივ. მისი

ბიზნეს-იმიჯი ათწლეულების მანძილზე იქმნებოდა ისეთი ფირმების მიერ, როგორიც არის მერსედესი, ვოლკსწაგენი, შიმენსი, ბაყერი და ა. შ. სამაგიეროდ გერმანიაში ახლად დაარსებული ფირმა და მისი პროდუქცია მყისიერად ხდება ინტერესის ობიექტი მომხმარებელთა მხრიდან, სწორედ წარმოშობის ადგილის რეპუტაციიდან გამომდინარე. იგივე შეიძლება ითქვას მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოზეც. მაგალითად იაპონია, რომელიც უპირობოდ ითვლება ლიდერად ელექტროტექნიკური პროდუქ-ციის ბაზარზე და ამ და სხვა სფეროებშიც დამღა, ,,Made in Japan", თავის-თავად არის ხარისხის და მაღალი ტექნოლოგიების მიმანიშნებელი. ხშირია შემთხვევები, როდესაც პროდუქციის და ქვეყნის დასახელება ერთად ქმნის უნიკალურ ბრენდს, ამის მაგალითია ფრანგული სუნამო და ღვინო, იტალიური სამზარეულო, ინგლისური მაუდი....

სახელმწიფომ მთელი ძალების მობილიზება უნდა შეძლოს, თუ სურს პოზიტიური საერთაშორისო და თუნდაც საშინაო იმიჯის დამკვიდრება. მიუხედავად იმისა, რომ ბრენდინგი, როგორც მარკეტინგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორია სახელმწიფო მოღვაწეთა ლექსიკონში გამოჩნდა 1990-იანი წლებიდან, ეს საქმიანობა უკვე გახდა ქვეყნის წარმატების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომლის უგულებელყოფაც უკვე არ შეიძლება და ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელსაც სურს საერთაშორისო სივრცეში ღირსეული პოზიციონირება, აუცილებლად უნდა მიმართოს მას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ბრენდი ,,Georgia" ეკონომიკა №5-6 2009.
2. Country Brand Index 2008 - FutureBrand
3. Имидж страны – http:// www. ipr.by/ru/articles/ art- 2008/art-1.html.
4. Вренд длиа страны любителей брендов -www. kommersant.ru/doc.aspx?...
5. www.brandcannel.com
6. www.gipp.ru/opennews.php?..
7. Ламвен Жан-Жак, Менеджмент, ориентированный на ринок, СПБ,
8. Питер, 2004
9. Холленсен С, Глобалъный Маркетинг, Мн, Новое Знание, 2004
10. http//www. rambler .ru/news/it/o/912052/html
11. www/business.ru/



## რეზიუმე

სტატიაში განხილულია, რომ საქონლისა და კომპანიის ბრენდინგს უკვე დიდი ხნის ისტორია აქვს და ამ მხრივ დაგროვილი ცოდნაც მეტად მრავალფეროვანია.

1970-იან წლებში პოლიტოლოგი და ნეორეალიზმის თეორეტიკოსი კენეტ უელცი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო პოლიტიკის წარმართვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მაქსიმალური ეკონო-მიკური სარგებლის მიღება. სწორედ ამ დროიდან ტერმინი კონკურენ-ტუნარიანობა, რომელიც ადრე მხოლოდ კომპანიების მეტოქეობის აღმნი-შვნელად გვევლინებოდა, დამკვიდრდა პოლიტიკურ ლექსიკონში სახელ-მწიფოთა ეკონომიკური ურთიერთობების დასახასიათებლად.

სტატიაში ვეხებით რეკლამის ცნობილი სპეციალისტის დევიდ ოგილვის საქმიანობას XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში.

ტერმინი ბრენდინგი სიახლეზე მიუთითებს. ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა და სადღეისოდ მსოფლიოში არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 193 ქვეყანა, რომელთაგან თითოეულს გააჩნია საკუთარი იმიჯი. გამომდინარე აქედან, ქვეყნების შემთხვევაში საქმე უფრო ხშირად გვაქვს რებრენდინგთან და არა ბრენ-დინგთან. წარმატებული დარგები და კომპანიები არსებითად ცვლიან მშობ-ლიური ქვეყნის იმიჯს.

სტატიაში სათანადო ყურადღება ეთმობა ქვეყანა ბრენდის შეფასების მეთოდს ე. წ. ,,ენჰოლტის ექვსკუთხედს".

ქვეყნის ბრენდინგი არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს აფიორას ან თუნდაც არარეალური ინფორმაციის გამოყენებას. ის ყოველთვის არის ხერხი სინამდვილის ახლებური წარმოჩენისა.

# რისკების მართვა ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკაში

*ირინა მამალაძე,*
*სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

ფინანსური რისკები ფულის მიმოქცევისა და გამსესხებელ-მსესხებელს შორის ურთიერთობათა წარმოქმნასთან ერთად გაჩნდა, მაგრამ ფინანსური სისტემის განვითარებასთან ერთად რისკების სპექტრი მნიშვნელოვნად გაფართოვდა.რისკების გონივრულად მართვის ამოცანა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო ათწლეულებში. ამის მიზეზია არა იმდენად ცალკეული კომპანიების გაკოტრების კონკრეტულიშემთხვევებიან სახელმწიფო ფინანსების კრიზისები, რამდენადაც მათი აღმოცენებისა და გავრცელების მასშტაბები და სიჩქარე. თუმცა, პრობლემის თავი და თავია არა ხსენებული კრიზისების ან გაკოტრებათა ცალკეული შემთხვევები, რომელთა მოგვარება ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებით შეიძლება, არამედ იმ ფაქტორების სიმრავლე და სერიოზულობა, რომლებიც სულ უფრო მეტი ფინანსური ინსტიტუტებისა და კომპანიების საქმიანობის წარმატებას უქმნიან რისკებს. ასეთი ფაქტორებია:

- გლობალიზაცია, რომლის პირობებშიც ეროვნული მეურნეობები ნაკლებად დაცული ხდებიან სხვა ქვეყნების ეკონომიკური კრიზისების გავლენისგან;
- ფინანსური ბაზრების რეგულირება;
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ზვავისებურად განვითარება;
- ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებმაც შესაძლებელი გახადა გარიგებების დადება დედამიწის ნებისმიერ წერტილშიდა ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებისდაჩქარებას შეუწყო ხელი და ა.შ. [1].

თუ ფინანსების სისტემას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აქტივების ფასები წამებში შეიძლება შეიცვალოს; თვითონ ინსტრუმენტები სულ უფრო და უფრო იხვეწება; რთულდება საინვესტიციო პორტფელების სტრუქტურა; ერთი დღის მანძილზე შესაძლო დანაკარგების თანხამ კი ასეულ მილიონობით დოლარს შეიძლება მიაღწიოს.

მსხვილი ფინანსური ინსტიტუტებისთვის კარგა ხანია გასაგები გახდა ის ფაქტი, რომ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების აღსაკვეთად აუცილებელია ყოველდღიურად აღირიცხოს შესაძლო დანაკარგები ცალკეული ოპერაციების, კლიენტების, ქვედანაყოფისა და საქმიანობის მიმართულებების მიხედვით, ინტეგრალურად შეფასდეს კომპანიის მთლიანირისკი. [2].

კორპორაციების ფინანსურ რისკებს აჩენს მათი მესაკუთრეების ან მენეჯერების მიერ მიღებული ის ალტერნატიული ფინანსური გადაწყვეტილება, რომელიც ფინანსური საქმიანობის სასურველი შედეგის დადგომაზეა ორიენტირებული სავარაუდო ეკონომიკური ზარალის (ფინანსური დანაკარგების) გათვალისწინებით. ასეთი რისკები წარმოიშობა ფინანსურ ინსტიტუტებთან (საფინანსო, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიებთან, ბანკებთან და ბირჟებთან) კორპორაციების ურთიერთობათა პროცესში. თვით ფინანსური რისკების მიზეზები მრავალია:

- ინფლაციური ფაქტორები;
- ბანკის გასანაღდებელი განაკვეთის აწევა;
- ფასიანი ქაღალდების გაუფასურება და სხვა.

ფინანსური რისკები დიდი ალბათობითშეგვიძლია შევაფასოთ და თავი ავარიდოთ მათ, ანუ თავი შევიკავოთ სარისკო ღონისძიებების განხორციელებისგან, მაგრამ რისკზე უარის თქმა შესაძლო მოგებაზე უარის თქმასაც ნიშნავს. ამიტომ რისკებს ყველა შემთხვევაში კი არ გაურბიან, არამედ გონივრულად მართავენ მათ, იყენებენ ისეთ ხერხებს, რომლებიც სარისკო მოვლენების დადგომის პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევიან, და მიმართავენ მათი დონის შემცირების ზომებს.

რისკების ეფექტიანად მართვაში ძალიან მნიშვნელოვანია მათი კლასიფიკაცია, რათა ვიცოდეთ თითოეული სახის რისკის ადგილი რისკების მთლიან სისტემაში.

რისკების სპექტრის გაფართოება და მათი შემცირების ეფექტიანი გზების ძიება აქტუალურს ხდის რისკ-მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკას.

რისკების მართვის წარმატება დამოკიდებულია კონკრეტულ ეკონომიკურ, იურიდიულ და ორგანიზაციულ გარემოში მენეჯერთა მიერ გამოყენებულ ინსტრუმენტებზე. მენეჯერთა არსენალი ძალიან მრავალფეროვანია, მათ შორის, ყველაზე გავრცელებული მეთოდებია: დაზღვევა, რეზერვირება ანუ თვითდაზღვევა, ჰეჯირება, დივერსიფიკაცია, განაწილება, მინიმიზაცია და სარისკო ოპერაციიდან თავის არიდება. სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და რისკების მართვის ეფექტიანობის მისაღწევად იყენებენ რისკების მართვის მეთოდების კომბინაციებს. [3].

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ორგანიზაციები და ინვესტორები ძირითადად რისკების მართვის ორ მეთოდს იყენებენ: თვითდაზღვევასა და დაზღვევას. ითვლება, რომ ორივე მექანიზმი თანაბრად უზრუნველყოფს მოსალოდნელი ზარალის კომპენსაციას, მაგრამ რომლის გამოყენებაა უფრო ეფექტიანი კონკრეტულ შემთხვევაში, დამოკიდებულია კომპანიის ღირებულებაზე, რაშიც იგულისხმება თავისუფალი აქტივების ღირებულება (ყველა აქტივისა და ვალდებულების სხვაობა).

რისკების მართვის სრულყოფისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ რისკების სწორი იდენტიფიკაცია, გაზომვა – შეფასება და შემცირების ეფექტიანი მეთოდის შერჩევა. საჭიროა ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება, ორგანიზაციული კულტურის განვითარება და რისკების მართვის კონტროლის პროცესის სწორად წარმართვა. განვითარებულ ქვეყნებში თითქმის ყველა მსხვილი და საშუალო ორგანიზაციის მართვის სისტემაში შექმნილია სპეციალური რგოლი ე.წ. ,,რისკების მართვის ცენტრი" (Corporate governance), რომელიც ეხმარება ანგარიშვალდებულ ერთეულებს შეაფასონ რისკები, შეიმუშაონ და განახორციელონ მათზე მანიპულირების ღონისძიებები. ამ მოსაზრებით, რისკმენეჯმენტი წარმოადგენს რისკების შეფასების, რისკების მართვისა და ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას, რომელსაც გააჩნია რისკების მართვის სტრატეგია და ტაქტიკა.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში რისკების მართვას ნაკლები ყურადღება ექცევა. ორგანიზაციის მენეჯერები მიიჩნევენ, რომ რისკ-მენეჯმენტი სპეციალიზებული საქმიანობაა და რისკ-ფაქტორების გათვალისწინება მხოლოდ შესაბამისი თანამშრომლების საქმეა (მაგალითად, საკრედიტო ოფიცრის, ბუღალტერ-ანალიტიკოსის და სხვ.). ორგანიზაციებში ყველა განყოფილება (ფუნქციების შესაბამისად) თავად საზღვრავს რისკების მართვის პროცესს, ამასთან ეს პროცესი ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი განყოფილების მენეჯერები და თანამშრომლები ამას საჭიროდ ჩათვლიან. თანამედროვე ეტაპზე კი გაცილებით ეფექტიანია, რომ ორგანიზაციაში რისკების მართვის კოორდინირებას ახორციელებდეს უმაღლესი ხელმძღვანელობა და ყოველი თანამშრომელი რისკ-მენეჯმენტს თავისი სამუშაოს ნაწილად თვლიდეს; სასურველია ყველა რისკის გათვალისწინება და მათი ოპტიმიზაციის გზების ძიება.

რისკის შეფასება და მართვა ობიექტურ საფუძვლებზე უნდა ხდებოდეს, ვინაიდან თავად რისკის მიზეზებიც და შედეგებიც ობიექტურ ხასიათს ატარებს. მაგრამ რისკების შეფასება სუბიექტურიცაა - რისკ-მენეჯერი ახდენს რისკების იდენტიფიკაციასა და მათ ანალიზს, შესაბამისად ინფორმაციის საიმედოობისა და სიზუსტის აღქმა დამოკიდებულია კონკრეტულ ადამიანზე, მის ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე, ანალიტიკური და მეცნიერული გათვლების შესაძლებლობებსა და ინტუიციაზე. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოდელების რისკის აქტუალურობა.

რისკების მართვის ბოლო კომპონენტია მონიტორინგი და კონტროლი. მონიტორინგით ახორციელებენ რისკების დიაპაზონის პერიოდულ შემოწმებას, რათა მან არ გადააჭარბოს დასაშვებ ზღვარს, კონტროლი კი მიმართულია აქტიური მოქმედებებისაკენ აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად. სწორად ორგანიზებული კონტროლი უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, თანამშრომლებისთვის აუცილებელი დამოუკიდებლობის მინიჭებას და, მეორე მხრივ, თუნდაც უმნიშვნელო შეცდომების თავიდან აცილებას. რისკების მართვის პროცესის კონტროლის ძირითადი მიზანია არა მხოლოდ რისკების შემცირება, არამედ რისკების მართვაზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობის შეფასებაც. [4].

ქართული კომპანიები, მათ შორის მსხვილი კომპანიებიც, ნაკლებად უთმობენ ყურადღებას რისკების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, რაც გამოწვეულია, როგორცქვეყნის განვითარების თავისებურებებით, ისე იმითაც, რომ სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტი მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის შედარებით ახალი მიმართულებაა. საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იზრდება განუსაზღვრელობა, სამეწარმეო რისკების რაოდენობა და მათი მართვის მექანიზმები. შესაბამისად, საქართველოში იზრდება რისკების მართვის მნიშვნელობა და კომპანიების მხრიდან ამ პროცესების შეუფასებლობამ შეიძლება შეაფერხოს მათი განვითარება. [5].

რისკ-მენეჯმენტი შედარებით უფრო განვითარებულია ერთობლივ საწარმოებში, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ უცხოელი დამფუძნებლების ან პარტნიორების გამოცდილება. მიუხედავად ამისა, მსხვილ და ერთობლივ საწარმოებშიც რისკ-მენეჯმენტის სისტემა ფრაგმენტულ, ეპიზოდურ და შეზღუდულ ხასიათს ატარებს. მაგალითად, კომპანიათა უმრავლესობა რისკების იდენტიფიცირებისას არ განიხილავს სტრატეგიულ რისკებს, როგორებიცაა: რეპუტაციის რისკი, ტექნოლოგიური ინოვაციების რისკი, დემოგრაფიული, სოციალური რისკები და სხვა. საერთოდ არ განიხილება მოდელების რისკი, რაც სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან კომპანიათა უმრავლესობა არ იყენებს რისკ-მენეჯმენტის მოდელებს; ამასთან, სტატისტიკურ მონაცემთა ბაზები ძირითადად მხოლოდ საფინანსო ორგანიზაციებს გააჩნიათ. არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ რისკების მართვას კომპანიებში ამა თუ იმ თანამდებობის პირები ახორციელებენ და არა სპეციალური განათლების მქონე პირები. აღნიშნული პროცესები დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის. ბიზნესის განვითარებისა და მენეჯმენტის სრულყოფის კვალობაზე საქართველოში რისკ-მენეჯმენტი აუცილებლად გახდება აქტუალური. ამ სტატიაში ყურადღებას ვამახვილებთ სავალუტო რისკების მართვის პრაქტიკაზე არაფინანსურ კორპორაციებში, რომელიც ჩვენს დროში საგრძნობლადაა შეცვლილი.

რისკების მართვას თავდაპირველად მიმართავდნენ კორპორაციების ცალკეული ქვედანაყოფების დონეზე და მისი მთავარი ამოცანა იყო სავალუტო კურსების რყევით გამოწვეული დანახარჯების მინიმიზირება. დღეს კორპორაციები ეწევიან ამ რისკების როგორც მოკლე ისე გრძელვადიან მართვას მთელი ორგანიზაციის მასშტაბით, რისთვისაც იყენებენ ჰეჯირების ფინანსურსა და არაფინანსურ სტრატეგიებს. ამ დროს მთავარ ამოცანად მიჩნეუ-

ლია, ერთი მხრივ, გაცვლითი კურსების არასასურველი ცვლილებებით განპირობებული რისკების შემცირება, ხოლო, მეორე მხრივ, სასიკეთო ცვლილებების წყალობით სარგებლის მიღება [2].

იმ კორპორაციისთვის ჰეჯირების მიზნით დერივატივების გამოყენება, რომელსაც სავალუტო რისკი ემუქრება, დაახლოებით 5%-ით ზრდის მის ღირებულებას. ღირებულება მატულობს მაშინ, როცა კორპორაცია იწყებს სავალუტო ჰეჯირების გამოყენებას, და პირიქით.

სავალუტო რისკს უწოდებენ იმ გარემოების გაურკვევლობით (ბუნდოვანებით) განპირობებულ რისკს, თუ როგორი იქნება გასაცვლელი სპოტ-კურსი მომავალში. თუ რაიმე t მომენტისთვის სპოტ-კურსს **S** t-ით აღვნიშნავთ, მაშინ რისკი შეგვიძლია გავზომოთ მომავალი გასაცვლელი კურსის ცვლილებათა სტანდარტული გადახრით ანუ მომავალი კურსების ცვლილებათა (დროითი მწკრივის) ვარიაციით - (შტ+1)/შტ – 1.

ფირმის დონეზე სავალუტო კურსს განვსაზღვრავთ ფორმულით:

R ex = (e.r. exposure ) x ( s *).

ცხრ.1

**ფირმების მიერ სავალუტო დერივატივების გამოყენება ეკონომიკის დარგებსა და ცალკეულ რეგიონებში**

| | ფირმების რაოდენობა სულ | იმ ფირმების რეაოდენობის ხვედრითი წილი (%), რომლებიც იყენენ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დერივატივებს სულ | სავალუტო დერივატივებს | სავალუტო ფორვარდებს | სავალუტო ფიუჩერსებს | სვოპებს | სავალუტო ოპერაციებს |
| შავი მეტალურგია | 164 | 71,3 | 59.1 | 51,8 | 1,8 | 16, | 11,0 |
| მანქანათმშენებლობა | 911 | 67,7 | 58.0 | 50,6 | 1,5 | 8,9 | 12,6 |
| საფეიქრო მრეწველობა | 127 | 66,9 | 49,6 | 37,8 | 1,6 | 8,7 | 14,4 |
| კვების მრეწველობა | 353 | 69,1 | 50,7 | 42,2 | 1,4 | 18,1 | 12,2 |
| მშენებლობა | 441 | 59,0 | 40,1 | 30,2 | 0,7 | 14,5 | 8,2 |
| ტრასნპორტი | 352 | 69,9 | 51,7 | 42,0 | 1,1 | 17,0 | 12,2 |
| აშშ და კანადა | 2841 63,2 | 38,6 | 30,7 | 0,3 | 6,6 | 7,2 | |
| ევროპა | 2510 | 60,8 | 48,0 | 38,0 | 2,3 | 15,3 | 12,4 |
| აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი | 1721 | 51,0 | 42,9 | 38,0 | 0,3 | 12,1 | 9,0 |

წყარო: Sohnke B. International evidence and financial derivatives usage. Lancaster University and University of North Carolina at Chapel Hill, 2003.

ცხრ. 1-ში მოყვანილია ფინანსური დერივატივების გამოყენების შესახებ კორპორაციების მენეჯერების გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვა 48 ქვეყანაში ჩაატარა საერთაშორისო ანგარიშსწორებათა ბანკმა და იგი შეეხო სავალუტო ფორვარდულ და ფიუჩერსულ კონტრაქტებს, სვოპებსა და ოფციონებს. [3].

ცხრილის მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ თანამედროვე კორპორაციების უმრავლესობა სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის სავალუტო დერივატივებს იყენებს, ყველაზე პოპულარული ფინანსური ინსტრუმენტები კი სავალუტო ფორვარდებია.

S t-ით ფორმულაში აღნიშნულია გაცვლითი კურსის "მოულოდნელი" ცვლილება, პირველი თანამამრავლი exchange rate exposurse კი უნდა გავიგოთ როგორც სავალუტო რისკისადმი ფირმის მგრძნობელობის დონე.იგი მიუთითებს, თუ რამდენად მოქმედებს მის ფულად ნაკადებზე ვალუტის კურსში ერთიერთეულით მომხდარი მოულოდნელი ცვლილებები:

e.r.exposure = (ადგილ. ვალუტით ფირმის ღირებულების ცვლილება) : (s* ერთ ერთეულზე).

რისკსა და exposure-რისკს შორის ის განსხვავებაა, რომ, მართალია, ფირმა თავს ვერ იცავს მისგან, მაგრამ სამაგიეროდ შეუძლია აირჩიოს მის მიმართ მგრძნობელობის დონე. მაგალითად, ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის დაშლის შემდეგ სავალუტო რისკმა მკვეთრად აიწია და ამის საპასუხოდ მრავალმა ფირმამ მკვეთრად დასწია მის მიმართ მგრძნობელობა (exposure).

თუმცა, ფინანსურ მენეჯმენტში exposure-ს სხვაგვარადაც განსაზღვრავენ:

exsposure = (delta. p) x ( n.p),

სადაც n.p პოზიციის ნომინალური ღირებულებაა, delta.p კი - პოზიციის დელტა:

delta =( ადგილობრივი ვალუტით პოზიციის ღირებულების ცვლილების %) : (ს-ის ცვლილების %).

delta გვიჩვენებს აქტივის (ვალდებულების) ღირებულების ელასტიკურობას გაცვლითი კურსის მიხედვით და გამოხატავს ამ ღირებულების პროცენტულ ცვლილებას გაცვლითი კურსის 1%-ით შეცვლის საპასუხოდ. თუ delta 1-ზე მეტია, მაშინ აქტივის (ვალდებულების) ღირებულება უფრო მგრძნობიარეა გაცვლითი კურსის მიმართ, ვიდრე წმინდა პოზიცია უცხოური ვალუტით. აღსანიშნავია, რომ exposure იზომება უცხოური ვალუტით, მისი სიდიდე კი ფულადი ნაკადის ვადიანობასთან (დაფარვის ვადასთან) არის კავშირში. [6].

ტრანსლაციური და ტრანსაქციური რისკებისთვის პოზიციის delta=1. ამიტომ exposure ტოლია პოზიციის ნომინალური ღირებულებისა, თვითონ ტერმინი კი ფირმის სავალუტო რისკის ცნების ეკვივალენტურია.

იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორ განსაზღვრავენ ფირმის ღირებულებას, ყველა სავალუტო რისკს ორ კატეგორიად ყოფენ: ეკონომიკურ და ბუღალტრულ რისკებად. ეკონომიკური (ტრანსაქციული და ოპერაციული რისკები) ასახავენ გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენას ფირმის ეკონომიკურ ღირებულებაზე, ბუღალტრული რისკები (ხშირად მათ ტრანსლაციურ რისკებსაც უწოდებენ) კი - მის ბუღალტრულ ღირებულებაზე. მათ შორის მთავარი განსხვავება ცხრ. 2-შია მოყვანილი და თვით სავალუტო კურსის იმ ცვლილების განმარტებიდან გამომდინარეობს, რომელიც მოგებას ან ზარალს იწვევს.

ბუღალტრული წესების მიხედვით, გარიგება ანგარიშგებაში შეაქვთ იმ მომენტისთვის არსებული

ცხრ.2

**ძირითადი განსხვავებები ფირმის ეკონომიკურ და ბუღალტრულ სავალუტო რისკებს შორის**

| № | ეკონომიკური სავალუტო რისკი | ბუღალტრული სავალუტო რისკი |
|---|---|---|
| 1 | დამოკიდებულია რეალურ ფულად ნაკადებზე და არა ბუღალტრულ ანგარიშგებაზე და გავლენას ახდენს ფირმის ეკონომიკურ (საბაზრო) ღირებულებაზე. | ეხება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს. გავლენას არ ახდენს რეალურ ფულად ნაკადებზე და ფირმის საბაზრო ღირებულებაზე (ფირმის მიერ გადახდილი გადასახადების თანხის გარდა). |
| 2 | ეხება ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში, კონტრაქტში დაფიქსირებული ნაკადებისა და მომავალი საოპერაციო ნაკადების ჩათვლით | ეხება გასული პერიოდების ცვლილებებს და ბუღალტრულ ანგარიშგებაში მათ ასახვას. |
| 3 | ეხება ფირმის ღირებულების ყველა წყაროდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებში ცვლილებებს იმის მიუხედავად, შეაქვთ ისინი ბუღალტრულ ანგარიშგებაში თუ არა. | დამოკიდებულია მხოლოდ ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციაზე. ბალანსგარეშე რისკები გათვალისწინებული არაა. |
| 4 | არსებობს საზღვარგარეთ ქვედანაყოფების არმქონე ფირმებისთვისაც, მაგალითად, ექსპორტიორებისთვის, იმპორტის ჩამანაცვლებელი საწარმოებისთვის და იმ ფირმებისთვისაც კი, რომლებიც უცხოური საწარმოების პოტენციური კონკურენტებია. | არსებობენ მხოლოდ საზღვარგარეთ ქვედანაყოფების მქონე იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც ჭირდებათ მოგების შესახებ ანგარიშგების გადაგზავნა კონსოლიდირებულ ანგარიშგებებში |
| 5 | დამოკიდებულიაფირმის იმ ვალდებულებებზე, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომირებული, და იმ გარემოებაზე, რომელშიც ფირმა ოპერირებს. | დამოკიდებულია ანგარიშგების ჩატარების წესზე (მაგალითად, სასაწყობო მარაგების ან ამორტიზაციის აღრიცხვის წესზე), აგრეთვე, კომპანიის ეროვნულ ვალუტაში მონაცემების კონვერსიის მეთოდზე. |

სპოტ-კურსის გათვალისწინებით, დახურვას კი ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით ახდენენ. ამგვარად, სავალუტო კურსის ცვლილებით მიღებული მოგება (დანაკარგი) ამ ორ თარიღს შორის ნომინალური კურსის ცვლილების მთელ სიდიდეზეა დამოკიდებული.

ეკონომიკური თვალსაზრისით ამას არავითარი აზრი არა აქვს. მართლაც, თუ ფირმა დებს გარიგებას და იცის, რომ გადახდა მხოლოდ 90 დღის შემდეგ შესრულდება, იგი საერთოდ არ წუხს მიმდინარე კურსზე. გარიგების შესახებ გადაწყვეტილებების გამოტანა 90 დღის შემდეგ მოსალოდნელ გაცვლით კურსზე იქნება დამოკიდებული და არა გარიგების მომენტში არსებულ კურსზე. ამიტომ მთავარი განსხვავება ისაა, რომ ეკონომიკური რისკი სავალუტო კურსის მოულოდნელ ცვლილებაზეა დამოკიდებული და არა რეალურად დაფიქსირებულზე.

გარიგების ფასის დადგენისას ფირმამ მიმდინარე სპოტ-კურსი კი არ უნდა გაითვალისწინოს, არამედ სავარაუდო საანგარიშსწორებო დღისთვის მოსალოდნელ სპოტ-კურსზე უნდა აიღოს ორიენტაცია. თუ ბაზარზე ექსპექტაციური წონასწორობაა, მაშინ მოსალოდნელი სპოტ-კურსი ძირითადად ფორვარდულ გაცვლით კურსს შეესაბამება. ამგვარ ფასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ფირმამ ფორვარდულ გაცვლით კურსზე დაყრდნობით უნდა გამოიტანოს და არა გარიგების დადების მომენტში არსებული სპოტ-კურსიდან გამომდინარე.

ტრანსაქციული სავალუტო რისკების მართვის ხერხებს და მეთოდებს იმის მიხედვით მიმართავენ, ერთია ფულადი ნაკადი თუ რამდენიმე. ერთი ნაკადის რისკის ჰეჯირების უმარტივესი ხერხია ფორვარდული კონტრაქტის გამოყენება. ვთქვათ, A ქვეყნის კომპანია B ქვეყნის მწარმოებლისგან იძენს საქონელს და 1 წლის შემდეგ უნდა გადაიხადოს 100 მლნ. b (B ქვეყნის ვალუტით). ამ კონტრაქტის რისკის სიდიდეც-100 მლნ. a-ს (A ქვეყნის ვალუტით) შეადგენს. აქ უარყოფითი ნიშანი იმას აღნიშნავს, რომ კონტრაქტი ფულის გასვლას (გადინებას) გულისხმობს. b-ს გაცვლითი კურსის გადიდება მეტი ფულის გადინებას გამოიწვევს. ამიტომ A ქვეყნის მყიდველი თავის თავზე იღებს რისკებს კურსის ცვლილების გამო. თუ კონტრაქტის ფასი A ქვეყნის ვალუტით იქნებოდა დაფიქსირებული, მაშინ ტრანსაქციული რისკები B ქვეყნის გამყიდველს „დააწვებოდა“. ამ კონტრაქტის ჰეჯირებისთვის საჭიროა 100 მლნ. b-ს ღირებულების 1-წლიანი ფორვარდული კონტრაქტის შეძენა.

ფირმებს, როგორც წესი, ერთდროულად რამდენიმე ფულადი ნაკადის ჰეჯირება უწევთ. არადა, იმ შემთხვევაში, როცა კონტრაქტების დაფარვის ვადები სხვადასხვაა, თითოეული ნაკადის ჰეჯირება ოპტიმალური არაა - ჯერ რიკების აგრერირება უნდა მოხდეს და შემდეგ - უკვე აგრერირებული რისკის ჰეჯირება. ესთავისთავად მოითხოვს სავალუტო რისკების პარალელურად საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკის ჰეჯირებასაც. მენეჯერები ამ დროის შემდეგ პროცედურას მიმართავენ:

პირველი ნაბიჯია ყველა ფულადი ნაკადის დისკონტირება დროის ერთი რომელიმე მომენტისთვის და მათი დაჯამება, ე.ი. ყველა ნაკადის დაყვანილი ღირებულების გამოთვლა და ჰეჯის დაყვანილი ღირებულებისთვის მისი გატოლება.

მეორეა საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გათვალისწინების მიზნით სწორი დურაციის შერჩევა კონტრაქტის ჰეჯირებისთვის, ანუ იგი ფულის ჯამური ნაკადის დურაციის ტოლი უნდა იყოს.

არსებობს ჰეჯირების უფრო ეფექტიანი ხერხებიც, მაგალითად, ერთიანი ფორვარდული კონტრაქტის შეძენა ჯამური ფულადი ნაკადისთვის, ან ერთ-ერთი ფორვარდული კონტრაქტით ყველა ფულადი ნაკადის ჰეჯირება, მეორით კი - ფულის ყველა გადინების. თუკი ნაკადების ვადიანობა განსხვავებულია, მაშინ უფრო მისაღებია მეორე ხერხი.

თუმცა, ფორვარდული კონტრაქტების გარდა ტრანსაქციური რისკების ჰეჯირებას სავალუტო ოპციონების ან ფულის ბაზრის ინსტრუმენტების მეშვეობითაც ახდენენ.

რაც შეეხება რისკების მართვის არაფინანსურ მეთოდებს, მათგან გავრცელებულია რისკის გადანაცვლება, დაყოფა, ანგარიშსწორებათა დაჩქარება (შენელება), ფულადი ნაკადების შემოსვლა-გასვლის დაბალანსება და სხვ.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Фомин П., Хохлов В. Оценка эффективности использования финансов. (эл. версия книги http://publish.cis2000.ru/p_finance/books/book_6/ch1_1.)
2. Виханский О.С. Стратегическое управление. М., Гардарикаб 2005
3. Ермасова Н.Б., Риск-менеджмент организации, М., Альфа-Пресс, 2005.- gv. 185.
4. თ.ხომერიკი, მენეჯმენტი, თბ., 2006, გვ. 410.
5. მარინა ავალიშვილი, საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი
6. А. Лукашов. Корпоративные финансы и управление рисками. Ж. Управление корпоративными рисками, №1, 2005.

## რეზიუმე

*ი. მამალაძე*

### რისკების მართვა ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკაში

ფინანსური სისტემის განვითარებასთან ერთად რისკების სპექტრი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. რისკების გონივრულად მართვის ამოცანა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო ათწლეულებში. ამის მიზეზია არა იმდენად ცალკეული კომპანიების გაკოტრების კონკრეტული შემთხვევები ან სახელმწიფო ფინანსების კრიზისები, რამდენადაც მათი აღმოცენებისა და გავრცელების მასშტაბები და სიჩქარე. თუმცა, პრობლემის თავი და თავია არა ხსენებული კრიზისების ან გაკოტრებათა ცალკეული შემთხვევები, რომელთა მოგვარება ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებით შეიძლება, არამედ იმ ფაქტორების სიმრავლე და სერიოზულობა.

ქართული კომპანიები, მათ შორის მსხვილი კომპანიებიც, ნაკლებად უთმობენ ყურადღებას რისკების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, რაც გამოწვეულია, როგორცქვეყნის განვითარების თავისებურებებით, ისე იმითაც, რომ სამეწარმეო რისკმენეჯმენტი მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის შედარებით ახალი მიმართულებაა. საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იზრდება განუსაზღვრელობა, სამეწარმეო რისკების რაოდენობა და მათი მართვის მექანიზმები. შესაბამისად, საქართველოში იზრდება რისკების მართვის მნიშვნელობა და კომპანიების მხრიდან ამ პროცესების შეუფასებლობამ შეიძლება შეაფერხოს მათი განვითარება.

რისკების მართვას თავდაპირველად მიმართავდნენ კორპორაციების ცალკეული ქვედანაყოფების დონეზე და მისი მთავარი ამოცანა იყო სავალუტო კურსების რყევით გამოწვეული დანახარჯების მინიმიზირება. დღეს კორპორაციები ეწევიან ამ რისკების როგორც მოკლე -, ისე გრძელვადიან მართვას მთელი ორგანიზაციის მასშტაბით, რისთვისაც იყენებენ ჰეჯირების ფინანსურსა და არაფინანსურ სტრატეგიებს. ამ დროს მთავარ ამოცანად მიჩნეულია, ერთი მხრივ, გაცვლითი კურსების არასასურველი ცვლილებებით განპირობებული რისკების შემცირება, ხოლო, მეორე მხრივ, სასიკეთო ცვლილებების წყალობით სარგებლის მიღება.



## SUMMARY

*I.Mamaladze*

### Risk Management in the Practice of Financial management

Risk spectra has been widely broadened after development of different financial systems. Smart management of these risks, as an important task, has become more and more active during last decades. Increased number of bankrupted companies or financial crisis, existing in the country can be to less extent considered as the main reason for that while this is mostly due to the speed and extent of their rise and spread. The origin of this problem can be found not in specific cases of crisis and bankruptcy, which can be easily solved by increasing efficiency of financial management system, but in the number and seriousness of these factors.

Georgian companies, mostly big companies usually take less attention to risk identification and analysis, which is caused from one hand by specific characteristics of development of the country, and from the other hand by the fact, that business risk management is somehow a new direction of world economical science and practice. Development of market relationships at the same time increases uncertainty, number of business risks and mechanism of their management. Importance of risk management in Georgia is increasing accordingly and non adequate evaluation of these processes from Georgian companies can prevent their development.

At the first stage risk management was referred at the low level of separate subunits of corporations and aimed minimization of expenses caused by fluctuation in currency rate. Today most corporations perform short-term, as well as long-term management of these risks at more high, organizational level and use financial and non-financial hedging strategies. Decreasing risks, caused by non desirable changes in exchange rates and at the same time having some benefits from reliable changes, are considered to be main goals to achievein these circumstances.

# ბრენდინგი - წარმატების გასაღები

*მზია წულუკიძე*

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას, როგორც წესი ადგილობრივი პროდუქციის ასორტიმენტის ზრდა, ახალი ბრენდების შექმნა, ბრენდის რეკლამის შემუშავება და სწორი მენეჯმენტის დანერგვა მოყვება.

თავდაპირველად სიტყვა ბრენდი მხოლოდ არსებითი სახელი იყო, რაც ინგლისურად ნიშნავს დაღს, დამღას, კვალის დატოვებას. მას სკანდინავიური (ბრანნა-დამღა) და შვედური (ბრანა-ცეცხლი) ფესვებიც აქვს. ბრენდინგის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სარეკლამო პრაქტიკის კორიფე - დევიდ ოგილვი ბრენდის მნიშვნელობას ასე განმარტავდა: „ბრენდი არის პროდუქტის მონაცემთა ანუ სახელის, შეფუთვის, ფასის, პროდუქტის ისტორიის, რეპუტაციისა და სარეკლამო საშუალებების ჯამი და წარმოადგენს იმ შთაბეჭდილებების ერთობლიობას, რომელსაც ის მყიდველზე ახდენს“.

ბრენდის შექმნისა და მისი მართვის პროცესს ბრენდინგი ეწოდება. ბრენდინგი არის სავაჭრო ნიშნის, შეფუთვის, სარეკლამო მიმართვისა და სარეკლამო ელემენტების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს პროდუქტს, კონკურენტული პროდუქტისაგან გამოირჩეს და დადებითი შთაბეჭდილება მოახდინოს მომხმარებელზე. ბრენდინგის შესახებ მრავალი წიგნია დაწერილი. მათი უმრავლესობა ბრენდების წარმატების ისტორიების შესახებ მოგვითხრობს. მისი ისტორია არც თუ ისე დიდია და ჯერ კიდევ განვითარება სრულყოფის სტადიაშია.

არ შეიძლება ბრენდისა და სავაჭრო ნიშნის ერთმანეთში არევა. ბრენდი და სავაჭრო ნიშანი სხვადასხვა ცნებებია. სავაჭრო ნიშნის წარმატებულობა, როგორც წესი მისი ცნობადობის გაზომვით დგინდება. მაგალითად, ყველასათვის კარგად ცნობილია Nike-ის სავაჭრო ნიშანი. ამგვარი ცნობადობა ნებისმიერი კომპანიის ოცნებაა. ცნობადობა თავის მხრივ რეკლამირების სხვადასხვა საშუალებებით მიიღწევა. რეკლამა ინვესტირებას მოითხოვს. სავაჭრო ნიშნის წარმატებულობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბრენდის ჩამოყალიბებას. ბრენდირებას განსაკუთრებული ნიჭი და უნარი სჭირდება.

ბრენდის ჩამოყალიბება იწყება მეტ-ნაკლებად უნიკალური პროდუქტის და მისი მომხმარებლისათვის სარგებლობის შექმნით. წარსულში სარგებლიანობა იყო მთავარი. 50-იანი წლების რეკლამებში მხოლოდ პროდუქტის სარგებლიანობას უსვამდნენ ხაზს. დიდი კომპანიები ბრენდის მართვას მარკეტინგის განყოფილებას ანდობენ, მაგრამ ყველაზე წარმატებულ კომპანიებში ბრენდი ბიზნესის ღერძს წარმოადგენს. ბრენდინგი საჭიროებს სწორი სტრატეგიის შერჩევას. რაიმეს ბრენდირება მისი ღირებულების გაზრდას ნიშნავს. ბრენდინგის საშუალებით შესაძლებელია პროდუქტის, მომსახურების, კომპანიის, მოვლენის, პიროვნების ფასეულობის შექმნა. მომავალში წარმატება ელით მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც ბრენდით სულდგმულობენ.

ბრენდის შექმნის კლასიკურ მიზეზს წარმოადგენს მისი უნარი, გაზარდოს სხვაობა თვითღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის. (მაგ. Intell-ს შეუძლია აიძულოს მყიდველი გადაიხადოს მის პროდუქციაში 40%-ით მეტი, ვიდრე ნებისმიერ სხვა პროცესორში, მიუხედავად იმისა, რომ მათი პროდუქციის ხარისხი ინტელ-ს არაფრით ჩამოუვარდება, და ზოგ შემთხვევაში სჯობს კიდეც).

ნებისმიერი ბრენდი სავაჭრო ნიშანია, მაგრამ ნებისმიერი სავაჭრო ნიშანი ბრენდი ვერ გახდება. სავაჭრო ნიშნის ბრენდად ტარნსფორმირება ხდება იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი თავის სუბიექტურ შეფასებას აძლევს პროდუქტის ხარისხს, საიმედოობას, უსაფრთხოებას, დიზაინსა და დასახელებას, რასაც ემატება ემოციურობაც. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ მომხმარებელს მეტად აინტერესებს, თუ რა სარგებელი მოაქვთ პროდუქციის მახასიათებლებს მათთვის. მყიდველთათვის ფასეულობის შექმნა და კმაყოფილება არის წარმატების გარანტია, რათა განვითარდეს მომხმარებელთან ურთიერთობები.

წარმატებულმა ბრენდმა პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს შეთავაზებული პროდუქტის ან მომსახურების მაღალი ხარისხი. ხარისხი უნდა პასუხობდეს ან აღემატებოდეს მომხმარებლის მოთხოვნებს. პროდუქტის ემოციური მხარე, ანუ რეკლამა რა თქმა უნდა აუცილებელი და კარგია, მაგრამ ბრენდი ხარისხის გარეშე არ არსებობს.

მომხმარებელი, ჩვეულებრივ, უამრავ პროდუქტს და მომსახურებას აწყდება, რომლითაც შეუძლიათ მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. არჩევანი დაფუძნებულია იმ ფასეულობისა და კმაყოფილების აღქმაზე, რომელიც ამა თუ იმ პროდუქტსა და მომსახურებას გააჩნია. სხვადახსვა მარკეტინგული შეთავაზებით ფასეულობაზე მყიდველს უყალიბდება გარკვეული მოლოდინი, რომლის შესაბამისად იგი ყიდულობს პროდუქტსა და მომსახურებას. კმაყოფილი მყიდველი ისევ ყიდულობს სასურველ პროდუქტს და თავის შთაბეჭდილებას უზიარებს სხვებსაც. უკმაყოფილონი კი ხშირად მიმართავენ კონკურენტებს და ამ პროდუქტებზე აგდებულად ლაპარაკობენ.

მარკეტინგში არსებული ძირითადი კონცეფცია არის ადამიანური მოთხოვნები. ადამიანური მოთხოვნილება (საჭიროება) არის ადამიანის საწყისი ინსტიქტური ძალა, რომელიც მასვე წარმარ-

თავს რისამე გასაკეთებლად, იგი მოიცავს ძირითად ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს საკვებზე, სითბოსა და უსაფრთხოებაზე. სასურსათო პროდუქცია არის საკვები პროდუქტებისა და თამბაქოს ნაწარმის ერთობლიობა, რომელთა ინგრედიენტები მოხმარებისას მთლიანად ან ნაწილობრივ ხვდებიან ადამიანის ორგანიზმში და გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ მის შინაგან გარემოზე.

სურვილი არის ადამიანის საჭიროების ფორმა, რომელიც კულტურისა და პიროვნული მახასიათებლების ზეგავლენით ყალიბდება. მაგალითად, "Coca-Cola" უფრო მეტია ამერიკელი მომხმარებლისათვის, ვიდრე გამაგრილებელი სასმელი – ის გახდა ამერიკის სიმბოლო მდიდარი ტრადიციითა და არსით. ამერიკელს აქვს მოთხოვნილება საკვებზე, მაგრამ მას სურს Mc.Donald's-ის ჰამბურგერი, შემწვარი კარტოფილი ფრი და გაზიანი გამაგრილებელი სასმელი "Coca-Cola". ქართველსაც აქვს საკვებზე მოთხოვნილება, მაგრამ მას სურს ხინკალი, მწვადი, ქაბაბი და ა.შ.

სურვილი ყალიბდება ერთი ინდივიდის მიერ და არის ის, რაც დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას. როდესაც სურვილი უზრუნველყოფილია ფულით - ვღებულობთ მოთხოვნას. საკუთარ სურვილებსა და რესურსებზე დაყრდნობით ხალხი მოითხოვს პროდუქციას, რომელიც უმაღლეს ფასეულობასა და კმაყოფილებას სთავაზობს მათ. საბოლოო ჯამში სწორედ საერთო ღირებულებებია ის „გასაღები" რაც მომხმარებელს ბრენდთან აკავშირებს.

განვიხილოთ ერთ-ერთი აღიარებული ბრენდი შტარბუცკს. კომპანიის მისიის მანიფესტი შემდეგია:

შტარბუცკს უნდა წარმოადგენდეს მსოფლიოს საუკეთესო ყავის მიმწოდებელს, ზრდასთან ერთად არ უნდა გადაუხვიოს კომპანიის უკომპრომისო პრინციპებს. 6 ძირითადი პრინციპი უნდა გვეხმარებოდეს მიღებული გადაწყვეტილებების სისწორის შეფასებაში:

- კომპანიაში უნდა იყოს საუკეთესო სამუშაო ატმოსფერო და ერთმანეთს პატივისცემით უნდა ვეპყრობოდეთ;
- მრავალფეროვნება უნდა ითვლებოდეს ბიზნესის წარმოების აუცილებელ ელემენტად;
- ყავის შესყიდვების, მისი დამზადებისა და მიწოდებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ხარისხისა და უსაფრთხოების უმკაცრესი სტანდარტებით;
- უნდა ვიმუშაოთ ისე, რომ მომხმარებელში გამოვიწვიოთ აღფრთოვანება და კმაყოფილების გრძნობა;
- დადებითი გავლენა ვიქონიოთ საზოგადოებაზე და გარემოზე;
- უნდა ვაღიაროთ, რომ მომგებიანობა ჩვენი ბიზნესის მომავლის აუცილებელი პირობაა.

შტარბუცკს-ისათვის თავისი მისია ენერგიის მძლავრ წყაროს წარმოადგენს, რომლის წყალობითაც შესაძლებელია, წარმოება გაცილებით უფრო მძლავრ რამედ იქცეს, ვიდრე ეს კომპანიის რომელიმე ლიდერს აქვს წარმოდგენილი. შტარბუცკს ბრენდის თვალსაზრისით გაცილებით მეტია, ვიდრე შესვენებაზე მირთმეული ყავა. ეს არის ნდობა, თბილი დამოკიდებულება და გარემო, ყურადღება, ანუ კომპანიისა და მომხმარებლის საერთო ღირებულებები. კომპანიის ხელმძღვანელის მაიკლ სუინის თქმით: „კომპანია ძალიან იშვიათად ქმნის ბრენდს, ის მხოლოდ პირველ ნაბიჯს დგამს, ბრენდს კი შემდგომ აყალიბებენ მომხმარებლები, რადგან ბრენდი არის ურთიერთობები".

გამორჩეული მარკეტინგული კომპანიები აწარმოებენ მომხმარებელთა კვლევებს და აანალიზებენ მყიდველთა მონაცემებს. ასე მაგალითად Wal-Mart-ის მაღალი რანგის მენეჯერები კვირაში ორ დღეს, როგორც წესი, სტუმრობენ თავიანთ სავაჭრო ცენტრებს და შერეული არიან მყიდველებში.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში ცნობილი კომპანიების (მაკდონალდსი, კოკა-კოლა, პეპსი-კოლა, დანდი, ვრიგლი და სხვა) ბრენდი შეფასებულია ძალზე ძვირად და შეადგენს მათი საბაზრო კაპიტალის 60-70%-ზე მეტს.

მარკირების /დამღის დასმის/ პრაქტიკა ორი ათას წელს ითვლის. ძველ ბერძნებსა და რომაელებს სამარკო ნიშნები ჰქონდათ. პირველი სამარკო ნიშანი პროდუქტზე ვიზუალურ წარმოდგენას ქმნიდა. XIX საუკუნემდე, მარკირების ნიშანს ხელნაწერის, ნაწარმოების ან ჭურჭლის ბოლოს ავტორის ხელმოწერა წარმოადგენდა.

პროდუქტის ხელით მარკირების პრაქტიკა XIX საუკუნემდე შემორჩა. როდესაც სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო და სარკინიგზო ქსელი განვითარდა, ყველაფერი შეიცვალა. მეწარმეებს საკუთარი პროდუქციის სხვა ქვეყნებში რეალიზაციის საშუალება მიეცათ. ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე ბრენდინგის დასაწყისად, რომლის ფუძემდებლები იყვნენ უილიამ ბროკერი და ჯეიმს გემბელი ამერიკაში, ხოლო ლორდი ლევერხალმი - დიდ ბრიტანეთში.

ბრენდინგის განვითარება მწარმოებლებს (ქარხანა, ფაბრიკა) და მომხმარებლებს (ქალაქი) შორის მანძილის ზრდამ გამოიწვია. მომხმარებელი და მწარმოებელი პირისპირ ურთიერთობას ვერ ახერხებდნენ, ამიტომ ისინი პროდუქტის ამოსაცნობად სხვა საშუალებებს იყენებდნენ. ასეთ საშუალებად სავაჭრო ნიშანი იქცა. პროდუქტისთვის იქმნებოდა სახელი, შეფუთვა, ამასთნავე, სტაბილურად უზრუნველყოფილი იყო ხარისხი. ფართო მასებში პროდუქციის პოპულარიზაციისათვის კი, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს მიმართავდნენ.

ეს სამი ელემენტი - ინდივიუალიზმი, ხარისხი და კომუნიკაცია - ამ დრომდე არის ბრენდინგის ძირითადი ნიშანი.

ბრენდის მყიდველისათვის გაცნობის ერთ-ერთი ეფექტური გზა არის რეკლამა. რეკლამა მარკეტინგის კომპლექსური სისტემის განუყოფელი ნაწილია. პროდუქტის გაყიდვების დონეს განსაზღვრავს მისი ხარისხი, ფასი და მწარმოებლის მიერ ეფექტურად ჩატარებული საინფორმაციო - სარეკლამო კამპანია.

სარეკლამო კომპანიის ძირითადი ეტაპებია: გაყ-

იდვების სტიმულირება, საზოგადოებასთან ურთიერობა (პროპაგანდა), პირდაპირი მარკეტინგი, რომელიც ამყარებს პირდაპირ საკომუნიკაციო კავშირს ცალკეულ ფირმებსა და მომხმარებელთან შუამავლობის გარეშე.

პროდუქციის ეფექტური პრომოუშენისათვის, რომლის მთავარი მიზანია პროდუქტს შეუქმნას დამატებითი ღირებულება მომხმარებლის ცნობიერებაში, თანამედროვე ბაზარზე სხვადასვა მეთოდებსაც იყენებენ: მაგ. რეკლამა, გაყიდვები, მომხმარებლის ყურაღდების მისაპყრობად მოკლევადიანი ღონისძიებების ჩატარება, ფასდაკლება, უფასო ნიმუშების დარიგება, დეგუსტაცია, კონკურსი, თამაშები, გათამაშება, გამოფენა-გაყიდვა და სხვა. სხვადასხვა ღონისძიებების სპონსორობა, სპორტული გუნდი, ან სპორტსმენი, სატელევიზიო გადაცემა, სპექტაკლი, მომღერალი, საგანმანათლებლო ან ჯანდაცვის პროექტები, შეფუთვა და სხვ. ბრენდის მომხმარებლისთვის უხარისხო პროდუქტის შეძენის რისკი საგრძნობლად დაბალია, რაც ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს. ბრენდის ასორიტიმენტის გაფორმებისას, ერთი უხარისხო პროდუქციაც კი უარყოფითად მოქმედებს მთელ ბრენდზე. მომხმარებელთა უმეტესობა პროდუქციის ბრენდის ანუ სიმბოლოსათვის მზად არის ზედმეტიც კი გადაიხადოს. თუ მწარმოებელი თავის პროდუქტს მაღალ სეგმენტში წარმოადგენს შესაბამისად ძვირი და პრესტიჟული ბრენდის სახელს დაიმკვიდრებს, მაშინ ფინანსური სირთულეების მიუხედავად, ამ კომპანიისათვის ფასდაკლებისა და სეილის გამოცხადება გაუმართლებელია.

ბრენდი დაბალ სეგმენტში საერთოდ არ არსებობს. „ბაზრის დაპყრობა და ლიდერობა“ არის დაბალ სეგმენტზე მომუშავე კომპანიების სატრატეგია. მათ პროდუქტის ხარისხი ნაკლებად აღელვებთ დაბალი ფასის გამო, პროდუქტი მაინც კარგად იყიდება. ასეთ კომპანიებს ბრენდი არ სჭირდებათ. ბრენდი მათთვის პირიქით, საზიანოცაა, რადგან ბრენდის შექმნა საკმაოდ სოლიდურ ინვესტიციებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, პროდუქტის ფასი იზრდება და იგი არაკონკურენტუნარიანი ხდება.

ბრენდისთვის საუკეთესო სახელის შერჩევა რთული ამოცანაა. კარგად შერჩეული სახელი პროდუქციის წარმატებაზე უდიდეს გავლენას ახდენს. ეს პროცესი იწყება პროდუქტისა და მისი სარგებლიანობის, მიზნობრივი ბაზრისა და არსებული მარკეტინგული სტრატეგიების საგულდაგულო შესწავლით, სასურველ სარგებელთან მისი სახელის ასოცირებით. ბრენდის სახელის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი:

- ის უნდა შეიცავდეს იმას, რაც პროდუქტის ხარისხს, სარგებლიანობასა და უსაფრთხოებას შეეხება;
- მისი წარმოთქმა, ცნობა და დამახსოვრება ადვილი უნდა იყოს;
- ბრენდის სახელი უნდა იყოს განსხვავებული, გავრცობადი;
- სახელი ადვილად უნდა ითარგმნებოდეს უცხო ენაზე;
- შესაძლებელი უნდა იყოს მისი რეგისტრაცია და კანონით დაცვა.

ზოგიერთი მწარმოებელი შეფუთვაზე სლოგანებს იყენებს მაგალითად, სავაჭრო ნიშანი „გელეკა-მ“, რომელიც სოკოს მწარმოებელია, სარეკლამოდ შემდეგ ლოზუნგებს იყენებს: „სოკოების წვიმა ყოველდღე“, რაც ადვილი დასამახსოვრებელია.

მსოფლიო ბაზარზე სამარკო ნიშნის უდიდესი წილი გადამუშავებულ ბოსტნეულზე მოდის.

გადამუშავებული ბოსტნეული - 43%
ყველაზე მეტად გავრცელებული ხილი -39%
პომიდორი-32%
კარტოფილი - 34%
გაყინული სტაფილო -74%
გაყინული სიმინდი-38%
დაკონსერვებული სიმინდი-36%

ბრენდინგის ეფექტიანად წარმართვა წარმოადგენს ფირმის პრესტიჟის ამაღლებისა და მისი კომერციული წარმატების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან პირობას. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება კი შესაძლებელია კარგად ორგანიზებული რეკლამის პირობებში, რომელიც თავის მხრივ განიხილება, როგორც ბრენდის შემადგენელი და ძალზე აქტუალური ნაწილი. ამასთანავე წარმატებული ბრენდინგის მნიშვნელოვანი კომპონენტი მყიდველის ნდობას მოპოვებაა, რაც ნებისმიერი ბიზნესის მთავარი მიზანია.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. გ. ამსტრონგი, ფ. კოტლერი, მარკეტინგის საფუძვლები, ინგლისურიდან თარგმანი, მე-7 გამოცემა, თბ., 2006.
2. ვიქტორია ჩებოტარევა. რეკლამისა და ბრენდინგის მნიშვნელობა. ჟურნალი Agvantage-USAID, 2007, №6
3. ვებ გვერდი - www.georgian brand.ge
4. თომას გედი. ოთხგანზომილებიანი ბრენდინგი. www. Ipm.ge


## Summary

*M. Tsulukidze*

**Branding – a Key for Success**

In the article there are discussed the significance of branding and advertisements, the factors determining the evolution of a trade mark in branding, the essence of the process of transforming production into a brand, the correlation of quality and security with the success of a brand, the sorts and sources of success on the example of foodstuff, the importance for leading successful business, as well as consumer relation with brands.

# კომპანიის ღირებულების ფორმირების ფუნდამენტური პრინციპები

***ოთარ ზუმბურიძე,*** *სტუ-ს სრული პროფესორი*
***მიხეილ ზიბზიბაძე,*** *სტუ-ს დოქტორანტი*

კომპანიის ღირებულება იზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოზიდული კაპიტალის ინვესტირებით მიღებული უკუგების განაკვეთი აღემატება კაპიტალის ღირებულებას. ე.ი. დამატებითი ღირებულების შექმნის წინაპირობაა ორგანიზაციის ორიენტაცია ზრდასა და უკუგების მაღალი განაკვეთით მეტი კაპიტალის ინვესტირებაზე. ზრდის მაჩვენებელი და ინვესტირებულ კაპიტალზე მიღებული უკუგება (კაპიტალის ღირებულების გათვალისწინებით), კომპანიის ღირებულებაზე მოქმედი ფაქტორებია. ღირებულების შენახვის (კონსერვაციის) პრინციპის თანახმად ქმედება, რომელიც არ იწვევს ფულადი ნაკადების ზრდას, არ ქმნის დამატებით ღირებულებას.

ღირებულების შექმნის ფუნდამენტური პრინციპის თანახმად, კომპანიის უმთავრესი ამოცანაა ფულადი ნაკადების გამომუშავება კაპიტალის ღირებულებაზე მაღალი უკუგების განაკვეთით. ინვესტორები და მენეჯერები, ამ პრინციპის შესაბამისად იღებენ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს. მათ მუდმივად აინტერესებთ კავშირი ფულად ნაკადებს, ინვესტირებული კაპიტალის უკუგების განაკვეთსა და ღირებულებას შორის.

კომპანიების მიერ შექმნილი ღირებულება წარმოადგენს გამომუშავებულ ფულად ნაკადებს და ინვესტირებული კაპიტალის ღირებულებას შორის სხვაობას, რომელიც გამოითვლება ფულის დროითი ღირებულების და რისკის გათვალისწინებით. ინვესტირებული კაპიტალის უკუგების განაკვეთი და შემოსავლების ზრდის მაჩვენებელი ზემოქმედებს შემოსავლების ფულად ნაკადებად გარდაქმნის პროცესზე. კომპანიის მიერ შექმნილი ღირებულება დამოკიდებულია ინვესტირებული კაპიტალის უკუგების განაკვეთზე და შემოსავლების ზრდის მაჩვენებელზე, აგრეთვე ორგანიზაციის მიერ, გრძელვადიან პერიოდში, ამ ორი სიდიდის მაღალ ნიშნულზე შენარჩუნების უნარზე. ღირებულების შექმნის ფუნდამენტური პრინციპები ნაჩვენებია ნახ. 1-ზე




ნახ. 1

ღირებულების შექმნის არსი გამოისახება ფორმულით, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

წმინდა საოპერაციო მოგება გადასახადით დაბეგვრის შემდეგ (NOPAT) - კომპანიის ძირითადი საოპერაციო საქმიანობით მიღებული მოგების მაჩვენებელი მოგების გადასახადით დაბეგვის შემდეგ.

ინვესტირებული კაპიტალი - ძირითად საქმიანობაში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა.

**წმინდა ინვესტიცია** - წლიდან წლამდე ინვესტირებული კაპიტალის ნაზრდი.

**წმინდა ინვესტიცია = ინვესტირებული კაპიტალი$_{t+1}$ - ინვესტირებული კაპიტალიტ**

თავისუფალი ფულადი ნაკადი (FCF) - ძირითადი საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი ნაკადი ახლად ინვესტირებული კაპიტალის გამოკლების შემდეგ:

**FCF = NOPAT - წმინდა ინვესტიცია**

ინვესტირებულ კაპიტალზე უკუგების ნორმა (ROIC) - კომპანიის მიერ თითოეულ ინვესტირებულ ფულად ერთეულზე მიღებული უკუგება:

ROIC = NOPAT / ინვესტირებულ კაპიტალზე

ROIC-ი შესაძლოა განისაზღვროს ორგვარად: როგორც უკუგების განაკვეთი მთელ კაპიტალზე, ან უკუგების განაკვეთი ახალ (ინკრიმენტალურ) კაპიტალზე. ამჟამად, ჩავთვალოთ რომ უკუგება ორივე ტიპის კაპიტალზე ტოლია.

**ინვესტირების განაკვეთი** (IR) - წმინდა საოპერაციო მოგების (გადასახადით დაბეგვრის შემდეგ) (NOPAT) კვლავ ბიზნესში ინვესტირებული ნაწილი:

**IR = წმინდა ინვესტიცია / NOPAT**

***კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება*** (WACC) — ინვესტორების მიერ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციაზე მოსალოდნელი უკუგების განაკვეთი და შესაბამისად თავისუფალი ფულადი ნაკადების დისკონტირების განაკვეთი.

***ზრდის განაკვეთი*** (g) - ყოველწლიურად კომპანიის წმინდა საოპერაციო მოგების (გადასახადით დაბეგვრის შემდეგ) და ფულადი ნაკადების ზრდის განაკვეთი.

დავუშვათ, რომ შემოსავალი და წმინდა საოპერაციო მოგება (გადასახადით დაბეგვრის შემდეგ) (NOPAT) ყოველწლიურად იზრდება მუდმივი განაკვეთით და კომპანია ახდენს წმინდა საოპერაციო მოგების (გადასახადით დაბეგვრის შემდეგ) უცვლე-

ლი ნაწილის რეინვესტირებას ბიზნესში. წმინდა საოპერაციო მოგების (გადასახადით დაბეგვრის შემდეგ) ერთი და იგივე ნაწილის რეინვესტირება გამოიწვევს თავისუფალი ფულადი ნაკადის მუდმივი განაკვეთით ზრდას. კომპანიის ფულადი ნაკადების მუდმივი განაკვეთით ზრდის შემთხვევაშ, მისი ღირებულება შეგვიძლია გამოვთვალოთ მუდმივი ფულადი ნაკადების ფორმულის საშუალებით:

$$\text{ღირებულება} = FCF_{t=1} / WACC - g$$

თავისუფალი ფულადი ნაკადი წმინდა საოპერაციო მოგების (გადასახადით დაბეგვრის შემდეგ) და ინვესტირების განაკვეთის საშუალებით გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

$$FCF = NOPAT - wminda\ investicia = \\ = NOPAT - (NOPAT \times IR) = \\ = NOPAT\ (1 - IR)$$

დამოკიდებულება ინვესტირების განაკვეთს (IR), კომპანიის წმინდა საოპერაციო მოგებას (გადასახადით დაბეგვრის შემდეგ) (NOPAT), მოსალოდნელ ზრდის განაკვეთს (g) და ინვესტირებულ კაპიტალზე უკუგების განაკვეთს შორის მოცემულია შემდეგი გამოსახულებით:

$$g = ROIC \times IR,$$

ინვესტირების განაკვეთი ტოლია:

$$IR = g / ROIC$$

მიღებული გამოსახულების თავისუფალი ფულადი ნაკადების ფორმულაში ასახვით მივიღებთ:

$$FCF = NOPAT\ (1 - g / ROIC)$$

ხოლო, ამ უკანასკნელის ღირებულების ფორმულაში ჩასმით ვღებულობთ:

$$\text{ღირებულება} = NOPAT_{t=1}\ (1 - g / ROIC) / (WACC - g)$$

ამრიგად, აღნიშნული ფორმულა, დისკონტრებული ფულადი ნაკადის კონცეფციაზე დაყრდნობით, მათემატიკურად გამოსახავს ღირებულების ფორმირების ფუნდამენტურ პრინციპს.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. Brigham F E., Ehrhardt C M. - Financial Management: Theory & Practice. South-Western College Pub; 13 edition (March 3, 2010). 1184 გვერდი.
2. Damodaran A. - Investment Valuation: Tools and Techniques for Determining the Value of Any Asset. Wiley; 3 edition (April 17, 2012). 992 გვერდი
3. Rosenbaum J., Pearl J., Perella R J. - Investment Banking: Valuation, Leveraged Buyouts, and Mergers and Acquisitions. Wiley; 1 edition (May 4, 2009). 304 გვერდი.


### რეზიუმე


კომპანიის ღირებულება იქმნება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, კაპიტალის ღირებულების განაკვეთით დისკონტირების შედეგად. თავის მხრივ, ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ინვესტირებულ კაპიტალზე უკუგების განაკვეთი და შემოსავლის ზრდის მაჩვენებელი. მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ იწვევს ფულადი ნაკადების ზრდას, არ ქმნის დამატებით ღირებულებას. ღირებულების ფორმულა მათემატიკურად გამოსახავს დისკონტირებული ფულად ნაკადებზე დაფუძნებულ ღირებულების კონცენფიას.


### Summary


*O. Zumburidze,*
*M. Zibzibadze*



Company's value is driven by expected cash flows discounted at a cost of capital. Cash flows, in turn, determined by expected returns on invested capital and revenue growth. Any action performed by the company's management, which does not increase cash flows does not create value. The concepts of valuation derived from discounted cash flows are expressed in the value driving formula.

# გლობალური გამოწვევები და სოციალური პროგრესი

## ურბანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი

*რუსუდან თევზაძე,*
*სტუ-ს დოქტორანტი*

ურბანიზაციის პროცესი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა საზოგადოების ისტორიულ განვითარებაზე. ამასთანავე ქალაქები დიდ მნიშვნელობას იძენს თავიანთი წარმოშობის დასაწყისიდანვე. ქალაქების განვითარებასთან ერთად ხარისხობრივად იცვლება საზოგადოებრივი წარმოების განლაგება. ქალაქებმა არა მარტო მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ხელოსნობის მიწათმოქმედებისგან გამოცალკევებაში, არამედ საზოგადოებრივი შრომის ახალი უმსხვილესი განყოფილების, ვაჭრობის წარმოშობაში. ქალაქების აღმოცენებასთან დაკავშირებულია აგრეთვე შრომის დანაწილებაც გონებრივად და ფიზიკურად, ვინაიდან ურბანიზაციის პროცესი მდგომარეობს ქალაქის მოსახლეობის არა მარტო ინტენსიურ ზრდასა და სოფლის და ქალაქის მოსახლეობის თანაფარდობის ძირეულ ცვლილებაში, არამედ ადამიანთა ცხოვრების წესის შეცვლაში, განათლების და კულტურის განვითარებაში.

მეურნეობის სივრცობრივი ორგანიზაციის საკითხების მიმართ სამეცნიერო მიდგომის მოთხოვნამ განაპირობა ქალაქური კონცენტრაციების იერარქიის გამოვლენის აუცილებლობა. კვლევათა მსვლელობისას გამოიყო ქალაქის კონცენტრაციის 4 ზღურბლი: 1) ერთეული ქალაქი – ცენტრი; 2) ქალაქების ლოკალური სისტემა, ანუ აგლომერაცია (აგლომერაცია შეიძლება განვითარდეს ორი ან მეტი ზომით მსგავსი ქალაქის შერწყმით, ან შეიძლება იყოს "ქალაქი – გარეუბანი"); 3) ურბანიზებული უბანი – შედარებით მსხვილი წარმონაქმნი, რომელიც მოიცავს ორ ან მეტ საქალაქო აგლომერაციას; 4) ურბანიზებული სარტყელი – მეგაპოლისის ტიპის გიგანტური წარმონაქმნი.

ქალაქური ეკონომიკის საინტერესო მიმართულებაა გრავიტაციული (პოტენციური) მოდელირების თეორიის გამოყენება სამეურნეო პრობლემების ანალიზის დროს. რაღაც ფორმით გრავიტაციული მოდელი გვხვდება ჯერ კიდევ კერის, რეივენსტეინის, რეილისა და იანგის შრომებში, თუმცა პირველი სერიოზული სტიმული მას განსავითარებლად მისცეს სტიუარტმა და ციპფმა. ამ უკანასკნელებმა ერთდროულად შეიმუშავეს გრავიტაციული თეორია სხვადასხვა კუთხის თვალსაზრისით. ამ თეორიის შესაბამისად, ქალაქები არის რაღაც "ეკონომიკური მასის" მატარებელი, რომლის საზომადაც ითვლება ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა, სამრეწველო წარმოების მოცულობა და სხვა მაჩვენებლები.

ბოლო ათწლეულები ინტენსიურად ვითარდება ქალაქის ეკონომიკის სხვა მიმართულებებიც – მაგალითად, მიღებულია ქალაქების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების მეთოდების შემუშავებაში საინტერესო შედეგები მათი ქსელის განვითარების დაგეგმვისას, არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობის დაპროექტების, ასევე დაგეგმვისა და მშენებლობის გენერალური გეგმების შედგენის ეკონომიკური ასპექტის შესწავლაში, დასახლებული პუნქტების სისტემის ფორმირების კონცეფციისა და ძირითადი დებულებების შემუშავებაში და ა.შ. მიუხედავად ამისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ქალაქების განვითარების ბევრი ძირითადი ეკონომიკური პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, მათი ეფექტიანობის ანალიზი შესწავლილია არასაკმარისად. ჯერ კიდევ ფართოდ არაა გავრცელებული ქალაქებში მრეწველობის განვითარების საკითხების დეტალური დამუშავება, არასაკმარისადაა გამოკვლეული ქალაქის, როგორც ლოკალური სამეურნეო კომპლექსის, ცნება. ჯერ კიდევ ვერ გახდა გაღრმავებული შესწავლის ობიექტი სამრეწველო კვანძების რაციონალური ზომების და სტრუქტურის საკითხები (ქალაქების და აგლომერაციების ქალაქწარმომქმნელი ბაზები).

კონკრეტული ქალაქის გავლენა, როგორც წესი, სამეურნეო თვალსაზრისით, განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება საგარეუბნო რაიონების სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებებში. საგარეუბნო რაიონების სამეურნეო საქმიანობაზე ქალაქის ეკონომიკის გავლენის სხვადასხვა ასპექტი ამა თუ იმ ხარისხით აისახა აგლომერაციის კონცეფციაში. ამ კონცეფციის ზოგიერთი დებულების შემუშავება დაიწყეს ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს და ძირფესვიანად უკავშირდება გამოჩენილი ეკონომისტის ა. ვებერის შრომებს. იგი აგლომერაციულ ეფექტს მიიჩნევდა – ის კი, პირველ ყოვლისა, ჰქონდა ქალაქების და დასახლებებ-

ის მსხვილ აგლომერაციებს – საწარმოო ძალების განლაგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. თავის ფუნდამენტურ წიგნში "მრეწველობის განლაგების თეორია", რომელიც გამოქვეყნდა 1909 წელს, ა. ვებერმა გვიჩვენა, რომ აგლომერაციულ ფაქტორს კოლოსალური მნიშვნელობა ჰქონდა მრეწველობის განლაგებისთვის, უფრო მეტიც, მის გარეშე შეუძლებელია მისი განლაგების გაგება. მისი შეხედულებების თანახმად, სამრეწველო წარმოების ზრდა, მოსახლეობის სიმკვრივის მატება, აგრეთვე ტრანსპორტის გაიაფება იწვევს აგლომერაციული ტენდენციების უწყვეტ გაძლიერებას მრეწველობაში . სამეურნეო კონცენტრაციის და საწარმოო-ტექნიკური გამსხვილების ტენდენცია, როგორც ა. ვებერი აღნიშნავდა, ურთიერთდაკავშირებულია, რის შედეგადაც კონცენტრაცია იწვევს საწარმოო პროცესების ლოკალურ გაერთიანებას.

აგლომერაციის კონცეფცია საშუალებას იძლევა, ავხსნათ საგარეუბნო რაიონების სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მრავალი ასპექტი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა როდი; მით უფრო, რომ ყველა რეგიონში როდი შეიძლება აღმოვაჩინოთ ობიექტები, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ აგლომერაციის კლასს. კერძოდ, დასახლებული პუნქტების ლოკალურ სისტემათა კლასს, გარდა აგლომერაციებისა, უნდა მივაკუთვნოთ კომპაქტურად განლაგებული ქალაქური დასახლებების ჯგუფიც, რომელიც ქმნის მასშტაბით მცირე სამრეწველო კვანძებს, აგრეთვე დასახლებათა ჯგუფი საკურორტო ზონებში. ასეთ სისტემათა "ბირთვის" სახით, როგორც წესი, გამოდის მსხვილი და დიდი ქალაქები, რომლებიც ასრულებს გარშემო არსებული დასახლებული პუნქტების წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების ფუნქციებს. ახლო დასახლებების ჯგუფთა საზღვრები თავიანთი მთავარი ქალაქების ცენტრის 1-1,5-საათიანი მისაწვდომობის ფარგლებშია, რაც შეესაბამება 20–40 კმ-ის მანძილს.

მაგალითად, თუ გავითვალისწინებთ აგლომერაციის კონცეფციის გარკვეულ შეზღუდულობას, საგარეუბნო რაიონების ეკონომიკის ფუნქციონირების და განვითარების მიზეზებისა და ფაქტორების შესწავლისას დიდი პერსპექტივა აქვს ეკონომიკური ბირთვის უფრო ზოგადი თეორიის ძირითადი დებულებების გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში თავის დროზე ფართო გავრცელება პოვა თეორიულმა კონცეფციამ "ზრდის პოლუსზე". ის მოწმობს შემდეგს: მსგავსად იმისა, რომ ადამიანის ორგანიზმში არსებობს მტკივნეული წერტილები, რომლებიც განსაზღვრავს ჯანმრთელობის მდგომარეობას, ასევე ეკონომიკურ ორგანიზმშიც არის ელემენტები (წარმოებები, დარგების ცალკეული სახეები, რეგიონები, საწარმოები), რომლებზეც ზემოქმედება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი სხვა ელემენტების განვითარებაზე. ასეთი სახის "ზრდის პოლუსების" ერთობლიობა შეიძლება აღვნიშნოთ, როგორც ეკონომიკური ბირთვი, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ კიდევ ეკოლოგიურ ფაქტორსაც, კერძოდ, დანახარჯებს ბუნებისდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაზე, მაშინ საჭიროა ვისაუბროთ ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ბირთვზეც (უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, იდეა ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ბირთვზე შეიძლება გავაფართოვოთ და განვავითაროთ მხოლოდ ეკოლოგიურ სისტემებზე, რომლებშიც შეიძლება შესაბამისად გამოიყოს ეკოლოგიური ბირთვი). ამგვარად, ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ბირთვს მიეკუთვნება ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური სისტემის სხვა ელემენტების რიცხვის მნიშვნელოვან ზრდას. ეკოლოგიურ-ეკონომიკური ბირთვის ელემენტების შერჩევა ხდება დიდი რაოდენობის როგორც ღირებულებითი, ისე არაღირებულებითი პარამეტრების გამოყენების საფუძველზე. მათ მიეკუთვნება მოგებიანობის და რენტაბელურობისა დონე, კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე, მოსახლეობის დასაქმების ზრდა, ერთობლივი მოთხოვნის ზრდა და სხვ.

ამ თეორიის ფარგლებში ქალაქი განიმარტება, როგორც ზრდის პოლუსი (ან ზრდის ცენტრი), რომელსაც აქვს დარგების კომპლექსი. ამასთან ნებისმიერი ტაქსონომიკური რანგის ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში შეიძლება გამოვყოთ სისტემა "ბირთვის – პერიფერია". ამგვარად, ამ სისტემაში გამოყოფენ რეგიონის ეკონომიკურად განვითარებულ ბირთვს და მასზე დამოკიდებულ პერიფერიას, ამასთან ბირთვი და პერიფერია მთლიანობაში შეადგენს დასრულებულ ტერიტორიულ სისტემას. ბირთვის რაიონები განისაზღვრება როგორც იმ საზოგადოების ტერიტორიულად ორგანიზებული ქვესისტემები, რომლებსაც როგორც გენერირების, ისე სიახლეთა დანერგვის უნარი აქვს; პერიფერიის რაიონები კი ბირთვზე დამოკიდებული არიან.

საგარეუბნო რაიონებში კვლავწარმოებითი პროცესების ანალიზის დროს, რაიონების, რომელთა ეკონომიკა ხშირ შემთხვევაში უპირატესად სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა, მოდელი "ბირთვი – პერიფერიის" გამოყენება აგლომერაციის მოდელთან შედარებით უფრო მისაღებია იმის გამო, რომ იგი არაა მხოლოდ ურბანისტული, ვინაიდან აღწერს რეგიონული განვითარების პროცესებს ზოგადად, არის რა სივრცობრივი დინამიკის განმარტებათა ერთ-ერთი მცდელობა, მოახდინოს რაიონული და ქალაქური მიმართულების ინტეგრირება. მიუხედავად ამისა, მართალია, რეგიონალისტიკის კონცეფცია "ბირთვი – პერიფერია", ბევრი თვალსაზრისით, უფრო ზუსტად ასახავს საგარეუბნო რაიონების სამეურნეო სისტემას, ვიდრე ეს იყო აგლომერაციის კონცეფციაში, საგარეუბნო ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგიერთი ასპექტი მაინც ვერ პოვებს სათანადო ახსნას რეგიონული ბირთვის თეორიის ფარგლებში.

პრობლემების ფართო სპექტრი არსებობს: საწარმოო, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, რომელიც ძალიან სუსტადაა შესწავლილი. ასეთი სახის პრობლემათა სპეციფიკის გათვალისწინე-

ბით, რომლებიც განპირობებულია საგარეუბნო რაიონების სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური თავისებურებებით, აგრეთვე მათი არასაკმარისი შესწავლით, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია რეგიონული ეკონომიკის ზოგადი თეორიის განსაკუთრებული მიმართულების სახით გამოვყოთ ე. წ. საგარეუბნო ეკონომიკა (მსგავსად იმისა, როგორც არსებობს ქალაქის ეკონომიკა რეგიონალისტიკის განსაკუთრებული მიმართულების სახით). ეს ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაციას საგარეუბნო რაიონების სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების შესნავლის სფეროში. აქ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ საგარეუბნო რაიონების ეკონომიკის ფუნქციონირების საკითხთა ანალიზს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისას, საგარეუბნო რაიონების კლასიფიკაციის და ტიპოლოგიზაციის პრობლემათა კვლევას, ქალაქისა და საგარეუბნო რაიონების სამეურნეო სისტემების ურთიერთქმედების შესწავლას, საგარეუბნო ეკონომიკის ანალიზის მეთოდების და მიდგომების განსაზღვრას დინამიკაში. განსაკუთრებული მიმართულების სახით საგარეუბნო ეკონომიკის ფორმირება საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია ამ დარგში, ამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგარეუბნო რაიონების მართვის პრაქტიკული და თეორიული ასპექტების შესწავლას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Изард У. Методы регионального анализ: введение в науку о регионах / пер. с англ. М.: Прогресс, 1968.
2. Ильин И.А. Экономика городов: региональный аспект развития. М.: Наука, 1982.
3. Павлов К.В., Шишкин М.И. Теория экономического ядра. Ижевск: Удмуртия, 1996.


**რეზიუმე**


ურბანიზაციის პროცესი – ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა საზოგადოების ისტორიულ განვითარებაზე. ქალაქური ეკონომიკის საინტერესო მიმართულებაა გრავიტაციული (პოტენციური) მოდელირების თეორა.

აგლომერაციის კონცეფცია განმარტავს და აზუსტებს საგარეუბნო რაიონების სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მრავალ ასპექტს.

რეგიონული ეკონომიკა კომპლექსური მოცემულობაა, რომელსაც განსაზღვრავს საგარეუბნო რაიონების სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური თვისებურებები.


**Summary**


*R. Tevzadze*



The process of urbanization - one of the most important socio - economic phenomenon, which has a huge influence on the historical development of society. Urban economy in interesting directions of gravity (potential) modeling teora.

Concept of sintering areas, explains socio - economic system in many aspects.

The regional economy is complex given. identifies the social, economic and ecological characteristics.

# ელექტრონული კომერციის განვითარების მნიშვნელობა

***თამაზ ბაქრაძე,***
*სტუ-ს სრული პროფესორი,*
*ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიკოსი*
***ანა ანანიაშვილი,***
*სტუ-ს დოქტორანტი*

მსოფლიო გლობალური ქსელის, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, „ქსელთა ქსელის“ - ინტერნეტის (Iნტერნეტ) წარმოშობამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. ინტერნეტი მისი გავრცელების პირველ სტადიაზე არა მხოლოდ კომუნიკაციისათვის გამოიყენებოდა, არამედ, სავაჭრო კომპანიებს შეეძლოთ მისი მეშვეობით მარკეტინგის სტრატეგია უფრო დაეხვეწათ.

მოგვიანებით ინტერნეტმა მსოფლიო ბიზნესში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა და შეიძლება ითქვას, რომ იგი ძირეულად შეცვალა კიდეც. ინტერნეტ სერვისი, როგორც ფასიანი მომსახურების ერთერთი ფორმა, თავად წარმოადგენდა კომერციულ საქმიანობას, მაგრამ ამავე დროს, იგი საშუალებას იძლეოდა მისი მომხმარებლისთვის - მისთვის საინტერესო ფართო თუ ვიწრო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა თვით სისტემაში განეხორციელებინა.

ეკონომიკურ ურთიერთობათა ეს პროცესი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რაც ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ აღნიშნული ურთიერთობები ფაქტიურად მთლიანად ვირტუალურ ქსელში მიმდინარეობს. სწორედ ამიტომაც ბოლო დროს მსოფლიო კომპიუტერულ თუ ბიზნეს წრეებში აქტიურად გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორიცაა: „ინტერნეტ ეკონომიკა“ ,,„ქსელური ვაჭრობა“ , ე.წ. „ონლაინ ვაჭრობა“ და ა.შ., რომლის ძირითად პრინციპებსა და ეკონომიკურ მახასიათებლებს წარმოადგენენ: ა) ურთიერთობათა გლობალიზაცია; ბ) დეცენტრალიზაცია; გ) კიბერნეტიზაცია და ქსელური კავშირები; დ) ინოვაციური რეგულირების მეთოდების განვითარების მზარდი ტენდენცია; ე) ოპერაციათა მოხერხებულობა; ვ) დროის მაქსიმალური ეკონომია;

მე-20 საუკუნის დასასრულსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ინტერნეტ ვაჭრობის ერთერთმა ფორმამ „ელექტრონული კომერცია“ (Electronic Commerce - „E-Commerce“). მისგან მიღებულმა შემოსავალმა მნიშვნელოვანი აღმასვლა მოუტანა შესაბამისი ქვეყნის ეკონომიკას. ევროკავშირის კომისიის მონაცემებით, ჯერ კიდევ 2000 წლისთვის ელექტრონული ვაჭრობიდან მიღებულმა შემოსავლებმა ევროკავშირის ტერიტორიაზე 200 მილიარდ ევროს გადააჭარბა. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, აღნიშნული სახის ვაჭრობით მიღებული შემოსავლები 20-30 წლის შემდეგ კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწევს. ელექტრონული კომერცია მარტივი გაგებით შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის ღონისძიებების კომპლექსი კავშირის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. მაგრამ ასეთი დახასიათება არ იქნება საკმარისი, რადგანაც კავშირის მრავალრიცხოვანი ისეთი ელექტრონული საშუალებები როგორიცაა ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, ტელევიზია და კომპიუტერული ქსელები დიდიხანია გამოიყენებიან კომერციულ ურთიერთობებში, მაგრამ მათ არ გამოუწვევიათ პრინციპულად ახალი ცნების გამოჩენა. თანამედროვე კომერციას ტრადიციული ვაჭრობისაგან განასხვავებს ის, რომ ეს არაა უბრალოდ საქონელბრუნვა შესრულებული მწარმოებლების ან მომხმარებლების მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს არის მთელი რიგი ღონისძიებების უწყვეტი კომპლექსი, რომელიც სრულდება კომერციული პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე:

- საქონელსა და მომსახურებაზე ბაზრის მოთხოვნილების კვლევა - მარკეტინგი
- საქონლისა და მომსახურების თვისებების მართვა - საწარმოო მენეჯმენტი
- საქონლისა და მომსახურების თვისებების შესახებ ბაზრის ინფორმირება - რეკლამა
- ბაზრის მომზადება საქონლისა და მომსახურების მოცემული თვისებების გამოსაყენებლად - პროპაგანდა
- საქონელსა და მომსახურებაზე შეკვეთების მიღება, დამუშავება და შესრულება - ვაჭრობის მენეჯმენტი
- საქონლის ნაკადისა და სასაწყობო მარაგის ოპტიმიზაცია - ლოგისტიკა
- კლიენტებთან და მომწოდებლებთან ანგარიშსწორება - ფინანსური მენეჯმენტი
- საგარანტიო (გაყიდვის შემდეგ) მომსახურება - თანხლება

მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ფართოდ ვითარდება ელექტრონული კომერცია. ელექტრონულ კომერციაში მოისაზრება ინტერნეტ-ტექნოლოგია, რომელიც სხვადასხვა სახის პროდუქციის ინტერნეტრეალიზაციის საშუალებას იძლევა. დღესდღეობით, ელექტრონული კომერცია ბიზნესის ის მიმართულებაა, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ბრენდები საკმაოდ შედეგიანად იყენებენ. ნებისმიერ ბრენდს გააჩნია ვებ-გვერდი, სადაც მომხმარებელს საკუთარი პროდუქციის კატა-

ლოგს სთავაზობს. ინტერნეტ-მაღაზიის წარმატებისთვის მნიშვნელოვანი დეტალია საგადასახადო სისტემა, რომელიც ონლაინ კლიენტისთვის მაქსიმალურად კომფორტული გამოსაყენებელი უნდა იყოს. გარდა ამისა, მომხმარებლის ნდობის მოპოვება ონლაინ ბიზნესის წარმატებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ხოლო ნდობის მოპოვება ხდება პროდუქციის მაღალი ხარისხისა და ბრენდის ცნობადობის შემთხვევაში. უმთავრესი ფაქტორი კი მთელ ამ პროცესში თანმიმდევრულობაა. ონლაინ მომხმარებელი ყოველთვის ანიჭებს უპირატესობას ისეთ ბიზნესს, რომელსაც ერთი გენერალური მიმართულება აქვს აღებული. ელექტრონული კომერციის და ონლაინ ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სარეკლამო სტრატეგია, საინფორმაციო განცხადებები, პროდუქციის მაღალი ხარისხი. პუბლიკაციების სტილი, რომელიც ამ პროდუქციას თან ახლავს, მუდმივად განახლებადი უნდა იყოს. ასევე ონლაინ კლიენტის ნდობის მოპოვებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია მომსახურება და გარანტია. ის პროდუქცია, რომელსაც მომხმარებელს სთავაზობთ, აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციის ხარისხსა და ფასს. გარდა ამისა, ონლაინ კლიენტის მისაზიდად არსებობს კონკრეტული სტრატეგია. მაგალითად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამა თუ იმ პროდუქციის სპეციალური ფასდაკლების სისტემით შეთავაზება, პოტენციური კლიენტებისთვის საცდელი პროდუქციის შეთავაზება, რათა მომხმარებელი დარწმუნდეს მის ხარისხსა და ღირებულების შესაბამისობაში, ამა თუ იმ პროდუქციის შესახებ დისკუსიის გამართვა და მომხმარებლების ცოდნის გაზიარება პოტენციური კლიენტებისთვის, ე.წ. საინფორმაციო ცხელი ხაზი, კითხვა-პასუხის რეჟიმი კონკრეტული პროდუქციის ირგვლივ, ონლაინ რეკლამის სწორად დაგეგმარება, გაყიდული პროდუქციის დროულად მიწოდება მომხმარებლისთვის და სხვა. უნდა ითქვას, რომ ელექტრონულ კომერციაში ონლაინ მომხმარებლის ნდობის მოპოვება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ონლაინ ბიზნესის სწორად წარმართვისთვის. უკვე ითქვა, რომ ონლაინ ბიზნესის სწორად დაგეგმარებაში დიდ როლს თამაშობს ინტერნეტ რეკლამა. დღესდღეობით, სოციალური ქსელები, ფორუმები და ბლოგები ონლაინ რეკლამისთვის საუკეთესო რესურსია. სწორედ ამ ელემენტების გამოყენებით შესაძლებელია ონლაინ მომხმარებლის ფართო აუდიტორიის მიზიდვა.

ინტერნეტ მარკეტინგის სწორი სტრატეგიის შემუშავება ონლაინ ბიზნესის წარმატების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია.


## რეზიუმე

მსოფლიო გლობალური ქსელის, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, „ქსელთა ქსელის“ - ინტერნეტის წარმოშობამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. ინტერნეტი მისი გავრცელების პირველ სტადიაზე არა მხოლოდ კომუნიკაციისათვის გამოიყენებოდა, არამედ, სავაჭრო კომპანიებს შეეძლოთ მისი მეშვეობით მარკეტინგის სტრატეგია უფრო დაეხვეწათ. მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ფართოდ ვითარდება ელექტრონული კომერცია. თანამედროვე კომერციას ტრადიციული ვაჭრობისაგან განასხვავებს ის, რომ ეს არაა უბრალოდ საქონელბრუნვა შესრულებული მწარმოებლების ან მომხმარებლების მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ელექტრონულ კომერციაში მოისაზრება ინტერნეტ-ტექნოლოგია, რომელიც სხვადასხვა სახის პროდუქციის ინტერნეტ რეალიზაციის საშუალებას იძლევა. დღესდღეობით, ელექტრონული კომერცია ბიზნესის ის მიმართულებაა, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ბრენდები საკმაოდ შედეგიანად იყენებენ. ნებისმიერ ბრენდს გააჩნია ვებ-გვერდი, სადაც მომხმარებელს საკუთარი პროდუქციის კატალოგს სთავაზობს. ინტერნეტ-მაღაზიის წარმატებისთვის მნიშვნელოვანი დეტალია საგადასახადო სისტემა, რომელიც ონლაინ კლიენტისთვის მაქსიმალურად კომფორტული გამოსაყენებელი უნდა იყოს. გარდა ამისა, მომხმარებლის ნდობის მოპოვება ონლაინ ბიზნესის წარმატებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ხოლო ნდობის მოპოვება ხდება პროდუქციის მაღალი ხარისხისა და ბრენდის ცნობადობის შემთხვევაში ძალიან იოლია. ონლაინ ბიზნესის სწორად დაგეგმარებაში დიდ როლს თამაშობს ინტერნეტ რეკლამა. დღესდღეობით, სოციალური ქსელები, ფორუმები და ბლოგები ონლაინ რეკლამისთვის საუკეთესო რესურსია. სწორედ ამ ელემენტების გამოყენებით შესაძლებელია ონლაინ მომხმარებლის ფართო აუდიტორიის მიზიდვა.



*T.Bakradze*
*A. Ananiashvili*



Summary

**Importance of E-commerce development**

Creation of Global Network System – Internet, is an important indicator of developed trading relations. On the second phase of development Internet was used not only for the communication purposes, It was used for renewal marketing strategy of companies. E-commerce was created and developed with the development process of “Digital Economy”. The mean difference between the E commerce and Traditional Trading activities is that E-commerce is not only used, for the purpose of Satisfaction the demand, beside Under the E-commerce it is meant Internet-Technologies, which provides the sale of several Products using the Internet. E-commerce is successfully used by the mean Brands of the World as Trading tool. They have their own websites and catalogs are available for customers. The most important theme is payment system, which must be comfortable and easily understandable for customers. Have a trust from customers it is very important in E commerce. Online advertisement has a great role in planning process of online business and modern social networks, forums are the best sources for clients to receive information about products offered.

# სოციალური სფეროს პროცესების დახასიათება და სოციალური კომპლექსის სახელმწიფო რეგულირების ობიექტები

***ნაირა გალახვარიძე,***
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
***ეკა ივანიშვილი,***
*სტუ-ს დოქტორანტი,*

დემოკრატიული, სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფოს არსი განაპირობებს ძლიერი სოციალური პოლიტიკის გატარებას და მისი რეალიზაციის ქმედითი მექანიზმის გამოყენებას ადამიანების ცხოვრებისეული მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილების, მათი ცხოვრების პირობებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სოციალური პოლიტიკის ხასიათი და მიმართულება, ასევე მისი რეალიზაციის საშუალებები და ინსტრუმენტები წარმოიქმნება და ყალიბდება სოციალური სფეროს, როგორც რეგულირების ობიექტის თავისებურებების, მისი სირთულისა და მნიშვნელობის, ასევე დროის გარკვეულ პერიოდზე განვითარების მდგომარეობის გათვალისწინებით.

სოციალური სფერო - საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ქვესისტემაა, რთული, ინტეგრირებული ობიექტი, რომელიც მოითხოვს სწორ გაგებასა და წარმოდგენას. ხშირად სოციალურ სფეროს აიგივებენ მის ძალიან მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც შემადგენელ ნაწილთან - ეროვნული მეურნეობის არასაწარმოო დარგების: განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების ერთობლიობასთან. თუმცა, ეს თეორიულად გაუმართლებელია. აღნიშნული დარგების ერთობლიობა წარმოადგენს სოციალურ ინფრასტრუქტურას, რომლის ელემენტებიც არსებობს საზოგადოებრივი წარმოების სხვა სფეროებშიც. სოციალური სფეროს ცნება გაცილებით უფრო ფართოა.

სოციალური სფერო უკავშირდება ადამიანს, მის ცხოველქმედებას, მისი მრავალფეროვანი და სხვადასხვა მიმართულების ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. რა მხრიდანაც არ უნდა განვიხილოთ სოციალური სფერო, ის უკავშირდება ადამიანის მატერიალური, სულიერი, ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომლებიც ყოველთვის ურთიერთკავშირში არსებობენ.

ცხოვრებისეული მოთხოვნილებებისა და ინტერესების გარდა, ადამიანი ახდენს საკუთარი ცხოვრებისეული დანიშნულების რეალიზაციას, რაც განაპირობებს მისი გარემომცველი საგნების არსებობას, რომლებიც ასევე წარმოადგენენ სოციალური სფეროს შემადგენელს. შესაბამისად, სოციალური სფერო-ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფის მთელი სისტემაა მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე. რაც უფრო ფართო და მრავალფეროვანია სოციალური სფერო, რაც უფრო მაღალია მისი განვითარების დონე, მით უფრო ფართო და მდიდარია ადამიანის ცხოვრებისეული მოთხოვნილებების ჩამოყალიბებისა და დაკმაყოფილების პირობები.

საზოგადოებაში ფასეულობებისა და ინტერესების ჩამოყალიბებული იერარქია, მოსახლეობის სიცოცხლის დონისა და ხარისხის მახასიათებლები განსაზღვრავენ საზოგადოების განვითარების დონეს ამა თუ იმ სახელწიფოსა და მასში გაბატონებული მეურნეობის ტიპის ფარგლებში.

თუმცა, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებსა და მის შემადგენლებს შორის საზღვრების გარკვეული ბუნდოვანება იწვევს სოციალური სფეროს არაერთმნიშვნელოვან განმარტებას. გარდა ამისა, ადამიანის ცხოვრებისეული მოთხოვნილებების, ინტერესებისა და უნარების რეალიზაცია შემოიფარგლება საზოგადოებაში არსებული პირობებითა და შესაძლებლობებით. ამის გათვალისწინებით, სოციალურ სფეროს განიხილავენ, როგორც ამ სიტყვის ფართო, ასევე ვიწრო გაგებით. პირველ შემთხვევაში სოციალური სფერო ასახავს და მოიცავს ყოველივე იმას, რაც უკავშირდება ადამიანს, მის ცხოვრებას, მისი მრავალფეროვანი ცხოვრებისეული მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებას. მეორე შემთხვევაში, სოციალური სფერო ასახავს ადამიანების საქმიანობის, მისი ფორმებისა და სახეების იმ ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც ისინი აკმაყოფილებენ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს გარკვეულ პირობებში და დროის გარკვეულ მონაკვეთში.

მშობლიურ და უცხოურ ლიტერატურაში სოციალური სფეროს დახასიათებისთვის გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი, მაგალითად, ''საზოგადოებრივი კეთილდღეობა", ''ცხოვრების ხარსიხი", ''ცხოვრების დონე" და სხვა, რომელთაგან თითოეული გულისხმობს ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული კომპონენტების კომპლექსს, რომლებიც განსაზღვრავენ მათ ძირითად შინაარსს. ხშირად გამოყენებული ტერმინი საზოგადოებრივი კეთილდღეობა - განიხილება, როგორც უფრო ფართო, ვიდრე უბრალოდ მატერიალური კეთილდღეობა. საზოგადოებრივი კეთილდღეობა მატერიალურ შემადგენელთან ერთად მოიცავს არამატერიალურ კომპონენტებსაც: პირადი ბედნიერება, სამუშაოთი, ყოფითი პირობებით, საზოგადოებაში საკუთარი ადგილით, ბავშვების აღზრდისა და განათლების შესაძლებლობებით კმაყოფილება და ა.შ.

ცხოვრების ხარისხი, ერთის მხრივ, ახასიათებს საზოგადოებრივი ცხოვრების სუბიექტს და ადამიანის მოთხოვნილებებს (სიცოცხლის ხანგრძლივობა, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, განათლების, კულტურული და ინტელექტუალური პო-

ტენციალის დონე) და, მეორეს მხრივ, კომფორტულობას, ცხოვრებისეული პირობების ხელსაყრელობა, ადამიანთა სამყოფელი გარემოს მდგომარეობა.

ცხოვრების დონე ასახავს მოსახლეობის უზრუნველყოფას მისი ცხოველქმედებისთვის აუცილებელი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობით, მათი მოხმარების მიღწეულ დონეს და ადამიანთა მხრიდან ამ კეთილდღეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხს.

სოციალური სფერო მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებთან და პირველ რიგში, ეკონომიკურთან და პოლიტიკურთან. ეკონომიკა, მისი ფართო გაგებით, ასახავს სოციალურ პროცესებსაც, ამავდროულად ადამიანის ეკონომიკური პრობლემები ესაა მისი სოციალური მოთხოვნილებები. ეკონომიკა განსაზღვრავს ადამიანთა სოციალურ ცხოვრებას იმ ხარისხით, როგორითაც ადამიანის ცხოვრებისეული ინტერესები განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარებას. სოციალური სფეროს კავშირი პოლიტიკასთან ვლინდება სოციალური პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც გამოდის, როგორც სახელმწიფოს შიდა პოლიტიკის, მისი სახელისუფლებო სტრუქტურების და მის უკან მდგარი პოლიტიკური ძალების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი.

სოციალური სფეროს განვითარების პრობლემები შეგვიძლია განვიხილოთ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა დონეზე: ადამიანი-პირველადი სუბიექტი და სოციალური ცხოვრების ობიექტი; მოქალაქეთა სხვადასხვა სახის გაერთიანებები და ასევე მთელი საზოგადოება მისი მრავალფეროვანი ორგანიზაციების, დაწესებულებების და სოციალური ინსტიტუტების სახით. ამ პრობლემების გადაწყვეტაში განმსაზღვრელი როლი ენიჭება სახელმწიფოს, რომლიც წარმოადგენს რა საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას, მოწოდებულია დაიცვას საკუთარი მოქალაქეების ინტერესები და უფლებები, ხელი შეუწყოს საზოგადოების წევრთა ცხოვრების პირობებისა და წესის განვითარებას, მოახდინოს მათ შორის სოციაულური კავშირებისა და დამოკიდებულებების სრულყოფა.

განვიხილავთ რა სოციალურ სფეროს, როგორც სახელმწიფო რეგულირების ობიექტს, ავღნიშნავთ, რომ საუბარია სოციალური სფეროს იმ მხარეზე, რომელიც ეხება ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომელთაც ის ობიექტური გარემოებების მეშვეობით ვერ უზრუნველყოფს დამოუკიდებლად. იმ მოთხოვნილებებთან მიმართებაში, რომლებიც ადამიანს უნდა და შეუძლია რომ დამოუკიდებლად უზრუნველყოს, სოციალური სფეროს სახელმწიფო რეგულირების როლი დაიყვანება ხელსაყრელი პირობების შექმნამდე, რაც მას მისცემს საშუალებას მოახდინოს საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზაცია მის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად.

სოციალური სფეროს პროცესებისა და ორგანიზაციების ერთობლიობა წარმოადგენს სოციალურ კომპლექსს, რომლის შემადგენლობაშიც შეგვიძლია გამსხვილებულად გამოვყოთ სახელწიფო რეგულირების ობიექტები:

· მოსახლეობა, შრომითი რესურსები, მიგრაცია, შრომის ბაზარი;

· შემოსავლების პოლიტიკა, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი და დონე;

· მოსახლეობის სოციალური დაცვა, ბრძოლა სიღარიბესთან, საპენსიო უზრუნველყოფა,სოციალური დაზღვევა და სხვ.;

· სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების (ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, საცხოვრებელი პირობები, მოსახლეობის კომუნალური მომსახურებები, ფიზიკური სიჯანსაღე და სპორტი, ტურიზმი და ა.შ.) განვითარება.

სოციალური სფეროს რეგულირების კუთხით სახელმწიფოს მიზნებსა და საქმიანობის მიმართულებებს განსაზღვრავს სახელწიფო სოციალური პოლიტიკა.

სოციალური პოლიტიკა განსაზღვრავს სოციალური პროცესებისა და დამოკიდებულებების მთელი კომპლექსის, ადამიანებს შორის ურთიერთობის ფორმების განვითარების მიმართულებებს. სოციალური პოლიტიკა ასევე განხილულ უნდა იქნეს, როგორც ადამიანების მოთხოვნილებების, ნტერესების კონცენტრირებული ასახვა სოციალური დამოკიდებულებებისა და მათი ცხოველქმედების პირობების სფეროში.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა იგება მიზანმიმართულობის, შესაძლებლობების გათვალისწინების, რეალობის, საჯაროობის, მთლიანობის, ადექვატურობის, საყოველთაოობისა და მიმართულობის პრინციპების საფუძველზე.

მიზანმიმართულობის პრინციპი გულისხმობს სოციალურ პოლიტიკის ორიენტაციას გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მიღწევაზე, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალური სფეროს განვითარებას პერსპექტივაში.

შესაძლებლობების გათვალისწინების პრინციპი ეფუძნება იმას, რომ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ფორმირებისას აუცილებელია, ერთის მხრივ, გათვალისწინებულ იქნეს ადამიანების საკუთარი შესაძლებლობები და უნარები გადაწყვიტონ თავიანთი სოციალური პრობლემები, ხოლო, მეორეს მხრივ-სახელმწიფოს შესაძლებლობები. ამ პრინციპის მნიშვნელოვნობა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის, როგორც საკუთარი პრობლემების გადაწყვეტის სუბიექტის როლის ბოლომდე არშეფასება სოციალურ პოლიტიკას უქადის მარცხს, იწვევს სოციალურ კმაყოფაზე ყოფნას, ადამიანის სოციალური სტატუსის დეფორმაციას. ამის მაგალითად გამოდგება „უძრაობის ხანის“ საბჭოთა საზოგადოება,როცა ადამიანი ჩაყენებული იყო იმ პირობებში, რომ მასზე ძალიან უმნიშვნელოდ იყო დამოკიდებული საკუთარი სოციალური სტატუსი. სახელმწიფოს შესაძლებლობები დამოკიდებულია იმ სარესურსო-ეკონომიკურ პოტენციალზე, რომელიც

უზრუნველყოფს სოციალური პრობლემების გადაჭრას.

სოციალური პოლიტიკის რეალობის პრინციპი მჭიდროდ უკავშირდება შესაძლებლობების გათვალისწინების პრინციპს: ხალხს უნდა შეპირდე მხოლოდ ის, რისი შესრულებაც ძალუძს სახელმწიფოს.

საჯაროობის პრინციპი გულიხმობს, რომ სოციალური პოლიტიკის ძირითადი დებულებები უნდა იყოს ცნობილი საზოგადოების ყველა წევრისთვის.

ადექვატურობის პრინციპი სოციალური პოლიტიკისგან მოითხოვს იყოს ადექვატური სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების მიზნებთან, ადამიანთა ცხოვრების პირობებთან მიმართებაში, უნდა გამომდინარეობდეს ადამიანის ცხოვრებისეული ინტერესებისა და გამოვლინებების ჩამოყალიბებული სტრუქტურიდან.

მთლიანობის პრინციპი გულიხმობს, რომ სოციალური პოლიტიკის ყველა რგოლი და მიმართულება უნდა იყოს მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული.

საყოველთაოობისა და მიმართულობის პრინციპი სოციალურ პოლიტიკას მიმართავს, პირველ რიგში, იმაზე, რომ მოიცვას საზოგადოების ყველა ფენა და სოციალური ჯგუფი, სოციალური სფეროს ყველა ორგანიზაცია, დაწესებულება და ინსტიტუტი, ხოლო მეორეს მხრივ, უნდა მოიცავდეს კონკრეტულ სამისამართო ზომებს საზოგადოების თითოეულ სოციალურ სტრუქტურასთან მიმართებაში.

მიმართულებების, სუბიექტებისა და ობიექტების, დონისა და სახეების მიხედვით გამოიყოფა სახელმწიფო, რეგიონული და დარგობრივი სოციალური პოლიტიკა, პოლიტიკა შრომის ბაზრისა და მოსახლეობის დასაქმების, შემოსავლებისა და ანაზღაურების, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და სოციალური მომსახურების, ასევე ჯანდაცვის, განათლებისა და ხელოვნების, საცხოვრებელი, საპენსიო, საოჯახო სფეროში, პოლიტიკას დედათა და ბავშვთა სფეროში.

სოციალური პოლიტიკის ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება:

· საზოგადოების სოციალური მდგრადობისა და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

· ეკონომიკური რესურსებისა და ეკონომიკური ეფექტის განაწილების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მისაღები იქნება მოსახლეობის უმრავლესობისთვის;

· მთლიანად მოსახლეობისა და მისი თითოეული სოციალური ჯგუფის სოციალური დაცულობის აუცილებელი და საკმარისი დონის უზრუნველყოფა;

· სოციალური წესრიგის ანუ საზოგადოების მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც მოსახლეობის მიერ ფასდება, როგორც ცხოვრებისთვის მისაღები.

ობიექტურად განპირობებული სოციალური პოლიტიკის გატარებისას, სახელმწიფო მისი რეალიზაციისთვის იყენებს რეგულირების სხვადასხვა ქმედებას, ფორმასა და მეთოდებს: საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებას, კანონების შესრულებას, შემოსავლების სამართლიან განაწილებას, გადასახადით რაციონალურად დაბეგვრას და სხვ. რასაკვირველია, სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს ადამიანთა ცხოვრებაში ნაწილობრივ ჩარევას და უმეტეს შემთხვევაში, მას მოსდევს მათი თავისუფლების გარკვეული შეზღუდვა. თუმცა, ეს ჩარევა ხორციელდება ადამიანების ინტერესებიდან გამომდინარე და მათ საკეთილდღეოდ. სახელწიფო რეგულირება არ უნდა იქნეს განხილული, როგორც სოციალურ სფეროზე ხისტი, ბრძანებითი ზეგავლენის სისტემა. ეს სისტემა აგებულია არსებითად სრულიად მრავალფეროვან მეთოდებზე, როგორიცაა: ეკონომიკური, ადმინისტაციულ-განკარგულებითი, სოციალურ-ფსიქოლოგიური, აღმზრდელობითი, სამართლებრივი.

სახელმწიფო რეგულირების სისტემაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სამართლებრივი მეთოდები, რომელთა ერთობლიობაც დევს სამართლებრივი რეგულირების საფუძველში. სამართლებრივი რეგულირება უზრუნველყოფს ადამიანთა ქცევაზე, საქმიანობაზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას, ხოლო ამის მეშვეობით კი საზოგადოებრივ ურთიერთობებზე გავლენას. სამართლებრივი მეთოდების ძირითად ელემენტებს წარმოადგენს იურიდიული ნორმები, სახელმწიფო მითითებები და სამართლის გამოყენების აქტები, სამართალდამოკიდებულებები, უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაციის აქტები.

სახელმწიფო რეგულირების თანამედროვე მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დასახული ამოცანების გადაწყვეტას სოციალური სფეროს განვითარების დარგში, იგება უპირატესად ეკონომიკურ საფუძველზე და მოიცავს:

· საბიუჯეტო რეგულირებას, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტურობის გაზრდას, მიზნობრივი საგადასახადო საშუალებების სისტემის შემოღებას;

· სახელშეკრულებო ურთიერთობების განვითარებას მოსახლეობის შემოსავლების რეგულირებაში;

· მოქალაქეთა ქონებისა და ინდივიდუალური შემოსავლების გადასახადით დაბეგვრას;

· ხელსაყრელი პირობების შექმნას ხელფასის, პენსიების, შემწეობებისა და სხვა შემოსავლების გაზრდისთვის;

· მოქალაქეთა ზემაღალი შემოსავლების დეკლარირებას;

· სატარიფო შეთანხმებას დამქირავებელსა და დაქირავებულებს შორის;

· ხელფასის უშუალო რეგულირებას ეკონომიკის საბიუჯეტო სფეროებში ერთიანი სატარიფო ბადის საფუძველზე;

· საპენსიო უზრუნველყოფის სრულყოფას;

· სოციალური დაზღვევის და სადაზღვევო გაცემის როლის გამოყენებასა და გაზრდას მოსახლეობის სოციალურ დაცვაში, წარმოებაში პენსიონერთა მონაწილეობის მოწესრიგებას;

· პენსიაზე გასვლის ასაკის თანდათანობით

ზრდას;

· შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტების (არასახელწიფო სადაზღვევო და საპენსიო ფონდების) როლის ამაღლებას.

სოციალური სფეროს სახელმწიფო რეგულირების სისტემაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სოციალური პროგრამები, რომლებიც მოიცავენ იმ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნების მიღწევას სოციალური სფეროს განვითარების დარგში.

საქართველოში სოციალური კომპლექსი წარმოადგენს სახელწიფო რეგულირების ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ ობიექტს .

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სოციალური პოლიტიკა გაიგივებულია მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და დონის ამაღლების, მისი მატერიალური კეთილდღეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების კუთხით სახელმწიფოს საქმიანობასთან. თანდათან ქვეყნის სოციალური პოლიტიკის შინაარსი შეიცვლება. მის ძირითად მიმართულებებად უნდა იქცეს მოსახლეობის  შრომითი მოტივაციის გაზრდა და ცხოვრების დონის სტაბილიზაცია, წინაპირობების შექმნა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდისთვის.

ამასთან, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მთავარ მიზანს საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოადგენს თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქისთვის იმ პირობების შექმნა, რაც საშუალებას მისცემს მას უზრუნველყოს საკუთარი და ოჯახის კეთილდღეობა სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის სუსტად დაცული  ჯგუფების სოციალური მხარდაჭერის გაძლიერების ფონზე.

დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა :

· მოსახლეობის შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფა მისი შრომითი წვლილისა და მის ხელთ არსებული კაპიტალის შესაბამისად;

· სოციალურ კმაყოფაზე ყოფნის თავიდან აცილება;

· მოსახლეობის სოციალური დაცვის ეფექტური მექანიზმის შექმნა;

· სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, საზოგადოების ყველა ფენის შემდგომი კონსოლიდაცია, საზოგადოებაში მშვიდობისა და თანხმობის შენარჩუნება;

· სტიმულის ფორმირება მაღალმწარმოებლური შრომისადმი, მოსახლეობის საწარმოო და საქმიანი აქტიურობის ამაღლება

· სოციალური წინაპირობების შექმნა მყარი ეკონომიკური ზრდის აღსადგენად, საშუალოვადიან პერსპერქტივაში, განათლების სისტემის განვითარების, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯზე;

· ცხოვრების ჯანსაღი წესის ფორმირება, მაღალი ზნეობრივი ფასეულობების, ასევე, სოციალური სამართლიანობის შენარჩუნება და განვითარება, რაც არათავსებადია ნებისმიერი ფორმის კორუფციასთან და კრიმინალური ქმედებების ხარჯზე გამდიდრებასთან.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესების რეგულირება, წარმოადგენს:

· ოჯახების შემოსავლებისა და პირადი მოხმარების სფერო;

· საზოგადოებრივი კეთილდღეობის სფერო;

· მოსახლეობის კვლავწარმოების, სამუშაო ძალისა და დასაქმების სფერო;

· სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარება.

სახელწიფოს პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ობიექტი ოჯახების შემოსავლებისა და პირადი მოხმარების სფეროში დაქირავებული მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებაა. ის მიმართულია მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილის შემოსავლების მხარდაჭერის სისტემის ფორმირებაზე  შრომის ანაზღაურების რეფორმირების, პირადი შრომითი წვლილის ხარჯზე მაღალი ხელფასის მიღების პირობების შექმნის გზით.

სახელწიფო პოლიტიკა საზოგადოებრივი კეთილდღეობის სფეროში, პირველ რიგში, უკავშირდება მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემას, რომელიც განხილულ უნდა იქნეს, როგორც სოციალური გარანტიების (საარსებო მინიმუმი, მინიმალური სამომხარებლო ბიუჯეტი, მინიმალური ხელფასი, პენსიები, სტიპენდიები, შემწეობები, მოსახლეობის ნომინალური შემოსავლების მხარდაჭერის მექანიზმი (ინდექსაცია), შრომის უფლება, უფასო განათლება, საცხოვრებლის უფლება, დასვენება, სამედიცინო მომსახურება, საკუთრების და მისგან შემოსავლების მიღების უფლება და ა.შ.) მეშვეობით რეალიზებული ხანგრძლივი მოქმედების  მექანიზმი.

სოციალური დაცვის სისტემაში გამოიყოფა სამი ქვესისტემა:

· მოსახლეობის ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის დაცვა;

· საზოგადოების შრომისუნარიანი წევრებისთვის სოციალური გარანტიები;

· ქვეყნის შრომისუუნარო მოსახლეობის სოციალური დაცვის ზომები.

სოციალური გარანტიები დგინდება ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტურობის ამაღლება, უმუშევრობის შენარჩუნება სოციალურად მისაღები დონის ფარგლებში. მოსახლეობის მხარდაჭერის პოლიტიკა ეხება მრავალშვილიან და არასრულ ოჯახებს, ინვალიდებს, მოსწავლეებს, პენსიონერებს. სწორედ ისინი ხდებიან, პირველ რიგში, სოციალური დაცვის ობიექტები სოციალური შემწეობების, კომპენსაციების, პენსიებისა და სხვ. გაცემის სახით. განსაკუთრებული როლი ენიჭება საპენსიო უზრუნველყოფას. პენსიონერთა ცხოვრების დონის ამაღლების პირველი რიგის ზომებია მინიმალური პენსიის ოდენობის პენსიონერის საარსებო მინიმუმთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, პენ-

სიების ინდექსაცია ფასების ზრდის და საშუალო თვიური ხელფასის გათვალისწინებით. გათვალისწინებულია არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის განვითარება, არასახელმწიფო ფონდების შექმნა და სრულფასოვანი ფუნქციონირება. ქვეყანაში საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი განვითარება ეფუძნება საპენსიო რეფორმის კონცეფციას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1) ბარათაშვილი ე, ჯოლია გ, გრძელიშვილი ნ, მამალაძე ი, სეხნიაშვილი დ, ჩახვაშვილი დ,— ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. თბილისი 2012 წ. I— I I წიგნი.

2) ბარათაშვილი ე., გალახვარიძე ნ., გრძელიშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ. რეგიონული ეკონომიკა, თბ. 2010

3) რეგიონული ეკონომიკა. სარედაქციო კოლეგია ე. ხარაიშვილის ხელმძღვანელობით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2004 წ.

4) გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008 წ., გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2008 წ.

5) ნ.ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი 1997 წ.

6) რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ქუთაისი, 1-2 მაისი, 2010 წ.

7) Гаврилов А.И. - Региональная экономика и управление. Юнити, Москва 2002 г.

8) Буров М.П. - Система регулирования экономического взаимодеиствия регионов. Издательско-торговая корпорация „Дашков и К~.

9) Тургель И.Д. - Региональная экономика и управление. М. 2003 г.

10) Юсупов К.Н. и др. Региональная экономика. Москва, Издательство „Кнорус~ 2008,

11) Фетисов Г.Г., Орешин В.П. Региональная экономика, М.: ИНФРА-М.,2006.

12) М.В. Миасникович, Н.Б.Антонова, О.Б.Хорошко – Государственное регулирование социальной сферы. Минск 2001 г.



**რეზიუმე**

სოციალური სფერო უკავშირდება ადამიანს, მის ცხოველქმედებას, მისი მრავალფეროვანი და სხვადასხვა მიმართულების ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. რა მხრიდანაც არ უნდა განვიხილოთ სოციალური სფერო, ის უკავშირდება ადამიანის მატერიალური, სულიერი, ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომლებიც ყოველთვის ურთიერთკავშირში არსებობენ.

სოციალური სფეროს პროცესებისა და ორგანიზაციების ერთობლიობა წარმოადგენს სოციალურ კომპლექსს.

სოციალური სფეროს რეგულირების კუთხით სახელმწიფოს მიზნებსა და საქმიანობის მიმართულებებს განსაზღვრავს სახელწიფო სოციალური პოლიტიკა.

სახელწიფო პოლიტიკა საზოგადოებრივი კეთილდღეობის სფეროში, პირველ რიგში, უკავშირდება მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემას, რომელიც განხილულ უნდა იქნეს, როგორც სოციალური გარანტიების (საარსებო მინიმუმი, მინიმალური სამომხარებლო ბიუჯეტი, მინიმალური ხელფასი, პენსიები, სტიპენდიები, შემწეობები, მოსახლეობის ნომინალური შემოსავლების მხარდაჭერის მექანიზმი (ინდექსაცია), შრომის უფლება, უფასო განათლება, საცხოვრებლის უფლება, დასვენება, სამედიცინო მომსახურება, საკუთრების და მისგან შემოსავლების მიღების უფლება და ა.შ.) მეშვეობით რეალიზებული ხანგრძლივი მოქმედების მექანიზმი.



SUMMARY



N. Galaxvaridze,
E. Ivanishvili



Social sphere is related to people, their activities, gratification of their various interests and needs. No matter how we consider, it is related to qualification of human material, spiritual and intellectual needs that always exist in interaction.

The combination of social processes and organizations of social sphere presents social complex.

Direction of state goals and activities in social regulation sphere is defined by social policy.

First of all, state policy in social welfare is related to social security system which must be considered as a long term mechanism realized by social guarantees (living wage, minimal custom budget, minimal salary, pension, scholarship, assistance, the nominal income support mechanism (indexation), labor right, free education, rights of residence, recreation, medical care, property and rights to receive salary, etc.)

# უმუშევრობა და მისი სოციალური შედეგები საქართველოში

*ლამარა მინდორაშვილი,*
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

ის დიდი სტრუქტურული ძვრები, რომელიც თან სდევს ძველი ეკონომიკური სისტემის ნგრევასა და ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლას, ყოველთვის განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებას. ამ პროცესმა განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი პოსტკომუნისტურ საქართველოში, რომელიც განპირობებულია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათის მრავალი მიზეზით. ყველაზე ცუდი ამ სიტუაციაში არის ის, რომ მდგომარეობა გაუმჯობესებას ძნელად ექვემდებარება და, შესაძლოა, უარესდება კიდეც, რაც, დასაქმებულთა შემდგომ რაოდენობრივ შემცირებასა და უმუშევართა ზრდაში გამოიხატება. უმუშევრობა კი, როგორც ცნობილია, არის ძალზე მძიმე სოციალური უბედურება, რომელიც ადამიანებს აიძულებს, იცხოვრონ უკიდურეს სიღარიბეში, უარი თქვან საკუთარი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეც კი, იარსებონ მიზერული შემთხვევითი შემოსავლებით და იზრუნონ მხოლოდ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაზე. ამ ადამიანებს არა აქვთ ნორმალური დასაქმების პერსპექტივა, ანუ მაღალი შემოსავლებისა და უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობა.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ხასიათდება აგრეთვე იმ მოსახლეობის ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდით, რომლებიც არასრული სამუშაო დღით (სამუშაო კვირით) არიან დასაქმებულები, რამდენადაც წვრილი საწარმოები ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი საწარმოო დანახარჯების მინიმიზაციას ეკონომიიით შრომით ანაზღაურებაზე. ასეთი პრაქტიკა აუარესებს სამუშაო ძალის კვლავწარმოების პირობებს, აქვეითებს მის ხარისხს.

გარდამავალ პერიოდში ნეგატიური ცვლილებები ხდება განათლების სფეროშიც. ოპტიმიზაციის საბაბით შემცირებული სკოლების (შესაბამისად, მოსწავლე ახალგაზრდების) შედეგად, იზრდება უწიგნურობა სასკოლო ასაკის ბავშვებში, რაც ხელს უწყობს სოციალური ფენის შემდგომ გაუარესებას, უმუშევრობის პრობლემის გაღრმავებას, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის დაქვეითებას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი, საერთოდ და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში კერძოდ, გადამწყვეტი სწორედ კადრებია, მათი მოტივაციის ხარისხი და შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს საკადრო პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას. ახლა საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ადამიანურ რესურსებში სახსრების დაბანდება არა მხოლოდ აუცილებელი დანახარჯია, არამედ ორგანიზაციის განვითარებისა და ეკონომიკური წარმატების მიღწევის აუცილებელი პირობაც.

სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში განსაკუთრებული როლი მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებას განეკუთვნება. საკადრო პოტენციალის ნორმალურ კვლავწარმოებას აუცილებლად ესაჭიროება მათ მიერ მატერიალური დოვლათისა და კულტურული ფასეულობების ისეთი დონით მოხმარება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შრომაში დახარჯული ენერგიის არა მხოლოდ სრული აღდგენა, არამედ უნარების შემდგომი განვითარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნებისა და შრომის ბაზარზე არსებული კონკურენციის შესაბამისად.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპზე, როცა ქვეყანამ სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირებაში თავისი მონაწილეობა მინიმუმამდე შეამცირა, შესამჩნევად გაუარესდა სამუშაო ძალის კვლავწარმოების პირობები რეალური ხელფასის რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირების გამო. მშრომელთა უმეტესობა ვეღარ მოიმხმარს საჭირო რაოდენობისა და ხარისხის დოვლათს, მიუხედავად იმისა, რომ აღარ იგრძნობა არც სასურსათო და არც არანაირი საქონლის დეფიციტი, მაღაზიები და ბაზრობები სავსეა (უპირატესად იმპორტული) პროდუქციით, მაგრამ ბევრისათვის მიუწვდომელია მაღალი ფასების გამო. თუ წინათ ფული ნადირობდა საქონელზე, ახლა საქონელი ნადირობს ფულზე. არის საქონელი, მაგრამ აღარ არის ფული, აღარ არის მყიდველი. ყოველივე ამის გავლენით უარესდება მოსახლეობის ჯანმრთელობა, იზრდება სხვადასხვა ავადმყოფობით დაავადებულთა რიცხოვნობა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, უმეთვალყურეო ბავშვებისა და მოზარდების რიცხვი, სიკვდილიანობა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში. მით უმეტეს, რომ ჯანმრთელობის დაცვის საქმეშიც მდგომარეობა არ უმჯობესდება როგორც მატერიალური ბაზის გაუარესების, ისე განსაკუთრებით მედიკამენტებზე ფასების ზრდის პირობებში. ასეთ ვითარებაში ადგილი აქვს ყველაზე კვალიფიციური, ახალგაზრდა და ჯანმრთელი კადრების (მეცნიერებიდან, მრეწველობიდან) მასიურ სწრაფვას უფრო მაღალშემოსავლიანი დარგებისაკენ და სულაც საზღვარგარეთ. სწორედ ამიტომ, სამუშაო ძალის რიცხოვნობა 2000 წლის 2•051 კაციდან 2008 წლისათვის 1 917,8 ათას კაცამდე შემცირდა, მომუშავეთა რაოდენობა 1•601,9 ათას კაცამდე, უმუშევრობის დონე კი 6,5%-ით ამაღლდა ოფიციალური მონაცემებით, თუმცა, ექსპერტები ბევრად უფრო მაღალ ციფრს ასახელებენ.

უნდა ითქვას იმაზეც, რომ გაძლიერებული მიგრაციისა და გაარესებული დემოგრაფიული სიტ-

უაციის პირობებში, როცა ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობის ბუნებრივი გზით მატება თითქმის აღარ ხდება, მომავალში ფრო გართულდება საკმარისი რაოდენობის სამუშაო ძალისა და სათანადო კვალიფიკაციის მუშახელის შენარჩუნება, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს დღეს არსებულ სიტუაციას.

მაშასადამე, სახეზეა სამუშაო ძალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესების ტენდენცია.

**Summary**

*L. MINDORASHVILI*

**UNEMPLOYMENT AND ITS SOCIAL RESULTS IN GEORGIA**

The article discusses principle causes of unemployment growth in able lodied population of the country. The attention is played to the worsening of labor reproduction because of decrease of income and social background, stipulating the decrease of competitiveness of labor force and worsening the tendencies of its quantitative and qualitative indices.

# ანტიმონოპოლიური პოლიტიკის თავისებურებანი საქართველოში

***კობა სოხაძე,*** *სტუ-ს სრული პროფესორი*
***ზურაბ ფარესაშვილი,***

საქართველოში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შექმნა და სახელმწიფო ორგანოების ანტიმონოპოლიური საქმიანობა, ნათლად ასახავს ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების სახელმწიფოებრივ სპეციფიკას და საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პრობლემებისადმი მიდგომის სახელმწიფოებრივ სტილს.

საქართველოში ანტიმონოპოლიურ საქმიანობას საფუძველი ეყრება 1992 წელს ეს არის საბაზრო ეკონომიკის სტიქიურად დამკვიდრების პერიოდი როდესაც მთავრობის ეკონომიკური გუნდი ცდილობს ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების გამოყენებას. ამიტომ საქართველოს მთავრობა ღებულობს დადგენილებებს "საქართველოს რესპუბლიკაში მეურნეობრივი საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" და დეკრეტს "საქართველოს რესპუბლიკაში კონკურენციის განვითარებისა და მონოპოლიზმის შეზღუდვის შესახებ". აღნიშნულმა კანონქვემდებარე აქტებმა დადებითი როლი ითამაშეს ქვეყნის ეკონომიკის ქაოსიდან გამოსვლის საქმეში.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ 1995 წლიდან იწყება ქვეყანაში ეკონომიკური, მათ შორის ანტიმონოპოლიური პოლიტიკის დამკვიდრების ახალი ეტაპი, შესაბამისად 1996 წელს მიღებული იქნა კანონების პაკეტი: "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", და "რეკლამის შესახებ". კანონის მთავარი მიზანი იყო საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა და ქვეყანაში კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით ორგანიზაციურ-სამართლებრივი ბაზის შექმნა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მომხმარებელთა უფლებების დაცვას. კანონმა განსაზღვრა მეწარმე სუბიექტების პასუხისმგებლობა მათ მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და იმ ქმედებებისათვის რომლებსაც შეეძლოთ ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა.

საზოგადოებისათვის გაუგებარი მიზეზების გამო ეს კანონი დღეისათვის აღარ მოქმედებს. რამაც გამოიწვია ქვეყანაში კონკურენციის შეზრუდავა და ხელი გაუხსნა მონოპოლიების შექმნის უმართავ პროცესებს, რაც აისახა კიდეც ქვეყნის ეკონომიკის აშკარა სტაგნაციის ისეთ მაჩვენებლებში, როგორიცა: უმუშევრობისა და ფასების, მ.შ. სასიცოცხლოდ აუცილებელ კვების პროდუქტებზე ფასების უმართავი ზრდა; სოციალური პროგრამების შეკვეცა და გაუქმება; კომუნალური გადასახადების ზრდა და ა.შ. კონკურენციული გარემოს შექმნის მიზნით, აუცილებელი შეიქმნა განხილული იქნას ამ კანონით გა საზღვრული ამოცანები, რომელიც განვითარებადი ქვეყნის ანტიმონოპოლიური საქმიანობის მოწესრიგების კლასიკური ნიმუშია. საქართველოში ამ კანონით იკრძალებოდა ეკონომიკური აგენტის მიერ ისეთი ხელშეკრულების დადება ან გადაწყვეტილებათა მიღება, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ იწვევს კონკურენციის შეზღუდვას, კერძოდ: ერთერთ მხარეს ზღუდავენ ბაზრის, მომარაგების წყაროების, მიმწოდებლის ან მომხმარებლის შერჩევაში; ხელშეკრულების მონაწილე ერთერთ პარტნიორს აკისრებენ მოვალეობას ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის სანაცვლოდ მიაწოდოს (ან შეისყიდოს) ისეთი საქონელი, რომელიც არც საგნობრივად და არც ვაჭრობის მიხედვით არ არის მასთან დაკავშირებული; არსებითად ზღუდავენ კონკურენციას ურთიერთშენაცვლებადი საქონლის ბაზარზე.

აღნიშნული კანონით იკრძალებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, რომლის გამოვლინებად ითვლება: საქონლის თაობაზე ყალბი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ადრესატს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამ გზით უბიძგებს მას გარკვეული სამეურნეო ქმედებისაკენ; კონკურენტის შეცდომაში შეყვანის მიზნით გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამ გზით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება; დემპინგური ფასების გამოყენებითა და მომხმა-რებელთა შეცდომაში შეყვანის გზით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა; ეკონომიკურ აგენტთა მიერ კონკურენტების რეპუტაციის შელახვა, მათი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია; კონკურენტის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებური გამოყენება; კონკურენტის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული გაფორმების მითვისება; მეცნიერულ-ტექნიკური, ინოვაციური წარმოებრივი, სავაჭრო ინფორმაციის და კომერციული საიდუმლოების მიღება, მოპოვება, გამოყენება და გავრცელება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე.

მონოპოლიზებულ ეკონომიკურ აგენტებს ეკრძალებათ თავიანთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ბაზრის სხვა მონაწილეთა დისკრიმინაციის მიზნით. მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ითვლება, ისეთი ქმედება რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს სხვა ეკონომიური აგენტების, აგრეთვე მომხმარებლების ინტერესების შელახვა, კერძოდ: წარმოების შემცირება ან შეწყვეტა, ასევე საქონლის ამოღება მეურნეობრივი ბრუნვიდან და

მისი დაგროვება დეფიციტის შექმნის, შენარჩუნებისა და ფასებზე ზემოქმედების მიზნით; სხვა ეკონომიკური აგენტისათვის ბაზარზე შეღწევის ან ბაზრიდან გამოსვლის აგრეთვე, ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტების საქმიანობისათვის ხელისშემშლელი პირობების შექმნა; ბაზრის მონაწილეთათვის დისკრიმინაციული პირობების (შესაბამისად დაბალი ან მაღალი ფასების თავზე მოხვევა და სხვა) შექმნა; ხელშეკრულების დადების მიზნით ნებისმიერი სახის იძულების გამოყენება; მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დაწესება, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში მკვეთრად განსხვავდებიან პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯებისაგან; დემპინგური ფასების გამოყენება; სხვა ქმედებათა განხორციელება, რომლებიც იწვევენ კონკურენციის შეზღუდვას ან ეკონომიკური აგენტებისა და მომხმარებლების კანონიერი ინტერესების შელახვას.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკურ სამინისტროსთან არსებული ანტიმონოპოლიური სამსახური. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებად განისაზღვრებოდა: კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; მონოპოლიური საქმიანობის აღკვეთა, მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შეზღუდვა; არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით პროფილაქტიკური ღონისძიების გატარება; მომხმარებელთა უფლებების დაცვა; სარეკლამო საქმიანობის რეგულირება; კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენის მიზნით საქონლური და საფინანსო ანალიზი; წარმოების მიმოქცევისა და საფინანსო სფეროების დემონოპოლიზაციის ღონისძიებათა შემუშავება; კონკურენციის განვითარებისა და მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის ღონისძიებათა მიზნით ზემდგომ ორგანოებში დასაბუთებული წინადადებების დადგენა; ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების განხილვა და შესაბამისად გადაწყვეტილებათა მიღება; ანტიმონიპოლიური კანონმდებლობისა და მომხმარებელთა უფლებების ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემების გადაწყვეტის მიზნით სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან აგრეთვე, საერთაშორისო ორგანოებთან თანამშრომლობა.

ზემოაღნიშნული კანონის დარღვევისათვის ეკონომიკურ აგენტებს, ანტიმონოპოლიური ორგანოების თანამდებობის პირებს, აგრეთვე, ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოების თანამდებობის პირებს, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში ეკისრებათ მატერიალური, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

როგორც ვხედავთ, საქართველოში შეიქმნა ანტიმონოპოლიური რეგულირების მყარი საკანონმდებლო ბაზა, რაც ხელს უწყობდა კონკურენციის განვითარებასა და შესაბამისად ფასები გარკვეულ სტაბილიზაციას.

2012 წლის 8 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", რითაც შეიცვალა ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა. კერძოდ გაუქმდა საქართველოს კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" და ამ კანონის საფუძველზე შექმნილი, დამოუკიდებელი საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახური. ახალი კანონმდებლობის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელსაც მის წინამორბედ ანტიმონოპოლიურ სამსახურთან შედარებით მნიშვნელოვნად აქვს ფუნქციები შემცირებული.

ამ კანონის მიზანია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის მიუხედავად, საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისათვის ბარიერების მოხსნა. კერძოდ: ეკონომიკური აგენტების კონკურენციისათვის ხელის არშეშლა; ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული ბარიერების აღკვეთა და ბაზარზე ეკონომიკური აგენტების თავისუფალი დაშვებისათვის ხელის შეწყობა; სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან დისკრიმინაციული ბარიერების არსებობის აღკვეთა ან მათი შექმნის დაუშვებლობა;

შეზღუდული კონკურენციის პირობებში რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში საზოგადოების სასიცოცხლო და ეკონომიკური ინტერესების დაცვა; სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი საერთაშორისო ვალდებულებების აღების დაუშვებლობა, რომლებიც შეაფერხებენ თავისუფალ ვაჭრობას ქვეყნის შიგნით და გარეთ.

ეს კანონი ვრცელდება: იმ ურთიერთობებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე, კონკურენციასა და თავისუფალ ვაჭრობაზე და რომლებშიც მონაწილეობენ იურიდიული და ფიზიკური პირები ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, იმ უკანასკნელის ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით გავლენას ახდენენ (ან შეუძლიათ მოახდინონ) კონკურენტულ გარემოზე და თავისუფალ ვაჭრობაზე.

ეს კანონი არ ვრცელდება საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან, სავაჭრო ნიშნებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.

აღნიშნული კანონის მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება — თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო (შემდგომში — სააგენტო).

სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალება: დააწესოს ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც ძირითად კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან, შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის

შეზღუდვას; აკრძალოს, შეაჩეროს ან სხვაგვარად შეაფერხოს ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა, გარდა საქართველოს კანონებით დადგენილი გამონაკლისებისა; საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციის მიზნით შექმნას სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურები ან უკვე არსებულ სტრუქტურებს მიანიჭოს ისეთი უფლებამოსილება, რომელიც გამოიწვევს კონკურენციის შეზღუდვას; მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისთვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭებას, რაც არსებითად ზღუდავს კონკურენციასა და თავისუფალ ფასწარმოქმნას, გარდა საქართველოს კანონებით დადგენილი გამონაკლისებისა. აღნიშნული კანონებიდან გამომდინარე აკრძალულია სახელმწიფო დახმარება ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას, გარდა კანონში მითითებული გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

სახელმწიფო დახმარება შეიძლება დაშვებულ იქნეს: საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფორსმაჟორული შემთხვევებით გამოწვეული ზარალის დროს; გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის, ეკონომიკური ზონის განვითარების, კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების და ხელშეწყობის მიზნით. აკრძალულია ისეთი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელიც ნებისმიერი ფორმით აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას.

სააგენტო შეიმუშავებს და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მიღების ზოგად წესს. სააგენტოს მიერ დადგენილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები შესათანხმებლად წარედგინება სააგენტოს.

განსაკუთრებული საკუთრების მფლობელი ვალდებულია მომსახურების შეძენის ან/და გაყიდვის მიზნით სხვა ეკონომიკური აგენტები დაუშვას თავის ქსელში ან ინფრასტრუქტურაში არადისკრიმინაციული პირობებით. განსაკუთრებული საკუთრების მფლობელმა შეიძლება უარი განუცხადოს სხვა ეკონომიკურ აგენტებს ქსელში მათ დაშვებაზე, თუ უარი ემყარება შემდეგ ობიექტურ მიზეზებს:

ა) არ არის დაკმაყოფილებული დადგენილი ტექნიკური მოთხოვნები და ნორმები და შესაბამისად, საშიშროება ექმნება ქსელის მთლიანობის ან მომსახურებათა უსაფრთხო ურთიერთქმედების შენარჩუნებას;

ბ) ეკონომიკურ აგენტს, რომელიც ითხოვს ქსელში დაშვებას, არ გააჩნია საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები, რათა უზრუნველყოს შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნებისა და ნორმების დასაკმაყოფილებლად საჭირო სამუშაოების ჩატარება.

სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიმართ სააგენტო უფლებამოსილია: წარუდგინოს ამ კანონის დამრღვევ სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიწერილობა მის მიერ მიღებულ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებაზე; მოსთხოვოს სახელმწიფო ანადგილო-ბრივი ხელისუფლების ორგანოს ამ კანონის დებულებების დარღვევით განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; წარდგენილ მიწერილობაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ შესაბამისი რეაგირების განუხორციელებლობის შემთხვევაში დასვას მათი პასუხისმგებლობის საკითხი შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე; დააყენოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირის დისციპლინური, ადმინისტრაციული ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიმართ სააგენტო უფლებამოსილია: მოსთხოვოს აგენტს ამ კანონის დებულებების დარღვევით განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე აგენტის მიერ ანალიზის განხორციელების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე; მოსთხოვოს აგენტს განხორციელებული ქმედების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა; მიმართოს სასამართლოს აგენტის მიერ კანონის მოთხოვნების დარღვევით განხორციელებული ქმედების ან მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

სააგენტოს ძირითადი მოვალეობებია: თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარების ხელშემშლელი ადმინისტრაციული ბარიერების აღკვეთა; სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დისკრიმინაციული ქმედებების, დაუსაბუთებელი სახელმწიფო სუბსიდიებისა (პირდაპირი და არაპირდაპირი) და შეღავათების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა;

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების განხილვა და შესაბამისი მიწერილობის შემუშავება; სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ წარდგენილი მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში: სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა და საქმის განხილვაში მონაწილეობის მიიღება;

დღევანდელი კანონმდებლობით ფაქტობრივად რეგულირდება ორი ძირითადი მიმართულება, კერძოდ:

1. ქვეყანაში კონკურენციული გარემოს განვითარების მიზნით, ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ზედამხედველობა და კონტროლი. (თუ ასეთი გადაწყვეტილებები იქნება კ.ს.)

2. კონკურენციის შეფერხების ან ამის საშიშროების შექმნის თავიდან ასაცილებლად, სახელმ-

წიფო დახმარებებისა და შეღავათების გაცემაზე ზედამხედველობა. ასეთი ზედამხედველობას რეალურად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ვერ განახორციელებს. გარდა ამისა სააგენტოს მხედველობის არედანაა გასული მომხმარებელთა უფლებების დაცვა და სარეკლამო კანონმდებლობის აღსრულებაზე კონტროლის ფუნქცია.

კანონით შეცვლილია "მონოპოლიური საქმიანობის" შინაარსი და ის თითქმის გათანაბრებულია ბუნებრივ მონოპოლიასთან. არ არის დაკონკრეტებული, რომ ეკონომიკურ აგენტს ეკრძალება მონოპოლიური საქმიანობა. გაუგებარია თუ რა ითვლება ეკონომიკური აგენტის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის დაკავებად ან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად, რა სანქციები უნდა გატარდეს აგენტის მიმართ, მის მიერ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში.

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში დღეისათვი მოქმედი საკანონმდებლო ბაზას არა აქვს ქმედითი მექანიზმები მონოპოლიური ბაზრის ჩამოყალიბებისათვის ხელის შეშლის მიზნით. რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ბაზარი მზადაა მონოპოლისტური სტრუქტურების შექმნისათვის და არავინ ზრუნავს მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების თავიდან ასაცილებლად. მით უმეტეს, რომ დღეს როგორც არასდროს სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს საზოგადოების პოლარიზაციის და ფინანსური ოლიგარქების მიერ ხელისუფლებაზე ზემოქმედების ეკონომიკური და პოლიტიკური მექანიზმების შექმნის პროცესი. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი ანტიმონოპოლისტური კანონმდებლობა ამ მექანიზმების ზემოქმედების ერთერთი შედეგია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული საკანონმდებლო ბაზის გამოყენებით, ოპერეტიულად უნდა გატარდეს ანტიმონოპოლიური საქმიანობა შემდეგი ძირითადი მიმართულრებებით: ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სამართლებრივი დაცვის პრაქტიკის გააქტიურება, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნების უგულველყოფისა და დარღვევის ფაქტების აღკვეთის მიზნით. ნორმატიული და მეთოდური ბაზის სრულყოფა პრეცედენტური პრაქტიკის ანალიზის შედეგებისა და ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე დინამიური ცვლილებების გათვალისწინებით; ბაზარზე შესასვლელი მონოპოლისტური და ადმინისტრაციული ბარიერების ანალიზი, მისი შესუსტებისა და ლიკვიდაციის შესახებ წინადადებების წარმოდგენა.

ბუნებრივი მონოპოლიების ტექნოლოგიური საზღვრების განსაზღვრა და მათი საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირებისათვის შემუშავებულ ღონისძიებათა ამოქმედება და დროის მოთხოვნის შესაბამისი ახალი ნორმატიული აქტების გამოცემა; სასაქონლო ბაზრის სისტემატიური ოპერატიული კონტროლი, კონკურენტული გარემოს ანალიზი და კონტროლი; განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ანტიმონოპოლიური რეგულირების ღონისძიებებს, მათ შორის ბაზრების მონოპოლიზაციის თავიდან აცილებისა და სასაქონლო ბაზრებზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას; ბაზრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების ანტიმონოპოლიური ექსპერტიზა, მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლის მიზნით; მუდმივი სახელმწიფო კონტროლის მონოპოლისტ საწარმოთა პრივატიზებისა და რეორგანიზაციის პროცესებზე; მონოპოლიური საქმიანობისა და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა; არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით წინადადებების შემუშავება და წინასწარი ღონისძიებების გატარება; მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის კონტროლის სფეროში ერთიანი პოლიტიკის განხორციელების მიზნით შესაბამისი მეთოდური რეკომენდაციების მომზადება; საქმეთა განხილვის (მათ შორის მომხმარებელთა და მეწარმეთა საჩივრებისა და შუამდგომლობების) პროცედურების შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლებისათვის მათი გადაცემისათვის მომზადება; მეწარმეთა და მომხმარებელთა საჩივრების განხილვა; ფალსიფიცირებული კვების პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის მონიტორინგი; საინფორმაციო საქმიანობის გააქტიურება მომხმარებელთა უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით; რეგიონალური ბიუროების უზრუნველყოფა შესაბამისი ანალიტიკური ინფორმაციით და მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესწავლა.

საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი მონოპოლიებით სამეურნეო საქმიანობის ეკონომიური მექანიზმებით მართვას, რაც ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხია. საქმე ეხება ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლების ფორმირების მეტად აქტუალურ საკითხს. გავრცელებული მიდგომების მიხედვით ბუნებრივ მონოპოლიებს ეკუთვნის: მონოპოლია დარგებში სადაც ბუნებრივი და უკვე ჩამოყალიბებული მიდგომების გამო, კონკურენტული სამეურნეო სუბიექტების შექმნას აზრი არა აქვს. ასეთ მონოპოლიებს შეიძლება მიეკუთვნოს:

1. ქვეყნის ერთიანი ენერგოსისტემის სადისტრიბუციო და გამანაწილებელი ობიექტები, მაგალითად ენგურჰესი, თბილისის, ქვეყნის სხვა რეგიონებისა და რაიონების ელექტროგამანაწილებელი კომპანიები. ტრანსპორტი, მათ შორის რკინიგზა, ტელეკომუნიკაციის და ბუნებრივი სასმელი წყლის გამანაწილებელი კომპანიები;

2. ბუნებრივ მონოპოლიებს შეიძლება მიეკუთვნოს ისეთი სამეურნეო სუბიექტები, რომლებიც თავისი ადგილმდებარეობის გამო საქონელს აწარმოებს შედარებით ნაკლები დანახარჯებით. მაგალითად ნედლეულის მოპოვების ადგილზე, მისი გამოყენებით საქონლის წარმოება ბუნებრივი პირობების

გამო მომგებიანია.

ბუნებრივ მონოპოლიების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ როგორც წესი მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ფასები გავლენას ახდენს ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების მიერ წარმოებული პროდუქციის ფასებზე და ქვეყნის მოსახლეობის სამომხმარებლო კალათის ფორმირებაზე. მაგალითად სატრანსპორტო გადაზიდვებზე მაღალი ფასები აძვირებს რაიონებიდან შემოტანილ, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფასებს. ელექტროენეგიის განაწილებასა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებაზე დაწესებული ხელოვნურად მაღალი (ქვეყნის გარედან "პოლიტიკური" და ქვეყნის შიგნით სპეკულიანტური) ფასები გავლენას ახდენს სამრეწველო პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

აღნიშნულის გამო აუცილებელია ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე ფასების დაწესების სახელმწიფო რეგულირება. განვითარებად ქვევნებში, მათ შორის საქართველოში, სადაც ქვეყნის შიგნით წამოებულ პროდუქციას, როგორც წესი არა აქვს საექსპორტო დანიშნულება და მისი ფასი არ არის მსოფლიო ბაზარზე კონკურენციისათვის განკუთვნილი, არ ამარ-თლებს ცივილიზებულ ქვეყნებში აპრობირებული ფასების დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების მიერ მართვა. სამწუხაროდ ასეთი კომისიების მთავარი დანიშნულება ფასების დარეგულირება კი არა, არამედ მისი გაზრდაა საკუთარი გაბერილი სახელფასო ფონდის შესაქმნელად. მაგალითად საქართველოში ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობამ გვიჩვენა, რომ მისი არსებული ფრმით ფუნქციონირება გაუმართლებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის ზრდის სატრანსპორტო, განსაკუთრებით საჰაერო ტრანსპორტის, მომსახურების ხარჯს. საჭიროა ბუნებრივ მონოპოლიების გარკვეულ ნაწილზე, ფასების სახელმწიფო რეგულირება განხორციელდეს, ეკონომიკურ განვითარების სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის, ფასების სამსახურის მიერ.

შესაძლებელი და საჭიროა ბუნებრივი მონოპოლიების სამეურნეო სუბიექტებისათვის გადაცემის დროს, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული და დახვეწილი იქნას მათთან საიჯარო თუ სხვა სახის ხელშეკრულებების დადების პრაქტიკა, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის სახელმწიფოსათვის მისაღები ფასებით მიწოდების მიზნით, როცა წინასწარ იქნება გაანგარიშებული ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. როგორც საქართველოს გამოცდილებამ გვიჩვენება ამ საქმეში უზუსტობამ და ზოგიერთი მაღალი რანგის ბიუროკრატის სუბიექტურმა მიდგომამ, შეიძლება სერიოზულად გაზარდოს ფასები და დააზარალოს მოსახლეობა. ასეთი, რამ მოხდა თბილისის ელექტრო-გამანაწილებელი კომპანიის "თელასის" ჯერ ამერიკული, ხოლო შემდეგ რუსული კომპანიისათვის გადაცემის დროს, როცა სახელმწიფოს მიერ, მათთვის აქციების მიყიდვის დროს დადებულ ხელშეკრულებაში, არ იყო ფორმირებული სახელმწიფოსა და ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ფასების პოლიტიკა, რის გამოც დღეისათვის სახელმწიფო უძლურია შეზღუდოს თბილისში ელექტროენერგიის ხელოვნურად მაღალი ფასებით ელექტრო-ენერგიის მოწოდების პრაქტიკა.

ცივილიზებულ ქვეყნებში ფართოდ გამოიყეება ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში დასაქმებულ ფირმებთან ერთად სახელმწიფოს მიერ ფასებისა და ტარიფების მარეგულირებელი საინვისტიციო-საინოვაციო პროგრამების შედგენა, რომლებშიც გაწერილია ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციის ეფექტურად წარმოების პირობები, რომელიც მოიცავს კომპლექსურ ღონისძიებებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების განუხრელად ზრდის მიზნით. აღნიშნულ პროგრამებში შეიძლება გათვალისწინებული იქნას სახელმწიფოსა და ფირმის ერთობლივი ინტერესები, მაგალითად: წარმოების რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხების მოძიების მიზნით, სახელმწიფოსთან შეთანხმებით ფასების დროებითი ზრდა; კომერციული კრედიტების აღება მომავალი მოგებიდან მისი დაბრუნების პირო-ბით; სახელმწიფო შეკვეთის მიღება; წარმოების ტექნიკური განახლებისათვის ერთობლივი ღონისძიებების გატარება და ა.შ.

## ლიტერატურა:


1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ.2012
2. საქართველოს კანონი, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ. თბ.2012


## რეზიუმე


საქართველოს პარლამენტის მიერ დროულად უნდა იქნას მიღებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სამართლებრივი დაცვის პრაქტიკის გააქტიურებას.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნების უგულვებელყოფისა და დარღვევის ფაქტების აღკვეთის მიზნით; ნორმატიული და მეთოდური ბაზის სრულყოფას, პრეცენდენტური პრაქტიკის ანალიზის შედეგებისა და ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე დინამიური ცვლილებების გათვალისწინებით; ბაზარზე შესასვლელი მონოპოლისტური და ადმინისტრაციული ბარიერების ანალიზს, მისი ადმინისტრირებისა და ლიკვიდაციის შესახებ წინადადებების წარმოდგენას.


## SUMMARY


*K. Soxadze,*
*Z. Paresashvili*



Georgian Parlament should received legistative package of guarantees: Activation Defince practice justice of Antimonopolic legislation, Neglection Antimonopolic legislation demands, for cutting off breaking facts.

To fane into consiteration improve practical parsing results and the current dynamic changes in Economic fields of country.

Parsing (analize) of Administrative berriers and monopolic on market, Presentation its administration and liqvitation.

# ხარჯებისა და დანახარჯების შესახებ

*გოდერძი ტაბატაძე,*
*ომარ ონიაშვილი,*
*ნოდარ მაჭავარიანი,*
*გელა ლობჟანიძე,*
*ვალერი ხითარიშვილი*

ზოგადად ცნობილია, რომ ორგანიზაციის (საწარმო, ფირმა, კორპორაცია) ფინანსური შედეგის განსაზღვრის მიზნით აუცილებელია დადგინდეს საანგარიშო პერიოდში მიღებული ყველა შემოსავალი და ამ შემოსავლების მისაღებად გაწეული ყველა ხარჯი. მათი ურთიერთშეპირისპირებით კი ვლინდება საანგარიშო პერიოდის ფინანსური შედეგი – მოგება და ზარალი.

რას ნიშნავს ხარჯი? ეს ტერმინი არც ისეთი მარტივია, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს. ინჟინრები, ბუღალტრები და ეკონომისტები თავიანთი საქმიანობით ყველა დაკავშირებულია ხარჯების ბუნებასთან და ქცევასთან, მაგრამ სხვადასხვა პრობლემის გადაჭრისას საქმე აქვთ ხარჯების სხვადასხვა კონცეფციასთან.

ცნობილი ეკონომისტი ჯ.კლარკი ჯერ კიდევ 1923 წელს წერდა: „ეკონომიკის სასწავლო კლასი წარმატებული იქნება, თუ სტუდენტები შეძლებენ ხარჯების მნიშვნელობის გაცნობიერებას მის ყველა ასპექტში“ [1].

ხარჯი არის შეწირვა, რაც უნდა განახორციელო რაღაცის მისაღებად. გავიხსენოთ ბრძნული ნათქვამი „რაც არ იწვის, არც ანათებს“. შეწირვის ბუნება შეიძლება იყოს ცხადი და არა ცხადი, შეხებადი ან შეუხებადი ანუ საგნობრივი და არასაგნობრივი. მან შეიძლება მიიღოს ფულის ერთი ან რამდენიმე ფორმა, როგორიცაა: თვით ფული, საქონელი, თავისუფალი დრო, დაზღვევა, პრესტიჟი, სიამოვნება ან ძალაუფლება.

ხარჯებში იგულისხმება გასავლები (Outlay costs). ესაა განსაკუთრებული საქმიანობის ჩასატარებლად დახარჯული ფული ხელფასზე, აღჭურვილობაზე, მასალებზე, ნედლეულზე, ელექტროენერგიაზე, ტრანსპორტზე, დაზღვევაზე, რეკლამაზე და ა.შ. ამ ხარჯებს ხშირად გარკვეულ, ისტორიულ ან ბუღალტრულ ხარჯებს უწოდებენ, რომლებიც ბუღალტრულ ანგარიშებში აისახება.

ეკონომისტები კი იყენებენ ხარჯების უფრო ბაზისურ კონცეფციას ალტერნატიულ ხარჯებს. ესაა იმ სარგებლის ღირებულება, რომელიც ხელიდან გავუშვით, როდესაც ავირჩიეთ ერთი ალტერნატივა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი კონცეფციაა, რადგან საქმიანობის რეალური ღირებულება იზომება მისი ალტერნატიული ხარჯებით და არა მასზე გაწეული ხარჯებით. ალტერნატიული ხარჯების იდენტიფიკაციისათვის საჭიროა მათი შედარება შერჩეულ და უარყოფილ ალტერნატივებს შორის.

ეკონომისტები დაინტერესებული არიან იმის შესწავლით, თუ როგორ იღებენ ფირმები გადაწყვეტილებებს წარმოებისა და ფასწარმოქმნის საკითხებში. ამიტომ ხარჯების დათვლისას ითვალისწინებენ ყველა ალტერნატიულ დანახარჯს. ბუღალტრები კი ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ მხოლოდ იმ თანხას, რომელიც საწარმოში შემოდის და საწარმოდან გადის. ამიტომ ბუღალტრები ითვლიან **ცხად დანახარჯებს** (რაც საწარმოდან გადის) და უგულებელყოფენ **არაცხად ალტერნატიულ ხარჯებს.**

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, აქ **ხარჯები** და **დანახარჯები** სინონიმებადაა წარმოდგენილი და ყურადღების მიღმა რჩება მათ შორის განსხვავება. ეკონომიკურ ლიტერატურაში ხარჯებსა და დანახარჯებს შორის სხვაობა გამოკვეთილი არ არის [1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8]

ამასთან საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, როდესაც ფართო მასშტაბით ხორციელდება ინვესტიციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, სწორედ ინვესტორის ინტერესებშია ხარჯებსა და დანახარჯებს შორის სხვაობის გარკვევა, რადგანაც ეს გარკვეულ გავლენას ახდენს პროექტის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

განვიხილოთ ეს საკითხი ნავთობისა და გაზის წარმოების მაგალითზე. სანამ საქართველოში ცენტრალიზებულად ფინანსდებოდა ნავთობისა და გაზის ოპერაციები (გეოლოგიური ძებნა — ძიება, საძიებო და საექსპლუატაციო ჭაბურღილების ბურღვა, ნავთობისა და გაზის მოპოვება, მათი მომზადება, ტრანსპორტირება, შენახვა, რეალიზაცია), აუცილებლობას არ წარმოადგენდა ხარჯებისა და დანახარჯების ცალ-ცალკე აღრიცხვა. ცენტრალიზებული (ე.წ.საკავშირო) დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ, როდესაც საქართველოში გაფორმდა **„პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება“** (პწგხ) უცხოელ ინვესტორებთან, ხოლო 1999 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი **„ნავთობისა და გაზის შესახებ“** და 2002 წელს — **„ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესები“**, ამ კანონის და წესების თანახმად, აუცილებელი გახდა ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯებისა და დანახარჯების სრული და ზუსტი აღრიცხვა, რაც გამოწვეულია ბიზნესის მოთხოვნებით საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ჩვენი აზრით, ხარჯებისა და დანახარჯების სრული და ზუსტი აღრიცხვისათვის საჭიროა მათი ცალ-ცალკე აღრიცხვა, რაც შესაძლებელია მხოლოდ მას

შემდეგ, რაც გვეცოდინება ხარჯებისა და დანახარჯების ცნება, შინაარსი და მათ შორის განსხვავებები.

კანონის 1 ა. ვ მუხლში მოცემულია ხარჯებისა და დანახარჯების დეფინიცია „ნავთობისა და გაზის ოპერაციებზე გაწეული ხარჯები და დანახარჯები – **ნავთობისა და გაზის ოპერაციებზე გაწეული დანახარჯები და საექსპლუატაციო ხარჯები, რომელთა განსაზღვრის წესი და პროცედურა დგინდება ხელშეკრულებით“.** თითქმის ყველა „პწგხ“–ში მოცემულია ზოგადი განმარტება – **„ხარჯები და დანახარჯები არის კონტრაქტორის მიერ აღიარებული ხელშეკრულების დადებისა და განხორციელებისათვის გაღებული ხარჯები და დანახარჯები, რომლებიც ამ ხელშეკრულების შესაბამისად კომპენსირდება საკომპესაციო ნავთობით“.** ამასთან ხარჯებისა და დანახარჯების განსაზღვრის წესი და პროცედურა, რომელსაც კანონი ითვალისწინებს, არცერთ „პწგხ“ – ში არ არის მოცემული.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (ბასს) მოცემულია მხოლოდ ხარჯების განმარტება – **ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშო პერიოდში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით და რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.** ამრიგად, როგორც ზემოხსენებულ კანონში და პწგხ–ში, ასევე ბასს–ში ხარჯებისა და დანახარჯების განმარტება საკმაოდ ბუნდოვანია. ამიტომ შევეცდებით მარტივად ავხსნათ მათი არსი..

არსებობს ხარჯების განმარტების სამი ვარიანტი:

1. როდესაც რესურსები გადის საწარმოდან;
2. რესურსები რჩება საწარმოში, მაგრამ მცირდება მათი ღირებულება;
3. რესურსები კი რჩება საწარმოში, მაგრამ წარმოიქმნება მათი გასვლის (დათმობის) ვალდებულება რომელიმე გარე სუბიექტის წინაშე.

რამდენადაც წარმოქმნილი ხარჯების საფუძველს წარმოადგენს გამოყენებული რესურსების ღირებულება, ამდენად აუცილებელია ერთხელ კიდევ განიმარტოს რესურსების ცნება (თუმცა იგი საკმაოდ ფართოდაა ცნობილი).

**რესურსები** არის ის ყველაფერი, რაც კი შეიძლება გამოყენებული იქნეს საწარმოს მიერ თავისი მიზნის მისაღწევად შიგა და გარე გარემოს სუბიექტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. უფრო მარტივად, რესურსები არის საწარმოს ბალანსზე რიცხული ყოველნაირი აქტივი, რომელსაც მიეკუთვნება: ძირითადი საშუალებები, და არამატერიალური აქტივები (ლიცენზია, კონცესია, გუდვილი, პატენტი, სამარკო ნიშანი, ნოუ-ჰაუ და ა.შ.); ფულადი საშუალებები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (ნაღდი ფული სალაროში, ფულადი საშუალებები საბანკო ანგარიშებზე; მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდები (ჩეკი, ობლიგაცია, აქცია, თამასუქი); სასაქონლო-მატერიალური მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება; მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები და ა.შ).

განსახილველი საკითხიდან გამომდინარე ჩვენთვის უფრო საინტერესოა **ფინანსური და საწარმოო რესურსები.** ფინანსურ რესურსებს მიეკუთვნება: ფულადი თანხები, დებიტორული დავალიანებები, ფასიანი ქაღალდები, ფინანსური დაბანდებები, სხვა ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში მონაწილეობა და სხვ. მათი თავისებურება ისაა, რომ ისინი (მოხმარებული) უშუალოდ საწარმოს შიგნით გამოყენებული ვერ იქნება. ასეთი რესურსები იქმნება და გამოიყენება მხოლოდ საწარმოს ურთიერთქმედებისას გარე გარემოს სუბიექტებთან. ამრიგად, ფინანსური რესურსები ასახავს საწარმოს გარე გარემოსთან ურთიერთობებს. საწარმოო რესურსები კი მთლიანად გამოიყენება (მოიხმარება) საწარმოს შიგნით. მათ მიეკუთვნება ძირითადი საშუალებები, მასალები, შრომითი რესურსები, შიგასაწარმოო სამუშაოები და მომსახურებები. დამზადებული პროდუქცია და სხვა ამგვარი რესურსების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათი გამოყენება (მოხმარება) შეიძლება უშუალოდ კომპანიის შიგნით.

თუ ზოგადად განვიხილავთ საწარმოს საქმიანობას, მაშინ ერთნაირად საინტერესოა როგორც ფინანსური, ისე საწარმოო რესურსები, მაგრამ როდესაც საკითხი ეხება საწარმოთა საქმიანობის ეფექტიანობის (რენტაბელობის) შეფასებას, მაშინ უფრო საინტერესოა საწარმოო რესურსები. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხარჯი არის გამოყენებული საწარმოო რესურსების ღირებულება. ამიტომ განვიხილოთ იგი უფრო დეტალურად. საწარმოო რესურსები თავის მხრივ იყოფა გამოსაყენებელ და გასასვლელ რესურსებად.

**გამოსაყენებელი რესურსებია:** მასალები, ძირითადი საშუალებები, შრომითი რესურსები, შიგასაწარმოო სამუშაოები და მომსახურებები, რომლებიც გამოიყენება საწარმოს შიგნით ანუ არ ტოვებს მას.

**გასასვლელი რესურსებია:** მზა პროდუქცია, დაუმთავრებელი პროდუქცია, გარეთ გაწეული მომსახურება, ნახევარფაბრიკატები, რომელთა რეალიზაცია ხდება გარე კლიენტებზე ანუ გადის საწარმოდან.

ახლა განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ზემოთ მოყვანილი ხარჯების ვარიანტები.

პირველი ვარიანტი, როდესაც რესურსები გადის საწარმოდან. ჩვენთვის საინტერესო და საყურადღებოა შემთხვევა, როდესაც საწარმოდან გასულ რესურსს წარმოადგენს მზა პროდუქცია (შესრულებული სამუშაო, გაწეული მომსახურება). როდესაც ვყიდით ამ რესურსს იგი ტოვებს საწარმოს. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია რესურსების გასვლა საწარმოს სასაქონლო-მატერიალური საწყობებიდან, ბაზებიდან, როდესაც ხდება ფასეულობათა გაუჩინარება (დაკარგვა) და უცნობია დამნაშავე, ასევე ბუნებრივი კატაკლიზმებით და სხვა მიზეზებით მატერიალური ფასეულობების შემცირება ან სრულად დაკარგვა. ასევე, რესურსების გასვლას ექნება ადგილი, მაგალითად, საჯარიმო თანხის გადახდისას.

მეორე ვარიანტი, როდესაც რესურსები რჩება

საწარმოში, მაგრამ მათი ღირებულება მცირდება. პირველი მიზეზი,როდესაც რესურსი კარგავს საწყის ღირებულებას კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში. დავუშვათ შევიძინეთ ახალი დანადგარი, რომლის მომსახურების ვადა იგეგმებოდა 5 წლით. ავარიის ან სხვა მიზეზის გამო დანადგარი გამოვიდა მწყობრიდან. ცხადია, ხდება მისი აღდგენა, მაგრამ დაგეგმილი 5 წლის ნაცვლად, საექსპლუატაციო ვადა განისაზღვრა 3 წლით. შედეგად, დანადგარმა საწყისი ღირებულების გარკვეული ნაწილი დაკარგა. საწარმოსათვის მოცემული რესურსის ღირებულება შემცირდა. მეორე მიზეზი პირველისგან განსხვავებით შეიძლება იყოს საბუღალტრო აღრიცხვის ტექნიკური ხასიათის. ბასს–ის მიხედვით რესურსების (საბუღალტრო აქტივების) შეფასება უნდა მოხდეს თვითღირებულების ან შესაძლო გასაყიდ ფასებს შორის ყველაზე დაბალი ფასით. ასე, რომ თუ ღირებულება, რომლითაც რესურსი ასახულია საბუღალტრო ბალანსში, აღმოჩნდება ანალოგიური რესურსის საბაზრო ღირებულებაზე მაღალი, ბუღალტერი ვალდებულია მისი ღირებულება შეამციროს საბაზრო ღირებულების დონემდე.

მესამე ვარიანტი, როდესაც წარმოიშობა ვალდებულებები. საინტერესოა მაგალითი, რომელიც პროდუქციის გაყიდვას შეეხება. ვთქვათ, საწარმომ მოახდინა პროდუქციის რეალიზაცია დაუმთავრებელი სახით და მზა პროდუქციად გარდაიქმნება გარკვეული დროის შემდეგ. ამგვარად, რესურსი (დაუმთავრებელი პროდუქცია) „ფიზიკურად“ ჯერ კიდევ იმყოფება საწარმოში, თუმცა მან უკვე მიიღო იურიდიული დატვირთვა მყიდველთან მიმართებაში.

განხილული სამი ვარიანტიდან ჩვენთვის უფრო საინტერესოა პირველი ვარიანტის დროს წარმოქმნილი ხარჯები, ანუ როდესაც რესურსები ტოვებს საწარმოს. ნაკლებად საინტერესოა მესამე, უფრო ნაკლებად კი მეორე ვარიანტი.

ახლა უკვე შეგვიძლია გარკვეული სიცხადე შევიტანოთ ხარჯებსა და დანახარჯებს შორის სხვაობაში.

მაშასადამე, ხარჯთან გვაქვს საქმე, როდესაც რესურსები ტოვებს საწარმოს (უკვე გავიდა ან გავა მომავალში).

დანახარჯები — ეს არის რესურსების გამოყენება. რესურსების გამოყენების ფაქტი ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ რესურსები საწარმოდან გასულია. ზოგ შემთხვევაში რესურსების გამოყენება გულისხმობს იმავდროულად რესურსების საწარმოდან გასვლას ე.ი. როგორც კი წარმოიქმნა დანახარჯები, მაშინვე გარდაიქმნება ხარჯებად. ხდება პირიქითაც – რესურსები გამოვიყენეთ, მაგრამ საწარმოდან მათ გასვლამდე ხარგრძლივი დროა დარჩენილი, ანუ დანახარჯები წარმოქმნილია, მაგრამ ხარჯებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ყველაფერი საბოლოო ჯამში, განისაზღვრება იმით, თუ რომელ რესურსებს და რისთვის ვიყენებთ. სხვა სიტყვებით შესაძლოა განვითარდეს მოვლენების ორი სცენარი.

1) **რესურსების გამოყენებამ განაპირობა სხვა რესურსების შექმნა.** მაგალითად, რესურსი-საინსტრუმენტო ფოლადი გამოყენებული იქნა წნეხის დასამზადებლად (მეორე რესურსი), შემდგომში წნეხის მეშვეობით დამზადდა ხუფები, (მე-3 რესურსი), ხუფები გამოიყენეს რომელიმე სახის დანადგარის დასაკომპლექტებლად–მიღებული იქნა მეოთხე რესურსი. აღნიშნული სქემით რესურსების გამოყენება გაწეული დანახარჯებია, ხოლო ხარჯებად გადაიქცევა მაშინ, როდესაც დანადგარი რეალიზდება და დატოვებს საწარმოს. ამგვარად, პირველი რესურსის (საინსტრუმენტო ფოლადი) ხარჯებში გადასვლამდე გრძელი გზაა.

2) **რესურსების გამოყენებამ არ გამოიწვია სხვა რესურსების შექმნა.** მაგალითად, საწარმოს ხელმძღვანელის შრომა უშუალოდ არ ქმნის საწარმოში რაიმე სახის რესურსს. ამ შემთხვევაში მოცემული რესურსი (შრომის ანაზღაურება) გამოყენებისთანავე გადის საწარმოდან, ანუ წარმოქმნილი დანახარჯები მაშინვე გარდაიქმნება ხარჯებად.

თუ დავაკვირდებით განხილულ სცენარებს ადვილად შევამჩნევთ, რომ დანახარჯები და ხარჯები შეიძლება განსხვავებული იყოს მათი წარმოქმნის დროით. განხილულ მაგალითში, საინსტრუმენტო ფოლადთან დაკავშირებით, დანახარჯები იქმნება დროის გარკვეულ პერიოდში ვთქვათ თვეში, ხოლო ხარჯები კი შემდგომ პერიოდში (რამდენიმე თვის შემდეგ). საწარმოს ხელმძღვანელთან დაკავშირებულ მაგალითში დანახარჯები და ხარჯები წარმოიქმნება ერთდროულად.

ხარჯები და დანახარჯები, რომლებიც განსხვავებულია წარმოქმნის დროით (მაგრამ ერთმანეთის ტოლია), შეიძლება მაინც განსხვავდებოდეს რაიმე სიდიდით, რასაც განაპირობებს სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება სხვადასხვა მიზეზით: რესურსების დანაკლისი, გაფუჭება და დატაცება, უიმედო დებიტორული დავალიანებები, ხელშეკრულების პირობების დარღვევა და სხვ.

პრაქტიკაში ნაკლები ყურადღება ექცევა ხარჯებს და დანახარჯებს, რომლებიც განსხვავდება სიდიდით, ამიტომ მათ განხილვაზე არც შევჩერდებით. ძირითადი ყურადღება ექცევა მიზნობრივ დანახარჯებსა და ხარჯებს, რომლებიც ერთმანეთის ტოლია და ურთიერთშესაბამისი.

სწორედ ამგვარ ხარჯებსა და დანახარჯებშია დაფარული ბიზნესის ე.წ. „მზაკვრობა“ საწარმოს საქმიანობის შედეგების შეფასების კორექტულობის თვალსაზრისით, რომლის არსსაც ახლა განვმარტავთ. ნებისმიერი საწარმოს მიზანია ნაკლები დანახარჯებით (რესურსების გამოყენება) და ნაკლები ხარჯებით (რესურსების გადინება) შეასრულოს თავისი მიზანი. ძირითად ფინანსურ ანგარიშს, რომელიც ასახავს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფინანსურ შედეგს, წარმოადგენს **„მოგებისა და ზარალის ანგარიშგება“.** აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილია არა დანახარჯები და ხარჯები, არამედ მხოლოდ ხარჯები, რის გამოც რაიმე დასკვნის გამოტანა დანახარჯებთან მიმართებით შეუძლებელია.

მაგალითისათვის განვიხილოთ ნავთობის კომპა-

ნია, რომლის საქმიანობაც წარმოადგენს გრძელვადიან საწარმოო ციკლს. კომპანიის მიზანია ნავთობის ან გაზის (ნახშირწყალბადების) მოპოვება და რეალიზაცია. რეალიზაციამდე საჭიროა საწარმოო ციკლის გავლა-ნავთობისა და გაზის ოპერაციების ჩატარება. საწარმოო ციკლის განმავლობაში (რეალიზაციამდე) შედგენილ ნებისმიერ ფინანსურ ანგარიშში დავინახავთ, რომ კომპანიაში არის წაგება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კომპანია პირველად იწყებს თავის საქმიანობას. დანახარჯების ნაწილი, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ძირითად საწარმოო პროცესებთან, აისახება დაუმთავრებელი პროდუქციის თვითღირებულებაში (როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ერთი რესურსი გარდაიქმნება მეორე რესურსად). სხვა დანახარჯების ნაწილი, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ძირითად საწარმოო პროცესებთან (ე.წ. ზედნადები ხარჯები-ხელმძღვანელის ხელფასი, საერთო სამეურნეო დანახარჯები და სხვ.) მაშინვე გარდაიქმნება ხარჯებად. (ამ რესურსების გამოყენებამ არ გამოიწვია სხვა რესურსების შექმნა). ამგვარად, წარმოიქმნა ხარჯები, რომელიც ნაჩვენები იქნება ანგარიშში, შემოსავლები კი ჯერ არ არის მიღებული, რადგან არ მომხდარა ნავთობის ან გაზის რეალიზაცია. კომპანია ყოველთვიურად აჩვენებს წაგებას. სინამდვილეში კომპანიის მუშაობა ამ პერიოდში (რეალიზაციამდე) შეიძლება ეფექტიანიც იყოს. რენტაბელურობა გამოჩნდება მაშინ, როდესაც მოხდება მოპოვებული ნავთობის ან გაზის სრული რეალიზაცია, ანუ როდესაც დანახარჯები ე.ი გამოყენებული რესურსები დატოვებს კომპანიას და გარდაიქმნება ხარჯებად.

ზემოთთქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები:

1. ბიზნესში ახლად ჩართული საწარმო (საწყის ეტაპზე) გარკვეული დროის განმავლობაში ოფიციალური ფინანსური ანგარიშგების თანახმად შეიძლება, ერთი შეხედვით, იყოს წამგებიანი და განხორციელებული ოპერაციები ჩაითვალოს არაეფექტურად, თუმცა სინამდვილეში ეფექტიანიც იყოს. **„მოგებისა და ზარალის ანგარიშგება“** ყოველთვის არ გვაძლევს შედგენის მომენტისათვის სწორ წარმოდგენას საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობაზე. (ანგარიშში დანახარჯები გაწეულია, შემოსავალი ჯერ კიდევ არ ჩანს).

2. ფინანსური ანგარიშგების თანახმად საწარმოს საქმიანობა შეიძლება ითვლებოდეს მომგებიანად (უკვე მოქმედ საწარმოებში), სინამდვილეში დანახარჯების გათვალისწინებით იყოს არაეფექტური და არარენტაბელური (ანუ დიდი დანახარჯები იყოს გაწეული).

3. რადგანაც საქართველოში არ იყო დანახარჯებისა და ხარჯების განსაზღვრის და ცალ-ცალკე აღრიცხვის საჭიროება ამ საკითხს არც ეკონომიკურ ლიტერატურაში ექცეოდა სათანადო ყურადღება, მაგრამ „ნავთობისა და გაზის შესახებ“ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა მათი ცალ-ცალკე განსაზღვრა და აღრიცხვა, თუმცა არც-ერთ პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებაში ასეთი რამ არ არის დაფიქსირებული. ეს სტატია პირველი მცდელობაა ხარჯებისა და დანახარჯების არსის განსაზღვრის და აღრიცხვის საკითხში, თუმცა იგი მოითხოვს ღრმად შესწავლას და შესაბამისი მეთოდიკის შემუშავებას კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Contemporary Economics, Sixth Edition, Milton H. Spencer, Worth Publishers. Inc New York, 1986.
2. საქართველოს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“, თბ., 1999.
3. ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესები, თბ., 2002.
4. გ.მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები. თბ., 2008.
5. დ. ჯალაღონია, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, ნაწილი I, თბ., 2011.
6. ც.ბენაშვილი, მ. კაპანაძე. დანახარჯების ობიექტი და მისი მნიშვნელობა, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული თემაზე: ეკონომიკის აქტუალურ პრობლემები გლობა–ლიზაციის პირობებში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2011.
7. ი.ჭილაძე. დანახარჯების აღრიცხვის სისტემები. თბ., 2009.
8. დანახარჯთა მენეჯმენტის კონცეფცია. www.interesting.ge/2012/04


## რეზიუმე


როგორც ცნობილია, ეკონომისტები ორგანიზაციის (საწარმო, ფირმა, კომპანია) ხარჯების დათვლისას ითვალისწინებენ ყველა ალტერნატიულ ხარჯს წარმოებისა და ფასწარმოქმნის საკითხებში გადაწყვეტილებების მიღების დროს. ბუღალტრები კი ვალდებული არიან თვალყური ადევნონ მხოლოდ იმ თანხებს, რომლებიც საწარმოში შემოდის და საწარმოდან გადის. ამრიგად, ბუღალტრები ითვლიან ცხად დანახარჯებს (რაც საწარმოდან გადის) და უგულებელყოფენ არაცხად ალტერნატიულ ხარჯებს. ეკონომიკურ ლიტერატურაში ხარჯებსა და დანახარჯებს შორის სხვაობა არ არის გამოკვეთილი, მაგრამ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, ინვესტიციების ფართოდ განხორციელებისას, სწორედ ინვესტორის ინტერესებშია ხარჯებსა და დანახარჯებს შორის სხვაობის გარკვევა, რადგანაც ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროექტის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

როდესაც საქართველოს ნავთობისა და გაზის წარმოებაში შემოვიდნენ უცხოელი ინვესტორები,

მათთან გაფორმდა ,,პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება“ (პწგხ), ხოლო 1999 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი ,,ნავთობისა და გაზის შესახებ“ და 2002 წელს — ,,ნავთობისა და გაზის ოპერაციებს წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესები“. ამ კანონისა და წესების თანახმად, აუცილებელი გახდა ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯებისა და დანახარჯების სრული და ზუსტი აღრიცხვა. მიუხედავად ამისა, არც ერთ პწგხ-ში არ გვხვდება ხარჯებისა და დანახარჯების განსაზღვრის წესი და პროცედურა. ასევე, ბუნდოვანია ეს საკითხი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში.

საწარმოთა საქმიანობისას, როდესაც რესურსები ტოვებს საწარმოს (უკვე გავიდა ან გავა მომავალში) საქმე გვექნება ხარჯთან.

დანახარჯები კი ესაა რესურსების გამოყენება. მისი გამოყენების ფაქტი ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ რესურსები საწარმოდან გასულია. ზოგ შემთხვევაში კი რესურსების გამოყენება გულისხმობს იმავდროულად რესურსების საწარმოდან გასვლას, ანუ როგორც კი წარმოიქმნა დანახარჯი, იგი მაშინვე გარდაიქმნება ხარჯებად). მაგალითად, რესურსების გამოყენებამ განაპირობა სხვა რესურსების შექმნა. საინსტრუმენტო ფოლადი (რესურსი) გამოყენებული იქნა წნეხის დასამზადებლად (მეორე რესურსი), შემდგომში წნეხის მეშვეობით დამზადდა ხუფები(მესამე რესურსი), რომლებიც გამოიყენეს რომელიმე დანადგარის დასაკომპლექტებლად (მეოთხე რესურსი). ამ სქემით რესურსების გამოყენება დანახარჯებია, ხარჯებად კი გადაიქცევა დანადგარის რეალიზაციის დროს.

რესურსების გამოყენებამ არ გამოიწვია სხვა რესურსების შექმნა (მაგ. ხელმძღვანელის შრომა უშუალოდ არ ქმნის რაიმე სახის რესურსს). ამ შემთხვევაში მოცემული რესურსი (შრომის ანაზღაურება) გამოყენებისთანავე გადის წარმოებიდან, ანუ წარმოქმნილი დანახარჯი მაშინვე გარდაიქმნება ხარჯებად.

ნებისმიერი საწარმოს მიზანია ნაკლები დანახარჯებით (რესურსების გამოყენება) და ნაკლები ხარჯებით (რესურსების გადინება) შეასრულოს თავისი მისია. ამგვარი ხარჯებისა და დანახარჯების გარკვევა აუცილებელია ბიზნესის ეფექტიანობის შეფასებისას. ძირითად ფინანსურ ანგარიშში კი, სადაც ნაჩვენებია ,,მოგებისა და ზარალის ანგარიშგება“, წარმოდგენილია არა დანახარჯები და ხარჯები, არამედ მხოლოდ ხარჯები, რის გამოც სწორი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. მაგალითად, ნავთობის ან გაზის მომპოვებელმა კომპანიამ ნავთობის (გაზის) მოპოვებამდე და რეალიზაციამდე უნდა ჩაატაროს გრძელვადიანი ნავთობისა და გაზის ოპერაციების ციკლი, რომლის განმავლობაში კომპანია წაგებაში იქნება (განსაკუთრებით, როცა იგი პირველად იწყებს საქმიანობას). რენტაბელურობა გამოჩნდება მაშინ, როდესაც მოხდება მოპოვებულ ნავთობის ან გაზის სრული რეალიზაცია, ანუ როდესაც დანახარჯები ე. ი. გამოყენებული რესურსები დატოვებს კომპანიას და გარდაიქმნება ხარჯებად.

ამრიგად, დანახარჯებისა და ხარჯების ცალცალკე განსაზღვრა აუცილებელია კომპანიის საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად.


**Summary**

*G. Tabatadze,*
*O. Oniashvili,*
*N. Machavariani,*
*G. Lobjanidze,*
*V.Khitarishvili.*

**About expenditures and costs**

There is no difference between expenditures and costs in economic literature. In this article the authors try to discover the difference. It is known that cost is sacrifice of resources that must be made in order to acquire something.

Therefore, we may use the term outlay costs. Some examples of these costs to in a business are wages and salaries of its employees and expenditures on equipment, payment for raw materials, power, light and transportation, taxes paid to the government and so on.

We may consider as expenditures the costs which stay in organization (firm, company, enterprise). That is the cost of resources, needed for the organization. In some cases the use of resources means their simultaneous outflow from the organization i. e., as soon as some expenditure arises, it instantly is transformed into costs. But there are cases, when after being used resources still remain into the organization for some time. For example, instrumental steel (the first resource) was used for press production (the second resource), which was later used for covers ( the third resource). These covers were used to assembly the installation (the forth resources).

The use of the mentioned resources were expenditures, but they will be transformed into costs, when the installation (final product) is sold.

Thus, there is a long lapse between expenditures and costs.

This question is interesting especially for oil and gas industry where there is a long way of transforming some expenditures into costs.

Correspondingly, for evolution of the efficiency of organization its expenditures and the costs of production must be calculated separately.

# ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

***მერაბ ვანიშვილი,*** *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
***ნინო ვანიშვილი,*** *სტუ-ს დოქტორანტი*
***ლილი კოლუაშვილი,*** *საქართველოს უნივერსიტეტის მაგისტრანტი*

თვითმმართველი ერთეულის ფინანსების არსისა და ორგანიზაციის ცალკეული საკითხები ასახული და განმტკიცებულია საქართველოს ფუძემდებლურ საკანონმდებლო აქტებში, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო და საგადასახადო კოდექსებში.

საქართველოს კონსტიტუციის 101 სამი პრიმა მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ქონება და ფინანსები”. ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს თვით-მმართველი ერთეულის ბიუჯეტი, რომელიც მიეკუთვნება საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მეორე დონეს.

ბიუჯეტის არსებობა განამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს შესაბამისი ტერიტორიების სამეურნეო საქმიანობის აქტივიზაციას და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისაგან, ისე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისაგან, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისაგან” [1,31].

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია:

- საკუთარი შემოსულობებით;
- ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრით;
- კანონით დადგენილ ფარგლებში დელეგირებულ უფლებამოსილებათა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით [2, 49].

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „თ” პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი არის „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა” [2,5].

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის თითქმის ანალოგიურ განმარტებას ვხვდებით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის I-ელ პუნქტშიც: „თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი არის ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ” [1,31].

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი (ადგილობრივი ბიუჯეტი), როგორც სამართლებრივი კატეგორია, წარმოადგენს ფულადი საშუალებების წარმოქმნისა და განაწილების ფორმას, რომელიც გამიზნულია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შესასრულებელი ამოცანებისა და ფუნქციების უზრუნველყოფაზე.

ამჟამად, ადგილობრივი ბიუჯეტები, წარმოადგენს რა საქართველოს საფინანსო სისტემის ნაწილს, არსებობს როგორც დამოუკიდებელი ფულადი ფონდები, რომლებიც გამიზნულია ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციების შესრულებაზე. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 65-ე მუხლის I-ლი პუნქტის თანახმად, „თითოეულ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი” [2,49].

ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, ამჟამად საქართველოში არსებობს 69 ადგილობრივი ბიუჯეტი, აქედან:

- მუნიციპალური ბიუჯეტი – 64 ერთეული;
- თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტი – 5 ერთეული.

ადგილობრივ ბიუჯეტს აქვს საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილები, რომლებიც დგინდება და რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო და საგადასახადო კოდექსებით, აგრეთვე საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.“

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალი საბიუჯეტო კანონმდებლობის (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 66-ე მუხლისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის) შესაბამისად, მკვეთრადაა გამიჯნული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები. კერძოდ:

I. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის

ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება:

- ადგილობრივი გადასახადები;
- ადგილობრივი მოსაკრებლები;
- გათანაბრებითი ტრანსფერი;
- საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეულებისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები.

II. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება:

- სპეციალური ტრანსფერი;
- მიზნობრივი ტრანსფერი;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსულობები.

ამგვარი ცვლილება, ჩვენი აზრით, ეხმიანება დასაბუთებულ მიდგომას, რომელიც მოითხოვს თვითმმართველი ერთეულის მიერ „გამომუშავებული" ფინანსური რესურსების მკვეთრ გამოყოფას, თუმცა ამ მოთხოვნის სრული ზომით რეალიზება თანამედროვე ქართულ საბიუჯეტო კანონმდებლობასა თუ სამეურნეო პრაქტიკაში მაინც ვერ მოხერხდა.

ჩვენი პოზიციის არგუმენტირებისათვის მივმართოთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობების სტრუქტურას. როგორც ჩანს, საკუთარი შემოსულობების შემადგენლობაში, თვითმმართველი ერთეულის მიერ „გამომუშავებულ" ფინანსურ რესურსებთან ერთად, გვხვდება გათანაბრებითი ტრანსფერის სახით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიც.

ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად, რამდენადაც მისი რეალიზაცია დაუსაბუთებლად აფართოებს იმ წყაროთა ჩამონათვალს, რომლებიც რეალურად შეიძლება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის განკარგულებაში აღმოჩნდეს.

ამ მომენტზე ყურადღებას სხვა მკვლევარებიც ამახვილებენ. მაგალითად, ვ.ნ. ლეკსინი, აფიქსირებს რა იმ მნიშვნელოვან ადგილს, რასაც „წილობრივი" ანუ „მარეგულირებელი" გადასახადები იკავებენ ადგილობრივ ბიუჯეტებში, სამართლიანად მიუთითებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობების კატეგორიაში მათი ჩართვის მიზანშეუწონლობაზე [3, 348].

თანამედროვე ქართულ საბიუჯეტო კანონმდებლობაში „მარეგულირებელი" გადასახადების ტერმინის შეცვლა გათანაბრებითი ტრანსფერით არ ცვლის პრობლემის არსს. ფაქტობრივად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს არ შეუძლიათ უშუალო გავლენა მოახდინონ ამ გადასახადების ბაზასა თუ განაკვეთებზე. გათანაბრებითი ტრანსფერი კი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ.ნ. ლეკსინი, თავისი შინაარსით უფრო ახლოსაა „მარეგულირებელ" გადასახადებთან, ვიდრე საკუთარ შემოსავლებთან [3, გვ. 349].

ვეთანხმებით ლ.ლ. იგონინას პოზიციას, რომლის აზრით, ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები განიხილება როგორც საბიუჯეტო სისტემის გარკვეული დონისადმი მუდმივ საფუძველზე სრულად ან ნაწილობრივ მიმაგრებული შემოსულობები [4, 18]. ამ გაგებით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობებს, ადგილობრივ გადასახადებთან და მოსაკრებლებთან ერთად, უნდა მიეკუთვნოს მუდმივ საფუძველზე ადგილობრივ ბიუჯეტებზე კანონმდებლობით მიმაგრებული ანარიცხები სხვა შემოსულობებიდან პროცენტული წილების მიხედვით.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს" [2, 50]. ამასთან სარეზერვო ფონდიდან თანხებს ქალაქის მერის ან გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საფინანსო ორგანო.

გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 70-ე მუხლის მიხედვით, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ მუნიციპალიტეტში სა-განგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია დაამტკიცოს შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობასთან და-კავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის" [2, 52].

თვითმმართველ ერთეულს ეფლება აქვს საკუთარი შემოსულობების ხარჯვა განახორციელოს დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ. ამასთანავე, მასვე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, შეუძლია, „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული გრანტების, სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერების გარდა, დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ყველა სხვა წყაროდან მიღებული შემოსულობები.

საყურადღებოა ისიც, რომ თვითმმართველი ერთეული დამოუკიდებლად განსაზღვრავს კანონმდებლობით დადგენილი ექსკლუზიური და ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დასაფინანსებელი გადასახდელების მიმართულებებს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პრო-

ცესს კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო ორგანო. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ ხელისუფლებას უზრუნველყოფს შესაბამისი მეთოდური მითითებებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გათვალის-წინებით საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვით-მმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (გარდა ქ. თბილისისა) ბიუჯეტის პროექტს, თანდართულ მასალებთან ერთად, შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელი (მერი) წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს, რომელიც ბიუჯეტის პროექტს განსახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;
- ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;
- ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;
- სარეზერვო ფონდის მოცულობას;
- დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;
- პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს [2, 60].

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დასაგეგმი წლის დაწყებამდე დაუმტკიცებლობის შემთხვევაში შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არა უმეტეს გასული საბიუჯეტო წლის ასიგნებების 1/12-ისა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან 3 თვის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია წარმომადგენლობით ორგანოს შეუწყვიტოს უფლებამოსილება.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო [2, 64]. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 15 დღისა, საფინანსო ორგანო ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განნერას.

საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფაზე. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუ-ჯეტში ადგილობრივი გადასახადების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორ-განოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სხვა შემოსავლებისა და არაფინანსურ აქტივებზე განხორციელებული ოპერაციებიდან მისაღები სახსრების ამოღებას — შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სამსახურები, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის შესახებ ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ საფინანსო ორგანოს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ახორციელებს თითოეული მხარჯავი დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეული გადასახდელების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ, ამასთან, სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს.

საგულისხმოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ყოველი თვის

დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით. ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში კი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;
- ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;
- ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, გარდა სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებისა;
- ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;
- ინფორმაციას მხარჯავი დაწესებულებების მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების შესრულების შესახებ;
- ინფორმაციას პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ [2, 67-68].

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არაუგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნა და შესრულების წლიური ანგარიში საჯარო ინფორმაციაა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ კაპიტალურ ბიუჯეტს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სტრუქტურაში. გასაგებია, რომ კაპიტალური ბიუჯეტის ფორმირებას შეუძლია კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურება.

სამწუხაროდ, არც საბიუჯეტო კოდექსში და არც საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" არ არის კაპიტალური ბიუჯეტის მიზნობრივი ფუნქციის დახასიათება. ჩვენი აზრით, ზოგადი სახით, ის უნდა დახასიათდეს როგორც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ განსახორციელებელი საინვესტიციო პოლიტიკის ფინანსური უზრუნველყოფა.

ასეთი პოლიტიკის თანამედროვე პრიორიტეტების გათვალისწინებით, ჩვენთვის მისაღებია კაპიტალური ბიუჯეტის დასახელებული ძირითადი მიზნის დეკომპოზიციის შემდეგი ვარიანტი:

- მუნიციპალური ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურის ფორმირება და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- კონკრეტული ტერიტორიის სოციალური სფეროს განვითარება, მისი მომსახურების ხარისხისა და მრავალგვარობის დონის ამაღლება;
- თვითმმართველი ერთეულის ინტეგრირების დონის ამაღლება რეგიონულ და ეროვნულ ეკონომიკურ სივრცეში.

აღნიშნული ღონისძიებების რეალიზაციის ამოსავალ ინსტრუმენტად უნდა იქცეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები, რომლებიც, თავის მხრივ, შემუშავდება ტერიტორიის სტრატეგიული პრიორიტეტული გეგმების საფუძველზე. ასეთი ურთიერთკავშირის აუცილებლობა დასაბუთებულია არა მხოლოდ თეორიულად, არამედ აგრეთვე დამტკიცებულია პრაქტიკითაც.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზით ირკვევა, რომ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2010 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა ჯამურად (დაზუსტებული გეგმის მიხედვით) 1.567 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2009 წლის შემოსულობებთან შედარებით 307,6 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2008 წელთან შედარებით კი – 289,9 მლნ ლარით მეტი [5, გვ. 97].

ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხი არ გაზრდილა. ამასთან, ზრდა განპირობებულია თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტის შემოსულობების მნიშვნელოვანი ზრდით და არა მუნიცი-

პალიტეტების ბიუჯეტის შემოსულობებით, სადაც პირიქით – 2008 წლიდან ადგილი ჰქონდა შემოსულობების შემცირებას.

თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შემოსავლებს, რომელიც 2010 წლის დაზუსტებული გეგმის მიხედვით 1.412 მლნ ლარს შეადგენს. თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ შემოსავლებში საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები ძალიან მცირეა (2009 წელს ბიუ-ჯეტების შემოსავლების მხოლოდ 24,7%, ხოლო 2010 წელს – 23,4%,). თვითმმართველობების ბიუჯეტის შემოსავლების დიდი ნაწილის ფორმირება ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული ტრანსფერების ხარჯზე ხორციელდება.

გადასახადების სახით თვითმმართველმა ერთეულებმა 2010 წელს 180,7 მლნ ლარი მიიღეს, საიდანაც (66,7%) ხუთ თვითმმართველ ქალაქზე მოდის. 2009 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შესაბამისად შეადგენდა 64,4 %-ს [5, 98].

ზოგადად, თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების სიმწირე ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ეკონომიკური აქტივობა დაბალია და ბიზნესსექტორი სუსტად არის განვითარებული. ამასთან, ქონების გადასახადში ბევრი საგადასახადო შეღავათია, რაც ასევე განაპირობებს ბიუჯეტში ამ გადასახადიდან შემოსავლების სიმცირეს.

საგულისხმოა, რომ ქონების გადასახადი ერთადერთი ადგილობრივი გადასახადი და, ამასთან ერთად, ერთადერთი საგადასახადო შემოსულობაა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. 2009 წლის 7 ივნისიდან საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით დადგინდა საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის დიფერენცირებული გამოთვლის წესი. 2010 წელს მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსით, საწარმოს წლიური გადასახადი, რაც საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტს შეადგენდა, 2000 წლამდე შესყიდულ აქტივებზე 3-ჯერ გაიზარდა, 2000-დან 2004 წლამდე შესყიდულ აქტივებზე – 2-ჯერ, ხოლო 2004 წელს შესყიდულ აქტივებზე – 1,5-ჯერ. ასევე, 2009 წელს გაიზარდა ფიზიკური პირების ქონების გადასახადის განაკვეთი და დაკონკრეტდა ფიზიკური პირის ოჯახის მიერ მიღებული შემოსავლების განმარტება. კერძოდ: იმ ფიზიკური პირების ქონების გადასახადის განაკვეთი რომელთა ოჯახის წლიური შემოსავალი 100.000 ან მეტი ლარია, შეადგენს უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,8 პროცენტს და არაუმეტეს 1 პროცენტისა. 2009 წლამდე აღნიშნული განაკვეთი შეადგენდა შესაბამისად 0,4 და 0,8 პროცენტს.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში მობილიზებული ქონების გადასახადის მოცულობა გაიზარდა. მიუხედავად ზრდის დინამიკისა, ქონების გადასახადს, როგორც საკუთარ საგადასახადო შემოსულობას, ძალზედ მცირე წილი (2010 წელს დაახლოებით 10,8%) უჭირავს თვითმმართველობების ბიუჯეტის შემოსულობებში, რაც გამორიცხავს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი კომპეტენციების სრულყოფილ განხორციელებას და ხარისხიანი საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფას. ამასთან ის ფაქტი, რომ თვითმმართველ ერთეულებს ფაქტიურად არ გააჩნიათ დისკრეცია ადგილობრივ გადასახადთან მიმართებაში (ბაზის განსაზღვრა, განაკვეთის შეუზღუდავი დადგენა, შეღავათების დაწესება, გადასახადის ადმინისტრირება), გამორიცხავს მათი მხრიდან საკუთარი შემოსულობების პროგნოზირების და ზოგადად, გააზრებული საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის დაგეგმვის შესაძლებლობას [6, 28].

ბიუჯეტების შემოსავლების სტრუქტურის ანალიზი გვაძლევს ნათელ სურათს, თუ რამდენად არის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები დამოკიდებული ცენტრალური ხელისუფლებიდან მისაღებ სახსრებზე. 2010 წელს თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტში სულ მიღებული იქნა 1.082 მლნ ლარის გრანტები (ტრანსფერები), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 222,6 მლნ ლარით, ანუ 26%-ით მეტია. ეს სახსრები 2009-2010 წლებში თვითმმართველობების შემოსავლების 75–77%-ს, ხოლო შემოსულობებში 69%-ს შეადგენს. ამასთან, 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემული გრანტების 73% თვითმმართველ ქალაქებზე მოდის, ხოლო დანარჩენი 27% – 64 მუნიციპალიტეტზე. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა იყო 2009 წელსაც [5, 99].

თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში სხვადასხვა სახის ტრანსფერების ხვედრითი წილი 2010 წელს შემდეგნაირად გადანაწილდა: ტრანსფერების 48% გადაეცათ გათანაბრებითი ტრანსფერის სახით, 41% – სპეციალური ტრანსფერის სახით, 10% – სხვა არაკლასიფიცირებული ტრანსფერის სახით, ხოლო 1% – მიზნობრივი ტრანსფერის სახით. განსხვავებული მდგომარეობა იყო 2009 წელს, ტრანსფერების 59% მოდიოდა სპეციალურ ტრანსფერზე, 32% – გათანაბრებით ტრანსფერზე, 7% – სხვა არაკლასიფიცირებულ ტრანსფერზე, ხოლო 2% – მიზნობრივ ტრანსფერზე [5, 100].

ტრანსფერებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლიდან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ძალაში შესვლით, „გამოთანაბრებითი ტრანსფერის“ ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი „გათანაბრებითი ტრანსფერი“, შეიცვალა მისი გაანგარიშების ფორმულა და წესიც. ჩვლილების შედეგად გაიზარდა ტრანსფერის მოცულობის გამოთვლებისათვის საჭირო ინფორმაციის მოცულობა, რაც, გარკვეულწილად, პრობლემას წარმოადგენს. იგულისხმება გამოთვლისათვის აუცილებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ვინაიდან თვითმმართველობების დონეზე ყველა საჭირო ინფორმაცია (სტატისტიკა) არ აკუმულირდება. გარდა ამისა, გათანაბრებითი ტრანსფ-

ერის სამართლიანი განაწილების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება მისი გაანგარიშების წესის შეზღუდული საკანონმდებლო რეგლამენტაცია, მაშინ როდესაც, ფინანსთა მინისტრს აღნიშნული საკანონმდებლო ნორმების განვრცობის თითქმის შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნია. ეს ნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტროს აქვს რეალური ბერკეტი, მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის ფარგლებში, ფორმულაში გამოსაყენებელი სხვადასხვა კოეფიციენტების შემოღებითა და მათი მოცულობების ცვლილებით, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობაზე.

აღსანიშნავია, ასევე რომ 2009 წლის 1 იანვრიდან „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებით გამარტივდა თვითმმართველი ერთეულის მიერ გრანტის (არასახელმწიფო გრანტის) აღების პროცედურა. კერძოდ, მოიხსნა გრანტის მხოლოდ საქართველოს მთავრობისგან ან მისი ნებართვით აღების შეზღუდვა, რაც პოზიტიურ ცვლილებად უნდა შეფასდეს. ამავე დროს, სესხის აღების საკანონმდებლო პროცედურა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის კვლავ ხისტი და მოუქნელი რჩება. მათ უფლება აქვთ აიღონ სესხი მხოლოდ საქართველოს მთავრობისაგან ან მისი ნებართვით.

სამწუხაროდ, კვლავ ბუნდოვანი რჩება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობების განმარტება. „ადგილობრივი თვითმმარ-თველობის შესახებ" ორგანული კანონის 49-ე და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 66-ე მუხლებით, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება: ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრან-სფერი და „საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეულისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები"; ხოლო არასაკუთარ შემოსულობებს – სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები და „საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეულისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები". როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში, შემოსულობების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ზოგადად მიანიშნებს საქართველოს კანონმდებლობაზე. არადა, აღნიშნულის მკაფიო გამიჯვნას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თვითმმართველი ერთეული თავისუფალია საკუთარი შემოსულობების განკარგვაში და, პირიქით, შეზღუდული – არასაკუთარი შემოსულობების განკარგვაში.

საინტერესო დასკვნების გამოტანის საფუძველს გვაძლევს ადგილობრივი თვითმმართველობების შემოსულობების ანალიზი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. 2009 წელს ქვეყანაში ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობების საშუალო მაჩვენებლები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 287,1 ლარს შეადგენდა, 2010 წელს კი მისი მოცულობა გაიზარდა და შეადგინა 353,1 ლარი, რაც ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია. თუმცა, თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში აღნიშნული მაჩვენებლები აშკარა დისპროპორციით ხასიათდება. თვითმმართველ ქალაქებში შემოსულობები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 2010 წელს შეადგენს 684,2 ლარს, მაშინ როდესაც მუნიციპალიტეტებში ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 159,8 ლარია [5, 101].

2010 წელს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო გადასა-ხდელების საერთო მოცულობამ 1.570 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 331 მლნ ლარით მეტია. ბიუჯეტის ხარჯების კატეგორიაში ყველაზე დიდი წილი, ბოლო წლების განმავლობაში და 2010 წელსაც, საბინაო-კომუნალური მეურნეობის (33%), ეკონომიკური საქმიანობის (20%) და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე მოდიოდა (11%).

2010 წელს საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების მუხლით, რომე-ლიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციულ და შესაბამისი აპარატის შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯებს, 169,8 მლნ ლარით დაფინანსდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 14,6 მლნ ლარით მეტია. აღსანიშნავია, რომ ამ მუხლით გაწეული ხარჯების 50,1% თვითმმართველ ქალაქებზე მოდის, ხოლო 49,9% მუნიციპალიტეტებზე. შესაბამისად, 2010 წლის მონაცემებით, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე მუნიციპალიტეტებში ერთ სულ მოსახლეზე 30 ლარი, ხოლო თვითმმართველ ქალაქებში 53 ლარი იხარჯებოდა [5, 102].

სამწუხაროდ, პრაქტიკაში კვლავ გვხვდება ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან მნიშვნელოვანი სახსრების ხარჯვა თვითმმართველობის არასაკუთარი კომპეტენციების დასაფინანსებლად. ამის ნათელი მაგალითია პოლიციის განყოფილებების კომუნალური, ზოგადი განათლების, ჯანდაცის და ა.შ. ხარჯების დაფინანსება, რაც წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების უხეშ ჩარევას ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციებში. ზემოაღნიშნული ხარჯები უნდა ფინანსდებოდეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ და არა ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების საკუთარი სახსრებიდან. აქვე უნდა ითქვას, რომ ისედაც მწირი ბიუჯეტის პირობებში ცენტრის უფლებამოსილებების დაფინანსება და თანაც ყველგან ერთიდაიგივე პრინციპით გვაფიქრებინებს, რომ დავალების მიცემა ხდება ცენტრალური ხელისუფლებიდან. სხვა შემთხვევაში, წარმოუდგენელია ყველა თვითმმართველობას ერთდროულად მოსვლოდა აზრად დაეფინანსებინა, მაგალითად, პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები. ყოველივე ეს იწვევს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებების აღრევას, რის შედეგადაც ადგილობრივ საბიუჯეტო პროცესებზე ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები იზღუდება, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების გავლენა ძლიერდება, რაც ადგილობრივი ბიუჯეტის

დამოუკიდებლობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

როგორც ზემოთ ითქვა, თვითმმართველი ერთეულის ხარჯებში საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხარჯებს ყველაზე დიდი წილი (33%) უჭირავს. 2009-2010 წლებში ამ სფეროს დაფინანსებამ შესაბამისად შეადგინა 875,9 მლნ ლარი. აქედან, თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტებიდან დაფინანსდა 502,8 მლნ ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებიდან – 373,2 მლნ ლარი. შეიძლება ითქვს, რომ აღნიშნული სფეროს დაფინანსება ბოლო წლების უცვლელი პრიორიტეტია.

ადგილობრივი თვითმმართველობების 2009-2010 წლების ხარჯების შედარებისას ერთადერთი სფერო, რომლის დაფინანსებაც მცირდება, განათლების სფეროა. 2009 წელს ამ კუთხით გამოყოფილი იყო 108,9 მლნ ლარი, ხოლო 2010 წელს ადგილი აქვს 6%-იან კლებას. სხვა დანარჩენი სფეროების დაფინანსება ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც ნამდვილად დადებითი ფაქტია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 2006 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განხორციელებული ცვლილებების შედეგად თვითმმართველობების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხი არა თუ გაიზარდა, არამედ რიგ კომპონენტებში შემცირდა კიდეც. ამრიგად, საქართველოში თვითმმართველი ერთეულების ფაქტობრივი საფინანსო-ეკონომიკური ავტონომიურობის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია, რაც დღის წესრიგში აყენებს ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო საფუძვლების დახვეწისკენ მიმართული თანმიმდევრული ღონისძიებების გატარების აუცილებლობას.

საბიუჯეტო საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობის ხარვეზებმა, აგრეთ-ვე ადგილობრივი ბიუჯეტების ცენტრალურ ბიუჯეტზე მაღალმა დამოკიდებულებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადგილობრივ თვითმმართველობას და დეცენტრალიზაციის რეფორმის საერთო წარმატებებს.

დღეისათვის ქვეყნის ადგილობრივ თვითმმართველობათა ფინანსური საქმიანობის სფეროში არსებულ პრობლემათა შორის განსაკუთრებით მწვავედ გვესახება შემდეგი:

- ადგილობრივი თვითმმართველობა, პრაქტიკულად, სრულადაა ფინანსურად დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე. ძალზე მცირეა თვითმმართველი ერთეულების საგადასახადო შემოსავლების ოდენობა. არაადეკვატური პროპორციით არის განაწილებული საბიუჯეტო შემოსავლები საჯარო ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებს შორის;
- ქონების გადასახადი, რომელიც ერთადერთი ადგილობრივი გადასახადია, მუნიციპალიტეტებისათვის დიდ ფისკალურ ეფექტს არ იძლევა, რამდენადაც ღირებული ქონების დიდი ნაწილი ძირითადად თვითმმართველ ქალაქებშია თავმოყრილი;
- ადგილობრივი ორგანოების მიერ საბიუჯეტო პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის ხარისხი კვლავაც დაბალი რჩება. ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის მთავარ წარმმართველ ძალად ფინანსთა სამინისტრო გვევლინება;
- თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები არ არის მკაფიოდ გამიჯნული, რის გამოც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის გაურკვეველია ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ხარჯვის უფლებამოსილება.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა იმ რეკომენდაციების ჩამონათ-ვალი, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესის გაღრმავებას და ადგილობრივ თვითმმართველობათა საფინანსო-საბიუჯეტო საფუძვლების განმტკიცებას. რეკომენდაციების სია ძირითადად შეეხება იმ პრობლემებს, რომლებმაც თავი 2009-2011 წლების განმავლობაში იჩინა. ამავე დროს, მოხდა მათი რანგირება ზოგადი და კონკრეტული ხასიათის ჯგუფებად.

I. საკანონმდებლო ხასიათის ზოგადი რეკომენდაციები:

საქართველოს კონსტიტუციაში:

- ნათლად განისაზღვროს თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობის გარან-ტიები ისეთ სფეროებში, როგორიცაა ადგილობრივი გადასახადების შემოღება, მუ-ნიციპალური განვითარების დაგეგმვა, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვ.;
- თვითმმართველობების ფუნქციონირების გარანტიების გაძლიერების მიზნით აისახოს დებულებები, რომლებიც დღეისათვის რეგულირდება ორგანული კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. კერძოდ, აისახოს ფისკალური დეცენტრალიზაციის გარან-ტიები და თვითმმართველი ერთეულების ფინანსური გათანაბრების პოლიტიკის პრინციპები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში:

· თანამიმდევრულად გაიზარდოს იმ გადასახადებისა და მოსაკრებლების ნუსხა, რომელთა შემოღების უფლებამოსილება მიენიჭება ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს;

· რეგულარულად გადაისინჯოს გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე ტრანსფერის გამოსაანგარიშებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გათანაბრების სამართლიანი სისტემის შექმნა.

ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“:

- გაიწეროს საკრებულოს დათხოვნის პროცედურა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში არ ამტკიცებს ადგილობრივ ბიუჯეტს;
- საკუთარ უფლებამოსილებათა ჩამონათვალში

თვითმმართველ ერთეულს დაუბრუნდეს სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტებისა და გეგმების დამტკიცების უფლებამოსილება.

II. საკანონმდებლო ხასიათის კონკრეტული რეკომენდაციები:

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში: მკაფიოდ გაიმიჯნოს ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარი და არასაკუთარი შემოსავლები; თვითმმართველი ერთეულების მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესის გასაუმჯობესებლად საშემოსავლო გადასახადის თუნდაც მცირე ნაწილი დარჩეს ადგილობრივ ბიუჯეტებში საკუთარი შემოსულობების გაზრდის მიზნით; მოხდეს თვითმმართველი ერთეულების განვითარების ეფექტიანი დაფინანსების მექანიზმის განსაზღვრა; ხელი შეეწყოს თვითმმართველ ერთეულებში ინვესტიციების მოზიდვაზე, ინოვაციების ტრანსფერსა და დანერგვაზე ორიენტირებული ინსტიტუციების შექმნის პროცესს; სახელმწიფომ სოციალური, ეკონომიკური თუ გათანაბრებითი პოლიტიკით ხელი შეუწყოს თვითმმართველ ერთეულებს შორის კონკურენციასა და შეჯიბრებითობას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. - თბილისი, 2005 წლის 16 დეკემბერი.
2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. - თბილისი, 2009 წლის 18 დეკემბერი.
3. Лексин В.Н. Муниципальная Россия: социально-экономическая ситуация, права, статистика.-Т.I.-М., 2001.
4. Игонина Л.Л. Принципы организации местных финансов //Финансы.-2003.-№8. - С. 16-20.
5. საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიში (2009-2010 წლები)//მომზადებულია ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პროგრამის (HRGGP) შიდა პროექტის ფარგლებში. - თბილისი, 2011.
6. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №119, 2011 წლის მაისი.
7. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 მარტის №284 განკარგულება „პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ // http://www.mof.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 11.02.2013.
8. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ // http://www.mof.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 11.02.2013.
9. http://www.parliament.gov.ge/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 11.02.2013.
10. http://www.reforms.ge/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 11.02.2013.


## რეზიუმე


სტატიაში გადმოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ფორმირებისა და გამოყენების მექანიზმის სრულყოფის საკითხები. ხაზგასმულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, რომლის არსებობა განამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს შესაბამისი ტერიტორიების სამეურნეო საქმიანობის აქტივიზაციას და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გაკეთებულია დასკვნა, რომ 2006 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განხორციელებული ცვლილებების შედეგად თვითმმართველობების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხი არა თუ არ გაიზარდა, არამედ რიგ კომპონენტებში შემცირდა კიდეც.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა იმ ზოგადი და კონკრეტული ხასიათის რეკომენდაციების ჩამონათვალი, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესის გაღრმავებას და ადგილობრივ თვითმმართველობათა საფინანსო-საბიუჯეტო საფუძვლების განმტკიცებას. რეკომენდაციების სია ძირითადად შეეხება იმ პრობლემებს, რომლებმაც თავი 2009-2011 წლების განმავლობაში იჩინა.


## SUMMARY


*M. Vanishvili*
*N.Vanishvili*
*L. Koguashvilii*


### The main directions of improving the use of local government finance in Georgia


The article described the use of the mechanism of formation and development of local government finance issues. Emphasizes that the central point of contact for local self-government unit budget funds, which would strengthen the economic independence of local self-government bodies, helps to activate the corresponding areas of economic activity and infrastructure development.

The conclusion is made that, since 2006, as a result of changes made in the field of local government finance - but if you do not increase the degree of economic independence, but also reduced the number of components too.

Based on the analysis revealed a general and specific nature of the list of recommendations, which are considered to contribute to the deepening of the process of decentralization and local self-government in Georgia and Finance - Budgeting Basics to strengthen. List of recommendations for the problems that have surfaced over the years 2009-2011.

# ექსპორტ-იმპორტირებული საქონელი ქართულ ბაზარზე

*ეკა აბესაძე,*
*სტუ-ს დოქტორანტი*

კომერცია, იგივე ვაჭრობა, არის ადამიანის საქმიანობის სფერო, რომელიც ხორციელდება რაიმე ღირებულების ყიდვა-გაყიდვით. ეს ღირებულება შეიძლება წარმოადგენდეს საქონელს, მომსახურებას, ინფორმაციას, ფულს ან სხვა რამეს. ვაჭრობაში შეიძლება მონაწილეობდნენ ადამიანები, ადამიანთა ჯგუფები, ფირმები, სახელმწიფოები. სახელმწიფო ვაჭრობა ორი ფორმისაა: საშინაო (მათ შორის საცალო და საბითუმო) და საგარეო. ვაჭრობა კაპიტალიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, იგი წარმოიშვა შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და კერძო საკუთრების ბაზაზე.

კომერცია, იგივე ვაჭრობა, არის ადამიანის საქმიანობის სფერო, რომელიც ხორციელდება რაიმე ღირებულების ყიდვა-გაყიდვით. ეს ღირებულება შეიძლება წარმოადგენდეს საქონელს, მომსახურებას, ინფორმაციას, ფულს ან სხვა რამეს. ვაჭრობაში შეიძლება მონაწილეობდნენ ადამიანები, ადამიანთა ჯგუფები, ფირმები, სახელმწიფოები. სახელმწიფო ვაჭრობა ორი ფორმისაა: საშინაო (მათ შორის საცალო და საბითუმო) და საგარეო. ვაჭრობა კაპიტალიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, იგი წსაგარეო სავაჭრო ურთიერთობების თეორიების უმეტესობა მიდის დასკვნამდე, რომ თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნის კეთილდღეობას ამაღლებს. მის დადებით ეფექტებად მოიხსენიება, მაგალითად: წარმოებისა და მოხმარების ზრდადი ეფექტურობა, საწარმოოს ოპტიმალური სიდიდის სწრაფი მიღწევა და ზრდადი კონკურენციით განპირობებული ინოვაციები. ამისგან განსხვავებით, მცირეა თავისუფალი ვაჭრობის დადებითი გავლენა განვითარებადი ქვეყნის კეთილდღეობაზე, რის გამოც ეკონომისტები (მაგ. ფრიდრიხ ლისტი) ქვეყნის განვითარების საწყის ფაზაში, ხშირად, პროტექციონისტული ინსტრუმენტების დაშვებას ცდილობენ.

განვითარებულ საზოგადოებაში ბაზარი - ეს სულაც არ არის კონკრეტული ადგილი. კომუნიკაციისა და ტრანსპორტის თანამედროვე საშუალებათა მეშვეობით გარიგების განხორციელება ხდება მყიდველთან უშუალო კონტაქტის გარეშე. საქონლის რეალიზება და მყიდველამდე მიტანა ტრანსპორტირების მეშვეობითაა შესაძლებელი, ხოლო მყიდველთა შეკვეთების მიღება ხდება ტელეკომუნიკაციებისა და სხვა საინფორმაციო არხების მეშვეობით. ბაზრად მიიჩნევენ ხელშეკრულებასაც, ყიდვა-გაყიდვის შესახებ; საქმიანი ოპერაციების ერთობლიობასაც; მოცემული საქონლის მწარმოებელ ქვეყანასაც (მაგალითად, კანადის მარცვლეულის ბაზარი) და ბოლოს საქონლის, მომსახურეობისა და კაპიტალის მიწოდების და მოთხოვნის ადგილია.

საბაზრო ურთიერთობათა სუბიექტია კერძო საკუთრება. კერძო საკუთრებამ დაუდო სათავე მცირე ბიზნესის განვითარებას, რაც საბაზრო მეურნეობის ამოსავალი წერტილია. აქვე აუცილებელია განვიხილოთ ფასების მექანიზმი. ფასი საბაზრო ურთიერთობათა რგოლია, რადგან უზრუნველყოფს კავშირს მწარმოებლებსა და მომხმარებელს შორის და ამით წონასწორობაში მოჰყავს ბაზარზე საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა - მიწოდებას .

ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება 2 800 - 3 000 წლის წინ გულისხმობს გარკვეულ საგარეოპოლიტიკურ ნაბიჯებს, კონკრეტულ დიპლომატიურ საქმიანობას. ქართული დიპლომატიური სამსახურის, მისი ფორმების, მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების განხილვა სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად ხდება. საინტერესოა, საელჩო (სამოციქულო, სადესპანო) სამსახურების საქმიანობა, ელჩობათა ეფექტურობა, დიპლომატიური მოლაპარაკებების ფორმები, თუ შეთანხმებების შინაარსი. ქართული დიპლომატიის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული მეზობელ თუ არამეზობელ ქვეყნებთან კავშირსა და ურთიერთობებთან .

საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელობა მეტ წილად განსაზღვრა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ - ზღვაზე გასასვლელმა, საზღვრების დაცულმა კონფიგურაციამ (ჩრდილოეთით - კავკასიონის ქედი, დასავლეთით შავი ზღვა) და გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ (სატრანზიტო გზები, მოსაზღვრე ქვეყნები, მათი კავშირები და ტრადიციები).

80-იანი წლების დამდეგისათვის უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ საბჭოთა წყობილებას მომავლის პერსპექტივა არ ჰქონდა.

საქართველოში გარდაქმნა, პირველ რიგში, ეროვნული მისწრაფებების გაძლიერებით გამოვლინდა. ეროვნული მოძრაობა გახდა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა.

1992 წლის 31 ივლისს საქართველო მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მის 179-ე სრულუფლებიან წევრად.

1999 წელს 1 ივლისიდან ძალაში შევიდა ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეტანხმება .

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების ძირითადი მიზანია ვაჭრობისათვის ხელის შეწყობა ბარიერების შემცირების და დისკრიმინაციის დაუშვებლობის წესის გამოყენებით. განსაზღვრულია უპირატესი ხელშეწყობის ორმხრივი

რეჟიმი. ამრიგად, საქართველო ჯერ კიდევ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანებამდე სარგებლობდა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით ევროკავშირის ბაზარზე, ხოლო ვმო-ში გაწევრიანების შემდეგ სარგებლობს ამავე რეჟიმით ვმო-ს ყველა წევრ ქვეყანასთან.

არმოიშვა შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და კერძო საკუთრების ბაზაზე.

ექსპორტი და იმპორტი, ქვეყანაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

მიმდინარე გლობალური ეკონომიკური ცვლილებების პირობებში, ქვეყნებს შორის ურთიერთობებში სავაჭრო ურთიერთობებს არსებითი და, შეიძლება ითქვას, უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც სწორედ ვაჭრობაზეა აგებული ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური ფუნქციონირების თითქმის მთელი სისტემა. ეს კი, მთლიანობაში, ხელს უწყობს ქვეყნების განვითარებას და ვაჭრობიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას.

საქართველოს ვაჭრობა ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც სიღარიბის დაძლევის, წარმოების განვითარების, სპეციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და, შედეგად, ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

რა დინამიკით იცვლება საქართველოს ექსპორტ-იმპორტი? საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) მორიგი კვლევა დაასრულა და ახალი მონაცემები გამოაქვეყნა.

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|---|---|
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 4611.2 | 6444.3 | 7796.8 | 5633.8 | 6822.6 | 9246.9 |
| საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB) | 936.4 | 1232.1 | 1495.3 | 1133.6 | 1574.1 | 2189.1 |
| საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF) | 3674.8 | 5212.2 | 6301.5 | 4500.2 | 5248.5 | 7057.8 |

(მილიონი აშშ დოლარი)

აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება, ვაჭრობის დივერსიფიცირება და, რაც შეიძლება, მეტ უცხოურ ბაზარზე გასვლა.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის, 2003 წლიდან მოყოლებული, გამოირჩევა თურქეთი, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვა სტაბილურად მაღალია.

2007 წლამდე საქართველოსთან ვაჭრობაში წამყვანი ადგილი რუსეთს ეკავა, რომლის ბაზარზეც საქართველოს პროდუქციის უდიდესი ნაწილი იყო ორიენტირებული. საინტერესოა რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: იმ დროს, როდესაც პოლიტიკური ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის გაუარესდა, სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები არ შეწყვეტილა და რუსეთი დღემდე საქართველოს 10 უმსხვილეს პარტნიორს შორისაა - ეს ქვეყანა, სავაჭრო ბრუნვის მოცულობით, ათეულიდან ბულგარეთს, სომხეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს უსწრებს.

საქართველოს საუკეთესო შესაძლებლობები და პოტენციალი გააჩნია, რომელთა გამოყენება ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საჭირო ღონისძიებების განხორციელებით და ევროკავშირის მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების შედეგად, საქართველო ნამდვილად შეძლებს, ევროპის დიდ ბაზარზე კონკურენტუნარიანი იყოს.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2012 წელს წინა წელთან შედარებით 11%—ით გაიზარდა და 10.2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 12.2%—ით გაიზარდა და 5.46 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, განაცხადა „საქსტატმა“ 25 იანვარს.




ექსპორტი 2012 წელს 9%—ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 2.37 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტმა 11%—ით მოიმატა და 7.84 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა, საქართველოს საგარეო ვაჭრობაში 2012 წლის ბოლო კვარტალში 2.8%—იანი კლება დაფიქსირდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად კვლავ თურქეთი რჩება, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვამ 2012 წელს 1.53 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტმა თურქეთიდან 1.39 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო ექსპორტმა საქართველოდან თურქეთში მხოლოდ 142.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა გასულ წელს.

შემდეგ მოდის აზერბაიჯანი, რომელთან სავაჭრო ბრუნვამაც 1.26 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა; უკრაინა — 764.1 მილიონი აშშ დოლარი; ჩინეთი — 591.5 მილიონი აშშ დოლარი; გერმანია — 580.4 მილიონი აშშ დოლარი; რუსეთი — 519.6 მილიონი აშშ დოლარი; აშშ — 439.3 მილიონი აშშ დოლარი; ბულგარეთი — 341.1 მილიონი აშშ დოლარი; სომხეთი — 324.3 მილიონი აშშ დოლარი და იტალია — 324.3 მილიონი აშშ დოლარი.

**უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში 2013 წლის იანვარში**




2012 წელს მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 24.7% შეადგინა — 587.3 მილიონი აშშ დოლარით, რაც 30.4%—იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით.

შემდეგ მოდის ფეროშენადნობი — 260.4 მილიონი აშშ დოლარით (11%—იანი წილი მთლიან ექსპორტში); აზოტოვანი სასუქები — 137.2 მილიონი აშშ დოლარით (5.8%); ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული — 87.9 მილიონი აშშ დოლარით (3.7%); თხილი — 83.6 მილიონი აშშ დოლარით (3.5%); სპირტი ეთილის არადენატურირებული —80 მილიონი აშშ დოლარით (3.4%).

ქართული ღვინის ექსპორტი 2012 წელს წინა წელთან შედარებით 19.9%—ით გაიზარდა და 64.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; შედეგად, მისმა წილმა ქვეყნის მთლიან ექსპორტში 2.7% შეადგინა.

ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2006 წელს ქართული ღვინის ექსპორტზე ემბარგო დააწესა, თუმცა ის კვლავ ჩამორჩება ემბარგოს წინა წელს არსებულ მაჩვენებელს, როდესაც 2005 წელს ღვინის ექსპორტი 81.3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.

მინერალური წყლების ექსპორტი ასევე გაიზარდა 2011 წელს არსებული 47.6 მილიონიდან 59.3 მილიონ აშშ დოლარამდე 2012 წელს. სპილენძის ექსპორტი 2011 წელს არსებული 85.1 მილიონიდან 2012 წელს 53.5 მილიონ დოლარამდე შემცირდა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2012 წელს ისევ ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო — 951 მლნ აშშ დოლარი (12.1%—იანი წილი მთლიან იმპორტში); შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები — 662.7 მლნ დოლარი (8.5%); ნახშირწყალბადები — 252.6 მლნ აშშ დოლარი (3.2%); ხორბალი — 239.9 მლნ აშშ დოლარი (3.1%); სამკურნალო საშუალებები — 232.4 მლნ აშშ დოლარი (3%); სატელეფონო აპარატები, ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის — 118.8 მლნ აშშ დოლარი (1.5%); გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები — 104.5 მლნ აშშ დოლარი (1.3%); მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისგან — 92.5 მლნ აშშ დოლარი (1.2%); სიგარეტი — 90.5 მლნ აშშ დოლარი (1.2%); ელექტრული ტრანსფორმატორები — 88.4 მლნ აშშ დოლარი (1.1%).


## რეზიუმე

სტატია ეხება თავისუფალ ვაჭრობას და რამდენად მნიშვნელოვანია იგი ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაში. მის დადებით ეფექტებად მოიხსენიება, წარმოებისა და მოხმარების ზრდადი ეფექტურობა, საწარმოოს ოპტიმალური სიდიდის სწრაფი მიღწევა და ზრდადი კონკურენციით განპირობებული ინოვაციები. ამისგან განსხვავებით, მცირეა თავისუფალი ვაჭრობის დადებითი გავლენა განვითარებადი ქვეყნის კეთილდღეობაზე.

აღწერილია ქართული ბაზრის ჩამოყალიბება, გარკვეული საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯები საქართველოს ადრეული ისტორიიდან.

რა დინამიკით იცვლებოდა საქართველოს ექსპორტ-იმპორტირებული საქონლის მოძრაობის მონაცემები ბოლო 7 წლის მანძილზე, რომელიც მჭიდრო კავშირშია ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკასთან.

## Summary

E.Abesadze

The article is about free trade and how important it is to increase the prosperity of the country. The positive effect is referred to increasing the efficiency of production and consumption, production, and increasing competition due to the optimal size to achieve rapid innovation. In contrast, free trade is small, positive impact on the well-being of developing countries,

Describes the formation of the Georgian market, some foreign - policy actions of the early history.

The changing dynamics of export - import of goods movement data in the last 7 years, which is closely linked to the country's internal and external policies.

# სტრატეგიული მართვის ფილოსოფია, ფინანსური უზრუნველყოფა და კონტროლინგი

***გიორგი ცაავა,*** *სტუ-ს სრული პროფესორი*
***ლევან ცაავა,*** *მაგისტრანტი*

სტრატეგია – ფართე უფლებამოსილებების მქონე ხელმძღვანელია. სტრატეგიული მენეჯმენტი – აზროვნებისა და მართვის პროგრამული ხერხია, რომელიც საწარმოს შესაძლებლობების და მფლობელებისა და მომუშავეების მიზნების შეთანხმებას უზრუნველყოფს. სტრატეგიული ორიენტაცია - რეალიზაციის ეტაოიბრივ პროცესთან შეხამებული მომავალზე ორიენტაციაა. სტრატეგიის შემუშავებისას საკვანძო საკითხებია: „როგორ სარგებელს მოუტანს სტრატეგია საწარმოოს? გამართლდება თუ არა დანახარჯები? ხომ არ არსებობს უკეთესი ალტერნატივები? უზრუნველყოფილია თუ არა მიმდინარე პრობლემები?".

სტრატეგია არის – მომავლის კვლევა, შესაძლო სცენარების ანალიზი; კონკურენტულ ბრძოლაში უპირატესობის მომცემი იდეა; მმართველობითი საქმიანობის ხერხების სისტემა; საწარმოს საქმიანობისათვის ორიენტირების ერთობლიობა; საწარმოს ძირითადი დანიშნულების განხორციელებისა და მისი მიზნების მიზნებისათვის გათვალისწინებული კომპლექსური გეგმა; პოლიტიკური დაგეგმვა; მომუშავეთა კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება; ჩარჩოები ინოვაციებისათვის, საწარმოს კონკრეტული ქმედებები ინოვაციური პროცესის ჩატარებასთან მიმართებაში; ყოვლისმომცველი კონტროლის სისტემა.

სტრატეგიული მმართველობითი საქმიანობის შემდეგი ითხი ძირითადი სახეობა შეიძლება გამოიყოს, როგორებიცაა: რესურსების განაწილება; გარე გარემოსთან ადაპტაცია; შიდა კოორდინაცია; სტრატეგიული განჭვრეტა.

მოვიყვანოთ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მაგალითები, საწარმოს საქმიანობის სფეროების მიხედვით:

მარკეტინგი – ბაზრის რომელ სეგმენტზე უნდა იქნას კონცენტრირებული ძალისხმევა? როგორია ბაზრის მისაღები წილი თითოეულ რეგიონში? როგორი უნდა იყოს ასორტიმენტი და ხარისხი?

წარმოება – როგორია წარმოების სასურველი დონე? როდის და სად ჯობია უკეთესად დავაბანდოთ ინვესტიციები? წარმოება რა ვადით უნდა იყოს უზრუნველყოფილი მარაგებით?

ფინანსები – როგორია მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯების მოცულობა? როგორია დაფინანსების წყაროები?

კადრები – როგორ შევამციროთ რიცხოვნობა? როგორ შევინარჩუნოთ ან მოვიზიდოთ პერსონალი? კვალიფიკაციის რა დონეა საჭირო პერსონალისათვის?

მომარაგება – ვინ იქნება მომმარაგებელი? რისი შეცვლაა საჭირო მოწოდების ასორტიმენტში?

კვლევითი საქმიანობა – რაზე უნდა იყოს ორიენტირებული კვლევები? როდის და რა უნდა შეიცვალოს საქონელში?

წარმოების ფუნქციონირების ძირითადი სტრატეგიული პრინციპები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში გენრი ფორდის მიერ არის ჩამოყალიბებული, თანამედროვე წარმოებისათვისაც არის აქტუალური:

1. არ შეგეშინდეს მომავლის და არ აღიქვა მოწიწებულად წარსული.
2. ყურადღება არ გაამახვილო კონკურენციაზე.
3. მუშაობა საერთო სარგებლიანობაზე საკუთარ სარგებელზე მაღლა დააყენე.
4. აწარმოო არ ნიშნავს იაფად იყიდო და ძვირად გაყიდო.

ხელმძღვანელი საწარმოს საქმიანობაში სტრატეგიული წინადადებების ზემოქმედების შესახებ ტენდენციების განხილვისას ჩვეულებრივ საკუთარ წარმოდგენაზეა დაფუძნებული და მოკლედ აღნიშნული წარმოდგენები შემდეგი სახით შეიძლება იქნას ფორმულირებული:

- „ნუ დააქანავებ ნავს";
- „იცურავე დინების მიმართულებით";
- „ყოველივე ახალი - კარგია";
- „მუდმივად შექმენი მომავალი".

აღნისნული პრონციპულად განსხვავებული მმართველობითი ფილოსოფიებია, მაგრამ თითოეული მათგანი შეიძლება გონივრული იყოს კონკრეტულ პირობებში.

განასხვავებენ სტრატეგიული მართვის რამდენიმე ტიპიურ თეორიებს და ზრდის ტიპიური სტრატეგიის სახით შეიძლება გამოიყოს: თანდათანობითი ზრდის თეორია, მოქნილი მიდგომის თეორია, შემოქმედებითი მიდგომის თეორია.

ტიპიური პროდუქტიული სტრატეგიის სახით შეიძლება გამოიყოს შემდეგი: გლობალური ექსპორტის; ეროვნული დომინირების; საკუთარი წარმომადგენლობის; წარმოების შეღწევადობის.

სტრატეგიული საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის ხერხების არჩევისას საჭიროა შემდეგი სტრატეგიები იქნას შემუშავებული: გარე ფინანსური რესურსების (წყაროები, ვადები) მოზიდვის, მოზიდული სახსრების დაბრუნების, არსებული სახსრების ინვესტირების.

საწარმოს სტრატეგიული გადაწყვეტილებების ფინანსებით უზრუნველყოფის შემდეგი ხერხები შეი-

ძლება იქნას გამოყოფილი:

1. „თვითონ თავის თავია" – აღნიშნული ხერხი მოწყობილობების განახლებაზე და საბაზრო ნიშის გაფართოებაზე მიმართული გულმოდგინედ შემუშავებული და შერჩეული სტრატეგიული გადაწყვეტილებების გეგმიური დანერგვისათვის საკუთარი ფინანსური სახსრების გამოყენებას ითვალისწინებს.

2. „კონსორციუმი" - დაფინანსების აღნიშნული სისტემა მსხვილი სტრატეგიული პროექტის რეალიზაციისას რამდენიმე პარტნიორის კავშირს ეფუძნება.

3. „ჯილდოების მოძიება" – წარმატებული ფირმა საკუთარი კაპიტალის მოქმედების სფეროს გაფართოების მიზნით ფინანსურ სახსრებს სხვა საწარმოს განვითარებაში აბანდებს/

4. „ყველაფერი თქვენთვის" – აღნიშნული წარმოადგენს მსხვილი ფირმის ან სახელმწიფოებრივი დაბანდების წინმსწრები ნაბიჯების გამმეორებად (მხარდამჭერ) ფინანსურ საქმიანობას.

5. „კუ" – აღნიშნული წარმოადგენს სახსრების მცირე პორციებით რეალიზაციისა და რეალიზაციებზე მუდმივი კონტროლის განხორციელებისას მრავალი დაზღვევებით, ვალდებულებებით, კონტრაქტებით დაცული ფინანსურ დაბანდებებს.

კონტროლინგი – არის ხელმძღვანელობის მიერ მისაღები გადაწყვეტილებების დასაბუთების უზრუნველყოფის მართვის ფუნქციონათაშორისო ინსტრუმენტი. კონტროლინგის მეშვეობით „გეგმა-ფაქტის" შედარების მეთოდით ვლინდება პასუხისმგებლობის სფეროების მიხედვით გადახრები და სუსტი ადგილები. მათ საფუძველზე მიიღება საქმიანობის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული შემხვედრი ღონისძიებები.

კონტროლინგის ამოცანების სფეროებია:

- დაგეგმვა - საწარმოს მიზნების განსაზღვრა;
- კონტროლი - „გეგმა-ფაქტის" შედარება და გადახრების ანალიზი;
- მართვა - შემხვედრი ზომების მიღება.

კონტროლინგის სამსახურის სპეციალურ კვლევებს წარმოადგენს:

- საწარმოო პროგრამაში პროდუქციის ახალი სახეობების ჩართვა;
- საწარმოო პროგრამიდან პროდუქციის გამორიცხვა;
- კოოპერაციის სიღრმის არჩევა;
- საინვესტიციო გადაწყვეტილებების ექსპერტიზა;
- ბალანსის ანალიზი;
- კონკურენციის ანალიზი;
- პოტენციალების ანალიზი;
- საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეების პროფილის შემუშავება;
- ვიწრო ადგილების გამოვლენა;
- შედეგებისა და შრომის მოტივაციის შესაბამისობის შეფასება.

სტრატეგიული კონტროლინგი დაფუძნებულია ფაქტიური მონაცემების ინტერპრეტაციაზე და მათ პროგნოზზე მომავალ პერიოდში. მისი განსაკუთრებულობა რისკის, განვითარების გარე ფაქტორების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემოცვის გათვალისწინებაში მდგომარეობს.

ოპერატიული კონტროლინგი მიმდინარე პერიოდის მონაცემებზე და შედეგებზე, უპირველეს ყოვლისა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაზე არის დაფუძნებული.

საკონტროლო მაჩვენებლებიდან შეიძლება კონტროლინგის ბაზა იქნას ფორმირებული:

1. საქმიანობის შედეგები:
   - ბრუნვის რენტაბელობა;
   - ერთობლივი კაპიტალის რენტაბელობა;
   - კაპიტალის ბრუნვადობა;
   - შრომის ნაყოფიერება;
   - მასალის (ნედლეულის) ხარჯი;
   - დანახარჯების სტრუქტურა;
   - დანახარჯები პერსონალზე;
   - დანახარჯები რემონტზე;
   - დანახარჯები ელექტრომოხმარებაზე;
   - პროდუქციის ხარისხი;
   - ფინანსების მოცულობა.
2. დანახარჯების აღრიცხვა:
   - კალკულაციის მუხლების მიხედვით;
   - წარმოშობის ადგილის მიხედვით;
   - ობიექტების მიხედვით.
3. ფინანსური მაჩვენებლები:
   - ძირითადი სახსრების გადაფარვა;
   - ლიკვიდურობა;
   - დავალიანება;
   - მუდმივი დანახარჯების სტრუქტურა;
   - მუდმივი დანახარჯების გადაფარვა.
4. მაჩვენებლები მატერიალური მეურნეობის მიხედვით:
   - მასალების ბრუნვა საწყობში;
   - გადახდის ხანგრძლივობა;
   - მასალების გამოყენების ხარისხი;
   - მიწოდების ვადების დაცვა;
   - პროდუქციის მასალატევადობა;
   - ზედნადებები მომარაგების სფეროს მიხედვით.
5. მაჩვენებლები გასაღებითი სფეროს მიხედვით:
   - გაყიდვების მოცულობა;
   - ასორტიმენტის ცვლილებები;
   - მიწოდების სისტემის ეკონომიურობა;
   - ტრანსპორტის დატვირთულობის ხარისხი;
   - უზარალობის ზღვარი.

კონტროლინგის ეფექტური გამოყენება შესაბამისი ინფორმაციული სისტემით არის უზრუნველყოფილი.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ:

1. სტრატეგიული დაგეგმვა – არის საწარმოს სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესის დეტალიზაცია. სტრატეგია აუცილებელია რამდენადაც მომავალი განუსაზღვრელია. კაცობრიობას სხვა საქმიანობა არ გააჩნია, გარდა ორგანიზაციულისა,

სხვა ამოცანები და ცხოვრებაზე და სამყაროზე სხვა თვალსაზრისი არ აქვს, გარდა ორგანიზაციულისა.

2. ეკონომისტის-პრაქტიკოსის საქმიანობის ძირითადი არსი – საწარმოს ფუნქციონირების საუკეთესო ვარიანტების არჩევანში, ხოლო ეკონომისტ-მეცნიერისა კი - ასეთი არჩევანის მეთოდების შექმნაში მდგომარეობს.

3. სტრატეგიული საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის ხერხების ასარჩევად შესაბამის სტრატეგიები უნდა იქნას შემუშავებული. სიბრძნე - არის განხორციელებადი ქმედებების შედეგების განჭვრეტის შესაძლებლობა, მომავალში დიდი სარგებლის სანაცვლოდ იმავდროული სარგებლის შეწირვაზე მზადყოფნა.

4. სტრატეგია – არის საწარმოს ძირითადი დანიშნულების განხორციელებისა და მისი მიზნების მოღწევისათვის განკუთვნილი კომპლექსური გეგმა.

5. კონტროლინგი – არის ხელმძღვანელობის მიერ მისაღები გადაწყვეტილებების დასაბუთების უზრუნველმყოფელი მართვის ფუნქციონათაშორისო ინსტრუმენტი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Глухов В.В. – Менеджмент: Учебник для вузов. – Питер, 2008. – 608с.

**რეზიუმე**

სტრატეგიული მენეჯმენტი აზროვნებისა და მართვის პროგრამული ხერხია, რომელიც საწარმოს შეთანხმებული მიზნებისა და მფლობელებისა და მომუშავეების ინტერესების შეთანხმებული მიზნების შესაძლებლობების უზრუნველმყოფელია. საწარმოოს სტრატეგია მიზნების, კონცეფციების, წესების, პროცედურებისა და მიზნების მიღწევის მოდელების ფორმულირებას მოიცავს. საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა სტრატეგიული გადაწყვეტილებებისა და სახსრების ინვესტირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. კონტროლინგი მართვის ფუნქციათაშორისი ინსტრუმენტია, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მისაღები გადაწყვეტილებების დასაბუთებას უზრუნველყოფს.

Summary

G. Tsaava

**Philosophy of strategic management, financial securing and controlling**

Strategic management is the way of thinking and management, ensuring the objectives, opportunities and business interests of the owners and workers. The strategy of the company includes the statement of purpose, concepts, rules, procedures and models of achievement. Financial support is the most important factor of strategic decision and investment. Controlling cross-functional management tool that provides grounding of management decisions.

# მეცნიერული სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგიები

## ცოდნის ეკონომიკა — მუდმივი ცვლილების სამყარო

*გურამ ჯოლია,*
*სტუ-ს სრული პროფესორი*

XXI საუკუნიდან საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების პარადიგმა შეიცვალა – ცოდნის საზოგადოება და ეკონომიკა ჩამოყალიბდა.

ერთი მხრივ, ცოდნის ეკონომიკა, ისევე როგორც მისი წინამორბედი ქსელური, კიდევ უფრო ადრე – ინფორმაციული ეკონომიკა, პოსტინდუსტრიული სისტემის ელემენტებია. მეორე მხრივ, ფორმირებული ცოდნის ეკონომიკა ინფორმაციულ და ქსელურ ეკონომიკასთან შედარებით, სრულიად განსხვავებული ფენომენია.

ცოდნის ეკონომიკას სამი პრინციპული თავისებურება ახასიათებს, კერძოდ, ცოდნა:

1. როგორც პროდუქტი დისკრეტულია (წყვეტილი, ცალკეული ნაწილებისაგან შემდგარი). კონკრეტული ცოდნა ან შექმნილია, ან არა. ცოდნის ნახევრად ან მესამედად შექმნა შეუძლებელია;
2. სხვა საზოგადოებრივი სიკეთის მსგავსად, პრინციპულად იგი ყველასთვის ხელმისაწვდომია;
3. თავისი ბუნებით ინფორმაციული პროდუქტია, რომელიც მოხმარებით (გამოყენებით) არ მცირდება, არ ქრება.

ცოდნის საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარება ერთიანი პროცესია. საკმაოდ ძნელია ეკონომიკისა და საზოგადოების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რადგან ეკონომიკა მეტწილად ხარისხობრივი პარამეტრებით ხასიათდება, თუმცა იგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების ერთგვარი სიმბიოზია და ძნელია განსაზღვრო თუ რომელი სჭარბობს მეორეს.

ცოდნა ცვლის ეკონომიკას, წარმოების ტექნოლოგიას, ადამიანს და თვით სოციუმს. უშუალოდ ცოდნის კვანტიტატური (რაოდენობრივი) პარამეტრებით გაზომვა შეუძლებელია. ამისათვის ირიბი შეფასება გამოიყენება – განვითარებული ქვეყნების მთლიანი ეროვნული პროდუქტის 80%-ს ცოდნა შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ მაღალი ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის სფეროში წარმოებული პროდუქციის წილი წარმოების საერთო მოცულობაში 80%-ია. ცოდნა ფასდება იმ გადაწყვეტილებების საბაზრო ღირებულებებითაც (ტექნოლოგიური, სოციალური, ორგანიზაციული, მმართველობითი), რომელთა დახმარებით იგი მიიღება. მაგ., თანამედროვე ავტომობილის ღირებულების 60–70% მასში განივთებული ცოდნაა. განვითარებული ქვეყნების მთლიანი ეროვნული პროდუქტის ნამატის 80–90% ტექნოლოგიებში, მოწყობილობებსა და წარმოების ორგანიზაციაში განივთებული ახალი ცოდნის შედეგია.

ინტელექტუალური კაპიტალის მაღალი ღირებულების გამო, კაპიტალის კაპიტალიზებულმა ღირებულებამ შეიძლება ათჯერ გადააჭარბოს მის საბალანსო ღირებულებას (გავიხსენოთ ნობელის პრემიის ლაურეატის ჯ. ტობინის კოეფიციენტი). ბაზარი უფრო მეტად იმ კაპიტალს აფასებს, რომელიც არა მატერიალურ ფორმაში, არამედ ცოდნაშია განივთებული, მაგრამ ეს ხომ ვირტუალური (წარმოსახვითი) მაჩვენებლებია. მთლიანად პოსტინდუსტრიული ეკონომიკისა და კონკრეტულად ცოდნის ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, ინტეგრაცია, ქსელური ურთიერთზემოქმედება, პარტნიორობა, რომლებიც ხარისხობრივი მაჩვენებლებით იზომება. ხოლო შემოქმედებითი პოტენციალი, როგორც კონკრეტულად ცოდნის ეკონომიკის (რომელსაც, კრეატიულ ეკონომიკასაც უწოდებენ) მახასიათებელი, კვანტიტატური (რაოდენობრივი) პარამეტრებით როგორ ფასდება?

ამ სიტუაციაში სასურველია გავიხსენოთ ა. აინშტაინის შეფასება: **„ის, რაც შეიძლება გაიზომოს, ყოველთვის არაა მნიშვნელოვანი, ხოლო, რაც მნიშვნელოვანია, ყოველთვის არ შეიძლება გაიზომოს“**.

ბოლო დროს აქტიურად განიხილება საკითხი ცოდნის ეკონომიკის რაობის შესახებ, რაც მრავალ პრობლემას წარმოშობს, კერძოდ: ცოდნის კომერციალიზაცია, სახელმწიფოსა და ბაზრის როლი ცოდნის განვითარებაში, ინსტიტუტუციონალური სისტემა, საკუთრების საკითხი, შეფასებითი მაჩვენებლები, მეცნიერული პოტენციალი და სხვ. ჩვენი აზრით, ცოდნა საზოგადოების ეკონომიკური განვითარების მთავარი ბაზისი და რესურსია. და, აი, აქ კვლავ წარმოიშობა ახალი კითხვა: განა ინფორმაცია და ცოდნა არ იყო მამოძრავებელი ძალა ინფორმაციულ და ქსელურ ეკონომიკაში ან ნებისმიერი განვითარებისას?

ვთქვათ, რომ ცოდნის ეკონომიკა სრულიად ახალი სამყაროა, სხვა ცნობიერება, ურთიერთქმედების სხვა პრინციპია, დროსთან სხვა მიჯაჭვულობა და კავშირია, რომელიც სასიცოცხლო სივრცეს საგანგებო დინამიზმით უკავშირდება, მაშინ, ყოველივე აღნიშნული, რას ეფუძნება?

**ცოდნის საზოგადოება (ეკონომიკა) მუდმივი ცვლილებების სამყაროა.** ზოგჯერ მას ქაოსის ეკონომიკას უწოდებენ, რადგან ცვლილებები ისეთი დინამიკურია, რომ მოქმედი სამეურნეო სისტემა სიახლეებთან შეგუებას ვერ ასწრებს, ვერ აღიქვამს, ვერ ერგება, ვერ ითავისებს. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანზეც. მათი უმცირესობა დროს „უსწრებს“, უმეტესობა კი ჩამორჩება, ზოგი – მეტად, ზოგი – ნაკლებად. ახალი პროდუქტის სამსახურის ვადა შეიძლება რამდენიმე თვე იყოს, ხოლო ბაზარზე სულ მალე გამოჩნდეს უფრო სრულყოფილი პროდუქტი, უკეთესი დიზაინით, თანამედროვე მასალებით, გამოყენებაში მოხერხებულობით. მარკეტოლოგები ყოველთვის ფხიზლობენ, მომხმარებლების პოტენციური მოთხოვნების გამოცნობას ცდილობენ, რადგან მოთხოვნა არასდროს ქრება, პირიქით, სულ უფრო იხვეწება და მრავალფეროვნდება.

რა პრინციპს ეფუძნება ცოდნის ეკონომიკა? უპირველესად, დროის მოთხოვნებს. დრო და ისევ დრო, ეს მუდმივცვალებადი, უხილავი, მარადიული და ულმობელი ფენომენი. დრო, როცა ინოვაციები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო, წარსულს ბარდება (თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნული ინოვაციური სისტემა არ გვჭირდება). არა ინოვაციები, როგორც მოვლენა, არამედ ცოდნა, ადამიანისეული პროგრესია საზოგადოების წინსვლის მამოძრავებელი ძალა, განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის მთავარი წყარო.

და კიდევ ერთი და მთავარი – არა მარტო ის ცოდნა, რომელიც პროდუქტებსა და მომსახურებაშია განივთებული, არამედ ცოდნა, როგორც ასეთი, უფრო მეტად ფუნდამენტური, რომელიც ემსახურება საზოგადოების განვითარების კონცეფციას და მის თეორიულ ბაზისს, ასევე ახალი ტექნოლოგიების შეფასებას, საზოგადოების ორგანიზაციულ სისტემას, ადამიანს და მის კავშირს ბუნებასთან, მისი აღდგენის შესაძლებლობებს, სიცოცხლის მეცნიერებათა დინამიკას და, მისგან გამომდინარე, უფლებების დაცვის პრობლემებს.

ეკონომიკის დაჩქარებული დინამიზმი, ინფორმაციული გაცვლის ინტენსიობის ზრდა, ხელს უწყობს ცოდნის არნახული სისწრაფით გადიდებას (ცოდნა ქმნის ცოდნას). ცოდნა ერთობლივი ეროვნული პროდუქტის, საზოგადოებრივი სიმდიდრის, დაგროვების გამზომ სტანდარტად ყალიბდება და, თითქოს პარადოქსია, მაგრამ ყოველივე ეს იმ დროს ხდება, როცა თვით ცოდნის რაოდენობრივი პარამეტრებით შეფასება შეუძლებელია.

ცოდნისა და ადამიანის განვითარების წინა პლანზე წამოწევა კიდევ ერთხელ ადასტურებს განვითარების ფაქტორების კარდინალურ ტრანსფორმაციას. შრომას, კაპიტალს და ბუნებრივ რესურსებს ცვლის ინფორმაცია, ცოდნა, ადამიანისეული კაპიტალი. ახლა უკვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებას ცოდნის რესურსები განსაზღვრავს. ცოდნა განსხვავდება ტრადიციული რესურსებისაგან. მას საზოგადოებრივ სიკეთეს უწოდებენ, იმიტომ, რომ გამოყენებით არ "კვდება", სივრცისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ერთდროულად სხვადასხვა ადგილზე "იმყოფება", ყოველდღიურად დიდდება და ფასი იმიტომ ემატება, რომ უხვადაა და არა იმიტომ, რომ მცირდება.

დღეს ფართოდ გამოიყენება ასეთი სიტყვათშეხამება: ეკონომიკის დემატერიალიზაცია. ასეთ პირობებში ეკონომიკური, მათ შორის ინოვაციური განვითარების მეცნიერული ანალიზი შეუძლებელია მხოლოდ ტრადიციულ ეკონომიკურ წანამძღვრებზე (ფინანსები, ურთიერთობის ფორმები, ინოვაციებზე მოთხოვნის სტიმულირება და სხვ.) დაყრდნობით. გასათვალისწინებელია არსებული სოციოკულტურული, ეთნიკური, ფსიქოლოგიური, სულიერი და პოლიტიკური პრობლემები. ისინი მით უფრო სარწმუნოა დღეს, ცოდნის ეკონომიკის პირობებში, რომელშიც ადამიანი ჩართულია მთელი თავისი სულიერი კომპონენტით, შესაძლებლობებით, ინტერესებით, ტალანტით. ცოდნა ადამიანს იწვევს, ააქტიურებს, ერთობისა და საზოგადოების საჭირო და ღირსეულ წევრად გარდაქმნას სთხოვს.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს ცოდნის ეკონომიკის კიდევ ერთი პრინციპული დახასიათება – ცოდნის ეკონომიკაში ადამიანი არ განიხილება ადამიანისეული კაპიტალის თვალთახედვიდან, რომელიც წარმოადგენს ადამიანის კაპიტალიზებულ ღირებულებას მასში „ინვესტირებული“ (დაბანდებული) საშუალებების, მატერიალური კაპიტალის (შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები) ანალოგიურად. ცოდნის ეკონომიკის პირობებში პირველ პლანზე გამოდის ადამიანის აქტიურობა, შემოქმედებითი პოტენციალი, პიროვნება, მისი უსაზღვრო შესაძლებლობები. აშკარად ჩანს ძირეული სხვაობა ადამიანისადმი მიდგომაში: ადამიანისეული კაპიტალის გამოყენება ესაა მისი რესურსებისა და შესაძლებლობების ექსპლუატაცია, ხოლო ადამიანის პოტენციალის რეალიზაცია – ყოველთვის ნამატი, რადგან იგი ინდივიდის სულიერი სამყაროა და, რაც უფრო მეტად აქტიურდება რესურსად მით მეტად გადაიზრდება. შესაბამისად, მთავარია ადამიანის, იმპლიციტური (ფარული, არაცხადი) პოტენციალის მაქსიმალურად გახსნა, რომლის წყაროა პიროვნების სულიერი სრულყოფა. ამგვარად, საუბარია არა უბრალოდ ადამიანის როგორც საწარმოო ძალის ღირებულებით შეფასებაზე, არამედ მის მიერ საზოგადოებაში დაგროვილ სულიერ დოვლათზე.

მეორე მხრივ, ადამიანისეული კაპიტალი როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე მთელი კომპანიისათვის კვლავ მნიშვნელოვანი მახასიათებელი და ადამიანი-

სეული პოტენციალის შემადგენელი ნაწილია.

თანდათან შრომის პროცესის ფუნდამენტური ტრანსფორმაცია (სახეცვლილება) ხდება. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების შრომის ბაზარზე ცენტრალურ ადგილს ინტელექტუალური საქმიანობა იკავებს, რომლის მთავარი კომპონენტი შემოქმედებაა. ფორმირდება კრეატიული კლასი ან კრეატიული საზოგადოება და ყოველივე ეს ის ფუძემდებელი პრინციპია, რომელსაც ეყრდნობა ცოდნის ეკონომიკა, რაც მას განასხვავებს პოსტინდუსტრიული ერის სხვა ტიპის – ინფორმაციული და ქსელური ეკონომიკისაგან.

XXI საუკუნის დასაწყისში ახალი კლასის, ადამიანთა ახალი ერთობის, ახალი საზოგადოების, სოციალური კატეგორიის, შემოქმედებითი ელიტის ფორმირების შესახებ მრავალი მეცნიერი (ჯ. გელბრეიტი, ო. ტოფლერი, პ. ფლორიდა, დ. ბელი) წერდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ადამიანთა ახალი ელიტა მოწოდებულია გახდეს საზოგადოებისა და ცოდნის ეკონომიკის გაბატონებული კლასი, რომელსაც შესწევს ძალა განსაზღვროს ადამიანთა სოციალური ერთობა, თავის თავში განასახიეროს ცოდნა და ინფორმაცია საწარმოო პროცესების შესახებ და საზოგადოებრივი პროგრესის მექანიზმები მთლიანად. ახალ შემოქმედებით ელიტას შეუძლია გააკონტროლოს და წარმართოს ის პროცესები, რომლებიც ტექნოლოგიური პროგრესის ლოგიკითაა ნაკარნახევი. ამგვარად, შემოქმედებითი პოტენციალი დღეს სამეურნეო განვითარების მამოძრავებელი ძალა და მისი დეტერმინანტი (განმსაზღვრელი), კონკურენტული უპირატესობის ძირითადი წყარო ხდება. მაგრამ, იმავდროულად, საფრთხილოა, ეს შემოქმედებითი პოტენციალი ძალაუფლების შეძენის წყაროდ არ გადაიქცეს, რაც საზოგადოებაში რთული კოლიზიების (საპირისპირო), სოციალური დაძაბულობისა და განხეთქილების პირობებს შექმნის.

მოცემულ სიტუაციას კარგად გრძნობს თვით კრეატიული კლასის წარმომადგენლებიც და ისინიც არასტანდარტული გადაწყვეტილების მიღებას ცდილობენ. ამ მიმართებით საინტერესოა ამერიკელი სოციოლოგის პ. ფლორიდას შეხედულება, რომელიც მოცემულ სიტუაციას სხვა რაკურსით განიხილავს: შექმნიან თუ არა შემოქმედებითი ადამიანები ჩაკეტილი ფორმის ელიტურ საზოგადოებას, თვით მათზეა დამოკიდებული. ტალანტი და კრეატიულობა, პრაქტიკულად ხომ ყოველ ადამიანს სხვადასხვა ხარისხით გააჩნია? ამიტომ აუცილებელია გამოვიყენოთ „ტალანტის გლობალური ნაკადები“. თქმულის აზრი სქემატურად ასე გვესმის:

**კრეატიული ერთობა ⟹ კრეატიული საზოგადოება ⟹ ცოდნის საზოგადოება**

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მოცემულ გარემოებას ორგანულად უკავშირდება: ქვეყნის ეკონომიკური წარმატება პირდაპირ კავშირშია ამ ქვეყანაში რთული, კოლექტიური ცოდნის დონესთან.

დიდი ხანია საერთაშორისო თანამეგობრობა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არსებული გლობალური გარღვევის მიზეზებს იკვლევს, თუმცა, სარწმუნო პასუხისთვის, ჯერჯერობით, ვერ მიუგნია. ჰარვარდის უნივერსიტეტისა და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (ორივე აშშ) მკვლევრებმა (რ. ჰაუსმანი, ც. ჰიდალგო) შენიშნეს, რომ ქვეყნებს შორის დიდი განსხვავება "ეკონომიკური სირთულის" შედეგია, რომელიც შეიძლება კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკაში არსებული კოლექტიური ცოდნის მიხედვით გაიზომოს.[1]



როგორც ცნობილია, სხვადასხვა სახეობის პროდუქტის წარმოება განსხვავებულ ცოდნას საჭიროებს. თანამედროვე პროდუქტების უმრავლესობა (განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური, ნანოტექნოლოგიების შემცველი) მეტ ცოდნას მოითხოვს, რასაც ერთი ადამიანი შეუძლებელია ფლობდეს. მსოფლიოში არავის, თვით ყველაზე განსწავლულს, არ შეუძლია იცოდეს, მაგალითად, თუ როგორ დამზადდეს კომპიუტერი. მან სხვებისაგან უნდა გაიგოს ბატარეების ტექნოლოგია, თხევადი კრისტალები, მიკროპროცესორის დიზაინი და სხვა მრავალი. ამიტომ მდიდარი ქვეყნის ფირმაში საშუალოდ მეტი ადამიანი მუშაობს, ვიდრე ღარიბ ქვეყანაში.

მეცნიერებმა საზოგადოებას შესთავაზეს ეკონომიკური წარმატების შეფასებისა და ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების ახალი მოდელი, რომელიც კოლექტიური ცოდნის დონესთან დაკავშირებით განსაზღვრავს ქვეყანაში კეთილდღეობის დონეს. ახალი მოდელით შეიძლება ქვეყნის ეკონომიკაში არსებული ცოდნის მთლიანი ღირებულება **ეკონომიკური სირთულის ინდექსით** გაიზომოს.

მოცემული თვალთახედვიდან გამომდინარე, ქვეყანაში რაც უფრო მაღალია შრომის დანაწილების ხარისხი, მით მეტია მრავალფეროვანი და სპეციალიზებული სამუშაო ადგილი და იმის შესაძლებლობა, რომ შეიქმნას რთული პროდუქცია და დაგროვდეს პროდუქტიული ცოდნა, რაც საბოლოო ჯამში ქვეყანას წარმართავს მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობისაკენ.

შრომის დანაწილების პროგრესული იდეა დიდ შოტლანდიელ მოაზროვნეს ა. სმითს ეკუთვნის, რომელიც მას ხალხთა სიმდიდრის წყაროდ მიიჩნევდეს. ამ იდეის თანამედროვე ინტერპრეტაცია გვიჩვენებს, რომ საზოგადოებაში ისეთი ღირებულების ცოდნა დავაგროვოთ, რომელიც ცალკეული ინდივიდისთვის მიუღწევადია. ჩვენ კოლექტიურად უფრო მეტ ცოდნას ვიყენებთ, ვიდრე ცალკეული ინდივიდი.

1 http://gtmarket.ru/news/state/2011/10/31/3778

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკა გამართულად იმიტომ ფუნქციონირებს, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ადგილებია და ინდივიდების ცოდნა ერთმანეთში იცვლება და ერთმანეთს ემატება. მხედველობაშია მისაღები სინერგიული ეფექტიც.

უნიკალური პროდუქტების (მაგ., დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობები, საავიაციო ტექნიკა, რეაქტიული ძრავები და სხვ.) მწარმოებელ ქვეყნებს გაცილებით მაღალი კოლექტიური ცოდნის დონე აქვთ, ვიდრე ფართო მოხმარების პროდუქტების (მაგ., ბამბა, სოია) მწარმოებელ ან ნედლეულის ექსპორტიორებს. მაგრამ, რთული პროდუქციის წარმოება სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში არაა მარტივი. იგი შეუძლებელია მხოლოდ სწავლებით ან წარმოების ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით (რასაც ექსპლიციტურ ანუ აშკარა, „ცხად“ ცოდნას უწოდებენ) იქნეს მიღწეული. ბევრად პროდუქტიულია იმპლიციტური ანუ „ფარული“ ცოდნა (მაგ., ბიზნესის ორგანიზაცია, საწარმოო პროცესების ოპტიმიზაცია და სხვ.), რომლის დაუფლება გაცილებით რთულია, ზოგჯერ კი შეუძლებელიც. ამ მიზეზის გამო, სახელმწიფოები, როგორც წესი, თავიანთ საწარმოო შესაძლებლობებს თანდათან აფართოებენ და მარტივი პროდუქციის წარმოებიდან უფრო რთულის წარმოებაზე ეტაპობრივად გადადიან.

ამერიკელმა მეცნიერებმა კვლევა 128 ქვეყანაში ჩაატარეს, ყოველ ქვეყანაში წარმოებული სამი ძირითადი სახეობის პროდუქციის ერთობლივი დანახარჯები შეაფასეს ანუ კოლექტიური ცოდნის დონე გაიანგარიშეს და „ეკონომიკური სირთულის ატლასი“ შეადგინეს (The Atlas of Economic Complexity). კვლევის საფუძველზე მათ დაადგინეს მჭიდრო ურთიერთკავშირი ეკონომიკური სირთულის ინდექსსა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებს შორის, ყოველ შემთხვევაში, იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც ბუნებრივი რესურსების შეზღუდული ექსპორტი აქვს.

კვლევის საფუძველზე მეცნიერებმა ქვეყნების რეიტინგი შეადგინეს, რომელშიც ეკონომიკური სირთულის ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოაჩნდა იაპონიას. მოწინავეთა ათეულში შევიდა: გერმანია, შვეიცარია, შვედეთი, ავსტრალია, ფინეთი, სინგაპური, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი და სლოვენია. საფრანგეთი აღმოჩნდა მე-11 ადგილზე, სამხრეთ კორეა – მე-12, აშშ – მე-13, იტალია – მე-16, ისრაელი – მე-19, ბელორუსი – 21-ე, პოლონეთი – 25-ე, ესპანეთი – 28-ე, ჩინეთი – 29-ე, კანადა – 41-ე, უკრაინა – 42-ე და ა.შ. სამწუხაროდ, საქართველო ამ კვლევაში ვერ მოხვდა.

კვლევის ავტორებმა ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებიც გამოთვალეს, რისთვისაც ეკონომიკური სირთულის ინდექსი და მოსახლეობის შემოსავლების დონე (ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მოცულობა) ერთმანეთს შეადარეს და დაადგინეს: **თუ ქვეყანას შემოსავლების უფრო დაბალი დონე აქვს, ვიდრე ეკონომიკური სირთულის ინდექსით იყო მოსალოდნელი, ჩამორჩენის დაძლევის მიზნით, უახლოეს მომავალში ამ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა კანონზომიერია.**[2]

2020 წლისათვის ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი დონე ექნება ჩინეთს. "დაწევის" ათეულში შევიდა: ინდოეთი, ტაილანდი, ბელარუსი, მოლდოვა, ზიმბაბვე, უკრაინა, ბოსნია და ჰერცოგოვინა, პანამა და მექსიკა. აშშ აღმოჩნდა 91-ე ადგილზე, რუსეთი 59-ე ადგილზე, ბოლო ადგილებზე – სუდანი, ანგოლა და მავრიტანია.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. http://gtmarket.ru/news/state/2011/10/31/3778 (უკანასკნელად გადამოწმებული 07.04.2013)
2. http://www.infoniac.ru/news/Otchego-zavisit-procvetanie-strany.html (უკანასკნელად გადამოწმებული 07.04.2013)
3. Bloom N.. Griffith R., Van Reenen J. (2010) “Do R&D tax credits work? “Journal of Public Economics”, 85, p. 1-31.
4. Brooking A. Intellectual Capital: Core asset for the third millennium, 2006. 224 p. Gibbons M., Limoges C., Nowotny H., Schwartzman S., Scott P., Trow M. The New Production of Knowledge: The Dynamics of Science and Research in Contemporary Societies, London: Sage Publications, 2004.
5. Frankel E.G. “America’s Institutional Dilemma” Vantage Press. New York, 2011.
6. Knowledge Societies, Information Technology for Sustainable Development. The Third Report of the UN Working Group, 2008.
7. Bloom N., Griffith R., Van ReenenJ. Do R&D tax credits work? Journal of “public economics.” N85. P. 1-31.
8. М.В. Арапов. Индикаторы индустрии знаний: Европа, Соединенные штаты, Россия. // Энергия: экономика, техника, экология. 2009. № 5. С. 23.
9. http://www.worldbank.org/kam (უკანასკნელად გადამოწმებული 07.04.2013)
10. http://info.worldbank.org/etools/kam2/KAM_page5.asp (უკანასკნელად გადამოწმებული 07.04.2013)
11. Измерение экономики знаний: теория и практика. М.: ИПРАН РАН, 2008. С. 87.
12. Клейнер Г.Б. Микроэкономика знаний и мифы современной теории // Высшее образование в России. 2008. №9. С. 32.
13. Бард А., Зодерквист Я. Netократия. Новая


2 http://www.infoniac.ru/news/Otchego-zavisit-procvetanie-strany.html

правящая элита и жизнь после капитализма / Перевод с шведского языка. СПб.: Стокгольмская школа экономики в Санкт-Петербурге, 2004. 252 с.

14. Н. Антюшина. Страны северной Европы: наукоемкий тип развития// http://www.rvca.ru/rus/show_info.php?id=408 - 25.10.2007.

(უკანასკნელად გადამოწმებული 07.04.2013)

15. Клейн. Экспресс-отчет «Экономика знаний»// http://www.nadprof.ru/library/books/kl_express_report_2010. июль, 2010.

## რეზიუმე

XXI საუკუნიდან საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების პარადიგმა შეიცვალა და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ახალი ფენომენი, ცოდნის ეკონომიკა ჩამოყალიბდა.

ცოდნა ცვლის ეკონომიკას, წარმოების ტექნოლოგიას, ადამიანს და თვით სოციუმს.

ცოდნის ეკონომიკა ცვლილებების სამყაროა, რომელსაც, ზოგჯერ, ქაოსის ეკონომიკას უწოდებენ, რადგან ცვლილებების მაღალი დინამიურობის გამო, მოქმედი სამეურნეო სისტემა სიახლეებთან შეგუებას ვერ ასწრებს, ვერ აღიქვამს, ვერ ერგება, ვერ ითავისებს.

ცოდნის ეკონომიკას თავისი პრინციპები აქვს. უპირველესად, დროის მოთხოვნა. დრო და ისევ დრო, ეს მუდმივცვალებადი, მარადიული და ულმობელი ფენომენი. დრო, როცა ინოვაციები განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო, წარსულს ბარდება.

დღეს მნიშვნელოვანია ფუნდამენტური ცოდნა, რომელიც ემსახურება საზოგადოების განვითარების კონცეფციას და მის თეორიულ ბაზისს.

ცოდნის ეკონომიკაში ადამიანი განიხილება არა ადამიანისეული კაპიტალის თვალთახედვიდან, არამედ მისი პოტენციალის რეალიზაციიდან, რომელიც ყოველთვის ნამატია, რადგან იგი ინდივიდის სულიერი სამყაროა და რაც უფრო მეტად აქტიურდება, რესურსად მით მეტად გადაიზრდება.

ცოდნის ეკონომიკა კრეატიულ საზოგადოებას ეფუძნება.

ქვეყნის ეკონომიკური წარმატება პირდაპირ კავშირშია ამ ქვეყანაში რთული, კოლექტიური ცოდნის დონესთან.

ამერიკელი მეცნიერებმა შეიმუშავეს ქვეყნის ეკონომიკური წარმატების შეფასებისა და ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების ახალი მოდელი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში კეთილდღეობის დონეს კოლექტიური ცოდნის დონესთან დაკავშირებით. ახალი მოდელის მთავარი დეტერმინანტი ეკონომიკური სირთულის ინდექსია.

## SUMMARY

*G. Jolia*

### Knowledge Economy – World of Constant Change

From the XXI century, the paradigm of the socio-economic development has changed and new phenomenon of the post-industrial society, knowledge economy, has been formed.

Knowledge changes economies, production technologies, human beings, and the society.

Knowledge economy is the world of changes that is sometimes referred to as the chaos economy because the existing system fails to adapt to, perceive, fit in, and adopt the novelties that emerge as the result of the dynamism that changes offer.

Knowledge economy has its own principles: primarily, the demand on time, time – the ever-changing yet constant, and above all a ruthless phenomenon. Time when innovations were the driving force of development is a thing of the past.

Today, fundamental knowledge is important, knowledge that serves the concept of societal development and its theoretical basis.

In the knowledge economy, human being is considered not as the human labor force, the capital that it once was, but as the realized potential, which grows, since it represents the inner spiritual world of the individual, and the more active it becomes, the greater resource it generates.

Knowledge economy is based on the creative society.

Economic prosperity of a country is directly related to the complex, cumulative level of knowledge in this country.

American scientists have elaborated a new model for evaluating countries' economic prosperity and predicting economic growth, a model that determines the welfare level in country in correlation with cumulative collective knowledge in the country.

The chief determinant of the new model is the economic index of complexity.

# ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო საგანმანათლებლო სისტემის გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში

*ირინა გოგორიშვილი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი*

საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემა კრიზისშია სამწუხაროდ საწინააღმდეგოს ვერავინ დაამტკიცებს. ის ღონისძიებები, რომლებიც საერთოდ მეცნიერებისა და განათლების რეფორმად იწოდება და რომლებმაც ქვეყანას წარმატება უნდა მოუტანოს ვერ განხორციელდა. წარმატებული იყო მხოლოდ სსრკ-ს დროინდელი სისტემის ნგრევა და ოპტიმიზაცია, რომელსაც შესაძლებელია დავარქვათ ერთადერთი განხორციელებული რეფორმა. ზოგადად რეფორმებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია და საინტერესო გაკეთდეს სწორი არჩევანი თუ რომელ მოდელზე მოვახდინოთ კონცენტრირება ევროპულზე თუ ამერიკულზე (აშშ-ს მოდელზე). ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპელები თვითონ სწორედ ეხლა აწყობენ ადრე არსებულ (იმ დროისთვის ძალზე ეფექტურ) მოდელზე ორიენტირებულ მოდერნისტულ და დღეისათვის არააპრობირებულ მოდელს (ბოლონიის მოდელად წოდებულს). მნიშვნელოვანია დავამატოთ, რომ თუ ჩვენი მისწრაფება ევროკავშირისაკენ ამავე დროს გულისხმობს საქართველოს უნივერსიტეტებში ბოლონიის მოდელის დანერგვას მაშინ ეს პროცესი წარუმატებელი აღმოჩნდა. იგი ძირითადად შეფასების რთული სისტემის შემოღებითა და სასურველ პროფესორებზე მორგებული კურიკულუმებისა და სილაბუსების პერმანენტული შედგენით შემოიფარგლა. ამავე დროს წუხილით მინდა აღვნიშნო, რომ უმაღლესი განათლების რეფორმის საწყის სტადიაზე გაცილებით ახლოს ვიყავით დასახულ მიზანთან ვიდრე ეხლა. უმაღლესი განათლების რეფორმა (არ შევცდები თუ უმრავლესი ჩემი კოლეგების აზრს მოგახსენებთ) უნდა ეფუძნებოდეს უკვე გრძელვადიან პერიოდში გამოცდილ მოდელს მხედველობაში გვაქვს აშშ-ს საუნივერსიტეტო მოდელი, რომელშიც სამეცნიერო და აკადემიური კადრები ტენურე-ს სისტემით დაცულნი არიან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქმე აქ მეცნიერებისა და განათლების ფუნდამენტურ რეფორმასთან უკვე აღარ გვაქვს (რადგან ძველი საბჭოთა კავშირის დროინდელი სისტემა დანგრეულია). ამ შემთხვევაში უმაღლესი განათლების (საუნივერსიტეტო) სისტემის რეფორმირებას ვგულისხმობთ. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სუვერენულ ქვეყანაში მეცნიერებისა და განათლების სისტემის ფართო მასშტაბიანი რეფორმა მხოლოდ უცხოური გრანტებისა და დახმარებების საფუძველზე არ უნდა გატარდეს, რადგან ამ შემთხვევაში ,,იმპორტული ფინანსების" მიმართ არაჯანსაღი და ავტონომიური ეკონომიკური ინტერესები ჩნდება. აღნიშნული ინტერესთა ჯგუფები ქვეყნის განვითარების კონცეფციისა და ნაციონალური ეკონომიკური ინტერესების მიმართ როგორც წესი გულგრილნი არიან. გარდა ამისა ყოველივე რეფორმებთან დაკავშირებული მომავალ თაობებს ვალად ედებათ (როგორც საშუალო განათლების რეფორმა - 60 მილიონი დოლარი - მისი შედეგი კი განათლების უკიდურესად დაბალი დონე მოსწავლე ახალგაზრდობაში). მეცნიერებისა და განათლების რეფორმა ქვეყნის ეროვნული ინტერესების გრძელვადიანი განვითარების კონცეფციას უნდა პასუხობდეს და მხოლოდ მაშინ მივაღწევთ წარმატებას, ისიც იმ შემთხვევაში თუ იგი ძირითადად ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა ხარჯზე (მნიშვნელოვან წილად ბიუჯეტი გვაქვს მხედველობაში) დაფინანსდება. სხვაგვარი მიდგომა თითქმის ყოველთვის ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვას იწვევს და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეძლეს ქვეყნებმა წარმატების მიღწევა. ამ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესოა აშშ-ს მეცნიერებისა და განათლების სისტემის დახასიათება რომელიც რამდენამდე საქართველოში რეფორმების დაწყებამდე არსებულ სისტემას გავს, მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს, მისი ზუსტი კოპირება სრულიად ვერ უპასუხებს ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

### ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო- საგანმანათლებლო სისტემა

აშშ-სთვის ნამდვილად დამახასიათებელია სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავების სფეროს შეთავსების მაღალი დონე საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლების სისტემასთან. ეს დამახასიათებელია როგორც სახელმწიფო ასევე კერძო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების დაწესებულებათა სისტემა შესაბამისი დონით მომზადებული კადრების ძირითად დამსაქმებელს წარმოადგენს. ამ ნიშნით აშშ-ს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპლექსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების ანალოგისგან. სადაც გამოშვებული კადრების შემადგენლობის უდიდესი წილი სრულიად წყდება სამეცნიერო კვლევით სფეროს და საერთოდაც გაუგებარია სად მიემართება (არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები).

თუ საკადრო პოტენციალის კატეგორიებით ვიმსჯელებთ მაშინ ,,საუნივერსიტეტო მოდელის" მიხედვით სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს

განვითარების მომხრეთა პოზიცია მეტადაა დასაბუთებული. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ აშშ-ს სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებათა საფეროში (RaD) უნივერსიტეტებისა და კოლეჯების (ინსტიტუტების) გარდა სხვა მნიშვნელოვანი დაწესებულებებიც არსებობს. აშშ-ს სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებათა სფეროს სტრუქტურა საკმაოდ რთულია თუმცა უნივერსიტეტების გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობა მასში საწარმოო-კოოპერაციულ სექტორსა და ნაციონალური ლაბორატორიებისა და ინსტიტუტების სისტემას ეკუთვნის. ძნელი არ არის დავინახოთ გარკვეული მსგავსება სსრკ-ს პერიოდში არსებულ სტრუქტურასთან სადაც არსებობდა: უნივერსიტეტები და ინსტიტუტები, დარგობრივი-საქარხნო მეცნიერება და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფართო ქსელი. აგრეთვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი უზარმაზარი რესურსული პოტენციალისა და ეკონომიკის მქონე ქვეყანაში როგორიცაა აშშ ცხადია სამეცნიერო - საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტები ვერ შეასრულებენ ლოკომოტივის ფუნქციას რადგან ამ სფეროში (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) შრომის დანაწილების პრინციპი მოქმედებს. საინტერესოა გავეცნოთ აშშ-ს სამეცნიერო - საგანმანათლებლო სივრცეში სექტორებს შორის არსებულ თანაფარდობას, რომელიც დაახლოებით ასე გამოიყურება.

წყარო:1. National Science Foundation. Science and Engineering Indicators 2012: http://www.nsf.gov/statistics/seind12/, Chapter 4. Research and Development: National Trends and International Comparisons: http://www.nsf.gov/statistics/seind12/pdf/c04.pdf. 2. National Science Foundation. Science and Engineering Indicators 2004: http://www.nsf.gov/statistics/seind04/, Chapter5.Academic Research and Development: http://www.nsf.gov/statistics/seind04/pdf/c05.pdf.

განმარტებები: ფ.კ. - ფუნდამენტური კვლევები; გ.კ. - გამოყენებითი კვლევები; დამ. - დამუშავებები. U & C - უნივერსიტეტები და კოლეჯები; Fed/Gov. - (Federal Government) - ფედერალური მთავრობა (ფედერალური სექტორი). აქ შედის ფედერალური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები - ნაციონალური ლაბორატორიები, ინსტიტუტები, ცენტრები და ა.შ.; FFRDCs - (Federally Funded Research & Development Centers) - ფედერალური მთავრობის მიერ დაფინანსებული კვლევითი და დამუშავებების ცენტრები. აქ იგულისხმება ცენტრები რომლებიც განთავსებულია ფედერალური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების გარეთ. ისინი როგორც წესი ინტეგრირებულია უნივერსიტეტებისა და კოლეჯების, კერძო კორპორაციებისა და არაკომერციული ორგანიზაციების სტრუქტურებში; Industry - მრეწველობა, კორპორაციული ბიზნესი; NPO - (Non-Profit Organizations) - არაკომერციული ორგანიზაციები.

თუ ვიმსჯელებთ მხოლოდ საკადრო პოტენციალის მიხედვით სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს განვითარება ,,საუნივერსიტეტო მოდელის" საფუძველზე გადამწყვეტ უპირატესობას იძენს რადგან:

- აშშ-შიც კი სადაც უნივერსიტეტები მკაფიოდ გამოხატულ ცენტრალურ როლს არ თამაშობენ მთელი მაღალკვალიფიციური საკადრო პოტენციალის უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწეობს;
- თუ დავაკონკრეტებთ, 2009 წლის მონაცემებით (1) აშშ-ს უმაღლეს-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კომპლექსში თავმოყრილია ყველა სამეცნიერო (ჰუმანიტარული დისციპლინების გარდა) და საინჟინრო დისციპლინებში სადოქტორო ხარისხის მქონე სპეციალისტთა 41% ;
- უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში (ინსტიტუტებში) მუშაობს სამეცნიერო- კვლევითი სფეროს კადრების 50%-ზე მეტი;
- გლობალური კრიზისის დაწყების შემდგომ პერიოდში უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში მომუშავე მეცნიერ-მკვლევართა რაოდენობამ მათი მთელი პოტენციალის 60%-ს მიაღწია;
- ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ სწორედ აქ არის თავმოყრილი მკვლევართა უმრავლესობა, რომლებიც დასპეციალიზებულები არიან ფუნდამენტურ მეცნიერებებში. ისინი (სხვადასხვა ხშირად კი იდეური და პრესტიჟული მოსაზრებებიდან გამომდინარე) გამოყენებით სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობას თავს არიდებენ;
- უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში გამოყენებით სამეცნიერო დისციპლინებში დაკავებულ სპეციალისტთა რაოდენობა მცირერიცხოვანია;

გამოყენებით სამეცნიერო პროექტებში მონაწილე სპეციალისტები (მკვლევარები და დამმუშავებლები) თავს იყრიან ძირითადად ისეთ დეპარტამენტებში როგორიცაა: ინჟინირინგი, გეოლოგია/სამთო საქმე, ეკონომიკა, ბიზნესი და ადმინისტრირება, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ და ბიო-სამედიცინო

**აშშ-ს სამეცნიერო—კვლევითი და დამუშავებების სფეროს ინსტიტუციური სექტორების წილი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობაში (% — ში)**

| სექტორი და სამუშაოთა შინაარსი | 1989 | | | 1999 | | | 2002 | | | 2004 | | | 2009 | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფ.კ | გ.კ | დამ. | ფ.კ | გ.კ | დამ. | ფ.კ | გ.კ | დამ. | ფ.კ | გ.კ | დამ. | ფ.კ | გ.კ | დამ. | ПИ | Разр |
| U & C | 46.7 | 11.7 | 1.3 | 54.0 | 11.1 | 0.9 | 53.8 | 12.4 | 0.8 | 57.0 | 13.0 | 1.2 | 53,4 | 16.7 | 0.8 | 16.7 | 0.8 |
| Fed/Gov. | 10.5 | 20.0 | 11.1 | 8.6 | 10.6 | 6.0 | 9.3 | 12.5 | 6.9 | 8.4 | 10.8 | 7.2 | 7.2 | 11.2 | 6.9 | 11.2 | 6.9 |
| FFRDCs | 12.9 | 5.0 | 4.0 | 9.6 | 3.2 | 2.1 | 9.1 | 3.4 | 2.2 | 8.9 | 4.5 | 2.6 | 7.7 | 6.5 | 1.9 | 6.5 | 1.9 |
| Industry | 22.0 | 57.7 | 81.9 | 17.1 | 70.4 | 89.9 | 15.6 | 65.7 | 89.0 | 14.0 | 65.7 | 87.5 | 19.5 | 57.6 | 89.5 | 57.6 | 89.5 |
| NPO | 7.9 | 5.6 | 1.7 | 10.8 | 4.7 | 1.0 | 12.1 | 6.0 | 1.0 | 11.8 | 6.1 | 1.5 | 12.2 | 8.0 | 1.0 | 8.0 | 1.0 |

(აქ ბიოტექნოლოგიური კვლევების ვიწრო სექტორი იგულისხმება) კლასტერები. აღსანიშნავია, რომ ბოლო - ბიონანოკომპიუტერული ტექნოლოგიების - კლასტერს აბსოლუტურად წამყვანი პოზიციები უჭირავს. ჟურნალ National Science Foundation (2012) მონაცემებით, ბიო-სამედიცინო კლასტერის წილად აშშ-ს პატენტებში ციტირებული ყველა სამეცნიერო სტატიების 68,5% მოდის.

გასაკვირი არ არის, რომ აშშ-ს სამეცნიერო - კვლევების სფერო ცენტრალური, წამყვანი სექტორის არარსებობით ხასიათდება. ამ როლზე ვერც ერთი უნივერსიტეტი, ფედერალური მეცნიერება და კორპორაციული ბიზნესი ვერ განაცხადებს პრეტენზიას. სამივე სექტორი მნიშვნელოვანია და დამოუკიდებელი. ისინი უმეტეს შემთხვევაში განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ. თუ ვიმსჯელებთ აშშ-ს კვლევებისა და დამუშავებების სამუშაოთა ღირებულების (მათი ჯამური ღირებულება 2009 წელს 400 მილიარდ დოლარზე მეტი იყო) ზოგადი სტრუქტურის მიხედვით - ფუნდამენტური კვლევები მთლიანი ღირებულების 19,0%-ს ფარავს, გამოყენებითი - 17,8%-ს, ხოლო დამუშავებები - 63,2%-ს. აშშ-ში კვლევებისა და დამუშავებების სფეროში ,,მოვალეობების" მიხედვით შრომის დანაწილების მყარი ტენდენცია შეიმჩნევა. აღნიშნული დანაწილება ნათლად ვლინდება კვლევებსა და დამუშავებებზე დანახარჯების შედარების დროს (უმაღლესი განათლების დაწესებულებებსა და სამრეწველი-კორპორაციულ სექტორების საზღვრებში). მოყვანილი მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ 2009 წელს (შემდგომი პერიოდის მონაცემები არ გაგვაჩნია) უნივერსიტეტებისა და კოლეჯების მიერ ფუნდამენტური კვლევების სეგმენტის (ბასიც რესეარცჰ) სამუშაოთა ღირებულების 53,4%-ია შესრულებული. ამავე დროს გამოყენებით კვლევების სეგმენტის სამუშაოთა მხოლოდ 16,7% (applied research) და დამუშავებების (დეველოპმენტ) 0,8% შესრულდა. კორპორაციული სექტორის საქმიანობის სტრუქტურა კი სხვაგვარად არის წარმოდგენილი. აშშ-ს ინდუსტრიის (კორპორაციული სექტორის) მიერ დამუშავებების სეგმენტში მთელ სამუშაოთა 89,5%-ა შესრულებული, გამოყენებითი კვლევების სეგმენტის სამუშაოთა 57,6% და ფუნდამენტურ კვლევათა სეგმენტში სამუშაოთა მხოლოდ 19,5% შესრულდა. ფედერალური სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების სექტორში სამი ძირითადი პარამეტრის მიხედვით შედარებით დაახლოვებული მონაცემები არსებობს მათ შორის: ფუნდამენტურ მეცნიერებებზე იხარჯება - 14,9%, გამოყენებით მეცნიერებებზე - 17,7%, ხოლო დამუშავებებზე - 8,8%. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ სექტორში სრულდება განსაკუთრებით ინტელექტულურად შრომატევადი და საიდუმლო გამოყენებითი კვლევითი სამუშაოებისა და დამუშავებების მნიშვნელოვანი რაოდენობა (ამის გამო იგი ნაკლებად საინტერესოა კორპორაციული სექტორისა და უნივერსიტეტებისთვის). როგორც ვხედავთ გარკვეული სპეციალიზაცია აქაც იკვეთება.

ცხრილში ნათლად სჩანს არამარტო შრომის დანაწილების ტენდენცია არამედ მისი გამოხატულების დონეც. ვანევარ ბუშის ცნობილ მოხსენებაში ,,Science: The Endless Frontier" (2) აშშ-ს უნივერსიტეტებსა და კოლეჯებს ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის გენერაციაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება. ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების მდგომარეობის გაანალიზების საფუძველზე იკვეთება ორი ტენდენცია.

პირველი - ის მეცნიერება, რომელიც უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში ,,კეთდება" უფრო ხშირად არა უბრალოდ ფუნდამენტურია არამედ იგი ,,ჰიპერფუნდამენტურს" წარმოადგენს. ამ კატეგორიის სამეცნიერო კვლევების შედეგები (ხშირად მათი მიმდინარეობა და მეთოდოლოგიაც კი) უკიდურესად მნიშვნელოვანია ჩვენს გარშემო მყოფი სამყაროს შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბებასა და ცოდნის პროგრესისათვის. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების უმრავლესობა დაბალი გამოყენებითი პოტენციალის მატარებელია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ჰიპოტეტიკურად მათი გამოყენების ალბათობა აშშ-ს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ეკონომიკაში პერსპექტივაშიც კი უკიდურესად მცირეა. ჰიპერფუნდამენტური კვლევების მიმართულებებს, რომლებიც ტიპოლოგიურად ახასიათებენ საუნივერსიტეტო მეცნიერებას შესაძლებელია მივაკუთვნოთ გრანდიოზული პროექტები ისეთ სფეროებში როგორიცაა: კლასიკური ეკოლოგია, მიკრობიოლოგია, გარემოს დაცვა, ბიომრავალფეროვნების შესწავლა, გენომის გაშიფრვისა და ადამიანის ევოლუციურ-ბიოლოგიური განვითარების კვლევა, არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური გათხრები, პრაქტიკულად ისტორიული ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული გამოკვლევების მთელი სფერო და რაც მთავარია კოსმოსის ძვირადღირებული მონიტორინგი. როგორც ვხედავთ სწორედ აშშ-ს უნივერსიტეტები აყალიბებენ ჩვენთვის მსოფლიოს ახალ სურათს. ამვე დროს აღსანიშნავია, რომ აშშ-ს საუნივერსიტეტო მეცნიერება არ დგას Stealth-სა და Blackbird-ტექნოლოგიების მიღმა. უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებიც დღეს ჩვენს ცხოვრებას პლანეტარულ მასშტაბებში განსაზღვრავს უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ნაწილობრივ ფიგურირებს წამყვანი უნივერსიტეტების სამეცნიერო კვლევებში. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინტერნეტის ქსელის შექმნის ისტორია კალიფორნიის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული, ხოლო საძიებო სისტემა ჩოოგლე სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტურ პროექტში იშვა.

მეორე - უმაღლესი განათლების სექტორის კვლევით პროექტებში რაოდენობრივად ლიდერობს მცირე და ძალზე მცირე სამეცნიერო კვლევითი პროექტები. ასეთ პროექტებში ერთიდან ხუთ მკვლევარამდე მონაწილეობს. ეს მასობრივი (,,ფონური") სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ძალიან ნელ ,,წრიულ" ზრდას უზრუნველყოფს. იგი მიმდინარე-

ობს სამეცნიერო დისციპლინების მთელი სპექტრის ვიწროსპეციალიზებულ მიმართულებებსა და მათ სეგმენტებში. ამ ტიპის ინდივიდუალური პროექტები აბსოლუტურ უმრავლესობაში არ ხასიათდება მნიშვნელოვანი სამეცნიერო ,,გარღვევებით" (მიღწევების თვალსაზრისით) არა მარტო გამოყენებით არამედ ფუნდამენტურ-კოგნიტიური ხასიათის კვლევებშიც. თუმცა, როგორც ეკონომიკაში, შედეგი მასშტაბის მზარდი ეფექტის მიხედვით გვაქვს. მიმდინარეობს ,,მცირე ცოდნისა" და ,,მცირე შედეგების" ,,წრიულად" ზრდა მასის ზრდის პრინციპით რაც გრძელვადიან პერიოდში და პერსპექტივაში ფუნდამენტურ სამეცნიერო გარღვევებში ვლინდება. ცხადია ასეთ პროცესებში რესურსების განიავებასა და არაეფექტიანად მოხმარების რისკებსაც აქვს ადგილი. ხშირად მცირე მასშტაბის თემებმა სამეცნიერო პუბლიკაციების კასკადი შეიძლება გამოიწვიოს. გამოკვლევები ცხადყოფს, რომ აუარებელ პუბლიკაციებს შორის სამეცნიერო ღირებულება მაქსიმუმ ორ ან სამ პუბლიკაციას აქვს (3). ეკონომიკური თვალთახედვით ამ პროცესებში ჩვენთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ფუნდამენტური სამეცნიერო პროდუქტის შექმნა (წარმოება) მასშტაბის მზარდი ეფექტის საფუძველზე ხორციელდება. ცხრილში მოყვანილი მონაცემების მიხედვით გრძელვადიან დინამიკაში ინსტიტუციურ სექტორებს შორის თანაფარდობა ცვლილებებს განიცდის. აშშ-ში ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების წილი 1990-იანი წლების შემდეგ უნივერსიტეტებისა და კორპორაციული სექტორების სასარგებლოდ გადანაწილდა. უმაღლესი განათლების სექტორის მონაწილეობა გამოყენებით სამეცნიერო კვლევებში რამდენადმე გაიზარდა, ხოლო რაც შეეხება ფედერალურ ნაციონალურ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს მათი წილი მნიშვნელოვნად დაეცა. გამოყენებით მეცნიერებათა სფეროს კვლევებში ძირითადი დატვირთვა კორპორაციულმა სექტორმა იკისრა. ეს პროცესი მხოლოდ 2000 წლიდან (განვითარებული გლობალური კრიზისის მიზეზით) განიცდის ცვლილებებს უნივერსიტეტებისა და არაკომერციული ორგანიზაციებისთვის საქმიანობის გაფართოების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების დაწესებულებათა როლი ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების დანახარჯებში (დამუშავებების სექტორთან შედარებით) განუხრელად იზრდება. აშშ-ს საუნივერსიტეტო კომპლექსი ფუნდამენტური კვლევების სფეროში ნამდვილად ლიდერის პოზიციაში იმყოფება, მაგრამ ამავე დროს მის ლიდერობას აბსოლუტური ხასიათი არა აქვს.

-აშ-ს საუნივერსიტეტო კომპლექსში მიმდინარეობს ახალი ტიპის სამეცნიერო კვლევების გაფართოვება, რომლებიც ბოლო ათწლეულების პერიოდში მსოფლიოს გლობალური პრობლემების მიმართულებით ვითარდება. ,,სამეცნიერო გლობალიზმი" განსაკუთრებით ,,მოდური" გახდა XXI საუკუნის პირველ ათწლეულში. სწორედ ამ პერიოდში ამერიკელ მეცნიერთა ნაწილმა, რომლებიც დასპეციალიზებულები იყვნენ ისეთ ფუნდამენტურ სფეროებში როგორიცაა: ფიზიკა, დედამიწის შესახებ მეცნიერებები, ბიოლოგია, პალინოლოგია, ოკეანოლოგია, გეოფიზიკა, ასტროფიზიკა, ასტრონომია და სხვა, ახერხებდნენ რეგულარულად მოეგოთ საკმაოდ მაღალი გრანტები ე. წ. ,,პირობით - გამოყენებით სამეცნიერო" კვლევებზე. ასეთი კვლევების მნიშვნელობა პროგნოსტიკური თვალსაზრისით ცხადია მაღალია, მაგრამ ამავე დროს ისინი დამუშავებებთან და სიახლეთა დანერგვასთან პირდაპირ კავშირში არ იმყოფება. კვლევათა ამ ტიპს ლიტერატურაში ზოგჯერ ,,გლობალურ მონიტორინგს", ზოგჯერ კი ,,დედამიწის როგორც სისტემის" შესწავლას უწოდებენ (Earth System Research). ამ შემთხვევაში იგულისხმება მიმართულებები, რომლებსაც ფუნდამენტურ მეცნიერებებთან გარკვეული შეხება აქვს, მაგრამ კვალიფიცირდება როგორც გამოყენებითი. ისინი დაკავშირებულია გლობალური პროცესების შესწავლასთან რადგან ეს პროცესები პრაქტიკულად ან უკვე ქმნის პრობლემებს კაცობრიობისთვის, ან შესაძლებელია მომავალში შექმნას. ასეთ პრობლემებს განეკუთვნება: მსოფლიო ოკეანეში წყლის დინებებისა და კლიმატის შეცვლა; გარემოს გაჭუჭყიანება და დეგრადაცია; ტყეების ,,დედამიწის ფილტვების" მოსპობა, უდაბნოს არეალის გაფართოება, სახეობათა ბიომრავალფეროვნების შემცირება, ასტეროიდული საფრთხე, მზის ციკლების მდგომარეობა და სხვა. თუ მსგავს პროექტებს გამოყენებითი კვლევების მოცულობას არ მივაკუთვნებთ (რომლებიც აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში მიმდინარეობს), მაშინ გამოყენებითი სექტორის წილი კიდევ უფრო მცირე იქნება. რაც შეეხება საუნივერსიტეტო კამპუსებში მიმდინარე უახლესი ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებულ კლასიკურ გამოყენებით კვლევებს მათი აბსოლუტური უმრავლესობა როგორც წესი ინსტიტუციებშორისია. ამ კვლევებში უნივერსიტეტებთან ერთად მონაწილეობას იღებს კორპორაციული ბიზნესის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებები და შედარებით ნაკლებად ფედერალური უწყებები. უნივერსიტეტები ამ პროცესში ხშირად მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ. აშშ-ში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა ძლიერი უნივერსიტეტების ბაზაზე ინსტიტუციებშორისი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების დაარსება. ასეთი ცენტრების განვითარებაში განსხვავებული პროპორციითა და აქტივობით სამივე სექტორი მონაწილეობს. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები უნივერსიტეტებში იმყოფება მათი ცალსახად მიკუთვნება რომელიმე ინსტიტუციურ სექტორზე ძნელია. ასეთი ცენტრები ფაქტიურად კვლევებისა და დამუშავებების მეოთხე სექტორს წარმოადგენს. საინტერესოა უნივერსიტეტებისა და კოლეჯების კავშირები საინოვაციო ბიზნესთან. ასეთი კავშირები რასაკვირველია არსებობს, მაგრამ მათი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ამ პროცესისთვის კარგად მომზადებული ორგანიზაციები-

სთვის როგორიცაა კალიფორნიის უნივერსიტეტთა სისტემა (უნივერსიტეტ ოფ ჩალიფორნია შესტემ), მასსაჩუსეტისა და კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტები, სტენფორდის უნივერსიტეტი და სხვა. არსებული მონაცემებით 1998-2010წწ. პერიოდში აშშ-ს პატენტების 97% 200-მა უნივერსიტეტმა მიიღო. მათი (პატენტების) 50% 19 ლიდერი უნივერსიტეტის მიერ იქნა მოპოვებული. პირველ ადგილზე კალიფორნიის უნივერსიტეტთა სისტემაა რომელმაც ყველა საუნივერსიტეტო პატენტების 11,9% მიიღო, ხოლო 4,2%-ით მას მოსდევს მასსაჩუსეტის ტექნილოგიური ინსტიტუტი(კოლეჯი). აშშ-ს არასამთავრობო პატენტების რიცხვში საუნივერსიტეტო პატენტების წილი 4,2-4,7%-ა.(4) აღნიშნული პროცესები და მოყვანილი ციფრები აშშ-ს საუნივერსიტეტო სისტემის სტრუქტურაში მიმდინარე დისპროპორციებზე მიგვითითებს. ფართომასშტაბიანი გამოკვლევა, რომელიც უნივერსიტეტების მომავლის კონსორციუმმა ჩაატარა (The Research Universities Futures Consortium, RUFC) (5) დაასკვნა, რომ აშშ-ს საუნივერსიტეტო სისტემა ფაქტიურად კრიზისშია და ითხოვს რეფორმირებას. ამ კრიზისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სამეცნიერ-კვლევითი და დამუშავებების სამუშაოების პროგრესირებადი გადადინება ლიდერ უნივერსიტეტებში. ეს პრობლემა 20 წელიწადია რაც არსებობს რის შედეგადაც სახეზეა საშუალო უნივერსიტეტების დაზარალება და განვითარების დონის დაქვეითება (როგორც ამას აშშ-ს ექსპერტები აღნიშნავენ). 2000-იან წლების შუა პერიოდის ამ პრობლემას (დისპროპორციებს) ინჟინირინგის ნაციონალურმა აკადემიამ (National Academy of Engineering) (6) მიაქცია ყურადღება. მათ მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელმაც აშშ-ს უნივერსიტეტების საინჟინრო საბუნებისმეტყველო მეცნიერული პოტენციალი მოიცვა არადამაკმაყოფილებელი შედეგები გამოაშკარავა. ინჟინირინგის ნაციონალურმა აკადემიამ ინჟინერიის სეგმენტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის სერიოზული ,,ეროზია“ გამოავლინა, რომლის მიზეზად ცხადია დაფინანსების შეზღუდვა (რაც უმრავლეს შემთხვევებში აბსოლუტური სიმართლეა) მიიჩნიეს. აშშ-ის უნივერსიტეტებისა და საინჟინრო სკოლების სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა პროგრესული ტემპებით ,,ძველდება“, ხოლო ამერიკელ სტუდენტთა ინტერესი როგორც საინჟინრო საქმის, ასევე საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებებისადმი განუხრელად ეცემა. აღნიშნული კვლევის საფუძველზე აკადემიამ დაასკვნა, რომ ,,თუ მიმდინარე ტენდენციები კარდინალურად არ შეტრიალდება მაშინ ამერიკელთა ლიდერობა ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროში სერიოზულად შეიზღუდება“ (უ.შ. ლეადერსჰიპ ინ ტეცჰნოლოგიცალ ინნოვატიონ სეემს ცერტაინ ტო ბე სერიოუსლყ ეროდედ უნლესს ცურრენტ ტრენდს არე რევერსედ) კვლევამ გრეთვე აჩვენა, რომ მიმდინარე ტენდენციები არათუ ნელდება არამედ პირუკუ უფრო ღრმავდება. როგორც ვხედავთ სახეზე გვაქვს ტიპური ინტერესთა კონფლიქტი მეცნიერთა, მკვლევართა და პროფესორთა საზოგადოებაში არსებულ ჯგუფებს შორის რომელიც საფინანსო რესურსების განაწილებასა და გადანაწილებასთან დაკავშირებით მუდმივად მიმდინარეობს. ჩვენ ნამდვილად შორს ვართ იმ გულუბრყვილო მდგომარეობისაგან, რომ დავიჯეროთ ,,ნგრევის კაკაფონიის“ არსებობა თითქმის 15 ტრილიონი დოლარის მშპ-ს მქონე (სხვა მაჩვენებლებზე რომ არაფერი ვთქვათ) ქვეყნის სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემაში. მაგრამ ამავე დროს, უნდა კარგად დავუკვირდეთ ამ პროცესს და ჩვენთვის საინტერესო ტენდენციები გამოვავლინოთ. ცხადია ძალზე ძნელია ამ პროცესების ახსნა მხოლოდ პოზიტიური მეცნიერების თვალსაწიერიდან თუ არ მოვიშველიებთ ინტერესთა (როგორც ნაციონალურ ასევე გლობალურ) ჯგუფების აქტივობასა და მათ მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას. ლიდერობის პოზიციების დაკარგვის შიში და მასზე მსჯელობა საერთაშორისო ეკონომიკის კურსის საზღვრებში განიხილება. ამ პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს XX საუკუნის ოციან წლებში დამუშავებული ცნობილი მეცნიერის ვერნონის თეორია პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შესახებ. თუ ამ თეორიას მივუყენებთ გლობალური კრიზისის ბოლო მეოთხე სტადიაზე მყოფ მსოფლიო ეკონომიკას და მის შემადგენლობაში უდიდესი ბაზრისა და შესაძლებლობების (იგულისხმება ბაზრის მოცულობა და რესურსული პოტენციალი) მქონე ეკონომიკას - აშშ-ს მაშინ ყველფერი სწორად ლაგდება. გლობალური მსოფლიო კრიზისიდან გამოსვლის სტადიაზე მყოფი აშშ-ს სამეცნიერო-კვლევითი საგანმანათლებლო სისტემა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ეს ცვლილებები მიმდინარეობს სექტორებს შორის რესურსების განაწილებასა და მიზნების მოდიფიცირებაში. აშშ-ს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემის შემადგენლებს შორის მიმდინარე ცვლილებები (რომლებიც ზემოთ მოცემული ცხრილის მაჩვენებლების საფუძველზე დასტურდება) აღრმავებს და აძლიერებს აქცენტებს (ისახავს მიზნად) ამ სისტემის ნებისმიერ სექტორში ფუნდამენტური და ჰიპერფუნდამენტური კვლევის პროდუქტის შექმნის მიმართულებით, რომელშიც წარმოების მასშტაბის მზარდი ეფექტი მიიღება (ამავე დროს სწორედ ეს სფერო ქმნის ძირითადად სტრატეგიურ უპირატესობას). თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ მაშინ ნათელი ხდება საფინანსო და სხვა რესურსების უმკაცრესი ეკონომიის აუცილებლობა, რომელიც გამოყენებითი და დამუშავებების პროდუქტების წარმოების შეზღუდვის ან ლიკვიდაციის ხარჯზე (განსაკუთრებით კი იმ სამეცნიერ-კვლევითი პროდუქტების რომელთა წარმოებაში მასშტაბის მზარდი ეფექტი არ მიიღება) წარიმართება. უფრო, რომ დავაკონკრეტოთ აშშ-ს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემა იწყებს და თანდათანობით გააფართოვებს ისეთი ინტელექტუალური პროდუქტების წარმოებას სადაც განსაკუთრებული კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების (იგულისხმე-

ბა განსაკუთრებული ტალანტის მქონე შრომოთი რესურსები) სამუშაო ძალა იქნება საჭირო. ასეთი მეცნიერების მკვლევარებისა და პროფესორების მცირერიცხოვან ჯგუფებზე მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კოლექტივები და ხშირ შემთხვევაში (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში) მთელი ინსტიტუტები იმუშავებენ. აი სწორედ აქ არის მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის კომერციული და არაკომერციული სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის საფუძველი. ვფიქრობ, რომ დიდი ენთუზიაზმითა და სიხარულით უნდა შევხვდეთ ცნობილი უცხოელი და ეთნიკურად ქართველი მეცნიერების გია დვალის, ზაზა კოკაიასა და სხვა ბრწყინვალე მეცნიერების, ინჟინერ-ფიზიკოსთა ჯგუფის ინიციატივებს საქართველოს სამეცნიერო საგანმანათლებლო სფეროს რეფორმირებასთან დაკავშირებით. საინტერესოა ვარაუდები რომლებიც მიგვანიშნებს ეხლა და მომავალში მსოფლიოს ინტელექტუალურ სივრცეში ჩვენს მიერ დასაკავებელ ნიშას (ადგილს). ეს ადგილი სავარაუდოდ განსაზღვრული იქნება იმ ინტელექტუალური პროდუქტების შექმნით რომელთა წარმოებაში მასშტაბის მზარდი ეფექტი არ არსებობს. თუ ღვთის, ერის, ბერისა და ყველა რესურსის გამოყენებით ეს პროცესი განხორციელდება, მაშინ ჩვენი მეცნიერ-მკვლევართა და ინჟინერ-დამმუშავებელთა საზოგადოების ჩართვა მსოფლიოს გლობალური განვითარების არეალში წარმატებით მოხდება.

როგორც ვხედავთ გამოყენებითი კვლევების სექტორში აშშ-ს უნივერსიტეტები ვერასდროს ვერ ჩაანაცვლებენ კორპორაციულ სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურებს და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ნაციონალურ ლაბორატორიებს. სწორედ ამ სექტორებში ცხადია საიდუმლოების სრული დაცვით იქმნება ,,დიდი" გამოყენებითი მეცნიერება. აშშ-ში სამეცნიერო-გამოყენებითი კვლევების წარმოება, მნიშვნელოვან წილად, გიგანტური საფინანსო რესურსების ლეგალური გამოყენების ტექნოლოგიაზეა აგებული. აღნიშნული ტექნოლოგია კომპანიებს აძლევს გამდიდრების (გარანტირებული მოგების მიღების) საშუალებას, ხოლო მეცნიერებს არაანგარებიანი, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ კარგად ანაზღაურებადი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ფედერალური სარეზერვო სისტემის საბეჭდი მანქანების შეუფერხებელ მუშაობასაც განეკუთვნება. სწორედ ამ პროცესში იბადება North rop B-2 Spirit da UH-60 Black Hawk-ის ტიპის ნოვაციები. ისინი ამართლებენ სამხედრო-კორპორაციული სექტორისა და ნაცლაბორატორიების მიერ გამოყენებით მეცნიერებაზე დახარჯული რესურსების უზარმაზარ მოცულობას. გასაგებია, რომ უნივერსიტეტებისგან ასეთ ნოვაციებს არავინ არ ელოდება, რადგან ისინი სხვა მიზნებს ისახავენ.

ყველასთვის ცნობილია, რომ აშშ სწორედ ის ქვეყანაა სადაც მეცნიერება ბიზნესთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. ამ კავშირს საუნივერსიტეტო კამპუსებშიც ვხვდებით, მაგრამ მაინც გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები და დამუშავებები ამ სექტორში (სხვა ორ სექტორთან შედარებით) ნაკლები ინტენსიურობით ხორციელდება. უნივერსიტეტები აშშ-ს მეცნიერების ორგანიზაციის სისტემაში სამეცნიერო კვლევების ყველა მიმართულებათა უნივერსალურ ,,სამჭედლოს" არ წარმოადგენს. ფუნდამენტური მეცნიერება და გამოყენებითი სამეცნიერო სექტორები საკმაოდ მკაფიოდ არის გამიჯნული ერთმანეთისგან. ამ მხრივ გამონაკლისს ფედერალური სექტორი წარმოადგენს სადაც სამეცნიერო მიმართულებებს შორის გარკვეული წონასწორობაა, მაგრამ მაინც შესამჩნევი უპირატესობა დამუშავებების მიმართ არსებობს. ძირითადი განსხვავება აშშ-სა და სხვა განვითარებული დიდი ღია ეკონომიკების (რომ არაფერი ვთქვათ განვითარებად ქვეყნებზე) სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროებს შორის საუნივერსიტეტო სექტორში ნაკლებად შეიმჩნევა. ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანია სხვაობა რომელიც არსებობს აშშ-ს ძლიერ, განვითარებულ და ხარისხობრივად უფრო მაღალი დონის მქონე კორპორაციულ სექტორსა და სხვა ქვეყნების შესაბამის სექტორებს შორის. კორპორაციული სექტორი, რომელიც სტრატეგიული დაგეგმვის შესაძლებლობას ფლობს ტექნოლოგიურ ინოვაციებშია დაინტერესებული. აშშ-ში ეს სექტორი საკუთარი ინტერესების მომსახურებას თვითონვე ახორციელებს რაც უპირველეს ყოვლისა გამოყენებით კვლევებსა და დამუშავებებს, ხოლო შემდგომ კი ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევებსაც ეხება.

აშშ-ს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს გამოცდილება და საქართველოში საუნივერსიტეტო სისტემის რეფორმის ზოგადი მიზანი

აშშ-ს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს შესახებ ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

- აშშ-ს სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების სისტემა თავისი განვითარების დონით, მიზნებითა და მახასიათებლებით მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა განვითარებული და მითუმეტეს განვითარებადი ქვეყნების შესაბამისი სისტემებისგან;
- მოცემულ სისტემაში (რომელიც ყოველწლიურად საშუალოდ აშშ-ს მშპ-ს 2,4%-ს ხარჯავს, რაც მინიმუმ 400 მლრდ.დოლარია) საუნივერსიტეტო სექტორი სამეცნიერო კვლევებსა და დამუშავებებზე ყოველწლიურად (საშუალოდ) დაახლოებით 54,5 მლრდ.დოლარს ხარჯავს. ამ უზარმაზარი საფინანსო რესურსებში ფუნდამენტურ კვლევებზე იხარჯება დაახლოებით 40,6მლრდ.დოლარი. გამოყენებით სამეცნიერო კვლევებზე 11,9 მლრდ.დოლარი, ხოლო დამუშავებებზე შესაბამისად 2,02მლრდ.დოლარი. ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ ასეთი უზარმაზარი ხარჯების შედეგები. ისინი განსაკუთრებული ხარისხითა და სპეციფიკურობით ხასიათდება (რაც აბსოლუტურად მიუღწეველია განვითარებადი ქვეყნებისთვის);

- უნივერსიტეტებისა და კოლეჯების სისტემა აშშ-ს სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების სფეროს ცენტრალურ რგოლს არ წარმოადგენს. იგი გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, კომერციული დამუშავებებისა და დანერგვის პროცესების ,,პერიფერიაზე" იმყოფება. აშშ-სგან განსხვავებით მცირე ღია ეკონომიკის მქონე განვითარებად ქვეყნებში სწორედ უნივერსიტეტებისა და კოლეჯების სისტემა უნდა წარმოადგენდეს სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების სფეროს ცენტრალურ (თუ არა ერთადერთ) რგოლს;
- აღსანიშნავია, უნივერსიტეტებისა და კოლეჯების აქტივობის ზრდა ფუნდამენტურ და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების ზღვარზე მყოფ დამუშავებებზე. ეს გამოიხატება ბოლო ათწლეულში რეგისტრირებული პატენტების რაოდენობის განუხრელ ზრდაში. სალიცენზიო საქმიანობიდან მიღებული მზარდი შემოსავლები აფართოვებს აშშ-ს უნივერსიტეტებისა და კოლეჯების სამეცნიერო-კვლევით პოტენციალსა და საუნივერსიტეტო დამუშავებების ხარისხს;
- ფედერალურ და კორპორაციულ სექტორებში ფუნდამენტურ მეცნიერებაზე შედარებით ,,მცირე" თანხები იხარჯება სამაგიეროდ იგი ,,რეალურ ცხოვრებას" ნაკლებად არის მოწყვეტილი. ამ სექტორებში ფუნდამენტური მეცნიერება წარმოდგენილია მსხვილ პროექტებში, რომლებიც შედეგზეა ორიენტირებული და სიცოცხლის უზრუნველყოფის ნაციონალურ სისტემებზე არსებულ მოთხოვნებს პასუხობს. სრულიად ნათელია, რომ განვითარებად ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც) აღნიშნული სექტორებიდან ვერც ერთი ჯერ-ჯერობით ვერ და არ დახარჯავს სახსრებს არათუ ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევებზე არამედ გამოყენებით სამეცნიერო პროექტებსა და დამუშავებებზეც თავს შეიკავებენ;
- საუნივერსიტეტო მეცნიერება მიუხედავად მისი მნიშვნელოვნად დიდი ხვედრითი წილისა ფაკულტეტური და თეორიული შინაარსით ხასიათდება. თუ მას ნაციონალური ინტერესების თვალსაზრისით განვიხილავთ დავასკვნით, რომ სახსრების ხარჯვის მიზანი ნაციონალური ინტერესების კონკრეტულ მოთხოვნებს ყოველთვის არ შეესაბამება. უფრო მეტიც იგი გლობალური იტერესების სფეროში ძევს;
- აშშ-ს სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების სისტემის სტრატეგიული დანიშნულება (თუ განათლების მიზნებს არ მივიღებთ მხედველობაში) ორი მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულბაში მდგომარეობს. სწორედ იგი განაპირობებს უმაღლესი განათლების დაწესებულებათა სპეციფიკას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ აშშ-ში ფუნქციონირებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი უნივერსიტეტების უზარმაზარი სისტემა. რა საჭიროებას წარმოადგენს ასეთი ძვირადღირებული სისტემის შენახვა, თუ მისი ოპტიმიზაციის შედეგად შესაძლებელია 150-200 (ნაცვლად 2790 უმაღლესი სასწავლებლისა სადაც შესაძლებელია საბაკალავრო ხარისხის მომზადება და 290 უნივერსიტეტისა სადაც მაგისტრისა და Ph.D ხარისხის მომზადებაა შესაძლებელი) მაღალი შედეგების მომტანი და განსაკუთრებულად ეფექტიანი დაწესებულება შეიქმნას? (7) სწორედ აქ უნდა ვეძიოთ აშშ-ს გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების შესრულების რეალური საფუძველი. არა დიდ სპორტსა და გიგანტურ შოუ ბიზნესს ძალუძს საზოგადოების განვითარების უზრუნველყოფა, არამედ ამ მიმართულებით მხოლოდ ,,დიდ მეცნიერებასა" და ასეთივე სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს მოაქვს ,,დიდი შედეგები". რამდენიმე ათეული მაღალეფექტიანი დაწესებულების მიერ რამდენიმე ასეული ,,დაბალეფექტიანი" დაწესებულების ჩანაცვლების მოსაზრება ცნობილია კონცეპტუალური რედუქციონიზმის (როდესაც ხდება კონცეფციის შემადგენელთა ორგანიზაციის უფრო მაღალი დონეების თავისებურებათა იგნორირება) სახელწოდებით არის ცნობილი. იგი სრულიად არ ითვალისწინებს ამ უზარმაზარ სისტემაში არსებული უხილავი კავშირების დიდ რიცხვს. ასეულობით საშუალო და დაბალი რანგის ლაბორატორიების, ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ყოველდღიური არასაინტერესო სამუშაო ქმნის იმ ფონს, რომელიც შესაძლებელს ხდის რამდენიმე ბრწყინვალე და მოწინავე დაწესებულებაში მეცნიერული გარღვევები განხორციელდეს. ,,ფონის შემქმნელი" სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უნივერსიტეტები აუტსორსინგის (გარე, რესურსების მოზიდვის, გამოყენების) პოტენციალს წარმოადგენს. სწორედ აქ ხორციელდება წარმატებით კადრებისა და გამოცდილების ზრდა. ასეთ სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებათა წვლილი საერთო საქმეში ერთი შეხედვით უმნიშვნელოა, მაგრამ მათ გარეშე შეუძლებელია სამეცნიერო-კვლევით კომპლექსში სასურველი გარღვევებისა და ,,ნახტომების" განხორციელება. ამერიკელები დიდი ხანია მიხვდნენ, რომ არავითარი სამეწარმეო ლოგიკა აქ არ მუშაობს. იმისთვის, რომ მეცნიერება იყოს ეფექტიანი იგი უნდა იყოს ექსტენსიური (ზემოთ მოყვანილი ციფრებიც ამაზე მიგვითითებს). ამერიკული მეცნიერება (ზუსტად ისე როგორც ადრე საბჭოური მეცნიერება) ,,მზარდი მასის ეფექტის" პრინციპით ფუნქციონირებს. უფრო მეტიც ამერიკელმა პოლიტიკოსებმა (აშშ-ს ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე) დიდი ხანია გააცნობიერეს, რომ მათი ქვეყნის ნაციონალური ინტერესების რეალიზაცია მხოლოდ ,,დიდი" მეცნიერების აბსოლუტური მოცულობის გაფართოებაზეა დამოკიდებული. საგრძნობი შედეგების მიღება ,,დიდ" მეცნიერებაში დაკავშირებულია ,,შავი სამუშაოს" შესრულებასთან, რომელიც უზარმაზარი რაოდენობის თემების, პასუხების, გადაწყვეტილებათა და ჰიპოთეზების განხილვასა და გადამოწმებას გულისხმობს. არ იარსებებს კრიტიკული მოცულობა არ იქნება სასურველი სამეცნიერო გარღვევები. აშშ-ს მმართველ ელიტაში არასდროს არ უარყვიათ ის ფაქტი, რომ მეცნიერებაზე დასახარჯი რესურსები მათთვის პრობლემას არ

წარმოადგენს (რასაც ბრატტონ-ვუდის სისტემამ და ასიმეტრიულმა სავალუტო ცენტრმა ჩაუყარა საფუძველი). სულ სხვა საკითხია თუ როგორ მოხდება საფინანსო რესურსების განაწილება- გადანაწილება სექტორებს შორის, ეს კი ეკონომიკური პოლიტიკის საქმეა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ აშშ-ს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემის საუნივერსიტეტო და კორპორაციული სექტორები აქტიურად იწყებენ საერთაშორისო აუტსორსინგს რასაც ბოლო პერიოდში მათი შერბილებული საიმიგრაციო პოლიტიკა ცხადყოფს.

აშშ-ს კვლევებისა და დამუშავებების სფეროს მუშაობის შინაარსი გვეხმარება საუნივერსიტეტო სეგმენტის დანიშნულების უკეთ გაგებაში (ცხადია მისი ფუნდამენტური სპეციალიზაციის გათვალისწინებით). აღნიშნული სეგმენტი ახალი ცოდნის მუდმივი ძიების პროცესში იმყოფება. იგი სპეციალიზებული ,,მექანიზმია", რომელიც უამრავი რაოდენობის დამუშავებულ და ხშირ შემთხვევაში ნედლ მასალას იძლევა. სტრუქტურა და მიზანი საუნივერსიტეტო სექტორისა ისეა ორგანიზებული, რომ მუდმივად მიმდინარეობდეს წახალისება, ხელშეწყობა (ზოგჯერ აუტსორსინგის დროს კადრების მოსყიდვა და გადაბირებაც კი) სამეცნიერო-საძიებო მიმართულებათა დიდი რაოდენობისა, რომელიც საკვლევი მასალის ფართო მოცულობას უზრუნველყოფს. როგორც წესი საუნივერსიტეტო სისტემის საზღვრებში ინსტიტუციური ხელშეწყობა მცირე პროექტებსა და კოლექტივებს აქვთ. ისინი ხელს უწყობენ ახალი ცოდნის გაფართოებულ კვლავწარმოებას ,,მცირეფრაქციული" ფორმით. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი არ მიმდინარეობს დიდი პროექტების საფუძველზე რომლებიც ხშირად ხანგრძლივი დროით ბოჭავენ ადამიანურ, მატერიალურსა და ფინანსურ რესურსებს. საუნივერსიტეტო სისტემის არანაკლებ მნიშვნელოვანი სპეციფიკური ფუნქცია არის ამერიკულ სოციუმში სასურველი ინტელექტუალური ფონის შექმნა. იგი ხელს უწყობს სოციუმის ,,ცოდნის საზოგადოებად" გარდაქმნას. სწორედ ამ ფუნქციის არსებობის გამო მოდის საუნივერსიტეტო სისტემაზე ,,ოქროს წვიმა". სამეცნიერ-ტექნიკური პროგრესი, რომელიც განსაზღვრავს აშშ-ს (ასევე სხვა ნებისმიერი ქვეყნის) სიძლიერეს შესაძლებელია, მხოლოდ კეთილსასურველ სოციალურ გარემოში, რომლის მთავარ ,,მოდულატორს" საუნივერსიტეტო კამპუსები წარმოადგენს. ასეთი გარემოს შენარჩუნება მთელი ქვეყნის მასშტაბში მხოლოდ კორპორაციული სექტორისა და ნაციონალური ლაბორატორიების ძალებით უბრალოდ შეუძლებელია. ტექნოლოგიურად წარმატებული ქვეყნისთვის აუცილებელია, რომ მისი საზოგადოება შესაბამის კეთილსასურველ ფსიქო-სულიერ მდგომარეობაში იმყოფებოდეს. იგი გამსჭვალული უნდა იყოს შემოქმედებითი აღფრთოვანებითა და ცოდნის მიღების განსაკუთრებული რომანტიკით. აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც საუნივერსიტეტო კამპუსები მუდმივი რომანტიკისა და ელიტარულობის ბურუსშია გახვეული, მაგრამ ამავე დროს ისინი აბსოლუტურად ღიაა ფართო საზოგადოებისა და მედიისთვის. საუნივერსიტეტო კამპუსები იდეალურადაა მისადაგებული შესაბამისი სულიერი და ინტელექტუალური ,,დაძაბულობის" გენერაციას და მის გადაცემას აშშ-ს საზოგადოებისთვის. საუნივერსიტეტო სისტემა აშშ-ში არამარტო უახლესი ცოდნის უშუალოდ მწარმოებელია არამედ იგი უმნიშვნელოვანესი ინტელექტუალური გარემოს წარმომქმნელი ფაქტორია. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ აშშ-ს მეცნიერების ფასადსა და ვიტრინას უნივერსიტეტები წარმოადგენს. სწორედ უნივერსიტეტების სივრცეში და მათი ეგიდით ტარდება კვლევები რომლებიც საზაგადოებისა და მედიის მიერ გაშუქებისთვის ღიაა. სამეცნიერო კვლევების პოპულარიზაციას მუდმივად მისდევენ როგორც მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ასევე სატელევიზიო არხები (Discovery Channel, National Geographic, Animal Planet და სხვა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კორპორაციულსა და ფედერალურ კვლევით და დამუშავებების სექტორებში საქმე უფრო ცუდადაა, პირუკუ, მაგრამ ისინი თავის შედეგებს არავის აცნობენ. ამ მდგომარეობას თავისი განმარტება აქვს, აღნიშნული ორი სექტორის მიერ ჩატარებული სამუშაოების უდიდესი ნაწილის შედეგები როგორც წესი სამხედრო, ტექნოლოგიური ან კომერციული საიდუმლოებებია. მათი გაშუქება-განხილვა მედიის სივრცეში არ ხდება. მოკლედ რომ შევაჯამოთ ჩვენს მიერ მოყვანილი ინფორმაცია მივიღებთ:

- აშშ-მა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში შექმნეს მსოფლიოში ყველაზე მძლავრი და ეფექტიანი უმაღლესი განათლების სისტემა. იგი წარმოადგენს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის ნამდვილად ეფექტურ მოდელს, რომლის მუშაობა შესაშური შედეგებით ხასიათდება;
- აშშ-ს მიერ ჩამოყალიბებული საუნივერსიტეტო მოდელი ვერც ევროპულმა სახელმწიფოებმა და ვერც იაპონიამ ვერ აამუშავეს. იგი როგორც ორგანიზაციული ინოვაცია ისე უნდა განვიხილოთ, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მოდელის კოპირება (მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო) წარუმატებელი იქნება;
- აშშ-ს ყოველ შტატში არა ერთი უნივერსიტეტია რომლებიც ერთმანეთთან როგორც კოოპერაციაში ისე საფინანსო და სხვა რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით კონკურენციაში იმყოფებიან.

თუ კარგად გავაანალიზებთ აშშ-ს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემას ნათლად დავინახავთ, რომ პრობლემათა სათავე თითქმის ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში არა სხვადასხვა სახის რესურსების ნაკლებობაა (თუმცა რესურსები დიდი იმედია) არამედ მკაფიოდ გამოკვეთილი მიზნების კატალოგის არარსებობაა. თუ ასე გავიაზრებთ ვითარებას მაშინ ჩვენი სასწავლო-სამეცნიერო სფეროს მთავარ პრობლემას შემკვეთი სუბიექტის არარსებობა წარმოადგენს (შემკვეთი სუბიექტები სახელმწიფო ან კორპორაციული სექ-

ტორებია). ჩვეულებრივ განვითარებადი ქვეყნების განათლების სამინისტროები საერთოდ არ სწავლობენ მათი კომპეტენციის სფეროს მომსახურებისა და ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროდუქტების ბაზარს, რაც წარმატებული განვითარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ბაზარს არ სწავლობენ და არ იკვლევენ (აღარაფერს ვამბობთ ბაზრის სტიმულირებაზე) იმიტომ, რომ ქვეყანას არ გააჩნია განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდება განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის მიზანთა კატალოგი. ინტერესთა ჯგუფებს შორის დაპირისპირება რესურსების განაწილებისთვის მუდმივი პროცესია, მაგრამ ამ სიტუაციაში საშიშროებას ამორფული და გაუგებარი სახელმწიფო ინტერესი წარმოადგენს. საქართველო მცირე ღია ეკონომიკის მქონე ღარიბი ქვეყანაა ამდენად ჩვენთვის აშშ-ის მსგავი (და როგორიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში გვქონდა) სამ და მეტ სექტორიანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემა აბსოლუტურად მიუღებელია არა მარტო რესურსული პოტენციალის სიმწირის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების მიზნები არც მსოფლიოს და არც რეგიონში ბატონობის პოზიციის მიღწევას არ უნდა ითვალისწინებდეს.

განვითარების ამ ეტაპზე საქართველოს სამეცნიერო-საგანმათლებლო სივრცისთვის აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელია ერთ სექტორიანი სისტემის არსებობა (მხედველობაში გვაქვს საუნივერსიტეტო მოდელზე ორიენტირებული სისტემა), რომელშიც სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ. აღნიშნული ცენტრებში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეცნიერები უხელმძღვანელებენ. ჩვენი მოკრძალებული აზრით საქართველოს ეკონომიკური და მენტალური განვითარებისთვის სრულიად რეალურია ის პროექტები რომლებსაც ჩვენი უცხოელი კოლეგები გვთავაზობენ ანუ მხედველობაში გვაქვს ძლიერი და განვითარებული საუნივერსიტეტო სისტემის შექმნა სადაც მეცნიერები, მკვლევარები და პროფესორები ტენურეს სისტემით დაცულნი იქნებიან. უნივერსიტეტებში ჯერ კიდევ არსებობს (თუმცა გარკვეული სპეციალობები და ფაკულტეტები უკვე განადგურებულია) დიდი რაოდენობით სპეციალობები რომელთა შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები უკვე ლიკვიდირებულია ამდენად მეცნიერების ინტეგრირება საუნივერსიტეტო სექტორში სამეცნიერო ცენტრების სახით გრძელვადიან პერიოდში საფინანსო რესურსებს დაზოგავს და დარჩენილ სამეცნიერო კადრებს გადაგვირჩენს. ცხადია ჯერ კიდევ ღიად რჩება მნიშვნელოვანი საკითხი - როგორია ეროვნული სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემის პროდუქტზე შემკვეთი სუბიექტის მოთხოვნის მიზნები. დიდ იმედს ვიტოვებთ, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი ნაციონალური ინტერესების საზღვრებში იქნება განხილული და წარმატებით გადაწყდება.


გამოყენებული ლიტერატურა

1. National Science Foundation. Science and Engineering Indicators 2012: http://www.nsf.gov/statistics/seind12/, Chapter 3. Science and Engineering Labor Force: http://www.nsf.gov/statistics/seind12/pdf/c03.pdf. Chapter 4. Research and Development: National Trends and International Comparisons: http://www.nsf.gov/statistics/seind12/pdf/c04.pdf. Chapter 5. Academic Research and Development: http://www.nsf.gov/statistics/seind04/pdf/c05.pdf.
2. Bush Vannevar. Science and Endless Frontier. Washington, D.C.: Office of Scientific Research and Development. 1945.
3. Hacker Andrew and Dreifus Claudia. Higher Education? How Colleges Are Wasting Our Money and Failing Our Kids - and What We Can Do About It? Times Books. 2010.
4. OECD (2012), Main Science and Technology Indicators, Vol. 2011/2, OECD Publishing. doi: 10.1787/msti-v2011-2-en-fr.
5. The Research Universities Futures Consortium. 2012. The Current Health and Future Well-Being of the American Research University, Report, June 2012, Sponsored by Elsevier.
6. National Academy of Engineering. Assessing the Capacity of the U.S. Engineering Research Enterprise. National Academy Press: Washington. 2005.
7. National Center for Education Statistics. 2010. The Carnegie Classification of Institutions of Higher Education, 2010: http://classifications.carnegiefoundation.org/.



**რეზიუმე**

მოცემულ სტატიაში დახასიათებულია აშშ-ს სამეცნიერო-საგანმათლებლო კომპლექსი, რომელიც შედგება სამი სექტორისგან. მოცემულ სამსექტორიან მოდელში არც ერთ სექტორს არ გააჩნია უპირატესობა რა აშშ-ს სამეცნიერო-საგანმათლებლო კომპლექსის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ნაშრომში ხაზგასმულია აშშ-ს უნივერსიტეტების წამყვანი როლი ფუნდამენტურ, ჰიპერფუნდამენტურ, გამოყენებით სამეცნიერო კვლევებსა და დამუშავებებში. დანახარჯების თანაფარდობა სექტორებს შორის სამეცნიერო კვლევებსა და დამუშავებებზე იცვლება. ბოლო ათწლეულში შეიმჩნევა ფუნდამენტური კვლევების ხვედრითი წილის ზრდა საუნივერსიტეტო სექტორში, ხოლო გამოყენებითი სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების ზრდა კორპორაციულ-ინდუსტრიულ სექტორში. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ხარჯები შედარებით თანაბრად ნაწილდება ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებსა და დამუშავებებზე ნაციონალურ სლაბორატორიებსი, რომელნიც ფედერალურ სექტორს ეკუთვნიან. მოცემულ სტატიაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს სამეცნიერო-საგანმათლებლო კომპლექსის რე-

ფორმირება საუნივერსიტეტო მოდელისა და მასში მოქმედ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების უპირატესობათა საფუძველზე უნდა განხორციელდეს. ავტორის თვალსაზრისი საქართველოს სამეცნიერო-საგანმათლებლო კომპლექსის გარდაქმნის შესახებ ერთსექტორიან სისტემად არგუმენტირებულია ქვეყანაში მოცემულ პერიოდში სუსტი კორპორაციული და სახელმწიფო სექტორების არსებობით. ნაშრომში განსაკუთრებით ხაზგასმულია ტენურე-ს სისტემის როლი პროფესორებისა და სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის ინტერესთა დაცვაში. საქართველოს სამეცნიერო-საგანმათლებლო სისტემის წარმატებით განვითარების ხელის შემშლელ პრობლემას სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად შემკვეთი სუბიექტის არარსებობა წარმოადგენს რაც ეკონომიკური პოლიტიკისთვის მიზანთა ეფექტიან კატალოგს არ გვაძლევს. მოცემულ სტატიაში გამოყენებულია მეცნიერული აბსტრაქციის, ლოგიკისა და ემპირიული კვლევის მეთოდები.

SUMMARY

*I. Gogorishvili*

This article describes the scientific-educational complex of the United States which is made up of three sectors. In this model none of the areas does not particularly stand out, that is a feature of scientific and educational complex of the United States. The study emphasizes the leading role of American universities in fundamental and giperfundamental research, applied works and development. The relation of expenditure on research and development by sector changes over. The last decade there has been increasing the share of basic research in the University sector and applied research and development in the corporate-industrial sector. Relatively evenly are distributed the cost fundamental and applied studies and research at national laboratories belonging to the federal sector. In the study is advantage a university model for scientific-educational complex of Georgia. Based on models with built-in advantage University in the academic centres, an author gives recommendation to conversion research and education system in Georgia in a reformed and expanded the University System. Emphasized is the role of tenure in the security interests of the Faculty and research staff.The main problem hindering the achievement of successful development scientifically to the educational system in Georgia in addition to many of the important factors is the lack of subiekta-customerby the state or the private sector, that does not give the target directory for the effective economic policy. In this article is used the scientific method of abstraction,logic and empiric analysis.

# მათემატიკის ერთგვარი ეპიდემიის“ შესახებ საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებში

***რობერტ ბაბლიძე,*** *სტუ-ს სრული პროფესორი*
***მანონ ჩხაიძე,*** *სტუ-ს უფროსი მასწავლებელი*

მეცნიერების ძირითადი ამოცანა ყოველთვის იყო და არის ჭეშმარიტების დადგენა, მაგრამ თუ რა უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტების კრიტერიუმი, საუკუნეების განმავლობაში იყო სერიოზული განსჯის საგანი. მაგალითად, კანტი ცდილობდა, ჩამოეყალიბებინა მეცნიერების დეფინიცია, ამბობდა, რომ ცოდნის დარგი იმდენადაა მეცნიერება, რამდენადაც მას შესწევს უნარი, გამოიყენოს მათემატიკა.

დიდი ალბათობით სწორედ აქედან იღებს სათავეს მათემატიკის როლის ერთგვარი გაფეტიშება. როგორც ყველგან, აქაც უდავოდ ოქროს შუალედია საძებნი. ჩვენი ცდაც სწორედ აქეთაა მიმართული. მაგალითისათვის შერჩეულია საინჟინრო ფიზიკა. ასეთი არჩევანი განპირობებულია სრულიად ობიექტური მოსაზრებებით – მართლაც ერთია, თუ ფიზიკას გადავცემთ უშუალოდ ფიზიკის სპეციალობის სტუდენტებს და მეორეა, როდესაც საქმე გვაქვს საინჟინრო ანუ გამოყენებითი ფიზიკის სწავლებასთან.

ფიზიკა ექსპერიმენტული მეცნიერებაა. ეს ნიშნავს, რომ აქ ჭეშმარიტების ერთადერთი კრიტერიუმი ცდა ანუ ექსპერიმენტია. როგორი ლამაზი და ლოგიკურიც უნდა იყოს თეორიული მოდელი, ექსპერიმენტული დადასტურების გარეშე მას არავინ აღიარებს. მაგალითად, მეცნიერებაში ყველაზე პრესტიჟული პრიზი, ნობელის პრემია, არასოდეს გაიცემა თეორიულ შრომებზე, რომლებსაც ექსპერიმენტული დადასტურება ჯერ არ გააჩნია. ეს ნიუანსი აქ მოვიყვანეთ იმასთან დაკავშირებით, რომ ფიზიკის მძლავრი მათემატიკური აპარატი ხშირად ბადებს განსახილველი საკითხების მოჭარბებული მათემატიზაციის ცდუნებას. ასეთი რამ თვით ფუნდამენტურ ფიზიკაშიც არაა მთლად მისაღები, რომ აღარაფერი ვთქვათ გამოყენებით ფიზიკაზე. დასადასტურებლად მოვიყვანთ ამონარიდს გენიალური ა. აინშტეინის წერილიდან მიწერილს გამოჩენილი ფიზიკოსის, პ. ერენფესტისადმი: „ძვირფასო ერენფესტ, თქვენ განეკუთვნებით თეორეტიკოსთა იმ უმცირეს ნაწილს, რომელთაც გონიერება არ დაუკარგავთ მათემატიკის ეპიდემიის გამო“ [1]. ცხადია, აქ მათემატიკის „ეპიდემიის“ შესახებ სარკაზმისა და ჯანსაღი იუმორის კარგად გააზრებული შეზავებაა მოყვანილი, მაგრამ იმის დადასტურებად ნამდვილად გამოდგება, რომ გამოყენებითი ფიზიკის სწავლების მეთოდიკის თავისებურებების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა რთული მათემატიკური გარდაქმნების გონივრული მინიმიზაცია, ოღონდ არამც და არამც ფიზიკური შინაარსის რაიმე გაუბრალოების ხარჯზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ სიმძიმის ცენტრი უნდა მდებარეობდეს არა ფიზიკური ფორმულების მკაცრ მათემატიკურ გამოყვანაზე, არა მათ წმინდა მათემატიკურ დაფუძნებაზე, არამედ ამ ფორმულებში აკუმულირებული, ლატენტური ფიზიკური შინაარსის რაც შეიძლება გასაგებად, თვალსაჩინოდ და ცხადად გადმოცემაზე, ანუ უნდა შევძლოთ, ფიზიკური ფორმულები ავალაპარაკოთ სტუდენტური აუდიტორიისათვის გასაგები და რაც მთავარია, დამაინტრიგებელი და დამაინტერესებელი ენით. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მეცნიერების ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის ადამიანთა თანდაყოლილი, ღვთით დანათლული ცნობისმოყვარების მძლავრი ინსტინქტი.

ჩვენი უპირველესი ამოცანაა სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი ინსტინქტის, ამ დაუცხრომელი მიდრეკილების გაღვიძება, რომელიც პრაქტიკულად ყველა ადამიანში არსებობს და, ცხადია, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლექტორის დახელოვნებას, მის ნიჭსა და მოხერხებას, ერთი შეხედვით ძალზე რთული და გაუგებარი მოვლენების გასაგები, ცხადი და თვალსაჩინო ენით გადმოცემის უნარს. ლექტორს უნდა შესწევდეს უნარი, უნდა ცდილობდეს, დაარწმუნოს სტუდენტური აუდიტორია, რომ ფიზიკა არა მარტო ზუსტი ექსპერიმენტული მეცნიერებაა, არამედ პარალელურად ეს არის და იქნებ უფრო მეტადაც, ძალზე საინტერესო დრამა ან კომედია ატომების, მოლეკულების, სითხეების, კრისტალებისა და კიდევ სხვა მრავალი სახის ფიზიკური ობიექტების ცხოვრებიდან.

ლექცია შემოქმედებითი პროცესია. ეს არის ინტელექტუალური ურთიერთობა ლექტორსა და აუდიტორიას შორის. ამიტომ, რა თქმა უნდა, აქ საქმე გვაქვს ინდივიდუალურ, სუბიექტურ ფენომენთან – ყველას თავისებური მიდგომა და სქემა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ამავე დროს არსებობს ერთგვარი მეთოდური მოსაზრებები, სქემები, რომლებსაც გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება განზოგადებული, ერთგვარად ყველასათვის სავალდებულო ხასიათი მივანიჭოთ.

უპირველესად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ლექციის დასაწყისშივე აუდიტორიას წარედგინოს განსახილველი საკითხების მოკლე ნუსხა, ლექციის ერთგვარი სქემატური მონახაზი. ამ მოკლე სქემის საფუძველზევე უნდა მოხდეს ძირითადი საკითხების დასმა – რის განხილვას ვაპირებთ და რა ფიზიკური მოდელის ფარგლებში. წინა პლანზე გამოგვაქვს ცნებითი და მათემატიკური აპარატი. ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ცხადად და გამჭვირვალედ ჩამოყალიბდეს ფიზიკური ცნებები, მათი

შინაარსი, მათი განმარტება, დეფინიცია. ვიმეორებთ, ფიზიკის სწავლების მეთოდიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ცნებით აპარატს და ვფიქრობთ, არანაკლები, ვიდრე მათემატიკურ აპარატს.

აბსოლუტურად დადასტურებულია, რომ ცნებითი ანალიზის მართებული, მოხერხებული გამოყენება მნიშვნელოვნად აადვილებს მათემატიკური აპარატის მეშვეობით მიღებული რთული გამოსახულებების ფიზიკურ შინაარსში გარკვევას ნიუანსებში, მათ შინაგან ლოგიკაში წვდომას. გარკვეულობისათვის მოვიყვანოთ მაგალითი. შევარჩიოთ სტუდენტური აუდიტორიისათვის საკმაოდ პრობლემური საკითხი – იდეალური გაზის მოლეკულების სიჩქარეთა მიხედვით განაწილების მაქსველის კანონი. ფაქტობრივად ეს არის სტატისტიკური ფიზიკის პირველი კანონი. იგი მაქსველმა გამოიყვანა მკაცრი ფიზიკა-მათემატიკური მოსაზრებების საფუძველზე. ფიზიკის სპეციალობის სტუდენტებს ამ კანონს გადასცემენ ზუსტად ისე, როგორც იგი მიიღო მაქსველმა და ეს გამართლებულიცაა, მაგრამ გამოყენებითი ფიზიკის სწავლებისას ვფიქრობთ, სწავლების მეთოდიკა ცოტა სხვაგვარი შეიძლება იყოს.

მაქსველის განანილების კანონი ბუნების ერთ-ერთი ფუნდამენტური კანონია და მისი ცოდნა თანაბრადაა საჭირო როგორც წმინდა ფიზიკოსებისათვის, ასევე ინჟინრებისათვის. აქ მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ გარკვეულ ალტერნატივას – რას მივაქციოთ უპირველესი ყურადღება, მათემატიკურ სიმკაცრესა თუ ამ კანონის ფიზიკურ შინაარსს. ჩვენი ფიქრით, გამოყენებითი ფიზიკის სწავლებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ კანონში შენივთებულ ფიზიკურ შინაარსს და არა იმ ხერხებსა და მათემატიკურ მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც იქნა იგი მიღებული.

ზემოთ მოყვანილი ლოგიკის მიხედვით ვიწყებთ ძირითადი აბსტრაქციიდან – იდეალური გაზის მოდელიდან. ვასაბუთებთ, რატომ უგულებელვყოფთ მოლეკულების ზომებს, პარალელურად კი განვიხილავთ სრულ უაზრობას – მათ შორის შეჯახებებს. რატომ უგულებელვყოფთ მოლეკულებს შორის ურთიერთქმედებას, თუკი ისინი მაინც ახერხებენ ერთმანეთთან შეჯახებას. ეს ხომ თავისთავად ურთიერთქმედების გამოვლინებაა. ვცდილობთ, ამ შინაგან კონფლიქტებს მოვუძებნოთ გონივრული საფუძველი და მსჯელობაში ჩავრთოთ სტუდენტები. გადავდივართ საკითხის დასმაზე – რას ნიშნავს ფრაზა: გაზის მოლეკულების განაწილება სიჩქარეთა მიხედვით. თავიდანვე უარვყოფთ სრულიად უაზრო შესაძლებლობას, რომ გაზის ყველა მოლეკულა მოძრაობს ერთი და იმავე სიჩქარით. ამავე დროს ვაღიარებთ, რომ მოლეკულების მოძრაობისათვის არ არსებობს რაიმე უპირატესი მიმართულება, ანუ ყველა მიმართულება თანაბარალბათურია.

ამრიგად მივდივართ სრულიად ცალსახა დასკვნამდე: იდეალური გაზის მოლეკულები იმყოფებიან სრულიად ქაოსურ სითბურ მოძრაობაში. აქვე ვაღიარებთ ყოველი ცალკეული მოლეკულის მოძრაობის ინდივიდუალური შესწავლის უაზრობას მათი ძალზე დიდი რაოდენობის გამო და გადავდივართ მაქსველის მიერ შემოთავაზებულ მეთოდზე – დავყოთ მოლეკულები ჯგუფებად მათი მოძრაობის სიჩქარეების გარკვეული ინტერვალების (v, v+dv), მიხედვით. აქედან კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია დასმულ ამოცანამდე – განსახილველი n რაოდენობის მოლეკულებიდან მის რა დნ ნაწილს ექნება სიჩქარე, რომელიც მდებარეობს აღებულ (v, v+dv) სიჩქარეთა ინტერვალში. სპეციალურად ვუსვამთ ხაზს, რომ ეს ყველაფერი განიხილება T ტემპერატურის რაღაც შერჩეული მნიშვნელობისთვის. შემოგვყავს მაქსველის კანონის მათემატიკური გამოსახულება გამოყვანის გარეშე და მისი გრაფიკი (ნახ.1):

$$dn=\frac{4}{\sqrt{\pi}}\left(\frac{m}{2kT}\right)^{3/2} nv^2 e^{-\frac{mv^2}{2kT}}$$

აქ m მოლეკულის მასაა, k – ბოლცმანის მუდმივა, v – მოლეკულის მოძრაობის სიჩქარე, dv – სიჩქარეთა შერჩეული ინტერვალის სიგანე, T – ტემპერატურა, n და dn უკვე განმარტებული ტექსტი, e – ნეპერის რიცხვი, ნატურალური ლოგარითმების ფუძე.




ის ფაქტი, რომ მაქსველის განაწილების გრაფიკი იწყება კოორდინატთა სათავიდან, ნიშნავს, რომ იდეალურ გაზში აკრძალულია უძრავი მოლეკულების არსებობა [2]. ეს შედეგი ფიზიკურად სავსებით გასაგებია. რომელიმე მოლეკულა კიდეც რომ „გაჯიუტდეს“ და „გადაწყვიტოს“, არ მიიღოს მონაწილეობა ქაოსურ მოძრაობაში და დარჩეს უძრავად. მას ამის საშუალებას უბრალოდ არ მისცემენ მეზობლები – დაეჯახებიან და ჩაითრევენ მოძრაობაში. გრაფიკის მეორე მხარე (დიდი სიჩქარეებისათვის), სადაც მრუდი ასიმპტოტურად უახლოვდება ნულს, გვიჩვენებს, რომ გაზში არსებობს ძალიან დიდი სიჩქარით მოძრავი მოლეკულები, მაგრამ მათი რიცხვი ძალზე მცირეა. აქვე გადავდივართ მაქსვე-

ლის გრაფიკის მაქსიმუმის შესაბამის საშუალო უალბათეს სიჩქარეზე

$$V_m=\sqrt{\frac{2kT}{m}},$$

მის შინაარსზე და საბოლოოდ ვაყალიბებთ მიღებულ ძირითად შედეგებს: 1) იდეალურ გაზში არ არსებობს უძრავი მოლეკულები; 2) გაზში არსებობს ძალიან დიდი სიჩქარის მოლეკულები, მაგრამ მათი რიცხვი ძალიან მცირეა; 3) იდეალური გაზის მოლეკულების მოძრაობის სიჩქარეთა ზედა ზღვარი განისაზღვრება სინათლის ც სიჩქარით; 4) მოლეკულათა უდიდესი უმრავლესობა მოძრაობს საშუალო უალბათესი და მასთან ახლოს მდგომი სიჩქარეებით.

ეს ინფორმაცია ჩვენ ძირითადად ამოვიღეთ მაქსველის განაწილების კანონის გრაფიკის განხილვიდან, მაგრამ ძალიან ადვილად დავრწმუნდებით, რომ იგივე დასკვნები მიიღება მაქსველის კანონის მათემატიკური ფორმულის ანალიზიდანაც.

დაბოლოს, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ განვიხილავთ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ სქემას, როგორც ერთადერთ ყოვლისმომცველ პანაცეას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ასეთ მიდგომას აქვს არსებობის უფლება, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ იგი გვეხმარება, გამოვიყვანოთ სტუდენტი ერთგვარი „პანიკის ზონიდან“, სადაც იგი ხშირად ვარდება რთულ მათემატიკურ გამოსახულებებთან შეჯახებისას. დინჯი, მიზანდასახული, დამაჯერებელი მსჯელობით შესაძლებელი ხდება მათი დარწმუნება, რომ სავსებით რეალურია ადეკვატური ფიზიკური შინაარსის ამოღება ერთი შეხედვით ძალზე რთული მათემატიკური ფორმულებიდან. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით ნამდვილად ღირს მუშაობა და მცდელობა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. В.Я.Френкель – «Паул Эренфест», Атомиздат, Москва, 1971.
2. დ.ნ.ღონღაძე – „ზოგადი ფიზიკის კურსი“, თბილისი, 1976.


## რეზიუმე


განხილულია კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ შეიძლება გვერდი ავუაროთ ზედმეტ მათემატიზაციას ძირითადი შინაარსობრივი დატვირთვის ყოველგვარი დარღვევის გარეშე. ნიმუშად შერჩეულია იდეალური გაზის მოლეკულების სიჩქარეთა მიხედვით განაწილების მაქსველის კანონი. ფაქტობრივად ეს არის სტატისტიკური ფიზიკის პირველი კანონი, რამაც გარკვეულად განაპირობა კიდეც მისი შერჩევა აღებული შემთხვევისათვის. გარკვეული მოსაზრებების საფუძველზე უპირატესობა ეძლევა მკაცრ მათემატიკურ მტკიცებათა ერთგვარ შემცირებას, ცხადია, ფიზიკური შინაარსის ყოველგვარი გაუბრალოებისა და დაუსაბუთებელი გამარტივების გარეშე. ამრიგად, სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა ფორმულების ფიზიკურ შინაარსზე, მათ ადეკვატურ ინტერპრეტაციაზე. ძირითადი მოტივი ასეთი სქემის შერჩევისას დაკავშირებულია იმ უცილობელ ფაქტთან, რომ საინჟინრო დარგებისათვის უპირატესი და განმსაზღვრელია განსახილველი მოვლენებისა და პროცესების ფიზიკური შინაარსი და შინაგანი ლოგიკა. გარდა ამისა, სწავლების მეთოდიკის ასეთი მიმართულება პოზიტიურად გვეხმარება სტუდენტების გამოყვანაში ე.წ. „პანიკის ზონიდან“, რომელშიც ისინი საკმაოდ ხშირად ვარდებიან დიდ და რთულ მათემატიკურ ფორმულებთან და გარდაქმნებთან შეხებისას.


## Summary


*R. Bablidze,*
M. Chkhaidze



The article draws concrete examples as to how to avoid excessive mathematization in natural and engineering sciences without disrupting the logic of the basic narrative line and profaning the topic taught. To demonstrate the point, the article draws an example of Maxwell's law on the distribution of ideal gas molecules by their velocities. This choice has been largely conditioned by the fact that Maxwell distribution is, in fact, the first law of statics.

The author presents a number of arguments in favour of minimizing, to a certain degree, purely mathematical deliberations in presenting topics, although without any profanation or simplistic presentation of the essence of the taught phenomena. The focus shall be shifted towards concentrating on exploring the physical essence of formulae and their adequate interpretation. The argument in favour of assuming such an approach is supported by the irrefutable fact that the driving motivation of any engineering discipline in studying pertinent phenomena and processes is to gain an insight into their inner physical logics and physical essence.

Moreover, the above suggested approach in teaching methodology helps to drive learners out of the so-called "panic zone" into which they flung quite often when dealing with cumbersome mathematical formulae and transformations.

# უნივერსიტეტის თანამშრომლობა წარმოებასთან – მიღებული გამოცდილებიდან სტრატეგიის დამუშავებამდე

***ალექსანდრე ედიბერიძე,*** *სტუ-ს სრული პროფესორი*
***ოთარ ქართველიშვილი,*** *სტუ-ს სრული პროფესორი*
***ვალიდა სესაძე,*** *სტუ-ს სრული პროფესორი*

თანამედროვე საუნივერსიტეტო სწავლების მისიაა მოამზადოს გლობალური დასაქმების ბაზრის, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი განათლების, უნარ-ჩვევების, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული ცნობიერებისა და ლიბერალური ღირებულებების მქონე მოქალაქე. უნივერსიტეტმა, სტუდენტების ინტელექტუალური, კულტურული და პიროვნული ზრდისათვის უნდა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის უმაღლესი და პროფესიული განათლება. ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტთა არჩევანის თავისუფლებას და აძლევდეს მათ შესაძლებლობას გახდნენ სწავლა-სწავლების პროცესის მთავარი სუბიექტი [1,2].

ღია კონკურენციისა და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებზე დაყრდნობით უნივერსიტეტი მოწოდებულია განუვითაროს თითოეულ სტუდენტს სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა. ამ მიზნის რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისა და ეკონომიკის სექტორის თანამშრომლობის გაუმჯობესება.

პოსტსოციალისტური ქვეყნები დღეს განიცდიან სხვადასხვა სფეროს დაინტერესებულ მხარეთა შორის პარტნიორული ურთიერთობების უკმარისობას. ეს ეხება განათლებასა და მრეწველობას, კომერციას და კულტურას, ხელისუფლებას და საზოგადოებას. საზოგადოების ახალი შემადგენელი ნაწილი, კერძოდ ბიზნესი, ვითარდება სწრაფად, იმ დროს როდესაც საზოგადოების სხვა ნაწილები საკმარისად ნელა რეაგირებენ ნებისმიერ ცვლილებებზე. კერძოდ, მოძველებული ინფრასტრუქტურა უძლურია ჩამოაყალიბოს საწარმოებსა და უნივერსიტეტებს შორის პარტნიორული დამოკიდებულება, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს საბაზრო ეკონომიკის შესაბამის ცოდნას. ეს ფაქტი დიდად აბრკოლებს განვითარებას. წარსულში საწარმოებსა და უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ჩარჩოებში ვითარდებოდა. ძველი მექანიზმები მოიშალა, ახალი კი ჯერ კიდევ არაა შექმნილი თანამედროვე საზოგადოების ახალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

აღნიშნული პროექტი შემუშავებულია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს უნივერსიტეტისა და საწარმოს თანამშრომლობით დაინტერესებული ყველა პირის მოთხოვნილებები [1].

უნივერსიტეტის ფარგლებში უნდა შეიქმნას სტრუქტურული ერთეულები უნივერსიტეტის იმ სექტორების ძალისხმევის კოორდინაციისათვის, რომლებიც შექმნილია საწარმოებთან ურთიერთობით მიღებულ ახალ შესაძლებლობათა გამოყენების მიზნით.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული Tempus-ის პროექტი Cap4Com (Capacity for Competency), რომელიც მიზნად ისახავს სომხეთში, საქართველოსა და უკრაინაში "უნივერსიტეტი-საწარმო" თანამშრომლობის გაძლიერებას კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების გზით. გადაწყვეტილება წინამდებარე პროექტის დაფინანსების შესახებ ევროგაერთიანების საგანმანათლებლო, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებული სააგენტომ 2011 წლის Tempus-ის საგრანტო კონკურსის საფუძელზე მიიღო. პროექტის მიზნები და შინაარსი თავსებადია ლონდონის კომუნიკესთან. ლონდონის კომუნიკეში, ბოლონიის პროცესის ხელმომწერი მინისტრები აღნიშნავენ: „ჩვენი მიზანია, უზრუნველვყოთ, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მუდამ გააჩნდეთ ისეთი რესურსები, რაც აუცილებელია მათი მიზნების განხორციელებისთვის. ეს მიზნებია: სტუდენტების მომზადება დემოკრატიულ საზოგადოებაში აქტიური მოქალაქეობისთვის, მომავალი კარიერისთვის და პიროვნული განვითარებისთვის; ფართო, თანამედროვე ცოდნის მიცემა და კვლევისა და ინოვაციის ხელშეწყობა. ჩვენ მოვუწოდებთ დაწესებულებებს, უფრო მეტად განავითარონ პარტნიორობა და თანამშრომლობა დამსაქმებლებთან სწავლის შედეგებზე დაფუძნებული ინოვაციური კურიკულუმის შემუშავების პროცესში".

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ტემპუსის საგრანტო პროექტის „უნივერსიტეტი საწარმოს თანამშრომლობის გაძლიერება კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების გზით, უკრაინაში, სომხეთსა და საქართველოში", მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტებისა და საწარმოებისა თუ ფირმების მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ევროპაში დამკვიდრებული „კარგი პრაქტიკის" გაზიარების გზით. პროექტში ჩართული უნივერსიტეტები ვალდებული არიან შექმნან სტრუქტურული ერთეული, რომელიც კოორდინაციას გაუწევს საწარმოებთან თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობების შექმნას. პროექტში ჩართულია აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო პალატა, რომელმაც ინიცირება უნდა გაუკეთოს ბიზნესის სექტორს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობისთვის, რაც გულისხმობს ცოდნის გადაცემისა და ინოვაციური პროდუქციის დან-

ერგვის გზით კონკურენტუნარიანობისა და მოგების გაზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ საგანმანათლებლო პროგრამები გამოყენებით დარგებში (ინჟინერია, სასურსათო ტექნოლოგიები, სატყეო საქმე, აგროინჟინერია, ტელეკომინიკაცია, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ქიმიური ტექნოლოგიები და ა.შ.) ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებს საკმარისი პრაქტიკული უნარებით, პრაქტიკის ბაზების არქონის, ან მოძველებული ლაბორატორიების გამო.

ბონის დეკლარაციის თანახმად: "HEIs—მა უნდა ააგოს საწარმოსა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის სტრატეგია, მისი მისია და გეგმა". გარდა ამისა ,ცხადია, რომ "HEIs-ი მოითხოვს უნივერსიტეტი-საწარმოს შესაბამისად აღჭურვილ პროფესიონალურ განყოფილებებს უმაღლესი ხელმძღვანელობისადმი წვდომით და სტრატეგიული დაგეგმვის ფუნქციით. ეს უნდა იყოს ცენტრალური და არა პერიფერიული განყოფილება. მათი საბოლოო მიზანი უნდა განისაზღვროს შემდეგი ძირითადი სფეროების შესაბამისად: სწავლება, კვლევა, სასწავლო გეგმის სრულყოფილება, ხარისხის გარანტია.

საწარმოს უნივერსიტეტთან ურთიერთობის საქმიანი მოთხოვნილება უკავშირდება მის კონკურენტუნარიანობას, სარგებლის მიღებას ცოდნის გადაცემიდან, ინოვაციური პროდუქტის შექმნასა და კვალიფიციური ადამიანური რესურსის მომზადებას. საწარმოს არ შესწავს ძალა დამოუკიდებლად გაართვას თავი იმ გამოწვევებს, რაც უკავშირდება ტექნოლოგიურ კვალიფიკაციას, რომელსაც მოითხოვს თანამედროვე ეკონომიკა.

2012 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერ sitet-SiCap4Com პროექტის მიხედვით შეიქმნა წარმოებასთან კავშირის ხელშემწყობი საინოვაციო ცენტრი ევროგაერთიანების პროექტის თემპუს-ის საფუძველზე. ცენტრის მიზნები და ამოცანები დამუშავდა ევროპის შემდეგი მოწინავე უმაღლესი სასწავლებლებისა ცენტრების მონაწილეობით:

· გენტის კათოლიკური უნივერსიტეტი სენტ-ლივენი (ბელგია), პროექტის კოორდინატორი;

· ანესის ოტ-სავუას უნივერსიტეტი (საფრანგეთი);

· ქოვენთრის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);

· აალენის უნივერსიტეტი (გერმანია);

· შტაინბაისის ტექნოლოგიური ცენტრი (გერმანია);

· აღმოსავლეთ ფლანდრიის სავაჭრო პალატა (ბელგია).

აღნიშნულ უნივერსიტეტებსა და ცენტრებს აქვთ ტრენინგების დიდი გამოცდილება მცირე ბიზნესისა და წარმოების სფეროში მომუშავე პერსონალისათვის.

წარმოებასთან კავშირის ხელშემწყობი საინოვაციო ცენტრის მიზანია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო პროცესების ოპტიმიზაცია და მართვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ტექნოლოგიებით შეიარაღება, სასწავლო პროგრამებში დამატებითი საგნების ჩართვით საწარმოების დაკვეთით და დაფინანსებით. ფართოდ გამოყენებული იქნება საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება საწარმოებთან კავშირის დამყარების სახით.

წარმოებასთან კავშირის ხელშემწყობი საინოვაციო ცენტრის სამუშაო გეგმა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

· ფაკულტეტების და გარე ორგანიზაციების პოტენციალის შესწავლა (მონაცემთა ბაზის შექმნა);

· საწარმოო ორგანიზაციების დაკვეთით სტუდენტების მიზნობრივი მომზადება;

· სტუდენტთა საწარმოებში პრაქტიკის გავლის პროცესის ხელშეწყობა;

· საშუალო სკოლებში გამოყენებითი საგნების ათვისების პროცესის შესწავლა პროფესიული ორიენტაციის მიზნით;

წარმოებასთან კავშირის ხელშემწყობი საინოვაციო ცენტრი უზრუნველყოფს:

· საწარმოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას ინტერნეტ-ტრენინგების ჩატარებით;

· საწარმოს თანამშრომლების მოწვევას უნივერსიტეტის საბჭოებსა და კოლეგიებში;

· ცენტრის დახმარებით საინჟინრო ფაკულტეტებისათვის დამატებითი სპეციალობის „ინტერნეტ-ტექნოლოგიების" საბაკალავრო 60 კრედიტიანი პროგრამის შემოღება;

· კონფერენციების, სიმპოზიუმებისა დასხდომების ონლინე-რეჟიმებში ჩატარება.

· საწარმოებთან ურთიერთობის სიახლეების ცენტრი სტუ-ში გაიხსნება 2013 წლის იანვარში, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთობის გაძლიერებას საწარმოებსა და უნივერსიტეტს შორის, საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებას, დაეხმარება სტუდენტებს თანემედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში. მთავარი მიზანია დამყარდეს კონტაქტი კომპანიებსა, კვლევით და საგანმანათლებლო ინსტიტუტებს შორის.

ამრიგად, Tempus-is proeqti Cap4Com შეიქმნა, იმისათვის რათა შეუსაბამოს განათლების სისტემა საბაზრო ეკონომიკისა და საზოგადოების მოთხოვნებს, რაც საშუალებას მოგვცემს დამყარდეს პარტნიორული ურთიერთობა უნივერსიტეტებსა და სხვადასხვა საწარმოებსა და ბიზნესის ფართო სპექტრს შორის.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Cap4Com: university & enterprise cooperation. http://www.cap4com.eu/

2. Сесадзе В.К., Сесадзе Н.К., Чикадзе Г.В. Методы синергетики в образовании. Международная научно-образовательная конференсия «Наука в вузах: Математика., Физика, информатика» Москва Март 2009 г. ст. 911-914


SUMMARY


A.Ediberidze,
O.QarTvelishvili,
V.Sesadze


**University-Enterprise Partnership – from Good Practice to Strategy**


Kywords: university, business, project Tempus, Cap-4Com, EU, innovation centers



The article is dedicated tobuilding capacity for University-Enterprise partnerships towards competency.Cap-4Com is a Tempus project funded by the European Union.Cap4Com was created to make higher education relevant to current market economy and needs of society. It is aimed to the partnership of universities with wide range of enterprises and businesses.Post-soviet countries currently experience a lack of partnership among stakeholders from different sectors: education and industry, commerce and culture, authorities and society. New elements of society, especially business, develop faster while the other parts of society react slowly to any changes. In particular, infrastructure is incapable to support university-enterprise partnership, which is demanded by knowledge based market economy. This fact drastically hinders development. In the past, relations of universities and enterprises were coordinated within the command-administrative system. While the old gears have gone, nothing was created to address new needs of modern society.

# კრიპტოგრაფიაში ცნობილი ასიმეტრიული სისტემის დიფიჰელმანმერკლეს ალგორითმის გატეხვის მცდელობა (ნაწილი II)

*გულნარა კოტრიკაძე,*
*სტუ-ს აკად. დოქტ.*

მოგეხსენებათ, რომ კრიპტოგრაფია ინფორმაციის დაცვისა და დასაიდუმლოების სამეცნიერო ტექნიკური დარგია. კრიპტოგრაფია წარმოადგენს მონაცემების გარდაქმნის ისეთი მეთოდების ერთობლიობას, რომელთა გამოყენების შედეგად, მიღებული გარდაქმნილი მონაცემების გადაცემისას, შესაძლებელი ხდება კონფიდენციალურობისა და ინფორმაციის მთლიანობის დაცვის პრობლემების გადაწყვეტა.

კონფიდენციალურობის ქვეშ იგულისხმება პირადი ინფორმაციის (გამოძიების, სამხედრო ინფორმაციის და ა.შ.) საიდუმლო გადაცემა. არაკანონიერი მიმღები (ჰაკერი), კავშირის არხიდან, ვერ იღებს მისთვის სასურველ ინფორმაციას მთლიანობაში. ინფორმაციის მთლიანობაში იგულისხმება მისი შეუცვლელობა.

საზოგადოდ, ინფორმაციული უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება, როგორც გადასამუშავებელი ასევე, შესანახი და გადასაცემი მონაცემების დაცვა არაკანონიერი მომხმარებლისგან. ინფორმაციის დაცვის საშუალებათა უმეტესობა ემყარება კრიპტოგრაფიული შიფრებისა და დაშიფვრა-გაშიფვრის პროცედურების გამოყენებას. შიფრის განსაზღვრების ქვეშ იგულისხმება შიფრის გასაღებისა და კრიპტოგრაფიული ალგორითმით მოცემული შექცევადი გარდაქმნის საშუალებით, ღია მონაცემების სიმრავლის ასახვა, დაშიფრული მონაცემების სიმრავლეზე. შიფრის ძირითადი მახასიათებელია კრიპტომედეგობა, რომელიც განსაზღვრავს შიფრის სიმტკიცეს კრიპტოანალიზის მეთოდებით მისი გაშიფვრის მცდელობისას. ეს მახასიათებელი განისაზღვრება იმ დროის ინტერვალით, რომელიც საჭიროა შიფრის გასახსნელად. კრიპტოგრაფიული შიფრი ითვლება უდავოდ მედეგად, თუ კრიპტოანალიტიკოსისთვის ღია ტექსტის აღდგენა შეუძლებელია ნებისმიერი მოცულობის შიფროტექსტის ცოდნის შემთხვევაში [1,5].

**ძირითადი ნაწილი**

**დიფი-ჰელმან-მერკლეს ალგორითმის მედეგობის ხარისხი**

ინფორმაციის კრიპტოგრაფიული დაცვისთვის გამოყენებული შიფრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა ხასიათდებოდეს მაღალი კრიპტომედეგობით;
- დაშიფვრისა და გაშიფვრის პროცესი უნდა იყოს ასიმეტრიული;
- დაშიფვრისა და გაშიფვრის პროცედურა უნდა იყოს მარტივი და სწრაფი;
- დაშიფრული ინფორმაციისათვის დასაშვებია უმნიშვნელო სიჭარბე;
- შიფრი არ უნდა იყოს მგრძნობიარე დაშიფვრის პროცესში დაშვებული მცირეოდენი შეცდომების მიმართ;
- კრიპტომეთოდის ალგორითმის უკუ გზა არ უნდა არსებობდეს.

კრიპტოანალიტიკოსი ინფორმაციის დაშიფვრის გასაღების გამოსათვლელად, მის ხელთ არსებული საწყისი მონაცემებიდან გამომდინარე, ასრულებს ქვემოთ განხილული კრიპტოანალიზური შეტევებიდან ერთ-ერთს:

1. კრიპტოანალიზური შეტევა, როცა ცნობილია მხოლოდ შიფრტექსტი;
2. კრიპტოანალიზური შეტევა, როცა ცნობილია ღია ტექსტი;
3. კრიპტოანალიზური შეტევა ღია ტექსტის არჩევის შემთხვევაში;
4. კრიპტოანალიზური შეტევა ღია ტექსტის ადაპტური შერჩევით;
5. კრიპტოანალიზური შეტევა არჩეული შიფრტექსტის გამოყენებით;
6. კრიპტოანალიზური შეტევა გასაღებების ყველა შესაძლო ვარიანტების გადარჩევის მეთოდით;
7. ბანდიტური კრიპტოანალიზი (შანტაჟი, წამება, ქრთამი და ა.შ.).

კრიპტოგრაფიაში არსებობს ორი სახის სისტემა – სიმეტრიული (დახურული) და ასიმეტრიული (ღია).

სიმეტრიულ სისტემებში გამოიყენება ერთი გასაღები, როგორც დასაშიფრად ასევე გასაშიფრად, ხოლო ასიმეტრიულში გამოიყენება ორი გასაღები, ერთი დასაშიფრად და მეორე გასაშიფრად, ასევე გამოიყენება დამატებითი პარამეტრი ნამდვილობის შესამოწმებლად.

სიმეტრიული სისტემის დიფი-ჰელმან-მერკლეს ალგორითმი ეყრდნობა გალუას GF(p) მარტივ ველში ლოგარითმების გამოთვლის სირთულეს [1,2].

| I მომხმარებელი | | II მომხმარებელი |
|---|---|---|
| $X_1=3$ | | $X_2=2$ |
| $Y_1=a^{X1} \bmod p = 2^3 \bmod 11 = 8$ | $\longrightarrow$ | $8^{X2} \bmod p = 8^2 \bmod 11 = 9 = k$ |
| $4^{X1} \bmod p = 4^3 \bmod 11 = 9 = k$ | $\longleftarrow$ | $Y_2 = a^{X2} \bmod p = 2^2 \bmod 11 = 4$ |

დასაშიფრი გასაღები k=9, ეხლა ვიპოვოთ გასაშიფრი გასაღები $k \times x = 1 \bmod (p-1)$ .

$9 \times x = 1 \bmod (11-1)$ ანუ $9 \times x = 1 \bmod (10)$, x = 9. ამის შემდეგ დავშიფროთ და შემდგომ გავშიფროთ ტექსტი. ტექსტიდან ამოვიღოთ რაიმე ციფრი, მაგალითად, როგორიცაა m=5. დაშიფვრის შედეგად მიიღებს შემდეგ სახეს: $m^k(\text{modp}) = 5^9(\text{mod}11) = 9$, ღია არხით ეგზავნება მეორე მომხმარებელს, მეორე მომხმარებელი გამოიყენებს მეორე გასაშიფრ გასაღებს: $9^x(\text{modp})=9^9(\text{mod}11)= 5=m$, რ.დ.გ.

მესამე არაკანონიერი მომხმარებლისთვის (ჰაკერი) ცნობილია შემდეგი პარამეტრები: p, a, y1, y2. მიუხედავად ამისა, მესამე პირისათვის დღესდღეობით რეალურ დროში, შეუძლებელია ალგორითმის გატეხვა, რადგან $x_1=\log_a y_1(\text{modp})=\log_2 8(\text{mod}11)$, $x_2=\log a y_2(\text{modp})=\log_2 4(\text{mod}11)$, ძალიან ბევრი x1 და x2 მოიძებნება ისეთი, რომლებიც დააკმაყოფილებენ აღნიშნულ ტოლობებს. ანალოგიურად, $m^k(\text{modp}) = m^{k<p}(\text{mod}11) = 9$, აღნიშნული ტოლობიდან $k=\log_m 9(\text{mod}11)$, ძალიან ბევრი k გასაღები მოიძებნება ისეთი, რომელიც დააკმაყოფილებს აღნიშნულ ტოლობას, მაგრამ პარალელურად ამისა უნდა მოიძებნოს გასაშიფრი გასაღები $k \times x = 1 \bmod (p-1)$, $1 \le k,x \le p-1$.

თუ აღნიშნული კუთხით მიუდგებით მეთოდის გატეხვის მცდელობას, რეალურ დროში მეთოდი არ გატყდება, ამიტომ ალგორითმის გატეხვისათვის უმჯობესია მივმართოთ სხვა გზას. ავიღოთ კონკრეტული p მოდულის მნიშვნელობა, ჩამოვწეროთ ყველა შესაძლო k და x გასაღებთა წყვილების მნიშვნელობები, ამოვყაროთ (p-1) მოდულის ჯერადი რიცხვები და დარჩენილი წყვილებიდან დავადგინოთ კანონზომიერება.

როცა p=11, მაშინ ნებისმიერი a, $x_1$ და $x_2$ პარამეტრებისათვის არსებობს მხოლოდ ოთხი წყვილი გასაღებებისა, როგორიცაა $(K_1,X_1) = (1,11)$, $(K_2,X_2)=(3,7)$, $(K_3,X_3)=(7,3)$, $(K_4,X_4)=(9,9)$. გასაღებთა წყვილი ყოველთვის შედგება კენტი რიცხვებისაგან $k<p$, $x<p$.

როცა p=13, მაშინ ნებისმიერი a, $x_1$ და $x_2$ პარამეტრებისათვის არსებობს მხოლოდ ოთხი წყვილი გასაღებებისა, როგორიცაა $(K_1,X_1)=(1,13)$, $(K_2,X_2)=(5,5)$, $(K_3,X_3)=(7,7)$, $(K_4,X_4)=(11,11)$. გასაღებთა წყვილი ყოველთვის შედგება კენტი რიცხვებისაგან $k<p$, $x<p$ .

როცა p=17, მაშინ ნებისმიერი ა, ხ1 და ხ2 პარამეტრებისათვის არსებობს მხოლოდ რვა წყვილი გასაღებებისა, როგორიცაა $(K_1,X_1)=(1,17)$, $(K_2,X_2)=(3,11)$, $(K_3,X_3)=(5,13)$, $(K_4,X_4)=(7,7)$, $(K_5,X_5)=(9,9)$, $(K_6,X_6)=(11,3)$, $(K_7,X_7)=(13,5)$, $(K_8,X_8)=(15,15)$. გასაღებთა წყვილი ყოველთვის შედგება კენტი რიცხვებისაგან $k<p$, $x<p$ .

როცა p=19, მაშინ ნებისმიერი a, $x_1$ da $x_2$ პარამეტრებისათვის არსებობს მხოლოდ ექვსი წყვილი გასაღებებისა, როგორიცაა $(K_1,X_1)=(1,19)$, $(K_2,X_2)=(5,11)$, $(K_3,X_3)=(7,13)$, $(K_4,X_4)=(11,5)$, $(K_5,X_5)=(13,7)$, $(K_6,X_6)=(17,17)$. გასაღებთა წყვილი ყოველთვის შედგება კენტი რიცხვებისაგან $k<p$, $x<p$

როცა p=23, მაშინ ნებისმიერი a, $x_1$ da $x_2$ პარამეტრებისათვის არსებობს მხოლოდ ათი წყვილი გასაღებებისა, როგორიცაა $(K_1,X_1)=(1,23)$, $(K_2,X_2)=(3,15)$, $(K_3,X_3)=(5,9)$, $(K_4,X_4)=(7,19)$, $(K_5,X_5)=(9,5)$, $(K_6,X_6)=(13,17)$, $(K_7,X_7)=(15,3)$, $(K_8,X_8)=(17,13)$, $(K_9,X_9)=(19,7)$, $(K_{10},X_{10})=(21,21)$. გასაღებთა წყვილი ყოველთვის შედგება კენტი რიცხვებისაგან $k<p$, $x<p$ .

როცა p=29, მაშინ ნებისმიერი a, $x_1$ და $x_2$ პარამეტრებისათვის არსებობს მხოლოდ თორმეტი წყვილი გასაღებებისა, როგორიცაა $(K_1,X_1)=(1,29)$, $(K_2,X_2)=(3,19)$, $(K_3,X_3)=(5,17)$, $(K_4,X_4)=(9,15)$, $(K_5,X_5)=(11,23)$, $(K_6,X_6)=(13,13)$, $(K_7,X_7)=(15,15)$, $(K_8,X_8)=(17,5)$, $(K_9,X_9)=(19,3)$, $(K_{10},X_{10})=(23,11)$, $(K_{11},X_{11})=(25,9)$, $(K_{12},X_{12})=(27,27)$. გასაღებთა წყვილი ყოველთვის შედგება კენტი რიცხვებისაგან $k<p$, $x<p$ და ა.შ [3,6].

ზემოაღნიშნულ დაკვირვებას თუ გავაგრძელებთ, შეგვიძლია დავამტკიცოთ, რადგან დასაშიფრი და გასაშიფრი გასაღებთა წყვილი გამოითვლება ლუწი მოდულით

$k \times x=1(\text{mod}(p-1))$,

ამიტომ ყოველთვის კ დასაშიფრი და ხ გასაშიფრი გასაღებთა წყვილი მიიღება კენტი რიცხვები, ოლონდ ისეთი რომელსაც არ ექნება საერთო ჯერადი (p-1)-თან. მესამე პირმა (ჰაკერმა) იცის p მოდული, აქედან გამომდინარე მისთვის შესაძლებელია საიდუმლო რიცხვების გარეშე (რომელიც აირჩიეს მომხმარებლებმა ერთმანეთის დამოუკიდებლად, რომელიც მას საერთოდ არ სჭირდება და მის ძებნას ნამდვილად არ დაიწყებს), p მარტივი რიცხვის(მოდულის) საშუალებით იპოვოს ყველა შესაძლო წყვილი გასაღებებისა, მაგრამ შემდეგ მოუწევს ამ გასაღებთა სიმრავლიდან გადარჩევა.

გარდა ამისა, რაც ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის დაშიფვრა-დეშიფრაციის დროს – ეს არის ინფორმაციის ნამდვილობის შემოწმება. ანუ საწყისმა მომხამარებელმა უნდა დაშიფროს ინფორმაცია

გასაღებთა წყვილიდან დასაშიფრი ღია გასაღებით, მიღებულ შიფროტექსტს უგზავნის მიმღებ მხარეს ღია ყველასათვის ხელმისაწვდომი არხით. შემდგომ მიმღები მიღებულ დაშიფრულ ინფორმაციას გაშიფრავს გასაღებთა წყვილიდან შესაბამისი მეორე გასაღებით (რომლებიც არის ურთიერთშებრუნებული) და მიიღებს საწყის ინფორმაციას.

ვთქვათ, ჰაკერმა ხელთ ჩაიგდო დაშიფრული ტექსტი, რომელიც ღიად იგზავნება და ქსელი არ არის დაცული. მიმღებ მხარეს უნდა შეეძლოს მიღებული დაშიფრული ინფორმაციის ნამდვილობის შემოწმება. ანუ ღიად გადაცემის პროცესში შესაძლებელია ჰაკერმა შეცვალოს დაშიფრული ტექსტი (მისთვის მეთოდი ცნობილია), ე.ი. ალგორითმი ცნობილია, ამიტომ მას შეუძლია თავისი ტექსტი დაშიფროს და ის გაუგზავნოს მიმღებ მხარეს, ამიტომ მიმღებს უნდა შეეძლოს მიღებული ტექსტის ნამდვილობის დადგენა, რაც აღნიშნულ მეთოდში არ არის გათვალისწინებული.

გარდა ამისა, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გასაღების გამოთვლის პროცესიც ხდება ღია არხით, ეს დადებითი მხარეა ღია არხით რომ ხდება პროცედურები თუმცა, ჰაკერს შეუძლია გასაღების გამოთვლის პროცესში პირველი მომხმარებლის მიერ ღიად გაგზავნილი პარამეტრი შეცვალოს თავისი გამოთვლილით, მიმღები კი გააგრძელებს პროცესს მიიღებს გასაღებს, შემდეგ მოახდენს უკუპროცესს. ასე რომ გასაღებს მიიღებს ჰაკერი და მიმღები მხარეები, რაც რათქმაუნდა მიუღებელია. ამიტომ გარდა იმისა, რომ დაშიფრულ ინფორმაციასაც სჭირდება შემოწმება, ასევე სჭიდება გასაღების გამოთვლის პროცესსაც, რაც მეთოდში არ არის ჩადებული, რაც მის საიმედოობას საეჭვოს ხდის [4-6].

გასაღებთა წყვილის მნიშვნელობები, ყოველთვის იქნება კენტი რიცხვები, რადგან (პ-1) მოდული ყოველთვის დაჯდება ლუწი რიცხვი და (პ-1)-ის ჯერადი, ლუწი რიცხვები, გასაღებთა სიმრავლიდან ამოვარდება. შესაბამისად გასაღებთა წყვილის რაოდენობა საგრძნობლად შემცირდება, იქნება მხოლოდ კენტი რიცხვები და კენტი რიცხვებიდანაც არა ყველა. ამით ჰაკერი გადარჩევის თვალსაზრისით, საგრძნობლად მოიგებს დროში და არა მხოლოდ.

ე.ი. ჰაკერს, რადგან ალგორითმში არ არის გათვალისწინებული ნამდვილობის შემამოწმებელი კოდები, შეუძლია გასაღებთა ყველა შესაძლო წყვილის გამოთვლა, გარდა ამისა შეუძლია ჩაერთოს როგორც გასაღების გამოთვლის პროცესში ასევე შიფროტექსტის შეცვლაში, რაც მეტყველებს მეთოდის დაბალ მედეგობაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. Т. Касами, Н. Ток ура, Е. Ивадари, Я. Инагаки, Теория кодирования, М., Мир, 1978г.
2. B. Shneier, Applied Cryptography, John Wiley and Sons. Inc. New York. 1996г.
3. Б. Шнайер. „Прикладная криптография“. Издательство ТРИУМФ. 2003г.
4. Андерсон. Джеймс. „Дискретная математика и комбинаторика“. Издательство дом „Вильямс“. 2003г.
5. ვ.კუციავა, გ.კაცაძე, ქ.დიაკონიძე, „ინფორმაციის დაცვა“, სტუ, 2005წ.
6. Н. Смарт, Криптография, М., Технисфера, 2005г.



### Summary

G. Kotrikadze

**In an Attempt to Break the Cryptography Algorithm of Dipi-Helman–Merkle**

The paper presents the possibility of cryptography, meaning and purpose. The crypto requirements and ways cryptography attacks. The dipi - helman - merkles method described in the examples and ways of breaking the algorithm and verifying the authenticity of options.



### რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია კრიპტოგრაფიის შესაძლებლობა, არსი და მიზანი. მოცემულია შიფრის მოთხოვნები და კრიპტოანალიზური შეტევების გზები. მოცემულია დიფი—ჰელმან-მერკლეს მეთოდი თავისი მაგალითით და აღწერილია ალგორითმის გატეხვის გზები და ნამდვილობის დამადასტურებელი პარამეტრები.

# სოციალური ქსელები და კიბერდანაშაული

***გურამ ჯოლია***
*, სტუ-ს სრული პროფესორი*
***თამარ აბუაშვილი,***
*სტუ-ს დოქტორანტი*

დღეს სოციალური მედია დიდი პოპულარობით სარგებლობს. სოციალურ ქსელებსა და ბლოგებს სტუმრობს მსოფლიოს ინტერნეტ-მომხმარებელთა სამ მეოთხედზე მეტი.

სოციალური ინტერნეტ-ქსელების ისტორია 1970-იანი წლების ბოლოდან დაიწყო, როდესაც შეიქმნა BBS-Bulletin Board Sistem - განცხადებების დაფის სისტემა-ონლაინური შეხვედრების ადგილი, რომელიც საშუალებას აძლევდა მომხმარებლებს სპეციალური კოდების საშუალებით დაემყარებინათ კომუნიკაცია ცენტრალურ სისტემასთან, საიდანაც შეიძლებოდა ფაილების ან თამაშების გადმოთვირთვა და სხვა მომხმარებლებისათვის შეტყობინებების პოსტინგი. BBS სისტემაში შესვლა ტელეფონით ხდებოდა და მას იმ დროისათვის იშვიათი კომპიუტერული სისტემებისა და ტექნოლოგიების სპეციალისტები მიმართავდნენ. ისინი წევრებს ძირითადად ინტერესთა ჯგუფების ან სოციალური ასპექტების მიხედვით აჯგუფებდნენ. ეს სისტემა 1980-იან წლების ბოლომდე მოქმედებდა, ხოლო 1991 წლიდან, როდესაც ინტერნეტი ფართო მოხმარებისათვის გაიხსნა, სოციალური ქსელების ახალი თაობა ტომ ჯენინგსის FidoNet-ი წარმოიშვა, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა მრავალი ადრე ჩაკეტილი BBS სისტემა.

უკვე რამდენიმე წელია სოციალური ქსელები ინტერნეტ-მერკეტინგის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეჭვიც არ არის, რომ ეს ფენომენი უფრო გაძლიერდება. რა თქმა უნდა, კორპორატიული ამერიკა ტწიტტერ, ლინკედლნ, ფაცებოოკ, youtube—ის საშუალებით მრავალ მომხმარებელს პოულობს, მათ უკვე google+ -ის საშუალებითაც დაიწყეს მომხმარებლის მოზიდვა.

მსოფლიო ბანკის მინაცემების მიხედვით, საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით მე-12 ადგილს იკავებს მსოფლიოში.

ერთ-ერთი ცნობილი მოაზროვნე სტივენ ჯონსონი საუბრობს იმაზე, თუ საიდან მოდის კარგი იდეები, თუ როგორ შეცვალა ინტერნეტმა კომუნიკაცია და საშუალება მოგვცა ჩვენი იდეების განვითარებისათვის და თანამოაზროვნეების პოვნისთვის.

ვებ-საიტი, როგორც ცნობილია, დღეს საზოგადოებასთან და მიზნობრივ ჯგუფებთან კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვებ-საიტი კომპანიისათვის, განსაკუთრებით კი მცირე ბიზნესისათვის საჭირო რესურსია.[1]

ვებ-საიტი ცნობადობის გაზრდაში გვეხმარება. ცხადია, მცირე ბიზნესის შესახებ მედია წყაროები არ საუბრობენ, ვებ-საიტის შექნის შემთხვევაში ინფორმაცია მედიაში თუ არა, ინტერნეტში მაინც გამოჩნდება.

ვებ-საიტზე უნდა იყოს ინფორმაცია ბიზნესის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია კომპანიასთან, ინფორმაცია თქვენს პროდუქციაზე და თქვენს საქმიანობაზე. კარგი იქნება თუ ვებ-საიტზე განათავსებთ ბლოგს, რა თქმა უნდა, თქვენი მიზნობრივი ჯგუფებისთვის საინტერესო პოსტებით. ეს თქვენს საიტზე მომხმარებლების დაინტერესებას გაზრდის და დაგეხმარებათ საიტი გამოჩნდეს ცნობად საძიებო სისტემებში.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საიტის დიზაინს: ვებ-საიტზე განთავსებული ყველა ბმული უნდა იყოს მოქმედი, ყოველი გვერდი სწრაფად იხსნებოდეს და საიტის სტრუქტურა ადვილად გასაგები იყოს რიგითი მომხმარებლისათვის.

მართალია, სხვადასხვა კომპანიაში ვებ-საიტი ექვემდებარება მარკეტინგის, ან მედიასთან ურთიერთობის მენეჯერს, მაგრამ უკეთესია, როდესაც ვებ-საიტი არის PR მენეჯერის კომპეტენციაში. ამ შემთხვევაში ვებ-საიტი სწორედ შეძლებს კომპანიის იმიჯის ამაღლებას, ბრენდის მახასიათებლების გადმოცემას და მომხმარებლის კეთილგანწყობილების გაძლიერებას.[2]

ინტერნეტი ბოლო წლებში ინფორმაციის პირველად წყაროდ იქცა. ეს იმიტომ, რომ ხალხი ტელევიზორში კომერციული რეკლამებით გაჟღენთილი ახალი ამბების ყურებას, ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებას არჩევს. მაგრამ მომხმარებელი ინტერნეტს უმეტესწილად ინფორმაციის გასაგებად კი არა, კომუნიკაციისთვის იყენებს. მაგ: ელ-ფოსტა, სოციალური ქსელები, ჩეთი, მესინჯერი და ა.შ.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ინტერნეტი შეუმჩნევლად იქცა უამრავი ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. 2011 წლის მონაცემებით თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში უკვე მოსახლეობის 50%-ზე მეტი იყენებს ინტერნეტს. შედარებით მცირეა მომხმარებელთა რაოდენობა საქართველოს სხვა ქალაქებში.

1 Гречков В.Ю. Современное состояние и перспективы электронной коммерции (маркетинговый подход). Журнал: `Маркетинг в России и за рубежом. №6 / 2003. № 4.

2 Туватова В.Е. Использование интернет-технологий в маркетинге туризма. журнал: `Маркетинг в России и за рубежом~. №2 / 2005.

1990-იანი წლების შუა პერიოდიდან შეიქმნა ჯა-ჰოო, Amazon-ზე დაიწყო წიგნების გაყიდვა და 1995 წელს შეიქმნა პირველი თანამედროვე ტიპის სოციალური ქსელი ჩლასსმატეს.ცომ, რომელსაც დღესაც 40 მლნ წევრი ჰყავს.

Facebook 2004 წელს მხოლოდ ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის კამპუსზე კომუნიკაციის მიზნით შეიქმნა და ასეთად დარჩა ორი წლის განმავლობაში, ხოლო 2006 წელს გაიხსნა ფართო საზოგადოებისათვის. დღეს მას სხვადასხვა მონაცემებით 1 მილიარდ 750 მილიონზე მეტი წევრი ჰყავს და მისი წარმატების მიზეზია სიმარტივე, მრავალფეროვნება, რეკლამების განთავსების კარგი ადგილმდებარეობა. იგი სიამოვნებას ანიჭებს მომხმარებლებს და ინვესტორებსაც იზიდავს და დღეს ყველაზე პოპულარულ სოციალური ქსელია.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობასთან ერთად, გაიზარდა მოხმარების სიხშირეც. სავარაუდოდ ამის მიზეზი გახდა ის, რომ კომპიუტერის გარდა ინტერნეტის მოხმარება დაიწყეს ტელეფონით, იჭად-ით და უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა უკვე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და კაფეებში გახდა შესაძლებელი.[3]

2013 წელს ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია ფაცებოოკ, რომელსაც თვეში საშუალოდ 750 მლნ ადამიანი სტუმრობს. შემდეგ პოზიციებს იკავებს თწიტტერ, გინკედინ და ა. შ. (ცხრ.1).

ცხრ. 1. სოციალური ქსელების პოპულარობა მსოფლიოში (2013)

| № | სოციალური ქსელი | ვიზიტი თვეში (მლნ) |
|---|---|---|
| 1. | Facebook | 750 |
| 2. | Twitter | 250 |
| 3. | Linkedin | 110 |
| 4. | Pinterest | 85,5 |
| 5. | MySpace | 70,5 |
| 6. | Google Plus+ | 65 |
| 7. | DeviantArt | 25,5 |
| 8. | LiveJournal | 20,5 |
| 9. | Tagged | 19,5 |
| 10. | Orkut | 17,5 |
| 11. | CafeMom | 12,5 |
| 12. | Ning | 12 |
| 13. | Meetup | 7,5 |
| 14. | Mylife | 5,4 |
| 15. | Multiply | 4 |

წყარო: www.ebizmba.com

ქართველ ინტერნეტ-მომხმარებლებში სოციალური ქსელები დიდი პოპულარობით სარგებლობს. ინტერნეტიზაციის ხარისხისა და დაფარვის ზრდასთან ერთად, სულ უფრო აქტუალურია სოციალური მედია, არა მხოლოდ ინდივიდუალური გამოყენების მიზნით, არამედ როგორც ბიზნეს-მარკეტინგული საკომუნიკაციო არხიც.

2009 წლის დასაწყისში ქართველ ინტერნეტ-მომხმარებელთა მხოლოდ 43% სარგებლობდა სოციალური ქსელებით (ყველაზე პოპულარული იყო Odnoklassniki.ru 91%, 14%- My space.com, დანარჩენი სხვა ქსელები), 2010 წელს კომუნიკაციის ამ ფორმას ინტერნეტ-მომხმარებელთა 68% იყენებდა, ხოლო 2011 წელს ინტერნეტ-მომხმარებელთა სოციალურ ქსელებში გაერთიანებულთა რიცხვმა 95%-ს გადააჭარბა. შეიცვალა პოპულარული ქსელებიც. პირველ ადგილზეა Facebook 90%-ით, მეორეზე Odnoklassniki.ru 31%-ით, დანარჩენებს უმნიშვნელო წილი უკავია. მომხმარებელთა დიდი ნაწილი რამდენიმე სოციალურ ქსელშია გაერთიანებული, მაგრამ ძირითადად Facebook—ს იყენებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მომხმარებელი დიდი აქტიურობით გამოირჩევა შკყჭე-ს მოხმარებაშიც. ეს მედია გახდა კავშირის ერთ-ერთი მთავარი საშუალება არა მარტო საზღვარგარეთ მცხოვრებ მეგობრებსა და ნათესავებს შორის, არამედ საქართველოში და ერთსა და იმავე ქალაქში მცხოვრებთა შორისაც. მას დიდი აქტიურობით იყენებენ კავშირისათვის და რეალურ დროში უფასო საუბრისათვის.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში ინტერნეტ-ბიზნესის განვითარების მთავარი შემაფერხებელი გარემოება, მაინც კომპიუტერების უკმარისობაა, განსაკუთრებით, რეგიონებში. ინტერნეტ-პროგრამები დღითიდღე იხვეწება, იქმნება ახალი პროგრამები, რაც ახალ შესაძლებლობებს სძენს მას, მაგრამ ის რომ ყველასათვის იყოს ხელმისაწვდომი, ჯერ კომპიუტერიზაცია უნდა მოხდეს, მერე ინტერნეტის გაყვანა უნდა იყოს ხელმისაწვდომი მოსახლეობისთვის. ყოველთვის, მაგრამ დღეს განსაკუთრებით, ბიზნესის წინსვლისათვის მთავარია გასაღების ბაზარი. შესაბამისად, ინტერნეტის ბაზარი, კლიენტურა ინტერნეტ-მომხმარებელია.

თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა მძლავრი ბიძგი მისცა არა მხოლოდ საზოგადოების პროგრესს, არამედ გახდა მანამდე უცნობი ნეგატიური პროცესების წარმოშობისა და განვითარების სტიმულატორი.

კომპიუტერულ ტექნოლოგიებს აქვთ დიდი პოტენციალი როგორც პროგრესის, ისე ბოროტად გამოყენებისათვის, ამიტომ ინფორმაციის ან კომპიუტერული სისტემის ხელყოფა და მისი ბოროტად გამოყენება თანამედროვეობის ერთ-ერთი პრობლემაა. კიბერდანაშაული ყველაზე მეტად გავრცელებულია საბანკო და საფინანსო სექტორში.

ევროპოლის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად ევროკავშირის მოქალაქეები საბანკო ანგარიშებიდან 1,5 მილიარდ ევ-

3 www.ebizmba.com

როს კარგავენ. საკრედიტო ანგარიშებიდან ფულის მოპარვა ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატებიდან ხდება. ევროკავშირში მიღებული უსაფრთხოების ზომების, სპეციალური კოდისა და ჩიპის გატეხვა საკმაოდ ადვილია ამერიკაში, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების ბანკომატები უსაფრთხოების მაღალ ზომებს არ აკმაყოფილებს. პრობლემის გადაჭრის მიზნით აუცილებელია უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის ამოქმედება, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.[4]კომპიუტერული და ინტერნეტ-დანაშაულის ზოგიერთი სახეობა:[5]

- Cyber Terrorism - კიბერტერორიზმი - ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის ინფორმაციულ სივრცეში შეჭრა და დამნაშავისათვის სასარგებლო ინფორმაციის განთავსება ან ისეთი ქმედებების ჩატარება, რომელიც გამოიწვევს ქვეყანაში ეკოლოგიურ, ფინანსურ და სხვა სახის კატასტროფებს.
- Cyber Warfare - კიბერომი - ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის ინფორმაციულ სივრცეში შეჭრა და დამნაშავისათვის არასასურველი ინფორმაციის წაშლა, ან საინფორმაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა და ტერორიზირებული ქვეყნისათვის არასასარგებლო ან არასასურველი ინფორმაციის განთავსება, რაც ამ ქვეყნის კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახება.
- Cyber Harrasment - კიბერდევნა და შეურაცხყოფა - პიროვნების პირად კომპიუტერში ან სამსახურის ქსელში მისთვის შეურაცხმყოფელი ინფორმაციის განთავსება გართობის, რეპუტაციის შელახვის, შავი PR-ის ან რაიმე ფორმით მოგების მიზნით.
- Cyber Drug Trafficking - კიბერ ნარკო ტრეფიკინგი - ნარკოტიკების ბაზრების ათვისება ინტერნეტ ქსელების მეშვეობით.
- Spam - ნაგავი, სიბინძურე - ადრესატის ნებართვის ან მოთხოვნის გარეშე, კომერციული მოგების მიზნით, საინფორმაციო-მარკეტინგული დანერგვის მცდელობა და მრავლობითი (არაპერსონალური) იმეილების გაგზავნა, რაც საერთაშორისო ქსელში არაკანონიერად მიიჩნევა; სპამი ინტერნეტ-დანაშაულის მეტად გავრცელებული და, როგორც წესი, დაუსჯელი სახეობაა.

მიუხედავად მსოფლიო ფინანსური ორგანიზაციების მცდელობისა, უსაფრთხო გახადონ პლასტიკური ბარათები, დღევანდელ ელექტრონულ საგადასახადო სისტემაში არსებული ხარვეზების გამო, ფართოდ გავრცელდა პლასტიკური ბარათებით ან ბარათებიდან ფულის ქურდობა.

კომპიუტრული დანაშაული განვითარებისა და გავრცელების გამო, მსოფლიოში ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ ყველაზე "შემოსავლიანად" ითვლება. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისა და დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს (CIA) მონაცემებით, აშშ-ში კომპიუტერულ დანაშაულთა შედეგად მიყენებული ზარალი წელიწადში საშუალოდ 5 მლრდ დოლარია, საფრანგეთში - 1 მილიარდი ევრო, გერმანიაში კი - 4 მლრდ ევრო.

ყურადღებას იპყრობს კომპიუტერულ დანაშაულთა ზრდის მაჩვენებელიც: კიბერდანაშაულთა რიცხვი მსოფლიოში ყოველწლიურად 30-40%-ით მატულობს. აღსანიშნავია, რომ კიბერდანაშაულებათა კუთხით პირველ პოზიციას 35%-იანი მაჩვენებლით აშშ იკავებს, მეორე ადგილზეა ჩინეთი 30%-ით, მესამეზე ბრაზილია (14,3%), სადაც განსაკუთრებული კომპიუტერული ვირუსებია გავრცელებული, მეოთხეზე - რუსეთი (4,1%), ხოლო მეხუთეზე შვედეთი (3,8%).[6]

აღნიშნული ქმედებებისაგან თავის დაზღვევის მიზნით, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია კომპიუტერის, ინტერნეტისა და ელექტრონული კომერციის მომხმარებლებმა გაითვალისწინონ კიბერდანაშაულისაგან თავის დაცვის მსოფლიოში აპრობირებული ზოგიერთი ხერხი, კერძოდ:

- გამოიყენონ მხოლოდ ელექტრონული სერტიფიკატებისა და მონაცემების გადაცემის უფასო პროტოკოლები;
- არასოდეს არ გადასცენ გამყიდველების პლასტიკური ბარათების რეკვიზიტები და პირადი საპასპორტო მონაცემები (ამ ტიპის პროცედურების ჩასატარებლად არსებობს ბილინგი და ავტორიზებული სერვერები);
- ყოველთვის მიიღონ ზუსტი ინფორმაცია იმ კერძო პირზე ან ორგანიზაციაზე, რომელთაგანაც აპირებენ საქმიანი ურთიერთობის დამყარებას.
- მაქსიმალურად ეცადონ გამოიყენონ საკრედიტო ბარათები ფულის სწრაფად და ადვილად დაბრუნების მიზნით. მიზანშეწონილია ისეთი პლასტიკური ბარათების გამოყენება, რომელთაც აქვთ დაზღვევის პოლისი, რათა კრიმინალურმა ქმედებამ არ გამოიწვიოს თქვენი ფინანსური კრახი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპიუტერული დანაშაულის რაოდენობა და მასშტაბები მნიშვნელოვნედ ჩამორჩება რუსეთის მასშტაბებს, ჩვენთანაც იქნა აღრიცხული რამდენიმე შემთხვევა.

კიბერდანაშაულთან წარმატებით ბრძოლისათვის ქართველმა იურისტებმა შექმნეს საკანონმდებლო პაკეტი. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე თავში "კომპიუტერული დანაშაული" არის სამი მუხლი - 284, 285 და 286, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთ კომპიუტერულ დანაშაულს, როგორიცაა კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა, ეგმ-ის (ელექტროგამომთვლელი მანქანის) დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება და ასევე ეგმ-

4 http://euobserver.com/tickers/118429

5 Cyber Rules: Strategies for Excelling at E-Bisiness by Thomas M. Siebel, Publisher: Currency 304 pages forth edition 2008.

6 www.symantec.com

ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლუატაციის დარღვევა.

კიბერდანაშაული მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკურ სფეროშიც (გავიხსენოთ, თუნდაც 2008 წლის კიბერომი რუსეთსა და საქართველოს შორის).

კიბერდანაშაულთან ბრძოლა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მისი გადაწყვეტა მსოფლიო თანამეგობრობის ერთიანი ძალისხმევით უნდა მოხდეს. ყველა ქვეყანას და, მათ შორის საქართველოს, ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად უცილობლად სჭირდება შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება.

საერთაშორისო მასშტაბით კიბერდანაშაულთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნაბიჯი იყო 2001 წლის 23 ნოემბერს ევროსაბჭოს კონვენციის მიღება „კიბერდამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს კიბერნეტიკულ დანაშაულთა იმ სახეობებს, რომლისთვისაც წევრმა ქვეყნებმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაადგინონ. ამ დოკუმენტით მსოფლიო თანამეგობრობის მიერ შემუშავდა ერთიანი პოზიცია იმის შესახებ, თუ რომელი ქმედებები უნდა იქნეს კრიმინალიზებული და რა ფორმით განხორციელდეს თანამშრომლობა კიბერდანაშაულთან საბრძოლველად.

ევროსაბჭოს კონვენციის მოთხოვნებით, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. კერძოდ, ამგვარი დანაშაული დასჯადი გახდა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის; შეუსაბამო მუხლები შეიცვალა ახალი, თანამედროვე ურთიერთობებზე მორგებული მუხლებით (მაგ., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული კომპიუტერული დანაშაულის მარეგულირებელი ნორმებით დასჯადი გახდა კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევა, ინფორმაციის გამოყენება და სისტემის ხელყოფა; დაზუსტდა ძველი და დაემატა ახალი ტერმინები; 158-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და სხვ.).

კიბერდანაშაულის ეფექტური გამოძიებისათვის გაიზარდა საგამოძიებო ორგანოების უფლებები. ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონებში „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”. დადგინდა ინტერნეტურთიერთობების მონიტორინგი, რომელიც გულისხმობს:

1. ოპერატიულ საქმიანობას ვირტუალურ სივრცეში;
2. ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტ-ურთიერთობებზე დაკვირვებას და მათში მონაწილეობის მიღებას;
3. ნამდვილი ან ფიქციური სახელით მონაწილეობას და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა საქართველოს მიერ ამ პრობლემის აღიარება და დასაფასებელია, როგორც განხორციელებული ქმედებები, ისე სტრატეგიის ჩამოყალიბება და ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ კანონმდებლობაში შესული ცვლილებები არასაკმარისია. მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებით სასურველ შედეგს ნაკლებად მივიღებთ. ამისათვის საჭიროა ფინანსები, უფრო დიდი მონდომება და ინფორმატიკის სპეციალისტთა და სამართალმცოდნეთა ერთობლივი თანამშრომლობა.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. Гречков В.Ю. Современное состояние и перспективы электронной коммерции (маркетинговый подход). Журнал: “Маркетинг в России и за рубежом”. №6 / 2003. №4.
2. Туватова В.Е. Использование интернет-технологий в маркетинге туризма. журнал: “Маркетинг в России и за рубежом. №2 / 2005.
3. www.facebook.com
4. www.ebizmba.com
5. http://euobserver.com/tickers/118429
6. Cyber Rules: Strategies for Excelling at E-Bisiness by Thomas M. Siebel, Publisher: Currency 304 pages forth edition 2008.
7. www.symantec.com

## რეზიუმე

სოციალური მედია დიდი პოპულარობით სარგებლობს. უკვე რამოდენიმე წელია სოციალური ქსელები ინტერნეტ-მარკეტინგის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. ვებ-საიტი კომპანიას ეხმარება ცნობადობის გაზრდაში. იგი საზოგადოებასთან და მიზნობრივ ჯგუფებთან ერთად კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა და კომპანიის წარმატების აუცილებელ პირობად იქცა. ასევე დიდი ყურადღება ექცევა საიტის დიზაინსა და სტრუქტურასაც. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობასთან ერთად იზრდება მოხმარების სიხშირეც.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს აქვთ დიდი პოტენციალი როგორც პროგრესის, ასევე ბოროტად გამოყენებისათვის, რაც თანამედროვეობის ერთ-ერთი პრობლემაა. კიბერდანაშაული ყველაზე მეტად გავრცელებულია საბანკო და საფინანსო სექტორში. უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერული დანაშაულის მაჩვენებელი მსოფლიოში ყოველწლიურად მატულობს.

საქართველოში კომპიუტერული დანაშაულის რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება თავისი მასშტაბებით რუსეთს, თუმცა ჩვენთანაც დაფიქსირდა რამოდენიმე შემთხვევა. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად საქართველოს სჭირდება შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება.



## Summary

*T.Abuashvili*
*G. Jolia*

### The social networks and cybercrime

The social media is very popular today. The social networks have been the important part of the internet-marketing for several years. Web-sites help the companies to increase their awareness. It is one of the affective form of the communication of society. It's become one of the main reasons for becoming the successful company. The design and the structure of the sites are also very important. It's interesting that the internet users as well as it's using frequency are growing.

The computer technologies may be used for progressing and someone may abuse it. Computers have great potential for progress as well as unauthorized use. That's why the encroachment of modern nesting information or computer system is the one of the biggest problem. Cybercrimes are the most widespread in banking and financial sector. It should be noted that the growth rate of computer crime in the world is increasing every year.

Georgia is behind Russia in its scale by the number of computer crimes. But there are a couple of cases of them. In order to avoid the crimes we need an appropriate strategy.

# ინფორმაციის მნიშვნელობის — ღირებულების შეფასების მოდელები

*ოთარ შონია,*
*გიორგი ჯაფარიძე,*
*ნინო ყველაიძე,*
*მზიური ბარბაქაძე*

ინფორმაციის დაცვის თეორიაში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის დაცულობის შეფასების მეთოდების განვითარება. მისი გადაწყვეტის სირთულე განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორით: უსაფრთხოების მუქარის ფორმალური მოდელების არარსებობა; განუსაზღვრელობის რიგი ფაქტორების არსებობა; ნეიტრალური შედეგების განსხვავება ერთი და იგივე მუქარების რეალიზაციისაგან ინფორმატიზაციის სხვადასხვა ობიექტებზე; სკალების არარსებობა ზოგიერთი სახის ზარალის რაოდენობრივი შეფასებისათვის; გამოსაკვლევ პროცესებზე მონაცემების არასრულობა, საკვლევი პროცესების არაწრფივობა.

კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის მიმართ ყოველი მუქარა გარკვეული პერიოდის განმავლობაში განიხილება რაღაც ალბათობით დასაცავი ინფორმაციის ერთი ან რამოდენიმე ბლოკთან მიმართებით. ამ პროცესის მსვლელობისას დესტრუქციული მოქმედებების სიმრავლიდან შეიძლება გამოყოფილ იქნას ერთი-ერთი: განადგურება, კოპირება, ინფორმაციის მოდიფიკაცია, ზარალის სხვადასხვა სახით და ა. შ. ზარალის სხვადასხვა სახე ფასდება როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ სკალებში. ინფორმაციის დაცვის საშუალებების განსაზღვრისას აუცილებელია განისაზღვროს თანაფარდობა ინფორმაციის ღირებულებასა და მის დასაცავად გაწეულ ხარჯებს შორის. ინფორმაცია არამატერიალური ხასიათისაა თუ ის არაა გადატანილი მატერიალურ მატარებლებზე. შემოგვაქვს დამატებითი ცნება – ინფორმაციის მნიშვნელობა — ღირებულება.

ჩვენ აქ განვიხილავთ ინფორმაციის ღირებულების განსაზღვრის შემდეგ მოდელებს: ადიტიური მოდელი, რისკის ანალიზის მოდელი, რიგობითი სკალა, ქვესიმრავლეთა ბადე.

**ადიტიური მოდელი**

დავუშვათ, რომ გვაქვს ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია სასრული რაოდენობის ელემენტებით და ჩვენი ამოცანაა, შეფასდეს მოცემული ინფორმაცია ფულის ეკვივალენტში. ადიტიური მოდელისას ღირებულება განისაზღვრება მოცემული ინფორმაციის კომპონენტების ექსპერტული შეფასებით და მისი კომპონენტების ფულადი შეფასების ობიექტურობისას იანგარიშება საძიებო სიდიდე – მათი ჯამი ფულად ეკვივალენტში. ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ინფორმაციის კომპონენტების რაოდენობრივი შეფასება არაობიექტურია, თუნდაც მას აფასებდნენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. ამის მიზეზია მთლიანი ინფორმაციის კომპონენტების არაერთგვაროვნება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება თვით ექსპერტების შერჩევას და ექსპერტთა მაჩვენებლების სწორად გამოყენებას.

აღნიშნული პრობლემის დასაძლევად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას იერარქიული ფარდობითი სკალა, რომელიც წარმოადგენს წრფივ რიგს, რომლის დახმარებითაც ხდება დასაცავი ინფორმაციის ცალკეული კომპონენტების შედარება ღირებულების მიხედვით ერთის მეორესთან.

განვიხილოთ ასეთი შემთხვევა. ვთქვათ, მოცემულია ინფორმაცია თავისი კომპონენტით, ვუწოდოთ მათ ობიექტი: $O_1,..., O_n$ შეფასება ხდება ხუთბალიანი სკალით (1–5); ექსპერტების შეფასების შედეგი – ობიექტების ღირებულებების ვექტორი თითოეულისა სხვებთან შედარებით: (3,1,...,4).

ვთქვათ, თავიდანვე განსაზღვრულია ერთ-ერთი ობიექტის (თუნდაც ესაა პირველი ობიექტი) ფასი. მაგალითად, 150 ფულადი ერთეული (ფ. ე.). აქედან გამომდინარე, შეიძლება განვსაზღვროთ ერთი ბალის ღირებულება $G\,{}^{1}/_{k} = 50$ ფ. ე., სადაც k – არის პირველი ობიექტის შეფასება ბალებში. ანალოგიურად შეიძლება შევაფასოთ ფულად ერთეულებში სხვა ობიექტები: C2=150 ფ. ე ... და ა. შ. ინფორმაციის კომპონენტების ღირებულებების ჯამი იძლევა მთელი ინფორმაციის ღირებულებას.

**რისკის ანალიზი**

მაგალითად, რომ ჩატარებულია ინფორმაციის ღირებულების შეფასება ინფორმაციის ღირებულების შეფასების ადიტიური მოდელის დახმარებით. რისკის ანალიზის მოდელი ეფუძნება ცნობილ მონაცემებს ინფორმაციის კომპონენტების ღირებულებაზე და გამომდინარეობს ინფორმაციის შესაძლო მუქარის პროგნოზირებიდან. ყოველი მუქარის ალბათობა განისაზღვრება შესაბამისი მოვლენის სტატისტიკური შეფასებების დახმარებით. იანგარიშება მოსალოდნელი დანაკარგების მათემატიკური მოლოდინების ჯამი ყოველი კომპონენტისათვის შესაძლო მუქარის განაწილების კანონის მიხედვით.

მაგალითის სახით განვიხილოთ შემდეგი სიტუაცია. ვთქვათ, მოცემულია n ობიექტი: 01, ..., $O_n$, რომელთა ღირებულებებია $C_1,..., C_n$. ვიგულისხმოთ, რომ ერთი ობიექტისათვის ზარალის მიყენებისას სხვა ობიექტების ღირებულება არ მცირდება და ყოველი ობიექტისათვის $O_i$ ზარალის მიყენების ალბათობაა $P_i$. ზიანით გამოწვეული დანაკარგების გაანგარიშების ფუნქცია $O_i$ -თვის შემდეგია:

$w_i = c_i$, თუ i ობიექტს მიადგა ზიანი – ზარალი.

$w_i = 0$, სხვა შემთხვევაში.

i ობიექტზე მუქარის რეალიზაციისაგან დანაკარგების რეალიზაციის შემთხვევის შეფასება ტოლია

$EW_j = P_j C_j$

შედეგად სისტემის საერთო დანაკარგი შეიძლება ვიანგარიშოთ როგორც ჯამი ცალკეული კომპონენტების მიხედვით დანაკარგებისა

$W = w_1 + ... + w_j + ... w_n$

ამ შემთხვევაში მოსალოდნელი დანაკარგები (საშუალო რისკი) განისაზღვრება გამოსახულებით:

$$E_W = \sum_{i=1}^{n} p_i C_i$$

არსებობენ მეთოდები, რომლებიც ახდენენ რისკების ავტომატიზებულ შეფასებას. ამ სფეროში ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ მეთოდებს წარმოადგენენ: GRAMM, RISK, Watch, Гриф.

**რიგობითი სკალა**

არსებობს შემთხვევები, როდესაც შეუძლებელია ინფორმაციის მნიშვნელობა დადგინდეს ფულის ეკვივალენტით, მაგალითად, პირადი ხასიათის ინფორმაცია, პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის ინფორმაცია. მათი შეფასება ფულის ეკვივალენტით შეიძლება იყოს არაგონივრული. მაშინ აზრი აქვს ცალკეული ინფორმაციული კომპონენტების შედარებით შეფასებას. მაგალითის სახით განვიხილოთ სიტუაცია სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც ინფორმაციის დაყოფა ხდება საიდუმლოობის გრიფის მიხედვით. თავის მხრივ საიდუმლოობის გრიფები წარმოადგენენ მნიშვნელობების რიგობით სკალას: არასაიდუმლო, სამსახურებრივი მოხმარებისათვის, საიდუმლო, სრულიად საიდუმლო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (არს, სმ, ს, სს, გმ); აფრიკული სისტემით: unclassified, confidential, secret, top secret (U, Cond, S, TS), რაც უფრო მაღალია გრიფის კლასი, მით უფრო მეტი მნიშვნელობა (ღირებულება) აქვს დასაცავ ინფორმაციას და შესაბამისად, სულ უფრო მეტი მოთხოვნები წაეყენება მის დაცვას არასანქცირებული დაშვებისაგან.

**ღირებულებათა ბადე**

ღირებულებების ბადის მოდელი არის რიგობრივი სკალის განზოგადება. ვთქვათ, მოცემულია M-სასრული ნაწილობრივ მოწესრიგებული სიმრავლე, ბინარული ფარდობის < მიხედვით, ანუ ყოველი A, B, C—თვის სრულდება:

1. რეფლექსურობა: A>A;
2. ტრანზიტულობა: A < B, B < C მაშინ A < C;
3. ანტისიმეტრიულობა: A, B, B < A მაშინ A=B

ნებისმიერი A და B-სთვის, რომლებიც ეკუთვნიან სიმრავლეს M ელემენტის ეწოდება უმცირესი საერთო საზღვარი, თუ:

- A < C, B < C
- A < D, B < D , მაშინ C<D ყველა D-თვის, რომლებიც ეკუთვნის M სიმრავლეს.

ამ დროს არაა აუცილებელი თვით A □ B ელემენტის არსებობა. თუ შესრულებულია პირობა უმცირესი ზედა საზღვრის არსებობისა, მაშინ ანტისიმეტრიულობიდან გამომდინარეობს ერთადერთობა. განმარტების თანახმად, ელემენტს E=A □ B □C ეწოდება უდიდესი ქვედა ზღვრის A,A□B-თვის, თუ:

– E<A,E<B

– D<A,D<B მაშინ D<E

ქვედა საზღვრის არსებობა არაა აუცილებელი, მაგრამ თუ ის არსებობს, მაშინ ანტისიმეტრიულობიდან გამომდინარეობს ერთადერთობა.

ინფორმაციის დაცულობის შეფასების არსებული მოდელები განკუთვნილია ცალკეული ვიწრო სფეროსთვის, ამიტომ საჭირო მოდელის არჩევა დამოკიდებულია მისი გამოყენების სფეროების სპეციფიკაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Конявский В. А., Гадасин В. А., Информационные технологии как объект защиты и классификация антивирусных программ // Управление защитой информации. 2007, т. 11, №4.
2. Конявский В. А., Гадасин В. А., Осноы понимания феномена электронного обмена информацией. – Минск: Беллифонд, 2004.
3. O.Shonia, T. Kaishauri, I. Kartvelishvili, Software Complex of Automated System, Supporting Security of Wireless Networks, Georgian International Journal of Science and Technology, Nova Science Publishers, Volume 4, Issue 4, 1, 2 (2012)https:www.novapublishers.com/catalog/product info.php? products id=34525


**რეზიუმე**


ინფორმაციის დაცვის თეორიაში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის დაცულობის შეფასების მეთოდების განვითარება. ინფორმაციის დაცვის საშუალებების შემუშავებისათვის აუცილებელია განისაზღვროს თანაფარდობა ინფორმაციის ღირებულებასა და მის დასაცავად გაწეულ ხარჯებს შორის. შემოტანილია ცნება ინფორმაციის მნიშვნელობა — ღირებულება. განხილულია ინფორმაციის ღირებულების განსაზღვრის მოდელები. საჭირო მოდელის არჩევა დამოკიდებულია მისი გამოყენების სფეროების სპეციფიკაზე.


**SUMMARY**

Assessment Models of Significance – Value of Information


One of the central problems in information protection theory is development of methods of assessment of the level of information security. For development of methods of information protection it's necessary to determine the relation between the value of information and expenses born for its protection. The notion - Significance – Value of Information is introduced. The models of determination of value of information are considered. Selection of the required model depends on specificity of spheres of its use.

# საქართველო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე

*ოთარ ზუმბურიძე,*
*სტუ-ს სრული პროფესორი,*
*ნინო ჟიჟილაშვილი,*
*სტუ-ს დოქტორანტი,*

თანამედროვე სამყაროში "საინფორმაციო რევოლუციას" უწოდებენ სოციალური ურთიერთობებისა და ცხოვრების სტილის ფუნდამენტურ გარდაქმნას, რასაც ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო საშუალებების გაჩენა განაპირობებს. "საინფორმაციო რევოლუცია" ერთგვარად აღწერს მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ ტენდენციებს, ინდუსტრიული რევოლუციისგან დამოუკიდებლად.

პირველ საინფორმაციო რევოლუციად, ტრადიციულად, მიიჩნევა წიგნის ბეჭდვის გამოგონება (XVI ს. შუა ხანები), რომელიც, თავის მხრივ, მასობრივი პრესის საფუძველი გახდა; მეორე საინფორმაციო რევოლუციად მოიაზრება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოგონება, დაწყებული ტელეგრაფიდან ვიდრე რადიო თუ ტელევიზიამდე. მესამე საინფორმაციო რევოლუცია ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს და ის უკავშირდება საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების წარმოქმნასა და მის მასობრივ გავრცელებას, როდესაც ბოლო ორ ათწლეულში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა გავრცელებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროზე (1).

## 1. საინფორმაციო რევოლუციის ისტორიული ეტაპები

პირველი საინფორმაციო რევოლუცია თითქმის 300 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა: აღნიშნული პერიოდი დასჭირდა იმას, რომ წიგნის ბეჭდვის საფუძველზე მასობრივი პრესა აღმოცენებულიყო. ამისთვის აუცილებელი გახდა არა მხოლოდ ტექნიკური სიახლეების დანერგვა, რომლებმაც რადიკალურად სრულყვეს გუტენბერგის ხელით საბეჭდი დაზგა, არამედ ამასთანავე, საყოველთაო განათლებაზე გადასვლა, რამაც შემდგომში მასობრივი აუდიტორიის გაჩენის წინაპირობები განაპირობა. გუტენბერგის დაზგაზე დაბეჭდილი წიგნების რაოდენობა დღის განმავლობაში მაქსიმუმ 2000 აღწევდა და ზუსტად ამდენივე იყო ადრეული გაზეთის ტირაჟი საწყის ეტაპზე. მასობრივი გაზეთების წარმოებისათვის აუცილებელი გახდა თავდაპირველად ორთქლის საბეჭდი პრესის გამოგონება, შემდეგ კი - როტაციული მანქანის.

მეორე საინფორმაციო რევოლუცია ელექტრონული ტელეგრაფის გამოგონებით დაიწყო, რამაც პირველად გახადა შესაძლებელი, რომ ინფორმაციის გადაცემა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისგან დამოუკიდებელი გამხდარიყო. შემდეგი ნაბიჯი გახდა "უსადენო ტელეგრაფის" გაჩენა, რომელიც ვიწრო ამოცანის გადაწყვეტის მიზნით დაინერგა, რაც გულისხმობდა ღია ზღვაში გემებს შორის კავშირის მოწესრიგებას. "უსადენო ტელეგრაფის" გარდაქმნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებად - რადიოდ, მისი გამომგონებლებისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა და ის წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება სოციალური გარემოს მოთხოვნილებების ზემოქმედების შედეგად ტექნოლოგიამ მათი ავტორების თავდაპირველი ჩანაფიქრისგან განსხვავებით სრულიად საპირისპირო მნიშვნელობა შეიძინოს. რადიოსგან განსხვავებით, ტელევიზია თავდაპირველად ყალიბდებოდა, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალება და ამ გაგებით, ის გასული საუკუნის 50-60-იან წწ. მთელი საინფორმაციო სისტემის ძირითად ელემენტად გადაიქცა.

## 2. საინფორმაციო რევოლუციის თანამედროვე ეტაპი

საინფორმაციო რევოლუციის თანამედროვე ეტაპი უკავშირდება ისეთი ტექნოლოგიების გამოჩენას, რომელთა გამოყენებითაც რიგით მომხმარებელს რეალური საშუალება ეძლევა დაძლიოს მასობრივი ინფორმაციის ტრადიციული საშუალებებისგან ცალმხრივი დამოკიდებულება. აღსანიშნავია, რომ "უსადენო ტელეგრაფის" შემთხვევის მსგავსად, ამგვარი ტექნოლოგიების შემქმნელებს კონკრეტული

გამოყენებითი მიზნები გააჩნდათ და დასანერგი საინფორმაციო სისტემის მთავარი მახასიათებელი - მისი ინტერაქტიურობაც ამ საქმიანობის თანამდევი ეფექტი აღმოჩნდა ძირითადად.

პირველი ორი საინფორმაციო რევოლუციის პროცესში წარმოქმნილი მასს მედია, იქნებოდა ეს გაზეთები, რადიო თუ ტელევიზია, თავდაპირველად ისე იყო მოწყობილი, რომ სრულად განსაზღვრულიყო, როდის, სად და კონკრეტულად რა ინფორმაცია უნდა მიეღო აუდიტორიას. მასობრივი კომუნიკაციების პროცესის ცალმხრივი მიმართულება უზრუნველყოფილი იყო როგორც ტექნოლოგიურად, ისე ინსტიტუციონალურად, ასე, რომ ინფორმაციის გამგზავნი გახდა დიდი, ბიუროკრატიულად ორგანიზებული სტრუქტურები, ხოლო ინფორმაციის მიმღები - სივრცეში გაბნეული აუდიტორიის წევრები, რომლებსაც საშუალება არ გააჩნდათ პირდაპირ კონტაქტში ყოფილიყვნენ არც ინფორმაციის გამგზავნთან და არც აუდიტორიის სხვა რომელიმე წევრთან. აუდიტორიის წევრთა კერძო საინფორმაციო სივრცე შეძლებისდაგვარად უნიფიცირებული იქნა. აღსანიშნავია, რომ ტრადიციულ მასობრივ საინფორმაციო საშაუალებებზე დაყრდნობით საკმაოდ სწრაფად და ადვილად იქმნებოდა ერთი ცენტრიდან კონტროლირებადი, დახურული საინფორმაციო სისტემები (2).

ყოველდღიურ ცხოვრებაში ახალი საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად აუდიტორიაზე ცალმხრივად მიმართული ზემოქმედების მქონე პროფესიონალური კომუნიკატორები შეცვალა ადრესატისა და ინფორმაციის გამგზავნის ურთიერთქმედებამ. რა თქმა უნდა, ახალ საინფორმაციო სტრუქტურებში ადრესატისა და გამგზავნის ურთიერთქმედება არათანაბარუფლებიანია და ადრესატთან შედარებით გამგზავნს უფრო ძლიერი პოზიცია გააჩნია. მიუხედავად ამისა, თანამედროვე საინფორმაციო რევოლუცია ზრდის მომხმარებლის თავისუფლების ხარისხს, რომლის კერძო საინფორმაციო სივრცის საზღვრები მკვეთრად გაფართოვდა, ხოლო აღნიშნული სივრცის კონტენტური შევსება უფრო არჩევითი და ინდივიდუალიზებული გახდა.

კომუნიკაციის საშუალებების ერთ-ერთ პირველ მაგალითს წარმოადგენს კასეტური ვიდეომაგნიტოფონი, რომლის მეშვეობითაც მნახველს საშუალება მიეცა გათავისუფლებულიყო სატელევიზიო პროგრამებისა და კინოგამქირავებლების შემქმნელთა გემოვნებისგან და დამოუკიდებლად, საკუთარი სურვილისამებრ განესაზღვრა, რა და როდის ენახა. უფრო მეტიც, ვიდეომაგნიტოფონის საშუალებით ფილმის ან ტელეგადაცემის ნახვის თავისუფლების ხარისხი მიუახლოვდა წიგნის კითხვას: მომხმარებელს შეუძლია გაჩერდეს ნებისმიერ ადგილას, დაბრუნდეს უკან ან პირიქით, წინ გაუსწროს, რამდენჯერმე გაიმეოროს სასურველი ეპიზოდი და სხვ.

პერსონალური კომპიუტერების გაჩენამ და მათი ზემოქმედების ქვეშ საკომუნიკაციო საშუალებების სისტემათა დაქვემდებარებამ უზრუნველყო მომხმარებლის შემდგომი გათავისუფლება ტრადიციულ მასობრივ საინფორმაციო საშულებებზე (მსს) დამოკიდებულებისგან და ფორმირება გაუკეთა ახალ აქტიურ საინფორმაციო სტრატეგიებს. 1952 წელს აი-ბი-ემ (IBM) კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლის განცხადებით, მსოფლიოს პერსპექტივაში შეიძლება მხოლოდ 5-7 კომპიუტერი გამხდარიყო საჭირო. 1960 წლამდე მსოფლიოში 7 000-მდე ელექტრომექანიკური გამომთვლელი მანქანა - კომპიუტერი გამოიყენებოდა. გარდატეხა მოხდა 1993 წელს, როდესაც კომპიუტერების წარმოებამ პირველად გადააჭარბა მსუბუქი მანქანების წარმოებას და 35,4 მლნ ერთეულს მიაღწია. ინტერნეტში გაჩნდა საინფორმაციო ჰიბრიდები და განვითარდა ინტერპერსონალური ურთიერთობა ფორუმებსა და ეგრეთ წოდებულ ჩატებში (კომპიუტერული ქსელებით კომუნიკაციის საშუალება, რეალურ დროში).

მე—20 საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო საინფორმაციო—საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებამ, უპირველეს ყოვლისა, გლობალურმა კომპიუტერულმა ქსელებმა და საინფორმაციო ბანკებმა, თანამგზავრულმა, ოპტიკურბოჭკოვანმა და ფიჭურმა კავშირმა ბიძგი მისცა მსოფლიო საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და სივრცის ჩამოყალიბებას და შესაბამისად, საერთოსაინფორმაციო გარემოს ფორმირების წინა პირობები შექმნა.

მსოფლიო საინფორმაციო გარემოს ფორმირება წარმოადგენს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს, კერძოდ, ინფორმაციის მიმოცვლის არნახულმა ტემპებმა და მოცულობებმა:

- პოლიტიკურ ასპექტში — გამოიწვია საერთაშორისო ინსტიტუტების ჩამოყალიბებაა
- ეკონომიკურ ასპექტში — ფართო მომსახურების მძლავრი ინდუსტრიისა და „სამომხმარებლო საზოგადოების“ ფორმირებაა
- სამეცნიერო—ტექნიკურ ასპექტში — მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების შექმნა—განვითარება (3).

### 3. ციფრული უთანასწორობა, როგორც თანამედროვე საინფორმაციო რევოლუციის შედეგი

საინფორმაციო რევოლუცია საკმაოდ სწრაფად ცვლის სამყაროს და ნებისმიერ სფეროში პრინციპულად ახალ გადაწყვეტილებებსა და შესაძლებლობებს სთავაზობს. ამასთანავე, საინფორმაციო რევოლუციამ, დადებით შედეგებთან ერთად, წარმოშვა არა მხოლოდ ხარისხობრივად ახალი საინფორმაციო სტრატეგიების ტიპები, არამედ სრულიად ახალი პრობლემებიც, მათ შორის ახალი სოციალური პრობლემა - საინფორმაციო “ციფრული განხეთქილება ანუ უთანასწორობა” („digital divide“). საინფორმაციო რევოლუციას თან ახლავს ციფრუ-

ლი უთანასწორობა ქვეყნებსა და რეგიონებს შორის, რომლის გადაწყვეტის წარმატება კვლავ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად რჩება, რაც ზეგავლენას ახდენს გლობალური საინფორმაციო საზოგადოების განვითარებაზე. მხედველობაში მიიღება ის, რომ საინფორმაციო-კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე და კომუნიკაციის ახალ საშუალებებზე დაშვება საზოგადოებაში არათანაბრად არის გადანაწილებული. აღნიშნული ტექნოლოგიები და საშუალებები ძირითადად ხელმისაწვდომია განვითარებული ქვეყნების უზრუნველყოფილი და განათლებული მოსახლეობისთვის და პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია მსოფლიოს პერიფერიებში მცხოვრები, ღარიბი და დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანებისთვის. ციფრული უთანასწორობის აღწერის მიზნით შემოღებული იქნა ახალი ტერმინები: "საინფორმაციო სიმდიდრე" და "საინფორმაციო სიღარიბე", რომელთა საშუალებითაც ერთმანეთისგან განასხვავებენ მათ, ვისაც შეუძლია გამოიყენოს საინფორმაციო რევოლუციის მორიგი ეტაპის ყველა მიღწევა მათგან, ვისთვისაც ჯერ კიდევ არ დაწყებულა საინფორმაციო რევოლუცია.

"ციფრული უთანასწორობის" პრობლემა ტიპიურ "ახალ სოციალურ" პრობლემას წარმოადგენს. "ციფრული უთანასწორობა" გულისხმობს უთანასწორობას თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაშვებაში. თუმცა, ის მხოლოდ კომპიუტერზე და ინტერნეტზე დაშვების არქონამდე არ დაიყვანება: დაშვების უზრუნველყოფა არასაკმარისი პირობაა. აუცილებელია, რომ ადამიანებს შეეძლოთ ამ დაშვების სათანადოდ გამოყენება. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები სოციალური უნარია, რომელიც სწრაფად გარდაიქმნება "საყოველთაო უნარში", ისევე, როგორც კითხვისა და წერის უნარი მშობლიურ ენაზე (4). აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის კომპიუტერული-საინფორმაციო განათლების დონის მიხედვით უთანასწორობის მიღმა ციფრული უთანასწორობის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, სულ მცირე ორი ასპექტი დგას. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მოტივაციის არარსებობა, როდესაც ადამიანებს არ სურთ გამოიყენონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მიუხედავად იმისა, რომ მათ ამის საშუალება გააჩნიათ, და მეორე, ციფრული უთანასწორობა ჩნდება საინფორმაციო შინაარსის ანუ ეგრეთ წოდებული კონტენტის არასაკმარისობის დროს: მოტივაციის არარსებობა ხშირად აიხსნება იმით, რომ მომხმარებელს არ შეუძლია ინტერნეტის საშუალებით მიიღოს სასურველი ინფორმაცია ან შესაბამისი მომსახურება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ციფრული უთანასწორობა - ეს არის საზოგადოების დანაწევრება პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს ციფრული ტექნოლოგიების სამყაროში მათ ჩართულობას. საინფორმაციო კულტურა და შესაბამისად, საინფორმაციო უთანასწორობა მეტად ზოგადი ცნებაა, რომელიც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობის გარდა, ინფორმაციის შესაბამისად გამოყენების უნარსაც გულისხმობს. ძირითადი საინფორმაციო უნარები მოიცავს: ინფორმაციის აუცილებლობის გაგების უნარს და განსაზღვრას, როგორ შეიძლება მისი მოძიება; ინფორმაციის მოძიების სტრატეგიის შემუშავების უნარს და საჭირო ინფორმაციის მოძიებას; სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის შედარების უნარს და ასევე, მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებასა და მის გადაცემას დაინტერესებული პირებისათვის (5).

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს კომპიუტერული განათლებისა და თანამედროვე საინფორმაციო კულტურის მქონე კადრების მომზდება და გადამზადება, რაც ხელს უწყობს მოქალაქეთა სოციო-ეკონომიკური შესაძლებლობების ამაღლებას.

ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრაში დიდ როლს თამაშობს ფართოზოლოვან ინტერნეტზე დაშვება, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ისეთ სისტემებთან ნორმალური მუშაობა, როგორიცაა დისტანციური განათლება და მედიცინა, I§-ტელეფონია, ტერიტორიულად დაშორებული ოფისების მუშაობა თუ სხვ.

რა თქმა უნდა, ინტერნეტის მომხმარებლის უსაზღვრო თავისუფლებაზე ლაპარაკი ზედმეტია, თუნდაც იმიტომ, რომ ვირტუალურ რეალობაში ურთიერთობა კვლავ გრძელდება და ემყარება ტრადიციულ იერარქიულ სოციალურ მოდელებს და არანაირად არ წარმოადგენს "ვირტუალურ ანარქიას", რასაც პირველი მომხმარებლები თავდაპირველად ვარაუდობდნენ. მიუხედავად ამისა, ტრადიციულისგან განსხვავებით, კომუნიკაციის ახალი საშუალებები სულ უფრო რთულად ექვემდებარებიან ორგანიზაციასა და გარე კონტროლს, ხოლო მათ მოხმარებას ინდივიდი ხარისხობრივად სრულიად განსხვავებულ საინფორმაციო სივრცეში გადაჰყავს.

საინფორმაციო რევოლუციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მძაფრი და სწრაფი განვითარების წყალობით, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში, საგრძნობლად დაჩქარდა და გაძლიერდა. თანამგზავრების დახმარებით დედამიწის ნაბისმიერი წერტილიდან აბონენტებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ერთმანეთს მობილური ტელეფონების, ტელეფაქსის, ინტერნეტის საშუალებით. უახლესმა სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებმა შექმნეს ზენაციონალური ხიდები, რომელთა წყალობითაც ნებისმიერ ინფორმაციას შეუძლია ადვილად გადალახოს ფიზიკური ხასიათის დაბრკოლებები და სახელმწიფო საზღვრები. ჩამოყალიბდა გლობალური "კიბერსივრცე". თანამედროვე სატელეკომუნიკაციო სისტემები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ დროის რეალურ რეჟიმში მივიღოთ აუცილებელი ინფორმაცია ნებისმიერი მანძილიდან და სწრაფად მივიღოთ გადაწყვეტილებები, უპრეცედენტოდ აიოლებენ კაპიტალის საერთაშორისო ინვესტირების, წარმოების კოოპერირებისა და მარკეტინგის ორგანიზებას. საინფორმაციო რევოლუციის მეშვეობით

არსებითად ყალიბდება ახალი მსოფლიო ეკონომიკა, რომლის პირობებშიც სახელმწიფოებრივი საზღვრები შეუქცევადად იშლება (6).

## 4. საინფორმაციო რევოლუცია: რა ხდება საქართველოში?

საინფორმაციო რევოლუციის სისტემატური ემპირიული კვლევების არარსებობა აძნელებს მის თეორიულ გაანალიზებას საქართველოსთვის და აქტუალური ხდება ისეთი საკითხები, როგორიცაა საინფორმაციო რევოლუციის რა სტადიაზე იმყოფება ქვეყანა, არსებობს თუ არა ციფრული უთანასწორობა და რამდენად ღრმაა იგი, და ასევე, მოსახლეობის განსაკუთრებით რომელ ჯგუფებსა და ფენებს შეეხო ეს უთანასწორობა.

ამავდროულად, ბოლო წლების განმავლობაში კომპიუტერიზაციის მიღწევები საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ძვრები შეიმჩნევა საქართველოში ელექტრონული

საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემების ათვისებით, დანერგვითა და გამოყენებით, მაგრამ აღსანიშნავია საქართველოს მნიშვნელოვანი ჩამორჩენა მსოფლიო თანამედროვე დონესთან შედარებით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს სატელეკომუნიკაციო სფერომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. არსებული ინფრასტრუქტურა ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს თანამედროვე ტელეკომუნიკაციებზე, რასაც განაპირობებდა დარგში შესაბამისი ინვესტიციების ნაკლებობა და ტელეკომუნიკაციების სისტემის ნელი მოდერნიზაცია.

90-იანი წლების დასაწყისისთვის ინფორმატიზაციის სფეროში სიტუაცია სრულიად უიმედო ჩანდა: მიუხედავად დიდი თანხებისა, რომლებიც ჩაიდო 80-იანი წლების მეორე ნახევარში ჩასახულ საინფორმაციო საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის "ჩასაყენებლად", კომპიუტერების წარმოებისთვის განკუთვნილი ახალი ქარხნები, პოსტსაბჭოთა ეპოქაში საერთოდ უმოქმედო აღმოჩნდა, ხოლო სამამულო მიკროელექტრონიკის წარმოება - არაკონკურენტუნარიანი. 1999 წლიდან ეკონომიკის ამ სექტორში საქართველომ დაიწყო სტრუქტურული და ინსტიტუციონალური რეფორმების გატარება, დარგის ლიბერალიზაცია და ფიქსირებული ქსელების პრივატიზაციამდე სექტორი გახსნა კონკურენციისათვის.

ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორი ქვეყნის ეკონომიკაში ითვალისწინებს:

· საინფორმაციო გარემოს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს საინფორმაციო სივრცესა და ინფრასტრუქტურასს

· სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურების სიმრავლეს, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციისა და ცოდნის ინდუსტრიალიზაციას და ავითარებენ ინფორმაციისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიას;

· ელექტრონულ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას (გლობალური კომპიუტერული ქსელები, ინტერნეტი), რაც უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

· ელექტრონული საინფორმაციო ინფრასტრუქტურა (საინფორმაციო ბანკები, კომპიუტერული სისტემები) უზრუნველყოფს ინფორმაციის ადეკვატურ აღქმასა და საზოგადოების საინფორმაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას;

· საზოგადოებასა და სახელმწიფო მართვის აპარატში ინფორმაციასთან მუშაობის ცოდნის ფორმირებასა და ინფორმაციის როლისა და მნიშვნელობის გათავისებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ტელეკომუნიკაციების სფერო ძირეულად შეიცვალა. ფიქსირებული ხაზების რაოდენობა იზრდებოდა; ეს ტენდენცია ამჟამადაც გრძელდება, თუმცა, მას უკვე გადააჭარბა უსადენო ფიქსირებული ქსელების რაოდენობამ. მაგალითად, დღეისათვის მაგთი ფიქსის სიგნალით დაფარულია საქართველოს ტერიტორიის 65% და მისი დაფარვის არეალი დღითიდღე იზრდება; დაარსდა ახალი კერძო კომპანიები; დაიწყო ბაზრის ლიბერალიზაცია და ბაზარზე გაჩნდნენ ახალი კონკურენტები. მათი უმრავლესობა უცხოური ინვესტიციების ხარჯზე დაარსდა, რამაც ხელი შეუწყო სპეციფიკური გარემოს ჩამოყალიბებას. ამჟამინდელი სატელეფონო მომსახურების ბაზარი მომხმარებლებს სთავაზობს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო მომსახურებას, რომელსაც ახორციელებენ კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიები. მათი ქსელები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და მომსახურებაც საკმაოდ მაღალი ხარისხისაა.

ამავე დროს, ქსელების მოდერნიზაციის მცდელობათა მიუხედავად, ციფრულ ტექნოლოგიაზე გადასვლა ჯერჯერობით ნელა მიმდინარეობს და სრულად განხორციელებულია მხოლოდ თბილისსა და საქართველოს ზოგიერთი შედარებით დიდი ქალაქის ცალკეულ უბანში.

საქართველოს სატელეკომუნიკაციო სფერო შეგვიძლია წარმოვადგინოთ იმ სეგმენტების განხილვით, სადაც, უკანასკნელ პერიოდში, აღინიშნა ნიშანდობლივი ზრდის ტენდენციები, რაზეც თვალნათლივ მიგვითითებს ისეთი სტატისტიკური მონაცემები, როგორიცაა ინტერნეტის საცალო აბონენტების სტატისტიკა, მობილური ქსელის აბონენტების სტატისტიკა, მობილურ ქსელში პორტირებული აბონენტების სტატისტიკა, ფიქსირებული ქსელის აბონენტების სტატისტიკა, ტელე-რადიო მაუწყებლების სტატისტიკა (7). (იხილეთ გრაფიკები 1-6).




გრაფიკი 1. ინტერნეტის საცალო აბონენტების სტატისტიკა




გრაფიკი 2. მობილური ქსელის აბონენტების სტატისტიკა




გრაფიკი 3. მობილურ ქსელში პორტირებული აბონენტების სტატისტიკა




გრაფიკი 4. ფიქსირებული ქსელის აბონენტების სტატისტიკა




გრაფიკი 5. ფიქსირებული ქსელის აბონენტების სტატისტიკა




გრაფიკი 6. მაუწყებლების სტატისტიკა

## დასკვნა

აღნიშნული ვითარების "გამოსწორების" გზები სატელეკომუნიკაციო დარგში ახალი

ინვესტიციების განხორციელებით არის შესაძლებელი. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ

კონკურენტული მოთხოვნის დაკმაყოფილების პარალელურად განსახორციელებელია სოციალურად დაუცველი ფენების სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და მათი უფლებების დაცვის საკითხების გადაჭრაც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მომავალში, სატელეკომუნიკაციო დარგის განვითარების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უნივერსალური მომსახურების რეგულირების საკითხს.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება არ უნდა იქცეს უაზრო თვითმიზნად, არამედ ამა თუ იმ ქვეყნისა და რეგიონის სპეციფიკური მიზნებისა და საჭიროებების შესაბამისად ჯეროვნად უნდა განისაზღვროს კონკრეტულად, რა ტიპის ტექნოლოგიები იქნება უფრო ეფექტური.

აუცილებელია ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მოდელის ინფრასტრუქტურის აგება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება როგორც ტრადიციული, ისე ახალი თაობის ქსელური ტექნოლოგიების გამოყენებით და ამასთანავე, მოსახლეობის, სამთავრობო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორის, სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს უზრუნველყოფა შესაბამისი საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებებითა და მომსახურებით.

ქვეყნის მოდერნიზაციისა და ინოვაციური განვითარების კურსი, ინოვაციური საქმიანობისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების შემდგომი გაფართოება არსებული სიტუაციის გაუმჯობესების საწინდარია.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Gatune J. Navigating the Information Revolution - Choices for Laggard Countries, RAND Corporation, 2007
2. Трахтенберг А.Д. Информационная революция и информационный раскол: что происходит в России? Научный ежегодник Института философии и права УрО РАН.– Екатеринбург, 2005.– 2004 Вып. 5.
3. "საქართველოსთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამა". UNDP Georgia, NCTeam (CIMS Consulting). თბილისი, 2004
4. Дьякова Е. Г. Социокультурные аспекты и национальные модели решения проблемы информационного неравенства, 2012 http://www.km.ru/referats/332491-sotsiokulturnye-aspekty-i-natsionalnye-modeli-resheniya-problemy-informatsionnogo-neravenstva
5. Бекетов Н. Информационное разнообразие и цифровое неравенство в развитии России. «Информационные Ресурсы России», №5, 2009 http://www.aselibrary.ru/digital_resources/journal/irr/2009/number_5/number_5_3/number_5_3976/
6. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საიტი http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5706


## რეზიუმე


სტატია ეხება "საინფორმაციო რევოლუციის" რაობას, რომელიც განხილულია ისტორიულ ჭრილში. სტატიაში წარმოდგენილია საინფორმაციო რევოლუციის ისტორიული ეტაპები და განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საინფორმაციო რევოლუციის თანამედროვე ეტაპზე, ამჟამად არსებულ მდგომარეობაზე, ასევე, მის შესაბამის წინაპირობებსა, ტექნოლოგიებსა და საშუალებებზე.

განხილულია თანამედროვე ეტაპზე საინფორმაციო რევოლუციის შედეგად წარმოქმნილი სრულიად ახალი სოციალური პრობლემა - საინფორმაციო "ციფრული უთანასწორობის" („დიგიტალ დივიდე") პრობლემა.

სტატიაში წარმოდგენილია მსოფლიო საინფორმაციო გარემოს ფორმირების შედეგად მიღებული შედეგები როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ, ისე სამეცნიერო-ტექნიკურ ასპექტში.

სტატიაში განხილულია საქართველოს მდგომარეობა მსოფლიო თანამედროვე დონესთან შედარებით და ასევე, ის საკითხები, რომელსაც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკაში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორი.

საქართველოში ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით, გაანალიზებულია საქართველოს სატელეკომუნიკაციო სფეროში არსებული მონაცემები და მის საფუძველზე მოცემულია გზები და საშუალებები საქართველოში არსებული ვითარების გაუმჯობესების მიზნით.


## Summary


The paper refers to the "information revolution", its historical stages and particular attention is given to the modern phase of the information revolution as well as the appropriate preconditions, technologies and features.

The paper considers the problem of "Digital Divide" as entirely new social problem resulting from the modern stage of the information revolution.

The article presents the results based on the global information innovations, in political, economical and scientific - technical aspects as well.

It considers the appropriate situation in Georgia and the issues that are provided in the country's economy by information and information technology sector.

The article analyzes the data existing in Georgia's telecommunication sphere related to the development of telecommunications infrastructure in Georgia and provides the recommendations for improving the current situation in Georgia.

# თბილისის სამგზავრო საავტომობილო სამარშრუტო ქსელის ოპტიმიზაციის ღონისძიებები

*ნუგზარ ნავაძე,*
*ზურაბ მაჩიტიძე*

სამგზავრო საავტომობილო გადაყვანები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს პირობებში, რამდენადაც მისი ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მგზავრთა გადაყვანის თითქმის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი კი ისეთივე როლს ასრულებს ქალაქში, როგორც სისხლის მიმოქცევის სისტემა ცოცხალ ორგანიზმში, იგი უზრუნველყოფს ქალაქის სასიცოცხლო მოქმედებას, როგორც მთლიანი სისტემისა მისი ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურული, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ფუნქციებით.

ქალაქის მოცულობის და ორგანიზებულობის ზრდასთან ერთად მისი მოთხოვნილებები საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტისადმი განუწყეტლივ მატულობს, რაც სტიმულს აძლევს საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის განვითარებას, თუმცა წარმოიქმნება შეუსაბამობა თანამედროვე საქალაქო ტრანსპორტის ტექნიკურ შესაძლებლობებსა და მათ რეალურ გამოყენებას შორის.

სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ამჟამად ჩვენი პლანეტის ყოველი მეექვსე მცხოვრები ცხოვრობს ქალაქებში ერთ მილიონზე მეტი მცხოვრებით, ყოველი მესამე საშუალო სიდიდის ქალაქში და ყოველი მეოთხე პატარა ქალაქში. თვალნათლივ შეიმჩნევა მოსახლეობის კონცენტრაცია ქალაქებში, რის გამოც თანამედროვე ცივილიზაციას თამამად შეიძლება ეწოდოს ქალაქური.

ქალაქის მოსახლეობის მცხოვრებთა უმრავლესობა სატრანსპორტო გადაადგილებებზე ყოველდღიურად მნიშვნელოვან დროს ხარჯავს, მგზავრობაზე დროის ყოველდღიური დანახარჯები ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად მატულობს და დიდ ქალაქებში, ეგრეთ წოდებულ გიგანტებში (ერთ მილიონზე მეტი მცხოვრებით) აღწევს ორ საათსა და მეტს, აღნიშნული ფაქტორის დადგენის ე.წ. ქსელურ მგზავრობაზე მგზავრის დროის საერთო ხარჯების გამოსათვლელად გთავაზობთ ფორმულას.

$$T_{ჯ} = 2T_{ფ} + \left(T_{მოლ} + T_{მოძ}\right)K_{გ}$$

სადაც $T_{ფ}$ - არის გაჩერების პუნქტამდე ქვეითად მიმოსვლისათვის საჭირო დრო, წთ;

$T_{მოლ}$ – დროის დანახარჯი სატრანსპორტო საშუალებების მოლოდინში, წთ;

$T_{მოძ}$ – დროის დანახარჯი მოძრავი შემადგენლობით მგზავრობისას, წთ;

$K_{გ}$ – გადაჯდომის კოეფიციენტი.

სამარშრუტო მგზავრობაზე მგზავრის დროის საერთო დანახარჯები კი ტოლია:

$$T_{მარშ} = 2T_{ფ} + T_{მოლ} + T_{მოძ}$$

ფეხით გადაადგილებაზე დახარჯული დრო გაჩერების პუნქტამდე საშუალოდ ტოლია ფეხით გადაადგილების დროისა გაჩერების პუნქტიდან მგზავრობის მიზნამდე (საბოლოო ადგილამდე):

$$T_{ფ} = \frac{l}{v_{ფ}}\left(\frac{1}{3\delta} + \frac{l_{გადას}}{4}\right) = \frac{l}{v_{ფ}}\left(\frac{1}{3\delta} + \frac{l_{გადას}}{4}\right),$$

სადაც $v_{ფ}$ -არის ფეხით გადაადგილების სიჩქარე, კმ/სთ;

$\delta$ – სამარშრუტო ქსელის საშუალო სიმკვრივე კმ-1;

$l_{გადას}$ –მარშრუტზე გადასარბენის სიგრძე, კმ.

თანამედროვე სატრანსპორტო მეცნიერების აქტუალური ამოცანაა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის (ს.ს.ტ.) საწარმოო სამეურნეო საქმიანობის ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრთა მიერ დროის დაზოგვის ეკონომიკური შედეგების პირდაპირ აღრიცხვას, რაც კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს მისი ეფექტურად მუშაობის თაობაზე.

საქალაქო ტრანსპორტის ფუნქციონირება დიდ და მძიმე ეკოლოგიურ დატვირთვას ახდენს ქალაქის გარემოზე, ეს უპირველეს ყოვლისა ეხება დიდ, გიგანტ ქალაქებს და დედაქალაქებს, ბუნებრივია მათ შორის დედაქალაქ თბილისს. სხვადასხვა მკვლევართა მონაცემებით ქალაქების საჰაერო აუზში გამოყოფილ გამაჭუჭყიანებელთა 70-80% საავტომობილო ტრანსპორტთანაა დაკავშირებული. მდგომარეობას საგრძნობლად აუარესებს ქალაქში ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილების მუშაობა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში შემოყვანილი ავტომობილების უდიდესი ნაწილი, უკეთეს შემთხვევაში 5-10 წლით მაინცაა ექსპლოატაციაში ნამყოფი, ჩვენ სინამდვილეში კი ტექნიკური დათვალიერება სავალდებულო არა და შესაბამისად იგი კანონმდებლობით არ რეგულირდება, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართებით მდგომარეობის გაუმჯობესება ნაკლებად სავარაუდოა, თუ არ გატარდა სათანადო ღონისძიებები, მათ შორის: შედარებით ახალი მანქანების შემოყვანის წახალისების მიზნით ავტომობილების იმპორტის დაბეგვრის არსებული წესის კორექტირების, ავტომობილების რეალური და ხელმისაწვდომი ფასით სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების წესის (ეტასპობრივად მაინც) შემოღების და არც თუ შორეულ პერსპექტივაში ქვეყანაში შემოსაყვანი ავტომობილების ასაკის მაქსიმალური ზღვარის განსაძღვრის თვალსაზრისით და სხვ.

უარყოფით ფაქტორად უნდა იქნეს მიჩნეული ის ფაქტიც, რომ ქალაქთმშენებლობის ღონისძიებების განხორციელების დროს ხშირად არ ხდება ტრანსპორტთან დაკავშირებული მთელი რიგი მოთხოვნების გათვალისწინება, მათ შორის ეკოლოგიური ფაქტორების, რამდენადაც არაეფექტურად და არაადეკვატურად გამოიყენება დადგენილი ეკოლოგიური მოთხოვნების შეუსრულებლობასთან და ეკოლოგიური ზიანის მიყენებასთან კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამოყენების საკითხი, რაც განსაკუთრებით ხმაურს და მის გამომწვევ ფაქტორებს ეხება. აღნიშნულთან ერთად სამწუხარო პრაკტიკად დამკვიდრდა თითქოსდა უმნიშვნელო - სადარბაზოს მისადგომებიდან ავოტმობილის ხმოვანი სიგნალის გამოყენებით სასურველი პიროვნებისათვის მასთან მისვლის თაობაზე შეტყობინების გაგზავნა, რაზეც საერთოდ არ მახვილდება ყურადღება, არადა იქ მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღიზიანებას და სიმშვიდის დარღვევას იწვევს, მაშინ როდესაც კომუნიკაციის მრავალი საშუალება არსებობს.

მსუბუქი ავტომობილების დიდი რაოდენობის შემცველი სატრანსპორტო ნაკადით გამოწვეული ხმაური საშუალოდ 10 დბ-ით აღემატება ავტობუსებისა და მცირერიცხოვანი მსუბუქი ავტომობილებისაგან შედგენილი სატრანსპორტო ნაკადით გამოწვეულ ხმაურს, თუმცა ერთი მსუბუქი ავტომობილის მიერ შექმნილი ხმაური დაახლოებით 6-10 დბ-ით ნაკლებია ერთი (ერთეული) ავტობუსის მიერ შექმნილ ხმაურზე, როგორც წესი ექსპლუატაციაში ხანგრძლივი დროით ნამყოფ ავტობუსებს ხმაურის მაღალი დონე აქვთ, რაც ჩვენი დედაქალაქისათვის დამახასიათებელი ფაქტორია, გვერდს ვერ აუვლით იმ ფაქტს, რომ, მიკროავტობუსების საქალაქო სამგზავრო სამარშრუტო ქსელში მასიურად ჩართვამ და მისი ზრდის ტენდენციამ დაამკვიდრა პრაქტიკა, ერთი დიდი ტევადობის ავტობუსის ნაცვლად მგზავრთნაკადის 5-6 მიკროავტობუსით ათვისების თაობაზე, რასაც თან სდევს ისეთი უარყოფითი ფაქტორები, როგორიცაა ეკოლოგიური პირობების და ქუჩების გამტარუნარიანობის გაუარესება.

ყოველივე აღნიშნული ნათლად მიუთითებს სამარშრუტო ქსელის შემდგომ სრულყოფასა და ოპტიმიზაციაზე. ამ მიზნით შევისწავლეთ და გავაანალიზეთ თბილისის სამგზავრო საავტომობილო სამარშრუტო ქსელში, როგორც მიკროავტობუსების, ისე მასიური ტევადობის ავტობუსების მუშაობის ძირითადი მახასიათებლები. დიდი ქალაქებისათვის ფართოდ გავრცელებული მარშრუტების რადიალურ-წრიულ სქემასთან მიმართებით დედაქალაქის სამარშრუტო ქსელი მოითხოვს გადახედვას, რადგანაც აღნიშნული სქემის (იხ. რუქა N1) ხუთ ძირითად მარშრუტთან: 1. რადიალური; 2.დიამეტრალური; 3.წრიული; 4. ტანგენციალური; 5.ნახევრად დიამეტრალური, რეალურად არსებული საქალაქო მარშრუტების სახეობათა თანაფარდობა არ იძლევა სასურველ სურათს.

რუქა N1. რადიალურ-წრიული სქემის დამახასიათებელი ძირითადი მარშრუტები

მიკროავტობუსების სამარშრუტო ქსელში მეტნაკლებად დაცულია და ძირითადში სწორად არის განსაზღვრული პრიორიტეტები. კერძოდ, დედაქალაქში არსებული 223 მიკროავტობუსების მარშრუტიდან ტანგენციალური მარშრუტების რაოდენობა შეადგენს 88-ს; რადიალური 58-ს; დიამეტრალური 31-ს; წრიული 28-ს; ნახევრად დიამეტრალური 18-ს;

აღნიშნულის პროცენტული თანაფარდობა შემდეგ სურათს იძლევა: ტანგენციალური 39,5%; რადიალური 26%; დიამეტრალური 13,9%; წრიული 12.6%; ნახევრად დიამეტრალური 8%;

სრულყოფილი წარმოდგენის მიზნით დიაგრამაზე მოცემულია მარშრუტების სახეობათა წილი მთლიან სამარშრუტო სისტემაში (დიაგრამა N1).




დიაგრამა N1. მარშრუტების სახეობათა წილი არსებულ მთლიან სამარშრუტო ქსელში

სქემატური გამოსახულებიდან ნათლად ჩანს, რომ დედაქალაქში მიკროავტობუსების მარშრუტებზე უმეტეს წილად გამოყენებულია ტანგენციალური და რადიალური მარშრუტები, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა დიამეტრალური და ნახევრად დაიმეტრალური მარშრუტების რაოდენობა (31+18), რაც მთლიანი მარშრუტების 21,9%-ს შეადგენს, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და მოითხოვს აუცილებელ კორექტირებას, ეს ის მარშრუტებია, რომელთა სიგრძეები ბევრად აღემატება ქალაქისათვის დამახასიათებელი სამარშრუტო ქსელის მარშრუტების საშუალო სიგრძეს და სცილდება ორ ათეულ კილომეტრსაც კი, რაც თავის მხრივ ზრდის მიკროავტობუსებში მგზავრთა ყოფნის დროს, მაშინ როცა მიკროავტობუსების მგზავრთა სალონის ელემენტების ძირითადი ზომები საერთოდ არ შეესაბამება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სალონის ძირითადი ელემენტების ზომებს, რაც მეტნაკლებად მოუხერხებელს და არაკომფორტულს ხდის მგზავრობას ხანგრძლივი დროით და რაც მთავარია იწვევს ქალაქის ცენტრალური ქუჩების გადატვირთვას და გამტარუნარიანობის შემცირებას.

დაკვირვებით დადგენილ იქნა, რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ, დავით აღმაშენებლის, გამსახურდიას, კოსტავას, ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგისა და წერეთლის გამზირებზე პიკის საათებში საშუალოდ ერთ წუთში მარტო ერთი მიმართულებით 5-7 მიკროავტობუსი გადის, საათის განმავლობაში კი საშუალოდ 400-ზე მეტი მიკროავტობუსი მოძრაობს, რომელთა მუშაობა არ ექვემდებარება განრიგს, რის გამოც ქუჩები მაქსიმალურადაა გადატვირთული, მიკროავტობუსების სალონები კი არცთუ იშვიათად შეუვსებელია, თუმცა ხშირია შემთხვევებიც იმისა, რომ ისინი მოძრაობენ გადატვირთული სალონებით (4-6 კაცი დგას ფეხზე), შეუვსებელი სალონებით მიკროავტობუსების მუშაობას კი ისე, როგორც საშუალო და დიდი ტევადობის ავტობუსების მაგალითზე, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეტროპოლიტენის ხაზის პარალელურ მარშრუტებზე, რაც საგულისხმო ფაქტორია მათი მუშაობის მიზანშეწონილობის განხილვის თვალსაზრისით, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თბილისის მეტროპოლიტენი ერთ-ერთი თანამედროვე და მძლავრი მეტროპოლიტენია, რაზეც ნათლად მეტყველებს ციფრებიც, მას გააჩნია ორი ხაზი, 22 სადგური, 27 ამოსასვლელი, 135 გამშვები პუნქტი, 24 ქვესადგური, 59 ექსკალატორი-გაშლილი სიგრძით 10 კმ-ი. გვირაბის სიგრძე 57 კმ-ია, რაც მთავარია მისი მოძრავი შემადგენლობის სიობრივი რაოდენობა 200 ერთეულს აღწევს, ხაზზე მომუშავე მოძრავი შემადგენლობის რაოდენობა კი 160 ერთეულია, საიდანაც კარგად ჩანს, რომ მოძრავი შემადგენლობის გამოყენების კოეფიციენტი საშუალო მაჩვენებელს აღემეტება და 0,8-ს სცილდება. მოძრავი შემადგენლობის დატვირთვა-მგზავრთტევადობის გამოყენების კოეფიციენტი კი შედარებით დაბალია და მოძრავი შემადგენლობის მზადყოფნის და გამოყენების არაადეკვატურია, რის გამოც მეტროპოლიტენს წელიწადში გადაყავს დაახლოებით 85 მილიონი მგზავრი, მაშინ როდესაც 100 მილიონამდე მგზავრის გადაყვანის საშუალება არსებობს.

მიკროავტობუსების მუშაობის შესწავლის ანალოგიური ფორმით და პრინციპით იქნა შესწავლილი ქალაქ თბილისის საავტობუსო ქსელში მასიური ტევადობის (საშუალო და დიდი) ავტობუსების ძირითადი სამარშრუტო მახასიათებლები, თბილისში არსებულ 91 საავტობუსო მარშრუტს მთლიანობაში ემსახურება 686 ავტობუსი, მათ შორის 11 მარშრუტზე მუშაობს დიდი ტევადობის (დასაჯდომი ადგილების რაოდენობა 31, მთლიანი მოცულობა-ფეხზე მდგომით 80) „ბოგდანი-A1445“ მარკის 144 ავტობუსი, ხოლო 80 მარშრუტზე საშუალო ტევადობის (დასაჯდომი ადგილი 21, საერთო მოცულობა 43) „ბოგდანი A 092“ მარკის 537 ავტობუსი, ხაზზე სამუშაოდ საშუალოდ გადის 496 ავტობუსი, მათ შორის 111 დიდი და 385 საშუალო ტევადობის, შესაბამისად პარკის გამოყენების კოეფიციენტი შეადგენს, დიდი ავტობუსებისათვის 0.74-ს, ხოლო საშუალო ტევადობის ავტობუსებისათვის 0.72-ს, ყველაზე გრძელი მარშრუტებია N51 და N21 რომელთა ბრუნის სიგრძეები სცილდება ყოველგვარ კრიტიკას და ქალაქის სინამდვილეში შეადგენს შესაბამისად 46 და 48 კილომეტრს, ასევე ზღვარს სცილდება რეისის საშუალო სამარშრუტო სიგრძე და იგი საშუალოდ 12-13 კმ-ს შეადგენს. რადიალურ-წრიული სქემისათვის დამახასიათებელი მარშრუტების შესაბამისად გაკეთებული ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ 91 საავტობუსო

მარშრუტიდან, რადიალური პრინციპით მუშაობს 32; დიამეტრალურად 11; ნახევარდიამეტრალურად 20; წრიულად 3 და ტანგენციალურად 25. პროცენტული გამოსახულებით იგი შემდეგ სახეს იძლევა: რადიალური–35.16%; დიამეტრალური–12.08%; ნახევრად დიამეტრალერი 21,97%; წრიული 3.29% და ტანგენციალური 27.47%. მეტი თვალსაჩინოებისათვის მარშრუტების წილი სახეობების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამაზე ( იხ. დიაგრამა N1).

მთლიანი საავტობუსო სამარშუტო ქსელის (მიკროავტობუსები, მასიური ტევადობის ავტობუსები) შემადგენელი მარშრუტების სახეობათა საერთო წილი რადიალურ წრიული სქემით აგებულ თბილისის საავტობუსო სამარშუტო სისტემაში წარმოდგენილია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა N2).




დიაგრამა N2. მარშრუტების სახეობათა წილი არსებულ მთლიან სამარშრუტო ქსელში

სამარშრუტო ქსელის აღნიშნული ზოგადი მიმოხილვაც კი მნიშვნელოვნი ფაქტორია მეტროპოლიტენის ხაზის პარალელური საავტობუსო მარშრუტების შემცირების, დამოკლებისა და მიმართულებების შეცვლის თვალსაზრისით.

აღნიშნული ღონისძიებების გატარების აუცილებლობის და მიზანშეწონილობის მიზნით შევისწავლეთ მიკროავტობუსების N120 დიამეტრული და N135 ნახევრად დიამეტრული მარშრუტები, რომელთა სიგრძე შესაბამისად 21 და 22 კმ-ია. თითოეული მარშრუტი გადის 20-ზე მეტ ქუჩას, რამოდენიმე გამზირსა და სატრანსპორტო მონაკვეთს მარტო ერთი მიმართულებით, რაც ცილდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სამარშრუტო ქსელის ოპტიმალურად დაგეგმვის და დაწესების მოთხოვნებს და მოითხოვს შესაძლო კორექტირებას, რის შესაძლებლობასაც იძლევა მარშრუტების, მოსახლეობის დიდი უკმაყოფილების გარეშე დამოკლება-გაყოფა იმ საკვანძო ადგილებამდე საიდანაც არა ერთი მარშრუტის თანხვედრითი მოძრაობა წარმოებს. გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას აადვილებს სათანადო შესწავლით მიღებული მიზნობრივი ნიშნის მიხედვით მოსახლეობის მიმოსვლიანობათა შეთავსების და სტრუქტურის ანალიზი (იხ. ნახაზი N1), საიდანაც ჩანს, რომ მოსახლეობის მიზნები გადაადგილებაზე არ უკავშირდება ერთ ან ორ ობიექტს, იგი სხვადასხვა მიმართულებით იშლება და სრულებითაც არ საჭიროებს 20-22 კმ-იან მარშრუტებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მათი უმრავლესობა გაგებით შეხვდება ქალაქის ცენტრალური ნაწილის განტვირთვას და შესაბამისად ქალაქში დღეს არსებული დაბალი ტექნიკური და საექსპლუატაციო სიჩქარეების გაზრდას, რაც პირდაპირ აისახება სპეციალური სამსახურების მიერ სპეცტრანსპორტით (პატრული, სახანძრო, სასაწრაფო, საავარიო სამსახურები და სხვა) საჭიროების შემთხვევაში მათ ოპერატიულ მომსახურებას, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მარშრუტების გაყოფით მინიმუმ მათთვის გადასაადგილებელ მონაკვეთზე მგზავრობის ღირებულების ორჯერ მაინც შემცირებას, გადაწყვეტილება აქტუალურად შეიძლება ჩაითვალოს.

ბევრია სხვა ისეთი მარშრუტებიც, რომელთა სიგრძე 20 კმ-ს აღემატება და ქალაქის ცენტრალურ ნაწილშიც გადის, რაც ბუნებრივია იწვევს ცენტრალური ქუჩების გადატვირთვას და შესაბამისად მათი

| ციკლების სტრუქტურა | მიმოსვლიანობათა მიზნობრივი თანმიმდევრობა ჩაკეტილ ციკლებში | ციკლების კუთრი წილი, % | მიმოსვლიანობათა კუთრი წილი, % |
|---|---|---|---|
| ხაზოვანი, წრფივი | სახლი ⇄ სამსახური | 36,6 | 33 |
| | სახლი ⇄ კულტურულ-საყოფ. ობიექტები | 31,1 | 28 |
| | სახლი ⇄ სასწავლებელი | 17,6 | 16,2 |
| სამკუთხა | სახლი → სამსახ. → კულტურულ-საყ. ობიექტები → სახლი | 6,4 | 8,6 |
| | სახლი → კულტურულ-საყ.ობიექტები → კულტურულ საყოფ.ობ.ტი → სახლი | 2,8 | 3,8 |
| | სახლი → სასწავ. → კულტურულ-საყ. ობიექტები → სახლი | 1,6 | 2,3 |
| ოთხკუთხა | სახლი → სამსახურ → კულტ.საყოფ.ობ. → სახლი | 1,5 | 2,8 |
| | სახლი → კულტ.საყოფ.ობ. → სამსახური → კულტ.საყოფ.ობ → სახლი | 0,7 | 1,2 |
| | სახლი → კულტ.საყ.ობ → კულტ.საყოფ.ობ. → კულტ.საყოფ.ობ. → სახლი | 0,4 | 0,8 |
| სხვადასხვა | | 1,3 | 3,3 |

ნახაზი N1. მიმოსვლიანობათა შეთავსება და სტრუქტურა მიზნობრივი ნიშნის მიხედვი

გამტარუნარიანობის შემცირებას, თუმცა მათაც აქვთ დადებითი მხარეები, გრძელი მარშრუტები უზრუნველყოფენ გადაჯდომის გარეშე მიმოსვლას ქალაქის პერიფერიულ პუნქტებს შორის და არ საჭიროებენ საბოლოო პუნქტების შექმნას ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. მაშინ, როდესაც მოკლე მარშრუტები აადვილებს ავტობუსების უფრო თანაბარ შევსებას მარშრუტის მთელ სიგრძეზე, ზრდის მგზავრთტევადობის გამოყენების კოეფიციენტის ამაღლების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს მოძრაობის უფრო მაღალ რეგულირებას და აადვილებს მარშრუტზე მოძრავი შემადგენლობის მუშაობის დადგენილი ძირითადი სამარშრუტო ელემენტების დაცვას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიდი ქალაქების სამარშრუტო ქსელის მარშრუტების საშუალო სიგრძე ძირითადად მაინც დაკავშირებულია ქალაქის ზომებთან და მის გეოგრაფიულ განფენილობასთან. თბილისი, რამდენადაც იგი მდინარე მტკვრის გასწვრივ ორივე მხარეს სიგრძეზეა განფენილი სამარშრუტო ქსელის შერჩევის  დიდ არჩევანს არ ტოვებს, რის გამოც ჩვენი გათვლებით აქ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ძირითადად რადიალურ და ტანგენციალურ მარშრუტებს.

მოძრავი შემადგენლობის მოძრაობის რეჟიმიდან გამომდინარე, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მარშრუტის გავლის სიჩქარეზე, პრაქტიკაში ფართოდ უნდა დამკვიდრდეს ისეთი მარშრუტები, როგორიცაა: ჩქაროსნული, რომლის დროსაც ავტობუსები ჩერდება მარშრუტის მხოლოდ ზოგიერთ გაჩერების პუნქტში. ნახევრადექსპრესული, რომლის დროსაც მგზავრები ავტობუსში გროვდებიან მარშრუტის დასაწყის და რამოდენიმე გასაჩერებელ პუნქტში, შემდეგ კი ავტობუსები გაჩერებათა გარეშე მიდის ბოლო პუნქტამდე ან პირიქით, მარშრუტის საწყისი პუნქტიდან ავტობუსს მგზავრები გადაყავს დანიშნულების მიკრორაიონამდე გაუჩერებლად, შემდეგ კი იწყება გაჩერებები მიკრორაიონის უბნების სხვადასხვა პუნქტებში და ექსპრესული, რომლის დროსაც მოძრაობა მარშრუტზე საწყისიდან ბოლო პუნქტამდე ხდება შუალედური გჩერებების გარეშე. მარშრუტებზე გაჩერებების შემცირება იმ მიზნითაც არის მისაღები, რომ ს ს ტ-ის მგზავრთა მიღებული ტრამვების დაახლოებით 70% მოდის სატრანსპორტო საშუალებებში ჩასხდომაზე და მათგან გამოსვლაზე, რისი გათვალისწინებაც საჭიროა გაჩერების პუნქტების მოწყობისა და მძღოლთა კადრების მომზადების დროს.

სამარშრუტო ქსელის სწორად განსაძღვრის და აგების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო, კერძოთ საავტომობილო გადაყვანების დოქტრინას, რაც არის შეხედულებათა და დებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დგინდება სატრანსპორტო სისტემის, ორგანიზაციის, მშენებლობის, ექსპლოატაციის და განვითარების ძირითადი მიმართულებები და პრინციპები. მისი ფუნქციონირების თეორიულ-კონცეპტუალური და სამართლებრივი სფუძვლები საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომპლექსში(სისტემაში), გადაყვანათა განხორციელების, სატრანსპორტო საქმიანობათა შედეგების და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მაჩვენებლების შეფასების მეთოდები. სატრანსპორტო დოქტრინის თეორიული დასაბუთება ხდება მეცნიერთა მიერ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით, გამოკვლევებისა და ცდების შედეგების ანალიზის საფუძველზე.

სამწუხაროდ ასეთ დოქტრინას ჩვენ არ ვიცნობთ, რამდენადაც იგი ჩვენი აზრით არ არსებობს, კიდევ უფრო მეტიც, ძირითადად საჯარო განხილვისა და პროფესიონალ სპეციალისტებთან შეთანხმების გარეშე ხდება სატანსპორტო კომუნიკაციების დაგეგმვა და მშენებლობა, ბევრი პროექტი მშენებლობის პროცესში კორექტირდება და სრულდება, არ ხდება მათი დასრულებული სახით განხილვა-დამტკიცება და შემდგომ მუშაობის დაწყება, არც თუ იშვიათ შემთხვევაში ადგილი აქვს შემსრულებლის წინადადების და მისი ინტერესის მეტად გათვალისწინებას ვიდრე საზოგადოების საერთო ინტერესისა. რის გამოც ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ ბევრი ობიექტი არ იძლევა სასურველ შედეგებს, ხარვეზებით ხასიათდება გმირთა მოედანზე ე.წ ესტაკადის მუშაობა, კვლავ საცობი იქმნება თამარ მეფის გამზირიდან, პანდუსზე ასული მანქანისათვის საჭიროების შემთხვევაში, რაიმე დახმარების გაწევა ფაქტიურად შეუძლებელია მასთან მიუდგომლობის გამო. ქუჩებში მოწყობილი ზოგიერთი გადასასვლელი ხიდით დღეში 100 კაციც არ  სარგებლობს, სრულიად მოუხერხებელია მოხუცებისა და ინვალიდებისათვის.

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი დაგეგმილია მტკვარზე „ ვეფხვისა და მოყმის“ ძეგლის მიმდებარე, გელოვანის გამზირიდან  დიდუბეში-მარცხენა სანაპიროზე სამტრედიის ქუჩის  მიმართულებით გადასასვლელი ხიდის მშენებლობა, აღნიშნული მონაკვეთების მიმდებარე ტერიტორიებზე საცობების შემცირების და გზის გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, რაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ სასურველ შედეგს მოიტანს, დაწმუნებული ვართ ბევრად უკეთესი იქნება განხილული იქნეს წინადადება, რათა ვახუშტი ბაგრატიონის ხიდზე გადასულ ტრანსპორტს გზის გაგრძელების შემდეგ შესაბამისი საინჟინრო ნაგებობათა შექმნით, მიეცეს ნაძალადევის ტერიტორიაზე გადასვლის საშუალება.

თბილისის სამგზავრო საავტომობილო სამარშრუტო ქსელის ოპტიმიზაციის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. შემუშავდეს და დამტკიცდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის სამარშრუტო ქსელის სრულყოფის და განვითარების დოქტრინა, რათა გამოირიცხოს დაუსაბუთებელი, შესაბამის სამსახურებთან სათანადოდ განხილვის და პროექტის დამტკიცების გარეშე სატრანსპორტო კომუნიკაციების დაგეგმვა და მშენებლობა.

2. ქალაქის  სამგზავრო საავტომობილო სამარშრუტო ქსელში პრიორიტეტულად იქნას მიჩნეუ-

ლი რადიალური და ტანგენციალური მარშრუტების მუშაობა, ამასთან ერთად გამოყენებული იქნას დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელი ჩქაროსნული, ექსპრესული და ნახევრად ექსპრესული პრინციპით მომუშავე მარშრუტები.

3. განხილული იქნას მეტროპოლიტენის ხაზის პარალელური საავტობუსო და მიკროავტობუსების მარშრუტების შემცირების, მათთვის მიმართულებების შეცვლის და მიკროავტობუსების თავისი ძირითადი დანიშნულებისამებრ, როგორც დამხმარე სატრანსპორტო საშუალება-მოკლე მანძილებზე მგზავრების გადასაყვანად გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხები.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ნ. ნავაძე, ვ. ქართველიშვილი, თ. გორშკოვი - "სამგზავრო საავტომობილო გადაყვანები". თბ., 2009 გვ. 412.
2. Спирин И.В. Организация и управление пассажирскими автомобильными перевозками. Москва. Транспорт. 2009 , 398 ст.
3. Тураевский И.С. Автомобильные перевозки. Учеб. для вузов. - Мс., Транспорт, 2008 . 222 ст.


### რეზიუმე


განხილულია თბილისის საქალაქო სამგზავრო საავტომობილო სამარშრუტო ქსელის არსებული მდგომარეობა და მისი შემდგომი ოპტიმიზაციის ღონისძიებები. აღნიშნულია, რომ: გამოყენებული რადიალურ-წრიული სქემიდან გამომდინარე ქალაქში პრიორიტეტულია რადიალური მარშრუტები, რაც მართებულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ნახევრად დიამეტრალური და დიამეტრალური მარშრუტების რაოდენობა მოითხოვს კორექტირებას მისი დამოკლების, შემცირების და მიმართულების შეცვლის თვალსაზრისით.

არ არსებობს საქალაქო საავტომობილო გადაყვანების და სამარშრუტო ქსელის შემდგომი განვითარების დოქტრინა, არ გამოიყენება ჩქაროსნული, ექსპრესული და ნახევრად ექსპრესული მარშრუტები, განსახილველია მეტროს ხაზის პარალელური და გრძელი მარშრუტების დამოკლება-შემცირების მიზანშეწონილობის საკითხები, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რაც მოძრაობის სიჩქარეების ამაღლებასაც შეუწყობს ხელს.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული მიკროავტობუსების ძირითადად მოკლე მანძილებზე მუშაობა, კერძოდ ქალაქის განაპირა დასახლებული პუნქტებიდან და საცხოვრებელი მასივებიდან მგზავრების ძირითადად მეტროპოლიტენის პირველ შემხვედრ სადგურამდე და უკიდურეს შემთხვევაში ქალაქის ცენტრალურ ნაწილამდე მისაყვანად და ქალაქის მნიშვნელოვან კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებს შორის კავშირის დასამყარებლად.

სატრანსპორტო კომუნიკაციების დაგეგმვა, პროექტირება და მშენებლობა ხშირ შემთხვევაში ხდება არა სათანადო განხილვის და წინასწარ დამტკიცებული პროექტების გარეშე. რის გამოც ყოველთვის ვერ ხერხდება დასახული მიზნის სრულყოფილად მიღწევა.

არასაკმარისი ღონისძიებები ტარდება ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნათა სრული დცვის უზრუნველსაყოფად,


### Summary


*N. Navadze,*
*Z. Machitidze*



The existing situation of the Tbilisi city route network of passenger traffic, along with its further optimization activities has been studied, as a result of which, the following has been stated: considering the applied radial – circle scheme, the priority is attached to radial routes in the city, which should be reasonable. However, the number of semi diametral and diametral routes requires correction from the point of its shortening, decrease and changing directions.

There are no high-speed, express and half express routes in use, with no principles of further developing city passenger traffic and route network; additional examination should be held regarding the parallel and long routes in subway lines, referring to the issue of reasonability of shortening and cancelling them.

The work of minibuses should be more reasonable over the shorter distances; particularly, to drive from the suburbs and residential massive areas of the city to the nearest underground station and in extreme cases to the central part of the city and connect to the essential culture – domestic entities in the city.

Planning, projecting and constructing traffic communications is in most cases accomplished without the preliminarily approved project and its due examination. This might be the reason to prevent reaching the goal completely.

The activities to secure the complete satisfaction of ecological safety requirements are also insufficient.

# ვიზუალური ინფორმაციის ელექტრონულით ჩანაცვლება საავტომობილო გზების დაპროექტებაში

*კონსტანტინე მჭედლიშვილი,*
*ლევან იმნაიშვილი, სტუ-ს სრული პროფესორი*
*მ. ფოლადაშვილი,*

როგორც ცნობილია, მასიური ტრანსპორტის ყველა სახეობათა შორის საავტომობილო ტრანსპორტი ყველაზე უფრო ხიფათიანია. სარკინიგზო, საჰაერო და წყლის ტრანსპორტთან შედარებით, გადაადგილებული მგზავრების რაოდენობაზე (მლნ. მგზ.), ან შესრულებულ სატრანსპორტო მუშაობაზე (მლნ. მგზ.კმ.), მგზავრების რაოდენობაზე დაჭრილთა და დასახიჩრებულთა რაოდენობა რამდენჯერმე მეტია, ვიდრე სხვა სახეობის ტრანსპორტზე.

კერძოდ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 100 მლნ. მგზ.კმ. სატრანსპორტო მუშაობაზე დაღუპულთა რაოდენობა ნაწილდება: რკინიგზის ტრანსპორტი — 2, საჰაერო — 8, საავტომობილო — 25. ე.ი. საჰაერო 4-ჯერ უფრო სახიფათოა და საავტომობილო ტრანსპორტი 13-ჯერ უფრო სახიფათოა რკინიგზის ტრანსპორტთან შედარებით [1].

საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების (სსშ) გამომწვევი მიზეზია 4 ძირითადი ფაქტორი: ადამიანი, ავტომობილი, გზა და გარემო. ნებისმიერი სსშ არის ამ ოთხი ფაქტორის კომპლექსური მოქმედების შედეგი, მაგრამ წლების მანძილზე დაგროვილი სტატისტიკური მონაცემების გულდასმითი და კვალიფიციური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სსშ გამომწვევ მიზეზებს შორის ყველაზე დიდი წილი ეკუთვნის საგზაო პირობებს.

მოწინავე ქვეყნები, სადაც საგზაო ქსელი კარგად არის განვითარებული და საგზაო პირობებიც კარგია (დასავლეთ ევროპის ქვეყნები, აშშ, იაპონია) შემთხვევათა 65-70%-ში გამომწვევ მიზეზად ასახელებენ საგზაო პირობებს. ასეთი ციფრის რეალობას ამტკიცებს ორი გარემოება: საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების 70-80% გზის გასწვრივ ეგრეთ წოდებულ შავ წერტილებზე მოდის, სადაც ცუდი საგზაო პირობების გამო ხდება სსშ. ასეთ ადგილებში საგზაო პირობების გაუმჯობესების შემდეგ შემთხვევათა რაოდენობა კლებულობს და იგი გადის იმ ფონის დონეზე, რომელიც იყო მიმდებარე მონაკვეთებზე, ანუ 70-80% მაგივრად ვიღებთ 20-25%-ს.

აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საგზაო პირობების როლი გადამწყვეტია სსშ წარმოშობაში.

თვით საგზაო პირობების ანალიზი აგრეთვე გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ფაქტორებიდან: სავალი ნაწილის სისწორე, ხორკლიანობა და სიმქისე, სავალი ნაწილისა და გვერდულების სიგანე, ხელოვნური ნაგებობებისა და მოწყობა-გაფორმების ელემენტების განლაგება და ა.შ. ყველაზე დიდი ხიფათის შემცველია არასაკმაო მხედველობის მანძილი, რის შედეგად აღძრული დროის დეფიციტის გამო მძღოლი ვერ ახდენს რეაგირებას მოძრაობის პირობების ცვლილებაზე.

ამგვარი სიტუაციიდან ორი გამოსავალი არსებობს: შევზღუდოთ მოძრაობის სიჩქარე და გადაადგილების თავისუფლება შესაბამისი საგზაო ნიშნებით, შუქნიშნებითა და მონიშვნით; ეს გააუმჯობესებს მოძრაობის უსაფრთხოებას, მაგრამ ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან იზრდება გადაადგილების დრო, საწვავის ხარჯი და საჭირო ავტოპარკის რაოდენობა. ამავე დროს იგივე საგზაო პირობებში (მხედველობის დეფიციტის პირობებში) მაღალი სიჩქარის შენარჩუნება ზრდის სსშ-ს რისკს და დაზიანების სიმძიმეს.

მხედველობის მანძილის გაზრდა შესაძლებელია გეგმაში მოხვევის რადიუსების გაზრდით, გრძივ პროფილში ამოზნექილი ვერტიკალური რადიუსის მნიშვნელოვანი მატებით და გეგმის და გრძივი პროფილის ელემენტების ოპტიმალური შეხამებით, ეს უკანასკნელი გამოიხატება გეგმასა და გრძივ პროფილში არსებული გარდატეხების ურთიერთგანლაგებისა და მათი რადიუსების ურთიერთშეხამებისადმი გარკვეული მოთხოვნების დაცვაში.

ამ მოთხოვნების დაცვა თავისთავად იწვევს მიწის სამუშაოთა მოცულობების მკვეთრ ზრდას, მნიშვნელოვნად იზრდება მშენებლობის ღირებულება ღრმა ჭრილებით და დიდი ზომის ხელოვნური ნაგებობებით, უარესდება ფერდობების მდგრადობა, ზედაპირული და გრუნტის წყლების ჩამოდინების პირობები, აქტიურდება ეროზიული და მეწყერული პროცესები.

თანამედროვე ეპოქაში მასიური ტრანსპორტის ყველა სახეობა ფართოდ იყენებს ინფორმაციის მიღების ელექტრონულ, რადიო და სხვა არავიზუალურ საშუალებებს. მაგ., გემების გადაადგილება ნისლში მთლიანად დამოკიდებულია რადიოლოკაციურ საშუალებებზე, თვითმფრინავების სივრცეში გადაადგილება აღარ არის დაკავშირებული ვიზუალურ ინფორმაციაზე, სარკინიგზო შემადგენლობის გადაადგილებისას ინფორმაციის უდიდეს ნაწილს მემანქანე იღებს ავტომატურად, ელექტრო სიგნალიზაციის საშუალებათა გამოყენებით. ავტომობილი დარჩა ერთადერთ სატრანსპორტო საშუალებად, რომლის მართვა მძღოლის მიერ გარემოს ვიზუალური აღქმის ინფორმაციაზეა დაყრდნობილი. ინფორმაციის მეტად მცირე ნაწილი მიიღება სმენისა და ვესტიბულარული აპარატის ორგანოების საშუალებით.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე საავტომობილო

გზაზე რომ შეიქმნას ტვირთებისა და მგზავრების გადაადგილების ოპტიმალური პირობები, აუცილებელია მძღოლმა მიიღოს ინფორმაცია, რომელიც არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ საგზაო პირობების ვიზუალურ აღქმაზე. მძღოლი უნდა ღებულობდეს ინფორმაციას მის წინამდებარე მონაკვეთზე გეგმისა და გრძივი პროფილის გეომეტრიული ელემენტების შესახებ, სავალი ზოლისა და გვერდულების არსებული სიგანის გამოყენების შესაძლებლობაზე, შემხვედრი და წინმავალი ავტომობილის ნაკადის შესახებ. ამჟამად ამ მონაცემებს მძღოლი ღებულობს მარტო არსებული სიტუაციის ვიზუალური აღქმის საფუძველზე, რომელიც ემყარება გზაზე არსებული მხედველობის მანძილს.

მიზანშეწონილია საავტომობილო გზებზე დაინერგოს მძღოლების ინფორმირების სისტემა, რომელიც ელექტრონული ან რადიო სიგნალების საშუალებით უზრუნველყოფს უამინდობით ან გზის გეგმისა და პროფილის ელემენტების რთული შეხამებით გამოწვეული შეზღუდული მხედველობის ადგილებში მძღოლის ინფორმირებას ტრასის ელემენტების სირთულეზე, განივი პროფილის ელემენტების მდგომარეობაზე, აგრეთვე შემხვედრი და წინმავალი ავტომობილების მოძრაობაზე.

ამისთვის პირველ რიგში აუცილებელია ჩამოყალიბებული იქნას მოთხოვნები აპარატურისა და მოწყობილობისადმი, რომელთაც უნდა გადასცენ ინფორმაცია მძღოლებს საგზაო პირობების შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ტრასის სიმრუდე, დახრილობა; სავალი ნაწილის და გვერდულების სიგანე; შემხვედრი და წინმავალი ავტომობილების რაოდენობა; მათ ჯგუფებამდე დარჩენილი მანძილი და ჯგუფებში ავტომობილების განლაგება. აუცილებელია შემუშავდეს მოთხოვნები მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა მიმართ, რომელთაგან ინფორმაციის მიღება ვიზუალურის გარდა შესაძლებელი იქნება ელექტრონული ან რადიო სიგნალების სახით. ამჟამად არსებული გზის გეომეტრიული ელემენტების ნორმირება ეყრდნობა მძღოლის მიერ გზის პირობების მხედველობით აღქმას. უნდა მოხდეს გადასვლა ტრასის, გრძივი და განივი პროფილების პარამეტრების ნორმირების და შერჩევის ახლებურ პრინციპებზე მძღოლის მიერ ინფორმაციის არავიზუალურად მიღების საფუძველზე.

ამავე დროს აუცილებელია შემუშავდეს გზის გეომეტრიული ელემენტებისადმი მოთხოვნების ტრანსფორმირების შედეგად მიღებული ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტის რაოდენობრივი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შემუშავდეს ნორმატივები ვერტიკალური ამოზნექილი მრუდების რადიუსთა ნორმირების შესახებ, ნორმირების საფუძველი შეიძლება გახდეს მრუდის ბისექტრისისა და სამუშაოთა მოცულობის ურთიერთკავშირის ანალიზური გამოსახულება მიწის ვაკისის სხვადასხვა სიგანის პირობებში. უნდა შემუშავდეს გეგმაში დიდი მოხვევის კუთხის მქონე მოსახვევების სიმრუდის პარამეტრების ნორმატივები, რომელთა შეფასების კრიტერიუმი შეიძლება იყოს მოხვევის კუთხესა და რადიუსს შორის კორელაციური კავშირი. კორელაციის კონკრეტული მაჩვენებელი მიზანშეწონილია დადგინდეს დასერილ, სამთო, ვაკე პირობებისათვის, აგრეთვე საჭირო იქნება ვერტიკალური და ჰორიზონტალური მრუდეების ურთიერთგანლაგების რეკომენდაციები არასაკმარისი მხედველობის მანძილის პირობებში.

ვიზუალური მხედველობის პრინციპებიდან ტრასის ელემენტების პარამეტრების შერჩევაზე უარის თქმა არ ნიშნავს გზებზე, გზის ზედაპირის გარკვეულ მანძილზე მხედველობით აღქმაზე უარის თქმას. გზის პარამეტრები უნდა აკმაყოფილებდეს უეცრად გამოჩენილი უძრავი წინააღმდეგობის წინ დამუხრუჭების პირობას, მდგრადობისა და მართვადობის პირობიდან საანგარიშო სიჩქარით გადაადგილებისას.

უკვე ჩვენი კოლეგები ავტომობილისტებიც აღნიშნავენ ასეთი მოწყობილობების აუცილებლობას. კერძოდ, ვ. ბოგველიშვილის და სხვათა სტატიაში [2], რომელიც ეძღვნება გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებებს, აღნიშნულია, რომ აუცილებელია სამთო გზებზე, უამინდობასა და სიბნელეში მოძრაობის გაიოლებისათვის საჭირო მოწყობილობების შექმნა, სრულყოფა და ფართოდ გამოყენება. ჩვენ ვაყენებთ ამ პრობლემას უფრო ფართოდ. ხელსაყრელი ამინდის პირობებშიც გზის გეომეტრიული ელემენტების პარამეტრთა გარკვეული შეხამებების შედეგად მრავალია არასაკმაო მხედველობის მანძილის მქონე მონაკვეთები. საჭიროა ამ მონაკვეთების პარამეტრებზე ვიზუალური ინფორმაციის უკმარისობის კომპენსაცია მოხდეს გარკვეული ტექნიკური საშუალებებით გადაცემული ელექტრონული, რადიო ან სხვა სახის სიგნალებით.

არავიზუალურ ინფორმაციაზე დაყრდნობა იქნება დამატებითი და მიზანშეწონილი წყარო გზის გეომეტრიული ელემენტების კონკრეტული პარამეტრების დანიშვნისთვის, იგი ერთდროულად უზრუნველყოფს გადაადგილების უსაფრთხო, ეკონომიურ და კომფორტულ პირობებს, ხელს შეუწყობს სხვადასხვა რელიეფის პირობებში არსებული ლანდშაფტის მაქსიმალურ დაცვას და გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას. მნიშვნელოვნად შეამცირებს საავტომობილო გზების საამშენებლო და საექსპლუატაციო დანახარჯებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1.PPeden M. et al. World Report on Road Traffic Injury Prevention. Geneva: World Health Organization, 2004, 105p.

2. ვ. ბოგველიშვილი, ჯ. იოსებიძე და სხვ. რეკომენდაციების დამუშავება საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირებისათვის. ჟ. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1(23), თბ., 2012წ.

### რეზიუმე

თანამედროვე ეპოქაში მასიური ტრანსპორტის ყველა სახეობა ფართოდ იყენებს ინფორმაციის მიღების ელექტრონულ, რადიო და სხვა არავიზუალურ საშუალებებს. ავტომობილი დარჩა ერთადერთ სატრანსპორტო საშუალებად, რომლის მართვა მძღოლის მიერ გარემოს ვიზუალური აღქმის ინფორმაციაზეა დაყრდნობილი. საავტომობილო გზაზე ტვირთებისა და მგზავრების გადაადგილების ოპტიმალური პირობების შესაქმნელად აუცილებელია მძღოლმა მიიღოს ინფორმაცია, რომელიც არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ საგზაო პირობების ვიზუალურ აღქმაზე. ამისათვის მიზანშეწონილია დაინერგოს მძღოლების ინფორმირების სისტემა, რომელიც ელექტრონული ან რადიო სიგნალების საშუალებით უზრუნველყოფს შეზღუდული მხედველობის ადგილებში მძღოლის ინფორმირებას

სტატიაში მოცემულია ძირითადი ჩამონათვალი თუ რა ინფორმაციაა აუცილებელი მძღოლისათვის ვიზუალური აღქმის გარეშე ავტომობილის მართვისათვის და აღნიშნულია რა ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტი შეუძლია მოიტანოს გზის გეომეტრიული ელემენტების ნორმირებამ არავიზუალური ინფორმაციის საფუძველზე.

### Summary

*K. Mchedlishvili,*
*L. Imnaishvili,*
*M. Poladashvili*

Replacement of visual information with electronic one in highway engineering

In the modern age all types of mass transport widely use electronic, radio and other visual means of information acquisition. Motor car remains the only one vehicle, driving of which by the driver is based on the information acquired via visual perception of the environment. In order to create optimal conditions for cargo and passenger transportation the driver should obligatorily receive information, which is not depended only on visual perception of road conditions. For this purpose it is expedient to implement the driver's information sharing system, which provides drivers with information in places with restricted visibility by means of electronic or radio signals.

In this paper there is given the main list of information, which is necessary for driver in order to drive the motor car without visual perception and it is mentioned what economic and ecological effect can produce the introduction of norms for geometrical elements of the road on the basis of non-visual information.

# ზოგიერთი არალითონური მასალების ავტომშენებლობაში გამოყენების თავისებურებანი

*გურამ მიქაძე,*
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

არალითონური მასალები საკმაო რაოდენობით მოიხმარება თანამედროვე ავტომობილებზე. მთელი რიგი დადებითი თავისებურებების გამო მათი გამოყენების მასშტაბები მომავალში კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. ამიტომ მოსალოდნელი ეფექტის სწორად შეფასებისათვის ინტერესს მოკლებული არაა ამ მასალების თავისებურებათა საფუძვლიანი ცოდნა და ანალიზი.

არალითონური მასალები შეადგენენ ავტომობილების დამზადებისა და ექსპლუატაციის პროცესში გამოყენებულ მასალათა დიდ ჯგუფს.მიუხედავად მცირე კუთრი წონისა (მასის მიხედვით) საავტომობილო მასალათა ზოგად სტრუქტურაში, მათი ნომენკლატურა საკმაოდ ფართოა და კვლავ იზრდება: საავტომობილო მრეწველობა ადიდებს პლასტმასებისაგან, რეზინისაგან, მერქნისაგან წარმოებულ დეტალებს. ავტომობილის მუშაობა შეუძლებელია რეზინისაგან დამზადებული პნევმატური სალტეების, სხვა დეტალებისა და შემამჭიდროვებელთა გარეშე. ნაწილების უძრავი შეერთებებისათვის იყენებენ სხვადასხვა სახის წებოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ზედაპირთა დიდ სიმტკიცესა და ჰერმენტულობას. არალითონური მასალებისაგან დამზადებულ ნაკეთობათა ღირებულება ავტომობილის მთლიანი ფასის 10 — 15 %-ს შეადგენს.

ძვირფასი და დეფიციტური ლითონებისა და შენადნობების შეცვლა არა - ლითონური მასალებით; უკანასკნელთა გამოყენება დამოუკიდებელ საკონტრუქციო მასალად - მრავალმხრივი ეფექტის მიღწევის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ავტომობილების წარმოების, ექსპლუატაციისა და რემონტის პროცესში მოხმარებულ არალითონურ მასალათა (რეზინის, ლაქსაღებავების, პლასტმასების, ჰერმეტიკების, აფსკების, წებოების) უმრავლესობისათვის საჭირო - აუცილებლად გამოსაყენებელი კომპონენტია მაღალმოლეკულური ნაერთები ანუ პოლიმერები (ბერძ. Polymeres - მრავალი ნაწილისაგან შედგენილი). პოლიმერთა მასა იცვლება ზღვრებში რამოდენიმე ათასიდან მრავალ მილიონამდე. მათ აქვთ უნარი იმყოფებოდნენ ბლანტპლასტიკურ და მინისებრ მდგომარეობაში.

წარმოშობის მიხედვით ასხვავებენ: ბუნებრივ ანუ ბიოპოლიმერებს (მაგ., ცილები, ნატურალური კაუჩუკი, ცელულოზა) და სინთეზურ (ძირითადად პოლიმერიზაციის მეთოდით მიღებულ) პოლიმერებს. პოლიმერთა მაკრომოლეკულები აგებულია ატომთა სტრუქტურულად ერთნაირი დაჯგუფებების მრავალჯერადად განმეორადობით.

ქიმიურ შენაერთა - პოლიმერების - წარმოქმნა ხდება რამოდენიმე ერთგვაროვანი მოლეკულის (შედგენილობის შეუცვლელად) შეერთებით

(პოლიმერიზაციით) მაკრომოლეკულებად მოლეკულური მასის მნიშვნელოვანი ზრდით. მაკრომოლეკულებს შეიძლება ჰქონდეთ ხაზოვანი ან სივრცული აღნაგობა. მაგალითად, ეთილენის პოლიმერიზაციით მიიღება ძაფისმაგვარი სტრუქტურა: მოლეკულის სიგრძე რამოდენიმე ასეულჯერ შეიძლება აღემატებოდეს მის განივ ზომას. პოლიეთილენის ქიმიურ ფორმულაში (-CH2- CH2-) n ასო n არის ეთილენის მოლეკულათა რიცხვი, რომელზეც დამოკიდებულია მაკრომოლეკულის სიგრძე.

საზოგადოდ, პოლიმერის სქემატურ ფორმულას წარმოადგენენ ასეთი სახით: [ M ] n , სადაც M გამოსახავს მონომერის ქიმიურ აღნაგობას, n კი არის პოლიმერიზაციის ხარისხის დამახასიათებელი მაჩვენებელი.

პოლიმერებს, რომლებიც გათბობისას რბილდებიან თერმოპლასტები ეწოდება. მათგან დეტალების დამზადებისას გათვალიწინებული უნდა იქნეს თერმული დატვირთვის პირობები.

სივრცობრივი ს ტრუქტურის მქონე პოლიმერებში ცალკეული „ძაფების“ ურთიერთგანივი ქიმიური კავშირიც არსებობს. მათ თერმორეაქტიულ პლასტიკებს ან რეაქტოპლასტებს უწოდებენ. მათ პლასტიკური თვისებები აქვთ გამყარების მხოლოდ პირველ სტადიაზე ე.ი. მანამ, სანამ მათი მოლეკულები შედარებით მცირე სიდიდისანი არიან, ხოლო პირველი გამყარების შემდეგ მათი ხელახალი გათბობით დარბილება აღარ ხდება. ასეთი სახის პოლიმერები ფართოდ გამოიყენება მანქანათმშენებლობაში.

ცალკეულ პოლიმერებს და სხვა ნივთიერებებთან შერწყმით მიღებულ მათ ნაერთებს აქვთ რიგი საუკეთესო თვისებებისა. ამიტომ ისინი ფართოდ დაინერგა ტექნიკაში. მხოლოდ საავტომობილო მრეწველობაში გამოიყენება 500-ზე მეტი სახეობის სინთეტიკური მასალა, მათ შორის მაღალმოლეკულური ნაერთები (პლასტმასები)

პოლიმერების გარდა პლასტმასების თვისებებზე გავლენას ახდენს მათი შემადგენელი კომპონენტები: შემვსებები, პლასტიფიკატორები, სტაბილიზატორები (ანტიდამძველებლები), მღებავი ნივთიერებები (პიგმენტები). გარკვეული წნევის პირობებში გახურებისას პლასტმასებს აქვთ უნარი მიიღონ მოცემული ფორმა და შეინარჩუნონ იგი გაცივების შემდეგ.

პლასტმასების, როგორც მნიშვნელოვანი საკო-

სტრუქციო მასალების, მრალმხრივი გამოყენება თანამედროვე ავტომშენებლობაში განპირობებულია მათი საუკეთესო თვისებებით. კერძოდ მათ აქვთ: მცირე სიმკვრივე, მაღალი ელექტროსაიზოლაციო და თბოსაიზოლაციო მახასიათებლები, კარგი მედეგობა აგრესიულ გარემოში, დიდი მექანიკური სიმტკიცე სხვადასხვა სახისა და ცვალებად დატვირთვებზე.

შემვსებები, ძირითადად, მაღალდისპერსული ფხვნილოვანი ან ბოჭკოვანი ნივთიერებებია, რომლებიც გამოიყენება როგორც პლასტმასების, ლაქსაღებავების, რეზინის ნარევთა შემადგენელი ნაწილი. ნარევთა გადამუშავების პროცესის გასაადვილებლად, გასაიაფებლად და მათთვის სასურველი საექსპლუატაციო თვისებების მისანაჭებლად შემვსებებად ფართოდ გამოიყენება ტექნიკური ნახშირბადი (მური), ცარცი, ტალკი, კაოლინი, სილიციუმის ორჟანგი, აზბესტის ბოჭკოები, ბამბა, ქსოვილები, ქაღალდი, მერქნის ფქვილი. მასალის თვისებათა გამაუმჯობესელ შემვსებებს განმამტკიცებლები (გამაძლიერებელი, აქტიური) შემვსებები ეწოდება. ბოჭკოვან და ფურცლოვან შემვსებებს, ხშირად, დამაარმატურებელ შემვსებებსაც უწოდებენ.

პლასტიფიკატორები ორგანული ნივთიერებებია, რომლებიც ამაღლებენ პოლიმერის პლასტიკურობას და (ან) ელასტიკურობას. მათი გამოყენება აადვილებს პლასტმასის, რეზინის, ლაქსაღებავის გადამუშავებას, აუმჯობესებს ყინვამედეგობას, ამცირებს სიმყიფეს. პლასტიფიკატორებად იყენებენ ნივთიერებებს, რომლებიც კარგად ეთავსებიან პოლიმერებს, აქვთ მცირე აქროლადობა, დიდი თერმული და შუქმედეგობა. ხშირად გამოიყენება ფტალმჟავის და ფოსფორის მჟავათა ეთერები მაგალითად, დიოქტილფტალატი, ეპოქსიდირებული მცენარეული ზეთები, ქლორირებული პარაფინი, არომატული ნახშირწყალბადების დიდი რაოდენობით შემცველი ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და სხვ.

პლასტმასები ისეთი მაღალმოლეკულური ნაერთები ანუ პოლიმერებია, რომლებიც მაღალ (ჩვეულებრივ 100$^0$C-ზე მეტ) ტემპერატურებზე წარმოადგენენ სითხეს ან ადვილად დეფორმირებად პლასტიკურ სხეულებს, ხოლო ტემპერატურის შემცირებით შექცევადად ან შეუქცევადად გადადიან მყარ მდგომარეობაში.

პლასტმასების ფართო გამოყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში განპირობებულია მათი კარგი თვისებებით, რომელთაგან ძირითადია:

1.საკმაოდ მაღალი მექანიკური სიმტკიცე, რაც შესაძლოდ ხდის მათ გამოყენებას ლითონების, მერქნის, მინისა და სხვა ნივთიერებათა ნაცვლად;

2. მცირე სიმკვრივე (1 — 2,3 გ/სმ$^3$). ასეთი მსუბუქი ნივთიერებით ფოლადისაგან და თუჯისაგან დამზადებულ ზოგიერთ ნაწილთა შეცვლით მნიშვნელოვნად მცირდება ავტომობილის მასა და ღირებულება;

3. კარგი დიელექტრიკული მახასიათებლები;

4. მაღალი ქიმიური მედეგობა (კერძოდ, პლასტმასები არ განიცდიან კოროზიასა და ლპობას);

5. რთული კონფიგურაციის ნაკეთობათა ჩამოსხმით ან წნეხვის მეთოდით დამზადების შესაძლებლობა არც ისე მაღალი ტემპერატურების (150-250$^0$C) პირობებში;

6. სხვადასხვა ფერებზე შეღებვის სიადვილე:

7. საჭიროების შემთხვევაში მექანიკური დამუშავების (გაჩარხვის, ფრეზვის, ბურღვის და სხვ.) შესაძლებლობა.

სინთეზური ან ბუნებრივი ფისებისაგან შესაბამისი შემსებების გამოყენებით დამზადებულ ორგანულ მასალებს - პლასტმასებს - აქვთ კარგი უნარი გაცხელებისა და წნევის გავლენით მიიღონ სასურველი (მათ შორის რთული კოვფიგურაციის) ფორმა და მდგრადად შეინარჩუნონ იგი. შემვსებების თვისებებისაგან დამოკიდებულებით ასხვავებენ შრეობრივ (ფენობრივი შემვსებებიან) და კომპოზიციურ (შემვსებებად გამოყენებულია ფხვნილი ან ბოჭკო) პლასტმასებს.

შრეობრივ პლასტმასებს მიეკუთვნება: ტექსტოლიტი, გეტინაქსი, აზბესტ-ტექსტოლიტი, მერქანშრეობრივი პლასტიკები (дсп – дельта- древесина), მინატექსტოლიტი.

კომპოზიციურ პლასტმასებს მიეკუთვნება: ვოლოკნიტი, ორგანული მინა (პლეკსიგლასი), ვინიპლასტი, ფტოროპლასტი, აპრონი.

პლასტმასებს ფართო გამოყენება აქვთ ავტომშენებლობაში. მაგალითად, მინაპლასტიკი იხმარება ავტომობილების ძარების დასამზადებლად; კბილა თვლებს სწრაფსვლიან მცირეხმაურიან გადაცემებში აკეთებენ ტექსტოლიტისაგან, მერქანშრეობრივ პლასტიკებისა და კაპრონისაგან; სწრაფად მბრუნავ დეტალებს (დისკები, გორვის საკისრების სეპარატორები, კომპრესორის ნიჩბები) - მინაპლასტიკებისაგან, ტექსტოლიტებისაგან და პოლიმერებისაგან; ცვეთით მომუშავე დეტალებისათვის (მნიშვნელოვნად დატვირთული საკისრების სადებები) იყენებენ ტექსტოლიტს, მერქანშრეობრივ პლასტიკებს, ფტოროპლასტს. სამუხრუჭო დეტალებს ამზადებენ აზბესტ-ტექსტოლიტისაგან; ფრიქციულ გადაცემათა დეტალებს, საღვედე ბორბლებს - ტექსტოლიტისაგან; ღვედებს, ბაგირებს, გვარლებს - კაპრონისაგან; კაპრონისაგან ამზადებენ, აგრეთვე, სამაგრ დეტალებს (ხრახნებს, ქანჩებს, საყელურებს, საჩერებელ რგოლებს); ელექტრომაიზოლირებელი დეტალებისათვის (პანელები, ელექტრომანქანების კოლექტორები, კაბელები და სადენები) იყენებენ გეტინაქს, ტექსტოლიტს, პოლიეთილენს, ვინიპლასტს, ფტოროპლასტს.

პლასტმასთა უმრავლესობის ნაკლოვანებაა ლითონებთან შედარებით ნაკლები თერმომედეგობა და სისალე, დაძველება დროთა განმავლობაში

ქიმიურ გარდაქმნათა გამო, დესტრუქცია. პლასტმასებზე უარყოფითად მოქმედებს დაბალი ტემპერატურა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაბრეცვა და მსხვრევა. ტენის არსებობა პლასტმასაში აუარესებს

მექანიკურ და დიელექტრულ თვისებებს.

რეზინი (ლათ. resina - ფისი) მიეკუთვნება ტექნიკაში განსაკუთრებით ფართოდ გამოყენებულ მასალებს. მისგან, ამჟამად, მზადდება 40000-ზე მეტი სხვადასხვაგვარი ნაკეთობა. რეზინის ნებისმიერი მასალის ძირითადი კომპონენტის — კაუჩუკის - დაახლოებით 80% გამოიყენება საავტოტრაქტორო მრეწველობის მიერ. თანამედროვე სატვირთო ავტომობილს აქვს რეზინისაგან დამზადებული 200-დან 500-მდე დეტალი, რომელთა მისაღებად იხარჯება 250 — 400 კგ კაუჩუკი. დიდი ტვირთამწეობის თვითსაცლელი ავტომობილის მხოლოდ სალტეების მასა 4000 კგ-ს აღწევს. რეზინის ნაკეთობათა ღირებულება ავტომობილის მთლიანი ფასის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ამრიგად, რეზინი ავტომშენებლობაში ფართოდ გამოყენებული, ძვირფასი და ამასთან დეფიციტური მასალაა. ეზინის თვისებებისა და მისგან დამზადებულ ნაკეთობების ანსაკუთრებულობათა ცოდნის გარეშე შეუძლებელია ავტომობილის მზადყოფნის უზრუნველყოფა საიმედო და ეფექტური მუშაობისათვის.

თანამედროვე ავტომშენებლობაში რეზინის ფართო გამოყენება გამოწვეულია იმით, რომ მას - რეზინს - აქვს ბევრი საუკეთესო საექსპლუატაციო თვისება, ომელთაგან ძირითადია:

- მისი მაღალელასტიკური თვისებებით განპირობებული განსაკუთრებით დიდი შექცევადი დეფორმაციების უნარი: ხარისხიანი რეზინის ფარდობითმა წაგრძელებამ გაჭიმვის დროს შეიძლება მიაღწიოს 1000 %-ს;
- ლითონებზე და მერქანზე ნაკლები სიხისტე ე.ი. უნარი განიცადოს

დიდი დეფორმაცია მცირე ძალების ზემოქმედებით, რომლებიც ათასჯერ და რამოდენიმე ათასჯერ ნაკლებია იმ ძალებზე, რომლებიც იწვევენ ისეთსავე დეფორმაციებს ლითონებში;

- საკმაოდ მაღალი სიმტკიცე. მაღალხარისხოვანი რეზინის სიმტკიცე გაგლეჯაზე შეადგენს 400 კგ/სმ$^2$;
- სუსტი აირშეღწევადობა და სრული წყალშეუღწევადობა;
- მაღალი დიელექტრიკული მახასიათებლები.

რეზინი რთული შედგენილობის მქონე ნივთიერებაა. მის კომპონენთა შორის ძირითადია კაუჩუკი. კაუჩუკი მაღალმოლეკულური პოლიმერია ხაზოვანი აღნაგობით, რომლის მოლეკულის სიგრძე 15 — 20 ათასჯერ მეტია მის განივ ზომაზე. ნატურალური კაუჩუკი უჯერი ნახშირწყალბადის იზოპრენის $C_5H_8$ მაღალმოლეკულური პოლიმერია. მას გამოსახავენ ფორმულით $(C_5H_8)$ n. მოლეკულათა რიცხვი - n =1500-3000.

ნატურალური კაუჩუკი არ იხსნება წყალში, მაგრამ იხსნება ნავთობპროდუქტებში. ამაზეა დაფუძნებული რეზინის წებოების დამზადება.

ნატურალურ კაუჩუკს ღებულობენ კაუჩუკის შემცველი მცენარეებიდან.

დიდი რაოდენობითაა კაუჩუკი რძისმაგვარი წვენის სახით ჰევეიაში, რომელიც ხარობს ბრაზილიაში და სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიის ტროპიკულ ზონაში (ინდონეზია, ცეილონი, ვიეტნამი და სხვ.).

სინთეზური კაუჩუკის წარმოება დაიწყო 1932 წელს აკადემიკოს ლებე -დევის მეთოდით. ამჟამად ფართოდ გამოყენებულ უნივერსალურ, სპეციალური დანიშნულების კაუჩუკებს მიეკუთვნება ნატრიუმბუტადიენი, იზოპრენი, ბუტადიენსტიროლი.

სუფთა სახით ნატურალური და სინთეზური კაუჩუკის გამოყენების არე შეზღუდულია (წებოების, საიზოლაციო ლენტების, შემამჭიდროვებელ შუასადებთა დამზადება), რადგან მათ აქვთ არასაკმარისი სიმტკიცე გაგლეჯის დეფორმაციაზე -5-15 კგ/სმ2. კაუჩუკთა სიმკვრივის ამაღლების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ვულკანიზაცია — აუჩუკის ქიმიური დაკავშირება გოგირდთან. ვულკანიზაციის შედეგად (მაგალითად, ნატურალური კაუჩუკისა), რომელიც ეფექტურად მიმდინარეობს 140 -150$^0$C ტემპერატურაზე მიიღება ვულკანიზირებული კაუჩუკი (ვულკანიზატი), რომლის სიმტკიცე გაგლეჯაზე 250 კგ/სმ$^2$ -ს აღწევს.

**ვულკანიზაცია** (ცეცხლისა და სამჭედლო საქმის ღმერთის VULCANUS სახელიდან რომაულ მითოლოგიაში) - ტექნოლოგიური პროცესია, რომლის დროსაც კაუჩუკი გარდაიქმნება რეზინად. ამის შედეგად იზრდება კაუჩუკის სიმტკიცე, უმჯობესდება ელასტიკურობა, თბური და ყინვამედეგობა, მცირდება მისი გაჯირკვებადობის ხარისხი ორგანულ გამხსნელებში. ეს ცვლილებები გამოწვეულია კაუჩუკის შეერთებით ე. წ. მაულკანიზირებელ ბადეში, რომელიც შექმნილია ქიმიური განივი კავშირებით. უკანასკნელთა წარმოქმნაში მონაწილეობს მაულკანიზირებელი აგენტები (ძირითადად გოგირდი, იშვიათად - სინთეზური ფისები და სხვ.), დამჩქარებლები (ორგანული სულფიდები, მური, კაპტანები და სხვ.), აქტივიზატორები (ZnO , MgO) და სხვ.

ვუკანიზატთა თვისებებზე გავლენას ახდენს ინერტული შემვსებები, რომლებიც აუმჯობესებენ კაუჩუკის ინგრედიენტებთან შექმნილი ნარევების ტექნოლოგიურ თვისებებს. აქტიური შემვსებები (უპირველეს ყოვლისა ტექნიკური ნახშირბადი - მური - 0,03 — 0,25 მკმ ზომის ნაწილაკები) მნიშვნელოვნად ამაღლებენ სიმტკიცეს გაგლეჯის დეფორმაციაზე.

რეზინის შედგენილობაში შეყავთ, აგრეთვე, პიგმენტები (შეფერადებისათვის), პლასტიფიკატორები (სასურველი ფორმის მიღების გაიოლებისათვის), ანტიდამჟანგველები (დაძველების პროცესის შეფერხებისათვის).

სტაბილიზატორებს (ანტიდამძველებლებს) მიეკუთვნება პოლიმერების დაძველების შემაფერხებელი ნივთიერებები: ანტიოქსიდანტები, ფოტოსტაბილიზატორები, ანტირადიაციული საშუალებები, რომლებიც ხელს უშლიან სინათლის სხივებით, ტემპერატურითა და სხვა ფაქტორებით გამოწვეულ: ჟანგვის, ფოტოლიზის, გამოსხივებითა და სხვა ფაქტორებით გამოწვეულ არასასურველ მოვლენებს.

გოგირდის რაოდენობის ზრდით რეზინის ელასტიკურობა მცირდება. ასე მაგალითა, როცა გოგირდის შემცველობა 1 – 4 % -მდეა მიიღება ე.წ. რბილი რეზინი; 6 - 10 % -მდე -ხამი რეზინი, ხოლო 30 — 45%- ის შემთხვევაში კი - პოლისულფიდი ($C_4H_8s$), ე.ი. მაგარი რეზინი, რომელსაც უწოდებენ ებონიტს.

რეზინი გამოიყენება: სალტეების, ამორტიზატორების, ქუროების დრეკადი ელემენტების, ღვედების, შემჭიდროებათა, ელექროსაიზოლაციო ნაკეთობათა დასამზადებლად. ფართოდ გამოიყენება ებონიტი ავტომშენებლობასა და სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში.

კარგი ელექტრო და თბოგამტარობა, ხახუნის მცირე კოეფიციენტი, მაღალი ტემპერატურამედეგობა აქვს გრაფიტს. იგი გამოიყენება ელექტროდების, ელექტრო მანქანების მოსრიალე კონტაქტების, ცეცხლგამძლე ნაკეთობათა დასამზადებლად და მოხახუნე ზედაპირების შეზეთვისათვის.

კერამიკის გამოყენებით შესაძლო ხდება შიგაწვის ძრავების შექმნა სითხით გაგრილების სისტემის გარეშე.

პასტის მაგვარი პოლიმერული კომპოზიცია - ჰერმეტიკი - (საგოზავის ან სითხის სახით) დეტალების ზედაპირებზე დატანით სქელდება და უზრუნველყოფს საიმედო ჰერმეტულობს.

გარდა ზემოაღწერილი უფრო მეტად პოპულარული არალითონური მასალებისა ავტომშენებლობაში გამოიყენება, აგრეთვე, სხვადასხვა სახის საღებავები, გრუნტები, შპაკლები, წებოები, მერქანი, საიზოლაციო, შემამჭიდროებელი, გადასაკრავი და სხვა მრავალი სახის მასალები.

ამგვარად, მომავალში, არალითონური მასალების უფრო ფართო გამოყენება ავტომშენებლობაში, მათი მთელი რიგი თავისებურებების გამო, უდავოდ, წარმოადგენს საერთო სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ერთერთ აქტუალურ საკითხს და მისი წარმატებითი გადაწყვეტა, სხვა ფაქტორებთან ერთად, საგრძნობლად გააუმჯობესებს ავტომობილების ეფექტურობის დამახასიათებელ მაჩვენებლებს.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ჯ. იოსებიძე, გ. მიქაძე, გ. აბრამიშვილი, ა. ჩხეიძე, თ. აფაქიძე, თბ., 2009 .
2. .Интернет-портал. Неметаллические материалы.
3. საავტომობილო გაზეთის “Клаксон”-is 2009-2013 წ.წ. სხვადასხვა ნომრები


### რეზიუმე


განხილულია ავტომშენებლობაში ზოგიერთი არალითონური მასალის უფრო ფართოდ გამოყენების შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის საკითხები. მოტანილია ცნობები: პოლიმერების, რეზინის, პლასტმასების ლაქსაღებავების, წებოების, გადასაკრავი, შემამჭიდროვებელი და საიზოლაციო მასალების მიღებისა და თვისებების შესახებ; მითითებულია ამ მასალებისაგან ამზადებული დეტალების მოხმარების სფეროები, გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები.


### SUMMARY


*G. Mikadze*


SOME PROPERTIES OF NON-METALLIK MATERIALS USED IN THE ENGINEERING INDUSTRY


Here is discussed the wider opportunities of using nonmetallic materials and feasibility issues. Also is represented information about receiving and properties of polymers, rubber, plastics, glue, binding, investigation and insulating materials. Here is noticed the use of these materials in detail, and using positive and negative sides.

# Исследование реологических и технических свойств цементов с добавкой суперпластификаторов

***Ираклий Суладзе,*** *к.т.н.; проф.*
***Нино Каркусашвили,*** *докторант*
***Тамаз Габададзе,*** *докт.техн.наук.; проф.*

В нашей работе (1) были рассмотрены вопросы взаимосвязи пластической прочности, сроков схватывания и нарастания прочности цементов . Такого же детального изучения требуют вопросы указанной взаимосвязи при использовании суперпластификаторов, т.к. современное строительство трудно представить без их применения. Добавка суперпластификаторов позволяет резко повысить и длительно сохранять подвижность бетонных и растворных смесей при одновременном снижении В/Ц, расхода цемента и повышения прочности. При этом значительно упрощаются и ускоряются процессы укладки бетонных смесей.

В данной работе представлены характерные результаты изучения влияния добавки суперпластификаторов на свойства цементов, т.к. цементы являются основными составляющими растворных и бетонных смесей. Нами было использовано большое количество суперпластификаторов (СП): Piliton SA1 304, Glenium 126 - 130, Polihid 915N, BASF, Chryso 250S, Daracem 556E, WDRA ,SP6, ALDOS и др. Их объединяет одно общее свойство: способность повышать подвижность растворных и бетонных смесей при одновременном снижении В/Ц и расхода цемента. Отдельные из них, по паспортным данным, обладают свойством придавать бетону повышенную морозостойкость, плотность и др.свойства.

Цементы для исследований готовили на основе высокоалитовых клинкеров Руставского и Каспского цементных заводов. Содержание двуводного гипса 5% от массы цемента. Удельная поверхность помола цемента 3200-3300 см2/г. Определялись величины нормальной густоты теста (НГТ) и сроков схватывания по ГОСТ 310.1...4-81, а также прочностные показатели цементов в тесте. Вышеуказанные показатели в зависимости от вида СП незначительно отличаются друг от друга. Поэтому приводим только результаты, полученные при использовании СП ALDOS. СП добавляли к цементам вместе с водой затворения. В табл.1 приведены физико-механические показатели

Таблица 1

**Физико-механические показатели цементов с добавкой различного количества СП и без него**

| Ираклий Суладзе, к.т.н.; проф. | Нормальная густота теста, % | Сроки схватывания, час – мин. | | Предел прочности на сжатие, кгс/см$^2$ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | Нино Каркусашвили, докторант | конец | 1с | 3с | 7с | 28с |
| Тамаз Габададзе, докт.техн. наук.; проф. | 24,8 | 1-20 | 4-40 | 340 | 570 | 780 | 1030 |
| 0,5 | 24,4 | 1-20 | 5-15 | 340 | 565 | 800 | 1035 |
| 0,8 | 23,3 | 1-40 | 5-45 | 370 | 610 | 830 | 1080 |
| 1,0 | 22,9 | 2-05 | 6-00 | 395 | 670 | 880 | 1115 |
| 1,2 | 22,6 | 2-25 | 6-20 | 405 | 660 | 945 | 1100 |
| 1,5 | 22,6 | 2-35 | 6-15 | 210 | 440 | 595 | 805 |

цементов с добавкой СП и без него при В/Ц, соответствующей их нормальной густоте теста.

Как видно из полученных данных, добавка СП (как и в случае добавки других СП) снижает величину нормальной густоты теста, но в не такой степени, как в бетонных смесях, где наблюдается снижение В/Ц на 8- 10% и более. Добавка СП в количестве 0,5% практически не изменяет величины НГТ, сроков схватывания и прочностные показатели исходного цемента. При добавке СП в количестве 1,5% и более цементное тесто становилось неуправляемым ( слишком текучим) и наблюдалось снижение прочности во все сроки твердения. Поэтому более детально исследовался диапазон добавки СП в количестве 0,8-1,2% от массы цемента, что согласуется с паспортными и известными практическими данными. В этом интервале добавок наблюдается снижение величины НГТ на 1,5-2,2% с одновременным повышением пластичности цементного теста, а также увеличение прочности во все сроки твердения. Величина начала схватывания в зависимости от количества добавки СП увеличилась на 20-40 минут, а величина конца схватывания цементов по сравнению с исходным цементом (4 часа 50 минут) увеличилась на 60-100 минут. Но для технологии бетонирования более интересна длительность первого периода взаймодействия воды с цементом. Как видно из полученных данных. В случае только с цементным тестом эффект понижения вязкости (повышения пластичности) при введении СП не столь существенен, как в бетонах и растворах. Это, по нашему мнению. связано с большой разницей в размерах взаймодействующих с водой зерен цемента и заполнителя. Как указывается в (2). толщина адсорбированного слоя воды (т.е.слоя, ответственного за подвижность зерен относительно друг друга) в случае цемента составляет 0,1-0,15мкм, ва в случае зерен мелкого и крупного заполнителей – 10-15мкм.

Для определения эффективной длительности тиксотропного периода (т.е. периода, когда цементное тесто способно восстанавливать нарушенную каким-либо воздействием стркутуру), были проведены реологические исследования свойств цементов с добавкой СП. Исследования проводили согласно методике, изложенной в (1). СП в состав цементов вводили вместе с водой затворения в количестве 0,8; 1,0 и 1,2% от массы цемента. Воду добавляли по значениям табл.1. В табл.2 приведены результаты нарастания пластической прочности цементов с добавкой СП и без него.

Как видно из полученных данных, чем больше добавка СП, тем медленнее темп нарастания пластической прочности. Как указывалось в (1), длительность тиксотропного периода заканчивается при резком повышении пластической прочности. Для цемента без добавки СП этот период находится в пределах до 40-50 минут, для цементов с добавкой СП в зависимости от его количества длительность этого периода увеличивается от 70 до 90 мин и более. В процессе испытаний цементное тесто находилось в покое. Предполагаем, что при постоянном перемешивании этот период будет более длительным.

Выявление эффективной длительности тиксотропного периода только на основе реологических данных без привлечения результатов прочности цементов, заформованных через определенные промежутки после приготовления цементного теста, не является достаточным. С этой целью были заформованы образцы по данным табл.1 и 2, результаты испытани части которых приведены в табл.3

Таблица 2

Нарастание пластической прочности цементов с добавкой различного количества СП и без него

| **Добавка СП, %, от массы цемента** | **Пластическая прочность, кгс/см2 через минуты** | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | сразу | 10 | 20 | 30 | 40 | 50 | 60 | 70 | 80 | 90 | 100 |
| 0 | 0.000 | 0.01 | 0.07 | 0.10 | 0.18 | 0.37 | 0.53 | | | | |
| 0.8 | 0.000 | 0.00 | 0.01 | 0.03 | 0.04 | 0.12 | 0.35 | 0.48 | 0.59 | | |
| 1 | 0.000 | 0.00 | 0.00 | 0.02 | 0.02 | 0.08 | 0.17 | 0.33 | 0.47 | 0.61 | |
| 1.2 | 0.000 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.01 | 0.07 | 0.12 | 0.26 | 0.31 | 0.42 | 0.50 |

Таблица 3

Физико-механические показатели цементов с добавкой СП и без него,

| Добавка СП, %, от массы цемента | Время Формования Образцов, минуты | Предел прочности на сжатие. кгс/см2 | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 3 | 7 | 28 |
| 0 | сразу | 360 | 570 | 820 | 1020 |
| | 20 | 370 | 585 | 845 | 1165 |
| | 30 | 330 | 540 | 800 | 1070 |
| | 40 | 260 | 420 | 685 | 890 |
| 1 | сразу | 350 | 580 | 870 | 1100 |
| | 20 | 385 | 600 | 920 | 1135 |
| | 40 | 400 | 620 | 910 | 1140 |
| | 60 | 380 | 575 | 845 | 1065 |
| | 80 | 270 | 410 | 620 | 910 |
| | 100 | 210 | 390 | 530 | 800 |

заформованных через различное время после приготовления теста

Как видно из полученных данных, некоторая задержка формования является даже положительным для получения повышенной прочности (до 20 мин для цемента без добавки СП и до 40 и более минут для цемента с добавкой СП). Ухудшение прочностных данных наблюдается для цемента без добавки СП начинается после 30 минут, а в случае цемента с добавкой СП такой же процесс наблюдается только через 60 минут. Полученные данные находятся в согласии с результатами реологических исследований и показывают, что вмешательство в процессы структурообразования после окончания тиксотропного периода нежелательно, т.к. приводит к заметному снижению прочности.

В заключение можно сказать, что экстраполируя определенным образом и применяя результаты наших и других подобных исследований в процессах приготовления и укладки бетонных и растворных смесей, удастся по возможности максимально использовать потенциал цемента.

**Использованная литература**


1. Т..Габададзе, И.Суладзе, Н.Каркусашвили. Изучение реологических свойств местных цементов с целью определения оптимального времени укладки бетонной смеси. თბ., მშენებლობა.№4 (27), 2012. 117-120.

2.Баженов Ю.М. Технология бетона; М.; Высш. школа, 1978.—455с.

# ბიზნეს-ინჟინერინგი ქიმიასა და მეტალურგიაში

## ტყის როლი გარემოს ეკოლოგიურ სტაბილიზაციაში

*თამაზ პატარქალაშვილი,*
*აკადემიური დოქტორი*

ტყეები უდიდეს ზემოქმედებას ახდენენ გარე სამყაროზე. ეს ზემოქმედება გამოიხატება ბუნებრივი პროცესების სტაბილიზაციაში. ტყეები არეგულირებენ ზედაპირულ ჩამონადენს, თოვლის დნობის ინტენსიობას, ჰაერის ტემპერატურას და ფარდობით ტენიანობას, წმენდენ წყალს და ჰაერს მექანიკური და სხვა მინარევებისაგან, ამცირებენ ქარის სიჩქარეს, შთანთქავენ ნახშირორჟანგსა და სხვა ადამიანისათვის მავნე აირებს და გამოყოფენ ჟანგბადს, თრგუნავენ ან სპობენ სხვადასხვა დაავადებების გამომწვევ მიკროორგანიზმებს, ამცირებენ ქალაქის დასახლებული ადგილების ხმაურს.

ტყეებს გადაჰყავთ ზედაპირული ჩამონადენი ნიადაგის სიღრმეში, რითაც პრაქტიკულად გამორიცხავენ ნიადაგის ეროზიას. ამ მოქმედების შედეგად ივსება გრუნტის წყლების მარაგი და ხდება მდინარეების წყლით თანაბარი კვება მთელი წლის განმავლობაში. ტყეები თითქმის გამორიცხავენ ნიადაგის ჩამორეცხვას და ქარისმიერ ეროზიას. ცოცხალი საფარისა და ხის ფესვების გამაფხვიერებელი მოქმედებით ტყეები აუმჯობესებენ ნიადაგის სტრუქტურას, უზრუნველყოფენ მის მაღალ წყალ- და ჰაერგამტარუნარიანობას.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, რომელსაც, ერთი მხრივ, ბევრი სიკეთე მოაქვს საზოგადოებისათვის, იწვევს ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის უსწრაფესი ტემპებით ზრდას, რასაც შედეგად მოსდევს გარემოს დაბინძურება ტოქსიკური ნივთიერებებით. დაბინძურების ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ფორმას ცოცხალი ორგანიზმების სიცოცხლისათვის წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება სხვადასხვა ტოქსიკური აირით. სხვადასხვა ლიტერატურული მონაცემებით ატმოსფერულ ჰაერში არის 140-200 სხვადასხვა მავნე ტოქსიკური ინგრედიენტი [6, 7] მათ შორის: გოგირდისა და გოგირდოვანი ანჰიდრიდები, ფტორისა და ქლორის ნაერთები, აზოტის ნაერთები, აზოტის მჟავები, გოგირდოვანი ნახშირბადი, ამიაკი, ნახშირწყალბადები, ნახშირბადის მჟავა და სხვა. მყარი გამონატყორცნების სახით ატმოსფეროში არის ნახშირის, ნაცრის, მეტალების (რკინა, სპილენძი, ტყვია) ქლორიდები, სულფატები და სულფიდები, კალციუმის ნაერთები, კალიუმი და სხვა [1, 2, 3, 6, 7].

გარემოს დაბინძურების ამგვარი პროგრესული განვითარება, პროგნოზული მონაცემებით, მიგვიყვანს პლანეტაზე მთელი რიგი რაიონების წარმოქმნამდე, სადაც ჩამოყალიბდება სიცოცხლისათვის შეუთავსებელი გარემო პირობები ადამიანისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმებისათვის. ასეთი კრიტიკული რაიონები უკვე გაჩნდა და ამჟამადაც ჩნდება ბევრი მაღალგანვითარებული ქვეყნების ქალაქებში, განსაკუთრებით იაპონიაში, აშშ-ში, გერმანიაში. გარესამყაროს დეგრადაცია უდიდეს მატერიალურ ზარალს აყენებს მეურნეობას, აუარესებს ადამიანთა საცხოვრებელ პირობებს. საორიენტაციო გამოკვლევებით დადგენილია, რომ ყოველწლიური ეკონომიკური ზარალი გარემოს დაბინძურებისაგან აღნიშნულ ქვეყნებში მილიარდობით დოლარს შეადგენს.

ატმოსფეროს მავნე აირებისაგან გაწმენდის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს დედამიწის მცენარეული საფარი, მათგან კი უპირველესად ტყეები. ტყეები აჯანსაღებენ ატმოსფერულ ჰაერს და მოქმედებენ მასში დაბინძურებული ნივთიერებების განაწილებაზე. ეს პროცესი განპირობებულია ხე-მცენარეების ადსორბირებისა და ფილტრაციის უნარით. გარდა ამისა, ხე-მცენარეები ახდენენ აეროდინამიკურ მოქმედებას ჰაერის გადაადგილებით ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიბრტყეში. ტყის აირგამწმენდი უნარი დამოკიდებულია მისი სტრუქტურული ელემენტების შემადგენლობაზე, ზრდის ადგილსამყოფელზე, მოზარდისა და ქვეტყის განვითარების ხარისხზე, ცოცხალი საფარის მდგომარეობაზე, აგრეთვე ტყის ასაკზე, ფორმასა და სიხშირეზე. მწვანე ნარგავობას აქვს უნარი, შეასრულოს სპეციფიური "მწვანე ფილტრის" როლი, რომლის საშუალებითაც ისინი ახდენენ მავნე გამოტყორცნილი აირების ბევრი ინგრედიენტების აკუმულირებასა და დეტოქსიკაციას.

მცენარეული სამყარო დიდ ზეგავლენას ახდენს ატმოსფეროს ელექტრომაგნიტურ თვისებებზე, რაც მცენარეთა ადამიანზე ბიოლოგიური ზემოქმედების სისტემაში მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. მცენარეთა უმრავლესობას აქვს ჰაერის იონური რეჟიმის შეცვლის უნარი ადამიანისათვის უფრო სასიკე-

თო მიმართულებით. ჰაერის იონიზაცია, კერძოდ, ჰაერში მსუბუქი იონების (უარყოფითად დამუხტული იონები) კონცენტრაციის ზომიერი გაზრდა, დადებითად მოქმედებს ყველა ცოცხალი ორგანიზმის ცხოველმოქმედებაზე. მძიმე და მსუბუქი იონების მაჩვენებელთა შეფარდების სიდიდეზეა დამოკიდებული ამა თუ იმ რეკრეაციული ობიექტის ღირებულება [1, 2, 5]. უარყოფითად იონიზირებული ჰაერის ჩასუნთქვა ხელს უწყობს სასუნთქი ფერმენტების აქტივობის სტიმულირებას, გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების მუშაობას, სისხლწარმოქმნის პროცესებს, აძლიერებს ტვინის ბიოდენებს, ზრდის სისხლში ჟანგბადის შემცველობას, აქვეითებს შაქრისა და ფოსფორის შემცველობას, აუმჯობესებს თვითშეგრძნებას და განწყობას, ხსნის თავის ტკივილსა და დაღლილობას. ყველაზე მაღალი მაიონიზირებელი უნარით ხე-მცენარეებისაგან გამოირჩევა: ცრუაკაცია, მუხა, ნაძვი, ფიჭვი, ღვია, წნორი, იასამანი. წიწვოვან მცენარეთა უდიდესი ნაწილი სასიკეთოდ მოქმედებს ჰაერის იონურ შემადგენლობაზე, ზრდის მსუბუქი იონების რაოდენობას და ამცირებს მძიმე იონების რიცხვს.

მეცნიერთა უმრავლესობა მაიონიზირებლად მიიჩნევენ ფისოვან, არომატულ და სხვა ორგანულ ნივთიერებებს — ტერპენებს, აგრეთვე რთულ ეთერებს, ალდეგიდებს, ორგანულ მჟავებს, რომლებსაც ვეგეტაციის პერიოდში მცენარეები გამოყოფენ [3, 4]. ამრიგად, ჰაერის იონიზაცია, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი ბიოკლიმატური ფაქტორი, არის ატმოსფეროს სისუფთავის ერთ-ერთი მაჩვენებელი და ცოცხალი ორგანიზმებისათვის ოპტიმალური საცხოვრებელი გარემოს შექმნის ფაქტორი.

ხე-მცენარეები გამოყოფენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს - ფიტონციდებს, რომლებიც ახშობენ სხვა ცოცხალი ორგანიზმების (ძირითადად მიკროორგანიზმები და უმარტივესი ორგანიზმები) ზრდას და ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მცენარეთა იმუნიტეტში. მცენარეები ფიტონციდებს გამოყოფენ ატმოსფეროში, წყალში და ნიადაგში აიროვანი ან წყალში ხსნადი ფორმით [3, 4, 7]. ფიტონციდების ქიმიური ბუნება არაერთგვაროვანია. მათი შემადგენლობა მრავალფეროვანი და ჯერ კიდევ არასაკმარისად შესწავლილია. ზოგიერთ მცენარეს ეს აქვს ორგანული მჟავების სახით, სხვებს — ეთერზეთების, ალკალოიდების ან ამინომჟავების ფორმით. ფიტონციდების მნიშვნელოვან რაოდენობას გამოიმუშავებენ ევკალიპტი, შოთხვი, ციტრუსოვანი მცენარეები.

მცენარეებში ბაქტერიოციდული და ბაქტერიოსტატიკური ნივთიერებები გამოიყოფა მუდმივად მათი ვეგეტაციის პერიოდში ან ქსოვილების მექანიკური დაზიანებისას. ფიტონციდები გამოიყოფა დაუზიანებელი ფოთლებიდანაც. მაგალითად, უმარტივესი ორგანიზმები მუხის ან არყის ხის ფოთოლზე დადებიდან ცოტა ხნის შემდეგ იღუპება. ერთი დღის განმავლობაში 1 ჰა ფოთლოვანი ტყე ვეგეტაციის პერიოდში გამოყოფს 2 კგ. მქროლავ ფიტონციდებს, წიწვოვანები - 5 კგ, ხოლო ღვიები - 30 კგ-ზე მეტს [4].

მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ტყის ჰაერში მკვეთრად არის შემცირებული პათოგენული მიკრობების რიცხვი, ამასთან ყველაზე მეტი სტერილურობით გამოირჩევა წიწვოვანი ტყეები. ამიტომ ქალაქების მაქსიმალურ გამწვანებას, გამსაკუთრებით წიწვოვანი მცენარეებით, აქვს უაღრესად მნიშვნელოვანი სანიტარულ-ჰიგიენური და სამკურნალო მნიშვნელობა. მაღალი ანტიმიკრობული უნარით ხასიათდება: ღვია, ფიჭვი, სოჭი, მუხა, არყის ხე, ნეკერჩხალი, მახვილფოთოლა და ამერიკული, ვერხვი, შოთხვი, თხილი, წყავი, დაფნის ხე, ევკალიპტი, ციტრუსოვნები, კაკალი, კოწახური, გრაკლა, ზეთისხილის ხე, მოცხარი და სხვა. არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება ფიტონციდურობის ხარისხსა და მცენარეთა ფიტოსინთეზის ინტენსიურობას შორის. მცენარეთა ფოთლები მზიან ექსპოზიციაზე აწარმოებენ უფრო აქტიურ ფიტონციდებს. თბილ, მზიან ამინდში ფიტონციდურობა ძლიედება, ხოლო წვიმიან ამინდში მცირდება. დღე-ღამის განმავლობაში მაქსიმალური ფიტონციდურობა აღინიშნება შუადღისას, ხოლო მინიმალური ღამით [3, 4, 5].

ფიტონციდურობის მოვლენა, რომელიც მეტ-ნაკლებად ახასიათებს ყველა მცენარეს, შეიძლება იყოს გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო და ტყის კულტურების მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლაში, ბოსტნეულის შენახვისათვის, პროდუქტების სტერილიზაციისას, აგრეთვე მედიცინაში, ვეტერინარიაში, კვების მრეწველობაში. აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვანია წყლისა და ნიადაგის ბიოლოგიური გაწმენდა წყალსატევებში სპეციალურად შერჩეული წყლისა და წყლისპირა მცენარეებით. ენერგიით მდიდარი ორგანული ნაერთების წარმოქმნას დედამიწაზე კაცობრიობა უნდა უმადლოდეს მცენარეთა ფოტოსინთეზს, რომელიც განსაზღვრავს ბუნებაში ნახშირბადის, ჟანგბადის, აზოტის, ფოსფორის, გოგირდის, მაგნიუმისა და სხვა ქიმიური ელემენტების ბრუნვას დედამიწაზე. ფოტოსინთეზი არის ძირითადი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება მზის ენერგიის აკუმულირება და ამ უკანასკნელის გარდაქმნა ქიმიური ნაერთების ენერგიად. ფოტოსინთეზის პროცესში ადგილი აქვს პირდაპირ, უშუალო ენერგეტიკულ კავშირს კოსმოსი-დედამიწა. გარდა ამისა, მიმდინარეობს მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი ბიოლოგიური მოვლენა - სინათლეზე წყლის წყალბადით აღდგენილი ნახშირორჟანგი გამოათავისუფლებს წყალში შემავალ ჟანგბადს, რომელიც მწვანე ფოთლის მიერ გამოიყოფა ატმოსფერულ ჰაერში.

ფოტოსინთეზის პროცესს, რომელიც მცენარეთა ნახშირბადით კვების ძირითად ფორმას წარმოადგენს, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ფორმირებაში, რომელთა 95% წარმოიქმნება ნახშირბადის მონაწილეობით. უაღრესად მნიშვნელოვანია ფოტოსინთეზის როლი კაცობრიობის ენერგეტიკულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. წიაღისეული საწვავის შეზღუდული მარაგებისაგან განსხვავე-

ბით ტყეს, როგორც ენერგეტიკულ რესურსს, აქვს უნიკალური თვისება — მზის ენერგიის ფოტოსინთეზური აკუმულაციის საშუალებით მუდმივად შეავსოს და განაახლოს ენერგიის მარაგი მერქნის ყოველწლიური ნამატის სახით.

მიუხედავად იმისა, რომ ტყეებს უკავიათ მთელი პლანეტის ფართობის მხოლოდ 9%, ისინი ატმოსფეროში გამოყოფენ მთელი ჟანგბადის 60%-ზე მეტს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ ტყეებს ეკუთვნის გადამწყვეტი როლი ბიოსფეროს ჟანგბადით მომარაგებაში. ტყის მცენარეულ ფორმაციებში, რომლებშიცაა მთელი ბიომასის ყველაზე დიდი კონცენტრაცია ერთეულ ფართობზე, აღინიშნება ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ყველაზე ინტენსიური ბრუნვა. ერთ ჰექტარ ტყის ფართობზე ჟანგბადის წარმოება 3-10-ჯერ მეტია, ვიდრე მინდვრის კულტურებით დაფარულ ფართობზე. ეს გამოწვეულია ხე-მცენარეთა ფოთლების ვეებერთელა ჯამური ფართობით.

დადგენილია, რომ 1 ჰა ტყე მზიან ამინდში ჰაერიდან შთანთქავს 220-280 კგ ნახშირჟანგს და გამოყოფს 180-220 კგ ჟანგბადს. ამასთან ფოთლოვანი ტყის ჯიშების უმრავლესობა ნახშირორჟანგის შთანთქმის უნარს ინარჩუნებს შებინდებისასაც კი. ტყეები აკავებენ და ბოჭავენ ჰაერის მთელ რიგ მავნე ნაერთებს. ამით ისინი ასრულებენ აქტიური ფილტრაციის ფუნქციას, ამასთან ერთად მწვანე ნარგავები წმენდენ ჰაერს მტვრისაგან, მჭვარტლისაგან, სმოგისაგან, აეროზოლების მკვრივი და თხიერი ნაწილაკებისაგან. უნდა აღინიშნოს ტყეების მაღალი მტვერდამჭერი უნარი. 1 ჰა ნაძვნარს შეუძლია წელიწადში გაფილტროს 30-32 ტ მტვერი, ფიჭვისას 30-36 ტ, მუხისას 56 ტ, წიფლისას 68 ტ. ტყე ხელს უწყობს ატმოსფეროს გაწმენდას რადიოაქტიური დაბინძურებისაგან. იგი შთანთქავს 50%-ამდე რადიოაქტიურ მტვერს [4, 6, 7].

მცენარეები ასრულებენ ჰაერგამწმენდი ფუნქციისას და თვითონ განიცდიან მავნე აირებისა და სხვა ინგრედიენტების უარყოფით ზეგავლენას. დაზიანების განსაზღვრულ ეტაპზე მცენარეები კარგავენ სანიტარულ ფუნქციას, რაც დამოკიდებულია ტყის შემადგენელი ელემენტების გაზმედეგობის უნარზე. ფიტოტოქსიკანტების მოქმედების მექანიზმი გამოიხატება ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მარეგულირებელი სისტემების რღვევაში, ანატომიურ და მორფოლოგიურ ცვლილებებში, ხოლო ზღვრული სიდიდეებისას, მცენარის როგორც ცალკეული ორგანოების, ისე მთლიან კვდომაში.

მცენარეებისათვის ყველაზე სახიფათოა სამრეწველო გამონაბოლქვების აიროვანი ინგრედიენტები, როგორიცაა: ფტორი, ფოსფორი, ფტორული წყალბადი, ქლორიდები, აზოტის ორჟანგი, რომლებიც იწვევენ დამწვრობას, ხოლო მაღალი კონცენტრაციების დროს – მცენარის დაღუპვას. გოგირდოვანი შენაერთების მოქმედების შედეგად ირღვევა მცენარეთა ფოტოსინთეზისა და სუნთქვის პროცესები. მცენარის ფოთოლში გოგირდოვანი აირი ჰაერთან ერთად იწვევს უჯრედების ცხოველმოქმედების დათრგუნვას. ფოთლები იფარება წაბლისფერი ლაქებით და მთლიანად ხმება. ამ აირის მაღალი კონცენტრაციის ხანმოკლე მოქმედებაც კი იწვევს ფოთლების მნიშვნელოვან დაზიანებას და მკვეთრად ამცირებს ფოტოსინთეზის ინტენსივობას. აღნიშნულის გარდა გოგირდოვანი აირისაგან წარმოქმნილი გოგირდმჟავა და გოგირდოვანი მჟავები, სხვა მავნე ნივთიერებებთან მოხვედრისას ნიადაგში აქვეითებს მის ნაყოფიერებას. იცვლება ნიადაგის მჟავიანობა, რაც იწვევს ბაქტერიების ცხოველმოქმედების დათრგუნვას და ჭიაყელების რაოდენობის შემცირებას. დადგენილია, რომ ჰაერის დაბინძურება იწვევს ტრანსპირაციის ინტენსივობის შემცირებას 1,5-2,0-ჯერ, ხოლო ფოტოსინთეზისას - 10-ჯერ. დაზიანებული ხეები ხასიათდება მეჩხერი ვარჯით და წვერხმელობით. წიწვების სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირდება 1-2 წლამდე. შემდგომ იწყება წიწვების ან ფოთლების ცვენა. მცირდება ზრდა სიმაღლესა და დიამეტრში.

მცენარეებისათვის ძალიან ტოქსიკურია ფტორის შენაერთები, რომელთა მოქმედება კიდევ უფრო მწვავდება მათი კუმულაციური თვისებებით, რაც გამოიხატება მცენარეებში მათი დაგროვებით და ხანგრძლივი ზემოქმედებით მცირე კონცენტრაციების შემთხვევებშიც კი. არანაკლებ ტოქსიკურია მყარი ნარჩენები როგორიცაა მეტალებისა და ნახშირის მტვერი, ნაცარი, მჭვარტლი. ატმოსფერული ნალექების შერევისას ეს ტოქსიკური ნივთიერებები იწვევენ მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების რღვევას.

მცენარეების აირმედეგობაზე მოქმედებენ კლიმატური და ოროგრაფიული პირობები. ატმოსფერული ტოქსიკანტების კონცენტრაცია ჰაერის მიწისპირა ფენაში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტემპერატურის ცვალებადობაზე, ნისლიან და მოღრუბლულ ამინდებზე, ნალექებზე და სხვა ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ ჰაერის ფენების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ გადაადგილებაზე. დადგენილია, რომ ჰაერის ტენიანობისა და ნისლიანი დღეების ზრდა იწვევს ინტოქსიკანტების კონცენტრაციის ზრდას. ტყის ნარგავების მდგრადობა ტოქსიკური გამონაბოლქვების წინააღმდეგ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტყეების ჯიშობრივ შემადგენლობაზე. მაღალი გაზმედეგობით გამოირჩევა კანადური და ბალზამური ვერხვები, წვრილფოთოლა თელა, წვრილფოთოლა ცაცხვი, ამერიკული ნეკერჩხალი, წნორი, ჭალაფშატა, თეთრი თუთა, ცრუაკაცია, ღვია, კვიდო, შოთხვი. დაბალი გაზმედეგობით ხასიათდება ნაძვი, სოჭი, ფიჭვი [4, 6, 7].

აღსანიშნავია, რომ მერქნიან მცენარეებს ახასიათებთ ადაპტაციის უნარი ტოქსიკური გამონაბოლქვების მიმართ. მათი ზემოქმედების შედეგად ზოგიერთი ჯიშის ფოთლოვან ხეებს უსქელდებათ ეპიდერმისის შრე, ეზრდებათ ფოთლების შინაგანი ქსოვილების სიმჭიდროვე და ა.შ.

მიუხედავად დღემდე გატარებული ღონისძიებებისა, სამრეწველო და საავტომობილო ტოქსიკური გამონაბოლქვების შესამცირებლად (ჰაერ- და წყალგამწმენდი მოწყობილობები, მტვერ და მავნე აირდამჭერი აპარატები და სხვა) ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურების დონე მუდმივად მატულობს. პროგნოზული მონაცემებით პერსპექტივაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ახალი ტერიტორიების სამეურნეო ათვისება და ატმოსფეროს დაბინძურება ინტოქსიკანტებით კიდევ უფრო გაიზრდება. მეცნიერთა აზრით, ამჟამად არსებული და მომავალში სავარაუდოთ შექმნილი ახალი დამცავი მოწყობილობები მთლიანად მაინც ვერ შესძლებენ ატმოსფერული ჰაერის დაცვას ინტოქსიკანტებისაგან. ამიტომ ჰაერის დაბინძურება და ხმაურის დონე დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში კიდევ უფრო გაიზრდება. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღებას მავნე ტოქსიკური გამონაბოლქვების რაოდენობის შესამცირებლად. ეს არაა ერთი ან რამდენიმე განვითარებული სახელმწიფოს პრობლემა. ეს გლობალური პრობლემაა და ერთნაირად ეხება ყველას.

უკანასკნელ წლებში მეცნიერებისა და საზოგადოებრიობის ინტერესი პლანტის ტყეებისადმი უპრეცედენტოდ გაიზარდა მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო გარე სამტაროს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნაბაში. კლიმატური ცვლილებების შედეგების შემცირება ნახშირორჟანგი აირის გამონაბოლქვების შემცირების გზით, რაც გამოწვეულია პლანეტის ტყეების მოსპობით ხაზს უსვამს ტყეების კარდინალურ მნიშვნელობაზე სიცოცხლის შენარჩუნებისათვის დედამიწაზე.

მიუხედავად ტყის ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობისა პლანეტის ტყეების საერთო ფართობი კულტურული მიწათსარგებლობის დაწყებიდან დღემდე შემცირდა 20%-ით. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად დედამიწაზე ისპობოდა 13 მილიონი ჰექტარი ტყე, რაც ტერიტორიით დაახლოებით საბერძნეთის ტოლია. ტყეების მოსპობა პლანეტაზე ხდება ძირითადად მიწათსარგებლობის სხვა სახეების სასარგებლოთ. 1990-იან წლებში ეს მაჩვენებელი 16 მილიონ ჰექტარს შეადგენდა. ტყეების მოსპობის პროცესი განიცდის კკლების ტენდენციას, თუმცა ჯერ კიდევ რჩება მაღალ ნიშნულზე. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ტროპიკული სარტყელის ქვეყნებში [8]. გაერო ამჟამად მუშაობს იმ საკანონმდებლო პრინციპების შემუშავებაზე, რომელთა თანახმად ის ქვეყნები, რომლებიც თავიანთი ნებასურვილით შეამცირებენ ტყის გეგმიური ხანძრების ოდენობას, რაც შეამცირებს ნახშირორჟანგი აირის მავნე გამონატყორცნებს ატმოსფეროში, მიიღებენ შესაბამის ფულად კომპენსაციას. ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტყეების დეგრადაციისა და მოსპობის მასშტაბების შემცირებას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში [9].

გაეროს გარემოს დაცვის პროგრამების დღის წესრიგში უკანასკნელ წლებში დგას ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხი: პლანეტის ტყეების თანდათანობითი მოსპობა და კლიმატის ცვალებადობა. FAO-ს მონაცემებით სათბური ეფექტის გამომწვევი მიზეზების 25% მოდის პლანეტის ტყეების მოსპობაზე. ამ პროცესის შეჩერება უპირველესი გლობალური პრობლემაა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას მყისიერად მოჰყვება ისეთი უარყოფითი შედეგები როგორიცაა: ადამიანის საცხოვრებელი პირობების გაუარესება ნახშირორჟანგის მომატებული მავნე გამონატყორცნები ატმოსფეროში, რაც თავის მხრივ გაამძაფრებს სათბური ეფექტის პროცესს და პლანეტის ტყეების ბიომრავალფეროვნების თანდათანობით მოსპობა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Е.Одум (1968). Экология. Просвещение. Москва.
2. Г.Новиков, А.Дударев (1978). Санитарная охрана окружающей среды современного города. Медицина. Л.
3. К.Ананичев (1975). Проблемы окружающей среды, энергии и природных ресурсов. Прогресс. Москва.
4. Охрана природы. Справочник (под ред. К Митрёшкина) (1987). Агропромиздат. Москва.
5. М.Будыко (1977). Глобальная экология. Мысль. Москва.
6. Прогноз научно-технического и социально-экономического развития и размещения лесных ресурсов СССР до 2000 года (1981). Москва.
7. ტ.ჩიქოვანი (1986). საქართველოს სარეკრეაციო ტყეები. საბჭოთა საქართველო. თბილისი.
8. The Global Forest Resources Assessment. (2011). http:/www.fao.org:/Fra/en
9. The Fifth National Communication from the European Cammunity under the UN Framework Convention on Climate Change. http:/www.gem.jrc.it/gec.2000.


## SUMMARY


*T.Patarkalashvili*


### Forest's role in environment ecological stabilization


The vital and very important functions of forests are considered in the article. It is emphasized that forests purify the atmosphere by absorbing pollutants including nitrigen oxide, sulpher dioxide, ozone and particulare matter in addition to improving air quality. Forests absorb carbon dioxide – a green-house gas that contributes to global warming.

Forests represent the most diverse ecosystems on the Earth They are home to 80% of our terrestrial biodiversity, providing habitats for flora and fauna while hosting a wide variety of genetic resources.

The possibility of mitigating climate change by reducing carbon emissions caused by deforestation and forest degradation and by increasing carbon uptake by afforestation and sustainable forest managerment highlights the essential role of forests in supporting life on the Earth.

It is underlined, that for last decades we abserve the pracess of deforestation, mainly the conversion of tropical forests to agricultural land.

The quicest solution of deforestation would be to stop cutting demn trees, though from financial and economical points of vien it is unlikely to ocurr. The UNO is working now on mechanisms to pay compensations to those countries who voluntarily reduce deforestation process.

# საქართველოს მოსახლეობის კვების ხასიათი

***მედეა ჩიქავა,***
*სტუ-ს სრული პროფესორი*
***თამარ ლობჟანიძე,***
*საქართველოს უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*
***მაია ვარსიმაშვილი,***
*მედიცინის აკადემიური დოქტორი*
***მერაბ ბაქრაძე***
***ინგა ბაქრაძე***

არარაციონალური კვება ხელს უწყობს მრავალი დაავადების განვითარებას [6, 10, 11, 15]. არასწორ კვებასთან დაკავშირებული სხეულის წონის მატება ხშირად ასოცირებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების (კნტდ) [5, 9, 12, 18], მე-2 ტიპის შაქრიანი დიაბეტის, ჰიპერტენზიისა [1] და სხვა დაავადებათა ფორმირებასთან.

რაციონალური კვება ჯანსაღი ცხოვრების წესის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია, რომელიც განაპირობებს ადამიანის ფიზიოლოგიურ, ფსიქოემოციურ, სოციალურ კეთილდღეობას. ადრეული ასაკიდანვე სწორი კვება ხელს უწყობს სწორ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, ჯანმრთელობას, სიცოცხლის აქტიური პერიოდის გახანგძლივებას. ამიტომ აქტუალურია მოსახლეობის კვების ხასიათის დადგენა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით და შედარება მინიმალურ ფიზიოლოგიურ ნორმებთან.

კვების ყოველგვარი დარღვევებისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა მოზარდთა ორგანიზმი. კვებით დარღვევებში იგულისხმება ისეთი მდგომარეობები, როცა ადამიანს არასწორი კვებითი ჩვევები აღენიშნება, რაც შეიძლება მოიცავდეს საკვების არასაკმარის ან ჭარბ მიღებას ინდივიდის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის საზიანოდ [3].

ამიტომ მნიშვნელოვანია კვებითი დარღვევების შეფასება ეპიდემიოლოგიური კვლევით მოზარდებში, რადგან მრავალი ქრონიკული, მათ შორის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, დაავადების ჩამოყალიბებას სწორედ ამ პერიოდში ეყრება საფუძველი.

წინამდებარე **კვლევის მიზანს** წარმოადგენდა კვების ხასიათის შესწავლა საქართველოს მოსახლეობასა და მოზარდებში; კავშირის შეფასება საქართველოს შუა და გვიანი პერიოდის (14-21 წლის) მოზარდთა ჯანმრთელობასა და ისეთ კვებით დარღვევებს შორის, რომლებიც ყველაზე მეტადაა ასოცირებული კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებათა (კნტდ) განვითარებასთან და პირველ რიგში საჭიროებს კორექციას.

მასალა და მეთოდები. საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო პროდუქტებით შესწავლილ იქნა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით და გამოთვლილ იქნა მათი მოხმარების პროცენტული მაჩვენებელი ნორმასთან შედარებით. საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების ნორმები, რომლებითაც ამჟამად ხელმძღვანელობენ, დამტკიცებულია 2003 წლის 8 მაისს (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 111/ ნ) [13].

საქართველოს მოზარდთა კვების ხასიათი და მათი კავშირი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკულ დაავადებებთან შეფასდა ჩვენს მიერ ჩატარებული ერთმომენტიანი კომპლექსური ეპიდემიოლოგიური კვლევით. კვლევა ჩატარდა ავადობის აქტიური გამოვლენით საქართველოს 14-21 წლის მოზარდთა პოპულაციაში.

არაინფექციურ დაავადებათა სტატისტიკური შესწავლა ხორციელდება არა „გენერალური ერთობლიობის" მთლიანი გამოკვლევით, არამედ – „ნაწილობრივი" მეთოდებით. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო გამოსაკვლევი ჯგუფის წარმომადგენლობითობა (რეპრეზენტატულობა) და შემთხვევითობა, საქართველოში მცხოვრებ მოზარდთა მაგალითად შეირჩა ქ. თბილისის რამდენიმე სკოლის, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლის როგორც თბილისელი, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუდენტები და მოსწავლეები. კვლევისთვის გამოყენებულ იქნა „შერჩევის" მარტივი, რანდომიზებული ფორმა.

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის მეათე მოხსენებაზე მიღებული მეთოდიკის საფუძველზე განისაზღვრა „შერჩევის ერთობლიობის'' სიდიდე. სტატისტიკურად სარწმუნო მაჩვენებელთა მისაღებად გამოსაკვლევ პირთა საჭირო რაოდენობა განისაზღვრა 95%-იანი სიზუსტით შემდეგი ფორმულის საშუალებით [7]:

$n = t^2 * P * ( 100 – P ) / \Delta^2$,

სადაც n — დაკვირვებათა საჭირო რაოდენობაა;

P = 13,25% — დაავადების ეპიდემიოლოგიური გავრცელება 15-18 წლის

მოზარდებში, გამოხატული %-ში [16];

t = 1,96 — სანდოობის კოეფიციენტი (95%-იანი სიზუსტით);

$\Delta$ = 3,25 — მაჩვენებლის ზღვრული შეცდომა.

ე. ი. $n = 1,96^2 * 13,25 * 86,75 / 3,252 = 418$.

ამდენად, შეირჩა 430 მოზარდი – 215 ვაჟი და 215 გოგონა, „გენერალურ ერთობლიობაში" სქესის მიხედვით არსებული განაწილების შესაბამისად.

ეპიდემიოლოგიური კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად ქ. თბილისის ყველა რაიონის თითო სასწავლო დაწესებულებაში, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო პოპულაციის ყველა ერთეულის შერჩევაში მოხვედრის დაახლოებით თანაბარი ალბათობა და შემთხვევითობა.

პირველ ეტაპზე მოზარდთა მიერ შევსებულ იქნა სპეციალურად შემუშავებული სკრინინგ-ანკეტები. მათ განემარტათ, თუ როგორ უნდა შეევსოთ კითხვარები. მოზარდები გამოკითხვაში ნებაყოფლობით მონაწილეობდნენ. ისინი ხალისით ავსებდნენ კითხვარებს, რომლებიც თითქმის 100%-ით დაბრუნდა უკან. გარდა ამისა, ხდებოდა მოზარდთა ინტერვიურება, რომლის დროსაც ზუსტდებოდა პასუხები და დამატებით ივსებოდა ანკეტები. შერჩეულ კონტინგენტს ჩაუტარდა ღრმა სამედიცინო შემოწმება.

გაანალიზებულ იქნა თითოეული მოზარდის ანამნეზი, სუბიექტური სიმტომატიკა და ობიექტური გასინჯვის, აგრეთვე – ამბულატორიულ-პოლიკლინიკური კვლევის მონაცემები. რიგ შემთხვევებში, დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, მოზარდებს დამატებით ჩაუტარდათ კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები. შედეგად, შესწავლილი კონტინგენტიდან გამოყოფილ იქნა 84 კნტდ-ის მქონე და 346 პირობითად ჯანმრთელი (კნტდ-ის არა მქონე) მოზარდი – შესაბამისად, I და II ჯგუფები.

მეორე ეტაპზე მოზარდთა მიერ შევსებულ იქნა ეპიდემიოლოგიური კვლევის სპეციალიზებული რუკა-კითხვარები, რომლებიც მოიცავდა კითხვებს მოზარდთა მიერ საკვები პროდუქტების მოხმარების სიხშირეების შესახებ.

კვლევისთვის გამოყენებულ იქნა „შემთხვევა-კონტროლის'' მეთოდი. თითოეული ჯგუფის მოზარდთა შორის არსებულ კვებითი დარღვევების სიხშირეები შედარდა ერთმანეთს. მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS, Access პროგრამული პაკეტების, Excell-ის მეშვეობით, თანამედროვე სოციომეტრული მეთოდების გამოყენებით.

რისკ-ფაქტორთა სიხშირეების გადანაწილებას შორის არსებულ განსხვავებათა შეფასების მიზნით, გამოთვლილ იქნა ორმხრივი Z კრიტერიუმი [2, 20] –

$$Z = |P_1 - P_2| (( P * ( 1 - P ) * ( 1/n_1 + 1/n_2 ))^{1/2}$$

სადაც n1 და n2 — I და II ჯგუფებში მოზარდთა რაოდენობებია,

P1, P2 და P — I, II ჯგუფის მოზარდებსა და მთელ პოპულაციაში

კვებითი დარღვევების ფარდობითი სიხშირეები:

$P1 = m1 / n1$, $P2 = m2 / n2$ და $P = m / n$;

სადაც m1, m2 და m — I, II ჯგუფსა და მთელ პოპულაციაში აბსოლუტური

რაოდენობებია მოზარდებისა, რომლებიც არასაკმარისად ან ჭარბად ღებულობენ მოცემულ საკვებ პროდუქტს;

ხოლო n1, n2 და n — I, II ჯგუფსა და მთელ პოპულაციაში მოზარდთა აბსოლუტური რაოდენობებია.

მიღებული შედეგების დამაჯერებლობა (პ) შემოწმდა ცხრილების მეშვეობით [8]. გამოთვლილ იქნა ფარდობით სიხშირეთა საშუალო ცთომილება:

$$\alpha 1 = ( P_1 * ( 1- P_1 ) / ( n_1 -1 ))^{1/2};$$

$$\alpha 2 = ( P_2 * ( 1- P_2 ) / ( n_2 -1 ))^{1/2}.$$

თითოეული კვებითი დარღვევისთვის განსაზღვრულ იქნა შანსების თანაფარდობა – OR (Odds Ratio). შანსების თანაფარდობა არის ეფექტის სიდიდის საზომი, რომელიც აღწერს ასოციაციის ძალას ორ სიდიდეს შორის [14]. ის გამოიყენება დესკრიპტულ სტატისტიკაში, სადაც ეფექტის სიდიდე არის სტატისტიკური პოპულაციის ორ ცვლად სიდიდეს შორის არსებული ურთიერთკავშირის ძალის საზომი [4].

ცვლადი სიდიდე არის რაღაც მოვლენის – E (Event) არსებობა ან არარსებობა – N (Non-event). ჩვენს შემთხვევაში მოვლენა არის კნტდ-ის არსებობა (E) ან არარსებობა (N). ამ მოვლენის არსებობა საკვლევ (მოცემული რისკის ფაქტორის მქონეთა) ჯგუფში აღინიშნება, როგორც EE (Events in Experimental group), საკონტროლო (მოცემული რისკის ფაქტორის არა მქონეთა) ჯგუფში – როგორც CE (Events in Control group); ხოლო მოვლენის არარსებობა საკვლევ ჯგუფში არის EN (Non-events in Experimental group), საკონტროლო ჯგუფში – CN (Non-events in Control group) (ცხრილი 1).

ცხრილი 1

| ჯგუფი / მოვლენა | მოვლენის არსებობა | მოვლენის არარსებობა |
|---|---|---|
| საკვლევი (მოცემული რისკის ფაქტორის მქონეთა) ჯგუფი | EE (Events in Experimental group) | EN (Non-events in Experimental group) |
| საკონტროლო (მოცემული რისკის ფაქტორის არა მქონეთა) ჯგუფი | CE (Events in Control group) | CN (Non-events in Control group) |

კნტდ-ის არსებობის შანსი საკვლევ ჯგუფში – OE (odds in Experimental group) გამოითვლება:

$$OE = EE / EN.$$

კნტდ-ის არსებობის შანსი საკონტროლო ჯგუფში – OC (odds in control group) გამოითვლება:

$$OC = CE / CN.$$

შანსების თანაფარდობა – OR ნიშნავს საკვლევ ჯგუფში მოვლენის არსებობის – OE შანსის შე-

ფარდებას საკონტროლო ჯგუფში მოვლენის არსებობის – OC შანსთან:

$$OR = OE / OC = (EE / EN) / (CE / CN).$$

მოზარდთა კვებით დარღვევებსა და კნტდ-ს შორის ასოცირების ძალის დონეები შევაფასეთ შანსების თანაფარდობის (OR) საშუალებით. კვებით დარღვევები წარმოვადგინეთ იერარქიულად მღ სიდიდის კლების მიხედვით. დადგინდა აღნიშნულ მაჩვენებელთა სანდოობის ინტერვალები (Confidence Interval – Cl) 95%-იანი სიზუსტით [21].

შედეგები და მათი განხილვა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2008 წელს ჩვენს ქვეყანაში, ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით, ყველაზე ჭარბად მოხმარებულ იქნა კარტოფილი, ბოსტნეული და ბაღჩეული – 132,7%; აგრეთვე – პური და პურპროდუქტები – 110,4%. იმავე წელს შაქრის მოხმარება, საკონდიტრო ნაწარმსა და ხილის კონსერვებზე დახარჯულის ჩათვლით, თითქმის უტოლდებოდა ფიზიოლოგიური ნორმით გათვალისწინებულ რაოდენობას – 97,7% (21,4 კგ./ერთ სულზე წელიწადში). ასევე თითქმის მიუახლოვდა ნორმას რძისა და რძის პროდუქტების მოხმარება – 91,7% (72 კგ./ერთ სულზე წელიწადში) [17] (ცხრილი 2, ნახატი 1).

ცხრილი 2

საქართველოში კვების პროდუქტების მოხმარება 2008 წელს

მოსახლეობის ერთ სულზე (კგ)

| კვების პროდუქტების ჩამონათვალი | ფაქტობრივი მოხმარება | მინიმალური წლიური ნორმის ოდენობა | მოხმარება წლიურ ნორმასთან შედარებით (%) |
|---|---|---|---|
| 1.კარტოფილი, ბოსტნეული და ბაღჩეული | 126,9 | 95,6 | 132,7 |
| 2. პური და პურის პროდუქტები | 128,9 | 116,8 კგ | 110,4 |
| 3. შაქარი, საკონდიტრო ნაწარმსა და ხილის კონსერვებზე დახარჯულის ჩათვლით | 21,4 | 21,9 | 97,7 |
| 4. რძე და რძის პროდუქტები | 72 | 78,5 | 91,7 |
| 5. ხორცი და ხორცის პროდუქტები | 16,6 | 23,7 | 70,0 |
| 6. ხილი, ყურძენი | 37,6 | 83,0 | 51,5 |
| 7. კვერცხი (ცალობით) | 89,7 | 182,5 | 49,2 |
| 8. ზეთი და ცხიმი | 13,5 | 29 | 46,6 |
| 9. თევზი და თევზის კონსერვები | 4,4 | 14,6 | 30,1 |

რაც შეეხება დანარჩენ პროდუქტებს, მათი ფაქტობრივი მოხმარება ჩამორჩებოდა მინიმალური წლიური ნორმის ოდენობას. კერძოდ, ყველაზე დეფიციტურად თევზი და თევზის კონსერვები გამოიყენებოდა – 30,1%; აგრეთვე – ზეთი და ცხიმი – 46,6%, კვერცხი – 49,2%, ხილი, ყურძენი – 51,5%. შედარებით ნაკლებად დეფიციტური ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარება – 70,0% აღმოჩნდა [17] (ცხრილი 2, ნახატი 1).

ნახატი 1

საკვები პროდუქტების ფაქტიური მოხმარება 2008 წელს ნორმასთან შედარებით (%)




1. თევზი და თევზის კონსერვები.
2. ზეთი და ცხიმი;
3. კვერცხი (ცალობით);
4. ხილი, ყურძენი;
5. ხორცი და ხორცის პროდუქტები;
6. რძე და რძის პროდუქტები;
7. შაქარი, საკონდიტრო ნაწარმსა და ხილის კონსერვებზე დახარჯულის ჩათვლით;
8. პური და პურის პროდუქტებ
9. კარტოფილი, ბოსტნეული და ბაღჩეული;

ჩვენს მიერ ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევით გამოვლინდა, რომ 14-21 წლის მოზარდები ყველაზე ხშირად და დიდი რაოდენობით ღებულობენ პურსა და პურპროდუქტებს, კარტოფილს, ტკბილეულს. დანარჩენ პროდუქტებს ისინი არასაკმარისად მოიხმარენ, რომელთა შორის ყველაზე დაბალია ბოსტნეულის (კარტოფილის გარდა) – 26,5% მოხმარება; შედარებით დაბალია თევზისა და თევზეულის – 45,3%, რძისა და რძის პროდუქტების – 47% გამოყენება; რამდენადმე მეტია ხილისა და კენკროვნების – 67,4%, მაკარონის, ბურღულეულისა და პარკოსნების – 70,2%, კარაქის – 71,4%, ხორცისა და ხორცის პროდუქტების – 74,7%, კვერცხის – 80,7% გამოყენება (ნახატი 2).

ნახატი 2
მოზარდთა მიერ კვების პროდუქტების რეგულარული მოხმარება (%)




1. ბოსტნეული (კარტოფილის გარდა).
2. თევზი და თევზეული;
3. რძე და რძის პროდუქტები;
4. ხილი, კენკროვნები;
5. ხილი, კენკროვნები;
6. მაკარონი, ბურღულეული და პარკოსნები;
7. კარაქი;
8. ხორცი და ხორცის პროდუქტები.

საკვები ნივთიერებების დეფიციტი ან სიჭარბე აფერხებს ზრდა-განვითარების პროცესებს, ცვლის თავის ტვინის ქერქის მუშაობას, ორგანიზმის რეაქტიულობას, ანვითარებს სხვადასხვა პათოლოგიურ პროცესს [19]. დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდის კვების რაციონში ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების სწორ თანაფარდობას. კერძოდ, პურის, პურ-პროდუქტების, კარტოფილისა და ტკბილეულის ფაქტობრივი მოხმარების გაზრდა იმაზე მეტყველებს, რომ მოზარდთა მიერ მოხმარებული ცილებისა და ცხიმების რაოდენობის შემცირებასთან ერთად, ირღვევა მათი მოხმარების სტრუქტურაც. კერძოდ, ცილებისა და ცხიმების დეფიციტის შევსება უპირატესად ზემოაღნიშნული ნახშირწყლოვანი საკვებით ხდება. ეს კი ხელს უწყობს სიმსუქნის განვითარებას.

მოზარდებში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევით დადგინდა, რომ სიმსუქნე, რომელიც ძირითადად ჭარბი კვებითაა გამოწვეული, ჩვენს მიერ შესწავლილი კვებითი დარღვევებიდან, ყველაზე მეტადაა დაკავშირებული კნტდ-თა განვითარებასთან – OR = 4,62 (95% ჩI 3,86 — 5,59),

სიმსუქნის შემდეგ, კნტდ ყველაზე ძლიერ ასოცირებულია გაზიანი სასმელების რეგულარულ გამოყენებასთან – OR = 2,79. გაზიანი სასმელები ავსებს კუჭს გაზებით, რის გამოც ვითარდება ბოყინი ჰაერით და გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსი — კუჭის მჟავე შიგთავსის მოხვედრა საყლაპავში, რაც შემდგომი პროგრესირებისას ხელს უწყობს გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსური დაავადებისა და რეფლუქს-ეზოფაგიტის ჩამოყალიბებას.

ჭარბად გამოყენებულ საკვებთა შორის, გაზიანი სასმელების შემდეგ, ცხიმიანი საკვების ჭარბად მიღება – OR = 1,61 ყველაზე მეტადაა დაკავშირებული კნტდ-თა არსებობასთან. ამ დაავადებებთან კავშირშია აგრეთვე ყოველდღიურად 2-3 და მეტი ჭიქა ყავის დალევა – OR = 1,57; საკვებში წიწაკის ხშირი გამოყენება – OR = 1,54 (ცხრილი 3).

ცხრილი 3
მოზარდთა მიერ ჭარბად გამოყენებულ პროდუქტთა შანსების თანაფარდობა

| რისკის ფაქტორები | საკვლევი ჯგუფი ($O_1$) | საკონტროლო ჯგუფი ($O_2$) | 0R | 0R (95%CI) |
|---|---|---|---|---|
| I. გაზიანი სასმელების რეგულარული მიღება | 75,8 ± 2,6 | 10,9 ± 2,8 | 2,79 | 2,03 - 4,1 |
| II. ცხიმიანი საკვების ჭარბად მიღება | 33,2 ± 3,3 | 19,2 ± 2,6 | 1,61 | 1,27 - 2,05 |
| III. ყოველდღიურად 2-3 და მეტი ჭიქა ყავის მიღება | 30,9 ± 4,3 | 21,1 ± 2,3 | 1,57 | 1,23 — 2,0 |
| IV. წიწაკიანი საკვების ხშირი მიღება | 33,2 ± 3,4 | 19,8 ± 2,6 | 1,54 | 1,22 — 1,97 |

კნტდ-თა სიმპტომებთან, არასაკმარისად მოხმარებულ კვების პროდუქტთა შორის, ყველაზე მეტად ასოცირებულია რძისა და რძის პროდუქტების იშვიათი გამოყენება – OR = 2,11. კერძოდ, რძე და მაწონი საჭიროა კვირაში ერთხელ მაინც – OR = 2,13; ხაჭო და არაჟანი – მინიმუმ თვეში 2-ჯერ – OR = 1,57; ყველის მინიმუმ კვირაში 2-ჯერ მაინც არმიღება შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ქმნის კნტდ-თა განვითარების გარკვეულ შანსს – OR = 1,51 (ცხრილი 4).

მოზარდთა ჯანმრთელობაზე ასევე უარყოფითად აისახება ხილისა და კენკროვნების არარეგულარული მიღება – OR = 1,53 (ცხრილი 4). რაც შეეხება დანარჩენ პროდუქტებს, მთელი პოპულაციის მოზარდთა მიერ მათი მოხმარება ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებას არ იძლევა (ნახატი 2) [21].

ცხრილი 4

მოზარდთა მიერ დეფიციტურად გამოყენებულ პროდუქტთა შანსების თანაფარდობა

| რისკის ფაქტორები | საკვლევი ჯგუფი ($O^1$) | საკონტრო-ლო ჯგუფი ($O^2$) | 0R | 0R (95%CI) |
|---|---|---|---|---|
| I. რძის, რძის პროდუქტების არარეგულარული მიღება | 30,5 ± 3,1 | 15,7 ± 2,6 | 2,11 | 1,65 — 2,76 |
| 1. რძის, მაწვნის 2 კვირაში ერთხელ, ნაკლებად მიღება | 36,2 ± 3,6 | 17,0 ± 2,4 | 2,13 | 1,68 — 2,72 |
| 2. ხაჭოს, არაჟნის თვეში ერთხელ, ნაკლებად მიღება | 33,2 ± 4,3 | 21,1 ± 2,3 | 1,57 | 1,23 — 2,0 |
| 3. ყველის კვირაში ერთხელ და ნაკლებად მიღება | 30,2 ± 3,3 | 20,0 ± 2,6 | 1,51 | 1,19 — 1,93 |
| II. ხილის, კენკროვნების არასაკმარისად მიღება | 30,5 ± 4,0 | 20,9 ± 2,4 | 1,53 | 1,2 — 1,94 |

ამრიგად, ეპიდემიოლოგიური კვლევით, მოზარდთა პოპულაციაში ყველაზე ნაკლებად ბოსტნეული (კარტოფილის გარდა) გამოიყენება, კარტოფილის მოხმარება კი – მაღალია. ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით – კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის მოხმარება, ფიზიოლოგურ ნორმასთან შედარებით, ყველაზე მაღალია.

როგორც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ისე ეპიდემიოლოგიური კვლევით მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობასა და მოზარდებში დაბალია თევზისა და და თევზეულის, მაღალია პურისა და პურის პროდუქტების, ტკბილეულის მოხმარება, რის გამოც აუცილებელია პირველ რიგში გაიზარდოს მოსახლეობის უზრუნველყოფა თევზითა და თევზის კონსერვებით, შემცირდეს პურეულისა და შაქრის გამოყენება.

ასევე მნიშვნელოვანია მთელი მოსახლეობის, მათ შორის მოზარდების, უზრუნველყოფის გაზრდა ზეთით და ცხიმით, კვერცხით, ხილით, ხორცითა და ხორცის პროდუქტებით, კარაქით, რძითა და რძის პროდუქტებით.

გაანალიზდა რა მოზარდთა კვების ხასიათსა და კნტდ-ს შორის კავშირი, დადგინდა, რომ კვების შესწავლილი ფაქტორებიდან აღნიშნულ დაავადებათა ჩამოყალიბება ყველაზე მეტად ასოცირებულია ჭარბ კვებასთან, რაც სიმსუქნით ვლინდება. კნტდ-ის მქონე მოზარდებისთვის ყველაზე მეტად საჭიროა რძისა და რძის პროდუქტების, განსაკუთრებით რძისა და მაწვნის, აგრეთვე – ხილისა და კენკროვნების უფრო მეტი სიხშირით გამოყენება. ჭარბად გამოყენებულ პროდუქტთაგან ყველაზე საშიშია გაზიანი სასმელების ხშირი მოხმარება, კვების რაციონში ცხიმიანი საკვების სიჭარბე, ყავისა და წიწაკიანი საკვების ზედმეტი მიღება. აღნიშნული კვებითი დარღვევების კორექცია ხელს შეუწყობს კნტდ-თა პრევენციის წარმატებით განხორციელებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Bar Dayan, Y., Elishkevits, K., Grotto, I., Goldstein, L., Goldberg, A., Shvarts, S., Levin, A. // The prevalence of obesity and associated morbidity among 17-year-old Israeli conscripts. Public Health. 2005 May;119(5):385-9. http://www.ncbi.nlm.nih.gov
2. Baride, JP., Kulkarni, AP., Muzumdar, RD. // Manual of Biostatistics. New Delhi, 2003.
3. Eating disorder. From Wikipedia, the free encyclopedia. // en.wikipedia.org/wiki/Eating_disorder
4. Effect size. From Wikipedia, the free encyclopedia. http://en.wikipedia.org/wiki/Effect_size
5. El-Serag, HB., Ergun, GA., Pandolfino, J., Fitzgerald, S., Tran, T., Kramer, JR. // Obesity increases oesophageal acid exposure. Gut. 2007;56:749–755 [PubMed].
6. Festi, D., Scaioli, E., Baldi, F., Vestito, A., Pasqui, F.. // Body weight, lifestyle, dietary habits and gastroesophageal reflux disease. World J Gastroenterol. 2009 April 14; 15(14): 1690–1701. http://www.wjgnet.com
7. Jekel, J., Katz, D., Elmore, J., Wild, D. // Epidemiology, Biostatistics and Preventive Medicine (third edition). Saundes, Elsevier. 2007.
8. ყვავილაშვილი ჯ. //მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, II, (გაზომვა და სტატისტიკა), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1990.
9. Landau, DA., Goldberg, A. // The prevalence of gastrointestinal diseases in Israeli adolescents and its association with body mass index, gender, and Jewish ethnicity. 1: J Clin Gastroenterol. 2008 Sep; 42(8):903-9. http://www.ncbi.nlm.nih.gov
10. Lucendo, AJ., De Rezende, LC. // Importance of nutrition in inflammatory bowel disease. World J Gastroenterol. 2009 May 7; 15(17): 2081–2088. http://www.wjgnet.com
11. Jarosz, M., Rychlik, E., Siuba, M., Respondek, W. // Dietary and socio-economic factors in relation to Helicobacter pylori re-infection. World J Gastroenterol. 2009 March 7; 15(9): 1119–1125. http://www.ncbi.nlm.nih.gov
12. Moayyedi, P. // The epidemiology of obesity and gastrointestinal and other diseases: an overview. 53(9):2293-9. Epub 2008 Jul 18. http://www.springerlink.com
13. საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების ნორმები. // საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №111/ნ. 2003 წლის 8 მაისი. ქ. თბილისი. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=55534
14. Odds ratio. From Wikipedia, the free encyclopedia. http://en.wikipedia.org/wiki/Odds_ratio
15. Seeman, J. // Coffee: How it Effects the Digestive System. http://www.hemorrhoidinformationcenter.com
16. სხვიტარიძე ა. //მოზარდებში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა სიხშირე, ხელშემწყობი ფაქტორები, პროფილაქტიკის გზები და კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებანი. დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის

ხარისხის მოსაპოვებლად, 2004.
17. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. სტატისტიკის დეპარტამენტი. //სტატისტიკური წელიწდეული 2009. თბილისი, 2009.
18. Talley, NJ., Howell, S., Poulton, R. // Obesity and chronic gastrointestinal tract symptoms in young adults: a birth cohort study. Am J Gastroenterol. 2004 Sep; 99(9):1815-6. http://www.ncbi.nlm.nih.gov
19. ვეფხვაძე ნ. // პრევენციული მედიცინა. თბილისი, 2009.
20. Закс Л. // Статистическое оценивание. Москва, `Статистика,'' 1976.
21. ჩიქავა მ. //მოზარდთა საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობა ზოგიერთი წამლის ზემცირე დოზის გამოყენებით. დისერტაცია მედიცინაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2009.

**რეზიუმე**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კვების ხასიათის შესწავლა საქართველოს მოსახლეობასა და მოზარდებში. 2008 წელს ჩვენს ქვეყანაშიყველაზე ჭარბად მოხმარებულ იქნა კარტოფილი, ბოსტნეული და ბაღჩეული – 132,7%; პური და პურპროდუქტები – 110,4%; თითქმის უტოლდებოდა ფიზიოლოგიური ნორმას შაქრის – 97,7%, აგრეთვე– რძისა და რძის პროდუქტების მოხმარება – 91,7%.დანარჩენი პროდუქტების ფაქტობრივი მოხმარება ჩამორჩებოდა მინიმალური წლიური ნორმის ოდენობას. კერძოდ, დეფიციტურად გამოიყენებოდა თევზი და თევზის კონსერვები – 30,1%; ზეთი დაცხიმი– 46,6%, კვერცხი – 49,2%, ხილი, ყურძენი – 51,5%, ხორცისა და ხორცის პროდუქტების – 70,0%.

მოზარდებში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევით დადგინდა, რომ ჭარბი კვება, სიმსუქნე ყველაზე მეტადაა დაკავშირებული კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებათა(კნტდ) განვითარებასთან – OR = 4,62 (95% CI 3,86 – 5,59). კნტდ-თან ასოცირებულია აგრეთვე გაზიანი სასმელების რეგულარული გამოყენება – OR = 2,79; ცხიმიანი საკვების ჭარბად მიღება – OR = 1,61; ყოველდღიურად 2-3 და მეტი ჭიქა ყავის დალევა – OR = 1,57; საკვებში წიწაკის ხშირი გამოყენება – OR = 1,54; რძისა და რძის პროდუქტების იშვიათი მიღება – OR = 2,11.

ამდენად, მნიშვნელოვანია მთელი მოსახლეობის, მათ შორისმოზარდების, უზრუნველყოფის გაზრდა თევზით,ზეთით და ცხიმით, კვერცხით, ხილითა და ყურძნით, ხორცითა და ხორცის პროდუქტებით. კნტდ-ის მქონემოზარდებისთვის ყველაზე მეტად საჭიროა ზომიერი კვება, სიმსუქნის პროფილაქტიკის მიზნით; რძისა და რძის პროდუქტების უფრო მეტი სიხშირით გამოყენება.

SUMMARY

*M. Chikava,*
*T. Lobjanidze,*
*M. Varsimashvili,*
*M. Bakradze,*
*I. Bakradze*

*NUTRITION CHARACTER OF THE POPULATION OF GEORGIA*

The aim of the research was to study the nutrition characterof the whole population and adolescents of Georgia. It was stated that in 2008 in our country the potatoes, vegetables and melons –132,7%; bread and bread products –110,4% wereusedmost of all, but the factual consumption of sugar –97,7%, milk and dairy products –91,7%were almost equal to a physiological norm. The consumption of other products were less the minimal annual value.In particular, the consumption of fish was very scarce –30,1%; more less scarcely were used vegetable oil –46,6%, eggs –49,2%, fruits and grapes –51,5%, meat and meat products–70,0%.

Conducted by usepidemiological researchamong adolescents showed, that the overweight eating, obesity – OR = 4,62 (95% CI 3,86 – 5,59) is most of all *associated*with Digestive Disorders (DD). Some relationship with DD among adolescents have: frequent consumption of drinkings with gas –OR = 2,79; fatty food –OR = 1,61; drinkingof 2-3 and more cups of coffee per day – OR = 1,57; frequent use of pepper – OR = 1,54.; the seldom eating of milk and dairy products–OR = 2,11.

Thus, the nutrition characterof the whoe population and adolescents of Georgia are not satisfactory. They must use more frequently: fish,vegetable oil, eggs, fruits and grapes, meat and meat products.The adolescents need moderate nutrition for preventing obesity; to use milk and dairy products more frequently.

# საღეჭი რეზინის სამომხმარებლო თვისებები, სამკურნალო პროფილაქტიკური დანიშნულება, ექსპერტიზა

*მზია წულუკიძე*

საღეჭი რეზინი პირობითად საკონდიტრო ნაწარმს მიეკუთვნება. იგი ისეთივე უდაო ბრენდი და სიმბოლოა ამერიკისა, როგორც Coca-Cola ან ჰამბურგერი Mc. Donald's-ი. საღეჭი რეზინი ზედმიწევნით მისაღები სახეობაა მიზანმიმართული პროფილაქტიკური და სამკურნალო დანიშნულებით გამოყენებისათვის, შესაძლებელია იყოს ვიტამინების, მინერალების წყარო, აჭარბებს გარკვეული მოლეკულების სისხლში მიწოდების უნარით, ვინაიდან ხანგრძლივი კონტაქტი გააჩნია პირის ღრუსთან, უხსნადია. ნებისმიერ საღეჭ რეზინში ძირითად ინგრედიენტად ითვლება შაქარი (შესაძლებელია იყოს გლუკოზა) ან შაქრის შემცვლელი. ისინი შეადგენენ საღეჭი რეზინის წონის 60-80%. შაქრის შემცვლელებიდან გამოიყენება პოლიოზები - სორბიტი, მანიტი, მალტიტი, ქსილიტი, იზომალტი, ასპარტამი და კალიუმის აცესულფამი, ორგანული მჟავები, არომატიზატორები, მღებავი ნივთიერებები, ტენიანობის შენარჩუნებისათვის სტაბილიზატორი - გლიცერინი. ნაწარმი დამზადებულია სპეციალურ ელასტიურ ფუძეზე. ბუნებრივ ფუძედ გამოიყენება სხვადასხვა მცენარის ფისები, ხოლო ხელოვნურ ფუძედ პოლიმერები.

საღეჭი რეზინის ფუძეს კვებითი ღირებულება არ გააჩნია. მისი შემადგენლობა შერჩეულია იმის გათვალისწინებით, რომ ღეჭვის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას არომატიზატორებისა და შაქრის თანდათანობითი გამოყოფა. სხვადასხვა სახის საღეჭი რეზინისათვის გამოიყენება სხვადასხვა ფუძე, რათა პრუდუქტი იყოს რბილი, ელასტიური ან მკვრივი.

ისტორიულად საღეჭი რეზინის ფუძეს ღებულობდნენ ნატურალური ფისების სხვადასხვა სახეობებისაგან. დღეისათვის ამ ინგრედიენტების ნაწილი ძნელადმისაწვდომი გახდა იმ მიზეზით, რომ რეგიონებში, სადაც ხდებოდა ამ პროუქტების ტრადიციული მოპოვება შეიცვალა კლიმატური პირობები. მოხდა ცივილიზაციის შეღწევა. ამგვარად, საღეჭი რეზინის წარმოებაში ნატურალური ფისების წილი თანდათანობით შემცირდა. მიუხედავად ამისა "ჭრიგლეყ" აგრძელებს აშშ-ს სამხრეთ აღმოსავლეთში არსებული ნაძვის ზოგიერთი სახეობის ფისების გამოყენებას. დღეისათვის ფუძედ გამოიყენება: სინთეზური კაუჩუკი, ბუთილკაუჩუკი, იზოპრიენისა და ბუთადიენის. საღეჭი რეზინის ფუძის მწარმოებლები რეზინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამუდმებით იკვლევენ ახალი ინგრედიენტებსა და პროცესებს. უკანასკნელ წლებში განხილული იყო სინთეზური მასალები, რომელთაც ჰქონდათ ტექნიკური შეზღუდვების გადალახვის უნარი, რასაც ადგილი ჰქონდა მოძველებული მასალების გამოყენებისას. ახალი ინგრედიენტები განაპირობებენ საღეჭი რეზინის გემოს გახანგრძლივებას, პროდუქტის ტექსტურას (კონსისტენციას), კბილებზე მიწებების ეფექტის შემცირებას.

საღეჭი რეზინის ფუძის შემადგენლობაში შეიძლება არსებობდეს შემდეგი ნივთიერებანი:

- მცენარეული წარმოშობის ნატურალური საღეჭი ნივთიერებანი, ისეთი, როგორიცაა ჟეტულონგი, რომელიც მოიპოვება ამაზონისა და მალაიზიის ტროპიკულ ტყეებში არსებული მცენარეებისაგან;
- სინთეზური საღეჭი ნივთიერებანი: პოლიმერები და ცვილები;
- დამარბილებლები: გლიცერინი, ჰიდროგენიზირებული მცენარეული ზეთები, ტერპენული ფისები და სხვა;
- ტექსტურირებული აგენტები (რეზინს ანიჭებენ ფორმას და სიმაგრეს) კალციუმისა და მაგნიუმის კარბონატები, ტალკი;
- ანტიდამჟანგველები, ნივთიერებები, რომელბიც იცავენ საღეჭ რეზინს დაჟანგვისაგან (უმეტესად E320 - ბუთილჰიდროქსიანიზოლი);
- ემულგატორები ელასტიურობისათვის. ისინი ყველაზე მეტად გვხვდება „bubble gum"-ში. სწორედ ისინი იძლევიან ბუშტების გაბერვის ეფექტს.

საღეჭი რეზინი მზადდება კვების მრეწველობის საწარმოებში დაბალი ტემპერატურაზე (60-700ჩ), როგორც პირის ღრუს გასუფთავების, გამაგრილებელი და ნერწყვის გამოყოფის მასტიმულირებელი საშუალება. პროფილაქტიკური მოქმედების საღეჭი რეზინის შემადგენლობაში გარდა ძირითადი ინგრედიენტებისა გამოიყენება დანამატები, რომელთა შეტანა ოპტიმალური ტექნოლოგიის შერჩევის შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა პროფილაქტიკური და სამკურნალო დანიშნულების მქონე პრეპარატებისათვის. ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა სტადიაზე შესაძლებელია სხვადასხვა დანამატების შეტანა პირის ღრუსა და ყელის მკურნალობისათვის, კარიესის, ყურის ინფექციებისა და წყლულის საწინააღმდეგო, მასტიმულირებელი მოქმედების პრეპარატები და სხვა. ამგვარად, მოხდა საღეჭი რეზინის ევოლუცია ნუტრიცევტიკის კარეგორიამდე (სამკურნალო დანიშნულების საკვები პროდუქტი), რაც ხელს უწყობს გაყიდვების ზრდას. ღეჭვისას გემოს გახანგრძლივებისათვის გამოიყენებენ რთულ, თანამედროვე ტექნოლოგიებს. რეზინის შეფერილობისათვის გამოიყენებენ საკვებ მღებავ ნივთიერებებს. მაგ. ორბიტის თეთრი შეფერილობისათვის გამოიყენება საღებავი ტიტანის დიოქსიდი.

სამხრეთკორეულმა ფირმამ "Lotte" ბაზარზე გამოუშვა საღეჭი რეზინი "Xylitol Helco", რომელ-

იც გამიზნულია კუჭის წყლულის გამომწვევი ბაქტერიების გასანადგურებლად. იაპონელმა მიცუი ნორინმა მიიღო პატენტი სისხლში გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის მიზნით საღეჭი რეზინის საშუალებით გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე.

საღეჭი რეზინი სტიმოროლი შეიცავს ისეთ კომპონენტს როგორიცაა გუარინა (კოფეინის შემცველი მცენარე) და დექსტროზას (გლუკოზა). ერთი ბალიში შეიცავს 3,6 მგ კოფეინს, რომელიც ორგანიზმზე ახდენს მასტიმულირებელ ზემოქმედებას, ორი ბალიში - 1,7 გ დექსტროზას, რომელიც ენერგიის წყაროს წარმოადგენს. ასპარტამის შემცველი საღეჭი რეზინის მოხმარება შეზღუდულია, ვინაიდან მას უკუჩვენება აქვს ზოგიერთი დაავადებების მიმართ.

მშრალი კანონის დროს ბარებში, სადაც არაკანონიერად ვაჭრობდნენ სპირტული სასმელებით, მომხმარებელს ურიგებდნენ მიხაკის გემოს საღეჭ რეზინს არალეგალური სასმელის მომხმარებლის სუნთქვის გაუმჯობესების მიზნით.

შაქრის შემცვლელების გამოჩენამ 1950 წლებიდან განაპირობა უშაქრო საღეჭი რეზინის შექმნა.

საღეჭი რეზინის ფორმა გამოგონებული იქნა 1906 წელს ფრანკ ფლიერ დიემერის მიერ. იგი არ იყო არც ქიმიკოსი, არც აფთიაქარი, ის იყო ბუხჰალტერი, რომელსაც სურდა, რომ საღეჭი რეზინი ყოფილიყო მიმზიდველი, თვალშისაცემი, რისთვისაც იგი ვარდისფერად შეღება (ვინაიდან ეს იყო ერთადერთი ფერი, რომელიც კომპანიას გააჩნდა). რეზინს ეწოდა „ორმაგი ბაბლ“ი (Dubble Babble) და 1928 წელს ფილადელფიაში მარკეტინკული ტესტირების შემდეგ ჰიტი გახდა. ითვლება, რომ „babl-gam“-ის ისტორია თანამედროვე სახით იწყება 1928 წლიდან. კომერსანტ ვალტერ დიემერის გამოგონების წყალობით. იმ დროს კომპანია „Fleer Gum“-ის 23 წლის თანამშრომელი გახდა თანამედროვე რეზინის შემქმნელი. მან გამოიგონა ფორმულა, რომლის წყალობითაც იგი გახდა არც წებვადი და არც ძალიან მკვრივი. მას შემდეგ მისი პოპულარობა გამუდმებით იზრდება.

პოსტ საბჭოთა ქვეყნებში საღეჭი რეზინის გამოშვება ათვისებული იქნა სანკტ-პეტერბურგში, მოსკოვში, ტალინსა და ერევანში, რომლის ბაზარი შეავიწროვა შედარებით იაფმა იმპორტულმა პროდუქციამ.

დღეისათვის იმართება დისკუსიები რისთვის ამზადებდნენ ასეთ საღეჭ რეზინს სამედიცინო მიზნებისათვის თუ გართობის მიზნით? საბაზო ცოდნა საღეჭ რეზინზე, როგორც საკონდიტრო ნაწარმზე გვეხმარება გამოვაცხადოთ იგი როგორც საკვები, სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება.

საღეჭი რეზინი თავდაპირველად მე-19 საუკუნის ბოლოს გამოჩნდა. პროფესიით ფოტოგრაფმა და გამომგონებელმა თამას ადამსმა საპოდილის წვენს შეურია სხვადასხვა ფისები, გაალღო ორთქლის წნევით, გაასუფთავა მინარევებისაგან, დაამატა შაქარი, ბადაგი, არომატიზატორები, პიტნის ზეთი, გააბრტყელა და გამოუშვა სავაჭრო ქსელში პირველი საღეჭი რეზინი აშშ-ში “Black Jack”-ი. მან ახალი პროდუქტის საცდელი პარტია განათავსა რამოდენიმე ადგილობრივ მაღაზიაში. აკვირდებოდა რა მყიდველი შეიძენდა თუ არა მას. მოსახლეობას მოეწონა საღეჭი რეზინი და სულ მალე მისი ბიზნესი მეტად იღბლიანი აღმოჩნდა. 1871 წელს მან დააპატენტა რეზინის შექმნის მექანიზმი და ამგვარად მას დიდი რაოდენობით საღეჭ რეზინის წარმოების საშუალება მიეცა. გარკვეული პერიოდის შემდეგ წარმოება შეწყდა მცირე გაყიდვების გამო: 1986 წელს „შავი ჯეკი“ (“Black Jack”) მეორედ დაიბადა მიხაკის გემოთი, როცა ვარნერ ლამბერტმა (ადამსის კომპანიის შვილობილი) შექმნა პროგრამა „ნოსტალგია საღეჭ რეზინზე“. ადამსს კვლავ ჰქონდა წარმატება საღეჭი რეზინით „Tutti Frutti“. 1988 წლიდან „Tutti Frutti“ იყიდებოდა ავტომატებიდან რკინიგზის სადგურების ბაქანზე.

კომპანია “Wrigley” ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს საღეჭი რეზინის ბაზარზე მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა. 1893 წელს ვრიგლიმ დაიწყო „Spearmint“ და “Juicy - Fruit”-ის გაყიდვა უკვე როგორც სრულყოფილი ბრენდი. ამ ტრანსნაციონალური კორპორაციის ლეგენდარული ისტორია საწყისს იღებს 1891 წელს, როდესაც მეტად წარმატებულმა საპნის გამყიდველმა უილიამ ვრიგლიმ ყურადღება მიაქცია, რომ მყიდველი მის მაღაზიაში შედიოდა არა იმდენად საპნის, არამედ ორი ფილა საღეჭი რეზინის შესაძენად, რომელიც თან ერთვოდა საპნის ნაწარმს. ამგვარად, საპნის გამყიდველმა ვრიგლიმ სწრაფად შეიცვალა კვალიფიკაცია და გახდა საღეჭი რეზინის მწარმოებელი.

ევროპაში საღეჭმა რეზინმა შედარებით მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰპოვა გავრცელება. დღეისათვის საღეჭი რეზინის მწარმოებლების უმეტესობა იყენებს სინთეზურ რეზინს, ვინაიდან იგი უფრო იაფია. საღეჭი რეზინის მოხმარებას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ადრეული მეზოლიტის ხანაში, დაახლოებით 10000-6500 წ.წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ხის ფისების, როგორც ანტისეპტიკის ღეჭვას მისდევდნენ, რაც სხვადასხვა პერიოდის გათხრების შედეგად დასტურდება. ანტიკურ საბერძნეთში ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე ღეჭავდნენ ხის ფისებს, ხოლო მაიას ინდიელები განსაკუთრებულ ცვილებს. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ საღეჭი რეზინის სპონტანური გამომგონებლები ჩვენი წინაპრები იყვნენ.

საღეჭი რეზინის ბაზრისათვის დამახასიათებელია ზედმიწევნით მკაცრი კონკურენცია. იგი დაკავშირებულია უზარმაზარ დანახარჯებთან რეკლამაზე, მერჩანტდაიზინგის სისტემის, სადისტრიბუციო ქსელის მასშტაბურ დაბანდებებთან და ამასთანავე ახალი მარკის პროდუქციის განუწყვეტელ მიწოდებასთან ბაზარზე. რომელიმე კომპანიის მიერ ახალი მარკის აქტიური წინასვლა მყისიერად იწვევს კონკურენტის მხრიდან ადექვატურ რეაქციას. ასეთი კონკურენტების წყვილად შეიძლება დასახელდეს „Dirol White“ და „Ice white“. “Air waves” და “Dirol Arctic Air”, “Orbit” sabavSvo და “Dirol Kids”, “Orbit Fresh Lemon” და “Stimorol Proz lemon Breeze”.

მძაფრი კონკურენციის ბრძოლის პირობებში კომპანია "Dandy"-მ მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით მოიფიქრა კიდევ ერთი ხერხი - შეფუთვის ზომის შემცირება.

დღეისათვის საღეჭი რეზინის ბაზარი ორ სეგმენტად იყოფა: მოზრდილთა საღეჭი რეზინი (Chtwing gum) და „საბავშვო" რბილი საღეჭი რეზინი (Bubble gum); მოზრდილთა სეგმენტში, რომელიც გაყიდვების 80% შეადგენს ფაქტიურად ორი მწარმოებელი მოქმედებს - ამერიკული „Wriglty" (Wrigley orbit) და დანიური Dandy A/S ("Stimorol", "Dirol"). თუ „მოზრდილთა" საღეჭი რეზინის მსოფლიო ბაზარი უკვე დაყოფილია, მათ შორის ევროპა მყარად იმყოფება „Dandy"-ს, ხოლო ამერიკა „Wrigley"-ს ზეგავლენის ქვეშ, მაშინ რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში მათ ძლიერი კონკურენცია აქვთ, სადაც ამ კორპორაციების ნაწარმის გაყიდვის მოცულობები დაახლოებით ერთმანეთის ტოლია, თუმცა თითოეული კომპანია აცხადებს, რომ ბაზრის 60% მას ეკუთვნის. ამ ორი კომპანიის მონოპოლისტის მდგომარეობა განსაზღვრა ბაზარზე შედარებით ადრეულმა შემოსვლამ -„Dandy A/S", გამოჩნდა 1991, ხოლო „Wrigley" -1989წ. პრაქტიკულად ერთდროულად დაიწყეს მათ ადგილობრივი წარმოებაც: 1999 წ. დანიელებმა გაუშვეს წარმოება ნორვეგიაში, ხოლო ამერიკელებმა სანკტ-პეტერბურგში. მწარმოებლების Wrigley-სა და Dandy-ს აქტიური მოღვაწეობის წყალობით საღეჭ რეზინის ამ მარკის სიცოცხლისუნარიანობა დღეისათვის შეადგენს დაახლოებით წელიწადნახევარს, რის შემდეგაც იგი მთლიანად ქრება ბაზრიდან ან იცვლება სხვა, შესაძლოა იმავე საგემოვნო თვისებების, მაგრამ ახალი დიზაინის ნაწარმით. 4-6 თვის განმავლობაში ნებისმიერი სიახლის გაყიდვის მოცულობა აღწევს მის მაქსიმალურ ზღვარს. დაახლოებით 2-3 თვის განმავლობაში გაყიდვა სტაბილურია, შემდგომ კი შეინიშნება საბაზრო წილის თანდათანობითი შემცირება.

ბაზარზე გასაბერი რეზინის (Bubble gum) რაოდენობა გაცილებით სჭარბობს „მოზრდილთა" საღეჭ რეზინს. რბილი საღეჭი რეზინის მოცულობა ბაზარზე 5-ჯერ ნაკლებია. Dandy -მ და „Wrigley"-მ უკვე გამოუშვეს საბავშვო საღეჭი რეზინის თავისუფალი ვარიანტები - "Dirol Kids" და "Orbit children", რომელთაც პოპულარობით დაჩრდილეს კიდეც თურქეთის კომპანია „Anergum"-ის ნაწარმი "Love is".

რბილ საღეჭ რეზინს ბაზარზე წარმოადგენს ესპანური კომპანია Joyce Group (იწარმოება ნორვეგიაში) "Boomer" მარკის მფლობელი.

მოსკოვში აშენებულია Bubble gum – «Меньшевик» (მიეკუთვნება რუსეთის კომპანიას BDL Holding), რომელიც აწარმოებს ტკბილ გასაბერ საღეჭ რეზინს.

Chupa chups-ის კომპანიის ესპანურ საღეჭ რეზინებს ძირითადად რუსული სახელწოდებები აქვთ. საგემოვნო თვისებებით ყველა ზემოთხსენებული საღეჭი რეზინი ერთმანეთისგან არ განსხვავდება, მაგრამ ბავშვებისათვის მიმზიდველი სხვადასვაგვარი გარეგნული სახე აქვთ.

საღეჭი რეზინის სხვა მწარმოებლები პრაქტიკულად ვერ ახდენენ რაიმე ზეგავლენას ამ პროდუქტის ბაზარზე, თუმცა მათი პროდუქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას სავაჭრო ავტომატების შევსებისთვის დრაჟესა და კანფეტების ტიპის წვრილმანი საკონდიტრო ნაწარმის გაყიდვისას. დღეისთვის საღეჭი რეზინის ძირითადი მწარმოებლები არიან ცნობილი კომპანიები სტიმოროლი და ორბიტი.

სამომხმარებლო ბაზარზე საღეჭი რეზინი გამოდის: გულსართით, მის გარეშე, დრაჟესა და სხვადასვა ფორმით - ფილები, ბალიშები, ბურთულები - შეფუთული დაფასოებული და შეუფუთავი. შეფუთვა ხდება ქაღალდის ეტიკეტით, ზოგიერთ შემხთვევაში პარაფინის ქაღალდით, რომელიც მჭიდროდ უნდა ეკვროდეს ფილას და ადვილად სცილდებოდეს. საღეჭ რეზინს აფასოებენ მუყაოს ან გოფრირებულ ყუთებში. რომელსაც უნდა ჰქონდეს ინფორმაციის შემცველი ნიშანდება: პროდუქციის მწარმოებლის, ექსპორტიორის, იმპორტიორის დასახელება და ადგილმდებარეობა, მასა ნეტო-ბრუტო, სასაქონლო ნიშანი, შემადგენლობა, კვებითი ღირებულება, შენახვის პირობები და ვადები, გამოშვების თარიღი, ტექნიკური დოკუმენტაცია, სერტიფიკატი. განსაკუთრებული მოთხოვნები წაეყენება სამკურნალო-პროფილაქტიკური მოქმედების ნაწარმს, რომლის კოლოფზეც დაბეჭდილი უნდა იყოს რეკომენდაციები გამოყენებისათვის, მოხმარების მაქსიმალური დოზა და უკუჩვენებები.

ზოგადად დიაბეტური საკონდიტრო ნაწარმის, კერძოდ საღეჭი რეზინისათვის მითითებული უნდა იყოს 100 გრ. პროდუქტში ქსილიტის, სორბიტის ან სხვა დამატკბობლების საერთო შაქრისა (საქაროზაზე გაანგარიშებით) ქსილიტისა და სორბიტის დღეღამის მოხმარების ნორმები. დიაბეტური ნაწარმის ქვეჯგუფისათვის დამახასიათებელი სიმბოლო, გარდა ამისა წარწერა: „მოიხმარება ექიმის დანიშნულებით", წარწერები „არ გადააგდოთ", „შეინახე მშრალ ადგილას" და სხვა.

სამომხმარებლო ქსელში ნაწარმი მიეწოდება პარტიებით. ყველა საკონდიტრო ნაწარმის, მათ შორის საღეჭი რეზინის ნიშანდება, ტრანსპორტირება ხდება ყველა სატრანსპორტო საშუალებებით საკონდიტრო ნაწარმისათვის შესაბამისი ზოგადი წესების დაცვით. ნაწარმის გადაზიდვა ხდება დახურული სატრანსპორტო საშუალებებით, ტვირთების გადაზიდვის წესების გათვალისწინებით.

საღეჭი რეზინი ინახება მშრალ, სუფთა კარგი ვენტილაციის სათავსოში, სადაც არ შეინიშნება გარეშე სუნი, 18±30$^{C}$ ტემპერატურისა და არა უმეტეს 75% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში, მზის სხივების ზემომქედების გარეშე.

საღეჭი რეზინის შენახვის ვადებია: დრაჟეს ტიპისა 6 თვე, არადრაჟირებულისა - 9 თვე დღიდან დამზადებისა.

საღეჭი რეზინის კონტროლი ხორციელდება ორგანოლეპტიკური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლებით. სხვადასხვა სახის საღეჭი რეზინის ხარისხის

მაჩვენებლები სხვადასხვაგვარია. ანალიზისთვის ხორციელდება სინჯების მომზადება ნიმუშის აღება. ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების მიხედვით იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

გემო და სუნი - ნაწარმის მოცემული სახეობისათვის დამახასიათებელი, მკვეთრად გამოხატული;

კონსისტენცია - კარგი ხარისხის ნაწარმს აქვს პლასტიკური კონსისტენცია, წელვადი და კბილებს არ უნდა ეწებებოდეს.

ზედაპირი -მშრალი

შეფერილობა - ერთგვაროვანი, აღნიშნული ასორტიმენტისათვის დამახასიათებელი.

**ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები**

ტენიანობა - არა უმეტეს 7%-ისა (ასორტიმენტის გათვალისწინებით)

საერთო შაქრების მასური წილი - არა ემეტეს 80%-ისა (საქაროზას მიხედვით)

ნაცრის მასური წილი - მარილმჟავას 10%-იან ხსნარში უხსნადი - არა უმეტეს 6%-ისა.

მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით ტოქსიკოლოგიური და სამკურნალო პროფილაქტიკური მოთხოვნები უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხისადმი ჰიგიენურ მოთხოვნებს და უსაფრთხოების ნორმებს.

საღეჭი რეზინისათვის დადგენილია შემდეგი მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები და ნორმები:

КМАФА და М, КОЕ / გრ, არაუმეტეს - $5 \cdot 10^2$;

მეზოფილური, აერობული და ფაკულტატიურ - ანაერობული მიკროორგანიზმები.

ობის სოსკოები, КОЕ/გრ, არა უმეტეს -5·10;

საფუვრები КОЕ/გრ, არაუმეტეს -5·10;

კოლონიის წარმომქმნელი ერთეული

ნაწლავის ჯგუფის ბაქტერიები - დაუშვებელია;

ჩხირები (კოლიფორმის) 1 სთ-ში

პათოგენური მიკროორგანიზმები,

მათ შორის სალმონელა, 25 გრ-ში -დაუშვებელია.

**რეკომენდაციები, რჩევები, მომხმარებლისათვის - მოვიხმაროთ თუ არა საღეჭი რეზინი**

საღეჭი რეზინის მოხმარება რეკომენდირებულია საკვების მიღების შემდეგ, რადგან ამ დროს მათი როგორც კუჭის წვენის სეკრეციის სტიმულატორის უარყოფითი ზემოქმედება ნეიტრალიზდება.

ისეთი პაციენტებისათვის, რომელთაც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები აღენიშნებათ საღეჭი რეზინის მიღებამ კვებამდე ან კვებათა შორის შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი შედეგები. შესაძლო გართულებათა შორის - დაავადების გამწვავება და პროგრესირება.

საღეჭი რეზინის შერჩევისას საყურადღებოა პროდუქციის მწარმოებელი ფირმის შერჩევა. სოლიდური ფირმები თავიანთი პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების, შემადგენლობის, სისუფთავის გარანტიას იძლევიან.

რასაკვირველია ამ პროდუქციასაც გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები. საღეჭი რეზინის პოზიტიური მოქმედებაა საღეჭი მუსკულატურის ვარჯიში და პირის ღრუს გაწმენდა. მისი ღეჭვისას ხდება ღრძილების სისხლის მიმოქცევის სტიმულაცია. თუმცა საღეჭი რეზინის ბოროტად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტი დატვირთვა კბილებზე და მათზე უარყოფითი ზემოქმედება, რაც დაუშვებელია პარადონტოზის, კბილების რყევის დროს. აღნიშნული დაავადებების მქონე პირებისათვის საღეჭი რეზინის მოხმარება არ არის რეკომენდირებული.

სტომატოლოგები არ ურჩევენ ისეთი საღეჭ რეზინის მოხმარებას, რომელთა შემადგენლობაშიც შედის შაქარი, რაც დაკავშირებულია კარიესის პროვოცირებასთან, ასეთ საღეჭ რეზინს მეტი ზიანის მიყენება შეუძლია ვიდრე სარგებლობისა. ნებისმიერი **საღეჭი რეზინის ღეჭვა შესაძლებელია არა უმეტეს 15 წუთისა, სანამ შენარჩუნებულია საგემოვნო შეგრძნებები.**

უკანასკნელ წლებში ფართო მოხმარება ჰპოვა ისეთმა საღეჭმა რეზინმა, რომლის შემადგენლობაში არიან შაქრის შემცვლელები, ფტორიდები და სხვა ნივთიერებანი, რომლითაც აქვს ანტიკარიესული მოქმედება. ასეთი საშუალებების მოხმარება არამც თუ უსაფრთხოა პირის ღრუს ორგანოებისათვის არამედ მეტად სასარგებლოა აღნიშნული დანამატების პროფილაქტიკური ზემოქმედების გამო.

**სტომატოლოგების აზრით,** თუ თქვენი ბავშვი ღეჭავს მაღალი ხარისხის კარგად ცნობილი ფირმების რეზინს შაქრის შემცვლელებით არარეგულარულად, არამედ როგორც მიღებულია კვების შემდეგ 3-ჯერ დღეში - ეს კიდევ არაფერს ნიშნავს. კბილის ჯაგრისს არაფერი არ ცვლის!

აუცილებელია გვახსოვდეს მარტივი წესი: საღეჭი რეზინი სასარგებლოა მხოლოდ პირველი 5-10 წუთი კვების შემდეგ. დაუსრულებელი ღეჭვა გარდაიქმნება მავნე ჩვევად, ამასთანავე, ბავშვები გამუდმებით იღებენ პირიდან რეზინს და შემდეგ კვლავ განაგრძობენ ღეჭვას, ან რაც კატეგორიულად დაუშვებელია ერთმანეთს აწოდებენ, ეს ყოველივე კი იწვევს სავალალო შედეგებს - სტომატიტებს სხვადასხვა ხარისხით, გარდა ამისა პლომბის არსებობის შემთხვევაში კბილის დაზიანებებს.

**გასტროენტეროლოგების აზრით** - კვებამდე საღეჭი რეზინის ღეჭვისა და მისი ხანგრძლივი მოხმარებისას მთელი დღის განმავლობაში გამოიყოფა კუჭის წვენი, რომელიც საკვების არ არსებობისას აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს და ზოგიერთ შემხთვევაში იწვევს გასტრიტსაც. ბავშვებს, რომელთაც აღნიშნული დაავადება აქვთ საღეჭი რეზინის მოხმარება კატეგორიულად ეკრძალებათ.

**საკვები ალერგიებისადმი მიდრეკილი ბავშვებისთვის** დაუშვებელია არომატიზირებული და მღებავი ნივთიერებების შემცველი ნაწარმი როგორი „უვნებელიც“ არ უნდა იყოს იგი. ბავშვს შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რჩევა: საღეჭი რეზინის მუდმივი მოხმარება სერიოზული პრობლემებს აჩენს მეტყველების ჩამოყალიბებაზე და აგრეთვე ნევროპათოლოგის აზრით, ზრდის საღეჭი კუნთების ტონუსს, რაც იწვევს კბილების ჭრიალს და როგორც შედეგი ცუდ ღამის ძილს.

### საინტერესო ფაქტები, კურიოზები

1. დიდ ბრიტანეთში უდიდეს პრობლემას წარმოადგენს მიწებებული საღეჭი რეზინით დანაგვიანებული ზედაპირის გაწმენდა და ქვეყანას იგი 300 მლნ დოლარი უჯდება ყოველწლიურად გვაუწყებს New Scientist.

ბრისტოლის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა შექმნეს საღეჭი რეზინი, რომელიც არ ეწებებეა მშრალ ზედაპირს, ისეთს როგორიცაა ბეტონი. მეტიც, ასეთი რეზინი წყლიან არეში რამოდენიმე თვეში იხრწნება და ქრება.

ტექნოლოგიის საიდუმლო - განსაკუთრებული ინგრედიენტის ღევ-7-ის გამოყენება, რომელიც ორი კომპონენტის ნაერთს წარმოადგენს. ერთი წყალს განდევნის, მეორე კი პირიქით მისკენ „მიილტვის“. ღეჭვისას მეორე კომპონენტი პირის ღრუში თანდათან გადადგილდება პერიფერიისკენ, რაც ხელს უშლის საღეჭი რეზინის მიწებებას.

2. საღეჭი რეზინის გაბერვისაგან ყველაზე დიდი ბუშტი დაფისქირდა 1994 წლის ივლისში, ნიუ-იორკში, სატელევიზიო სტუდიაში "ABC". იგი გაბერა სიუზენ მანტჰომერიმ აშშ-დან ბუშტის დიამეტრი შეადგენდა 58,5 სმ (ეს არის დაახლოებით საშუალო აღნაგობის მოზრდილი მამაკაცის ბეჭის ზომა), თავისი რეკორდისათვის სიუზენ მანტჰომერიმ გამოიყენა იაპონური საღეჭი რეზინი „marukava“.

ამერიკის ყველაზე მსხვილ მაღაზიათა ქსელში „Wal-Mart“-ის სუპერმარკეტებში „Ceving-gam“-ის დაბადების დღეს აღნიშნავენ შეჯიბრებით ყველაზე დიდი ბუშტის გაბერვაში. მონაწილეები იმედოვნებდნენ, რომ მოხსნიდნენ 1994 წლის რეკორდს, რომელიც შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში: „მხოლოდ სამი საღეჭი რეზინის ბალიშის გამოყენებით მან გაბერა 58 სმ-ის დიამეტრის რეზინის ბუშტი. ეს რეკორდი მიეკუთვნება სიუზენ მანტჰომერი ვილიამსს - გოგონას ფრენსოდან კალიფორნია“.

დღეისათვის ის ითვლება ბუშტების გაბერვის აღიარებულ ექსპერტად იგი გვირჩევს: ვაკონტროლოთ ტემპერატურა შენობაში, სადაც მიმდინარეობს ექსპერიმენტი, არ გამოვიყენოთ ძლიერ არომატიზირებული - „რეზინები, დავღეჭოთ ბალიშები შაქრის გაქრობამდე და სახეზე წავისვათ ცხიმიანი ლოსიონი, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ უსაფრთხოება, ვინაიდან ბუშტის გახეთქვა გარდაუვალია.

3. გაზეთებში მოჰყავთ მანტჰომერი ვილიამსის რჩევები, აქვეყნებენ ისტორიულ ცნობებს და კურიოზულ სიახლეებს. ყველაზე პოპულარული ცნობა ამერიკელებისათვის, რომლებიც გამუდმებით ებრძვიან ზედმეტ წონას გახდა იმის მტკიცება, რომ რეზინის ღეჭვის პროცესში იწვება საათში 11 კალორია. დღეისათვის გაყიდვაშია ერთ შეფუთვაში 20 და 10 კალორიიის შემცველი უშაქრო საღეჭი რეზინები. ექსპერტების განცხადებით დღეში 1 საათი აქტიური ღეჭვა გვეხმარება წელიწადში დავიკლოთ 5 კგ.

4. აშშ-ში „რეზინის ზეიმების“ წლის დროს ხდება ფილმების დემონსტრირება, სადაც არის წარმატებული ეპიზოდები „babl-gam“-ის გამოყენებით, ტურისტებს ეძლევათ რეკომენდაციები. ყველაზე საინტერესოა მოსანახულებლად კალიფორნიაში, ქ. სან ლუი ობისპოში Bubble Gum Allee, სადაც 60-იანი წლებიდან ხეივნის გასწვრივ აშენებულია კედელი, რომელზედაც ტურისტები აწებებენ საღეჭ რეზინს.

5. ამერიკის შეერთებული შტატები აღნიშნავენ „babl-gam“-ის დაბადების დღეებს. საღეჭი რეზინი ზეიმობს - მის დაბადების დღეს და აშშ-ში მას მიაგებენ პატივს, ატარებენ გაზეთებში გამოკითხვას და სუპერმარკეტებში შეჯიბრებებს „საუკეესეთო საღეჭი რეზინის“ გამოსავლენად.

6. საღეჭი რეზინის პოპულარობა გამუდმებით მატულობს: სამხრეთ ამერიკაში ბავშვები საღეჭ რეზინზე წელიწადში ხარჯავენ ნახევარ მილიარდ დოლარს. მათ არ ჩამორჩებიან მოზარდები მთელს მსოფლიოში. მხოლოდ აშშ-ში დაახლოებით ათასი სახის საღეჭი რეზინია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. С. М. Малютенькова «Товароведение и экспертиза кондитерских товаров». Москва. Санкт-Петербург. 2004 г. 479 стр.

2. ვებ-გვერდი - ჩეორგიან ბრენდ.გე

3. Родина, Т.Г. Николаева М. А и др. Справочник по товароведению продовольственных товаров - М..: Колос - 2003.

## Summary

*M. Tsulukidze*

**The Consumer Features, Medical-Prophylactic Purposes, and Examination of ChewingGum**

A chewing gum is considered as a foodstuff. It belongs to the group of confectionery. The article contains: positive and negative sides of the product, its nutrition value, medical-prophylactic purposes, the history of emergence, composition, rules of consumption, assortment, ways and periods of storage, container and packing materials, transportation, and control.

In the end of the article, there are provided recommendations and tips for the product consumption, interesting facts and curiosities regarding.

# 40 АГФТ ფოლადის კვლევა

***ვასილ კოპალეიშვილი,*** *სრული პროფესორი*
***ირაკლი აბდუშელიშვილი,*** *სტუ-ს დოქტორანტი*
***იური კვირიკაძე,*** *სრული პროფესორი*
***ლევან კოტიაშვილი,*** *აკადემიური დოქტორი*
***ირაკლი ქაშაკაშვილი,*** *სრული პროფესორი*

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა უწყვეტად სხმული მილნამზადისაგან სანავთობე სორტამენტის უნაკერო, მაღალი სიმტკიცის მილების საწარმოებლად განკუთვნილი 40АГФТ ტიპის ფოლადის კვლევა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათა თვისებების სასწავლო-სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ (ადრე — „მასალათა თვისებების ლაბორატორია“) და სამსხმელო წარმოებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების მიმართულების თანამშრომლების მიერ საკუთარი და რუსთაველი მეტალურგების მრავალწლიანი კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულია 40АГФТ ტიპის ფოლადის ქიმიური შედგენილობა (ცხრილი 1).

ცხრილი 1. 40АГФТ ტიპის ფოლადის ქიმიური შედგენილობა

| ქიმიური ელემენტების შემცველობა მასურ %-ებში | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| C | Si | Mn | V | Ti | N | Al | Ca≈ | S≤ | P≤ |
| 0,36-0,44 | 0,25-0,40 | 1,30-1,50 | 0,01-0,14 | 0,01-0,025 | 0,007-0,01 | 0,025-0,035 | 0,005-0,01 | 0,02 | 0,02 |

ჩვენ მიერ შემუშავებული 40АГФТ ტიპის ფოლადის ორი ასტონიანი დნობა (ცხრილი 2) გამოდნობილ იქნა ელექტრორკალურ ღუმელში რუსეთის ქ. ვოლგოგრადის მეტალურგიულ ქარხანაში “წითელი ოქტომბერი”. ორივე დნობამ გაიარა ღუმელგარე დამუშავება ციცხვღუმელში და უწყვეტად იქნა ჩამოსხმული მრგვალი მილნამზადები დიამეტრით Ø110mm, რომელთაგანაც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აგრეგატ “140-ზე” გაიგლინა სანავთობე სორტამენტის სატუმბო-საკომპრესორო მილები ზომებით Ø73x5,5მმ და Ø89x13მმ. Ø89x13მმ ზომების მილებისაგან დამზადდა შესაბამისი ქუროები. გამოკვლეული იქნა მილის, ქურისა და მილნამზადის ლითონი.

ცხრილი 2. ვოლგოგრადის მეტალურგიულ ქარხანაში გადმოდნობილი 40АГФТ ფოლადის ქიმიური შედგენილობა

| დნობის № | ელემენტების შემცველობა, მასურ %-ებში | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | C | Si | Mn | S | P | V | Al | Ti | Ca | N |
| 253246 | 0,39 | 0,36 | 1,40 | 0,018 | 0,012 | 0,10 | 0,034 | 0,014 | 0,012 | 0,009 |
| 253247 | 0,40 | 0,33 | 1,36 | 0,016 | 0,017 | 0,08 | 0,029 | 0,015 | 0,017 | 0,014 |

## საკვლევი ფოლადის მექანიკური თვისებები

**გამოცდები გაჭიმვაზე** ჩავატარეთ სტანდარტის [1] შესაბამისად FPZ-100 მარკის გამომცდელი მანქანისა და რევერსორის გამოყენებით III ტიპის ხუთჯერად ცილინდრულ (ჰანტელის ფორმის) ნიმუშებზე ნომინალური დიამეტრებით 3 მმ და 6 მმ. გაჭიმვის პროცესი ხორციელდებოდა 3 მმ/წთ სიჩქარით გაჭიმვის მრუდის ჩაწერით. ვსაზღვრავდით დენადობისა და სიმტკიცის ზღვრებს, ფარდობით წაგრძელებასა და შევიწროებას მათ შემდგენებთან ერთად, რისთვისაც გამოვიყენეთ სათანადო მეთოდიკა [2]. თითოეული პოზიციისათვის ვცდიდით 3 ნიმუშს და შემდეგ ვანგარიშობდით დასადგენი სიდიდეების საშუალო არითმეტიკულ მნიშვნელობებს.

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, ცხლადგლინული ფოლადი 40АГФТ, ქიმიური შედგენილობის ქვედა ზღვარზე (დნობა №253246), სიმტკიცისა და პლასტიკურობის მაჩვენებლებით სრულად პასუხობს უნაკერო სანავთობე მილებზე სიმტკიცის M ჯგუფის მოთხოვნებს [3,4]: სიმტკიცის ზღვარი σs=1030ნ/მმ$^2$; დენადობის პირობითი ზღვარი σ0,2=750ნ/მმ$^2$; ფარდობითი წაგრძელება (შემდგენებით) δ5=13,5%=6,9%+6,6%; ფარდობითი შევიწროება Ψ=54%=7%+47% (შემდგენებით).

**გამოცდები სისალეზე** ჩავატარეთ სტანდარტის [5] შესაბამისად ТБ 5004 მარკის ბრინელის სისალის მზომით. სისალის მნიშვნელობებს ვიწერდით ანაბეჭდის გაზომილი დიამეტრის შესაბამისად ზემომითითებული სტანდარტის ცხრილებიდან. თითოეულ ნიმუშზე ვზომავდით 3-5 ანაბეჭდს და ვანგარიშობდით სისალის საშუალო არითმეტიკულ მნიშვნელობას.

ცხრილი 3. 40АГФТ ფოლადის მექანიკური თვისებები სხვადასხვა დამუშავების შემდეგ

| დნობის № და ნაკეთობა | დამუშავება | მექანიკურ თვისებათა მაჩვენებლები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | $\sigma_{0,2}$, ნ/მმ² | $\sigma_b$, ნ/მმ² | $\delta_5=\delta_1+\delta_2$, % | $\Psi=\Psi_1+\Psi_2$, % |
| 253246 მილი Ø73x5,5მმ | ცხლადგლინული | 750 | 1030 | 13,5=6,9+6,6 | 54=7+47 |
| | ცხ.გ+ნორმალიზაცია 900ºC (ნ900ºC) | 690 | 950 | 11,4=6,0+5,4 | 53=6+47 |
| | ცხ.გ+ნ9000C+მოშვება 6000C | 650 | 870 | 14,5=7,9+6,6 | 52=7+45 |
| | ცხ.გ+მოშ.6000C | 640 | 950 | 14,2=7,2+7,0 | 62=7+55 |
| 253247 მილნამზადი | ცხლადგლინული | 630 | 920 | 15=6,5+8,5 | 62=6+56 |
| 253247 ქურო Ø89x13მმ | ცხლადგლინული | 600 | 900 | 15=8,0+7,0 | 61=8+53 |

სისალის ბრინელის HB სტანდარტის [4] მოთხოვნათა გათვალისწინებით, გადაგვყავდა ვიკერსის HV ერთეულებში ცნობარით [6].

ცხლადგლინული (კონტროლირებული გლინვის შემდეგ) 40АГФТ ფოლადის მექანიკურ თვისებათა ფორმირების საერთო კანონზომიერებას აგრეთვე კარგად ეთანადება სხვადასხვა რეჟიმით თერმულად დამუშავებული ქუროს მასალის (დნობა №253247) სისალეზე გამოცდების შედეგები (ცხრილი 4).

ცხრილი 4. 40АГФТ ფოლადის სისალე სხვადასხვა დამუშავების შემდეგ

| დამუშავების სახე | სისალე | |
|---|---|---|
| | HB | HV |
| ცხლადგლინული | 269 | 270 |
| ცხლადგლინული+ნორმალიზაცია 900ºC | 255 | 255 |
| ცხლადგლინული+ნორმალიზაცია 900ºC+მოშვება 600ºC | 241 | 240 |
| ცხლადგლინული+მოშვება 600ºC | 208 | 209 |

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, სისალის მნიშვნელობები საკმაოდ მაღალია (209-255 HV) ფოლადის სხვადასხვაგვარი თერმული დამუშავების შემდეგაც, მაგრამ მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით მაღალია ცხლადგლინულ მდგომარეობაში (270 HV), რაც დაკავშირებული უნდა იყოს ცხელი პლასტიკური დეფორმაციების პროცესში ფოლადში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებთან, განმტკიცების პროცესებთან, ფერიტისა და პერლიტში აუსტენიტიდან მემკვიდრეობით მიღებულ დეფექტებთან და ა. შ. აღსანიშნავია, რომ სისალის მნიშვნელობები შეესაბამება სტანდარტის [4] მოთხოვნებს.

**გამოცდები ბზარმედეგობაზე ჩავატარეთ J**-ინტეგრალის მეთოდით [7] ჩვენ მიერ შერჩეული ზომების (7x14x130მმ) და 4მმ სიღრმის მახვილი ჩანაჭრის მქონე პრიზმატული ნიმუშების გამოყენებით. თითოეულ პოზიციაზე ვცდიდით 5-6 ნიმუშს. მიღებული მონაცემები დამუშავებული იქნა კომპიუტერში "Microsoft XL" პროგრამით, რომლითაც შერჩეული იქნა ექსპერიმენტულ წერტილებზე გამავალი კორელაციური მრუდების საუკეთესოდ მააპროქსიმირებელი (ჩვენი მონაცემებისათვის — ექსპონენციალური) ფუნქციები და მათი შესაბამისი განტოლებები როგორც მილნამზადის ცხლადგლინული (კონტროლირებულად გაგლინული), ისე ცხელი (კონტროლირებული) გლინვის შემდეგ ნორმალიზებული მასალისთვის. ამ განტოლებებში x არის ბზარის ნაზრდი, ხოლო y – $J_I$-ინტეგრალი. ცხლადგლინული მასალისათვის $y=147,29e^{0,3345x}$ და $R^2=0,8918$. ცხელი გლინვის შემდეგ ნორმალიზებული მასალისთვის $y=107,96e^{0,3688x}$ და $R^2=0,9857$, სადაც $R^2$ არის აპროქსიმაციის უტყუარობის სიდიდე (საზომი). შერჩეული განტოლებებით ბზარის ნულოვანი ნაზრდებისათვის (x=0) ვიანგარიშეთ y ანუ $J^I$-ინტეგრალების $J_C$ კრიტიკული მნიშვნელობები. მათი შემოწმების შემდეგ დადგენილი იქნა, რომ ისინი აკმაყოფილებს სათანადო პირობებს და ამდენად, 40АГФТ ფოლადის მილნამზადის ცხლადგლინული მასალისთვისაც ($J_{IC}$=147 ნ/მმ) და ცხელი გლინვის შემდეგ ნორმალიზებული მასალისთვისაც ($J_{IC}$=108 ნ/მმ) ისინია ბზარმედეგობის მაჩვენებლები $J_{IC}$.

### ჩვენი დასკვნა ასეთია:

40АГФТ ფოლადის ქიმიური შედგენილობა კარგად არის შერჩეული. იგი საშუალებას იძლევა მილების გლინვის პროცესში კონტროლირებული გლინვის ეფექტებმა განაპირობოს სატუმბო-საკომპრესორო მილების მექანიკურ თვისებათა მაღალი კომპლექსი.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ГОСТ 1497–84. Металлы. Методы испытаний на растяжение.
2. კოპალეიშვილი ვ., ქაშაკაშვილი ი., კოტიაშვილი ლ., ლოლაძე თ. პლასტიკურობის მაჩვენებლების შემდგენების განსაზღვრა ცილინდრული ნიმუშის გაჭიმვაზე გამოცდისას. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. 2006. №2. გვ. 84-88.
3. ГОСТ 633–80. Трубы насосно-компессорные и муфты к ним. Технические условия.
4. ГОСТ Р 52203–2004. Трубы насосно-компессорные и муфты к ним. Технические условия.
5. ГОСТ 9012–59. Металлы. Метод измерения твердости по Бринеллю.
6. Металловедение и термическая обработка стали. Справочник. Т.1 / Под ред. Берштейна М.Л., Рахштадта А.Г. М.: Металлургия, 1989.–С. 201.
7. კოტიაშვილი ლ. მცირედლეგირებული

ფოლადის საკონსტრუქციო სიმტკიცის შეფასება ბზარმედეგობის გათვალისწინებით. დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 2008. გვ. 114-119.

**რეზიუმე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათა თვისებების სასწავლო-სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ და „სამსხმელო წარმოებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების მიმართულების (კათედრის)“ თანამშრომლების მიერ შემუშავებულია უწყვეტად სხმული მილნამზადისგან სანავთობე სორტამენტის უნაკერო, მაღალი სიმტკიცის მილების საწარმოებლად განკუთვნილი 40АГФТ ფოლადი და გამოკვლეულია სხვადასხვა დამუშავების გავლენა მის მექანიკურ თვისებებზე, მათ შორის — ბზარმედეგობაზე.

**Summary**

*V. Kopaleishvili*
*I. Abdushelishvili*
*I. Kvirikadze*
*L. Kotiashvili*
*I. Kashakashvili*

**Investigation of 40NMnVTi steel**

Employees of “Educational-scientific-research Center of properties of materials” and “Chair of foundry and new technological processes” of Georgian Technical University developed 40NMnVTi steel designed to produce high-strength seamless oil pipes from continuous casting billets and investigated the effect of different treatments on its mechanical properties, including – cracking resistance.

# ფარმაცევტული ბიზნესის რენტაბელობის განმსაზღვრელი ფაქტორები

*მანანა მარიდაშვილი,*
*სტუ-ს დოქტორანტი*

კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ ფარმაცევტული ბიზნესის მაღალი მოგების შესახებ, რაც ეკონომიკის საშუალო მოგებას ბევრად აღემატება. მედია საშუალებები ხშირად ადანაშაულებენ ფარმაცევტულ ფირმებს იმაში, რომ ისინი უფრო მეტ ძალისხმევას სდებენ მარკეტინგში, ვიდრე მეცნიერულ კვლევებში და რომ ისინი თავინთ მოგებას უნდა უმადლოდნენ მცირედ მოდიფიცერებული და არა ინოვაციური მედიკამენტების წარმოება-გაყიდვას. ინდუსტრიას ასევე ადანაშაულებენ წამლების ფასების ზრდაში, ძვირ, აგრესიულ და დეზინფორმაციულ სამომხმარებლო სარეკლამო კამპანიების წარმოებაში, აგრეთვე ექიმების მოსყიდვაში (The Economist, 2008, N 17).

გრაფიკი 1.
**მსოფლიოს 500 ყველაზე მდიდარი ფარმაცევტული კომპანიისა და 500 ყველაზე მდიდარი კომპანიისა მომგებიანობა**
(1978-2012)
წყარო: Public Citizen (20013)




გრაფიკი 1 გვიჩვენებს, რომ ფარმაცევტული ფირმების მომგებიანობა სხვა ინდუსტრიების მოგების საშუალო მაჩვენებელზე მაღალია.

ფარმაცევტული ფირმები თავს იმართლებენ იმ არგუმენტით, რომ მედიკამენტების მაღალი ფასები მხოლოდ საბაზრო ძალაუფლებით არ არის განპირობებული, არამედ ისინი გამოწვეულია ტექნოლოგიური განვითარების ფონზე გაზრდილი მუდმივი დანახარჯებით. მათი აზრით ფასების ზრდას რეცეპტურულ წამლებზე რეკლამის შეზღუდვის პოლიტიკაც იწვევს, ვინაიდან პაციენტებსა და ექიმებს ინფორმაცია შეზღუდვით მიეწოდებათ (Comanor and Wilson, 1979).

თუმცა, სანამ მკაცრ განაჩენს გამოვიტანდეთ, მიზანშეწონილი და აუცილებელია ამ ფენომენის ეკონომიკური გაგება, ამ მიზნით ჩავატაროთ ფარმაცევტული ბიზნესის ანალიზი წამლის სექტორში, განვიხილოთ შემდეგ საკითხები: ფარმაცევტული ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების ძირითადი პირობები; ძალები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკურენციაზე და მაშასადამე, მომგებიანობაზე; რამდენიმე ფირმის სტრატეგია, რომელსაც ისინი მიმართავდნენ წარსულში გენერიკული კომპანიების ხელისშეშლის მიზნით; ინდუსტრიის ფუნქციონირება ინოვაციურობისა და მომგებიანობის თვალსაზრისით.

**მოთხოვნისა და მიწოდების პირობები.მოთხოვნა ფარმაცევტულ პროდუქტზე.**

ტიპური ბაზრისაგან განსხვავებით ფარმაცევტული ბაზრის მოთხოვნის მხარე შედგება სამი სხვადასხვა ნაწილისაგან, როგორიცაა მომხმარებელები (პაციენტები), გადაწყვეტილების მიმღებნი (ექიმები) და მოთამაშეები (სადაზღვევო კომპანიები). ეს განცალკევება ასუსტებს ფასის, როგორც ღირებულების მაჩვენებლის ფუნქციონირებას. პაციენტებს აქვთ მწირი ინფორმაცია მედიკამენტების შესახებ, ექიმები კი დანიშნულების მიცემის დროს ძირითადად ფიქრობენ წამლის ხარისხზე და არა მათ ფასზე. ფარმაცევტული ფირმების მიერ მოწოდებული ინფორმაცია წამლის პრომოციისა და რეკლამის სახით მოქმედებს, როგორც ექიმებზე ასევე პაციენტებზე. ამას გარდა, მედიკამენტების ღირებულების დიდი ნაწილი იფარება სადაზღვევო კომპანიების მიერ, რაც აგრეთვე ხელს უწყობს იმას, რომ ფასის მიმართ დიდ მგრძნობელობას ვერ ავლენენ პაციენტები და ექიმები. ეს არაელასტიური მოთხოვნა ხშირად ასოცირდება ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა პროდუქციაზე გადაჭარბებული ფასწარმოქმნა, რომელიც მარგინალურ ღირებულებაზე ბევრად მაღალია; რესურსების არასწორი გადანაწილება და მცირე სარგებელი საზოგადოებისათვის (Craig and Malek, 1995).

**ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდება.**

მიზეზი საზოგადოების შეშფოთებისა, რომელიც ფარმაცევტულ ინდუსტრიაში მაღალი მომგებიანობითაა გამოწვეული, არის დიდი განსხვავება მედიკამენტების თვითღირებულებასა და ფასს შორის. მედიკამენტის ღირებულება შედგება ორი ნაწილისაგან: დამზადებისა და განვითარების ღირებულება. მაშინ როდესაც ერთი დამატებითი ფლაკონის წარმოების ღირებულება ძალიან მცირეა, ახალი წამლის შესაქმნელად სამეცნიერო კვლევებზე გაწეული ხარჯები უკიდურესად მაღალია. ამრიგად, როგორც წესი, სამკურნალო საშუალების ფასი გაცილებით მაღალია, ვიდრე მედიკამენტის დამატებითი ერთი ერთეულის დამზადების ღირებულება, ვინაიდან ფირმა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მიღებუ-

ლი შემოსავალი დაფარავს სამეცნიერო კვლევების მაღალ ფიქსირებულ ფასებს . შედარებით მაღალი ფასების დაწესების შესაძლებლობას იძლევა პატენტით დაცული განსაზღვრული პერიოდი, რაც სტიმულს აძლევს ფირმებს, რომ ინვესტირება მოახდინონ სამეცნიერო კვლევებში. ამ კეთილშობილური მიზნის მიუხედავად, პატენტების სისტემას ხშირად შევყავართ კონფლიქტში საზოგადოების კეთილდღეობასთან. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს ის შავი ხვრელები, რომლებსაც პატენტი შეიცავს და რომლებიც არაკეთილსინისიერად შეიძლება იქნეს გამოყენებული ფირმები მიერ.

აშშ კონგრესის საბიუჯეტო ოფისის (CBO) კვლევა ამტკიცებს, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე პატენტის მოპოვება არ არის მონოპოლისტური მდგომარეობის გარანტია. ამის მიზეზი შეიძლება იყოს იმავე თერაპიულ ბაზარზე სხვა ბრენდების არსებობა (CBO, 1998, 2006).).

**ძალები, რომლებიც ფარმაცევტულ ბაზარზე მომგებიანობას განაპირობებენ.**

ძალები, რომლებიც განაპირობებენ მომგებიანობას ფარმაცევტულ ბაზარზე ხუთი ელემენტისაგან შედგება: შიდა მეტოქეობა, შესვლის ბარიერი, შემცვლელები და შემავსებლები, მიმწოდებლისა და მყიდველის ძალაუფლება.

შიდა მეტოქეობა გულისხმობს კონკურენტუნარიანობის ხარისხს ინდუსტრიაში, რაზედაც გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფასთან დაკავშირებული და ფასთან დაუკავშირებელი კონკურენცია, საბაზრო კონცენტრაცია, პოტენციური მოთხოვნა და პროდუქტის ჰომოგენურობის ხარისხი ბაზარზე. ბაზარზე შესვლის ბარიერი მოიცავს ბაზარზე შესვლის სირთულის ხარისხს ახალ მოთამაშეთათვის, რაც ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ბრენდის მიმართ ერთგულება, მასშტაბის ეკონომია, პატენტის სისტემები, ძველი მოთამაშეების ქცევა ახალ შემსვლელთა მიმართ. შემცვლელებისა და შემავსებლების ანალიზი განიხილავს, თუ ინდუსტრიის გარედან მოწოდებული პროდუქტისა და ტექნოლოგიების რა მოცულობა უქმნის საფრთხეს იდუსტრიის მომგებიანობას. მიმწოდებლისა და მყიდველის ძალაუფლება შეეხება მიმწოდებლის ან მყიდველის უნარს ივაჭროს ფასზე, როდესაც ისინი გარიგებას დებენ ფარმაცევტულ კომპანიებთან (Besanko, Dranove and Shanley, 2007).

**შიდა მეტოქეობა**

შიდა მეტოქეობის ძალა მაღალია, როდესაც ფირმები შედარებით ბევრია, პროდუქტი აღიქმება როგორც ჰომოგენური, მომხმარებელს აქვს ამომწურავი ინფორმაცია და სხვა პროდუქტზე გადართვის ხარჯი ნულის ტოლია. არსებულ ფარმაცევტულ ფირმებს ძირითადად შიდა მეტოქეობის დაბალი ხარისხი გააჩნიათ. ფარმაცევტული ბაზარი დაბალი საბაზრო კონცენტრაციით გამოირჩევა და მასში დომინირებს რამდენიმე წამყვანი ფირმა, რომლებსაც თავის მხრივ მაღალდიფერენცირებული სამკურნალო საშუალება–პროდუქტი გააჩნიათ. ამას გარდა, ავადმყოფებიც და ექიმებიც არ ცვლიან წამლებს ადვილად, მაშინაც კი, როდესაც ბაზარზე უფრო იაფი ალტერნატივა გამოჩნდება (Coscelli, 2000).

ინოვაციურ წამლებთან მიმართებაში კონკურენციის მამოძრავებელი ძალა ხშირად ტექნოლოგიურ მიღწევებია, ხოლო გენერიკული კონკურენტები იბრძვიან საფასო პოლიტიკით. გენერიკული ვერსია შეიძლება 80%-ით და უფრო იაფიც კი იყოს მის ორიგინალ ბრენდ კონკურენტთან შედარებით. თუმცა, როგორც უკვე ვახსენეთ, ფასზე დამყარებული კონკურენცია შედარებით ნაკლებ საფრთხეს შეიცავს. მიუხედავად ამისა, გენერიკული წამლების არსებობა ბაზარზე განაპირობებს შედარებით დაბალ საშუალო ფასებს, ფასების ეს შემცირება ხშირად მხოლოდ გენერიკების ბაზარზე აღინიშნება. ხშირად, ბრენდ კონკურენტს ჯერ კიდევ აქვს უნარი შეინარჩუნოს ბევრად უფრო მაღალია ფასი მაშინაც კი როდესაც გენერიკული ალტერნატივები ხელმისაწვდომია ბაზარზე (Griliches and Cockburn, 1994; Frank and Salkever, 1997).

მიუხედავად იმისა, რომ ფასების სტრატეგია შედარებით არაეფექტურია, ინოვაციური კომპანიები მას იყენებენ, თუმცა ისინი, როგორც წესი, შერწყმულია სხვა სტრატეგიებთან, როგორიცაა რეკლამა და პროდუქტის დიფერენციაცია. ინდუსტრიაში მოგების კიდევ ერთი წყაროა ფარმაცევტული პროდუქტის არაჰომოგენური ბუნება. ფარმაცევტული პროდუქტები შეიძლება დიფერენცირენულ იქნას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ესენია ახალი ჩვენება, ახალი დოზირება, ახალი კომბინაცია, ახალი ფორმულა და ა.შ. დიფერენციაციის სტიმული დიდია, ვინაიდან უკვე არსებული პროდუქტის ახალი ვერსიის შექმნა არა მხოლოდ აძლიერებს შესვლის ბარიერს, არამედ მას შეუძლია მოიპოვოს მარკეტინგული ექსკლუზიურობაც კი.

ფარმაცევტული ბაზრებზე არსებობს ოპტიმისტური მოლოდინი მოგებასთან დაკავშირებით, ვინაიდან წამლებზე მოთხოვნა მზარდია. მსოფლიოს ყოველთვის ექნება ჯანდაცვის საჭიროება და სულ უფრო მეტად იზრდება განვითარებული ქვეყნების მოსახლეობაში ხანდაზმულთა წილი, ხოლო განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა სწრაფი ტემპით იზრდება (The Economist, 2007). დგება რა მაღალი პოტენციური მოთხოვნის პირისპირ, რეკლამირებას აქვს ფრიად მნიშვნელოვანი როლი, განსაკუთრებით წამლის გარკვეული კატეგორიისათვის. მაგალითად, ინტენსიურმა პირდაპირმა რეკლამამ ისეთ შედარებით ახალ ბაზრებზე, როგორიცაა საძილე საშუალებებისა და ერექციული დისფუნქციის ბაზრები, მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა ფარმაცევტულ ფირმებს (Gebhart, 2006).

**შესვლის ბარიერი**

ახალ მეწარმეთათვის, რომლებსაც ახალი ინოვაციური სამკურნალო საშუალებების წარმოება აქვთ გამიზნული, შესვლის ბარიერები ბევრად უფრო რთული გადასალახია, ვიდრე უკვე პოზიციაგამყარებულ ფირმებისათვის.

სამეცნიერო კვლევების ძალიან მაღალი ხარჯები უკიდურესად ართულებს ბაზარზე შესვლას. უახლესი მონაცემებით, ახალი პროდუქტის განვითარების ღირებულება დაახლოებით 800 მილიონი აშშ დოლარის ტოლია (DiMasi, Hansen, and Grabowski, 2003). სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების მაღალ ღირებულებას შეუძლია შეაფერხოს სამკურნალო საშუალების ბაზარზე შესვლა მინიმუმ სამი მექანიზმის მეშვეობით; მას შეუძლია შექმნას მასშტაბის ეკონომია, წარმოქმნილი გაზიარებული მუდმივი ხარჯებისაგან; მას შეუძლია შექმნას მოქმედების სფეროს ეკონომია, წარმოქმნილი ფირმის შიგნით არსებული გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე მიღებული შესაძლებლობებით, იგი აუმჯობესებს შინაგანი და გარეგანი ზედმეტი ნაკადების შთანთქმის შესაძლებლობას (Henderson and Cockburn,1994).

გარდა ამისა, არსებული ფირმების სარეკლამო კამპანიები და ე.წ. ცოდნის და გამოცდილების ეფექტი ასევე უქმნიან ბარიერს ახალბედებს. რეკლამის ეფექტი არ მუშაობს მხოლოდ ახლანდელ დროში, არამედ ახალბედებმა უნდა გაითვალისწინონ რეკლამის აკუმულირებული ეფექტი (Waldman and Jensen, 2001). ეს საფრთხე განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან ფარმაცევტულმა ფირმებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს თავიანთი მარკეტინგული ხარჯები ბოლო წლების განმავლობაში. ამას გარდა, ტექნოლოგიურმა მიღწევებმა დიდი წვლილი შეიტანეს ფირმების განვითარებაში. მაგალითად, დღესდღეობით, მკვლევარს შეუძლია აწარმოოს ათასობით ნაერთი წელიწადში. შედარებისათვის, 15 წლის წინ მას მხოლოდ 50-100 ახალი ნაერთის წარმოება შეეძლო წელიწადში (Public Citizen, 2001). გარდა ამისა, სკრინინგის ტექნოლოგის გაუმჯობესებამ გაზარდა სიჩქარე, რომლითაც ნაერთები შეიძლება შემოწმდეს ყველაზე პერსპექტიულ მოლეკულების გამოვლენისათვის (Public Citizen, 2001).

ბაზარზე გენერიკული მედიკამენტების შემოსვლას უკვე დამკვიდრებული ფირმები აფერხებენ შესვლის ბარიერის გაძლიერებით, რასაც რეკლამირებისა და პროდუქტის დიფერენციაციის საშუალებით ახეხებენ. ამას გარდა, დღეისათვის მოქმედ პატენტის სისტემაში არსებული შავი ხვრელები აძლევს საშუალებას ამ ფირმებს დაიცვან თავი გენერიკული კონკურენტების ბაზარზე შემოსვლისაგან. უკვე დამკვიდრებული ფირმები ხშირად აგრესიულ ქცევასაც არ ერიდებიან თავიანთი საბაზრო წილის დასაცავად. მაშინაც კი, როდესაც გენერიკული ალტერნატივები უკვე ხელმისაწვდომია, მომხმარებლებისა და ექიმების დანიშნულების ჩვევები ხელს უშლის გენერიკული ვერსიების გამოყენებას (Coscelli, 2000). ეს ჩვევა სავარაუდოდ ჩამოყალიბდა ფირმების ინტენსიური მარკეტინგული სტრატეგიების გავლენით, რომელიც მოიცავს როგორც გაყიდვების სტიმულირებას ექიმებთან, ასევე მომხმარებელზე გათვლილ პირდაპირ რეკლამას.

პროდუქტის დიფერენციაციის მაღალი დონე ასევე აძლევს საშუალებას ინოვაციურ კომპანიებს, რათა უკეთ მოახდინონ თავიანთი პროდუქტის პოზიციონირება ბაზარზე და ამით შეზღუდონ კონკურენცია.

ვინაიდან ფარმაცევტული კომპანიების გაყიდვები დიდწილად არის დამოკიდებული მათ ბლოქბასტერ წამლებზე და ბევრი ბლოქბასტერის პატენტის ვადა იწურება უახლოეს მომავალში, გენერიკების შემოსვლის საფრთხე აშკარაა. ქვემოთ, იხილეთ ასტრაზენეკას სტრატეგია, რომელიც მან წარმატებით განახორციელა მისი ერთ-ერთი ბლოქბასტერის პრილოსეკის პატენტის ვადის ამოწურვამდე ცოტა ხნით ადრე.

**წარმატებული სტრატეგია: ნექსიუმის ბიზნესსიტუაცია**

2001 წელს პრილოსეკს, ასტრაზენეკას 6 მილიარდ დოლარად ღირებულ ბლოქბასტერ მედიკამენტს, რომლის 20 მგ-იანი ერთი ტაბლეტი იყიდებოდა 4 დოლარად, ამოეწურა პატენტის ვადა და მას დაემუქრა გენერიკულ მედიკამენტებთან ფასზე დამყარებული კონკურენცია. თუმცა, რამდენიმე წლით ადრე კომპანიამ მიიღო ზომები, კერძოდ შექმნა გუნდი, რათა შეესწავლა საფრთხის ყველა ტაქტიკური ვარიანტი, რის წინაშეც იდგა კომპანია. კომპანიამ გადაწყვიტა გაყიდვიდან ამოეღო რეცეპტურული პრილოსეკი და მომხმარებლისათვის წარედგინა ოდნავ უფრო ეფექტური სამკურნალო საშუალება სახელწოდებით ნექსიუმი 2001წლის დასაწყისში (პროდუქტის დიფერენციაციის სტრატეგია). როდესაც გენერიკები შემოვიდნენ ბაზარზე, ნექსიუმის ფასი გაიზარდა 5 დოლარამდე (საფასო სტრატეგია). ამას გარდა, კომპანიამ მიიღო ბაზრის ახალი ექსკლუზური უფლება (პატენტის სტრატეგია). 2003 წელს პრილოსეკის გენერიკული ვერსიების ფასი მერყეობდა 3.80 დან 1.50 დოლარამდე 20 მგ-იანი ტაბლეტისათვის. ამავე დროს, კომპანიამ წარმოადგინა პრილოსეკის არარეცეპტურული ვერსია, რომელსაც ეწოდა პრილოსეკი ჰთჩ (over-the-counter) (პროდუქტის დიფერენციაციის სტრატეგია) და დაადო ფასი დაახლოებით $0.71/20 მგ ტაბლეტი (საფასო სტრატეგია). პრილოსეკი OTC-ის აქტიური ინგრედიენტი გაცილებით ნაკლებ ფასს სთავაზობდა მომხმარებელს, ვიდრე გენერიკული ვერსიები. დაბალფასიანი პრილოსეკიჰთჩ-ის ხელმისაწვდომობამ სრულიად შეარყია გენერიკული კონკურენტების მდგომარეობა. 2005 წელს ზემოთხსენებული სტრატეგიების გამოყენების შედეგად კომპანიის გაყიდვებმა ამ თერაპიულ ბაზარზე შეადგინა რეკორდული რაოდენობა - 6.4 მილიარდი დოლარი.(ინფორმაციის

წყარო: Jain, 2006)

ეს მაგალითია იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შესვლის ბარიერის ერთობლივი ეფექტი, რომელიც ზემოთ აღვწერეთ.

ხოლო ფაიზერის ბიზნესსიტუაცია გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება განიცადოს ფირმამ მნიშვნელოვანი დანაკარგი ბაზარზე გენერიკული პროდუქტის შესვლის შემდეგ.

**ლიპიტორის ბიზნესსიტუაცია**

როდესაც ფაიზერის 13 მილიარდად ღირებული ბლოქბასტერ წამალ ლიპიტორს ამოეწურა პატენტის ვადა, ფაიზერმა გადაწყვიტა ტორცეტრაპიბის წარმოების დაწყება. ეს არის მცირედ სახეშეცვლილი წამალი, რომელიც შეიქმნა ლიპიტორის ჩასანაცვლებლად. თუმცა ამ ახალი პროდუქტის უსაფრთხოების პრობლემებმა კომპანია ფინანსურ კატასტროფამდე მიიყვანა. Ffaizeri დიდად იყო დამოკიდებული ლიპიტორის გაყიდვებზე, ვინაიდან ლიპიტორის გაყიდვებს შემოჰქონდა კომპანიის მოგების 40%. 2006 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში ნეტ შემოსავალი დაეცა 12%-ით, 2005 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. (ინფორმაციის წყარო: The Economist, 2007)

ამ მეორე მაგალითში მოჩანს, თუ როგორ დაკარგა თავისი მოგების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ფაიზერმა იმის გამო, რომ საკმარისად კარგი პუბლიკაციები ვერ გამოაქვეყნა თავის მცირედ სახეშეცვლილ წამლებზე, რომლებიც სპეციალურად გენერიკული კონკურენტების საწინააღმდეგოდ შექმნა.

გენერიკული პროდუქციის შესვლისაგან განსხვავებით, პატენტის სისტემა ნაკლებად ეფექტური ინსტრუმენტია ბაზარზე ინოვაციური ფირმების შესვლის შემთხვევაში (CBO, 1998; Henderson and Cockburn, 1994). უკვე არსებული აღმოჩენების მცირედ გაუმჯობესება აძლევს საშუალებას ფირმას, რომ წარმოადგინოს მცირედ სახეშეცვლილი წამლები ინოვაციური წამლის გამოსვლიდან დაახლოებით ექვსი წლის შემდეგ (CBO, 1998).

ეს ლიდერის გაყოლის სტრატეგია, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ჰენდერსონმა და კოკბარნმა (1994). მათ კვლევაში, რომელიც სწავლობს ზემოთაღნიშნულ მოვლენას, რასაც ისინი ფარმაცევტულ ბაზარზე რბოლის ქცევებს უწოდებენ, ისინი აღნიშნავენ, რომ ფირმების ინვესტიციებთან დაკავშირებული ქცევები მარტივად არ აიხსნება მხოლოდ ამ ტიპის სტრატეგიით. ამის ნაცვლად, ისინი აჩვენებენ, რომ ინოვაციურ ფირმებს შორის ტექნოლოგიური შეჯიბრი და მათი როლი ფირმების კომპეტენტურობაში არის ინოვაციურ კომპანიებს შორის კონკურენციის მამოძრავებელი ძალა.

**შემცვლელებისა და შემავსებლებისაგან გამოწვეული საფრთხე.**

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ფარმაცევტულ ბაზარი გახდა ყველაზე რევოლუციური ტექნოლოგიების განვითარების მოწმე, კერძოდ, გამოჩნდა სამკურნალო საშუალებები რომელთა საფუძველი აქამდე არსებული ქიმიურის ნაცვლად გახდა ბიოლოგიური.

ზოგიერთების მიერ ბიოტექნოლოგია აღქმული იქნა, როგორც ფარმაცევტული ინდუსტრიის დესტრუქციული ინოვაცია (Tushman and Anderson, 1986). მხოლოდ აშშ-ში ათასზე მეტი ბიოტექნოლოგიური ფირმა დაარსდა (Han, 2004). თუმცა მატრავესმა 1999 წელს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ეს ბრალდება და აღნიშნა, რომ ბიოტექნოლოგიის განვითარება ფარმაცევტული ინდუსტრიის სტრუქტურას დიდად ვერ შეცვლის მისი ძალიან სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე.

წამყვანმა ფარმაცევტულმა ფირმებმა შექმნეს ალიანსები ახალ ბიოტექნოლოგიურ ფირმებთან იმ მიზნით, რომ გაეზარდათ თავიანთი კომპეტენტურობა ამ სფეროში (Han, 2004). ასეთი კავშირების წყალობით დამწყებმა ბიოტექნოლოგიურმა ფირმებმა მიიღეს ფინანსური რესურსები დიდი ფარმაცევტული ფირმებისაგან.

**მიწოდება და მყიდველის ძალაუფლება**

საზოგადოდ, ფარმაცევტული პროდუქტის ფასის ცვლილებას მყიდველებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან ამ პროდუქტზე ფასი არაელასტიურია, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის დაზღვევის ორგანიზაციების მხრიდან უკვე იზრდება ზეწოლა ფასების ზრდის ლიმიტთან დაკავშირებით (CBO, 2006).რაც შეეხება მიწოდების მხარეს, ფარმაცევტული ფირმები ძირითადად სარგებლობენ ხელმისაწვდომი ნედლეულით, ტექნოლოგიებითა და მაღალკვალიფიციური მუშახელით. დღესდღეობით, წამყვან ფარმაცევტულ ფირმებს სამეცნიერო კვლევის ფარგლებში შეუძლიათ წელიწადში ათასობით ნაერთის შექმნა და მათი შესწავლა პერსპექტიული ქიმიური ფორმულის გამოვლენის მიზნით. გარდა ამისა, ტექნოლოგიების მომწოდებლების რგოლი უმეტესად დანაწილებულია და შედგება ისეთი დანაყოფებისაგან, როგორიცაა ბიოტექნოლოგიური ფირმები, უნივერსიტეტები და სხვა მცირე ზომის კერძო ფირმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფარმაცევტულ ფირმებს სხვადასხვა სახის საშუალებით, როგორიცაა ლიცენზირება, ერთობლივი საწარმო, ან შესყიდვები. ამას გარდა, ძირითადი კვლევების საჯარო დაფინანსებამ ხელი შეუწყო კომპეტენტური მკვლევარების ჩამოყალიბებას

**ჰაჩ-ვაქსმანის აქტში არსებული შავი ხვრელები**

გარდა სხვადასხვა მარკეტინგული სტრატეგიისა, რომლებიც ზემოთ აღვწერეთ, ინოვაციური კომპანიები ხშირად იღებენ უპირატესობას იყენებენ რა შემოქმედებითად ჰაჩ-ვაკსმანის აქტში არსებული შავი ხვრელებს (Glasgow, 2001; Bulow, 2004).

ქვემოთ აღვწერთ რამდენიმე ასეთ სტრატეგიას.

**მეოთხე პარაგრაფი სერტიფიცირების შესახებ: პატენტის პირობების დარღვევა და უკანონო განახლება. ახალი პატენტების სია პატენტის ვადის გასვლამდე.**

F FTC-is (Federal Trade Commission) 2002 წლის კვლევა გვიჩვენებს, რომ თუ ინოვაციური ფირმა შეიტანს დამატებითი პატენტების სიას ნარინჯისფერ წიგნში ეს 30 თვეზე მეტი ხნით აყოვნებს შესაბამისი გენერიკული ვერსიების შესვლას ბაზარზე. ეს აძლევს ინოვაციურ ფირმას მნიშვნელოვან დამატებით დროს (4-დან 40 თვემდე), რათა არ შეუშვას გენერიკული კონკურენტი ბაზარზე. ეს დამატებითი დრო არ მოიცავს პირველ 30 თვეს. როდესაც დამატებითი პატენტების ჩამონათვალი დაემატება, გენერიკული აპლიკანტი ვალდებულია მოახდინოს ხელახალი სერთიფიცირება მოგვიანებით დამატებული სერტიფიკატის მიხედვით.

თუ გენერიკის ხელახალი შეტყობინების საფუძველზე ინოვაციური ფირმა შეიტანს საჩივარს გენერიკული ფირმის წინააღმდეგ 45 დღეში, გენერიკული ფირმა ვალდებულია დარჩეს ბაზრის გარეთ 30 თვის განმავლობაში (აქედან გამომდინარეობს 30 თვიანი ყოფნის ვადა) შეტყობინების თარიღიდან ან სასამართლოს მიერ პატენტის ლეგიტიმურობის გადაწყვეტილების გამოტანამდე (FTC, 2002).

**ბრისტოლ მაიერს სქუიბის ბიზნესსიტუაცია**

ბუსპარის, დასამშვიდებელი მედიკამენტის, ლონჩი ბრისტოლ მაიერს სქუიბმა დაიწყო ე.წ. ნარინჯისფერ წიგნში პატენტის გამოქვეყნების შემდეგ. ამ პატენტის ვადა გადიოდა 2000 წლის 21 ნოემბერს. ამ თარიღამდე გარკვეული დროით ადრე, ზოგიერთმა გენერიკულმა აპლიკანტმა მიმართა წამლის სააგენტოს პარაგრაფ III სერტიფიკატის მისაღებად. მხოლოდ 12 საათი იყო დარჩენილი პატენტის ვადის ამოწურვამდე, როდესაც პატენტების სააგენტომ გადასცა ბრისტოლ მაიერს სქუიბს ბუსპარის ახალი პატენტი. ბრისტოლ მაიერს სქუიბმა მაშინვე წარადგინა ეს პატენტი ნარინჯისფერ წიგნში შესატანთა სიაში, რამაც ხელი შეუშალა საკვებისა და წამლის სააგენტოს დაემტკიცებინა აღნიშნული ბრენდის გენერიკული ვერსიები. მიუხედავად იმისა, რომ რაიონულმა სასამართლომ დაავალა ამოეღო ეს პატენტი სიიდან ბმს-მა გაასაჩივრა სასამართლოს დადგენილება და მოითხოვა მისი გადახედავა იმ მოტივით, რომ გენერიკულ აპლიკანტებს არ ჰქონდათ უფლება ამოეღოთ სიიდან ბმს-ის პატენტი. ბმს-ის ქმედებებმა მისცა მას საშუალება გადაეწია გენერიკების ბაზარზე შესვლა ოთხი თვით იქით(ფთჩ, 2002).

**გადაუხადე გენერიკულ კომპანიებს იმისათვის, რომ არ შემოვიდნენ ბაზარზე**

მეორე სტრატეგია, რომელიც შეუძლია გამოიყენოს ინოვაციურმა კომპანიამ არის შეთანხმების გაფორმება პირველ გენერიკულ აპლიკანტთან. ეს შეთანხმება არის უნიკალური და დამახასიათებელია მხოლოდ ფარმაცევტული ინდუსტრიისათვის. ინოვაციური კომპანია თანახმაა თავისი მომავალი მოგების წილი გაუნაწილოს ბაზარზე შესვლის პოტენციის მქონე გენერიკულ კომპანიას, სანაცვლოდ გენერიკული კომპანია იღებს ვალდებულებას არ აწარმოოს თავისი პროდუქტი (FTC,2006).

ბალოუ (2004) განმარტავს, რომ ამ შეთანხმებას ახასიათებს შემდეგი ნიშან-თვისებები: 1) თითოეული შეთანხმება ხდება კომპლექსური მარეგულირებელი დებულებების აქტით; 2) თითოეული შეთანხმება მოიცავს ინოვაციური კომპანიის მიერ დიდი რაოდენობით თანხის გადახდას პოტენციური გენერიკული შემსვლელებისათვის; 3) თითოეული შეთანხმება მოიცავს პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს გენერიკული შემსვლელების ბაზრის გარეთ ყოფნას გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

**შეთანხმება ანდრქსსა (Andrx) და ჰოჩსტს (Hoechst) შორის**

ანდრექსმა, გენერიკულმა კომპანიამ, მიმართა წამლის სააგენტოს ჰოჩსტის კარდიზემ სდ-ის გენერიკული ვერსიის წარმოების ნებართვის მოსაპოვებლად და აქედან გამომდინარე ჰქონდა 180 დღიანი ექსკლუზივის უფლება. ჰოჩსტსმა უჩივლა ანდრქსს პატენტის დარღვევის გამო, რასაც ავტომატურად მოჰყვა ბაზარზე ანდრქსის გენერიკული ვერსიის შესვლის 30 თვიანი დაყოვნება, დამტკიცებული საკვებისა და წამლის სააგენტოს მიერ. ორივე მხარე შეთანხმდა რამდენიმე საკითხში: პირველი, ანდრქსი დათანხმდა ბაზარზე არ გამოეტანა გენერიული ვერსია, იმ 30 თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგაც კი. მეორე, ანდრქსს გადაუხდიან წელიწადში 40 მილიონ დოლარს, მაშინაც კი, თუ ის სასამართლო პროცესს წააგებს და თუ მოიგებს-წელიწადში 60 მილიონ დოლარს. მესამე, ანდრქსი დათანხმდა, არ გადაეცა თავისი ექსკლუზიურობის 180 დღიანი უფლება სხვა გენერიკული მწარმოებლებისათვის, რაც ხელს შეუშლიდა სხვა პოტენციური გენერიული ფირმების შესვლას ბაზარზე. მეოთხე, ანდრქსს არ უნდა დაეწყო კარდიზემ სდ-ის რომელიმე გენერიკული ვერსიის წარმოება, თუნდაც ამით არ დაერღვია ჰოჩსტის პატენტის პირობა. ფედერალურმა სავაჭრო კომისიამ (ფედერალ თრადე ჩომმისსიონ (FTC)) მიიჩნია ეს შეთანხმება ანტიმონოპოლიური პოლიტიკის დარღვევად და ამ ორივე კომპნიას პროცესის დამთავრებისთანავე პრობლემა შეექმნათ ფედერალურ სავაჭრო კომისიასთან.

ინფორმაციის წყარო: ამერიკის ფედერალური სავაჭრო კომისია (Federal Trade Commission (FTC), 2002

### პროდუქტის დიფერენციაციის სტრატეგია

ბევრი ინოვაციური კომპანია ცდილობს არსებული წამლების საბაზრო ექსკლუზიურობის პერიოდის გახანგრძლივებას. ეს სტრატეგია სავარაუდოდ ყველაზე ხშირად გამოიყენება. იმაზე დამოკიდებულებით, თუ რა ტიპის პატენტს ფლობს, ინოვაციურ კომპანიებს შეუძლიათ მოიპოვონ დამატებითი საბაზრო ექსკლუზიურობა 6 თვიდან 7 წლამდე ხანგრძლივობით. უკვე არსებული ხაზის გაფართოებასათან დაკავშირებული საქმიანობა გაცილებით იაფია, ვიდრე სრულიად ახალი ქიმიური შემადგენლობის პროდუქტის დანერგვა. ამიტომ უკვე არსებული ხაზის გაფართოება პოპულარობით სარგებლობს ორიგინალი ბრენდების მწარმოებელ კომპანიებს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი რომელიმე ბლოქბასტერ მედიკამენტს ეწურება პატენტის ვადა. ჰასავეიმ და მანსეიმ (Hathaway ანდ Manthei (2004)) აღწერეს ამ სტრატეგიის შემდეგი მაგალითი.

### შერინგ-პლაუმ გაახანგრძლივა საბაზრო ექსკლუზიურობის პერიოდი

კლარიტინმა, შერინგ-პლაუს ბლოქბასტერ წამალმა მიიღო ამერიკის საკვებისა და წამლის სააგენტოს (FDA) ბაზარზე დაშვების ნებართავა 1993 წელს. 17 წლიანი პატენტის პერიოდი იწურებოდა 1998 წელს, მაგრამ ფირმამ მოახერხა თავისი მონოპოლიური მდგომარეობის გახანგრძლივება. კლარიტინმა მოიპოვა: (1) დამატებითი ჰაჩ-ვაქს ექსკლუზიურობა 2 წლით; (2) დამატებითი 22 თვიანი გახანგრძლივება პატენტის GATT-თან (General Agreement on Tariffs and Trade) დაკავშირებული პატენტის გაგრძელების გამო; (3) 6 თვიანი დამატებითი ექსკლუზიურობა პედიატრიული კვლევებისათვის. აღნიშნულ პერიოდებმა ჯამში შეადგინა დამატებით მონოპოლიური მდგომარეობის ოთხწელნახევარი ფირმისათვის. ჯერ კიდევ 1987 წელს, შერინგ-პლაუმ აირჩია შემდეგი სტრტეგია: მან დააპატენტა კლარიტინის აქტიური მეტაბოლიტი - მოლეკულა, რომლადაც გადაიქცევა კლარიტინი ადამიანის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ და რომელიც მთლიანად განაპირობებს წამლის მოქმედების მექანიზმს (Relman and Angell, 2002). ვინაიდან ფირმა ელოდა2002 წელს კლარიტინის გაყიდვების მკვეთრად დაცემას, მან მიიღო შესაბამისი ზომები, კერძოდ მოიპოვა ნებართვა კლარიტინის მეტაბოლიტის, სახელად კლარინექსის წარმოებაზე 2001 წლის დეკემბერში. ამ ფაქტმა მიანიჭა ფირმას 5 წლიანი ექსკლუზიურობა ახალი ქიმიური ნაერთის (NCE) პატენტის საფუძველზე. გარდა ამისა, კომპანიამ დამატებით მიიღო 6 თვიანი პედიატრიულ ექსკლუზიურობისა კლარინექსზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა არსებული ექსკლუზიურობა კლარინექსისათვის გაიზარდა 6 თვით. შედეგად, მედიკამენტის ექსკლუზიურობა გაგრძელდა 2007 წლის 21 ივნისამდე.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ორიგინალი ბრენდების მწარმოებელ კომპანიებს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში შეუძლიათ თავიანთი მონოპოლიური მდგომარეობის გახანგრძლივება პატენტის დაცვის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით.

ძალიან ხშირად ინოვაციური კომპანიები თავიანთი ქმედებით ახერხებენ იმას, რომ არ შეუშვან გენერიკული კონკურენტები ბაზარზე, რისი დახმარებითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ თავიანთი ფინანსური სარგებლის გაზრდაში. დღითიდღე იზრდება კრიტიკა ფარმაცევტული კომპანიების მიმართ კანონმდებლობის ბოროტად გამოყენების გამო. ამის პასუხად აშშ სენატმა მიიღო აქტი იაფი ფარმაცევტული საშუალებების ხელმისაწვდომობის (Greater Access to Affordable Pharmaceuticals Act (GAAP)) შესახებ. ეს აქტი მიზნად ისახავდა შავი ხვრელების დახურვას წამლის პატენტის კანონში. ეს დებულება ზღუდავს ბრენდი კომპანიებს 30 თვიანი ყოფნას გენერიული კონკურენტების გარეშე და კრძალავს ინოვაციურ და გენერიკულ კომპანიებს შორის არაკონკურენტული უსამართლო გარიგებების დადებას, თუმცა ფედერალური სავაჭრო კომისიის კვლევებმა აჩვენეს, რომ ეს აქტი აუარესებს კონკურენციას და საზოგადოების სარგებელსაც (Federal Trade Commission(FTC) 2007)).

### სხვა სტრატეგიები

სხვა სტრატეგიები, რომლებიც აგრეთვე ხშირად გამოიყენება არის კომპანიათა შერწყმის შემთხვევები და პოლიტიკური ლობირება. CBO (2006) განიხილავს კომპანიათა შერწყმის გავლენას ინოვაციებზე. ბალტო და მონგოვე Balto and Mongove (1999) მიმოიხილავენ რამდენიმე შერწყმას, რაც შეისწავლა ფედერალურმა სავაჭრო კომისიამ იმ პოტენციური საფრთხის გამო, რასაც ისინი წარმოადგენდნენ საზოგადოების კეთილდღეობისათვის. მიუხედავად მისი სტრატეგიული მნიშვნელობისა, ლობირების სტრატეგია ძირითადად განიხილებოდა პოპულარულ პრესაში (Public Citizen, 2002) და არ იყო კარგად შესწავლილი, შესაძლებელია მისი მგრძნობიარე ბუნების გამო. ხარჯთაღრიცხვა გვიჩვენებს, რომ 1999-2000 წლებში ფარმაცევტულმა ფირმებმა დაახლოებით 197 მილიონი დოლარი დახარჯეს კონგრესში ლობირებაზე( reiseli da sama Reisel and Sama, 2003).

### ინოვაციურობა და მომგებიანობა

ამ ნაწილში წარმოვადგენეთ ინოვაციურობის მაჩვენებლებს, კერძოდ თუ ახალი ქიმიური შემადგენლობის (NCEs) რამდენი წამალია წარდგენილი და სამეცნიერო კვლევებზე დახარჯულ ერთ დოლარზე რამდენი ასეთი პროდუქტი მოდის და (2) კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებს საბაზრო ღირებულების სახით. (წყარო:ახალი მედიკამენტების წარდგენის სრულმასშტაბიან მონაცემთა ბაზას (1950-2012).

ცხრილი 2 გვაწვდის ახლად წარდგენილი წამლების წლიურ რაოდენობას აშშ-ში (1950-2012) წლებში. ამ ცხრილიდან ვიგებთ, რომ ახალი წამლების წარდგენა მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამედროვე მედიცინის ისტორიის ადრეულ წლებთან შედარებით. მაშინ, როდესაც 1950 წელს მხოლოდ 9 ახალი წამალია წარდგენილი, 2012 წელს ამ რიცხვმა 587-ს მიაღწია. როდესაც ჩვენ ეს რიცხვები დავყავით ინოვაციის კატეგორიების მიხედვით, შევამჩნიეთ მნიშვნელოვანი სხვაობა ერთი მხრივ, ახალი ქიმიური შემადგენლობის წამლების რაოდენობასა და მეორე მხრივ, მცირედ სახეშეცვლილ წამლებისა და გენერიკული პრეპარატების რაოდენობას შორის.

ცხრილი 3 წარმოგვიდგენს პრინციპულად ახალი, მოდიფიცირებული და გენერიკული მედიკამენტების ბაზარზე დაშვების ყოველწლიურ ნებართვათა რაოდენობას. ბოლო 65 წლის განმავლობაში ახალი ქიმიური ფორმულის მქონე მედიკამენტების რიცხვი შედარებით სტაბილურია მოდიფიცირებული და გენერიკული წამლების რაოდენობასთან შედარებით. აღნიშნული 3 სახის მედიკამენტთა რაოდენობა დაახლოებით ერთნაირია 1970 წლამდე, რის შემდეგაც მოდიფიცირებული და გენერიკული მედიკამენტების რაოდენობა იზრდება და მნიშვნელოვნად უსწრებს ახალი ქიმიური ფორმულის მქონე მედიკამენტების რაოდენობის მაჩვენებელს. ახალი გენერიკული წამლების რაოდენობა 1970-იან წლებამდე გაიზარდა, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა 1980-იანი წლების ბოლოსათვის, რის შემდეგაც, გენერიკული წამლების რაოდენობა კვლავ გაიზარდა და მოაღწია იმაზე მაღალ მაჩვენებელსაც კი, ვიდრე ეს 2005 წლისათვის ფიქსირდება. აგრეთვე გამოიკვეთა მოდიფიცირებული მედიკამენტების ზრდის დინამიკაც, მაგრამ არა ისეთი სწრაფი ტემპით, როგორიც ეს გენერიკებს ახასიათებთ.

ცხრილი 2 მედიკამენტების წარდგენის წლიური მაჩვენებელი (1950-2012)




ცხრილი 3 მედიკამენტების წარდგენის წლიური მაჩვენებელი კატეგორიების მიხედვით (1950-2012)




როგორც, ცხრილი 3-დან მოჩანს, ახალი ქიმიური ფორმულის მქონე მედიკამენტები საერთო რაოდენობის მცირე ნაწილს შეადგენენ, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ იყო.

ცხრილი4 ახალი ქიმიური ფორმულის მქონე მედიკამენტების ბაზარზე მოხვედრის ნებართვების შეფარდება მოდიფიცირებული მედიკამენტების ნებართვებთან (1950-2012).




ცხრილი 4 გვიჩვენებს ახალი ქიმიური ფორმულის მქონე მედიკამენტების შეფარდებას( ხვედრით წილს) ყველა ბრენდ მედიკამენტთან. ამ მონაცემების მიხედვით მიხედვით 1950-იან წლებამდე ახალი ქიმიური ფორმულის მქონე მედიკამენტები შეადგენდნენ ყველა ორიგინალი ბრენდი მედიკამენტის სულ მცირე 80%-ს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 20 %-მდე დაეცა.

ცხრილი 5.

ფარმაცევტულ ბიზნესში სამეცნიერო კვლევებზე დახარჯული თანხა (1960-2012) მლრდ დოლარში.




ცხრილი 5 გვიჩვენებს ფარმაცევტული ინდუსტრიის მერ სამეცნიერო კვლევებზე დახარჯულ თანხებს 1950-2012 წლებში. ნათლად მოჩანს, რომ სამეცნიერო კვლევებზე დახარჯულ თანხები მკვეთრად გაიზარდა ბოლო 4 ათწლეულის განმავლობაში (ჩოცკბურნ, 2004). ამის მიზეზი უნდა იყოს ახალი ტექნოლოგიების განვითარება და ფარმაცევტული ფირმების მიერ ამ ტექნოლოგიების გამოყენება კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნების მიზნით (Cockburn, 2004; CBO, 2006; Scherer, 1993; Scherer, 2001).

ცხრილი 6. ახალი ქიმიური ფორმულის მქონე მედიკამენტების წარდგენის რაოდენობა სამეცნიერო კვლევების ყოველ ერთ მილიარდ დოლარის დანახარჯზე (1965-2012).




მოგებისა და შემოსავლებისაგან განსხვავებით საბაზრო ღირებულება ასახავს ფირმების როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალური აქტივებს. არამატერიალური აქტივები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ფარმაცევტულ ინდუსტრიაში სამეცნიერო კვლევების მაღალი დანახარჯებისა და ბრენდების ღირებულების გამო.

ცხრილი 7. ფარმაცევტული კომპანიების საბაზრო ღირებულება ყველა სხვა კომპანიებთან შედარებით (1965-2012).




ცხრილი 7 გვიჩვენებს, რომ ფარმაცევტულ ბიზნესში კომპანიების საბაზრო ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე ყველა დანარჩენი კომპანიების საბაზრო ღირებულება ყველა დროის განმავლობაში. ბოლო ოცი წლის განმავლობაში განსხვავება კიდევ უფრო გაიზარდა. ეს მაჩვენებლები კიდევ ერთხელ ადასტურებს გავრცელებულ აზრს, რომ ფარმაცევტული ბიზნესი მაღალ რენტაბელურობით გამოირჩევა. რაც შეეხება უკუგებას, ფარმაცევტული კომპანიები სულ უფრო მეტს და მეტს გამოიმუშავენენ ყოველი ახალი წამლის წარმოება-გაყიდვაზე ნებართვის მიღების შემდეგ.

ცხრილი 8. თითოეული ნებართვის საბაზრო ღირებულების უკუგება მილიონ დოლარში (1945-2012)




როგორც ცხრილი 8 გვიჩვენებს თითოეული ნებართვის საბაზრო ღირებულების წილს მილიონ დოლარში 1955-2012 წლებში. მაშინ, როდესაც 1955 წელს კომპანიები საშუალოდ გამოიმუშავებდნენ 10 მილიონ დოლარს თითოეულ ნებართვაზე, 2012 წელს ეს რიცხვი 700 მილიონამდე გაიზარდა.

**სხვა პირობები: დინამიკური ეფექტურობა**

ჩვენი ზემოთაღნიშნული დასკვნები როგორც ჩანს ემთხვევა ფარმაცევტული კომპანიების მიმართ არსებული კრიტიკულ შენიშვნებს. პირველი, უკვე ჩატარებული კვლევების საფუძველზე (NIHCM, 2001; CBO, 2006), ვაჩვენეთ, რომ ყველაზე ინოვაციური ფარმაცევტული პროდუქტის ფარდობითი მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდება. ამავე დროს, ბაზარზე ჩნდება ბევრი ახალი პროდუქტი, თუმცა სამწუხაროდ არა ინოვაციური. მეორე, სამეცნიერო კვლევებზე დახარჯულ ყოველ დოლარზე ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ნაკლები მედიკამენტის ბაზარზე დაშვების ნებართვა მოდის. რაც შეეხება მომგებიანობას, ფარმაცევტული პროდუქტის ბაზარზე დაშვების ნებართვის უკუგება თითქმის 50 ჯერ გაიზარდა ბოლო 50 წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ხედვა ეხება სტატიკური ეფექტურობას და დინამიკურ ეფექტურობას შეუძლია წარმოგვიდგინოს უფრო დაბალანსებული ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით. სტატიკური ეფექტურობა შეისწავლის პროდუქტის ფასს და გრძელვადიან საშუალო ღირებულებას, აგრეთვე იმას, უდრის თუ არა ფასი ზღვრულ ღირებულებას, ხოლო დინამიკური ეფექტურობა მოითხოვს მოითხოვს გრძელვადიანი განხილვის ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით

**მაღალი უკუგება აკომპენსირებს კაპიტალის მაღალი ღირებულებას**

ფარმაცევტული ბიზნესის პრაქტიკა აღწერილია როგორც მოგებაზე ორიენტირებული ქცევის ვირტუოზული ნიმუში (Scherer, 2001), რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ წარდგენილი მედიკამენტების მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია სამეცნიერო კვლევების ხარჯების დაფარვა და მთელი ფარმაცევტული ინდუსტრიის უკუგება ოდნავ მეტია ინდუსტრიის კაპიტალის ღირებულებაზე. ზოგიერთ თერაპიულ ბაზრებზე მიმზიდველი მოგების შანსი უბიძგებს ფარმაცევტულ ფირმებს, რათა მათ კიდევ უფრო მეტი სახსრები ჩადონ სამეცნიერო კვლევებში კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მიზნით. ეს პროცესი გრძელდება ვიდრე მოგების ციფრები არ შემცირდება და არ დაკარგავს მიმზიდველობას (Grabowski, Vernon, and DiMasi, 2001).

ფარმაცევტული ინდუსტრიაში მაღალი მომგებიანობის შენარჩუნება შეიძლება უბრალოდ ასახავს კაპიტალის მაღალი ღირებულებას ამ ინდუსტრიაში. სამკურნალო საშუალების შექმნისა და განვითარების ხანგრძლივი და გაურკვეველი პროცესი ფარმაცევტული ინდუსტრიის უნიკალური მახასიათებელია და ხდის მას უფრო სარისკოს ვიდრე ეს ნებისმიერი სხვა ინდუსტრიაა. შედეგად, ამ სექტორში ფინანსების გარედან მოზიდვა უფრო ძნელია, ვიდრე სხვა სფეროში. ახალი პროდუქტის განვითარებას მზარდი ღირებულება და მაღალი რისკი უნდა ანაზღაურდეს შედარებით მაღალი უკუგების ხარჯზე.

**რეზიუმე**


კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ ფარმაცევტული ბიზნესის მაღალი მოგების შესახებ, რაც ეკონომიკის საშუალო მოგებას ბევრად აღემატება. მიზეზი საზოგადოების შეშფოთებისა არის დიდი განსხვავება მედიკამენტების თვითღირებულებასა და ფასს შორის. მედია საშუალებები ხშირად ადანაშაულებენ ფარმაცევტულ ფირმებს იმაში, რომ ისინი უფრო მეტ ძალისხმევას სდებენ მარკეტინგში, ვიდრე მეცნიერულ კვლევებში და რომ ისინი თავინთ მოგებას უნდა უმადლოდნენ მცირედ მოდიფიცერებული და არა ინოვაციური მედიკამენტების წარმოება-გაყიდვას. ინდუსტრიას ასევე ადანაშაულებენ წამლების ფასების ზრდაში, ძვირ, აგრესიულ და დეზინფორმაციულ სამომხმარებლო სარეკლამო კამპანიების წარმოებაში, აგრეთვე ექიმების მოსყიდვაში.

ფარმაცევტული ფირმები თავს იმართლებენ იმითი, რომ მედიკამენტების მაღალი ფასები მხოლოდ საბაზრო ძალაუფლებით არ არის განპირობებული, არამედ ისინი გამოწვეულია ტექნოლოგიური განვითარების ფონზე გაზრდილი მუდმივი დანახარჯებით. მათი აზრით ფასების ზრდას რეცეპტურულ წამლებზე რეკლამის შეზღუდვის პოლიტიკა იწვევს, ვინაიდან პაციენტებსა და ექიმებს ინფორმაცია შეზღუდვით მიეწოდებათ.

ნაშრომში შეფასებულია ფარმაცევტული ფირმების ფუნქციონირება რენტაბელობისა და ინოვაციურობის თვალსაზრისით; განხილულია ფარმაცევტული ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების არაელასტიკური ბუნება, მაღალი ფიქსირებული ფასები, აგრეთვე პატენტების სიტემა. პატენტით მინიჭებული დაცვა ფარმაცევტულ ფირმებს აძლევს საშუალებას, რათა დააწესონ საკუთარი ფასები, რომლებიც, როგორც წესი, კონკურენტულ ფასებზე გაცილებით მაღალია, რაც თავის მხრივ მაღალი მოგების მიღებას განაპირობებს. განხილულია აგრეთვე სხვადასხვა ძალები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ფირმის რენტაბელობაზე. როგორიცაა, კონკურენციის პირობები, ბაზარზე შესვლის ბარიერები და ა.შ.


**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ, 1997.
2. Craig and Malek, 1995.Managing innovationin a globalized economy.
3. Bahrain, pp 287 -294
4. Waldman and Jensen, 2001Lifecycleof a blockbusterdrug;MolInterv., 2, 6-11
5. Relman and Angell, 2002.Overhauling the new product process. Industrial Marketing Management, 25
6. Mossinghoff, 1999 Leadusers: A Source of novel product concepts, Management Science 32,
7. Pp 691-802.
8. Currie and Park, 2002.The price of innovation:

HealthEcon., 22, pp150-187.
9. Mansfield, 1986.Estimating the cost of new drug development: is it really $802 million? HealthAffairs, 25, pp429-436
10. Scherer, 1970; Scherer, 2001; Grabowski, Vernon and DiMasi, 2001
11. Wardell, 1975.
12. CBO, 2006.
13. NIHCM, 2002.
14. The Economist, March 17th 2005
15. Public Citizen, 2001
16. Public Citizen. 2003.
17. PublicCitizen, 2011.
18. http://www.curatiofoundation.org/?pg=29&cid=31&id=196
19. http://www.esmt.org
http://www.oecd-ilibrary.org/sites/health_glance-2009-en/07/05/index.html?contentType=&itemId=/content/chapter/health_glance-2009-71

SUMMARY

*M. Maridashvili*

Critics often point out the high profits of the pharmaceutical business, which are much higher than average profits in Economy. Cause of the anxiety of society is a big difference between the prices and costs of medicines. Media often blame the pharmaceutical companies that they make more efforts in marketing, rather than in R&D and they gain profits from producing and selling of modified and not innovation drugs. The industry also been accused of increasing drug prices, aggressive and misleading consumer advertising campaigns, as well as bribery of doctors.

Pharmaceutical companies claim that market power is not only due to high prices of medicines, but they are caused by increasing fixed costs in the background of the technological development. In their opinion the policy of restricting the advertising cause the increasing prices for medicines, because limited information is provided to patients and doctors.

The work assesses the performance of pharmaceutical firms in terms of innovativeness and profitability. It is discussed some issues, such are the nature of the pharmaceutical market demand and supply, which is inelastic; high fixed costs, as well as the patent system. Protection of a patent allow pharmaceutical companies to set their own prices, which are, as a rule, much higher than competitive prices, which in turn leads to higher profits. Also are discussed various forces that affect the profitability of the firm. Such as, competitive conditions, market entry barriers, etc.

# ბიზნეს-ინჟინერინგი ენერგეტიკაში

## ქვეყანას ენერგეტიკული ბალანსი ესაჭიროება

**(საქართველოში 23 წელია ენერგეტიკული ბალანსი არ დამუშავებულა)**

***დემურ ჩომახიძე,***
*ემდ, პროფესორი*

**1. ბალანსური მეთოდი — განვითარებაში დისპროპორციებისა და რისკების შემცირება-აღმოფხვრის საშუალება**

ეკონომიკისა და მისი დარგების განვითარების სწორი პროპორციების დადგენისათვის, ბალანსურ მეთოდს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სამეურნეო კომპლექსში ძირითადი ეკონომიკური კავშირები, მისი განვითარების ტემპები და პროპორციები, აგრეთვე წარმოებასა და მოხმარებაში სტრუქტურული ძვრები და კვლავწარმოების უმნიშვნელოვანესი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები როგორც დარგობრივ, ისე ტერიტორიულ ჭრილში.

ეკონომიკაში ბალანსური მეთოდის გამოყენების ერთ-ერთი გზაა მატერიალური

ბალანსების დამუშავება და შესწავლა. ეს კეთდება მთელი ქვეყნის მასშტაბით და გვიჩვენებს როგორც პროდუქციის რესურსებს, ისე დანიშნულების მიხედვით მათ განაწილებას.

ბალანსური მეთოდის გამოყენება ქვეყანაში რისკებისადმი მზადყოფნის დონის ამაღლებასაც განაპირობებს. აქ იგულისხმება როგორც ეკონომიკური, ისე ბუნებრივი და ეკოლოგიური რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის და გარემო პირობების შემთხვევით შეცვლასთან. ეს კი იწვევს მოსალოდნელი მოგების, შემოსავლების, რესურსების დეფიციტის ან ქონების გაუთვალისწინებელი დანაკარგების, აგრეთვე ეკოლოგიური რესურსებისათვის არსებული ბუნებრივი ობიექტებისა და ფაქტორების ნებისმიერი ანთროპოგენური ცვლილებების არახელსაყრელი შედეგების წარმოშობის საშიშროებას. ბალანსური მეთოდის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება თანამედროვე პირობებში. ამას განაპირობებს მატერიალური წარმოების მასშტაბები, სამრეწველო პროდუქციის უზარმაზარი ნომენკლატურა, პროდუქციის წარმოებასა და მოხმარებაში ურთიერთკავშირების გართულება და სხვ. მატერიალური ბალანსების მეშვეობით დგინდება ობიექტურად აუცილებელი ნატურალურ-საგნობრივი ურთიერთკავშირები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაში, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის განვითარებაში და ა.შ.

**2. ენერგეტიკული ბალანსი მატერიალური ბალანსების სისტემაში**

მატერიალურ ბალანსებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკულ ბალანსს (ებ). იგი მოიცავს ყველა სახის სათბობ-ენერგეტიკულ რესურსს (სერ) მათი წარმოქმნის წყაროებისა და ხარჯის მიმართულებების მიხედვით, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ამ რესურსების წარმოებისა და მოხმარების რაოდენობა და სტრუქტურა, ენერგეტიკული დარგები, მოხმარების მიზნობრივი მიმართულებები, დავახასიათოთ რეგიონის ეკონომიკური კავშირები და ა.შ. ენერგეტიკული ბალანსის საფუძვლიანი ანალიზი. ამ რესურსების წარმოებისა და მოხმარების ძირითად მიმართულებათა დადგენისა და მათი უკეთ გამოყენების რეზერვების გამოვლენის აუცილებელი წინაპირობაა. იგი ხელს უწყობს სერ-ების წარმოებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის წარმატებით გადაწყვეტას.

ეკონომიკის ცალკეულ დარგთან ენერგეტიკული კომპლექსის ორგანული კავშირი სწორედ ენერგეტიკული ბალანსის მეშვეობით ხორციელდება. ენერგეტიკული ბალანსი ახასიათებს ამ კავშირების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მხარეს; ეს, პირველ რიგში, გამოიხატება სამეურნეო კომპლექსში სათბობისა და ენერგიის მოხმარების მოცულობასა და სტრუქტურაში, რომელიც მნიშვნელოვანწილად გვიჩვენებს ეკონომიკის ზრდის მასშტაბებსა და ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების დონეს. ენერგეტიკული ბალანსი ძირითადი განმაზოგადებელი მასალაა ელექტროენერგეტიკისა და სათბობი მრეწველობის განვითარების კომპლექსური დაგეგმვისათვის. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია საანგარიშო ენერგეტიკული ბალანსის შედგენა და ანალიზი. მისი მიზანია:

- განზოგადოებული მახასიათებლების მიღება ენერგეტიკული ბალანსის არსებული მდგომარეობის შესახებ; მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა;
- ენერგეტიკული რესურსების გამოყენების დონისა და ეკონომიურობაში ფაქტიურად მიღწეული დონის

შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

- ენერგოსარგებლობაში ეკონომიკურად გამართლებული დანაკარგების და ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესების რეზერვების გამოვლენა.

ენერგეტიკული ბალანსი კეთდება რეგიონულ ჭრილშიც. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ენერგიის წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურა მოცემულ რეგიონში, აგრეთვე ენერგიის მოხმარების დარგობრივი სტრუქტურა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები პროდუქციის ენერგოტევადობის თვალსაზრისით. ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება ენერგოდანადგარების არსებული მდგომარეობა და მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მათი ფიზიკური და მორალური ცვეთის მდგომარეობა. მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები და სხვ.

საბჭოთა პერიოდში საქართველოში, ისე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ენერგეტიკული ბალანსი 5 წელიწადში ერთხელ კეთდებოდა. ამ საქმეს მთელი ქვეყნის მასშტაბით სსრკ სტატისიკის სახელმწიფო კომიტეტი, ხოლო რესპუბლიკებში შესაბამისი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები ხელმძღვანელობდნენ. არსებობდა სათანადო ლიტერატურა, მეთოდური მითითებები, ცხრილების ფორმები და ა.შ. ბალანსი კეთდებოდა როგორც ნატურალურ, ისე პირობით ერთეულებში. ეს უკანასკნელი განისაზღვრებოდა ნახშირის ექვივალენტებში, ხოლო ენერგეტიკული ბალანსების როლი და მნიშვნელობა აყვანილი იყო სახელმწიფო დონეზე. სტატისტიკურ ორგანოებს პირველად მასალებს აწვდიდა ენერგიის ყველა მწარმოებელი და მომხმარებელი ორგანიზაცია.

## 3. საქართველოს ისტორიული ენერგეტიკული ბალანსების მოკლე მიმოხილვა

საბჭოთა წლებში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოხმარებას ჩვენს ქვეყანაში ზრდის ტენდენცია ჰქონდა (იხ. ცხრილი 1) 30 წლიანი საანალიზო პერიოდის პირველი 20 წლის (1961-1980წწ.) მანძილზე სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯი საქართველოში 2,1-ჯერ გაიზარდა, მათ შორის 1961-1965 წლებში — 25,3 %-ით, 1966-1970 წლებში – 20,6 %-ით, 1971-1975 წლებში – 29,3%-ით, ხოლო 1976-1980 წლებში — 4,5 %-ით. ამდენად, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოხმარება აღნიშნულ პერიოდებში საკმაოდ მაღალი ტემპით იზრდებოდა. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს 1976-1980 წლები. ამ პერიოდში სათბობისა და ენერგიის მოხმარების ზრდის ტემპის ერთგვარი შემცირება ძირითადად განაპირობა ქვეყანაში ენერგოტევადი დარგების განვითარების შედარებით დაბალმა ტემპმა. მაგალითად, 1976-1980 წლებში მთლიანად მრეწველობაში პროდუქცია 41%-ით გაიზარდა, მაშინ, როცა მაღალ ენერგოტევად დარგებში (შავ მეტალურგიასა და ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში) ანალოგიური მაჩვენებელი შესაბამისად 0,7 და 1,0 პროცენტს შეადგენდა.

ცხრილი 1

**საქართველოს კრებსითი სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი 1960-1990წწ. (ათ. ტპს-ნახშირის ეკვივალენტი)**

| მაჩვენებლები | 1960 | 1970 | 1980 | 1990 |
|---|---|---|---|---|
| რესურსებისულ | 11110.6 | 15825.8 | 21738.0 | 20930.0 |
| მათ შორის: | | | | |
| სათბობის მოპოვება | 2001.3 | 1283.9 | 5925.9 | 910.0 |
| აქედან | | | | |
| ნავთობი | 48.6 | 34.3 | 4556.0 | 267.0 |
| ნახშირი | 1809.9 | 1144.1 | 941.2 | 563.0 |
| შეშა და თანმდევი გაზი | 142.8 | 105.5 | 428.7 | 80.0 |
| პირველადი ენერგიის წარმოება, სულ | 273.5 | 324.9 | 806.4 | 1020.0 |
| რესურსების შემოტანა გარედან | 7813.9 | 13604.0 | 14277.9 | 17790.0 |
| სხვა რესურსები | 342.7 | 21.0 | 38724.0 | 300.0 |
| ნაშთი წლის დასაწყისისათვის | 679.2 | 592.0 | 720.7 | 1200.0 |
| განაწილება სულ | 11110.6 | 15825.8 | 21738.0 | 20930.0 |
| მათ შორის | | | | |
| დახარჯულია ქვეყანაში | 7301.8 | 11036.0 | 14913.0 | 18900.0 |
| აქედან | | | | |
| ელექტროენერგიის, თბოენერგიისა და შეკუმშული ჰაერის გამომუშავებაზე | 2049.1 | 4643.0 | 6827.0 | 8600.0 |
| საწარმოო-ტექნოლოგიური საჭიროებისათვის (დანაკარგების ჩათვლით) | 5252.7 | 6393.0 | 8086.0 | 10300.0 |
| გატანილია გარეთ | 3256.4 | 4192.0 | 5987.0 | 1500.0 |
| ნაშთი წლის ბოლოსათვის | 552.4 | 597.8 | 837.0 | 530.0 |
| დეფიციტი | 5027.0 | 9427.2 | 8180.7 | 16970.0 |
| საკუთარი რესურსებით დაკმაყოფილების დონე, % | 31.2 | 14.6 | 45.1 | 10.2 |

1 შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მასალების საფუძველზე

1971-1975 წლებში შავი მეტალურგიის პროდუქცია 14%-ით გაიზარდა, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის პროდუქცია კი – 47%-ით.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, საქართველოს სერ-ებში აღნიშნულ პერიოდში (1961-1980წწ.) მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი რესურსების წილი. განსაკუთრებით ამაღლდა სათბობის მოპოვების ხვედრითი წონა (18-დან 27%-მდე). ეს, ძირითადად, მიღწეულ იქნა ნავთობისა და თანმდევი გაზის მოპოვების გაზრდის ხარჯზე; ხოლო ნახშირის მოპოვებისა და შეშის დამზადების მოცულობები ბალანსში შემცირდა. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ფორმირებაში დადებითი როლი შეასრულა აგრეთვე პირველადი ენერგიის წარმოებამ. მისი ხვედრითი წონა საშუალოდ ამაღლდა 2,5%-დან 3,7%-მდე. აღნიშნულ მატებაში ჰიდროენერგიაზე მოდის 1,1, ხოლო გეოთერმულ ენერგიაზე — 0,1 პროცენტული პუნქტი. ამასთან, 1990 წლის საქართველოს ებ-ში რესურსული ნაწილის ფორმირებაში პირველად მიიღო მნიშვნელოვანი მონაწილეობა თანმდევმა გაზმა და გეოთერმულმა ენერგიამ.

ცხრილიდან ასევე ჩანს, რომ საქართველოში სხვა რეგიონებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოებდა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების როგორც შემოტანა, ისე გატანა. 1980 წელს ეს ტენდენცია ოდნავ შემცირდა. ამ წელს არსებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსებიდან ქვეყანაში დაიხარჯა 68,9%, მათ შორის ელექტროენერგიის, თბოენერგიის და შეკუმშული ჰაერის გამომუშავებაზე – 31,5% და საწარმოო-ტექნოლოგიური საჭიროებისათვის, სადაც გათვალისწინებულია აგრეთვე სათბობისა და ენერგიის შენახვასა და ტრანსპორტირებაზე დანაკარგების რაოდენობა –37,4%.

საქართველოში წარმოებული და მოხმარებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ბალანსიდან როგორც ირკვევა, 1961-1975 წლებში საქართველოში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოება მცირდებოდა. იგი მკვეთრად გაიზარდა 1976-1980 წლებში. რაც შეეხება სათბობისა და ენერგიის მოხმარებას, იგი მთელი ოცი წლის მანძილზე იზრდებოდა. თუმცა საკუთარი წარმოების სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოცულობები, გარდა 1980 წლისა - მცირდებოდა.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ 1960 წელს საქართველომ თავისი მოთხოვნილება სათბობსა და ენერგიაზე საკუთარი მოპოვების რესურსებით დააკმაყოფილა 31,2%-ით, 1965 წელს - 19,7% -ით, 1970წ. — 14,6% -ით. 1975 წელს — 12,7%-ით, 1980 წელს კი – 45,1% -ით. მაშასადამე, ბოლო პერიოდში ქვეყნის უზრუნველყოფა საკუთარი სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მცირდებოდა. 1980 წლიდან ადგილობრივი რესურსებით მოთხოვნილების დაკმაყოფილების ასეთი მკვეთრი ზრდა გამოწვეულია ნავთობის, თანმდევი გაზის, თერმული წყლების მოპოვებისა და ჰიდროელექტროენერგიის გამომუშავების სწრაფი მატებით, აგრეთვე აღნიშნულ პერიოდში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოხმარების ზრდის ტემპის შემცირებით.

საქართველოში სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში ტრადიციულად უმნიშვნელო იყო შეშისა და ენერგიის სხვადასხვა სახის (სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები, მეორადი რესურსები და სხვ.) მონაწილეობა; ამასთან მას შემცირების ტენდენცია საბჭოთა წლებში ჰქონდა.

საანალიზო 30-წლიანი პერიოდის ბოლო 10 წლის განმავლობაში (1981-1990წწ.) საქართველოში სერების მოხმარება გაიზარდა 26,7%-ით. მათ შორის 1981-1985 წლებში 15%-ით და 1986-1990 წლებში — 10,2%-ით. ამ პერიოდში მკვეთრად დაიკლო საკუთარი მოპოვების რესურსებით საქართველოს დაკმაყოფილების დონემ, რომელიც ძირითადად სათბობის მოპოვების შემცირებამ გამოიწვია.

## 4. ენერგეტიკული ბალანსი დამოუკიდებლობის წლებში

საქართველოს ენერგეტიკულმა ბალანსმა განსაკუთრებული როლი შეიძინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში. ამ გარემოებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული, ქვეყნის ეროვნული მეურნეობა, ძირითადად, პირველადი სათბობის იმპორტზე გახდა ორიენტირებული.

გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის ტრანსფორმაციამ, ამასთან, გამოავლინა სათბობის იმპორტთან დაკავშირებული დამატებითი ეკონომიკური პრობლემები, რომელიც დაკავშირებული იყო პირველადი სათბობის საბაზრო ფასების სწრაფი ტემპებით გადიდებასთან.

განსაკუთრებული პრობლემები შეიქმნა იმის გამო, რომ გეგმური ეკონომიკის პერიოდთან შედარებით 1990-იანი წლებიდან ენერგეტიკული რესურსების ფასები საშუალოდ 4-ჯერ მაინც გაიზარდა, მაშინ, როდესაც მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი პროდუქციის ფასები, ხშირ შემთხვევაში, უცვლელი დარჩა ან უმნიშვნელოდ გადიდდა. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ის გარემოებაც, რომ საქართველოში მემკვიდრეობით შემორჩენილი სამეურნეო კომპლექსის თითქმის ყველა დარგი მაღალი ენერგოტევადობით ხასიათდებოდა, ხოლო მოქმედ ტექნოლოგიებს სრული გადაიარაღება სჭირდებოდა.

ეკონომიკური რეფორმების გარდამავალმა პერიოდმა აღნიშნული ობიექტური მიზეზების გამო, ქვეყანაში წარმოშვა ხანგრძლივი ენერგეტიკული კრიზისი, რომელმაც თანაბრად აზარალა როგორც მატერიალური, ასევე საყოფაცხოვრებო-კომუნალური სფეროც.

შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც ზოგიერთ სამრეწველო საწარმოში წარმოებული პროდუქციიდან მიღებული წმინდა შემოსავლები ვერ ფარავდა პირველადი სათბობის შეძენისა და გარდაქმნის ხარჯებსაც კი.

შექმნილ სიტუაციაში, მნიშვნელოვანი პრობლემე-

ბი შეიქმნა ენერგორესურსების აღრიცხვასა და ენერგეტიკული ბალანსების შემუშავებაში. გარდაქმნების პერიოდში (1990 წლიდან) საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს შეუწყდა პირველადი აღრიცხვის მონაცემების მიწოდება სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების სფეროში. ამ და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით უკვე 23 წელია საქართველოში არ წარმოებს პერიოდული ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება; ამას საწყის ეტაპზე ის ფაქტიც განაპირობებდა, რომ გეგმური ეკონომიკის პირობებში ამ მიზნით დადგენილი სააღრიცხვო სტატისტიკური ფორმები განსხვავებული აღმოჩნდა საერთაშორისო სტატისტიკის ანალოგიური ფორმებისაგან. ასეთ პირობებში შეუძლებელი გახდა დარგის განვითარების სრულფასოვანი ანალიზის ჩატარება, სწორი რეკომენდაციების შემუშავება და მრავალი სხვ.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, ჩვენს მიერ დამუშავდა საქართველოსათვის ენერგეტიკული ბალანსის შედგენის მეთოდოლოგია, სადაც გამოყენებულ იქნა საერთაშორისო სტანდარტები და ზომის ის ერთეულები, რომელიც მიღებულია საერთაშორისო პრაქტიკაში.

სათბობი რესურსების ნატურალური ზომიდან პირობით ერთეულებში გადაყვანა, გეგმური ეკონომიკის სტანდარტებისაგან განსხვავებით (სადაც გამოყენებული იყო ნახშირის ეკვივალენტი), განხორციელდა ნავთობის ეკვივალენტის (10000 კკალ. კგ) გამოყენებით. ნასარგებლები იქნა აგრეთვე ის მასალები, რომელიც მოამზადეს საქართველოში ტექნიკური დახმარების პროექტით მომუშავე ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა და სხვადასხვა ორგანიზაციამ, მათ შორის "ტასისის" ტექნიკური დახმარების, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა.

მაშასადამე, ამ წლების ენერგეტიკული ბალანსის ხარჯვითი ნაწილის შემუშავების პროცესში გამოყენებული არ ყოფილა საწარმოების პირვანდელი ინფორმაცია; ამის მიზეზი გაზდა ის ფაქტი, რომ სარწმუნო მონაცემები ფაქტობრივად არ არსებობს, ან თუ არსებობს, შეიცავს უზუსტო პარამეტრებს. სამაგიეროდ, ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა:

- დარგობრივი სამინისტროებისა და ცალკეული ორგანიზაციის მიერ აღრიცხული რესურსების მონაცემები;
- ენერგოტევადი და სხვა მსხვილ საწარმოებში არსებული აღრიცხვის მასალები;
- საბაჟო მომსახურების მიერ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და სხვა უწყებებში წარდგენილი მონაცემები;
- "ტასისის' პროექტების მიერ შემუშავებული ანგარიშები და კონკრეტული მონაცემები;
- მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების ჩანაწერები, მემორანდუმები და სხვ.
- ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროების მიერ შესრულებული სამუშაოები;
- ცალკეული კონტრაქტისა და ხელშეკრულების მონაცემები სათბობ-ენერგეტიკული რესურსების იმპორტთან დაკავშირებით და სხვ.

ჩამონათვალში აღნიშნული საინფორმაციო მონაცემები გადამოწმდა და შედარდა სტატისტიკის საერთაშორისო სააგენტოს მიერ უკანასკნელ წლებში გამოცემულ სტატისტიკის ცნობარებთან და, ძირითადად, განისაზღვრა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოების იმპორტ-ექსპორტისა და მოხმარების ყველა ძირითადი მონაცემი.

მონაცემთა ბაზა მოყვანილ იქნა ერთიან საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში; ერთი სიტყვით, გარკვეულ დონეზე აღდგა 1990-2012 წლების ენერგეტიკული ბალანსი.

ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ გარდამავალ პერიოდში (1991-1995) საქართველოში ენერგიის როგორც წარმოება, ისე მოხმარება შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. მომდევნო პერიოდში (1996-2000) კი სახეზეა მათი ზრდა. კერძოდ, 1991-1995 წლებში ენერგიის წარმოება შემცირდა 2,3-ჯერ, მოხმარება — 8,5-ჯერ, ხოლო 1996-2000 წლებში გაიზარდა შესაბამისად 51,7%-ით და 18,7%-ით. დროის აღნიშნულ მონაკვეთში თვალსაჩინოა დეფიციტის თანდათანობითი შემცირების ტენდენცია, რომელიც ამჟამადაც გრძელდება.

მე-2 ცხრილში, რომელიც ჩვენს მიერაა შედგენილი, მოტანილია 2000-2012 წლების დაწვრილებითი რიცხობრივი მონაცემები საქართველოში წარმოებული და მოხმარებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების შესახებ. ენერგიაშემცველების მოხმარება ნაჩვენებია ეკონომიკის მთავარი დარგების მიხედვით.

მე-2 ცხრილიდან ჩანს, რომ 2000-2012 წლებში საქართველოში ენერგიაშემცველების წარმოება გაიზარდა 34,3%-ით, მათ შორის ჰიდროენერგიისა - 21,9%-ით, ნახშირისა - 25,4 —ჯერ, ხოლო ენერგიის სხვა სახეებისა (შეშა, ენერგიის არატრადიციული წყაროები და სხვ) - 40,8%- ით. ამასთან, ნავთობისა და თანმდევი გაზის მოპოვება შემცირდა 2,57 -ჯერ.

რაც შეეხება ენერგიაშემცველების მოხმარებას, იგი წარმოებასთან შედარებით აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა უფრო სწრაფად — 73,7%-ით, ცალკეული დარგებიდან მოხმარების ყველაზე მაღალი ტემპი აქვს მრეწველობას (3,0-ჯერ), შემდეგ მოდის ტრანსპორტი (90,1%) და სოფლის მეურნეობა (73,8%); სხვა დარგებში (ძირითადად კომუნალურ-საყოფაცხოვრებო სექტორში) 2000-2012 წლებში ენერგიაშემცველების მოხმარება გაიზარდა 36,6 %-ით.

ცხრილი 2

**საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი 2000-2012 წლებში (ათ. ტ პირობითი სათბობი —ნავთობის ექვივალენტი)**

| მაჩვენებლები | 2000 | 2005 | 2010 | 2011 | 2012 |
|---|---|---|---|---|---|
| წარმოება სულ, მათ შორის: | 880 | 972 | 1339 | 1202 | 1182 |
| ჰიდროენერგია | 512 | 522 | 809 | 682 | 624 |
| ნავთობი და თანმდევი გაზი | 126 | 79 | 58 | 56 | 49 |
| წახმირი | 7 | - | 106 | 140 | 178 |
| სხვა | 235 | 371 | 366 | 324 | 331 |
| იმპორტი | 1419 | 2030 | 1876 | 2374 | 2576 |
| ექსპორტი | 86 | 74 | 189 | 130 | 83 |
| ხარჯი ენერგიის გარდაქმნაზე და სხვ. | 361 | 484 | 363 | 413 | 441 |
| მიწოდება, სულ | 1851 | 2444 | 2663 | 3033 | 3217 |
| მათ შორის: მრეწველობაში | 250 | 352 | 585 | 711 | 758 |
| ტრანსპორტზე | 434 | 493 | 811 | 802 | 825 |
| სოფლის მეურნეობაში | 107 | 167 | 143 | 146 | 186 |
| სხვა დარგებში | 1060 | 1432 | 1124 | 1374 | 1448 |

## 5. დასკვნა

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რამდენად აუცილებელია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა აღადგინოს ქვეყანაში ენერგეტიკული ბალანსის შედგენის პრაქტიკა. უამისოდ ელემენტარულად შეუძლებელია საქართველოში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების დადებით, თუ უარყოფით ტენდეციებზე მსჯელობა. საბოლოო ჯამში ეს გამოუსწორებელ უარყოფით გავლენას ახდენს საქმის საერთო შედეგებზე. უამისოდ შეუძლებელია მიახლოებით მაინც დავახასიათოთ რეალური ვითარება და დავსახოთ გზები მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის  და ბევრი სხვ.

უკანასკნელ პერიოდში, ახალი ხელისუფლების პირობებში იყო ინფორმაცია, რომ ენერგეტიკის სამინისტროსა და "საქსტატს" შორის შედგა შეთანხმება ენერგეტიკული ბალანსის დამუშავების შესახებ, რაც, ცხადია, მისასალმებელია; მაგრამ შეთანხმება ბოლომდეა მისაყვანი. ამ დიდ საქმეს, ვფიქრობთ, აუცილებლად წაადგება ჩვენს მიერ შესრულებული აღნიშნული სამუშაო, რომელიც მოიცავს ყველა წლის (1991-2012) საანგარიშო ენერგეტიკულ ბალანსს. რაც შეეხება ენერგეტიკული ბალანსის სიზუსტის ხარისხს, ცხადია, იგი არ არის საერთაშორისო სტანდარტების შესადარ დონეზე, მაგრამ ცდომილების ზღვარი, ჩვენი ღრმა რწმენით, 8-10 პროცენტს არ აღემატება.


**SUMMARY**

*D. Chomakhidze*

The country needs Energy Balance
(Energy Balance hasn't been treated in Georgia for 23 years)

In the paper there was characterized the role and meaning of Energy Balance in order to determine the proper approach for the field's development, to solve all problems successfully which are related to the production and consumption of energy resources. There was analyzed the state of Georgian energy balance between the years (1960-2012). Some suggestions have been given in the paper for restoration energy balance, which has been stopping for 23 years. To eradicate this emptiness, the author has proposed treated energy balance based on estimation by experts.

# სამართალი და პოლიტიკა

## საკონსტიტუციო სასამართლოს დანაშაული მიუძღვის

**Qui tacuit, cum loqui debuit et potuit, consentire videtur!**

***პაატა კოლუაშვილი***, *სტუ სრული პროფესორი*
***ზაურ ჯინჯოლავა***, *თუ ,,გორგასალი" სრული პროფესორი*

ბუნებრივია, რომ დღევანდელ საქართველოს მდგომარეობაში მყოფი მცირე ქვეყნის იდეოლოგია – ანუ პასუხი კითხვისა, ,,რით სჯობია ამ ქვეყნის და მისი სახელმწიფოებრიობა მათ არ არსებობას?" – უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს (განსაკუთრებით ეს ეხება ქვეყანას, რომლის ტერიტორიის 20%-ზე მეტი ოკუპირებულია და რომელიც ყოველდღიურად ელის ახალ შემოტევას გარედან და ღალატს შიგნიდან):

1. **საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისათვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისათვის.**

2. **საქართველოს ყველა მოქალაქე განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, კანის ფერისა, დაბადების ადგილისა და ა.შ. თანასწორია.**

მოქალაქეთა თანასწორობა მდგომარეობს:

ა) თანასწორობაში კანონის წინაშე

ბ) უფლებაში, რომ იგი და მისი შთამომავალნი, აწ და მარადის, საქართველოს მიწა-წყალს და ბუნებრივ რესურსებს განიხილავდნენ როგორც თავის სარჩენ (საარსებო) ბაზას და როგორც თავისი ყოველმხრივი თვითრეალიზაციის სივრცეს თანამედროვე ცივილიზაციური დონისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

3. **აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია ყველა კანონმდებლობითი და პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიება იხმაროს, რათა საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობას შეუნახოს აღნიშნული შესაძლებლობები შეუმცირებელი სახით.**

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ

– **საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეების შთამომავლობა დაიცვას არა მხოლოდ სამხედრო, ეკოლოგიური, ეპიდემიური და სხვა მასობრივი კატასტროფებისაგან, არამედ სასურსათოსგანაც (ანუ სტაბილური და მასობრივი შიმშილობისაგან), კონკრეტულად – მუდმივად და უცვლელად ჰქონდეს ხელთ ის მინიმალური რესურსი, რომ თავის მოსახლეობას (ბუნებრივია, მზარდ თაობათა მანძილზე) ბიოლოგიურად აუცილებელი კალორიები მისცეს.** ამისი ერთადერთი რეალური გზაა – თავის მიერ კონტროლირებადი პოტენციალის საზღვრებში შეინარჩუნოს ის საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც საკმარისია, რათა თავის მოქალაქეთა შრომის საჭირო ნაწილი საკვებად მოსახმარ მასალად გარდაქმნას. ასეთი საწარმოო სიმძლავრე, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს და ვერ ექნება, არის მხოლოდ მიწა. მცირემიწიანი საქართველოს მიწის გასხვისება იმგვარ პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და იურიდიულ სივრეცეში, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო დაკარგავს კონტროლს მის ფუნქციონირებაზე თავისი ამ დანიშნულების – საქართველოს მოქალაქეთა რჩენის – მიმართულებით, ყველა შემთხვევაში არის სახელმწიფო ღალატი – ან ნებსითი და მიზანმიმართული, ან არაკომპეტენტურობით გამოწვეული და უნებური.

– საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს, და

– უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისად მკაცრი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გავლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუდინგული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

***

ქართველი ერისათვის მიწა-წყლის წართმევის მცდელობას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც იმის ცოდნას დანარჩენი მსოფლიოს მიერ, რომ საქართველო "ღვთის მიერ კურთხეული ადგილია", ანუ, თავისი ფართობისადმი პროპორციის მხრივ, ბუნებისგან ბევრად უფრო უხვად დასაჩუქრებული ადგილია, ვიდრე დედამიწის დანარჩენი ტერიტო-

რია საშუალოდ. ეს მცდელობა ხორციელდება არა მხოლოდ გეოსტრატეგიული ქმედებების დონეზე (დაპყრობა, აყრა და ა.შ.), არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დონეზეც, სახელდობრ, თვით საქართველოს სინამდვილეში იმგვარი „მშვიდობიანი" დივერსიული ცვლილებების განხორციელების (ან სათანადო მცდელობის) დონეზეც, რომლებმაც შედეგად უნდა მოიტანონ ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური ბმის შესუსტება საქართველოს მიწასა და მის კანონიერ პატრონს, ქართველ ერს შორის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ამავე დროს მომხსენებელმა მოსამართლემ გიორგი პაპუაშვილმა 2012 წლის 26 ივნისს გაატარა "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/5/512", რომლითაც გაუქმდა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელმყოფელ "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა — ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომვლობის საარსებო ბაზა აწ და მარადის — გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით და უახლოეს წლებში საქართველოს საყოველთაო გაღატაკების ფონზე, მოსახლეობის მთელი მასა არაკონკურენტუნარიანია საქართველოს მიწის მითვისების აუარებელ უცხოელ მსურველთან შედარებით. ამ ოპერაციის მიზანი და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგარების პარალელურად, სხვა არა არის რა და სხვა ვერა იქნება რა თუ არ საქართველოს დემოგრაფიული დექართველიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ. პაპუაშვილის ეს შეუნიღბავად ანტისახელმწიფოებრივი მანევრი თავისი განხორციელების ფორმით (სახელდობრ, არგუმენტაციის სიმულაციით, რომელიც ცდილობს იურისპრუდენციისა და ზოგადად ჰუმანიტარული ცოდნის სფეროში მიღებული მეცნიერული ტერმინოლოგიით ოპერირებას), ემყარება ერთის მხრივ სრულ არაინფორმირებულობას ამ სფეროებში, მეორეს მხრივ კი ასევე სრულ უცოდინარობას — ან: უცოდინრობის სიმულაციას — იმ მოვალეობათა და ვალდებულებათა თაობაზე, რომლებიც აქვს სახელმწიფოს ადნმინისტრაციას თავისი ქვეყნის წინაშე და არჩეულ ხელისუფლებას — ამომრჩეველთა წინაშე. ამ უმეცრების დასამტკიცებლად ქვემოთ წარმოგიდგენთ არგუმენტაციას, რაც საკმარიისია, რათა მხილებულ იქნას საკონსტიტუციო სასამრთლოს ამ აქტის მიზანმიმართულად ანტისახელმწიფოებრივი, პროფესიულად (დარგობრივად) არაკომპეტენტური, დანაშაულებრივად დესტრუქციული ხასიათი.

1. **საქართველოს პარლამენტმა —2007 წლის 19 ივნისს, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში შეიტანა ცვლილებები და დამატებები, რომლის ძალითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება მიეცათ როგორც საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, ასევე უცხოელ და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საკუთრების უფლება მიეცათ მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს, ხოლო უცხოელს — აგრეთვე იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლზომიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე (მუხლი 4, პუნქტი 1).** ამასთანავე, უცხოელები და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებული იყვნენ თავიანთ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაესხვისებინათ საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე (მუხლი 4, პუნქტი $1^1$). ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს სასამართლო გადაწყვეტილებით და სათანადო კომპენსაციით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთმეოდათ მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (მუხლი 5, პუნქტი $1^2$). სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ჩამორთმევისას გამოიყენებოდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები (მუხლი 5, პუნქტი $1^3$).

2. **2011 წლის 14 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა დანიის მოქალაქემ ჰეიკე ქრონქვისტმა, რომელიც ფაქტობრივად ითხოვდა ამ ცვლილებების და დამატებების კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან და 47-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა დანიის მოქალაქე ქრონქვისტის სარჩელი, რითაც ფაქტობრივად გააუქმა კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები, რაც ჩვენ არა მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესთა თავლსაზრისით ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია, არამედ იურიდიულად დაუსაბუთებლადაც.

3. **ჩვენ მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ მოყვანილი დებულებები საქართველოს კანონისა სავსებით შეესაბამება კონსტიტუციის 21-ე მუხლს და 47-ე მუხლის პირველ ნაწილს.**

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი ნაწილით საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუხებელია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობთ მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. მაგრამ ამავე მუხლის მეორე პუნქტი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებად თვლის კონკრეტული სახის შემთხვევებში კონკრეტული სახის ნივთის მიმართ ამ უფლებათა შეზღუდვას. უფრო მეტიც, მესამე პუნქტი დასაშვებად თვლის ამ უფლებების არა მარტო შეზღუდვას, არამედ საკუთრების ჩამორთმევასაც სახელდობრ, მის კომპენსირებას კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ამიტომ **საკონსტიტუციო სასამართლოს აუცილებლად უნდა ემსჯელა იმის თაობაზე, იყო და არის თუ არა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით გამოწვეული ის შეზღუდვები, რაც შეტანილი ცვლილებებით დაუწესდათ უცხოელებს.**

ჩვენ შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ ის შეზღუდვები, რომლებიც დაწესებულია უცხოელებისათვის, კერძოდ, ის, რომ **უცხოელი ვალდებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი მასზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაასხვისოს, გამოწვეულია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით.**

ჯერ ერთი, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კონსტიტუცია არ იძლევა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ მკაცრ დეფინიციას. ამ ცნების შინაარსის განსაზღვრა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონმდებლის პრეროგატივას წარმოადგენს. სახელდობრ, მისი შინაარსი ცვალებადია აქტუალური პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად. მოქმედება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეიძლება იყოს მიმართული საზოგადოებისათვის გარკვეული და გარდუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. კანონმდებელი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეიძლება მოქმედებდეს, როდესაც მას ამოძრავებს საზოგადოებისათვის ან მისი ნაწილისათვის დადებითი შედეგების მოტანის მიზნები. ამასთანავე, არ არის აუცილებელი, რომ კანონმდებელმა კონკრეტულად მიუთითოს ნორმაში, თუ რა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ იყენებს მას. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობა შეიძლება გაირკვეს ნორმის ანალიზის, მისი განმარტების შედეგად. ამასთანავე, **კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ შეზღუდვის პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს შენარჩუნებული საკუთრების უფლების არსი.**

ამასთანავე, საკუთრების უფლების შეზღუდვის გამართლებისათვის მოპასუხე მხარე ვალდებულია დაასაბუთოს, რომ სახეზეა საზოგადოებრივი საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებასაც ემსახურება სადავო ნორმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური: შესაძლებელია მისი შეზღუდვა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე და არა სხვა კატეგორიის მიწებზე, თუმცა სახელმწიფომ ერთნაირად უნდა დაიცვას ხელყოფისაგან ნებისმიერი კატეგორიის მიწები. **ჩვენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე განსაკუთრებით იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ამ დანიშნულების მიწის ნაკვეთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი მცირემიწიანი აგრარული ქვეყნისათვის, როგორიცაა საქართველო.** „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ **კანონი მიზნად ისახავს, რომ ა) სამართლებრივად უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და გაუმჯობესოს აგრარული სტრუქტურა, ბ) თავიდან იქნეს აცილებული მიწის ნაკვეთების დაქუცმაცება და არარაციონალური გამოყენება.** ამასთანავე, მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების აკრძალვის მთავარი დანიშნულებაა უფრო მდიდარი ქვეყნების მოქალაქეთა მიერ იაფი მიწის მასობრივი შესყიდვის თავიდან აცილება, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, გარემოს დაცვასა და ქვეყნის უშიშროებაზე. საკუთრების უფლების ასეთი შეზღუდვის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს საჯარო ინტერესი, უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო მიწის სტრატეგიული მნიშვნელობაც ქვეყნის უშიშროების, გარემოს დაცვის, ეკონომიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აუცილებლად უნდა იყოს კერძო საკუთრებაში, ან გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარის სტატუსში, მაგრამ საკუთრებისა არა უცხოელების ხელში, არამედ იგი მხოლოდ საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ყიდვა-გაყიდვის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს.** ამასთან, სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში მიწის ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ჩუქების, ანდერძის და სხვათა გაფორმების პრიორიტეტი და სრულად უნდა გამოირიცხოს მიწით სპეკულაციის, აგრეთვე უცხოელთა მიერ მიწის ხელში ჩაგდების ყოველგვარი სხვა სახის მცდელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე, ძალიან ცოტა ან საერთოდ არ გვეყოლება, რადგან ქართველი გლეხკაცი დღეს ფინანსურად არაკონკურენტუნარიანია უცხოელებთან მიმართებაში, **უცხოელებმა კი შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები სხვა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოიყენონ — აგარაკების აგებით დაწყებული და სხვა ხრიოკ მიწიან ქვეყნებში წასაღებად ნაყოფიერი ზედაფენის მოჭრით დამთავრებული.**

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე იმის სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება. ეს საშიში პროცესი შედარებით უხმაუროდ მიმდინარეობს, მაგრამ თავისი მნიშვნელობით, ქვეყნის ვინაობისა და რაობის დაკარგვის ტოლფასია. ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთის რიგი სახელმწიფო, თურქეთი, ირანი, ისრაელი), რომლებიც უკვე გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირემიწიანობით. საქართველოს მოქალაქეთა პროტესტის შესამსუბუქებლად, არის მცდელობა იმისა, რომ ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლონ (მოქალაქეობის არმქონე პირებზე სოფლის მეურნეობის სავარგულების გაყიდვის გამართლება ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის საბაბით, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტურობისა და ახლომხედველობის შედეგია, რადგან **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, განსხვავებით ურბანული მიწისაგან, არ არის ინვესტიციატევადი და აქ ინვესტორის წახალისების პოლიტიკა ყველაფრის ფასად არ უნდა ტარდებოდეს**[1]), – თანაც ქართველი თანამდებობის პირები გვმოძღვრავენ და გვამშვიდებენ, „მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ“. არ მოიკიდებენ, მაგრამ ამ მიწაზე დამკვიდრდებიან და ძალიან დიდი რაოდენობითაც, თუ დროზე არ მოვედით გონს, რადგან ამ ქვეყნების დემოგრაფიული და ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში შეცვლის პროგნოზს.

**უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სახეზეა მოსახლეობათა ურთიერთ-შეუსატყვისობა, ისტორიის, ზნე-ჩვეულებების (ტრადიციის), რელიგიის, ზოგად- კულტურული ფონისა და აქსიოლოგიური ფონის მხრივ, მით უმეტეს – ენის მხრივ. სტატუსდაკარგული ქართული სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს შორის.**

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კონსტიტუცია არ იძლევა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ მკაცრ დეფინიციას. მოქმედება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეიძლება იყოს ის, რაც განკუთვნილი საზოგადოებისათვის გარკვეული და გარდუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. სწორედ საზოგადოებისათვის გარკვეული და გარდუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელია. ასეთია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე უცხოელთა საკუთრების უფლების გარკვეული შეზღუდვაც. ასე, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან. არსებული შეზღუდვები გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით“. მაგრამ ის, რომ საქართველოს მოსახლეობის შევსება უცხოელთა ახალი მასით, რომელიც ადგილობრივს აღემატება, არის კატასტროფა, რომლის აცილებაც“ საზოგადოებრივი საჭიროებაა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გაუგებარ ჭეშმარიტებად დარჩა!

მეორე, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მოპასუხის განმარტებას, რომელიც არ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს არ ეკრძალებათ განახორციელონ ინვესტიცია სოფლის მეურნეობის სფეროში და იჯარით აიღონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, თუ იურიდიული პირი რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუნდაც მისი 100% წილის მფლობელი იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე, მას შეუძლია შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ვინაიდან იგი სრულად ექცევა საქართველოს იურისდიქციაში, მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში და სამართლებრივი ვალდებულებები აქვს საქართველოს სახელმწიფოს წინაშე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ზღუდავს ასეთი ტიპის საკუთრების მემკვიდრეობით მიღებას. შესაბამისად, არ ზღუდავს ამ უფლებას, თუმცა, საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ავალდებულებს უცხოელს, გაასხვისოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საქართველოს მოქალაქეზე და მატერიალური სიკეთე მიიღოს ალტერნატიული სახით, ან შეუცვალოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს კატეგორია, როგორც ეს გათვალისწინებ-

[1] საქართველოში სულ 3,025 მლნ ჰა სავარგულია. აქედან დაახლოებით 1,9 მლნ ჰა ბუნებრივ საძოვრებსა და სათიბებზე მოდიოდა, ანუ იმ სავარგულებზე, რომლებსაც ინვესტიციები კი არა, უფრო მართებული, რაციონალური გამოყენება სჭირდება. 1,1 მლნ ჰა ინტენსიური სავარგულია, საიდანაც 800 ათასი ჰა სახნავია, ხოლო დანარჩენი – 300 ათასი ჰა – მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული ფონდ-ტევადი სავარგულია. რთული ვერტიკალური ზონალობის გამო (ზღვის დონიდან 500 მეტრამდე მდებარეობს ქვეყნის ტერიტორიის 26,7%, 500-დან 1000 მ-მდე – 21,7%, 1000-დან 1500-მდე – 19,3%, 1500-დან 3000-მდე – 31,5%, 3000-ზე ზევით – 1.5%), საქართველო სარისკო მიწათმოქმედების ზონას განეკუთვნება. მთებს (54%) და მთისწინებს (33%) მთელი ტერიტორიის 87% უჭირავს, დაბლობს კი მხოლოდ 13%. სოფლის მეურნეობაში გამოიყენება ქვეყნის ტერიტორიის 44%. სახნავს მთელი სავარგულების 25% უჭირავს (სახნავ-სათესი ფართობის თითქმის 40% 30ჰმეტი დაქანების ნაკვეთებზეა განლაგებული), სათიბ-საძოვრებს კი – 65% და მეტი. მაღალი ხარისხის ბუნებრივად ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწა 38%-ს შეადგენს, საშუალო ხარისხის 21%-ს, ხოლო დაბალი ხარისხის 41%-ს. ამიტომაცაა, რომ საქართველო მცირემიწიან ქვეყნებს მიეკუთნება. მოსახლეობის ერთ სულზე 0,64 ჰა სოფლის მეურნეობის სავარგული მოდის, აქედან 0,17 ჰა სახნავ-სათესია. ეს არის საქართველოს სოფლის მეურნეობის დანიშნულების მიწის ფონდი, რომელიც იმდენად მცირეა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, რომ თვალისჩინივით გაფრთხილება ესაჭიროება.

ულია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ათვისების, ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში, და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გამოიყენოს სხვა მიზნით. როგორც ვხედავთ, მიუხედავად სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, კანონმდებელი უცხოელს მაინც აძლევს შესაძლებლობას, დაარეგისტრიროს საქართველოში იურიდიული პირი, რომელიც შესაძლოა გახდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე. შესაბამისად, **კანონმდებელი აწესებს ალტერნატივას. ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში ნორმა არაკონსტიტუციურად არ უნდა იქნეს მიჩნეული.** ასე, რომ გასაჩივრებული ნორმები შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან.

მესამე – რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ მემკვიდრეობის უფლებას, იგი, როგორც სასამართლო აღიარებს, არ ირღვევა. სადავო ნორმით დადგენილი მემკვიდრეობით მიღებული მიწის გაყიდვის ვალდებულება არ ზღუდავს მემკვიდრეობის უფლებას, რადგან სადავო ნორმა უცხოელს აძლევს შესაძლებლობას, მემკვიდრეობით მიიღოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გახდეს მესაკუთრე და ამით სრულფასოვნად მოახდინოს მემკვიდრეობის უფლების რეალიზაცია. ხოლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების წარმოშობის შემდეგ მასთან დაკავშირებული ნორმატიული რეგულირების შეფასება სცდება ადამიანის მემკვიდრეობის მიღების უფლებით დაცულ სფეროს.

4. **სასამართლო გადაწყვეტილების 42-ე პუნქტში მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობასა და ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებებს ეხება, უფლებათა სუბიექტების განსაზღვრისას სხვადასხვა ტერმინოლოგიას იყენებს. კონსტიტუციის შესაბამის ნორმებში ვხვდებით შემდეგ ფორმულირებებს: „ადამიანი“, „ყველა“, „ყველა ადამიანი“, „ყოველი ადამიანი“, „მოქალაქე“, „საქართველოს მოქალაქეები“, „საქართველოს ყოველი მოქალაქე“. ამით კონსტიტუცია მიჯნავს უფლებებს, რომელთა სუბიექტიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა, უფლებებისაგან, რომლებიც უნივერსალური ბუნებისაა და „ყველაზე“ ვრცელდება. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება უნივერსალურია და იგი ეკუთვნის ყველას.**

ეს მსჯელობა მცდარია. ჯერ ერთი, ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები იხმარება თითქმის ყველა მუხლში, რომელიც შეეხება ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებას, მაგრამ არა ყველაში. არის გამონაკლისი: 34 მუხლიდან სამი მუხლია, სადაც არც ერთი ეს ტერმინი არ არის გამოყენებული. ასეთ გამონაკლისს მიეკუთვნება სწორედ 21-ე მუხლიც. უნდა დავეთანხმოთ სასამართლოს იმაში, რომ ის მუხლები, სადაც ნახმარია ტერმინები „ადამიანი“, „ყველა“, „ყველა ადამიანი“, „ყოველი ადამიანი“, „მოქალაქე“, ეს უფლება ეკუთვნის ყველას და კონსტიტუციური ნორმა არ განსაზღვრავს უფლების სუბიექტთა ექსკლუზიურ წრეს, მათ შორის – მოქალაქეობრივი ნიშნითაც. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ტერმინები არ იხმარება 21-ე მუხლის მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უფლება ვრცელდება პირველ რიგში მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, ხოლო გავრცელდეს თუ არა იგი უცხოელებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, ეს კანონმდებელმა კონსტიტუციური ნორმით არ გადაწყვიტა, რომელიც ამაზე დუმს. კანონმდებელმა უფლება დაიტოვა, სახელმწიფოს საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ამ უფლების „ყველაზე“ გავრცელების საკითხი გადაწყვიტოს არა კონსტიტუციური ნორმით, არამედ ორგანული ან მიმდინარე კანონმდებლობით. თვითონ საკონსტიტუციო სასამართლო (ვიმეორებთ კონსტიტუცია ამაზე დუმს) გადაწყვეტილების 68-ე პუნქტით იძულებულია აღიაროს, რომ სახელმწიფოს გააჩნია სუვერენიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივ სივრცეს, მათ შორის საკუთრების უფლების შინაარსს და ფარგლებს, თვითონ განსაზღვრავს.

მეორე, თუნდაც დავუშვათ, რომ ეს უფლება უნივერსალური ბუნებისაა და იგი „ყველაზე“ ვრცელდება, სადავო ნორმა არ არის არაკონსტიტუციური, რადგან ეს გამონაკლისი დაშვებულია, სახელდობრ, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების გამო.

5. **საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების 97-ე მუხლში, იშველიებს რა კონსტიტუციის მე-14 მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია...“ ასკვნის, რომ კონკრეტული კონსტიტუციური უფლების დაცვის, უფლებით სარგებლობის ხარისხი საქართველოში მცხოვრები უცხოელისა და საქართველოს მოქალაქისათვის ერთნაირია. თანაც ამ დებულებას ამაგრებს კონსტიტუციის 47-ე მუხლით. (ეს დასკვნა იურიდიული ნონსენსია. კანონის წინაშე თანასწორობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ერთსა და იმავე იურიდიულ სიტუაციაში კანონი პეტრესა და პავლეს ერთნაირად ეპყრობა, და არა იმას, რომ მათ ერთნაირად ეპყრობა სხვადასხვა სიტუაციაში. მაგალითად, პეტრეს უფლებები უანდერძოდ გარდაცვლილი მამის სახლის მიმართ ვერ იქნება იგივე, რაც პავლესი ამავე სახლის მიმართ, და პირიქით. მოქალაქეობაც სიტუაციის ელემენტია და არა პიროვნებათა პრინციპული თანასწორობა-უთანასწორობისა. ეს დასკვნა ისეთივე აბსურდულია, როგორიც მოთხოვნა: რატომ მიგყავარ ჯარში და არ მიგყავს ჩემი მეზობელი უცხო მოქლაქე? სადაა ჩვენი თანასწორობა?)**

უნდა ითქვას, რომ კანონის წინაშე იურიდიული თანასწორობა არ ნიშნავს ფაქტობრივ თანასწორობას. კონსტიტუცია განამტკიცებს მხოლოდ იურიდიული თანასწორობის უფლებას. სახელმწიფოს მიზანი არ შეიძლება იყოს არსებულ ფაქტობრივ განსხვავებათა ტოტალური გათანაბრება, რაც უტოპიაა და რაც არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს გონივრული მიზანი.

**კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, თანასწორობის სუბიექტია „ყველა“ ადამიანი, მაგრამ ეს მუხლი არ ეხება უცხოელების განსაკუთრებულ სტატუსს. უცხოელებისათვის დადგენილი ფაქტობრივი და, რაც მთავარია, სამართლებრივი შეზღუდვები არ ეწინააღმდეგება თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს. ამასთანავე, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ორი ან მეტი ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ თანასწორად ან უთანასწოროდ თუ ეს ურთიერთობები არის მსგავსი და ამგვარად იძლევა შედარების საშუალებას. ერთმანეთს შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მსგავსი ურთიერთობები და არა ყველა.** აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, თანასწორად შეიძლება იქნენ განხილულნი ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მსგავს ვითარებაში. ბუნებრივია, რომ საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები და ასევე მოქალაქეობის არმქონე პირები არ იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში. კონსტიტუციის 27-ე მუხლით უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს სახელმწიფომ შეუძლია დაუწესოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა, ხოლო 47-ე მუხლის ძალით, კონსტიტუციითა და კანონით, როგორც გამონაკლისი, შეუძლია შეუზღუდოს ნებისმიერი უფლება.

**6. რბილად რომ ვთქვათ, უსუსურია საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლთან დაკავშირებით. მისი აზრით, აღნიშნული ნორმა კონსტიტუციური უფლებების მოქმედებას ავრცელებს და ადგენს გარანტიას, რომ კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული კონსტიტუციური უფლებები საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე ვრცელდება საქართველოს მოქალაქეების თანაბრად, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. მოსამართლეებს რატომღაც „ავიწყდებათ“, რომ ამ გამონაკლისის გათვალისწინება შეიძლება არა მარტო კონსტიტუციით, არამედ კანონითაც. ჩვენ შემთხვევაში სწორედ კანონით შეიზღუდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გარკვეული უფლებები. კონსტიტუციის 47-ე მუხლი ადგენს არა ზოგადი ხასიათის თანასწორობას, თუმცა, უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირს უფლებრივად უთანაბრებს საქართველოს მოქალაქეს, მაგრამ იტოვებს უფლებას დაადგინოს განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებით. ამასთანავე, ამ განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის დადგენა შესაძლებელია როგორც კონსტიტუციით, ისე კანონითაც. ეს კარგად იციან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა და ამიტომ დაასკვნეს, რომ სადავო ნორმები არ არის შეთავსებადი კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველ პუნქტთან და საქმის განხილვა იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა სადავო ნორმებით კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველ პუნქტის დარღვევის საკითხს, შეწყვიტეს.**

როგორც ვხედავთ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ საქართველოს კანონში 2007 წლის 19 ივნისს შეტანილი ცვლილებები და დამატებების გაუქმება, რომელიც საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან და 47-ე მუხლის პირველ ნაწილთან შეუსაბამობის საბაბით, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. ჩვენს მიერ დასაბუთებული იქნა, რომ სადავო ცვლილებები და დამატებები შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს და 47-ე მუხლის პირველ ნაწილს.

ეჭვი არ გვეპარება საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაში, მაგრამ მათ მიერ მიღებულ იქნა სამართლებრივად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც ბადებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ, სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოც, როგორც ეს საერთო სასამართლოებში ხდება, გადაწყვეტილებებს იღებს ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის მითითებითა და კარნახით.

რომაული სამართლის ეს სენტენცია: Qui tacuit, cum loqui debuit et potuit, consentire videtur! საგანგებოდ გამოვიტანეთ სათაურში, რითაც გვინდა ხაზი გავუსვათ შექმნილი ვითარების უკიდურეს სიმწვავეს. **სადღეისოდ საქართველოში მიმდინარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებზე გასხვისების დამღუპველი პროცესის აპოლოგეტობას ცოტა თუ ბედავს, უმრავლესობა დუმს და ჰგონია, რომ პილატეს პოზიციაში ყოფნით თავს დაიძვრენს. სწორედ მათ გასაგონად ითქვა თავის დროზე “ვინც დადუმდა, როდესაც შეეძლო და უნდა ელაპარაკა, ის განიხილება მომხრედ!” (ანუ თანამონაწილედ).**

**საქართველოს საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად ჰმართებს, რადგან პროცესები ძალიან მალე მიიღებს კატასტროფულ ხასიათს.** შესაძლებელია, ამ ისტორიული ეტაპიდან საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობად გადაქცევის გარდუვალობა ჯერ ბუნდოვნად მოჩანს ზოგიერთისთვის (სახელდობრ, ნაკლებ მცოდნეთათვის), მაგრამ საკმარისია ჩვენში შეიქმნას დემოგრაფიული ექსპანსიისთვის საჭირო ბაზები, რაც სულ რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის დამკვიდრებას გულისხმობს, რომ პროცესები არა მხოლოდ შეუქცევად ხასიათს მიიღებს, არამედ ყველასთვის ხილულიც გახდება.

**ამოცანაა: დაუყოვნებლივ მოხდეს ამ დანაშაულებრივი დეფექტის გასწორება სათანადო ჩანაწერით საქართველოს კონსტიტუციაში, ან მიწათსარგებლობის ახალი კანონის (კოდექსი) მიღება, რომელშიც თანამედროვეობასთან (მაღალგანვითარებული დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება) მორგებულად ასახული იქნება ის რეგულაციები (შეზღუდვები), რომლებიც ეხება უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე საოსფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას.**

## SUMMARY

*P. Koguashvili*
*Z. Jinjolava*

saqarTvelos yvela moqalaqe ganurCevlad sqesisa, rasisa, erovnebisa, aRmsareblobisa, kanis ferisa, dabadebis adgilisa da a.S. uflebamosilia, rom saqarTvelos bunebriv SesaZleblobebs, pirvel yovlisa _ miwas ganixilavdes, rogorc Tavisi STamomavlobis garantirebul sakveb bazas aw da maradis.

saqarTvelos sasoflo-sameurneo miwis gatana Ria bazarze, sadac, praqtikulad, arc erTi konkurentunariani saqarTvelos moqalaqe ar arsebobs, saakaSvilis administraciis mxridan aris saxelmwifo Ralati. saqarTvelos sakonstitucio sasamarTlos 2012 wlis 26 ivnisis gadawyvetileba #3/1/5/512, romelmac gaauqma ukanaskvneli SezRudvebi miwis ganukiTxav gasxvisebaze moqalaqeobis armqone pirebze, aris Ralatis am procesis erT-erTi arsebiTi da damagvirgvinebeli epizodi.

avtorebi asabuTeben sakonstitucio sasamarTlos am aqtis iuridiul TvalsazrisiT mankier da agraruli TvalsazrisiT katastroful aqts.

# კულტურათა თანაარსებობა

*ციალა ხინთიბიძე,*
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

**ალბერ კამიუს** ეკუთვნის შემეგი სიტყვები: „მონოლოგი როგორც სცენაზე, ასევე ცხოვრებაში სიკვდილის მომასწავებელია“. ეს ფრაზა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენს დროში, რომელიც შესაძლოა, ყველაზე კრიზისულიც კი იყოს კაცობრიობის ისტორიაში. მონოლოგურობა საშიშროებას წარმოადგენს როგორც ცალკეული ინდივიდებისათვის, ასევე მთიანად კაცობრიობისთვისაც. ამდენად, **განსხვავებულ კულტურათა შორის ურთიერთობის გაღრმავება და მათ შორის დიალოგი მეტად აქტუალურია დღევანდელ მსოფლიოში.** დიალოგი კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა; იგი დროის ობიექტური მოთხოვნაა, რომელიც ხელს უწყობს მოინახოს გზები თანამედროვეობის გლობალური პრობლემების მოგვარებაში, ერთიანი, ურთიერთდაკავშირებული გარემოს შესაქმნელად.

დღეს არსებული კონვენციონალური მიკრო და მაკრო სისტემები ვეღარ არეგულირებენ ცალკეულ ადამიანთა თუ სოციალურ ჯგუფთა კულტურულ ურთიერთობებს. იზოლაციონიზმის ტენდენციების გადალახვა, ტოლერანტული სულის განმტკიცება და ა.შ. ხელს შეუწყობს განსხვავებულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ კულტურული ტრადიციების გაგებასა და გაზიარებას.

პლანეტარული ცივილიზაცია უნიფიცირებული ხდება. ჩვენ გლობალური ერთობის წევრები გავხდით, რომელიც გადაუდებლად გვკარნახობს კოლექტიური ცნობიერების ფორმირებასა და „კოლექტიური პასუხისმგებლობის“ საკითხის გადაწყვეტას, უნივერსალურად მნიშვნელოვანი ეთიკის ახალი შინაარსით შევსებას, რომელიც აღიარებდა და დაიცავდა კულტურულ პრულარიზმს. ამით აიხსნება სწრაფვა მოინახოს დიალოგის ადგილი კულტურაში, აღწერილ იქნას კულტურის დაილოგურობა.

დიალოგი მრავალგვარია. კულტურული **დიალოგი როგორც დიალოგის ერთ-ერთი ფორმა გულისხმობს მხარეთა შორის ინფორმაციული და ექსისტენციალურ ინტერაქციულობას, რომლის საშუალებითაც ხდება კულტურათა შორის გაგება – ფენომენოლოგიური დიალოგი.** ეს არის უშუალო გაცვლა და, ასე ვთქვათ, „თარგმანი“ პერსონალურ მთლიანობებსა თუ კულტურათა სამყაროს შორის თავიანთი წილხვედრი თვისებების შენარჩუნებით. მოცემული ტიპის დიალოგში გაგების სავსეობა მხოლოდ და მხოლოდ „სხვისი“ ენის განცდით შეიძლება იყოს გარანტირებული. ამ შემთხვევაში ენაში იგულისხმება საკუთრივ კულტურული ენა, რომლის ათვისება კი ვერბალური ენის დაუფლებაზე გაცილებით რთული პროცესია.

კულტურა, როგორც ასეთი, მნიშვნელობს იქ, სადაც სულ ცოტა ორი კულტურაა წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, რომ **დიალოგი კულტურათა თვითრეფლექსიაა, რომლითაც ის აცნობერებს საკუთარ თავს როგორც თვითმყოფად კულტურას**.

კულტურა მნიშვნელოვანი და მრავალწახნაგოვანი ფენომენია. იგი ყოველივე იმის ერთიანობა, რაშიც განხორციელებულია, რეალიზებულია ღირებულებები. მხოლოდ ღირებულებათა სფეროშია შესაძლებელი ურთიერთგაგება. **ღირებულება ადამიანური გონითი არსობრივი ძალაა, რომელშიც იგი ავლენს თავის შინაგან ტრადიციებსა და შესაძლებლობებს** და რომლის რეალიზაციის საფუძველზე იქმნება კულტურა. სწორედ ამიტომ, ამოსავალ პრინციპად კულტურათა ურთიერთობაში, ადამიანი უნდა იყოს მიჩნეული.

ადამიანი ის „მიკროკოსმოსია“, თავისუფალი არსებაა, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი თავი პიროვნებად, საკუთარი რაობისა და ვინაობის დამდგენ არსებად, ადამიანის შესაფერისი ყოფიერების არსებობას მხოლოდ ურთიერთობებში ამტკიცებს. სწორედ ურთიერთობებია ადამიანის ადამიანად გახდომის, მისი ჰუმანურობის მაჩვენებელი; მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად გადაიქცა მეორე ადამიანი მის შინაგან მოთხოვნილებად. ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანური ინტერაქციულობა და მათი დიალოგურობა ადამიანის ადამიანად გახდომის გარანტია.

**თუ კუტლურას ადამიანის ჰუმანიზაციის საზომად განვიხილავთ, მაშინ კულტურული დიალოგი არა მარტო საშუალება იქნება ადამიანთა** და განსხვავებულ კულტურათა ურთიერთობებში, არამედ კულტურის არსებად წარმოგვიდგება. თავისუფალი, ინდივიდუალური ადამიანის აზრმა შეიძლება შეიძინოს ერთიანი გონითი სისტემა, სადაც საკუთარი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია შენარჩუნებული და გარკეულ ფუნქციას ასრულებს ერთიან კულტურათა სისტემაში. ამგვარი მეთოდლოგია ხელს უწყობს კულტურის კომუნიკაციურ ხასიათს და ამტკიცებს დიალოგს, როგორც გარკვეულ ნორმას, თანამედროვე კულტურათა პროცესებში.

სხვადასხვა ქვეყნების ცივილიზაციური წინსვლა, კულტურათა შორის ურთიერთობების დიალოგურობის გაღრმავებითა და განვითარებითაა შესაძლებელი. ერი – სოციალური ორგანიზმია, რომელიც პიროვნებისეული, პერსონირებული რეალობაა, ერებიცა და ხალხებიც ინდივიდებისაგან შედგება და გასაგებია მათი სწრაფვა დიალოგის საშუალებით მონახოს თავისი ადგილი მსოფილო კულტურათა სისტემაში.

„ერსაც, ისევე როგორც ადამიანს, ევალება იყოს საკუთარი ვინაობისა და რაობის დამდგენი; თავისი ისტორიული ცხოვრების დამდგენი, საკუთარი სუ-

ლის შესაფერისი – კულტურის – შემომქმედი“.

ერებს მეტი შესაძლებლობა და ძალა აქვთ გადაარჩინონ საკუთარი არსება. ეს კი, პირველ რიგში, საკუთარი ღირებულებების გაცოცხლებით, გათავისებით, მისი ხელახალი გააზრებით. თვითრეფლექსითაა შესაძლებელი. ეს სრულებით არ ნიშნავს სხვა კულტურების ღირებულებათა უგულვებელყოფას. უფრო მეტიც, ღირებულებათა გადააზრება, პირველ რიგში, სხვა კულტურების ღირებულებებთან უნდა იყოს დაკავშირებული. განსახვავებულ კულტურათა ღირებულებებში წვდომით, შესაძლოა, საერთო საზიარო ნიშნების დანახვა. დიალოგის მნიშვნელობა არა მარტო ის იქნება, რომ იგი კულტურათა ურთიერთქმედების საშუალებას მოგვცემს, არამედ კულტურათა დიალოგურ მზაობასაც დაადასტურებს. ეს, რაღა თქმა უნდა, უნდა მოხდეს ეროვნული კულტურების შინაგანი პროცესების განვითარებით, მათი უნიკალობისა და ორიგინალურობის შენარჩუნებით.

სხვათა კულტურების უნიკალობის შემფასებელი, უფრო „მაღალგანვითარებული“ კულტურის წარმომადგენელი ქედმაღლურად არ მოექცევა ნაკელბადგანვითარებულ კულტურას, არმედ წარმოუდგენს მას თავის ნამდვილ დონეს. ამით იგი აძლევს მას საკუთარი კულტურის განვითარების მიმართულებას. ასეთ ვითარებაში  გამჟღავნებულია მცდელობა ჩასწვდე სხვა კუტლურების თავისებურებებს, პატივისცემით განიმსჭვალო მისდამი, როგორც თავისუფალი არსებისადმი, გახსნა და შეადარო მას საკუთარი თავი მისსავე თვალწინ. ყველაფერი ეს ურთიერთობათა მაღალ დონეს წარმოადგენს. იმისათვის, რომ კულტურათა შორის დიალოგი შესაძლებელი იყოს, თავად კულტურები უნდა იყვნენ დიალოგურნი, ანუ აკმაყოფილებდნენ კულტურათა ტოლერანტულობის მოთხოვნებს.

კაცობრიობა თავისი გლობალური პრობლემებით, ეთნოკრიზისებით, რელიგიური დაპირისპირებულობებით და ა.შ. თვითგანადგურების წინაშე დგას. მისი გადარჩენის ალტერნატივა არის ერ-სახელმწიფოთა კულტურებს შორის ახალი აზროვნების დამკვიდრება – კულტურათა დიალოგის გაღრმავება. კულტურათა მრავალგვარობა და კულტურული პლურალიზმი ახალი პარადიგმაა. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ კულტურათა თვითმყოფადობასა და მრავალფეროვნებას.

კაცობრიობა ერთ მთლიან მოზაიკურ პანოდ უნდა წარმოიდგინებოდეს, სადაც თითოეულ გარკვეულ ნაწილს თავისი დამახასიათებელი, განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი და მიუხედავად ამ ნაწილების განსხვავებულობებისა, ის მაინც ერთიან ჰარმონიულ სურათს ქმნის. ეს კი კულტურათა დიალოგის გაღრმავებით, მისი ახალ განზომილებაში გადაყვანით, დიდი ძალისხმევის საშუალებითაა მიღწევადი. ამგვარი დიალოგები გაგვიხსნიან გზას ჭეშმარიტად კულტურულ სამყაროში, მით უმეტეს, იმ რთულ სიტუაციაში, როდესაც მულტიკულტურალიზმი ერთგვარ უნიფორმად იქცა და თავისთავად ბოჭავს კულტურის თავისუფლების იდეას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ნ. ჭავჭავაძე, თეზისები, 1986.

**რეზიუმე**

განსხვავებულ კულტურათა შორის ურთიერთობების გაღრმავება და მათ შორის დიალოგი მეტად აქტუალურია თანამედროვე სამყაროში.

გლობალიზაციური პროცესები კულტურათა უნიფიცირებას განაპირობებს. კულტურათა მრავალფეროვნებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელ პირობად კულტურათა დიალოგი გვევლინება. კულტურათა დიალოგი თანამედროვეობის ახალი პარადიგმაა, რომელიც უზრუნველყოფს კულტურათა პლურალიზმს. იგი ახალ განზომილებაში გადაგვიყვანს, სადაც საკაცობრიო კულტურის ერთ მთლიან მოზაიკაში, თითოეულ კულტურას, მიუხედავად მათი განსხვავებულობისა, საკუთარი ადგილი ექნება მიჩენილი.

**Summary**

*T. Khintibidze*

**DIFFERENCIES OF CULTURES WITHOUT ALTERNATIVE**

The article deals with the dialogue between different cultures which

Is very actual in contemporary world.

The process of globalization stipulates unification of cultures. To keep

diversity and originality of cultures is indispensable condition of conducting a dialogue

of cultures. Dialogue between cultures is a new paradigm of nowadays which ensures

pluralism of cultures. It will transfers us into a new dimension where in one whole

mosaic of human cultures each culture, in spite of their differences, will take its own place.

# პოლიტიკური კრიტერიუმები – თურქეთის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე

*ია რუსიეშვილი,*
*სტუ-ს დოქტორანტი*

## წევრობის განმსაზღვრელი ფაქტორები

ევროკავშირში 27 ევროპული სახელმწიფოა გაერთიანებული, რომელთა ძირთადი მიზანი პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიმართულებებთან ერთად დემოკრატიის განვითარება და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების პატივისცემაა.

ევროკავშირში გაწევრიანება ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც თურქეთია, არ წარმოადგენს ადვილ საქმეს. ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისათვის საჭიროა აკმაყოფილებდე იმ ნორმებსა და ახორციელებდე იმ პრინციპებს, რომლებიც პრიორიტეტულია კავშირისათვის. კოპენჰაგენის კრიტერიუმები განმსაზღვრელ როლს ასრულებენ ამა თუ იმ ქვეყნის გაწევრიანებისას. შესაძლებელია ითქვას, რომ მათი დაკმაყოფილება ევროკავშირის წევრობის გარანტიაა. და ასევე მნიშვნელოვანია aqcuis communitare შესრულება.

კოპენჰაგენის კრიტერიუმები სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება: ევროპულობა (წევრობის მსურველი ქვეყანა უნდა წარმოადგენდეს ევროპული ტიპის სახელმწიფოს); პოლიტიკური კრიტერიუმები (ინსტიტუტების სტაბილურობის დონე, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიის დაცვას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებათა და უმცირესობათა უფლებებს. ძალზე მნიშვნელოვანია აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, რეგიონული თანამშრომლობა და ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობა) და ეკონომიკური კრიტერიუმები (ძლიერი საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ევროკავშირში არსებულ კონკურენციას გაუძლებს).

## პრობლემის ანალიზი და დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში ამა თუ იმ სახელმწიფოს განვითარების დონე ფასდება იმის მიხედვით თუ რა სტადიაზე იმყოფება მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური ევოლუცია. ეს ორი ფაქტორი განაპირობებს კიდეც ზოგადად პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას, დონეს კი განსაზღვრავს არა იმდენად მდიდარი ტრადიციები, არამედ მიმდინარე სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარება.

მსოფლიოში ინტეგრაციული პროცესის გაღრმავებასთან ერთად თანდათანობით ჩამოყალიბდა სახელმწიფოს გამაერთიანებელი საერთო პოლიტიკური კულტურა, რომელიც გულისხმობს ჰუმანიზმის იდეაზე დაყრდნობით სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთი მოდელის შექმნას, სადაც უპირველესი პრიორიტეტებია: დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარება. დასახელებულმა კრიტერიუმებმა არნახული სისტემური განვითარება ჰპოვა ევროკავშირის ფარგლებში. ამიტომაც გაჩნდა კიდეც ტერმინი „ევროპეიზაცია“, რაც სინამდვილეში ატარებს არა გეოგრაფიულ, ტერიტორიულ შინაარს, არამედ ნიშნავს თანამედროვე სახელმწიფოს მდგომარეობას. თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ყველა სფეროს მოდერნიზაციასთან, ჩვენ სწორედ აღნიშნული ტერმინში გავაერთიანეთ. თურქეთისთვის ევროპეიზაციის საბოლოო გამოხატულება უნდა გახდეს მისი გაწევრიანება ევროკავშირში სრულუფლებიანი წევრის სტატუსით.

აუცილებელია, გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: დღესდღეობით თურქეთის მოსახლეობა აჭარბებს 70 მილიონს ანუ ამ მაჩვენებლით ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მას მხოლოდ გერმანია უსწრებს. მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ასეთი ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში მისი მოსახლეობა ახლო მომავალში 86 მილიონი იქნება, ხოლო 2020 წლისთვის კი მიუახლოვდება 100 მილიონს. ამრიგად, თურქეთი, კავშირის ყველაზე დასახლებული ქვეყანა, მიიღებს ევროსაბჭოში ზუსტად იმდენ კვოტებს, რამდენიც აქვს დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას და თურქეთი ეფექტურად შეძლებს, გავლენა იქონიოს ორგანიზაციის გადაწყვეტილებებზე. ეს ფაქტორი თურქეთის კავშირში გაწევრიანებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან არაოფიციალურ ბარიერად სახელდება. თურქეთი თავისი მოსახლეობის რაოდენობით უსწრებს კავშირის წევრ ათ ქვეყანას (რუმინეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, კვიპროსი).

ამასთან ერთად თურქეთის საწინააღმდეგოდ მოქმედებს დროის ფაქტორი: თუ 1987 წელს თურქეთი იყო კავშირისათვის ერთადერთი კანდიდატი, დღეს უკვე მას დიდ კონკურენციას უწევს მრავალი მცირერიცხოვანი სახელემწიფო. თანაც თურქეთი თავად სულ უფრო და უფრო ჩამორჩება ევროკავშირში მიმდინარე პროცესებს. ინტეგრაცია ორგანიზაციის

ჩარჩოებში უფრო სწრაფად ხორციელდება, ვიდრე - კავშირსა და თურქეთს შორის, რაც ქვეყანას ძველ, ჯერ კიდევ შეუსრულებელ, ვალდებულებებთან ერთად აკისრებს სულ ახალ და ახალ მოთხოვნებს და ვალდებულებებს.

2004 წლის ბოლოსთვის თურქეთი არც მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით და არც ეკონომიკის ეფექტურობის მაჩვენებლებით არ შეესაბამებოდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მახასიათებლებს. ცხადია, რომ ქვეყანას კიდევ მნიშვნელოვანი დაბრკოლების ეტაპობრივი დაძლევა მოუწევს შეზღუდული დემოკრატიული სისტემიდან კონსოლიდირებულ საზოგადოებამდე. თუმცაღა, თურქეთის საკვანძო გეოსტრატეგიული მდებარეობის, მუსლიმური და თურქულ სამყაროში განსაკუთრებული ადგილის, დასავლეთის სახლემწიფოსთან მჭიდრო კავშირების გათვალისწინებით მისი ადგილი თანამედროვე სამყაროში ინარჩუნებს ცხოველურ დაინტერესება-მნიშვნელობას და აქტუალურობას, რისი დადასტურებაც ჰელსინკის სამიტის გადაწყვეტილება იყო: თურქეთის ევროკავშირში ოფიცილაურად გაწევრიანებისათვის კანდიდატ ქვეყნად დასახელება.

ევროკავშირში გაწევრიანებისათვის თურქეთის არასახარბიელო სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური მაჩვენებლები არავითარ შემთხვევაში არ უნდა აკნინებდეს მის მიღწევებს. XXI საუკუნის დასაწყისისათვის თურქეთში განხორციელდა ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლიგიის სფეროებში უმნიშვნელოვანესი, ფუნდამენტური ცვლილებები. საერთო ჯამში ეს ცვლილებები შეიძლება ჩაითვალოს გრანდიოზული, ისტორიული მიზნისკენ, ათათურქის მიერ დაწყებული თურქული საზოგადოების ევროპეიზაციის წარმატებულ შედეგად. ამ მიმართულებით გადადგმულმა პირველმა და ნამდვილად რევოლუციურმა ნაბიჯებმა განსაზღვრა საერო სახელმწიფოს საფუძვლების, ეროვნული შეგნების, ეროვნული წარმოებისა და ეკონომიკის შექმნა. ოსმანიზმი და ისლამიზმი შეცვლილ იქნა ახალი იდეოლოგიით – თურქიზმით, რომელიც მოწოდებული იყო მთელი ქვეყნის მოსახლეობა და უპირველესად მისი ელიტა მიემართა ქვეყნის საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს მოდერნიზაციისაკენ. ათეული წლები გავიდა მას შემდეგ, რაც თურქეთმა პირველად გამოთქვა ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი. ამ ხნის განმავლობაში თურქეთი შეძლებისდაგვარად ცდილობდა, მორგებოდა ევროკავშირის მოთხოვნებს, გაეტარებინა შესაბამისი რეფორმები, წასულიყო აუცილებელ დათმობებზე. ევროკომისიის 2009 წლის ანგარიშში ხაზგასმულია ის პროგრესი, რასაც თურქეთმა ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური დაახლოების გზით მიაღწია. მიუხედავად თურქეთის მცდელობისა, ჯერ კიდევ ბუნდოვანია თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნაწილი ეწინააღმდეგება თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას და მას პრივილეგირებულ პარტნიორობას სთავაზობს, რაზედაც თურქეთი არ თანხმდება. ქვეყანა არის ნატოსა და ყველა ევროპული ორგანიზაციის წევრი (ევროკავშირის გარდა), ევროკავშირის რიგით მე-7 სავაჭრო პარტნიორი რაც, გარკვეულწილად, იმას ნიშნავს, რომ თურქეთს უკვე აკავშირებს ევროკავშირთან მჭიდრო პრივილეგირებული თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ პასუხობს კოპენჰაგენის კრიტერიუმებს და ევროკავშირის acquis communautaire-ის 33 თავიდან მხოლოდ ერთი აქვს დახურული, გვერდს ვერ ავუვლით სხვა პრობლემებსაც, რაც თურქეთის გაწევრიანების საქმეს აბრკოლებს. გაფართოების ბოლო ტალღამ ევროკავშირს მთელი რიგი სირთულეები მოუტანა და მისი გადაღლა გამოიწვია რის შედეგად, ევროკავშირი ერიდება დიდი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნის საკუთარ რიგებში მიღებას. ევროკავშირის ბოლო გაფართოება მოხდა 2007 წელს კავშირში რუმინეთის და ბულგარეთის გაწევრიანების შემდეგ. ბულგარეთი და რუმინეთი ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებს წარმოადგენდნენ, რომელთაც კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა ჰქონდათ, დემოკრატიის დონე და ადამიანის უფლებები სტატისტიკური მონაცემებით და ევროკავშირის ანგარიშის მიხედვით ძალიან ცუდ შედეგებს აჩვენებდა. 2006-2007 წლის არსებული დემოკრატიული და სოციალური მდგომარეობა თურქეთს ბულგარეთს და რუმინეთს შორის არსებითად არ განსხვავდებოდა, ხოლო ეკონომიკური მაჩვენებლებით თურქეთის მდგომარეობა გაცილებით აღემატებოდა ბულგარეთ-რუმინეთის ეკონომიკურ მაჩვენებლებს. (იხ. დანართი 2,6,7) (მშპ-ის ზრდის ტემპმა 2002-07 წლებში 7.4% შეადგინა, რის გამოც თურქეთი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა გახდა მსოფლიოში ამ პერიოდის განმავლობაში. მსოფლიო ბანკის წინასწარი მონაცემებით თურქეთის მშპ-ის ზრდის ტემპი 2008 წელს 5.4%-ს შეადგენდა. თურქეთის ეკონომიკის დომინანტური დარგი სოფლის მეურნეობა უკვე აღარ არის. ის ჩაანაცვლა დინამიკურმა ინდუსტრიულმა კომპლექსებმა ბირთვ ქალაქებში, რომელთა უმრავლესობა ქვეყნის დასავლეთ პროვინციებშია კონცენტრირებული, განვითარებულ მომსახურების სექტორთან ერთად. 2007 წელს სოფლის მეურნეობამ ქვეყნის ეშპ-ის 8,9% შეადგინა, მაშინ როცა ინდუსტრიული სექტორი 30,8%, ხოლო მომსახურების სექტორი 59,3% იყო.) აღსანიშნავია, რომ ორივე ქვეყანა მოსახლეობით და სიდიდით მნიშვნელოვნად ჩამორჩება თურქეთს, (ბულგარეთი-7,700,000, რუმინეთი-21,600,000, თურქეთი-73,700,00 მილიონი 2007 წლის მონაცემები, www.freedomhouse.org) ასევე მათ არ ქონდათ ისეთი ეთნიკური პრობლემები როგორც თურქეთს აქვს ქურთებთან და დაძაბული ურთიერთობა კავშირის წევრ ორ ქვეყანასთან საბერძნეთთან და კვიპროსთან. ამიტომ ვერ ვიტყვით რომ კავშირმა გამოიჩინა მიკერძოებული დამოკიდებულება ევროპული ქვეყნების მიმართ და დაჩაგრა მაჰმადიანური თურქეთი. ევროკავშირისთვის უფრო ადვილი იქნე-

ბოდა მოსახლეობით და სიდიდით გაცილებით მცირე ორი ევროპული ქვეყნის მიღება და მათი ათვისება ვიდრე თურქეთის. ასევე ევროკავშირის მიზანია დაეხმაროს ევროპულ ქვეყნებს სოციალურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად რათა კონტინენტზე იყოს მეტი სტაბილურობა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში ინტეგრაციის გაჭიანურებული პროცესი და გამუდმებული დებატები იმის თაობაზე, არის თუ არა თურქეთი ევროპული სახელმწიფო, თურქული საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს. ევრობარომეტრის ბოლო კვლევამ აჩვენა, რომ ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა თურქეთის მოსახლეობის 44 %. მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი 2005 წელს 66 % იყო. დასაფიქრებელია, რომ ევროკავშირის პოლიტიკით საზოგადოების მზარდმა იმედგაცრუებამ შესაძლოა, საზოგადოებრივი აზრის ალტერნატიული ფასეულობებისკენ შებრუნება გამოიწვიოს, მით უმეტეს, რომ ქვეყნისთვის უცხო არ არის ისლამისტური და მილიტარისტული ძალების პოპულარობა. ევროკავშირთან თურქეთის მთავარმა მომლაპარაკებელმა, ეგემენ ბაგიშმა, განაცხადა, რომ თურქეთს საშუალება აქვს გახდეს მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, გახდება თუ არა ის ევროკავშირის წევრი. თურქეთი უკმაყოფილოა, რომ ევროკავშირი მხოლოდ თურქეთის პრობლემატურ ურთიერთობებზე ამახვილებს ყურადღებას და ვერ ამჩნევს მის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას რეგიონის ქვეყნებთან. ქვეყანა უკმაყოფილოა იმითაც, რომ ევროკავშირი აუქმებს ვიზებს მაკედონიის, მონტენეგროსა და სერბეთის მოსახლეობისთვის, მაგრამ არ ახდენს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას კავშირში შემავალი კანდიდატი თურქეთისთვის. თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიული ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ როდესაც ევროკავშირმა თურქეთთან გაწევრიანების მოლაპარაკებები დაიწყო, თურქეთი უკვე მაჰმადიანური ქვეყანა იყო და ამ არგუმენტის გამოყენება გაწევრიანების პროცესში უადგილოა. თურქეთმა ევროკავშირთან ურთიერთობა ააწყო საერთო ფასეულობების და დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის საფუძველზე. თურქეთის პრეზიდენტის აზრით, თურქეთი არა მხოლოდ ასრულებს ევროპულ კრიტერიუმებს, არამედ რეგიონში ევროპული ფასეულობების გავრცელებასაც უწყობს ხელს. მისი აზრით, თურქეთს ძალუძს ხელი შეუწყოს ევროკავშირის ახლო აღმოსავლეთთან დაახლოებას. არგუმენტები, რომლებიც თურქეთს ევროკავშირში გაწევრიანების სასარგებლოდ მოჰყავს, ევროკავშირისთვის მისაღებია. ევროკავშირს მართლაც სჭირდება გასაღების ბაზარი, იაფი მუშა ხელი, მედიატორი ისლამურ სამყაროსთან, სანდო ენერგეტიკული ცენტრი და სხვ, მაგრამ ევროკავშირს ურჩევნია, ეს ყველაფერი ისე მიიღოს, რომ ევროკავშირში თურქეთის სრულფასოვანი წევრობა აიცილოს თავიდან. აქვე გასათვალისწინებელია, რომ თურქეთის არგუმენტი, რომ ქვეყანა ბარიერია ტერორიზმის, არალეგალური მიგრაციის, იარაღით, ნარკოტიკებით ვაჭრობის და სხვ. დანაშაულებათა გზაზე, შესაძლოა, კონტრარგუმენტადაც გამოდგეს და ევროკავშირს ერჩიოს, ბარიერად პარტნიორი ქვეყანა ჰყავდეს და არა ევროკავშირის წევრი. ევროკავშირს არ სურს, რომ მისმა საზღვრებმა ახლო აღმოსავლეთამდე გადაიწიოს და მისი წევრი ქვეყანა გახდეს მუსულმანური თურქეთი, რომელსაც, მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეეძლება ევროკავშირში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ევროკავშირის თურქეთთან დამოკიდებულებისა და გავლენიანი წევრი ქვეყნების პოზიციების მიხედვით, ევროკავშირის აზრით, მოცემულ ეტაპზე თურქეთის ევროკავშირში წევრობის ფასს აღემატება ევროკავშირის გარეთ ყოფნის ფასი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თუ თურქეთში ევროკავშირის მსგავსი დამოკიდებულებით მზარდ უკმაყოფილებასა და თურქული მხარის განცხადებებს გავითვალისწინებთ იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთს შეუძლია წამყვანი ქვეყანა გახდეს ევროკავშირში გაწევრიანების გარეშეც, შესაძლოა, ეს ბალანსი დროთა განმავლობაში შეიცვალოს კიდეც.

თურქეთის ევროპეიზაციის გადაულახავ პრობლემად რჩება საზოგადოების სასულიერო ცხოვრებაში წინააღმდეგობების არსებობა, რომელიც ხელს უშლის მის მისადაგებას თანამედროვე, საყოველთაო მოთხოვნებთან, აგრეთვე დემოკრატიზაციის პროცესებთან და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასთან. 90-იანი წლების თურქეთის საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში შეინიშნება პოლიტიკური ისლამის აქტივიზაცია, რომლის საბოლოო მიზანსაც წარმოადგენს შარიათის რეჟიმით ახლანდელი სამართლებლივი სახელმწიფო სისტემის შეცვლა. ამ კრიზისთა საფუძველი საერთო ჯამში არის სახელისუფლო ელიტის უუნარობა, გადაწყვიტოს არსებული მწვავე სოციალური პრობლემები. ხშირ შემთხვევაში მმართველი სახელისუფლო წრეები ექსტრემისტული ძალების ნეიტრალიზების მიზნით, მზად არიან, მიმართონ მათი საქმიანობა მეზობელი კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში. თურქეთში ისლამის ასეთი აქტივობა მის ევროპულ ინტეგრაციას ეწინააღმდეგება. მართალია, კონსტიტუციით რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია, არამუსლიმური რელიგიური თემები მაინც აწყდებიან სირთულეებს. მათ აქვთ შეზღუდვები საკუთრების უფლებებზე, თავიანთი ფონდების მართვის საკითხში განიცდიან ჩარევას და არ ეძლევათ უფლება, ასწავლონ სასულიერო პირებს. მიღებულ იქნა ზომები, რათა გარანტირებული იყოს მეჩეთების გარდა სხვა ტაძრების გახსნაც.

საყურადღებოა, რეგიონის მნიშვნელობა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ რეგიონებში ინტეგრაციის განვითარება ვერ მიმდინარეობს ისე ჰარმონიულად, როგორც ეს ევროპაში ხდება, ევროკავშირი თავს იკავებს, რომ თავის რიგებში თურქეთი გააწევრიანოს. ასევე, მწვავედ დგას ცივილიზაციების თანაარსებობის საკითხი.

ის, რომ თურქეთის ტერიტორიის ნაწილი გეოგრაფიულად ევროპას ეკუთვნის, დიდად ვერ ცვლის ევროპული ცივილიზაციის ნეგატიურ განწყობას რეგიონთან დაკავშირებით. სირია, ირანი, ერაყი — ეს ის ქვეყნებია, რომელთანაც მეზობლობა ევროკავშირს ახლო მომავალში არ ხიბლავს.

სამუელ ჰანტინგტონის მოსაზრებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ევროპული ინტეგრაცია (ევროატლანტკური თანამშრომლობის ჩათვლით) ებრაულ-ქრისტიანული ცივილიზაციების დაახლოების პროცესია. ამავე დროს ნათლად ვხედავთ, რომ ევროკავშირი ცდილობს, დაუახლოვდეს სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონის არაბულ (ისლამურ) სახელმწიფოებს. აქ ასევე საგულისხმოა 1999 წელს ჰელსინკის ევროპული

საბჭოს მიერ თურქეთის კანდიდატ ქვეყნად აღიარების საკითხიც, მაგრამ, კარგად ვიცით, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას არ გააჩნია აშკარად გამოხატული

დამაიმედებელი პერსპექტივები. თურქეთში სხვადასხვა მრავალი პრობლემების გამო ვერ ხერხდება ქვეყანაში ინტეგრაციის სტაბილური კურსის შენარჩუნება. ევროპის

ქრისტიან-დემოკრატიული ფრთის პარტიების წინააღმდეგობისა და თვით თურქეთის შიდა პოლიტიკური პროცესები (ისლამიზმისა და სეკულარიზმის ბრძოლა ერთთმანეთთან) არ იძლევა ამის საშუალებას. თურქეთი მთელი მისი ევროკავშირთან ურთიერთობების მანძილზე ბევრ დათმობაზე წავიდა, რათა ევროპულ ინსტიტუტებში სრული ინტეგრაცია მოეხერხებინა. სამწუხაროდ დღესდღეობით თურქეთის პერსპექტივა ამ თვალსაზრისით დიდი არაა. ამიტომაც, სახელმწიფო ცდილობს თავისი ადგილი დაიმკვიდროს სხვადასხვა საშუალებებით საერთაშორისო სისტემაში. საგულისხმოა მისი ჩართულობა ამა თუ იმ კონფლიქტში და თურქეთის როლი გლობალური მასშტაბით. თურქეთის როლი რეგიონში დღესდღეობით ძალიან მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ მისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, სამხედრო ძალით და მეორე მხრივ, როგორც ძლიერი მოკავშირე ვაჭრობის სფეროში, როგორც დასავლეთისთვის ასევე აღმოსავლეთისთვის. დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, თურქეთის შანსები ევროკავშირში გაწევრიანებისათვის არც თუ ისე დიდია. მოლაპარაკებები ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რომელიც 2005 წელს დაიწყო დღემდე წარუმატებლად მიმდინარეობს.

დღესდღეობით თურქეთი აღარ კმაყოფილდება მუსულმანურ სამყაროში დასავლეთის მოკავშირეობით და ცდილობს, ცენტრალური როლი ითამაშოს რეგიონში. თურქეთის საგარეო პოლიტიკა მიზანმიმართულია მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად, რეგიონში აქტიური და მრავალმხრივი პოლიტიკის საწარმოებლად. ამგვარი პოლიტიკა თურქეთს შესაძლებლობას მისცემს, იქცეს რეგიონალურ და გლობალურ, ძლიერ აქტორად. რეგიონში თურქეთის როლის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ თურქეთის საგარეო პოლიტიკური აქტივობა კავკასიისა და ცენტრალური აზიის თურქულენოვანი ქვეყნების მიმართ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთი შეეცადა, მოეხდინა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენა ამ ქვეყნებზე, რაც გამოიხატებოდა შედარებით მცირე დროში მჭიდრო კავშირების დამყარებით. დასავლეთში არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკა ისლამურ ფესვებს უბრუნდება. აშშ-სა და თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობა აისახება თურქეთის მიმართ ევროპული სახელმწიფოების ლიდერების დამოკიდებულებაშიც.

თურქეთის ახლო მეზობლები, როგორიცაა ირანი, ევროკავშირს კიდევ ერთ დაბრკოლებას უქმნის თურქეთის თავის რიგებში მიღების საკითხში. ამერიკის მოსაზრებით, დიპლომატიური საშუალებები ირანის (ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით) შესაჩერებლად ამოწურულია და ამიტომ ირანის ეკონომიკურ ბლოკადას ითხოვს. ევროკავშირის წარმომადგენლები ამ საკითხთან დაკავშირებით, ისევე როგორც ამერიკა, ფრიად შეშფოთებულნი არიან, რაც დასტურდება ქეთრინ ეშტონისა და სხვადასხვა ევროპელი ლიდერების მოლაპარაკებებით ირანთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი ეძებს გარკვეულ სპეციალურ ფორმულას. თურქეთთან მიმართებაში. ერთ-ერთი ასეთი ფორმულაა - ყველაფერი გარდა ინსტიტუტებისა, რაც გულისხმობს თურქეთისათვის ყველა იმ პრივილეგიის მინიჭებას, რაც ევროკავშირის წევრ ქვეყანას ენიჭება გარდა იმისა, რომ მას არ ჩართავენ ევროკავშირის ინსტიტუტებში. თურქეთმა არაერთხელ განაცხადა, რომ ასეთი მიდგომა მათთვის კატეგორიულად მიუღებელია.

კველვის მიზანია დამედგინა კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ, რატომ ვერ ხერხდება თურქეთის სრული ინტეგრაცია კავშირში, და იყო თუ არა ეს განპირობებული განსხავებული რელიგიის და კულტურის გამო.

კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ თურქეთი გატარებული რეფორმების მიუხედავად კვლავაც არ შეესაბამება ევროკავშირის და წევრი ქვეყნების სტანდარტებს. ჩამორჩება მათ სოციალური და პოლიტიკური მაჩვენებლებით. ვერ აკმაყოფილებს კავშირის ძირითად მოთხოვნებს – კოპენჰაგენის კრიტერიუმებს. (დემოკრატია, ადამიანის უფლებები, უმცირესობათა უფლებები) აქვს პოლიტიკური პრობლემები, (ქურთები, კვიპროსი, საბერძნეთი, სომხეთი). acquis communautaire 35 თავიდან 13 უკვე ღიაა ხოლო ერთი დახურული. რაც შეეხება ქვეყნის კულტურას და რელიგიას ეს შეიძლება კიდევ ერთ-ერთ შემაფერხებელ პროცესად მივიჩნიოთ, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში, თუმცა არა გადამწყვეტს, ქვეყნის კულტურა და რელიგია აფერხებს თურქეთის წინსვლას, დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესს, რაც ხელს უშლის ევროკავ-

შირის სტანდარტებთან თურქეთის დაახლოებას, შედეგად კი ინტეგრაციის პროცესის შეფერხებას უწყობს ხელს. თურქეთის მნიშვნელოვან პრობლემას გაწევრიანების პროცესში წარმოადგენს არსებული მრავალრიცხოვანი, მზარდი, და ღარიბი მოსახლეობა. ევროკავშირი გარკვეულწილად თავს იკავებს თურქეთის მიღებაზე იმის გამო, რომ ინსტიტუტებში ჩართვით თურქეთი გადაიქცევა ევროკავშირში გავლენით მეორე სახელმწიფოდ, რომელიც ამავე დროს გახდება ყველაზე დიდი ბენეფიციარი სტრუქტურული ფონდებიდან გამოყოფილი თანხებისა, რაც უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის არც თუ მისაღებ პერსპექტივად ისახება.

ბოლო ანგარიშების მიხედვით ევროკომისია ანკარას მოუწოდებს , რომ მოაგვაროს ურთიერთობა კვიპროსთან. კვიპროსის პრობლემა დღესდღეობით სახელდება როგორც გადამწყვეტი პრობლემა გაწევრიანებისთვის. ასევე ბოლო ანგარიშის მიხედვით ევროკავშირის კრიტიკის ქვეშ კვლავ მოექცა თურქეთის პოლიტიკური რეფორმები. თურქეთის შესახებ ევროპარლამენტის მომხსენებელმა რია ომენ-როიტენმა გაავრცელა

განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ თურქეთში გრძელდება ზეწოლა გამოხატვის თავისუფლებაზე, გახშირდა სასამართლო პროცესები ჟურნალისტებზე და რამდენიმე ვებსაიტის აკრძალვაც შეუთავსებელია პლურალისტურ საზოგადოებასთან.

საბოლოო სტანდარტები უნდა იქნეს მიღწეული , რათა თურქეთმა შეძლოს კავშირში ინტეგრაცია, რასაც შეიძლება კიდევ ათეული წლები დასჭირდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Regular Report from the Commission on Turkey's progress towards accession, 2011
2. Regular Report from the Commission on Bulgaria and Romaniaprogress towards accession, 2006
3. www.europa.eu


## რეზიუმე


საერთაშორისო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკის სამეცნიერო დისციპლინების ფარგლებში უაღრესად აქტუალური და მნიშვნელოვანია თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობათა კვლევა, რაც გულისხმობს თურქეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების ვესტერნიზაციას. საკითხის აქტუალობა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იღებს დასაბამს და დღესდღეობით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპის საგარეო პოლიტიკაში. ამ მიმართებით საინტერესოა, თუ რამდენად ერთგვაროვანია ევროპული სახელმწიფოების დამოკიდებულება ამ ქვეყნისადმი. საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ევროკავშირი სახელმწიფოთა ერთობლიობაა, რომლისთვისაც მთავარი პრიორიტეტი მათივე დადგენილი კრიტერიუმების უცილობელი შესრულებაა. იგი ამა თუ იმ ქვეყნის რელიგიასა და კულტურას როგორც შესაძლო დაბრკოლებას არ განიხილავს, თუმცა აღსანიშნავია თურქეთთან მიმართებაში ევროპელთა განსხვავებული და საკმაოდ რადიკალური დამოკიდებულება.

სეკულარიზმსა და ისლამიზმს შორის გასული საუკუნის დასაწყისში დაწყებული ბრძოლა, რომელიც, თითქოსდა, მაშინ ქემალისტთა გამარჯვებით დასრულდა, რეალურად დღესაც გრძელდება.

თურქეთის სწრაფვა ევროპისაკენ ათეული წლების წინ დაიწყო და იგი დღესაც თავდაუზოგავად ცდილობს ევროკავშირის რიგებში გაწევრიანებას, თუმცა შესაძლოა, რომ ამ პროცესს აფერხებს ქვეყნის კულტურული და რელიგიური ფაქტორები. მართალია, თურქეთი წარმოადგენს სეკულარულ სახელმწიფოს, მაგრამ მიუხედავად ამისა ქვეყანაში მაინც იგრძნობა ისლამის დიდი გავლენა.

რა თქმა უნდა, ევროკავშირი მხოლოდ ქრისტიანთა თავშესაყარი არ არის. ევროკავშირის დამფუძნებელი რომის ხელშეკრულების არცერთი პუნქტი არ მოითხოვს, რომ ამ გაერთიანების წევრი სახელმწიფო აუცილებლად ქრისტიანული იყოს. ევროკავშირის მოთხოვნები ძირითადად მიმართულია პოლიტიკურ-ეკონომიკური სფეროებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებისაკენ.

თუმცა დასავლეთი ფაქტობრივად თავს იკავებს განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნის კავშირში მიღებაზე იმისდამიუხედავად, რომ ევროკავშირის ქვეყნებისათვის პრიორიტეტული არ არის ამ სფეროში სახელმწიფოებს შორის განსხვავებების აფიშირება. ასეთი სახის განცხადებებმა მუსლიმანურ სამყაროსთან ურთიერთობებში შესაძლოა, უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს და ცუდი შედეგები მოგვცეს.

თურქეთის ხელისუფლება გულწრფელად ცდილობს, ქვეყანა დასავლეთის სრულუფლებიან წევრად აქციოს, მაგრამ ქვეყნის წარსული, არადასავლური ისტორია, კულტურა და ტრადიციები ამ პროცესს გარკვეულწილად აფერხებს.

თურქეთის სწრაფვა ევროპისაკენ ათეული წლების წინ დაიწყო და იგი დღესაც თავდაუზოგავად ცდილობს ევროკავშირის რიგებში გაწევრიანებას.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას აფერხებს თურქეთის მიერ ევროკავშირის პოლიტიკური კრიტერიუმების შეუსრულებლობა. მიუხედავად აგვრცელებული მოსაზრებისა, რელიგიური ფაქტორი გადამწყვეტ როლს არ თამაშობს.

## SUMMARY

*I. Rusiashvili*

### Political Criterias- The Main Factors of Relations in Euro Union

In the frame of disciplines of international relations and foreign policy is very actual and important Turkey- EU relations findings, that means turkeys economic, political and social structures westernization. The problems actuality begins from the fist half of the 20th century and today have very important role in Europe's foreign policy. In this case is interesting, how much ident is European countries approach to this country. European Union is a unique political and economic partnership, and its priority is to implement their own criterions. It does not consider religion or culture, as probable obstacle for integration, but its important to notice European's different and radical opinion about turkey.

Fight between secularism and Islamism, which has began in first half 20th century was thought to finish with the victory of Kemalists, but in real its proceeds nowadays too.

Turkey's aspire to EU begun many years ago and it takes place today too, turkey makes its best to integrate in EU, but it is possible that its religion and culture factors prevents turkey integration in EU.

Turkey is secular country , but anyway it's obvious that Islam still have great power in the country.

Of course EU is not only Christian c union. EU;s foundation Rome agreement's none point says, that this unions member state should be Christian. Its main direction is political-economic spheres and human rights protection.

Though its fact that west tries to avoid the integration of the different cultural country in EU, in spite of that its not prior in this sphere to reveal states difference. Such kind of statements , may provoke Muslim world , and give bed result.

Turkey's government honestly tries to make country full member of west, but countries past, non western history, culture and traditions obstacle's this process.

Turkey's integration in EU is prevented for the non implementation of political criterions. Despite of spread opinion , factor of religion doesn't plays main role in the integration in EU.

# რელიგია და პოლიტიკა

***მაია გურამიშვილი**, სტუ ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
***ლაშა დავითულიანი**, სტუ-ს მაგისტრი.*

საზოგადოებაში კითხვა რელიგიისა და პოლიტიკის თავსებადობის შესახებ არ არის მარტივი. რა არის პოლიკიტა? ამ ცნების ერთიანი განმარტება არ არსებობს. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი თვლიდა, რომ პოლიტიკა განსაზღვრავს როგორც ძალაუფლებისაკენ სწრაფვას. ცნობილი გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი ბისმარკი პოლიტიკას განმარტავს როგორც შესაძლებლობების ხელოვნებას. ერთი მხრივ პოლიტიკა აწესრიგებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, არეგულირებს ურთიერთობებს სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში. მეორე მხრივ, პოლიტიკა არის სწრაფვა ძალაუფლებისაკენ განსხვავებული სოციალური ჯგუფებისა და ცალკეული ინდივიდების ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობას მივყავართ იქამდე, რომ პოლიტიკის სფერო ეს არის პოლიტიკური ბრძოლის, კონფლიქტების და კონკურენციის სფერო.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რელიგია საზოგადოებაში ასრულებს მარეგულირებელ ფუნქციას, ცდილობს უზრუნველყოს თანასჭორობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება. ბევრ რელიგიაში შეიძლება აღმოვაჩინოთ კავშირი პოლიტიკურ და საეკლესიო ძალაუფლებას შორის. საუკუნეების განმავლობაში ტრადიციული მუსლიმანური სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი იყო სახელმწიფო და საეკლესიო ძალაუფლების შერწყმა. სახელმწიფოს მეთაური ხალიფა-ფადიშაჰი ითვლებოდა. ,,მუჰამედის" მოციქულად უმაღლესი სამღვდელოება ასრულებდა პოლიტიკურ მრჩევლის როლს, სისხლისა და სამოქალაქო სამართალი აღმოცენებული იყო რელიგიურ კანონებზე — შარიათზე. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო: ოჯახი, კულტურა, სამართალი, პოლიტიკა — განიცდიდნენ ისლამის ზეწოლას. რაც უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის ცხოვრებაში რელიგიური ფაქტორი, მით უფრო დიდ ზეგავლენას ახდენდა ის სახელმწიფოზე.

შეიძლება გამოვყოთ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი ძირითადი ისტორიული ტიპი.

1) ასე მაგალითად, მეთოთხმეტე საუკუნეში ფრანგი მეფის ფილიპე VI-ის ბრძანებით რომაელი პაპების რეზიდენცია გადატანილ იქნა ქალაქ ავინიონში, რომელიც საფრანგეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ფრანგი მონარქები პაპებს პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ. ეს პერიოდი, რომელიც 1309-1377 წლამდე გრძელდებოდა ,,ავინიონის ტყვეობად" იწოდება.

2) სახელმწიფოს დაქვემდებარება ეკლესიისადმი. ტრადიციულ ისლამურ სახელმწიფოებში სამღვდელოება ასრულებდა უმაღლესი ხელისუფლების ფუნქციებს, რომლებიც ბოლომდე აკონტროლებდნენ პოლიტიკურ სფეროს.

3) ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთობლივი ჩაურევლობა. ასეთი სიტუაცია დამახასიათებელის თანამედროვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის.

თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში სახელმწიფო და რელიგია არსებობენ ერთმანეთის პარალელურად. რელიგია უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ღირებულუბების აღმოცენას და მათ მხარდაჭერას, მათ შორის პოლიტიკურიც, რაც გავლენას ახდენს საზოგადოების დამოკიდებულებას კანონებსა და ხელისუფლებაზე. რელიგიური ორგანიზაციები აქტიური იდეოლოგიური საქმიანობით იღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში.

რელიგიისა და პოლიტიკის ასეთი ურთიერთქმედება განპირობებულია იმით, რომ რელიგიური რწმენა ადამიანთა უმრავლესობისათვის არის ეროვნული კულტურის ნაწილი და განუყოფელია მათი ცხოვრების წესისაგან.

თანამედროვე მსოფლიოში შეიძლება ვისაუბროთ რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების სამ ძირითად ფორმაზე.

პირველ რიგში რელიგიის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის. მაგალითად: 1991 წელს ერაყის ლიდერმა სადამ ჰუსეინმა კუვეიტზე თავდასხმა ახსნა იმით, რომ კუვეიტის სამეფო ოჯახი არ იქცეოდა ისლამის ნორმების შესაბამისად.

მეორე, რელიგიის ზეგავლენა პოლიტიკაზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეკლესია ცდილობს კანონმდებლობაზე ზემოქმედების მოხდენას საერთო მიღებული დემოკრატიული არხების მეშვეობით ისეთ სახელმწიფოებში, როგორიც არის ესპანეთი, პორტუგალია, იტალია — ეკლესია სახელმწიფოსთან კამათობს ოჯახისა და განათლების საკითხებზე.

მესამე, პოლიტიკური ინსტიტუტების საკრალიზაცია. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ იაპონია, სადაც ეროვნული რელიგია სინტროიზმი — იაპონური პოლიტიკური ინსტიტუტების სულიერი საფუძველია.

თანამედროვე მსოფლიოში რელიგია ისევე აგრძელებს იდეოლოგიური ფუნქციების შესრულებას, რაც ახდენს მის პოლიტიზირებას. ძალიან ხშირად განსაკუთრებით მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, სადაც სოციალურ — ეკონომიკური და პოლიტიკური უკმაყოფილება რელიგიური მღელვარებების ფორმით გამოიხატება. ასეთ შემთხვევში რელიგია შეიძლება გამოვიდეს თანამედროვე იდეოლოგების ალტერნატივად, კონსერვატიზმი, ლიბერალიზმი და სოციალიზმი. როგორც უკვე ზემოთ ითქვა, რელიგიური რწმენა ნაციონალური კულტურის ორგანული ნაწილია. გლობალიზაციის პროცესებს, რომლებიც ტრადიცი-

ული საზოგადოების ვესტერნიზაციას ითვალისწინებენ, ნაციონალური ტენდენციების გაძლიერებამდე მივყავართ, რელიგია ამ შემთხვევაში ნაციონალისტული პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება.

არსებობს რიგი ფაქტორები, რომლებსაც რელიგიური კონფლიქტების აღმოცენება შეუძლია. ეს ფაქტორებია: სახელმწიფოთა ნახევრად კონფესიული ხასიათი. ასეთი ფაქტორის მოქმედების ნათელი მაგალითია — სიტუაცია ლიბანში. ლიბანი უნიკალური ქვეყანაა კონფესიების შემადგენლობით, მასში თანაცხოვრობდა ოცზე მეტი რელიგიური დაჯგუფება.

მოსახლეობის ნახევარზე მეტს მუსლიმანები შეადგენენ (სუნიტები, შიიტები, დრუზები) ლიბანელი არაბების 25% ქრისტიანი — მარონეტები არიან. ლიბანში ცხოვრობენ სომხები და ბერძნები, რომლებიც ქრისტიანობის მიმდევრები არიან, პალესტინელი ლტოლვილები მუსლიმანები არიან. საუკუნეების განმავლობაში თითოეული რელიგიური გაერთიანება ცდილობდა შეენარჩუნებინათ თავიანთი განსაკუთრებული ხასიათი, ამასთან კლანის მიმართ ლოიალობა უფრო მაღლა იდგა, ვიდრე სახელმწიფოს ერთგულება. 1943 წელს როდესაც ლიბანი სუვერენული სახელმწიფო გახდა, მიღებულ იქნა ნაციონალური პაქტი, რომელიც ითვალისწინებდა უმაღლესი თანამდებობების გადანაწილებას რელიგიური გაერთიანებების წევრობის მიხედვით (რესპუბლიკის პრეზიდენტი — ქრისტიანი, პრემიერ-მინისტრი — სუნიტი მუსლიმანი, პარლამენტის თავმჯდომარე — შიიტი მუსლიმანი) ქრისტიანმა მარონეტებმა, რომლებიც ტრადიციულად შეადგენენ ლიბანელი მოსახლეობის მეტ-ნაკლებად გავლენიან ნაწილს, ძალაუფლების ასეთ გადანაწილების შედეგად გაიმყარეს პოზიციები ქვეყანაში, რამაც გამოიწვია მუსლიმან მოსახლეობაში უკმაყოფილება. 1958 წელს გაერთიანებული არაბეთის საამიროს შექმნამ გააქტიურა ლიბანში მუსლიმანთა საქმიანობა, რამაც საქმე მიიყვანა შეიარაღებულ კონფლიქტამდე. 1960 წელს ლიბანი ჩათრეულ იქნა არაბეთის კონფლიქტებში, ექვსდღიანი ომის შედეგად 1967 წელს პალესტინელ და იორდანელ ლტოლვილთა ნაკადის შემდეგ ის გახდა ისრაელის საწინააღმდეგო პოლიტიკური ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. 1975-1976 წლებში შეჯახებები ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის გადაიზარდა სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში. მუსლიმანთა კოალიციაში შევიდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, მარონეტი ქრისტიანების დასახმარებლად გამოვიდა ისრაელი. არაბეთის სახელმწიფოთა ლიგის შუამავლობის შედეგად ქვეყანაში სიტუაცია დარეგულირდა, ლიბანი — ისრაელის საზღვარზე შეიქმნა ბუფერული ზონა. 1982 წელს ისრაელის ჯარები შეიჭრნენ დასავლეთ ლიბანის ტერიტორიაზე, პალესტინური ორგანიზაციის გამოსაძევებლად და სიტუაციის დარეგულირების მიზნით შეყვანილ იქნა ნაციონალური ძალები (ამერიკა, დიდი ბრიტანეთი და იტალია). მუსლიმანური კოალიცია (მოძრაობა ამალი, რომელსაც მხარს უჭერდა სირია, ხესბოლა, რომელსაც მხარს უჭერდა ირანი) არ აღიარა ლიბია–ისრაელის შეტანხმება და განახორციელა უცხოეთის ჯარების მიმართ დივერსიული ქმედებები, რის შედეგადაც 1984 წელს ლიბანის ტერიტორია დატოვეს უცხოეთის ჯარებმა, ქვეყანაში რჩებოდნენ სირიის შეიარაღებული ძალები, რის შედეგად ლიბანის სუვერენიტეტი ნაწილობრივ შეზღუდული იყო.

2005 წელს როდესაც ირანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ხარირი იქნა მოკლული, ამ მკვლელობით, განპირობებული მასობრივი გამოსვლების შედეგად, დასავლური ქვეყნების შემდეგ სირიის ჯარებმა დატოვეს ლიბანის ტერიტორია. ახალმა პროდასალურმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყანაში სიტუაციის კონტროლი და უთანხმოება კონფესიებს შორის ისევ გამძაფრდა.

საზოგადოებრივი განვითარების ეს თავისებურებები იმაზე მიგვითითებს, რომ რელიგიური ფაქტორი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო კონფლიქტებში.

რა უდევს საფუძვლად ისეთ მოვლენებს, როგორიც არის ჯვაროსნური ლაშქრობები ან თანამედროვე ისლამი ფუნდამენტალისტების ტერორისტული აქტები, ერთი შეხედვით, აგრესიული მოქმედებების საფუძველი რელიგიური რწმენაა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ რელიგია თავიდანვე იმ ნორმებისაგან შედგებოდა, რომლებიც ძალადობისა და ექსპანსიისკენ მოუწოდებდნენ? მსოფლიო რელიგიები — ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი კლასიკურ ვარიანტში აღმოცენებულნი არიან მოთმინებას და კაცთმოყვარეობაზე, ისინი არ მოუწოდებდნენ ბრძოლისა და ექსპანსიისაკენ. რელიგია და ეკლესია ზემოქმედების მოხდენის განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ფლობენ. მაგალითად, მუსლიმანი ფუნდამენტალისტები ცნება ჯიჰადს იყენებენ — მუსლიმანური რწმენის გასავრცელებლად. არაბული ენიდან ჯიჰადი ითარგმნება როგორც ,,ძალისხმევა." თუ პირველ საუკუნეებში ჯიჰადი განიმარტებოდა როგორც თავდაცვითი ომი, XIV საუკუნიდან ჯიჰადის კონცეფცია რთულდება. მისი უმაღლესი გამოვლინებაა სულიერი ჯიჰადი — შინაგანი სრულყოფა ალაჰის გზაზე. ჯიჰადი შეიძლება განვმარტოთ როგორც მაქსიმალური ძალისხმევა სახელმწიფოს ასაყვავებლად და ტერაქტების გამართლებად. ყველაფერი დამოკიდებულია ამათუ იმ პოლიტიკური ლიდერის ამოცანებზე. რასაკვირველია, არ შეიძლება უარვყოთ ის ფაქტი, რომ ისლამში თავიდანვე ჩადებულია პროზალტიზმი და გარკვეული აგრესიულობა რწმენის გავრცელების საკითხებში. ისლამის ეს თავისებურებები განაპირობებენ მის გამოყენებას პოლიტიკური პლატფორმის სახით. ბუდიზმი კი პირიქით, უაღრესად მშვიდობიან ხასიათს ატარებს. მაგრამ ზოგიერთი არმოსავლეთმცოდნე უარყოფს ბუდიზმის მშვიდობიან ხასიათს, კანონიკურ ბუდისტურ ტექსტებში შეიძლება აღმოვაჩინოთ დამპყრობლური პოლიტიკის აუცილებლობა და გამართლება.

გერმანელი ფილოსოფოსი შმიდტი პოლიტიკის

განსაზღვრისას პოლიტიკურ ქმედებებსა და მოტივებს ადარებდა მეგობრისა და მტრის დამოკიდებულებას. რელიგიური რწმენისა და სიმბოლოების გამოყენებით ნებისმიერ პოლიტიკურ კონფლიქტს ენიჭება საკრალურობა.

შიიტური პროირანული დაჯგუფება ჰეზბოლარი (ლიდერი სეიხი ნასრალა) აკონტროლებდა ლიბანის სამხრეთ რაიონებს, ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლება ამ რაიონებში მინიმალური იყო. 2006 წლის ზაფხულში ჰესბოლას მებრძოლების მოქმედებებმა ისრაელის ჯარების მორიგი შეჭრა გამოიწვია ლიბანის ტერიტორიაზე. ისრაელის ჯარებმა მასობრივი დაბომბვების სერია განახორციელა, რამაც გამოიწვია მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. ჰესბოლას დაჯგუფების წინააღმდეგობის შედეგად ისრაელის საომარმა მოქმედებებმა ვერ მიაღწიეს თავიანთ საბოლოო მიზნებს. საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის შემდეგ ისრაელი ჯარებმა დატოვეს ლიბანის ტერიტორია. რეგიონის სამხრეთ ნაწილებში შეიყვანეს ლიბანის ჯარების რეგულარული ნაწილები და საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, მაგრამ ლიბანის შიდა პოლიტიკური სიტუაცია, უპირველეს ყოვლისა, კონფესიურ სფეროში უკიდურესად დაძაბული დარჩა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1) M.J. Smith realist thought from weber to lassinger louisian state univ.
Press, 1986

2) B. Russet, the democratic peace, Jnternational security, 1995

3) მ. გურამიშვილი, საერთაშორისო და რეგიონალური კონფლიქტები. 2009.

4) მ. გურამიშვილი, პოლიტიკური კინფლიქტები და მათი დარეგულირების გზები. 2009


## რეზიუმე


თანამედროვე მსოფლიოში არსებობს უამრავი რელიგია და რელიგიური რწმენა. ისეთი მსოფლიო რელიგიების ასაკი როგორიც არის იუდაიზმი, ქრისტიანობა და ბუდიზმი, ითვლის ათასწლეულებს. ჯაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე რელიგია რჩებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტად.ითვლის ათასწლეულებს. ჯაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე რელიგია რჩებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტად. შულიერი ორიენტირების, საყრდენი წერტილების ძიებას მივყავართ თანამედრობე მსოფლიოში რელიგიური ფაქტორის ზრდამდე. ეს უფრო მეტად დაკავშირებულია იმაზე, რომ რელიგია არის უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც შეიცავს სოციალურ სისტემების ნორმებს, ღირებულებებს, ჩვეულებებს, რწმენას, რიტუალებს, ქცევის სტანდარტებს. რელიგიის მრავალი განმარტება არსებობს. შოციოლოგიურ მეცნიერებაში შეიძლება გამოვყოთ ამ რელიგიის განსაზღვრების ორი ძირითადი მიდგომა — შინაარსობრივი და ფუნქციონალური. შინაარსობრივ მიდგომაში ყურადღება ეთმობა რელიგიის არსს. ჩნობილი ფრანგი სოციოლოგი ე. დურკეინი აღნიშნავდა რომ რელიგია დაკავშირებულია ,,წმინდა საგნებთან.” ის კოლექტიური საქმიანობა, რომელშიც ჩართულია სოციალური ჯგუფი. ასე, რომ რელიგია უნდა განვიხილოთ, უპირველეს ყოვლისა, როგორც სოციალური ფენომენი, რომლებსაც შესწევს საზოგადოების გაერთიანების უნარი. ფუნქციონალური მიდგომა დაკავშირებულია რელიგიური ქმედებებისათვის დამახასიათებელი თვისებების შესწავლით. ფუნქციონალური თეორიის თანახმად, ნებისმიერ მტკიცებულებასა და რწმენაში, რომელშიც ადამიანური ცხოვრების ფუნდამენტური საკითხები წყდება შეიძლება ვუწოდოთ რელიგია. ამ მიდგომის ფუძემდებლად ითვლება მაქს ვებერი. მის გამოკვლევებში შესწავლის ობიექტია პიროვნება, რომელიც თავის ღირებულებებით გავლენას ახდენს რელიგიაზე.

ამ მიდგომის საფუძველზე ფორმულირდება რელიგიის საერთო სოციოლოგიური განმარტება — რელიგია ეს არის ფენომენი, რომელიც აერთიანებს კულტურულ, სოციალურ და პიროვნულ სისტემებს ერთიან ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რომელიც ახდენს გავლენას საზოგადოების შეცვლასა და განვითარებაზე. რელიგია არის საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანული ნაწილი, ადამინათა სოციუმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე კავშირები რელიგიასა და საზოგადოებას შორის ვარირებს. რელიგია ასევე შედის კულტურის გაგებაში — ერთი მხრივ რელიგიური ცხოვრების ტიპი დაკავშირებულია განსაზღვრული რეგიონის კულტურასთან, მეორე მხრივ კულტურა ერწყმება რელიგიას და ფუნქციონირებს მის საფუძველზე.

რელიგია ზემოქმედებს სახელმწიფოსა და პოლი-

ტიკაზე, ეროვნებათშორის ურთიერთობებსა და ეკონომიკაზე, საზოგადოებასა და ოჯახებზე ინდივიდების, ორგანიზაციების, ჯგუფების მეშვეობით. მაგრამ რელიგიის ზემოქმედება იცვლება საკრალიზაციისა და სეკულარიზაციის პროცესებთან ერთად. საკრალიზაციის პროცესი აღნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკლესიის როლის გაზრდას, მაშინ როცა სეკულარიზაციის პროცესი ნიშნავს საზოგადოებრივი ინტერესების გათავისუფლებას საეკლესიო გავლენისაგან.


**SUMMARY**

M. Guramishvili
L. Davituliani

**Religion and Politics**

There are a lot of religions and belifs in modern world. The major religious traditions are Christianity, Islam, Judaism and Budism. They are the ancient (the oldest) religions. They always were the most important elements (items) of the social life of the mankind. Religion is the mannificiant institution consisting social systems, vatues, habits, (traditions) beliefs, the standards of behaviour.

There are many exsplanations of religion. but we can divide them in two ways: according to their contextual and functional meanings.

The famous French socialist E. Durkein said (marked) that religion is connected with the “holy things”. Religion is supposed as a social phenomenon, which is able to unite the society. Max Webber is a foundre of its problems. The object of his research is the person, who with his values can make a great influence on religion.

Religion is the phenomenon uniting cultural, social oan personal systems in joined organized struqture. It makes influence to change and develop the society. It is the organic part of life.

Religion makes influence on the state oan in politics; on international relationships and economycs, on society and individual families, on organizations with the help of the groups. But the influence of the religion is changeable according to its process.

# პოლიტიკური ლიდერობის მოტივაციის ინდიკატორები

***ქეთევან ჯიჯეიშვილი,***
*სტუ-ს ასოც. პროფესორი*
***ეკა ბუხრაშვილი,***
*სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი*

ლიდერობის უმნიშვნელოვანესი მოტივაციური წყარო აუცილებლად არის ძალაუფლების მოტივი. მართლაც, ძალაუფლებისათვის ბრძოლა ფარული თუ აშკარა – ნებისმიერი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებას მოიცავს. პოტენციური და რეალური პოლიტიკური ლიდერის დამახასიათებელი ძალაუფლების უძლიერესი მოტივი ყველაზე იოლად განისაზღვრება თანდაყოლილი ინდივიდუალური თვისებებით: ორგანიზაციული უნარები, ნებისყოფა, დარწმუნების უნარი, რეაქციის სისწრაფე, ურთიერთობის სტილი და სხვ. ადამიანი, რომელსაც გააჩნია ძალაუფლების განხორციელების უნარი, მის აუცილებლობას განიცდის. მაგრამ თავისი განვითარების მსვლელობაში პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მეცნიერება გასცილდა „გენეტიკური“ მიდგომის ჩარჩოებს.

ძალაუფლების მოტივი შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს. ეს დამოკიდებულია ძალაუფლების დამინირებულ სახეობაზე, კომპლექსებზე, „მტკივნეულს ადგილებზე“, ცხოვრებუსეულ გზაზე და მრავალ სხვა ფაქტორებზე. შეიძლება გამოიყოს ძალაუფლებისაკენ სწრაფვის შემდეგი ინდიკატორები:

– გავლენის, კონტროლის ან სხვებზე ზემოქმედების მოხდენაში დაინტერესება;

– სხვა ადამიანების, ჯგუფების ან სამყაროს მიმართ მძაფრი ქმედებები;

– სხვების კონტროლი და მართვა;

– გავლენის, მტკიცების, დარწმუნების, არგუმენტირების მცდელობა;

– დახმარება და რჩევები მაშინაც კი, როდესაც ამას არ ითხოვენ;

– პრესტიჟის ჟინი;

– სურვილი მოახდინონ შთაბეჭდილება და გამოიწვიონ ძლიერი ემოციური რეაქცია;

– საორგანიზაციო სისტემის გამოგონებისა და მისი ფუნქციონირების პოლიტიკურ პიროვნებებზე თავმოხვევის სურვილი;

– სხვებისათვის ძალაუფლების განაწილების სურვილის არქონა;

– თავისი ფუნქციების მიმართ რჩევების მიღების სურვილის არქონა;

– სხვების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დელეგირების სურვილის არქონა, რადგან ის თვლის, რომ ეს მხოლოდ მისი პრეროგატივაა;

– სხვებთან (ვისაც მასთან ერთად ძალაუფლების გადანაწილება სურს) თავის ფუნქციების თაობაზე კონსულტირება;

– სხვების ინფორმირების სურვილის არქონა.

ამის გარდა, ძალაუფლების მოტივის მაჩვენებელია ისეთი პოზიციის დაჭერა, რომელიც პოლიტიკოსს ფორმალურ სოციალურ ძალაუფლებას აძლევს. ასეთი პოლიტიკოსი ნაკლებად ზრუნავს კონკრეტულ მიღწევებზე (მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდა, მსოფლიო არენაზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სხვ.), უჭირს სხვა პოლიტიკოსებთან საუბარი, განსაკუთრებით ოპოზიციასთან. მთავარია – ძალაუფლების წყაროების შეძენა და შენარჩუნება.

როგორც წესი, ძალაუფლების წყურვილით მოძრავი ლიდერები თავის უნარებს ისე აგებენ, რომ საზოგადოების დანარჩენი წევრების წინააღმდეგობის დაძლევა შეძლონ. ამასთან ერთად, პირველ ადგილზე დგას კომუნიკაციის მონოლოგიური წარმართვის უნარი. პიროვნებებს შორის ურთიერთობაში ასეთი ლიდერი მზადაა ექსპლოატაცია გაუწიოს სხვებს. ის პარტნიორს აღიქვამს როგორც მეტოქეს, მოთამაშეს. ძალაუფლების მაღალი მოტივის მქონე პოლიტიკური ლიდერები კონფლიქტურები არიან, აქვთ მანიპულირებისა და საომარი ძალისხმევის უნარი. ავტორიტარული ურთიერთობა გარდაუვლად ზღუდავს შემოქმედებითი მმართველობის შესაძლებლობებს. თუ პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობას დავყოფთ სამ არსებით მონაკვეთად, შესაძლებელია გამოიყოს: „ლიდერის“ როლზე წამოყენების ეტაპი, ადაპტაციის ეტაპი და ამ როლში შემოქმედებითი თვითრეალიზების ეტაპი. ლიდერები განსაკუთრებულ რეზულტატებს პირველ ეტაპზე აღწევენ. ადაპტაციის პერიოდისათვის ეს შედეგები საგრძნობლად იკლებს, ხოლო ბოლო ეტაპზე მიღწევები ადგილს უთმობს შეცდომებსა და წარუმატებლობას. მსგავსი მოტივაციის პოლიტიკოსებს ადვილად ამოიცნობს საზოგადოებრივი აზრი, რადგან ასეთი მოღვაწეები გამოირჩევიან მოქმედების აშკარა თავისებურებებით: ცინიზმი, ვერაგობა, ფლანგვა, სისასტიკე. პოლიტოლოგიასა და პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში მათ მიაკუთვნებენ მაკიაველის ტიპის ლიდერებს. მეტიც, შემუშავდა მაკიაველიზმის დონის გასაზომი კოეფიციენტები: პიროვნებებთან ურთიერთობაში ემოციების სუსტი როლი, მორალის უგულვებელყოფა, იდეოლოგიური შეხედულებების არქონა, სხვა ადამიანების მანიპულირებით გამოწვეული სიამოვნება. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, პოლიტიკაში დამკვიდრდა მორალური კანონების უარმყოფელი პოლიტიკის აღმნიშვნელი ტერმინი – „მაკიაველიზმი“, მაგრამ მაკიაველი პოლიტიკაში პრინციპული ამორალიზმის მომხრე არ იყო. მისი შეხედულებით, პოლიტიკურმა ლიდერმა უნდა იცოდეს ადამიანური მოღვაწეობის მთავარი

სტიმულები, უნდა შეისწავლოს და პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს ქვეშევრდომთა მიდრეკილებები და „ადამიანის სულის ფარული სურვილების გამოცნობის უნარის წყალობით“ იბატონოს მათზე. საგანგებო ვითარებაში, როდესაც „ხალხი გარყვნილია“, საჭიროა საგანგებო ზომების მიღება. პოლიტიკური წარმატების ძირითად პირობად ნ. მაკიაველს მიაჩნდა სათნოება და არა სულიერი სიმდაბლე. სათნოების აპოთეოზით მთავრდება მისი ბრწყინვალე თხზულება „მთავარი“. იგი წერს, რომ „სახელმწიფოს შესანარჩუნებლად, მთავარი ხშირად იძულებულია იმოქმედოს ერთგულების, მოყვასისადმი სიყვარულის, ადამიანობის, სარწმუნოების საპირისპიროდ. ამიტომაც იგი აუცილებლად მოქნილი უნდა იყოს, რომ მოხერხებულად ესადაგებოდეს ქარის ქროლვითა თუ ბედის ტრიალით ნაკარნახევ მიმართულებას და არ გადაუხვიოს სიკეთის გზას, თუ ეს შესაძლოა, მაგრამ, იმავდროულად, შეეძლოს ბოროტების გზაზე დადგომაც, თუკი ეს აუცილებელია“ [1. 75].

„ბოროტების გზაზე დასადგომად“ განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობებია ტირანული, აბსოლუტიზმისა და ტოტალიტარული რეჟიმის პირობები. ასევე მძაფრი რევოლუციური კატაკლიზმების გარემო, როდესაც დანგრეულია პოლიტიკური მოღვაწეობის ძველი „ნორმა-ჩარჩოები“ და ჯერ ახალი არ არის აღმოცენებული. სწორედ ისტორიული პირობების სპეციფიკა და შეზღუდულობა უჩვენებს, რომ ჰიპერტროფიული ძალაუფლების სიყვარული არ შეიძლება განიხილებოდეს ლიდერობის ერთადერთ მოტივად.

ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა რ. დონლიმ და დ. უინტერმა განახორციელეს XX საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების თორმეტი პრეზიდენტის „ხელისუფლების მოტივის“ ძალის ინტენსივობის გაზომვა (საინაუგურაციო სიტყვის შინაარსის ანალიზის მეშვეობით) და შეუფარდეს იგი პრეზიდენტის მოღვაწეობის პოლიტიკურ ეფექტიანობას (ისტორიკოსთა შეფასების მიხედვით), აგრეთვე ომში ქვეყნის ჩაბმასა და სამთავრობო კაბინეტის გარდაქმნის მასშტაბებს. პრეზიდენტების განკარგულებაში არსებული ხელისუფლების უზარმაზარი აპარატის მიუხედავად, იმ პრეზიდენტთაგანი, რომელიც გამოყენებული მაჩვენებლების მიხედვით, ხელისუფლების სუსტ მოტივაციას ავლენდა – (ტაფტი, ჰარდინგი, კულიჯი, ჰუვერი და დ. აიზენჰაუერი), ნაკლებად აქტიურად ამოქმედებდა სამთავრობო აპარატს, ვიდრე ხელისუფლების ძლიერი მოტივის მქონე პრეზიდენტები: ფ. დ. რუზველტი, ჰ. ტრუმენი, ჯ. კენედი და ლ. ჯონსონი.

ხელისუფლების ძლიერი მოტივაციის მქონე პოლიტიკურ ლიდერს უდიდესი უნარი აქვს ხელსაყრელად გამოიყენოს კონკრეტული ვითარებით შექმნილი მოქმედების შესაძლებლობანი. ამა თუ იმ პიროვნებებში გამოვლენილი „უნარი“, შესაძლებლობა ე.წ. „მაკიაველიზმის სკოლის“ მიხედვით დეტალურად (ექსპერიმენტულად) გამოიკვლია რ. კრისტიმ თავის კოლეგას ფ. გეისთან ერთად.

პირები, რომლებმაც აღნიშნული ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის შედეგად ქულები დააგროვეს, დიდად განსხვავდებიან დაბალი მაჩვენებლების მქონე პირებისაგან, უწინარეს ყოვლისა, კი გულგრილობით, სიმშვიდით. მაკიაველიზმის მაღალი ღირსების მქონენი სოციალურ ურთიერთობებში, მოხერხებული და გამჭრიახი არიან, ხშირად იმყოფებიან მათთვის ხელსაყრელ მდგომარეობაში, ადვილად ზემოქმედებენ სხვებზე, თვითონ კი იშვიათად ითვალისწინებენ სხვის მრწამსს. ისინი მაკიაველიზმის დაბალი მაჩვენებლების მქონე პირთაგან სხვა მხრივაც განსხვავდებიან, კერძოდ: უშუალო სოციალური ურთიერთქმედების სიტუაციებში, როდესაც მათ იმპროვიზაციისა და მოქმედების თავისუფლების შესაძლებლობა ეძლევათ, სადაც ე.წ. „სუსტად გამოხატულ მაკიაველისტებს“ ხელს უშლის გამარჯვებისაგან დამოუკიდებელ წვრილმანებში ემოციური ჩართვა ... ე.წ. „გამოხატული მაკიაველისტები“ ნაკლებად არიან განწყობილი, ჩაერთონ სხვა პიროვნებათა პრობლემებში, გამოაჟღავნონ გულისნადები, ანდა რთულ და ძნელ გარემოებებში შეინარჩუნონ რეპუტაცია ... ემოციური ჩარევისადმი ნაკლები მიდრეკილების ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს „გამოხატული მაკიაველისტების“ ძლიერი წინააღმდეგობა უხეში სოციალური ზეწოლისადმი, რომელიც უბიძგებს მათ დათმობისაკენ, თანამშრომლობის ან მიზანდასახულობათა შეცვლისაკენ.

„ძლიერი მაკიაველისტები“ წარმართავენ და აკონტროლებენ ჯგუფის სოციალურ სტრუქტურას, მათ აღიარებენ ლიდერებად, ამჯობინებენ პარტნიორებად; ისინი აკონტროლებენ სოციალური ურთიერთქმედების შინაარსსა და ატმოსფეროს და, როგორც წესი, ამ სოციალური ურთიერთქმედების შედეგსაც [2. 312-313].

მნიშვნელოვანია მხედველობაში ვიქონიოთ ის, რომ – პოლიტიკა არ არის ერთადერთი და ყველაზე კეთილსასურველი სფერო ძალაუფლების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. დემოკრატიულ „საბაზრო“ საზოგადოებაში საწარმოო და ფინანსური მაგნატის ან მსხვილი კომპანიის მენეჯერის ძალაუფლება არაფრით არ ჩამორჩება, ხოლო სიმყარის მაჩვენებლით აღემატება კიდევ პოლიტიკური ლიდერის ძალაუფლებას. პოლიტიკურმა მოღვაწეებმა შესანიშნავად იციან, რომ მათგან მხოლოდ ერთეულები მიაღწევენ პოლიტიკური ნაგებობის უმაღლეს სართულებს. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების წევრებიც კი ფლობენ მხოლოდ კოლექტიურ ძალაუფლებას, რომელიც იშვიათად შეეფარდება ძალაუფლების ძლიერ პირად სიყვარულს. ყოველივე ეს ადასტურებს პოლიტიკოსების მოტივაციის მრავალსახეობას და სირთულეს. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ძალაუფლების მოტივაცია მას ძალა შესწევს მიიყვანოს ლიდერი წარმატებულ პოლიტიკურ ქცევამდე.

პოლიტიკოსებს ხშირად მიაწერენ „ამბიციურობას“, რომლის საფუძველს ძირითადად შეადგენს მიღწევის მოტივაცია. ეს ერთადერთი მნიშვნელოვანი თვისებაა იმათგან, რომელიც პოლიტი-

კურ ლიდერს გამოარჩევს, რადგან ასეთ ადამიანებს ახასიათებს თვითდაჯერებულობა, შეუპოვრობა, რეალისტობა, ინიციატორულობა. ამ თვისებებს უმეტესად მშობლები უმუშავებენ. ისინი (მშობლები) ხომ მომავალი პოლიტიკური ლიდერისათვის მისაბაძი უმაღლესი ეტალონები არიან. მიღწევის მოტივს შეხება აქვს ოსტატობასთან, მანიპულირებასთან, ფიზიკური და სოციალური გარემოს ორგანიზებასთან, წინაღობების გადალახვასთან, შეჯიბრთან, ვინმეზე გამარჯვების მოთხოვნილებასთან. ადამიანები, რომლებიც მიღწევებისაკენ ისწრაფვიან, ისწრაფვიან ძალაუფლებისკენაც, რომ თავის მიზანს მიაღწიონ. ისინი უფრო მშვიდად აღიქვამენ ცვლილებებს გარე სამყაროში. ასეთ ადამიანებს უმჟღავნდებათ ამოცანაზე ძლიერი ორიენტაციის ტენდენცია, თანაც დასაწყისში მიღებული წარუმატებლობა ამ ამოცანას კიდევ უფრო წარმტაცს ხდის. განსაკუთრებულ სიამოვნებას ისინი წარმატების წინასწარი ჭვრეტით და ამოცანის გადაჭრით იღებენ. თავისი მიზნების მოტივი ბევრისათვის პოლიტიკური კარიერის ღერძს წარმოადგენს. როცა პოლიტიკური მოღვაწე სახელმწიფოს მეთაური ხდება, მთავარი მიზანი თითქოსდა მიღწეულია. მაგრამ საგარეო პოლიტიკური სფერომას მრავალი ძნელად მისაღწევი მიზნების დასახვის შესაძლებლობას სთავაზობს. ამ მიზნების მიღწევა მათ გარკვეულ ფსიქოლოგიურ სიამოვნებას გვრის. მოტივის შეფარდებითი ძალა მოქმედებს პოლიტიკური ლიდერის მიერ შედეგების ალბათობის სუბიექტურ შეფასებაზე, ანუ წარმატების მიღწევის უფრო მაღალი მოტივი ხელს შეუწყობს წარმატების მიღწევის ალბათობის უფრო მაღალ სუბიექტურ შეფასებას. წარმატების შემდეგ ემოციური აღმავლობის ხარისხი ან, წარუმატებლობის შემთხვევაში, დამცირების ხარისხი დამოკიდებულია ადამიანის სუბიექტურ მოლოდინებზე შეძლოს გარკვეული შედეგის მიღება. ამგვარად, გამოიყოფა მოტივაციური სქემის ორი ტიპი:

– ჩავარდნის აცილების მოტივაცია უფრო მაღალია, ვიდრე წარმატების მიღწევის მოტივაცია. ასეთი მოტივაციური სქემა აღწერს იმ ადამიანის ქცევას, რომელიც ბრძოლის ველს შემდეგი სიტყვებით ტოვებს: „მე წავაგე იმის გამო, რომ ასე მსურდა და არ ვცდილობდი მოგებას“;

– წარმატების მიღწევის მოტივაცია ჩავარდნის მოტივაციაზე უფრო მაღალია. ეს არის რეალური პოლიტიკური ლიდერის ქცევის ტიპიური მოტივაციური სქემა [3. 125].

მიღწევის მოტივი მჟღავნდება სრულყოფაზე, დახელოვნებაზე ზრუნვაში, ქცევაში, რომელიც მიმართულია მიღწევაზე. ასეთ ლიდერს ახასიათებს ზომიერი რისკი, ის ახდენს თავისი ქცევის მოდიფიცირებას გარემოებაზე გათვლით. ასეთი პოლიტიკური ლიდერი თავის დამხმარებად ირჩევს კარგ ექსპერტებს და არა მეგობრებს. მას ახასიათებს ექსპრესიული მოძრაობები, გადაადგილებები შესვენებების გარეშე. ამის გარდა, შეიძლება გამოიყოს მიღწევის მოტივის ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა:

– შესრულების ხარისხზე პირდაპირი სიტყვიერი მითითებები ან ირიბი, მოქმედებებით გამოხატული;

– შეჯიბრში აღმატების ან წარმატების ინტერესი;

– ნეგატიური ემოციების ან განმეორებითი მოქმედებების გამომჟღავნება (წარუმატებლობის შემთხვევაში);

– უნიკალური, უპრეცენდენტო შედეგების მიღწევა.

პოლიტიკური ლიდერის მოთხოვნილებები აფილაციის მიმართ (ჯგუფთან მიკუთვნებულობა) მჟღავნდება ლიდერის სხვებთან ახლო ურთიერთობებზე ზრუნვაში. მაგრამ ისინი მხოლოდ უსაფრთხო პირობებში (ანუ თავის მეგობრებისა და კეთილისმსურველების გარემოცვაში) ჩნდებიან. ხოლო არაკეთილგანწყობილ გარემოცვაში ლიდერები აფილაციის წამყვანი მოტივით ხშირად არამყარი არიან. მათი ურთიერთქმედებები-კეთილგანწყობა, შეხედულებათა მსგავსება და თანხმობა ისევე ორმხრივია, როგორც მათი უთანხმოება და ანტიპათია. პოლიტიკური ლიდერი სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დროს ხშირად კონფორმისტივით იქცევა. ისინი ასეთი თვისებებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ თავის მრჩევლებად აირჩევენ ლოიალურ მეგობრებს და არა ექსპერტებს [4. 75-103].

მსგავსი მისწრაფებების ლიდერებისათვის მთავარი ხელისუფლებაში ყოფნა კი არა, არამედ ტრიბუნაზე ყოფნაა. ამიტომ ისინი განსაკუთრებით არ იბრძვიან ადგილებისათვის ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოებში. მათი სტიქიაა – მიტინგები, გამოსვლები პარლამენტში ნებისმიერ საკითხზე. მათ არ შეუძლიათ ძალისხმევის კონცენტრირება ხანგრძლივ ინდივიდუალურ სამუშაოზე. ამიტომ, გავლენ რა პარლამენტში, ეს პოლიტიკოსები არ შედიან იმათ რიცხვში, ვინც კანონპროექტის შემუშავებაზე მუშაობს. ისინი მზად არიან შეხვდნენ სხვადასხვა ადამიანებს (იქნება ეს ტერორისტი თუ ბიზნესმენი), მრავალჯერ წარსდგნენ ნებისმიერი აუდიტორიის წინაშე, მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ პოლიტიკურ ღონისძიებაში.

გთავაზობთ პოლიტიკური ლიდერების მოტივების ინდიკატორების შესახებ სქემას.

## პოლიტიკური ლიდერების მოტივების ინდიკატორები

| | ძალაუფლება | მიღწევა | აფილაცია |
|---|---|---|---|
| **მოთხოვნილება** | შთაბეჭდილების მოხდნის და ძლიერი ემოციური რეაქციის გამოწვევის სურვილი; გავლენა, კონტროლი, ზემოქმედება და სხვა ადამიანებზე, ჯგუფებზე ან მსოფლიოზე მთლიანად; პრესტიჟის წყურვილი. | სხვებზე უპირატესობის და ძეჯიბრში წარმატების ინტერესი; უნიკალური, უპრეცენდენტო შედეგების მიღება. | ჯგუფთან მიკუთვნება, ჯგუფის მიერ მისი მიღება; შეპყრობილნი არიან უკონფლიქტო ურთიერთობის იდეით. |
| **არსი** | მთავარია-ძალაუფლების წყაროების მოპოვება და შენარჩუნება. | ამოცანაზე ძლიერი ორიენტირების ტენდენცია; ხშირად ეძიებენ ძალაუფლებას, რომ თავის მიზნებს მიაღწიონ. | სხვების მხრიდან კეთილგანწყობის ძიება; მთავარია – არა ხელისუფლებაში ყოფნა არამედ ტრიბუნაზე. |
| **განსაკუთრებით ფასეული თვისებები** | ურთიერთობის მონოლოგიური სტილის უნარი. | კონსტრუქციული და პროექტორული უნარები. | პროგნოზირებისა და დიალოგიური ურთიერთობის უნარი. |
| **გუნდის შექმნის პრინციპი** | თავისი ფუნქციების მიმართ სხვების მხრიდან რჩევების მიუღებლობა; სხვებისთვის გადაწყვეტილებების დელეგირების სურვილის არქონა. | თავის დამხმარეებად ირჩევს ექსპერტებს და არა მეგობრებს. | უფრო სავარაუდოა, რომ თავის მრჩევლებად აირჩევენ ლოიალურ მეგობრებს და არა ექსპერტებს. |
| **გამოხატვა** | გავლენის, მტკიცებების, დარწმუნების, არგუმენტირების მცდელობები. | შესრულების ხარისხზე, პირდაპირი – სიტყვიერი მითითებები ან ირიბი – ქმედებები. | სხვებთან ახლო ურთიერთობებზე ზრუნვა. |
| **ურთიერთობა** | შესაძლოა არ სიამოვნებდეს სხვა პოლიტიკოსთან, მით უმეტეს ოპოზიციასთან ურთიერთობა. | გაურბიან ურთიერთობის ფორმას და მზად არიან წავიდნენ კონფლიქტზე იდეის განხორციელების გამო. | დროს ატარებს პირად კონტაქტებში და სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში და ხშირად კონფორმისტივით იქცევა. |
| **ქცევა რთულ სიტუაციებში** | არიან კონფლიქტურები, აქვთ მიდრეკილება მანიპულატორული ქმედებებისა და უდიდესი სამხედრო ძალისხმევისადმი. | მიდრეკილია ზომიერი რისკისადმი, ახდენს თავისი ქცევის მოდიფიცირებას გარემოებებზე დამოკიდებულებით. | სავსეა შფოთვითა და მღელვარებით, თავს იცავს; დინამიურად ცვალდ სიტუაციაში ის უბრალოდ „დინების საწინააღმდეგო“ მდგომარეობაში აღმოჩნდება. |
| **განსაკუთრებით ეფექტური პერიოდი** | ლიდერის როლზე წამოყენების ეტაპი. | შემოქმედებითი თვითრეალიზაციის ეტაპზე მათ ელით არნახული წარმატება. | შესაძლოა იყოს ეფექტური მხოლოდ ლიდერის როლზე ადაპტაციის ეტაპზე. |

ამრიგად, ლიდერული მოტივების გამომჟღავნებ-ის არსი მდგომარეობს მოტივების შესაბამისად რეალური ლიდერების კლასიფიკაციაში, ასევე გამოხატულება ლიდერის ფსიქოლოგიაში სხვადასხვა მოტივაციური ტენდენციების შეფარდებითი სიძლიერისა და მათი იერარქიის გამოვლენაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. მაკიაველი, მთავარი თბ., 2000.
2. Christic B., geis F. L., Studies in machiavelliansm n. y. 1970.
3. Atkinson T. Feather N. A. Theory of achievement motivation. N. Y. Norton. 1966.
4. Winter D. Carison L. Using motive scores in the psychobiographical study of an individual: The case of Richard Nixon/Journal of Personality. N. Y. 1988.



### რეზიუმე

სტატიაში „პოლიტიკური ლიდერობის მოტივაციის ინდიკატორები“ განხილულია პოლიტიკური ლიდერობის უმნიშვნელოვანესი მოტივაციური წყარო – ძალაუფლების მოტივი, რომელიც განისაზღვრება პოლიტიკური ლიდერების თანდაყოლილი ინდივიდუალური თვისებებით; გაანალიზებულია ძალაუფლებისაკენ სწრაფვის შემდეგი ინდიკატორები:

– გავლენის, კონტროლის ან სხვებზე ზემოქმედების მოხდენაში დაინტერესება;

– სხვა ადამიანების, ჯგუფების ან სამყაროს მიმართ მძაფრი ქმედებები;

– სხვების კონტროლი და მართვა;

– გავლენის, მტკიცების, დარწმუნების, არგუმენტირების მცდელობა;

– დახმარება და რჩევები მაშინაც კი, როდესაც ამას არ ითხოვენ;

– პრესტიჟის ჟინი;

– სურვილი მოახდინონ შთაბეჭდილება და გამოიწვიონ ძლიერი ემოციური რეაქცია;

– საორგანიზაციო სისტემის გამოგონებისა და მისი ფუნქციონირების პოლიტიკურ პიროვნებებზე თავმოხვევის სურვილი;

– სხვებისათვის ძალაუფლების განაწილების სურვილის არქონა;

– თავისი ფუნქციების მიმართ რჩევების მიღების სურვილის არქონა;

– სხვების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დელეგირების სურვილის არქონა, რადგან ის თვლის, რომ ეს მხოლოდ მისი პრეროგატივაა;

– სხვებთან (ვისაც მასთან ერთად ძალაუფლების გადანაწილება სურს) თავის ფუნქციების თაობაზე კონსულტირება;

– სხვების ინფორმირების სურვილის არქონა და სხვა.

# სახელმწიფო პოლიტიკა და საინფორმაციო საზოგადოება

*გიორგი კალანდაძე,*
*სტუ-ს დოქტორანტი*

სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მექანიზმში მნიშვნელოვანი როლი ოთხ ძირითად ტიპს (ელიტური, კორპორაციული, პრულარული, პარტისიპაციური) ენიჭება და რადგანაც ოთხივე ტიპი პრაქტიკულად პოლიტიკური მმართველობის მთელ სისტემაწარმომქმნელ სპექტრს მოიცავს (ერთი ან რამდენიმე ადამიანის ხელში სახელმწიფოებრივი ნების ჰიპერკონცენტრაციით დაწყებული საზოგადოების ნებასურვილის გამომხატველი სუბიექტების ფორმირების პარტისიპაციური წესებითა და პლებისციტური მექანიზმებით დამთავრებული) და რომელთა საქმიანობა სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებას და სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებას (იგულისხმება აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, საკანონმდებლო პროცესის ოპერატიული მართვა) ემსახურება, რამდენიმე დონეზე განიხილება (ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო).

ადგილობრივი დონე სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტას, საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფას, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობას და ექსპლუატაციას, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური საკუთრების მართვას გულისხმობს.

რეგიონული დონე მოითხოვს სახელმწიფოებრივ ჩარევას, სოციალური ჯგუფებისა და ეროვნული ერთობების საქმიანობის კოორდინაციას, მიმართულს მთელი რეგიონის კომპლექსური განვითარების, დაბალანსებული ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დანაშაულებრივი ჯგუფებისა და მაფიოზური კლანების ხელყოფისაგან დაცვისაკენ.

სახელმწიფოს პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ზოგადეროვნულ დონეს. ამ დონეზე სახელმწიფო მოწოდებულია ყველაზე ზუსტად განსაზღვროს პრიორიტეტები პოლიტიკაში სოციალური ფენებისა და ჯგუფების მიმართ, შესაძლებლობათა გათვალისწინებით გამოყოს საბიუჯეტო სახსრები ეკონომიკის იმ დარგების მოდერნიზაციისა და განვითარებისათვის, რომლებიც, პირველ რიგში, ქმნიან პირობებს სოციალური სფეროს ოპტიმალურ რეჟიმში ფუნქციონირებისა და თითოეული პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საერთაშორისო დონე დღეს სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. სახელმწიფო პოლიტიკის სწორედ ეს დონე უზრუნველყოფს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების, მოქალაქეთა სუვერენული უფლებების დაცვას, საზოგადოების ეფექტური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ლოკალურ და საერთაშორისო კონფლიქტებში ქვეყნის ჩათრევის დაუშვებლობას.

სახელმწიფო პოლიტიკის (policy) საორგანიზაციო და სარეგულაციო-საკონტროლო საქმიანობა თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანწილად ინფორმაციული მექანიზმების საშუალებით რეალიზდება. პოლიტიკისა და ინფორმაციის ამგვარი შესაბამისობიდან გამომდინარე, ცნება „საინფორმაციო პოლიტიკა“, პოლიტოლოგიური თვალსაზრისით, ორ დონედ შეიძლება იქნეს განხილული:

პირველი დონე არის საინფორმაციო პოლიტიკა, ფართო გაგებით, როდესაც პოლიტიკური ზემოქმედების ყველა სფეროში (ეკონომიკური, ტექნიკური, სამართლებრივი, საგანმანათლებლო, სამხედრო და სხვ.) პოლიტიკა ხორციელდება ინფორმაციული მეთოდებით. მეორე დონე არის საინფორმაციო პოლიტიკა ვიწრო გაგებით, როდესაც საორგანიზაციო და სარეგულაციო-საკონტროლო საქმიანობა ხორციელდება საკუთრივ ინფორმაციული მეთოდების სფეროში, მაგალითად, ახალი სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხარდასაჭერად მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა. ფართო გაგების საინფორმაციო პოლიტიკა მოიცავს ვიწრო გაგების საინფორმაციო პოლიტიკას და განიხილებიან, როგორც სისტემა და ქვესისტემა. პირველი დონისათვის ამოსავალი, პოლიტიკური მიზანია, ხოლო შედეგი – მათი მიღწევა. ვიწრო გაგების საინფორმაციო პოლიტიკა კი ინფორმაციას კრებს, ამუშავებს და ავრცელებს ფართო გაგების საინფორმაციო პოლიტიკის პოლიტიკური მიზნის მოთხოვნების შესაბამისი შედეგის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო აღმშენებლობის ყველა სფეროში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შექმნა-დანერგვის, გამოყენება-განვითარებისა და დაცვის, აგრეთვე ქვეყნის საინფორმაციო უშიშროებისა და საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობის საკითხებზე სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მისაღებად საჭიროა ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს:

1. ინსტიტუციონალურ მშენებლობას (აღმასრულებელი ხელისუფლების
   შესაბამისი სტრუქტურების განვითარება, მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება);
2. ქვეყნის ციფრული საკომუნიკაციო გარემოს ფორმირებას (ციფრული გლობალური და ლოკალური ქსელების განვითარება, საერთაშორისო და მსოფლიო გლობალური ქსელების ხელმისაწვდომობა);
3. ქვეყნის ციფრული საინფორმაციო გარე-

მოს ფორმირებას (საერთო-სახელმწიფოებრივი და დარგობრივი საინფორმაციო ბანკებისა და მართვის კომპიუტერული სისტემების შექმნა-დანერგვა);

4. საზოგადოების გათვითცნობიერებისა და ცოდნის დონის ამაღლებას (პოპულარიზაცია, სწავლა-განათლება, კადრების მომზადება-გადამზადება);

5. საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების შემუშავებას და არსებულ ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანას (საჭიროებისამებრ მათი გაუქმება);

6. უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვას (ინვესტიციებისა და კრედიტების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება);

7. ქვეყანაში ინფორმაციის მოპოვება-დამუშავებისა და გავრცელების ინდუსტრიის ფორმირებას (მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმისაწვდომობა და განვითარება);

8. ქვეყნის ელექტრონულ-საინფორმაციო სივრცის ფორმირებას (მსოფლიო ელექტრონულ-საინფორმაციო სივრცეში ინტეგრირება და უშიშროების დაცვის სტრატეგიის შემუშავება).

საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნად უნდა იქცეს საინფორმაციო პოლიტიკის და ღია საინფორმაციო საზოგადოების განვითარების პროცესის ხელის შეწყობა და საინფორმაციო პოლიტიკის რეალიზაციის პირობების შექმნასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ინფორმაციული საზოგადოების თეორიები http://www.socium.ge/index.php/library/15-sociology/informaciuli-sazogadobeis-teoriebi/mediis-da-komunikaciis/29-info-sazo-teor-i 04 ივნისი 2012

2. ძალაუფლების ფენომენი ინფორმაციულ საზოგადოებაში
http://isociology.isdi.ge/?p=97
წყარო: მაცნე, ფილოსოფიის სერია, 2005, N1

3. კუპრაშვილი ჰ. ეროვნული უშიშროების სისტემური ინფორმაციული უზრუნველყოფა. ს/ს "ტექნიკური უნივერსიტეტი", თბ., 2012.

4. ინფორმაცია, რესტრუქტურიზაცია და გლობალიზაცია http://socium.ge/index.php/component/abook/book/15-sociology/informaciuli-sazogadobeis-teoriebi/mediis-da-komunikaciis/88-informacia-restruqturizacia-da-globalizacia 10 ნოემბერი 2012

5. კასტელსი მ. ინფორმაციონალიზმი და ქსელური საზოგადოება, http://www.socium.ge/index.php/library/12-sociology/tanamedrove-soc-teoriebi-ii/39-informacionalizmi-qseluri-sazogadoeba 04 ივნისი 2012

6. ინფორმაციული უსაფრთხოების ერთიანი ევროპული სისტემის ფორმირების კონცეფცია: პრობლემები და გადაწყვეტის გზები http://informsoc.org/ka/journal/cybersecurity/64-2009-08-17-15-04-52 20 თებერვალი 2013



### რეზიუმე

სახელმწიფო პოლიტიკის (policy), რომლის საორგანიზაციო და სარეგულაციო-საკონტროლო საქმიანობა დღეს ძირითადად თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით ხორციელდება, სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს საინფორმაციო პოლიტიკის და ღია საინფორმაციო საზოგადოების განვითარების პროცესის ხელშეწყობა, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან საკანონმდებლო პროცესების ოპერატიული მართვის და სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობაა.



Summary

*G. Kalandadze*

**Public Policy and Information Society**

The strategic goal of the State's Policy, whose organization and regulation controlling activities are mainly accomplished using modern information technologies, is to support the process of development of information policies and open mass media which is the basis for executive branch of the government to manage legislative processes and state decisions.

# დიპლომატია რეგიონალიზაციის პირობებში

***სულიკო გრიგალაშვილი,***
*სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

უკანასკნელ პერიოდში დიპლომატიური სამსახური სულ უფრო მეტ შეხებაშია იმ პრობლემებთან, რომლებიც რეგიონალიზაციის პროცესით არის გამოწვეული. საუბარია მსოფლიო პოლიტიკის არქიტექტონიკაში რეგიონების როლის ზრდით, ინტეგრაციული პროცესების განვითარებით და საერთაშორისო თანამშრომლობით, რომლებიც ორი სისტემის უხეში დაპირისპირებით ფერხდებოდა.

თანამედროვე სამყაროს ურთიერთდამოკიდებულებამ განაპირობა მრავალი ქვეყნისათვის ამ პროცესის ერთიანობის მაღალი ხარისხი. ამგვარად, პრობლემატიკის ცოდნა, რომელთანაც შეხება აქვს დემოკრატიული ქვეყნების დიპლომატიას, იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ამავე დროს თითოეული რეგიონი თავისებურად რეაგირებს დროის მოთხოვნაზე. ეს განპირობებულია მისი ეროვნული, კულტურული, ისტორიული, გეოპოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური თავისებურებებით. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება მომხდარი ცვლილებების შედარებითი ანალიზი, ასევე რეგიონალური პოლიტიკის სფეროში სხვადასხვა დიპლომატიური გამოცდილების შესწავლა.

რეგიონალიზმი -ის ცნებაა, რომელიც წარმოიშვა ერი-სახელმწიფოს კრიზისის, ეკონომიკური გლობალიზაციის ტენდენციებისა და ინტეგრაციული პროცესების განვითარების შედეგად. ამ ფონზე იკვეთება ადგილებზე აქტიურობის გაზრდა და ,,ლოკალური ეთნიკურობის“გამძაფრება. ყველა ამ პროცესების სუბიექტები გახდნენ როგორც სუბნაციონალური რეგიონები, დაკანონებული მრავალი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით(აშშ-ს შტატები, საფრანგეთის დეპარტამენტები, გერმანიის ფედერალური მიწები, იტალიის ოლქები, ბრიტანეთის საგრაფოები, შვეიცარიის კანტონები, ნორვეგიის ფიულკე და სხვ), ასევე ფუნქციონალური რეგიონები, სასაზღვრო თანამშრომლობის შედეგად წარმოქმნილი. ამ კონტექსტში წარმოიშობა ახალი რეალობა, რომლის პირობებში ეროვნული მთავრობების კომპეტენციის პარამეტრები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიან, ხოლო რეგიონები უფრო დაჟინებით ითხოვენ მეტ თვითმმართველობას და დამოუკიდებელ გასვლას საერთაშორისო არენაზე.

ამასთან უფრო ცხადი ხდება რეგიონალიზაციის პროცესების არაერთგვაროვნობა. საზღვრების დიდი ღიაობის შედეგად მთავრობები შეხებაში მოდიან კაპიტალის მობილობის, შრომითი რესურსების, საქონლის, კულტურული ფასეულობების უკონტროლობასთან. არამარტო სახელმწიფოებრივ დონეზე, არამედ ინტეგრაციული გაერთიანებების დონეზეც უფრო რთული ხდება ტრანსნაციონალური კორპორაციების ზეგავლენის რეგულირება, რომელთა სიმძლავრე არც თუ იშვიათად აღემატება მთავრობების შესაძლებლობებს. სხვა საერთაშორისო ეკონომიკური, სავაჭრო და ფინანსური ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ მსოფლიო და ევროპულ ბაზრებზე, ესწრაფიან გადალახონ პროტექციონისტური ბარიერები და უშუალოდ, ხშირად-კონტროლის გარეშე, ურთიერთობა დაამყარონ მომხმარებელთან.

მზარდი უსაფრთხოების მუდმივ წყაროდ იქმნება ორგანიზაციული დანაშაულის, ნარკოვაჭრობის, ტერორიზმის პრობლემები. ეთნიკური მდგომარეობის გაუარესების და უმუშევრობის ზრდის პირობებში თვით განვითარებულ ქვეყნებში მრავალი იმ დასკვნამდე მიდის, რომ თანამედროვე სახელმწიფო უძლურია დაძლიოს შექმნილი სიტუაცია ტრადიციული მეთოდებით.

ამ ფონზე მკვეთრად გამოიყოფა რეგიონალური წარმონაქმნების როლის ზრდის კიდევ ორი ფაქტორი. ერთი მხრივ, გაიზარდა იმის შემეცნება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შეადგენენ დემოკრატიული წყობილების ერთ-ერთ საფუძველს, რითაც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა სახელმწიფოებრივი საქმეების მმართველობაში მონაწილეობის უფლებას. მეორე მხრივ,- კრიზისულმა მდგომარეობამ გამოიწვია გარკვეული ცენტრიდანული ტენდენციები და იმის იმედი, რომ რეგიონალური ორგანოების დონეზე შესალებელი გახდება კრიზისიდან გამოსასვლელი ოპტიმალური გადაწყვეტილების მიგნება. ობიექტურად წარმოიქმნა სივრცე, რომლის ფარგლებში სუბნაციონალურმა სასაზღვრო რეგიონებმა უფრო მეტი წონა და მნიშვნელობა შეიძინეს.

ამ სივრცეში, რომელიც ხასიათდება საზღვრების ტრანსპარანტობის ცნობილი ხარისხით და თანამედროვე ტექნოლოგიების და კავშირგაბმულობის საშუალებათა გავრცელებით, ადგილობრივი და რეგიონალური წარმონაქმნების წარმომადგენლები უფრო მეტად საკუთარ თავს ახსენებენ, რითაც ავსებენ დიპლომატიის ახალი აქტორების რიცხვს და საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების სტატუსს ეძიებენ.

ისინი იმ თეორეტიკოსებისა და პოლიტიკოსების მხარდაჭერას იღებენ, რომელთაც ტერმინების პირობითობის პირობებში შეიძლება დაერქვას ,,რეგიონალისტები“. ,,რეგიონალისტები“ რეგიონში და არა სახელმწიფოში ხედავენ თანამედროვე სამყაროს გეოპოლიტიკურ ერთეულს თვითგანვითარებული

ნეოლიბერალური საბაზრო მოდელის საფუძველზე. შესაბამისი თეორიები ნეოლიბერალური თეორიების გაფურჩქვნის პირობებში საბაზრო კონკურენციის თავისუფლებას ქადაგებს ლოზუნგით- ,,ნაკლები სახელმწიფო, მეტი ბაზარი". ,, რეგიონალისტები" თვლიან, რომ ადგილობრივი ერთობები და რეგიონები სამრეწველო საწარმოების მსგავსად ერთმანეთთან კონკურენტულ ბრძოლაში უნდა ჩაებნენ. ამასთან მათი კონკურენტშესაძლებლობა განისაზღვრება არა იმდენად რესურსებისა და ინფრასტრუქტურების არსებობით, რამდენადაც მაღალხარისხიანი სერვისით და მენეჯმენტის ეფექტიანობით. საბოლოო ჯამში, ამ პროცესმა, მათი აზრით, უნდა გამოიწვიოს რეგიონებისა და ქალაქების ქსელის, როგორც ტრანსნაციონალური ინტეგრაციის ახალი ფორმის, შექმნა, ხელი შეუწყოს საერთაშორისო ურთიერთობების ,,რადიკალურ დემოკრატიზაციას".

,,რეგიონალისტების" ოპონენტები, დავარქვათ მათ პირობითად ,,სახელმწიფოს მომხრეები", აუცილებლად თვლიან სახელმწიფოს ხელში შენარჩუნდეს საკვანძო პოზიციები ადგილობრივი ძალაუფლების ორგანოებისა და რეგიონების მიერ რეალური ავტონომიის უზრუნველყოფის დროს. მათი შეფასებით, საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ სუბიექტად კვლავინდებურად რჩება ეროვნული სახელმწიფო, მხოლოდ უფრო ღია და დინამიური. კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციამ და ერთიანი ბაზრის შექმნამ არა მარტო ხელი არ შეუწყო რეგიონების განვითარებას, არამედ გაზარდა მათ შორის უფსკრული.

,, თვითორგანიზებული ტერიტორიის" მოდელი აღძრავს სიმდიდრის შემდგომ კონცენტრაციას და მიჰყავს ნაკლებად განვითარებული სუბიექტების მარგინალიზაციისაკენ, ზრდის რა, ამგვარად, უკვე არსებულ დისპროპორციას. ამან შეიძლება შეაჩეროს ან საერთოდ გააუქმოს ევროპული ინტეგრაციის დადებითი ტენდენციები, რომელიც გამოხატულია საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდაში, ადამიანისა და სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებელ ფასეულობებად აღიარებაში.

ამავე დროს ,,სახელმწიფოს მომხრეები" თვლიან, რეგიონებს არ გააჩნიათ და (ნაკლებად შესაძლებელია უახლოეს მომავალში გააჩნდეთ) ის საშუალებები, რომლებიც აუცილებელია, რომ საკუთარ თავზე აიღონ ეროვნული სახელმწიფოს ფუნქციები. ხაზს უსვამენ რა სახელმწიფოს მნიშვნელობას, მაგალითად მოჰყავთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი (სტ. 72), რომლის თანახმად ფედერალური მთავრობა უზრუნველყოფს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ერთიანობის შენარჩუნებას და მოქალაქეთა თანასწორობის პირობებს, ფედერალური მიწების საზღვრებისაგან დამოუკიდებლად. უკიდურეს შემთხვევაში, ამ თვალსაზრისით, საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა შეიძლება გახდეს ნაკლებად სუსტი ჯგუფებისა და წარმონაქმნების გადარჩენის საფუძველი.

განსაკუთრებული სიმწვავე გამოიწვია მოსაზრებამ --ხომ არ დაკარგეს თანამედროვე სახელმწიფოებმა თავისი პოტენციალი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. ავტორიტეტულმა ამერიკული საგარეო პოლიტიკურ ჟურნალმა ,,ფორინ აფერსი" მნიშვნელოვნად ჩათვალა ჩართულიყო რეგიონალიზაციის საკითხის შესახებ დისკუსიაში. მის ფურცლებზე სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველმა ჯ. ნიუჰაუზმა ეჭვი გამოთქვა, რომ რეგიონები მოინდომებენ თავის თავზე აიღონ სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები. ის თვლის, რომ ,,სახელმწიფო მომავალშიც შეკრებს გადასახადებს და შეინახავს არმიას, იგი კვლავ რჩება სამართლიანობის , ადამიანური ფასეულობების დაცვის ერთადერთ ინსტრუმენტად. იმ დროს ამავე ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ფ. ზაქარიამ საჭიროდ ჩათვალა ხაზი გაესვა, რომ ეროვნულ სახელმწიფოებს საფრთხე ქვევიდან-რეგიონებიდან ელით. სახელმწიფოს დაშლის საშიშროება ცალკეულ რეგიონებად, მისივე სიტყვებით, იგრძნობა ამერიკაშიც, რომელიც შეხებაშია ,,ნეოტრაიბალიზმთან" და ამერიკული ,,ნდობის გადასახადების" მოქმედების ფაქტობრივ შეწყვეტასთან.

საკონსტიტუციო სამართლის მრავალი მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ,,დემოკრატია არსებობს განსაზღვრულ გეოპოლიტიკურ სივრცეში, წარმოქმნილი ერი-სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის შედეგად და უგუნურება იქნებოდა ანგარიში არ გაეწიათ ამ რეალობისათვის". რადიკალური რეგიონალიზაციის პროექტების მთავარი რისკი მდგომარეობს გეოპოლიტიკური რყევის საშიშროებაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ -იმ საფუძვლების შერყევაში, რასაც ემყარება თანამედროვე დემოკრატიის პოლიტიკური ინსტიტუტები.

რასაკვირველია, არსად დიპლომატია, მათ შორის ეკონომიკური არ გარდაიქმნა მხოლოდ რეგიონების განსაკუთრებულ კომპეტენციად. მრავალ განვითარებულ ქვეყნებში მთავარ და მაკოორდინებელ როლს საგარეო პოლიტიკური აქციების გატარებაში თამაშობს ცენტრალური მთავრობა. უმრავლეს ქვეყნებში სწორედ სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოებთან ვალდებულია შეათანხმოს რეგიონებმა, როგორც წესი, თავიანთი საგარეო კავშირები და კომერციული საქმიანობა. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში საქალაქო და რეგიონალური ინსტიტუტების დონეზე შეიმჩნევა საერთაშორისო კავშირების დამოუკიდებელი დაგეგმვის ტენდენცია და შესაბამისი დიპლომატიური სტრუქტურების შექმნა.

მაგალითად, რეგიონალური კომერციული სააგენტოების უმთავრეს ამოცანად იქცა უცხოური ბაზრების შესწავლა და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა. რეგიონალური ხელისუფლების დახმარებით სააგენტოები ხსნიან თავიანთ ეკონომიკურ მისიებს დაშორებული ბაზრების ზონებში.

მრავალი დასავლელი პოლიტოლოგი და ეკონომისტი თვლის, რომ ამ სიტუაციის წესრიგში მოსაყვანად ადგილობრივ ხელისუფლებას ესაჭიროება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და რეალური, მათ

შორის ფინანსური, უფლებამოსილება. ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოებში ,,რეგიონალური სუბიექტები"(მუნიციპალიტეტი. კომუნები, საგრაფოები, დეპარტამენტები, ოლქები) იძენენ შორს მიმავალ სუვერენულ უფლებებს, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების , მაგალითად, საექსპორტო ხელშეკრულების და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის უფლებას.

მაგრამ ზუსტად სახელმწიფო მმართველობის ყველაზე მეტად დეცენტრალიზებული სისტემის ქვეყნებში განსაკუთრებით იგრძნობა ურთიერთმოქმედების მექანიზმის შექმნის საჭიროება, რომლის საშუალებით სხვადასხვა დონეზე საერთაშორისო კავშირები შეიძლება იყოს კოორდინირებული. ასე მაგალითად, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ა.შ.შ., კანადა, გერმანია, ბელგია ადგილობრივი ხელისუფელების ინტერესები საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის საკვანძო სფეროებში, გახდა საგარეო ურთიერთობების წარმართვის უმნიშვლელოვანესი ფაქტორი.

ამერიკული პოლიტიკური სისტემის განვითარების კვალდაკვალ ცალკეული შტატების, სასამართლო და თვით მუნიციპალური და ადგილობრივი ხელისუფლება სულ უფრო მეტ უფლებამოსილებას იძენენ. შედეგად ცხადი გახდა, რომ ფედერალური მთავრობას ზოგჯერ არ შეუძლია გამოვიდეს ქვეყნის სახელით, თუ კონსულტაციას ან წინასწარ მოლაპარაკებას არ გამართავს კონგრესთან, არამედ სახელმწიფო ხელისუფელბის სხვადასხვა სტრუქტურებთან და მოთამაშეებთან. იმ ინსტიტუტებში, რომელთანაც ხდება ნაბიჯების შეთანხმება, ხვდებიან თვით ზოგიერთი კერძო საწარმო. როგორც ჯ. კენანი აღნიშნავდა, ქვეყნის შიგნით ხელისუფლების უკიდურესად დანაწილებამ გამოიწვია შეზღუდვები, რომლებიც დაედოთ საზღვარგარეთ ამერიკის წარმომადგენლებს, ანუ ელჩებს და სხვა დიპლომატებს.

მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ ა.შ.შ. -ში შტატების ხელისუფლება ,,მესამე ხელისუფლების" დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, რადგან მოსამართლეები უმრავლეს შემთხვევაში ე.წ. ,,ორმაგი სუვერენიტეტის" თეორიისაკენ იხრებიან, რომლის თანახმად შტატები და ფედერალური ორგანოები ერთ დაფაზე იდება. ამიტომ შტატები პრეზიდენტზე, ადმინისტრაციასა და კონგრესზე მნიშვნელოვან ზეწოლას ახორციელებენ, რითაც იცავენ თავიანთ დამოუკიდებლობას საგარეო ურთიერთობებში.

როგორც კი შეიქმნა NAFTA-ში სპეციალური სავაჭრო წარმომადგენლის ფედერალური ინსტიტუტი, ამერიკის შტატებმამოითხოვეს ამ ინტეგრაციული გაერთიანების სავაჭრო პოლიტიკაში პირდაპირი მონაწილეობა და შეძლეს შესაბამისი მექანიზმის შექმნისათვის მიეღწიათ.

გერმანიის ძირითადი კანონი მიწებს აძლევს უფლებას ხელშეკრულება დადონ საზღვარგარეთის ქვეყნებთან იმ სფეროებში, რომლებიც მხოლოდ მათ განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედის. თუმცა ყველა შემთხვევაში საჭიროა ფედერალური მთავრობის თანხმობა. მიწები უფრო მეტ უფლებებსა და საშუალებებს იძენენ საერთაშორისო საქმიანობაში. ეს იწვევს გერმანული მიწების წარმომადგენლობების რიცხვის ზრდას. დღეს მათი რიცხვი 150 აჭარბებს. მიწების უმრავლესობას (ბავარია, ბადენ-ვიუტემბერგი, ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალია) აქვთ საკმარისი ფინანსური მხარდაჭერა, რომ შეინახონ თავიანთი მისიები ყველა მომგებიან ბაზრებზე.

მიწების სააგენტოების უმრავლესობას კომპეტენცია რჩება ინვესტიციის სფეროში. ამასთან ფედერალური მთავრობა არაერთხელ შეჯახებია გამჭვირვალე და მიუკერძოებელი პროცედურების დროს სირთულეებს, რომელიც ნებისმიერ მიწებს უზრუნველყოფდა ინფორმაციით უცხოურ ინვესტორზე. ამასთანავე, ფედერალური მიწების დაპირისპირება კონტრაქტის მიღებაზე ზოგჯერ იწვევს წარდგენილი ინვესტიციების სრულ დაკარგვას.

ბელგიაში 1993 წლის კონსტიტუციური რეფორმით ექსპორტის ხელშეწყობა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ფლანდრიის, ვალონიის, ბრიუსელის რეგიონალური ხელისუფლების თითქმის განსაკუთრებულ კომპეტენციად იქცა. მაგალითად, ბელგიის საელჩოები ინვესტიციის საკითხებზე უშუალოდ უკავშირდებიან დაინტერესებულ რეგიონებს. ფედერალური ხელისუფელების მიერ შექმნილი იქნა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისი სააკოორდინაციო კომიტეტი, რომელსაც მორიგეობით რეგიონების წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ. თავის მხრივ, რეგიონალური სუბიექტები, როგორც წესი, აფუძნებენ საკუთარ საექსპორტო სააგენტოებს. მრავალ მათგანს თავის განკარგულებაში აქვს საზღვარგარეთ ეკონომიკური და სავაჭრო ატაშეს ქსელი.

ეს ყოველთვის არ იწვევს კერძო სექტორის მხარდაჭერას, თუმცა თუ წარსულში ბიზნესმენები მთავრობის ბიუროკრატიულ ბარიერებზე ლაპარაკობდნენ, რეგიონალური ხელისუფლების მიმართ ეს კრიტიკა უფრო მწვავეა. მაგალითად, ბელგიის კერძო ბიზნესის წარმომადგენლებმა ვალონიის საექსპორტო ბიურო(Awex) ,,არაკომპეტენტურებას, ნეპოტიზმსა და უკიდურეს პოლიტიზირებაში" დაადანაშაულეს. შედეგად ქვეყანაში საექსპორტო კომპანიების მხოლოს მესამედი მიმართავს ამ ბიუროს. როგორც წესი, ეს მცირე კომპანიებს ეხება, მსხვილ ფირმებს კი ურჩევნიათ გამოიყენონ თავიანთი კავშირები უმაღლეს სამთავრობო დონეზე ან იმოქმედონ დამოუკიდებლად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Гранберг А.Г. Внешнеэкономические связи субъектов М. 2009 г.
2. Региональная безопасность- геополитические и геоекономические аспекты(теория и практика).М.2006
3. Явчуновская Р.А. Глобальная и региональная безопсность. М.2009
4. Бусыгина И. Настояшее и будушее Европы регионов. М. 1993
5. Keating M. Europeanism and Regionalism // Jones B., M. Keating. 2010



### რეზიუმე

თითოეული რეგიონი თავისებურად რეაგირებს დროის მოთხოვნაზე. ეს განპირობებულია მისი ეროვნული, კულტურული, ისტორიული, გეოპოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური თავისებურებებით. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება მომხდარი ცვლილებების შედარებითი ანალიზი, ასევე რეგიონალური პოლიტიკის სფეროში სხვადასხვა დიპლომატიური გამოცდილების შესწავლა.უფრო ცხადი ხდება რეგიონალიზაციის პროცესების არაერთგვაროვნობა. საზღვრების დიდი ღიაობის შედეგად მთავრობები შეხებაში მოდიან კაპიტალის მობილობის, შრომითი რესურსების, საქონლის, კულტურული ფასეულობების უკონტროლობასთან. არამარტო სახელმწიფოებრივ დონეზე, არამედ ინტეგრაციული გაერთიანებების დონეზეც.



### SUMMARY

*S. Grigalashvili*

Regionalization of diplomacy

The recent diplomatic service is becoming more and more in touch with the times those problems, which are caused by the regionalization process. The growing role of regions in the architecture of world politics, international cooperation and the development of integration processes, each region has its own way of responding to the request. This is due to their national, cultural, historical, political, legal, social and economic features. A comparative analysis of the changes in this regard seems to be a variety of experience in the field of regional policy.

# ტერორიზმის როლი აგრესიული სეპარატიზმის ჩამოყალიბებაში (საქართველოს მაგალითზე)

***ნონა ლომიძე,***
*სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*
***სოფიო მიდელაშილი,***
*სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

დღევანდელი საერთაშორისო გაგებით, სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში არსებულ მცირერიცხოვანი ერის ან ეთნიკური ჯგუფის სურვილს და მცდელობას მიაღწიოს ამ სახელმწიფოს ფარგლებში მაქსიმალურ პოლიტიკურ ავტონომიას, ფედერაციაში ცალკე სუბიექტის სტატუსს ან საერთოდ გამოეყოს მას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებით — სეპარატიზმია.

თანამდეროვე მსოფლიოსთვის გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება სეპარატიზმის, განსაკუთრებით კი აგრესიული  სეპარატიზმის საკითხი. ე. შევარდნაძემ გენერალური ასამბლეის სესიაზე 1999 წლის 20 სექტემბერს განაცხადა: „...თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე საშიში სენი სწორედ აგრესიული სეპარატიზმი და არსებულ დემოკრატიულ წყობათა ძალის გამოყენებით შეცვლის მცდელობაა"[1].

აღნიშნული საკითხის მოწესრიგებასა და რეგულაციაში ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკას გადამწყვეტი როლი ეკისრება, თუმცა აუცილებელია სამართლებრივი მხარდაჭერაც (იგულისხმება, როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმები). ფაქტია, მსოფლიო არ არის ჩამოყალიბებული თუ რა გზით შეიძლება მოგვარდეს სეპარატიზმის პრობლემა, უფრო სწორედ იმდენად არაერთგვაროვანია მისი მიდგომები (საკმარისია კოსოვოს, აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, პალესტინის, ბასკეთის, ჩრდილოეთ ირლანდიის პრეცედენტები), რომ ერთიანი კონცეფციის შემუშავება, რომელსაც საფუძვლად დაედება გაეროს ისეთი ტიპის აქტი, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო გახდება ყოველი წევრი ქვეყნისათვის, ფაქტიურად, დღეისათვის შეუძლებელ და გადაუჭრელ პრობლემად მიგვაჩნია.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში აღრიცხულია 3-5 ათასი ეთნოსი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს სხვადასხვა სახელმწიფოში. აქედან ეროვნული მიდრეკილება ახასიათებს 2000-მდე ეთნიკურ ჯგუფს, რომელთა შორის მხოლოდ ერთეულები დგანან სეპარატისტულ პოზიციაზე და ცდილობენ შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ძალისმიერი გზით [2].

სეპარატიზმი თანამედროვე სიტუაციის გათვალისწინებით საყოველთაო პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ იგი დედამიწის ყველა კონტინენტზე მძვინვარებს, გარდა ანტრაქტიდისა. იგი დღეს არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების, არამედ განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოების თავის ტკივილიც არის. ამის მაგალითია ევროპის კონტინენტზე არსებული სეპარატისტული კერები. გამონაკლისი ამ თავსაზრისით არც საქართველო აღმოჩნდა.

შევეხებით მხოლოდ ესპანეთს, სადაც თუ კატალონიაში ეს პროცესი შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობს, ბასკეთში პირიქით, აშკარად აგრესიულ ხასიათს ატარებს და იგი ტერორიზმით იკვეთება.

ესპანეთში დამოუკიდებლობისათვის იბრძვის კატალონია და ბასკეთი. კატალონიაში სეპარატიზმს უფრო ეკონომიკური საფუძვლები აქვს, ვიდრე კულტურული. კატალონიას ფრანკოს რეჟიმის დამხობის შემდეგ,

1978 წლის კონსტიტუციით, ფართო ავტონომია მიენიჭა. ფრანცისკო ფრანკოს მიერ კატალონიური ენისა და კულტურის რეპრესირებამ უკუშედეგი გამოიღო და ნაციონალისტური მისწრაფებების ზრდა გამოიწვია. დღეს კატალონია განკარგავს საკუთარ სამართალდამცავ, განათლების თუ ჯანდაცვის სისტემას. ერთადერთი უფლება, რაც ავტონომიურ რეგიონებს არ გააჩნიათ, გადასახადების აკრეფაა. კატალონიელებს სურთ, რომ საკუთარი გადასახადები თავად აკონტროლონ და ხელისუფლების მიერ ბიუჯეტში მათი შენატანის არაპროპორციულ გადანაწილებას აპროტესტებენ. ყოველ წლიურად, ესპანეთის ბიუჯეტში გადახდილი 16 მილიარდი ევროდან, კატალონია ეკონომიკური აქტივობის 8 პროცენტს კარგავს[3].

რაც შეეხება ბასკებს. ესპანეთის შემადგენლობიდან გამოსვლას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას მხარს უჭერს გამოკითხულ ბასკთა 55%. 1959 წლის 31 ივლისს ბასკურ ნაციონალისტურ პარტიას გამოეყო რადიკალურად განწყობილ ახალგაზრდა ნაციონალთა ჯგუფი, რომელმაც ჩამოაყალიბა ახალი ორგანიზაცია — ეტა და დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა ფრანკიზმის წინააღმდეგ. ერთდოულად, ეტამ თავისი საბოლოო მიზნად ბასკების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა დაისახა, რომელშიც ბასკებით დასახლებული შვიდივე პროვინცია უნდა შესულიყო — ოთხი ესპანეტში, სამი კი საფრანგეთში[4]. აღნიშნულ ორგანიზაციას უკავშირდება სისხლიანი ტერაქტები ესპანეთში, რაც სერიოზული პრობლემა იყო მისთვის, თუმცა 2011 წელს ეტამ ბრძოლის შეწყვეტის შესახებ განაცხადა.

თუ შევადარებთ ერთმანეთს ბასკურ და კატა-

ლონიურ ნაციონალიზმს, მივიღებთ შემდეგ სურათს: კატალონიური ნაციონალიზმი, ან როგორც მას ხშირად უწოდებენ „სამოქალაქო ნაციონალიზმი" ქადაგებს კატალონიის განვითარებას ესპანეთის შემადგენლობაში, მაშინ, როდესაც ბასკური ნაციონალიზმი უარს ამბობს ორიენტაცია ესპანეთზე აიღოს და უფრო გამანთავისუფლებელი იდეებითაა გაჯერებული. შეხედულება — „ბასკების სურვილია გავიდნენ ესპანეთიდან, ხოლო კატალონიელების — მართონ ესპანეთი", სავსებით სწორია და შესანიშნავად წარმოაჩენს საქმის არსს [5].

გვინდა შემოგთავაზოთ ჩვენი პოლიტიკურ-სამართლებრივი ხედვა თუ როგორ განვითარდა მოვლენები საქართველოში, კერძოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 1991-1994 წლებში. რა როლი ითამაშა სეპარატიზმის აგრესიულ სეპარატიზმად გადაზრდაში ტერორისტულმა ორგანიზაციებმა და ცალკეულ საერთაშორისო დონის ტერორისტებმა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ტერორისტული ხასიათის დანაშაულმა დიდი მასშტაბები მიიღო. „ცივი ომის" შემდგომი პერიოდის საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვის ატმოსფეროში მოსალოდნელი იყო შეია-რაღებული კონფლიქტების მკვეთრი შემცირება. მაგრამ ეს არ მოხდა. ყველაზე ნიშანდობლივი აღმოჩნდა ის, რომ ევროპის კონტინენტზე დაისადგურა „საომარმა" განწყობილებამ, ამასთანავე, თავად საერთაშორისო კონფლიქტების ბუნება შეიცვალა: სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების მაგივრად თავი იჩინა საერთაშორისო შეფერილობის მქონე შიდასახელმწიფოებრივმა კონფლიქტებმა, რომლის მასაზრდოებელი იყო სწორედ სეპარატიზმი.

კონფლიქტების უმრავლესობა დაკავშირებული იყო ქვეყნის დაშლასთან და სეპარატისტულ განწყობებთან (იუგოსლავია, მოლდოვა, აზერბაიჯანი და სხვ.).

ახალბედა საქართველოს სახელმწიფო, რომელმაც აირჩია დემოკრატიული განვითარების გზა და აღიარა ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპები, აღმოჩნდა ორი უმწვავესი სეპარატისტული კონფლიქტის პირისპირ – აფხაზეთის ყოფილმა ავტონომიურმა რესპუბლიკამ და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ყოფილმა ავტონომიურმა ოლქმა (სამაჩაბლო) ერების თვითგამორკვევის უფლების საერთაშორისოდ აღიარე-ბული პრინციპის მოშველიებით და გარე ძალების წაქეზებით დამოუკიდებლობაზე პრეტენზია განაცხადეს. ჩრდილოელი სამეზობლოს დახმარებით და აქტიური მხარდაჭერით საქართველო ჩააბეს ძმათმკვლელ ომში, რომელსაც მოყვა ქვეყნის მთლი-ანობის დარღვევა, ქართული ძირძველი ტერიტორიების მოწყვეტა, ეთნიკური წმენდა, ათასობით მსხვერპლი, ასი ათასობით ლტოლვილი, მოსახლეობის კერძო საკუთრების განადგურება საყოველთაოდ საშიში საშუალებებით და/ან მიტაცება და ა.შ. ომის მსვლელობაში სეპარატისტების და მათ მიერ დაქირავებული (რუსეთის დაფინანსებით) სხვადასხვა რჯულის ,,ბოევიკების" ქმედებები დღემდე არაა საეთანადოდ შეფასებული, თუმცა აშკარაა, რომ ისინი ფართოდ იყენებდნენ ტერორიზმისათვის დამახასიათებელ მეთოდებსა და საშუალებებს და სისტემატიურად არღვევდნენ (და დღესაც არღვევენ) ჟენევის მე-4 კონვენციის ფუძემდებლურ დებულებებს, I და II დამატებითი პროტოკოლების და სხვა საერთაშორისო რეზოლუციების მოთხოვნებს ტერორიზმის საკითხებზე [6].

საქართველოს მოსახლეობამ დღეს მაინც უნდა გააცნობიეროს, რომ ტერორიზმი არის იდეოლოგიურ, სოციალურ თუ რელიგიურ ლოზუნგებს ამოფარებული პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება; რომ ტერორიზმი – საერთაშორისო მასშტაბის ფენომენია; რომ მისი სამიზნე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ქვეყანა, მისი სტრატეგიული ინფრასტრუქტურა თუ მშვიდობიანი მოსახლეობა, მთავრობის წარმომადგენელი (საკმარისია აღინიშნოს 1995 და 1998 წლებში საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტები) თუ ბიზნესმენი (სულ ახლო წარსულში ასეთი ფაქტების მომსწრე თავად საქართველოს მოქალაქეები გახლავთ)[7]. საქართველოს სახელმწიფოს მიმართ გამუდმებული მუქარა, რაც მოსახლეობაში შიშს ნერგავს და ახალი ომის მოლოდინს ამძაფრებს; რომ ტერორიზმი მრავალსახოვანი მოვლენაა, მრავალწახნაგოვანი და მრავალასპექტიანი, რასაც ადასტურებს საქართველოს ტერიტორიაზე ტერორიზმის ისეთი გამოვლინებები, როგორიცაა: კონფლიქტურ ზონებში მოსახლეობის დაშინება, მათი უფლებების ხელყოფა; არაღიარებული სახელ-მწიფოს მოქალაქეობის მიღების იძულება.

სწორედ აქ გვინდა ვაჩვენოთ თუ რა როლი ითამაშა აგრესიული სეპარატიზმის მხარდასაჭერად და წარმატებულად განხორციელებისათვის ტერორისტულ ორგანიზაციებმა და მათ „გამოჩენილმა" ფიგურებმა აფხაზეთში განვითარებული მოვლენებისას.

საკმარისია დავასახელოთ ისეთი ცნობილი ჩეჩენი წარმოშობის ტერორისტი, როგორიც იყო შამილ ბასაევი. დადგენილია, რომ იგი თავის დროზე თანამშრომლობდა რუსეთის სპეცსამსახურებთან და გაიარა სპეციალური მომზადება გრუ-ს (რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველო) პროგრამით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

შამილ ბასაევი რუსეთის სპეცსამსახურების მიერ გამოყენებულ იქნა აფხაზეთში და იგი ხელმძღვანელობდა გაგრასა და სოხუმში სპეციალურ სადამსჯელო ოპერაციების ჩატარებას. ამისათვის მის განკარგულებაში იყო სპეციალური დანაყოფი, რომელიც დაკომპლექტებული იყო ბოევიკებით ჩრდილოეთ კავკასიიდან. დადგენილია ის ფაქტი, რომ შამილ ბასაევის სპეცრაზმში ინსტრუქტორების ფუნქციას ასრულებდნენ გრუ-ს ოფიცრები. სწორედ შამილ ბასაევის მიერ განხორციელებულმა სადამსჯელო ოპერაციებმა, რომელიც ჩვენი აზრით შეიცავს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულის და გენოციდის ნიშნებს, მოახდინეს გადამწყვეტი გავლენა არა მარტო სამხედრო-სტრატეგი-

ულ, არამედ მორალურ-ფსიქოლოგიური ზეგავლენის თვალსაზრისით ამ კონფლიქტის საბოლოო შედეგი ყველასათვის კარგადაა ცნობილი[8].

ამ ზემოთქმულის გათვალისწინებით გვინდა დავასკვნათ:

1. თუ არა ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა აფხაზური სეპარატიზმისათვის, მისი შედეგები შეიძლება ყოფილიყო სრულიად საწინააღმდეგო.

2. უდავოდ მივედით იმ დასკვნამდე, რომ როგორც აგრესიული სეპარატიზმი ქმნის ნოყიერ ნიადაგს ტერორიზმისათვის, ისე ეს უკანასკნელი ხელს უწყობს აგრესიული სეპარატიზმის იდეების წარმატებით დამთავრებას.

3. სამწუხაროდ, საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სასამართლოები არ ქმნიან პრეცედენტებს აგრესიული სეპარატიზმის და ტერორიზმის ორგანული კავშირის და მათი მიზნებისა და ამოცანების თანხვედრის თვალსაზრისით.

4. უფრო სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ მიმართულებით პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზი და შეფასება დღემდის არ მოუხდენიათ.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. კვესელავა ი. საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990). ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2004, ტომი I, გვ. 219.
2. კვესელავა ი. საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990). ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2004, ტომი I, გვ. 222
3. http://www.tabula.ge/article-27492.html
4. ხაჩიძე დ. სადისერტაციო ნაშრომი „სეპარატიზმის პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში (ესპანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, კოსოვო)".თბ., გვ. 55
5. ხაჩიძე დ. სადისერტაციო ნაშრომი „სეპარატიზმის პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში (ესპანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, კოსოვო)",თბ., გვ. 64
6. ნონიაშვილი გ. ტერორიზმის წარმოშობისა და განვითარების ხელშემწყობი მიზეზები. ჟურნ. ,,საისტორიო ფურცლები" თბ., 2008, №15, გვ. 21-23.
7. http://jurust.law.pitt.edu/terrorism/terrorism 3a.htm // Highlights of Anti-Terrorism Act (კანადის ანტიტერორისტული კანონის შესახებ). 3/05/10.
8. ინფორმაცია შამილ ბასაევის შესახებ. http://old.kvirispalitra.ge/archive/2006/41-2006/htm/samxedro%20tema.htm
9. გახოკიძე ჯ. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები. თბ., 2007.


### რეზიუმე


სტატიაში განხილულია საკითხები, რომლებიც ეხება ტერორიზმის როლს აგრესიული სეპარატიზმის გაჩენა-ჩამოყალიბებას ეხება. ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ:

1. თუ არა ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა აფხაზური სეპარატიზმისათვის, მისი შედეგები შეიძლება ყოფილიყო სრულიად საწინააღმდეგო.

2. უდავოა, რომ როგორც აგრესიული სეპარატიზმი ქმნის ნოყიერ ნიადაგს ტერორიზმისათვის, ისე ეს უკანასკნელი ხელს უწყობს აგრესიული სეპარატიზმის იდეების წარმატებით დამთავრებას.

3. სამწუხაროდ, საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სასამართლოები არ ქმნიან პრეცედენტებს აგრესიული სეპარატიზმის და ტერორიზმის ორგანული კავშირის და მათი მიზნებისა და ამოცანების თანხვედრის თვალსაზრისით.

4. უფრო სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ მიმართულებით პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზი და შეფასება დღემდის არ მოუხდენიათ.


### Summary


*N. Lomidze,*
*S. Midelashvili*


**The role of terrorism in formation of aggressive separatism**
**(Example of Georgia)**


In this article we consider issues which relate to the role of terrorism in formation of aggressive separatism.We made conclusion:

1. If not supporting of terrorist organizations for Abkhazian separatism, the results might have been quite opposite;
2. Undoubtedly, we concluded, that as an aggressive separatism creates a fertile ground for terrorism, so terrorism promotes successful completion of the ideas of aggressive separatism;
3. Unfortunately, International Criminal Law and Courts do not create a precedent about coincidence of organic connection of aggressive separatism and terrorism's aims and tasks.
4. It is more unfortunate that Georgian government did not make political-legal analysis and evaluation In this regard till here.

# კონფლიქტები და ერთა თვითგამორკვევის საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები

*მადლენა კოწოწაშვილი*

მრავალეროვანი სახელმწიფოების შიდა ეთნიკური სტრუქტურისა და ეროვნული პოლიტიკის პრობლემები ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციის მთავარ ფაქტორად იქცა, რამაც კონფლიქტების კატალიზატორის როლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის მიმდინარეობისას წინა პლანზე არის წამოწეული თვითგამორკვევის უფლების საკითხი. მოთხოვნები ავტონომიური მმართველობიდან ამ მოსახლეობათა სრულ დამოუკიდებლობამდე ვარირებდა, მაგ.როგორც აფხაზი, ისე ოსი სეპარატისტების მიერ. უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ მივიდა აქამდე და როგორ პასუხობს საერთაშორისო სამართალი იმ სიტუაციებს, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიული ერთობის დაცვას ხელი ეშლება ეთნიკური კონფლიქტის შედეგად.

სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების არა მარტო ძირეულ პრინციპს, არამედ იმ პრინციპსაც, რომელსაც საერთაშორისო მართლწესრიგი ემყარება. სახელმწიფოთა მიერ საკუთარი ტერიტორიის კონტროლი არის მათ მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების წინაპირობა. ტერიტორიის კონტროლი წარმოშობს სახელმწიფოს იურისდიქციას და ეს ფაქტორი გადამწყვეტია სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისათვის. თუ სახელმწიფო კარგავს მისი ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილზე კონტროლს, ამის პარალელურად იგი კარგავს არსებულ ტერიტორიაზე საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უნარსაც. ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულ შედეგებს წარმოშობს ადამიანის უფლებათა დამცავი ვალდებულებების მოქმედების სფეროში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისო მართლწესრიგის საფუძველია. თუმცა საერთაშორისო სამართლისთვის და თანამეგობრობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების, უფრო ზუსტად კი ეთნიკური უმცირესობების უფლებები.

პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ერების ან ეთნოსების, ასევე რელიგიური ან ენობრივი ჯგუფების ინტერესების, ღირებულებების და მოთხოვნილებების მრავალფეროვნებასთან - ობიექტური რეალობაა. როგორც ისტორია ცხადყოფს, პოლიეთნიკურ სახელმწიფოებში უმცირესობები, მცირე გამონაკლისის გარდა, ან ასიმილირდნენ ან ინტეგრირება განიცადეს მოსახლეობის გაბატონებულ უმრავლესობასთან. ამასთან, ინტეგრაცია, როგორც წესი, ერწყმოდა დაბალ სტატუსს გაბატონებულ ერთან მიმართებაში პირველი ნაბიჯები უმცირესობების სამართლებრივი დაცვისა, უკავშირდება მე-16 საუკუნეს, როცა დაიწყო საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმება, სადაც გათვალისწინებული იყო რელიგიური უმცირესობების დაცვა და აღიარებული იყო ამ ხელშეკრულებებით მათი უფლება თავისუფალი აღმსარებლობებისა. აქვე უნდა დავეთანხმოთ აზრს, რომ ამ ხელშეკრულების საფუძველში ჩადებული იყო არა იმდენად სახელმწიფოთა სურვილი უზრუნველეყოთ რელიგიური უმცირესობების უფლებები, რამდენადაც მათი მისწრაფება დაესუსტებინათ მოწინააღმდეგე. საგანგებო ყურადღების და ინტერესის საწყისად, რაც უკავშირდება რასობრივ, ეთნიკურ და ენობრივი უმცირესობების უფლებებს, შეიძლება მივიჩნიოთ საფრანგეთის ბურჟაზიული რევოლუცია 1789 წელს, აშშ-ს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1776 წელს თავისი ცნობილი დეკლარაციებით და კანონმდებლობას, რომელიც აღმოცენდა მე-19 საუკუნეში ახალ ეროვნულ სახელმწიფოებში. ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებს და კონვენციებს. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ამ შემთხვევაში იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ეს დოკუმენტი თავიდანვე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, რადგან ის წარმოადგენდა მრავალეროვანი, პოლიეთნიკური სახელმწიფოს დეკლარაციას. ეს დეკლარაცია მრავალი მიზეზის გამო მხოლოდ დასაწყისია პრობლემის შემდგომი სამართლებრივი რეგულირებისა უმცირესობათა უფლებების დაცვის გრძელ გზაზე.

ამ პერიოდიდან მოყოლებული მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების განმავლობაში უმცირესობების დაცვის საერთაშორისო პრაქტიკა ატარებდა არაორგანიზებულ, არასისტემურ, შეზღუდულ ხასიათს, რაც ემსახურებოდა უპირველესად ევროპის წამყვანი სახელმწიფოების ინტერესებს. არ არსებობდა მექანიზმი რეალური ზემოქმედებისა იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულებები უმცირესობებთან მიმართებაში არ სრულდებოდა ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო უმცირესობების, მათ შორის ეროვნული, ეთნიკური და ენობრივი უმცრესობების უფლებების დაცვის საკითხს პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც ახალი პოლიტიკური საზღვრების დადგენის პროცესი აშკარა გახდა. ეს მკვეთრად ჩანს „ერთა ლიგის“ მოღვაწეობის მანძილზე (ერთა ლიგა შეიქმნა 1919-1946წწ). „ერთა ლიგის“ მოღვაწეობის განხილვისას დებულებები, რომლებიც ეხებოდა უმცირესობათა, მათ შორის, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა

უფლებების დაცვას „ერთა ლიგის“ გარანტიით, გულისხმობდა შემდეგ ვალდებულებებს: ყველა ადამიანს ენიჭებოდა ერთნაირი უფლება სიცოცხლისა და თავისუფლებისა, მათი წამოშობის, ეროვნული კუთვნილების, რასისა და რელიგიის მიუხედავად; უფლება რელიგიური კულტების გადატანისა მათი კანონიკისა და კონფესიის მოთხოვნათა მიხედვით. ყველას ჰქონდა შესაძლებლობა ყოფილიყვნენ თანასწორი კანონის წინაშე და ესარგებლათ ერთნაირი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებით.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ახალი ეტაპი დაიწყო ეთნიკურ უმცირესობათა სამართლებრივი დაცვის კუთხით. ეს ეტაპი უმთავრესად დაკავშირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნასთან, ევროპის საბჭოს, ასევე ევრიპოს უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) შექმნასთან (1994 წელი). ასევე შედარებით ნაკლები ხარისხით, მაგრამ მნიშვნელოვანწილად სხვა რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების (ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, აფრიკის ერთობის ორგანიზაცია) ჩამოყალიბებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ არც გაეროს წესდებაში (1945 წ.), არც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (1948წ.) არც იყო ნახსენები „უმცირესობა“, ის იგულისხმებოდა, როგორც თავისთავად არსებული და მიღებული ჭეშმარიტება. შესაბამისად, არადისკრიმინაციულობის და თანასწორობის პრინციპები ადამიანის უფლებათა სფეროში დააკანონეს, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები. აქედან მოყოლებული ეს ორი პრინციპი დამკვიდრდა და ფართო გამოყენება ჰპოვა საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში. ის ჩადებულია საფუძველში მთელი რიგი საერთაშორისო დეკლარაციებისა და შეთანხმებებისა. აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრებულმა თვალსაზრისმა, რომ თითოეული ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვის გარანტია უზრუნველყოფს თითოეული პირის დაცვას, რომელიც უმცირესობას მიეკუთვნება, მიგვიყვანა უმცირესობების სპეციალური დაცვის მიზნით მიღებულ ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების და შეღავათების გაუფასურებამდე.

არ გაითვალისწინებოდა, რომ განსაკუთრებული უფლებები საჩუქარი კი არ არის უმრავლესობის მხრიდან უმცირესობისადმი და არც უმცირესობის პრივილეგია, არც უფლება, რომლიც აღემატება უმრავლესობის უფლებება, არამედ სრულიად აუცილებელი ნორმები იმ არასასურველი გამოვლინებების კომპენსირებისთვის, რაც თან ახლავს უმცირესობაში ყოფნას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა, რომელიც მიიღო გაეროს ასამბლეამ 1966 წელს. 27-ე მუხლი აღნიშნული პაქტისა, აცხადებს, რომ „იმ ქვეყნებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს რომლებიც ასეთ უმცირესობებს მიეკუთნებიან, უარი არ უნდა ეთქვათ უფლებებში, ამავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავისი კულტურით, მშობლიური ენით, აღმსარებლობით და დაიცვან საკუთარი წეს-ჩვეულებები“.

უმცირესობების სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით მნიშნელოვანი პროგრესი მოხდა 1975 წელს ჰელსინკში 33 ევროპული სახელმწიფოს, ამერიკის და კანადის მიერ დადებული აქტით, ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის აქტით, რომელსაც სათავე დაუდო ჰელსინკის (საერთოევროპულ) პროცესს, რომელიც მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა ევროპაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

ოდანავადაც არ ვამცირებთ გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს და სხვა რეგიონული ორგანიზაციების მიერ მიღებულ დოკუმენტების მნიშვნელობას, მაგრამ განსაკუთრებით უნდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტზე, რომელიც ეძღვნებოდა ადამიანის განზომილებას (1990წ.) და რომელიც სამართლიანად მიიჩნევა ყველაზე სრულყოფილ დოკუმენტად მანამდე მიღებულ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს შორის ეროვნული (ეთნიკური) უფლებების დაცვის სფეროში და მნიშვნელოვნად ავსებს მათ.

კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც მნიშნელოვანწილად განსაზღვრავს კანონშემოქმედებით და შიდასახელმწიფოებრივ რეჟიმებს ერთაშორის ურთიერთობების სფეროში ეუთოს წევრ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

კოპენჰაგენის დოკუმენტში პირდაპირ არის ხაზგასმული, რომ ადამიანის და ეროვნული (ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის დაცვის აღიარებულ პრინციპს. კოპენჰაგენის დოკუმენტმა ასევე სათავე დაუდო ისეთი სტრუქტურების შექმნას ეუთოს ჩარჩოებში, როგორიცაა მინისტრთა საბჭო, მმართველი საბჭო, მუდმივი საბჭო, ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის პოსტი, კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრი, დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ბიურო და სხვა. როდესაც საუბარია ეთნიკური უმცირესობების უფლებებსა და მათ მისწრაფებაზე მოიპოვონ დამოუკიდებლობა იმ მოტივით, რომ ილახება მათი უფლებები, ან ვერ ახორციელებენ სრულფასოვან განვითარებას ერთი რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებში, სწორედ ზემოაღნიშნულ საერთაშორისო დოკუმენტებზე დაყრდნობით ითხოვენ ისინი თავიანთი ინტერესების დაკმაყოფილებას საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით.

ახლა დავუბრუნდეთ გაეროს, უმთავრეს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა სახელმწიფოებს შორის მშვიდობის, უსაფრთხოების, თანამშრომლობის განვითარების მიზნით მსოფლიო მასშტაბით და რომელიც დღეს აერთიანებს 193 სახელმწიფოს. გაერო-ს წესდების მუხლი 2(4) კრძალავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ძალისმიერი წესით დარღვევას. გაერო-ს დეკლარაცია

საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომელიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ამსახველი დოკუმენტია, ადასტურებს ხალხების თვითგამორკვევის პრინციპს, ამასთანავე აშკარად გასაგებად აცხადებს, რომ თვითგამორკვევის მოშველიებით დაუშვებელია ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. გენერალური ასამბლეის დეკლარაცია კოლონიური ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ ასევე გამორიცხავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას თვითგამორკვევის უფლების მოშველიებით. ანალოგიური გადაწყვეტა ჰპოვა ამ საკითხმა კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში კვებეკის სეცესიის თაობაზე, რომელიც ცალსახად ადასტურებს, რომ უკანონო გზით განხორციელებული სეცესიის დაკანონება შეუძლებელია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შემდგომი ცნობის მეშვეობითაც, რადგან „ასეთი ცნობა, მისი მინიჭების შემთხვევაშიც კი, ვერ გამოიწვევს სეცესიის აქტის რეტროაქტიულ გამართლებას კანადის კონსტიტუციის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით“. გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის პირველი მუხლის კომენტირებისას ადასტურებს, რომ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა უარყოფით ზეგავლენას ახდენს თვითგამორკვევის პრინციპის რეალიზაციაზე და აქედან გამომდინარე, თვითგამორკვევის პრინციპი ამის სანქცირებას არ ახდენს. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კომიტეტის დასკვნაც ადასტურებს, რომ თვითგამორკვევის უფლების მოშველიებით სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის სრული ან ნაწილობრივი ხელყოფა სანქცირებული არ არის.

ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც თავის თავს ხალხად მიიჩნევს, სახელმწიფოდან გამოყოფა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის წარმომადგენლებს არ ეძლევათ ცენტრალური მთავრობის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება. შესაბამისად, საერთაშორისო სამართალი არ უმაგრებს ზურგს თვითგამორკვევის უფლების იმ სახით რეალიზაციას, რომლითაც ამ უფლებას ყველაზე ხშირ შემთხვევებში მოითხოვენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები: ტერიტორიული ავტონომიის სახით და ადამიანის უფლებების დარღვევათა შემთხვევაში სეცესიის სახით.

ტერიტორიული ავტონომიის საკითხი საერთაშორისო სამართლის რეგულირების სფეროს მიღმაა. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია, რადგანაც როგორც, მაგალითად, კოსოვოს, ისე აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარების პროცესში საქართველოს და იუგოსლავიას გამუდმებით წაეყენებოდათ მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, რომ მათ უნდა მიიღონ საკუთარი ტერიტორიული მოწყობის ესა თუ ის ფორმა თუ მოდელი. საქართველოს მიმართ ხშირად გაისმის მოწოდებები, რომ ეს ქვეყანა, კონფლიქტის მოგვარების ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა გახდეს ორ- ან მრავალსუბიექტიანი ფედერაცია თუ კონფედერაცია. საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ნორმა, რომელიც საქართველოს ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს დააკისრებდა ტერიტორიული მოწყობის ამა თუ იმ კონკრეტული ფორმის მიღების ან ამა თუ იმ ტერიტორიაზე ავტონომიური წარმონაქმნების შექმნისა თუ შენარჩუნების ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, რამდენადაც მორალურად დასაგმობი არ უნდა იყოს რომელიმე მთავრობის მიერ ავტონომიური წარმონაქმნის გაუქმების ფაქტი, იგი საერთაშორისო სამართლის დარღვევა არ არის. ყოველივე ამის ფონზე ნათელია, რომ საერთაშორისო მოლაპარაკებებში ავტონომიური ერთეულებისა და ამ ერთეულთა უფლებამოსილებების საკითხების წამოწევა იწვევს მხოლოდ კონფლიქტების მოგვარების გართულებას, რადგანაც სუვერენული სახელმწიფოებისაგან ხდება ისეთი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა, რომლებსაც საერთაშორისო სამართალი მათ არ აკისრებს.

ამის ფონზე ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის მიერ თვითგამორკვევის წესით სეცესიის მოთხოვნა შეკითხვებს ბადებს არა მარტო მოცემული კონფლიქტის მოგვარების, არამედ მთელი საერთაშორისო მართლწესრიგის სტაბილურობის თვალსაზრისით. არასტაბილურობის რისკი იმდენად დიდია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე შეტევას თავს არიდებენ. გაერო-ს უშიშროების საბჭომ მთელ რიგ რეზოლუციებში დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობა. მსგავსი დადასტურება მოხდა ეუთო-ს დოკუმენტების მეშვეობითაც. აღნიშნული რეზოლუციების თანახმად, გაერო-ს ინტერესებში არ შედის სეპარატისტული და სეცესიონისტური მისწრაფებების მხარდაჭერა და ხელსაყრელი პრეცედენტების შექმნა. სეცესიის, ანუ ეთნიკური ჯგუფების სახელმწიფოდან ცალმხრივად გამოყოფის უფლებას საერთაშორისო სამართალი არ იცნობს. როგორც კროუფორდი აცხადებს, საერთაშორისო პრაქტიკა მხარს არ უჭერს სეცესიის უფლებას, მათ შორის მოცემული რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობის ნების საფუძველზე სახელმწიფოდან გამოყოფის უფლებას; ხალხების თვითგამორკვევა უნდა ხორციელდებოდეს მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციურ სისტემაში მონაწილეობის გზით მისი ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე. ასეთია საერთაშორისო მართლწესრიგის მიერ ეთნიკური ჯგუფების სეპარატისტულ მისწრაფების პრობლემაზე გაცემული პასუხი.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ო.მიუნცბერგი. საერთაშორისო სამართალი და ეთნიკური უმცირესობანი. ფრიდრიხ ებერტის ფონდის გამოცემა. ვარშავა, გვ. 3

2. გ.ჟვანია. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საერთაშრისო სამართლებრივი გარანტიები. თბილისი, 1959

3. ა. აბაშიძე. უმცირესობების უფლებების დაცვა საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივ სამართალში. მოსკოვი, 1999.

4. Crawford, State Practice and International Law in Relation to Secession, British Year Book of International Law (1998), 114, 116.

5. Statement by the Contact Group issued in London on 29 January 1999.

6. The Situation in and Around Kosovo. Statement issued at the Extraordinary Ministerial Meeting of the North Atlantic Council held at NATO Headquarters, Brussels, on 12 April 1999.


## რეზიუმე


გაერო-ს წესდების მუხლი 2(4) კრძალავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ძალისმიერი წესით დარღვევას. გაერო-ს დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომელიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ამსახველი დოკუმენტია, ადასტურებს ხალხების თვითგამორკვევის პრინციპს, ამასთანავე აშკარად გასაგებად აცხადებს, რომ თვითგამორკვევის მოშველიებით დაუშვებელია ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის მიერ თვითგამორკვევის წესით სეცესიის მოთხოვნა შეკითხვებს ბადებს არა მარტო მოცემული კონფლიქტის მოგვარების, არამედ მთელი საერთაშორისო მართლწესრიგის სტაბილურობის თვალსაზრისით. არასტაბილურობის რისკი იმდენად დიდია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე შეტევას თავს არიდებენ. გაერო-ს უშიშროების საბჭომ მსგავსი პოზიცია დაიკავა როგორც აფხაზეთის, ისე კოსოვოს კონფლიქტის მიმართ. მთელ რიგ რეზოლუციებში უშიშროების საბჭომ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობა.15 მსგავსი დადასტურება მოხდა ეუთო-ს დოკუმენტების მეშვეობითაც. აღნიშნული რეზოლუციების თანახმად, გაერო-ს ინტერესებში არ შედის სეპარატისტული და სეცესიონისტური მისწრაფებების მხარდაჭერა და ხელსაყრელი პრეცედენტების შექმნა მომავალში წარმოშობილი შესაძლო სეპარატისტული მისწრაფებებისათვის.

სეცესიის, ანუ ეთნიკური ჯგუფების სახელმწიფოდან ცალმხრივად გამოყოფის უფლებას საერთაშორისო სამართალი არ იცნობს. როგორც კროუფორდი აცხადებს, საერთაშორისო პრაქტიკა მხარს არ უჭერს სეცესიის უფლებას, მათ შორის მოცემული რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობის ნების საფუძველზე სახელმწიფოდან გამოყოფის უფლებას; ხალხების თვითგამორკვევა უნდა ხორციელდებოდეს მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციურ სისტემაში მონაწილეობის გზით მისი ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე. ასეთია საერთაშორისო მართლწესრიგის მიერ ეთნიკური ჯგუფების სეპარატისტულ მისწრაფების პრობლემაზე გაცემული პასუხი.


## Summary


*M. Kotsotsashvili*


### Conflicts and self-determination in international legal basis


UN - Charter Article 2 (4) prohibits the use of force in violation of the territorial integrity of the state. United Nations - the Declaration of Principles of International Law, 3 which reflects customary international law document 4 shows the principle of self-determination of peoples, is also clearly understand that the self-citing unacceptable violation of the territorial integrity of any state.

This or that ethnic group's demand for self-rule Secession raises questions not only about the conflict, but also the stability of the entire international order.

Volatility risk is so high that international organizations are reluctant to attack the principle of territorial integrity. UN - Security Council took a similar position in both Abkhazia and Kosovo conflict. A number of resolutions of the Security Council reaffirmed his country's territorial integrity.

The confirmation of the OSCE - the documents through. In accordance with the resolutions of the United Nations - not in the interests of separatist aspirations and separate support and a favorable precedent for separatist aspirations for the future arising. Secession or ethnic groups in the state the right to secede unilaterally from international law does not recognize. Secession does not support the practice of rights, including the right to secede from the state based on the will of the majority of the region's population; Self-determination of the people of the state should be given to the constitutional system through participation on the basis of respect for its territorial integrity. Such is the international legal order by the separatist aspirations of ethnic groups answered.

# ტურიზმის ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა

## ტურისტული ბუნებათსარგებლობა და ეკოლოგია

***ბესიკ ბარკალაია,***
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
***ქეთევან ქაჯაია,***
*სტუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი*

ტურიზმს როგორც მეურნეობის დარგს, ბუნებრივი რესურსების გამოყენების აშკარად გამოხატული ორიენტაცია აქვს. სხვა სამეურნეო დარგებისაგან განსხვავებით, რომელთა პროდუქცია ტრანსპორტით მიდის მომხმარებლამდე, ტურიზმი, პირიქით ხელს უწყობს ადამიანების გადაადგილების მძლავრ მისწრაფებას რეკრეაციული რესურსების თავმოყრის ადგილებისაკენ. ტურისტული რესურსების მოხმარება მათი ლოკალიზაციის ცენტრებში ხდება, მაგრამ არა ,,ამოღების" გზით. ტურიზმი ხშირად ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის პიონერად გვევლინება და სამეურნეო ბრუნვაში ითრევს ადრე გამოუყენებელ ბუნებრივ კომპლექსებსა და მათ ელემენტებს: მაღალ და მიუვალ მთებს, გამოქვაბულებსა და მღვიმეებს, მდინარეებსა და ტბებს, ეგზოტიკურ და უნიკალურ ლანდშაფტს და სხვ.

ტურიზმი ბუნების მრავალმიზნობრივი მომხმარებელია და ბუნებათსარგებლობის თავისებურ სფეროს განაგებს. ვინაიდან იგი აკმაყოფილებს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების რეკრეაციულ მოთხოვნილებებს ბუნების წიაღში, ამდენად, მას ბუნებრივი კომპლექსების მიმართ მეტად მრავალფეროვანი  და განსხვავებული მოთხოვნები გააჩნია. ამასთან, წარმატებით ახერხებს დაკავშირებას ისეთ დარგებთან, როგორიცაა სოფლის მეურნეობა (აგროობიექტები), სატყეო მეურნეობა (ბუნებრივი პარკები), მეთევზეობა (აკვაპარკები), ბუნების დაცვა (ეროვნული პარკები).

ტურიზმის ერთ-ერთი საყურადღებო და საყოველთაო მნიშვნელობის ამოცანაა (რაც მოცემულია ტურიზმის საერთაშორისო ქარტიაში) — ადამიანებს ასწავლოს და შეაყვაროს ბუნება, გააცნოს მისი კანონები, მოეპყრას მას შეგნებულად და სათუთად. ცივილიზებულ ადამიანს არ შეეფერება ბუნებათმპყრობელის როლი და თუ იგი აქტიურად ერევა ბუნებრივ პროცესებში, ვალდებულიც არის გაითვალისწინოს მისი კანონები, რათა არ იწვნიოს მისგან უბედურებები. მაგრამ საზოგადოების დიდ ნაწილს და მათ შორის ტურისტს (ფორმალური ნიშნების მიხედვით და არა მაღალი ეკოკულტურის მქონე პირს) ჯერ კიდევ არა აქვს გაცნობიერებული ბუნებასთან დადებითი კონტაქტის მთელი სიკეთე და ერთმანეთთან ურთიერთზემოქმედების საკაცობრიო მნიშვნელობა.

ტურიზმი არნახული ტემპებით ვითარდება მსოფლიოში და თავისი ინტერესების ორბიტაში სულ უფრო ახალ და რეკრეაციულად ჯერ კიდევ აუთვისებელ ტერიტორიებს აქცევს. ამიტომ ბევრ დადებითთან ერთად, მას გარკვეული საფრთხეც მოაქვს, ეხება ეს ტურისტების მიმღები ქვეყნების მოსახლეობის კულტურას, ფსიქიკას და ბუნებას. ეს უკანასკნელი რომელსაც ბევრი სპეციალისტი ეკოლოგიურ კატასტროფას უწინასწარმეტყველებს, გადარჩენის და დაცვის გადაუდებელ ღონისძიებებს ითხოვს. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება კი დაცული ტერიტორიების ფართო ქსელის შექმნას გულისხმობს. ბევრ, სხვადასხვა სასიკეთო ფუნქციასთან ერთად (ბიოლოგიური რესურსების შენარჩუნება, წყალმარეგულირებელი მნიშვნელობა, ნიადაგის დაცვა, კლიმატის სტაბილიზება, გენეტიკური რესურსების დაცვა, რეკრეაციული საქმიანობის განვითარება, მძლავრი ინფრასტრუქტურის ბაზაზე სამუშაო ადგილების შექმნა, ჯანმრთელი და უსაფრთხო სასიცოცხლო ბუნებრივი გარემოს, ტრადიციული ფასეულობების და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, საგანმანათლებლო, მათ შორის ეკოლოგიური შეგნების ამაღლების ხელშეწყობა და სხვ.), მისი ერთ-ერთი დანიშნულება, ტურიზმის მოწესრიგებულ განვითარებასაც ითვალისწინებს ეკოტურიზმის ჩარჩოებში.

ტურისტული ბუნებათსარგებლობის ბევრი ფორმა და სახეობა არსებობს, რომელთა მეტად განზოგადოებული ტიპოლოგია ფუნქციური ნიშნების მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- ბუნებათსარგებლობის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ტიპი — ემსახურება ადამიანის ფიზი-

კური და ფსიქიკური ძალების მარტივ და გაფართოებულ აღდგენას, საწარმოო და საყოფაცხოვრებო დაღლილობისა და დაავადებათა პროფილაქტიკაზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას;

- ბუნებათსარგებლობის ტურისტულ-სპორტული ტიპი — ემსახურება ადამიანის ფიზიკური ძალების გაფართოებულ აღდგენაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და დაკავშირებულია უნიკალურ და ძნელად მისადგომ ბუნებრივ კომპლექსებთან, მოითხოვს ბუნებრივი ზღუდეებისა და წინაღობების არსებობას, ექსტრემალურ ბუნებრივ პირობებს;

- ბუნებათსარგებლობის შემეცნებით-ტურისტული ტიპი — უზრუნველყოფს პიროვნების ინტელექტუალური ძალების და სულიერი პოტენციალის ფუნქციური განვითარების რეალიზაციას. ამასთან, ლაპარაკია ძირითად ინფორმაციულ ფასეულობათა მოხმარებაზე, რომელიც საექსკურსიო ობიექტების და ლანდშაფტების ადგილზე შეცნობის გზით ხდება. ამ ტიპს ახასიათებს მაღალი მომთხოვნელობა როგორც ბუნებრივი კომპლექსების, ასევე მათი ისეთი თვისებების მიმართ, როგორიცაა ატრაქციულობა (მიმზიდველობა), უნიკალურობა, ეგზოტიკურობა.

ბუნებრივ ტურიზმს დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ეკოლოგიაზე. კერძოდ, მას შეუძლია იზრუნოს გარემოს გაუმჯობესებაზე, რადგან ტურისტებს მოსწონთ მიმზიდველი, სუფთა და დაუბინძურებელი ადგილების ნახვა. ტურიზმი სტიმულირებას უკეთებს გარემოს დასუფთავებას, აკრძალვებით და საქმიანობით ზღუდავს საჰაერო, წყლის, ხმაურის და ესთეტიკურ გაჭუჭყიანებას; ხელს უწყობს ლანდშაფტების გადატვირთვის შემცირებას და მათი გარეგნული სახის გაუმჯობესებას სათანადო პროექტირების და მშენებლობის გზით. თვით მისი ობიექტები, თუ კი ისინი კარგად არის განლაგებული და დაპროექტებული, ამშვენებს როგორც საქალაქო, ისე სასოფლო ლანდშაფტებს. გარემოს ხარისხობრივ გაუმჯობესებას ხელს უწყობს აგრეთვე ტურისტული ინფრასტრუქტურის სრულყოფას, გამსაკუთრებით, წყალმომარაგების, კანალიზაციის და მყარი ნარჩენების მოშორების სფეროში. მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი როლი ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდების, ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლებაში. ხედავს რა ტურისტების დაინტერესებას გარემოს დაცვისადმი, მოსახლეობა უკეთესად გრძნობს და ითვისებს მშობლიურ რაიონში ამ საკითხის მნიშვნელობას და ბუნებისადმი ზრუნვის აუცილებლობას. ასევე, მრავალმხრივ საყურადღებოა ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა ეროვნული პარკების არსებობაზე. ბევრ, დიდი ფართობის მქონე განვითარებად ქვეყანაში ისინი შეიქმნა არა მარტო ბუნების დაცვის, არამედ ტურიზმის, როგორც ეკონომიკურად შემოსავლიანი დარგის განვითარების მიზნით. უფრო პატარა ქვეყნებში (მათ რიცხვს საქართველოც ეკუთვნის), რომელთაც ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტები, იშვიათი მცენარეულობა და ფაუნის პოპულაციები გააჩნია, ეროვნული პარკები ძირითადად ეკოსისტემების დასაცავად და ბუნებრივი გარემოს შესანარჩუნებლად გაიაზრება. ამ შემთხვევაში, ტურიზმი ასრულებს დამხმარე, მაგრამ აუცილებელი რგოლის როლს, რომლიდანაც მიღებული შემოსავლის ნაწილი შელახული ეკოსისტემების აღდგენას და დაცვას უნდა მოხმარდეს.

ბუნებრივი ტურისტული რესურსების ეკონომიკური შეფასება გულისხმობს მათი გამოყენების ეფექტურობის ფულად გამოსახვას. ფულადი შეფასება აუცილებელია ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებების დასაბუთებისათვის და მათი კვლავწარმოებისათვის, დაცვისა და დაზიანებული ეკოსისტემების აღდგენისათვის.

ეკონომიკური შეფასება უნდა ითვალისწინებდეს სახალხო მეურნეობის გრძელვადიან გეგმაში ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსების გამოყენების აუცილებელ შედეგებს. ამისათვის საჭიროა:

1) ქვეყნის ტერიტორიაზე შეფასდეს ტურიზმში გამოსაყენებელი ბუნებრივი რესურსები ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე;

2) შეფასებაში გათვალისწინებულ იქნას გამოყენების პოტენციური ეფექტი;

3) რესურსების შეფასების საქმეში, გათვალისწინებულ იქნას დროის ფაქტორი;

ბუნებრივი რესურსების გამოყენება ტურისტული მიზნებისათვის განსხვავდება სხვა სახის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისაგან, რაც ძირითადად ეყრდნობა ამოღების წესს, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად ზიანდება როგორც ლანდშაფტი, ისე ეკოსისტემები.

ტურისტული ბუნებრივი რესურსების ძირითადი გამოყენება ხდება:

ა) ადამიანის მიერ მიმზიდველი ბუნებრივი ობიექტების დათვალიერებით (ვიზუალური შეხება გარემოსთან);

ბ) ბუნებრივ ლანდშაფტზე, ადამიანის მოძრაობის შედეგად გარკვეული ფიზიკური ზემოქმედებით (გადაადგილება);

პირველ შემთხვევაში, ბუნებრივ რესურსებზე ზეგავლენა არ არსებობს. მეორე შემთხვევაში, გარკვეულწილად არსებობს.

სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ტურიზმის რეგლამენტირებული გამოყენებისას მცირდება ნეგატიური ფიზიკური ზეგავლენა რესურსებზე, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს რესურსების კვლავწარმოების ბუნებრივ პროცესს.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ტურიზმის მდგრად განვითარებას, რაც ნიშნავს გარკვეული ეკონომიკური სტაბილური სარგებლის მიღების შემთხვევაში ბუნებრივი და კულტურული რესურსების ისეთი დონით გამოყენებას რათა ისინი შენარჩუნებულ იქნას მომავალში მუდმივი სარგებლობისათვის.

ბუნებრივ ტერიტორიებზე ტურიზმის არასწორმა განვითარებამ და მართვამ, შესაძლოა, ტერიტორია

მნიშვნელოვნად დააზიანოს. დაზიანებები შეიძლება გამოიწვიოს: ტერიტორიებზე არასწორად დაგეგმილმა მარშრუტებმა და მისი დამთვალიერებლებით გადატვირთვამ; გარემოსთან შეუსაბამო ობიექტების მშენებლობამ; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინტესიურად გამოყენებამ; ხეების ჭრამ ცეცხლის დასანთებად; სხვადასხვა სახის, აკრძალული, ე.წ. სუვენირების შეგროვებამ; ნადირობამ; მყარი ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებამ და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების შედეგად ხდება: როგორც მყიფე, ასევე არამყიფე ეკოსისტემების დაზიანება-განადგურება; ნიადაგის ეროზია; გარემოს ესთეტიკური დამახინჯება; ტერიტორიების ბინადართა ბუნებრივი განვითარების პირობებისა და სიმყუდროვის დარღვევა ან მათი დამახინჯება-განადგურება; ტრანსპორტის შედეგად არასავალ გზებზე მცენარეული საფარის დაზიანება და გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურება და სხვ.

ბუნებრივ ტერიტორიებზე ტურიზმიდან მიღებული სარგებელი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს, ამიტომ სწორი დაგეგმვისა და მართვის პირობებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს იმ უარყოფით შედეგებთან ბრძოლა, რაც თან ახლავს ტურიზმის განვითარებას. თუ კი ბუნებრივ ტერიტორიებზე, დასაშვებ ფარგლებში ტურისტებისათვის მაქსიმალური კომფორტი უნდა იყოს შექმნილი, იმავდროულად ტურიზმის განვითარების შედეგად მიყენებული ნეგატიური ზეგავლენა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ეს საჭიროებს პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის ობიექტურ შეფასებას, მის სერიოზულ ანალიზს, პოტენციალის განვითარების და სიტუაციების აუცილებელ კონტროლს. ბუნებრივ ტერიტორიებზე, ტურიზმის არასწორ განვითარებას თან სდევს რიგი შეცდომები და გარემოსადმი მიყენებული ზიანი, რომელიც ხანდახან თანხებში შესაძლოა ძნელად გამოისახოს.

გამტარუნარიანობის პოტენციალის განსაზღვრა ეფუძნება ტურიზმის განვითარებისა და მისი პოტენციალის გამოყენების ისეთი დონის შენარჩუნებას რომელიც არ გამოიწვევს გარემოს სერიოზულ დაზიანებას და არ შექმნის სოციალურ — კულტურულ პრობლემებს. ამჟამად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ტურიზმის დაგეგმვისას ფართოდ გამოიყენება მეთოდი რომელიც მდგომარეობს განვითარების მაღალი ზღვარის სისტემატურ განსაზღვრაში და ტურისტული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაში. თუ კი, ადგილი აქვს გამტარუნარიანობის ზღვარის გადამეტებას, მაშინ აუცილებლად წარმოიშვება ეკოლოგიური, სოციალური და შესაძლებელია ეკონომიკური პრობლემებიც, შედეგად კი, შემცირდება ტურისტული პროდუქტის რეალიზაცია.

გამტარუნარიანობის პოტენციალი სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, თუ ქვეყნის რომელი რეგიონია უფრო განვითარებული ტურისტული თვალსაზრისით. გამტარუნარიანობის პოტენციალი ძირითადად ითვლება მთლიანად ქვეყნისათვის, მისი ცალკეული რეგიონებისათვის, ან ცალკეული ტერიტორიებისათვის.

ოპტიმალური პოტენციალის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმებია:

- ***(ფიზიკური)***
  - ესთეტიკური ზემოქმედების და დატვირთვის მისაღები დონე;
  - ეკოლოგიური სისტემების წონასწორობის ზღვრული დონე;
  - როგორც მიწისზედა ფლორისა და ფაუნის, ასევე ზღვის გარემოს შენარჩუნება;
  - საჰაერო, საწყლოსნო და ხმაურიანი დაბინძურების მისაღები დონე;
- ***(ეკონომიკური)***
  - ტურიზმის განვითარების მოცულობა, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს ოპტიმალურ ეკონომიკურ სარგებელს;
  - ტურიზმში დასაქმების დონე, რომელიც მისაღებია ადგილობრივი საზოგადოებისათვის;
- ***(სოციალურ — კულტურული)***
  - ტურიზმის განვითარების დასაშვები დონე, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების წესთან და საქმიანობის სახეებთან;
  - ტურიზმის განვითარების დონე, რომელიც არ ქმნის უარყოფით ზეგავლენას და ხელს უწყობს ისტორიულ-კულტურული ძეგლების შენახვას, რეწვას, ხელოვნების ნიმუშების შექმნას, ტრადიციების აღდგენას და ა.შ.
- ***(ინფრასტრუქტურული)***
  - ტურიზმის განვითარების დონე, რომელიც ხელს უწყობს საკმარისი რაოდენობის ხარისხიანი სატრანსპორტო საშუალებების და მასზე მომსახურების არსებობას;
  - ტურიზმის განვითარების დონე, რომელიც ხელს უწყობს საკმარისი რაოდენობის ხარისხიანი ობიექტების მშენებლობას და მის მომსახურებას. ჭყლის, ელექტრომომარაგების, კანალიზაციის, მყარი ნარჩენების მოცილებას და ტელეკომუნიკაციების არსებობას.

ტურიზმის გამტარუნარიანი პოტენციალის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სეზონურობა. ხშირად, ტურისტების მიერ პოტენციალის გამოყენების ზღვრული დონე აღწევს პიკს, ამიტომ, საჭიროა მუდმივი კონტროლის არსებობა გარემოზე და აუცილებლობის შემთხვევაში შეიზღუდოს ტურისტთა ნაკადების რიცხვი.

ტურისტული პროგრამები მართვის ერთიანი დაგეგმვის ჭრილში, უნდა მოიცავდეს სხვადასხვა სპეციფიკურ ასპექტებს. ესენია:

- მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, რათა გადაწყვეტილებები დაეფუძნოს ადგილობრივი რესურსების, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ცოდნასა და სხვა მოსაზრებებს;
– არსებობს ბუნების ღირსშესანიშნავი ადგილები, სადაც ტურისტული ინფრასტრუქტურის შენობა-ნაგებობებმა შესაძლოა მათ ხიფათი შეუქმნას

(ეკოსისტემების დაზიანება ან განადგურება, ესთეტიკური დაბინძურება და სხვ.). კერძო წყაროებით დაფინანსებისას ხშირად მოითხოვენ, რომ ტურისტული ობიექტები განლაგდეს ლამაზ, ბუნებრივ უნიკალურ ადგილებში ან მათ სიახლოვეს. ამიტომ, ასეთ მშენებლობებს წინ უნდა უძღოდეს ეკოლოგიური და ეკონომიკური ანალიზი, ზონირების გეგმა. ჩატარებული ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მშენებლობით მიღებული ყველა სარგებელი და დანახარჯები. გამორჩეულ, ესთეტიკური თვისებების მქონე ბუნებრივ ობიექტებს უდაოდ დიდი პოტენციური მნიშვნელობა აქვთ ტურიზმის განვითარებისათვის. ამიტომ, ზონირების გეგმის შედგენისას აუცილებელია შემუშავდეს ღირსშესანიშნავი ობიექტების სათანადო დაცვის წესები და კონტროლი.

კონკრეტულ რეგიონში ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება უნდა ხორციელდებოდეს ეკოლოგიურ მოთხოვნათა პრინციპზე შემუშავებულ ბუნებათსარგებლობის კომპლექსური სახელმწიფო პროგრამის მიხედვით. ტურისტული პროგრამები ჩართული უნდა იყოს მოცემული რაიონის (რეგიონის) მიწათსარგებლობის საერთო გეგმაში. ეს უკანასკნელი კი უნდა ითვალისწინებდეს იმ ეკონომიკურ სარგებელს, რასაც რაიონი (რეგიონი) მიიღებს ტურისტულ ზონაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებით. ტურისტული ინფარასტრუქტურის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია სამთავრობო (ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი) და კერძო სტრუქტურების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებამ შესაძლოა დაარღვიოს რესურსების ბუნებრივი წონასწორობა. ამიტომ, ალტერნატიული რესურსებისა და ეკოლოგიური ფასეულობების გამოყენების გათვალისწინებით, საჭიროა წინასწარ ზუსტად განისაზღვროს ტურიზმის რომელი სახეობები და მასთან დაკავშირებული როგორი ინფრასტრუქტურა უნდა განვითარდეს მოცემულ ტერიტორიაზე.

შიდა ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად, კერძოდ, პარკის რეკლამირებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ტელევიზია, გაზეთები, გამოიცეს პლაკატები, კალენდრები პარკის პეიზაჟებით და სხვ., რათა ქვეყნის მოსახლეობა დაინტერესდეს ამ ადგილებით და საერთოდ, ბუნებრივ-შემეცნებითი ტურიზმით.

მართვის დაგეგმვის ერთიან კომპლექსში უნდა არსებობდეს ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის საჭირო ობიექტების განლაგების კონკრეტული გეგმები. მაქსიმალურად შეუმჩნეველმა ნაგებობებმა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა დააზიანოს გარემო, ვინაიდან მათი დომინირება თრგუნავს ბუნებრივ ფასეულობებს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია ობიექტების საშენ მასალად გამოყენებულ იქნას ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები: ქვები, ხე-ტყე, თიხა და სხვ. მიუღებელია უცხო მასალის (აზბესტი, წიდაბლოკები და სხვ.) და მყვირალა, დისჰარმონიის შემომტანი ფერის საღებავების გამოყენება. შენობა-ნაგებობების დაპროექტების, არქიტექტურული გაფორმების და მშენებლობის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას ადგილობრივი სტილი, კოლორიტი და ე.წ. ,,ეკოტექნოლოგიების" გამოყენება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ბ. ბარკალაია. ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა. თბ., 2009.
2. ბ. ბარკალაია. ეკოტურიზმი და მოსახლეობა. TACIS-ის გამოცემა, თბ., 2000.
3. National and Regional Planning turism. WTO. MADRID. 1998.


## რეზიუმე


სტატიაში განხილულია: ტურისტული ბუნებათსარგებლობის ფორმები, სახეობები და მათი განზოგადებული ტიპლოგიის ფუნქციური ნიშნების მიხედვით დაყოფა ძირითად ჯგუფებად. ბუნებრივი ტურიტული რესურსების ეკონომიკური შეფასების პრინციპები. ბუნებრივ ტერიტორიებზე ტურიზმის არასწორი განვითარებისა და მართვის შედეგად, გამოწვეული მნიშვნელოვანი დაზიანებები. ბუნებრივ ტერიტორიებზე ტურიზმიდან მიღებული სარგებელი. გამტარუნარიანობის პოტენციალიდან გამომდინარე, ტურიზმის განვითარების ისეთი დონის შენარჩუნება, რომელიც არ იწვევს გარემოს სერიოზულ დაზიანებას და არ ქმნის სოციალურ-კულტურულ პრობლემებს. ტურიზმის დაგეგმვისა და განვითარების განხორციელება ეკოლოგიურ მოთხოვნათა პრინციპზე. ოპტიმალური პოტენციალის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმები. ტურისტული პროგრამების მართვის ერთიანი დაგეგმვის ჭრილში, სხვადასხვა სპეციფიკურ ასპექტების გათვალისწინება და სხვ.

**SUMMARY**

*B. Barkalaia,*
*K. Kajaia*

**Tourist wildlife management and ecology**

In article use of natural resources and different forms is stated by wildlife management by tourism. It is stated on essence following functional to typology of tourist wildlife management:

1) wildlife management of tourist -improving type;
2) wildlife management informative - tourist type;
3) wildlife management tourist - sports type.

The economic assessment of tourism resources and the use of these resources.

Tourism development is necessary for the evaluation of natural resource use:

1) Tourism in the area to assess the methodological basis of the use of natural resources;
2) Include in the assessment of the potential effects
3) Resource Assessment of the factors to be taken into account

The use of natural resources for tourism purposes differs from the use of natural resources, which are mainly based on the extraction procedure that significantly damaged the landscape. Tourist use of natural resources are being:

a) Visual observation of natural objects, man-made attraction in touch;
b) The natural landscape of human motion as a result of some physical effects.

To avoid damage to natural areas , it is necessary to determine the potential capacity of the main criteria for determining the optimal capacity

Physical

- Aesthetic impact and implications pizikuriizikuri acceptable level of physical
- Ecological systems in equilibrium the marginal rate
- Terrestrial flora, fauna and marine environment preservation
– Air and water pollution, noise levels acceptable

Economic

– The volume of tourism development which ensures optimum overall economic
– Tourism employment level acceptable to the local community

Socio – cultural

– Level of tourism development which does not contradict with the local community ‘s way of life and activity
– The level of tourism development which does not create a negative impact and contributes to the maintenance of historical and cultural monuments of art, craft and design traditions to restore

Infrastructure

– The level of tourism development which contributes to a sufficient number of high-quality vehicles and service
- The level of tourism development which facilitates the construction of a sufficient number of high-quality facilities and services, solid waste removal and sewage chqlis electricity and telecommunications

The development of tourism infrastructure, natural balance and ecological values through the use of resources should be. Therefore it is necessary to accurately determine which types of tourism and related infrastructure should be developed as the natural.

# ფილოსოფიური და საბუნებისმეტ-ყველო კონცეფციები

## მენეჯმენტის მეთოდოლოგიის საფუძვლები კულტურისა და ხელოვნების სფეროში

*ნუნუ გიგაური,*
*სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

მართვის საბაზრო კონცეფციის ეფექტიანი რეალიზაცია კულტურისა და ხელოვნების სფეროში თანამედროვე სპეციალისტისგან მოითხოვს ფუნდამენტური ცნებებისა და კატეგორიების ფლობას, რომელიც მენეჯმენტის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს შეადგენს.

### 1. მენეჯმენტის კანონზომიერებები და პრინციპები

მენეჯმენტის კანონზომიერებები გამოხატავს ყველაზე მნიშვნელოვან და სისტემატურად განმეორებად ტენდენციებს, რომლებიც ასახავს შედარებით მყარ ურთიერთკავშირს ორგანიზაციაში ხელმძღვანელობის და მართვის ელემენტებს შორის.

მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ:

1) მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის განვითარება კულტურის და ხელოვნების სფეროში მოღვაწეობის ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების ტრანსფორმაციის შესაბამისად;

2) გარემოს მდგომარეობის განმსაზღვრელი გავლენა ორგანიზაციის მიერ საქმიანობის სახეებისა და მართვის სისტემის არჩევასა და ჩამოყალიბებაში;

3) ორგანიზაციის ქონებაზე საკუთრების ფორმების მართვის სოციალური შინაარსის შესაბამისობა;

4) მმართველი და მართული ქვესისტემების (მართვის სუბიექტის და ობიექტის) თანაფარდობა;

5) შეგნებული (გეგმაზომიერი) მართვის უპირატესობა;

6) ორგანიზაციაში მართვის ფუნქციის კონცენტრაცია და დინამიკური მოქნილი ცვლილება;

7) ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და მართვის ამოცანების და დონეების ოპტიმიზაცია;

8) მართვის პროცესში კონტროლი, აღრიცხვისა და ანალიზის ფუნქციათა ოპტიმალური გამოყენება.

კანონზომიერებებს ობიექტური ხასიათი აქვს, მათი რეალიზაცია კი ხდება ადამიანთა საქმიანობის (მოღვაწეობის) პროცესში. ეს სავსებით ეხება მენეჯმენტის კანონზომიერებებსაც კულტურისა და ხელოვნების სფეროში. ორგანიზაციებში მენეჯმენტის პრინციპები კანონზომიერებათა გამოვლენის ზემოქმედებით ყალიბდება.

მენეჯმენტის პრინციპები მართვის ობიექტური კანონზომიერებების გაანალიზებასა და სინთეზირებას ახდენს, განსაზღვრავს რა რეალური მმართველობითი პრაქტიკის თვისებებს ნებისმიერ ორგანიზაციაში. ისინი საერთო წესებია, რომლებიც აყალიბებს მოთხოვნებს ორგანიზაციის მართვის სისტემის – ფუნქციების, მეთოდების, მართვის საორგანიზაციო სტრუქტურის – მიმართ. მენეჯმენტის ევოლუციამ თანამედროვე მენეჯმენტის შემდეგი პრინციპები ჩამოაყალიბა: სისტემურობა – სისტემური მიდგომის მეთოდოლოგიის გამოყენება მართვაში; კომპეტენტურობა – კულტურის და ხელოვნების სფეროში მენეჯერისთვის მართვის სისტემის ცოდნის აუცილებლობა; იერარქიულობა – მართვის დონეების გამოყოფა მმართველობითი შრომის ვერტიკალური დაყოფის საფუძველზე და მმართველობის ქვედა დონეების დაქვემდებარება ზედა დონეებისთვის; წამყვანი რგოლის გამოყოფა – ყველაზე ნიშნადი მიზნის და ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსების არჩევა მის მისაღწევად; სრულყოფა – საორგანიზაციო სტრუქტურის, მართვის ფუნქციების და მეთოდების ტრანსფორმაცია მართვის ობიექტისა და გარემოს მდგომარეობის შეცვლის კვალობაზე.

მართვის საერთო პრინციპებთან ერთად გამოყოფენ კერძო (სპეციალურ) პრინციპებს, რომელთა დაცვა საშუალებას იძლევა დარგობრივი სპეციალიზაციის ცალკეული მმართველობითი პროცესებისა და მართვის მხარეების რეგულირებას ორგანიზაციის საქმიანობის ხასიათისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ დარგში მართვის პრინციპები გულისხმობს ძირითად სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებზეც ორიენტირებას ახდენენ კულტურისა და ხელოვნების ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ისინი განსაზღვრავენ კულტურისა და ხელოვნების მომავალი მოღვაწეების და სპეციალისტების აღზრდის და სწავლების ორგანიზაციას, სტრუქტურას, შინაარსს. ამ სფეროში მენეჯმენტის პრინციპების სისტემა არის ღია განვითარებისთვის და შეიძლება შეივსოს სხვა პრინციპებით მისი პრაქტიკული ათვისებისაა და შემდგომი თეორიული გააზრების მსვლელობისას. თითოეული პრინციპი აყალიბებს „თავის თავში“

მოთხოვნათა სისტემას, რომელთა შესრულება მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს მენეჯმენტის სრულყოფას ორგანიზაციაში და დამოკიდებულია მოღვაწეობის კონკრეტულ სახეზე.

კულტურის და ხელოვნების სფეროში მენეჯერისთვის ყველაზე საერთო შემდეგი პრინციპებია: ადამიანის პირადი ღირსების პატივისცემა; მისი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება; ადამიანის, მისი პოტენციური შესაძლებლობების ნდობა; ურთიერთპატივისცემის საფუძველზე ნდობის ატმოსფეროს შექმნა; ინიციატივის, შემოქმედებითი უნარის განვითარება, უნარი, შეძლო იპოვი საკუთარი ადგილი შემოქმედებით კოლექტივში და სხვ.

ამ პრინციპებიდან გამომდინარეობს მენეჯერ-ხელმძღვანელის მთელი რიგი კონკრეტული მოთხოვნა;

- ააგოს თავისი ურთიერთობა ხელქვეითებთან არა როგორც თანამდებობის პირმა, არამედ როგორც ადამიანმა ადამიანთან;
- არ შემოიფარგლოს მხოლოდ თანამდებობრივი მოვალეობებით, ჩასწვდეს ორგანიზაციის პერსონალის ცხოვრებას, სულიერ სამყაროს და მისწრაფებებს, სხვაგვარად გარდაუვალია გაუცხოება;
- პერსონალთან ურთიერთობის დროს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ორგანიზაციის თანამშრომელთა მუშაობა მათი ცხოვრების დიდი ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს მათ ცხოვრებას და საჭიროა ყველაფერი გავაკეთოთ, რათა სამსახურში გატარებული დრო მათთვის ნათელი და სასიხარულო იყოს;
- მენეჯერი უნდა იყოს შემოქმედებითი კოლექტივის წევრების ცხოვრების წესის თანაზიარი და ესმოდეს, როგორია მათი საერთო მოთხოვნები;
- საჭიროა ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრა არა მარტო ოფიციალურ ვითარებაში, არამედ არაფორმალურშიც, როცა შეიძლება უბრალოდ გულახდილად ესაუბრო;
- მართვაში თანამშრომლობა გულისხმობს მართვის გადატანას მონოლოგიურიდან დიალოგურ საფუძველზე, კომუნიკაციიდან – ურთიერთობამდე, სუბიექტურ-ობიექტურიდან – სუბიექტურ-სუბიექტურ ურთიერთობამდე.

ასეთია კულტურის და ხელოვნების სფეროში ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და მართვაში მენეჯმენტის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები.

## 2. მიზანი

მიზნის ჩამოყალიბება მენეჯმენტის მეთოდოლოგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მენეჯერ-ხელმძღვანელი მიზნის არჩევის საკითხს უნდა ჭრიდეს სისტემური მიდგომის საფუძველზე, ორგანიზაციის პერსონალის სამეწარმეო ტალანტზე, მაღალ პროფესიულ კომპეტენტურობაზე, გამოცდილებაზე, ინტუიციასა და კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე დაყრდნობით.

მიზანი – მართვის თეორიის ფუნდამენტური ცნება. მიზანი გასაგნობრიებული მოტივია, რომელიც ორგანიზაციას ან მის ცალკეულ წევრებს უბიძგებს მოქმედებისკენ რაღაცის გამო. ტერმინი „მიზანი“ ნიშნავს, რომ ორგანიზაციის მოქმედება ან ქცევა შეიძლება განვიხილოთ როგორც მიმართული მიზნის მიღწევისაკენ, ანუ საბოლოო მდგომარეობამდე, რომლის დროსაც ობიექტი აღწევს გარკვეულ შესაბამისობას დროსა და სივრცეში სხვა ობიექტთან ან საგანთან.

თუკი ცნობილია ფაქტორები, რომლებზეც დამოკიდებულია მიზნის მიღწევა და დადგენილია ყოველი ფაქტორის როგორც დამოუკიდებელი ცვლადის გავლენა, მაშინ ასეთ მიზანს მიღებულია ეწოდოს მიზნობრივი ფუნქცია.

მიზანი თავისთავად რაიმე სახის მოღვაწეობის განჭვრეტაა. ორგანიზაციის მიზანი განსაზღვრავს მისი განვითარების კონცეფციას და საქმიანი აქტიურობის ძირითად მიმართულებებს. მენეჯმენტის პოზიციიდან მიზანი მართვის ობიექტის სასურველი მდგომარეობაა დროის გარკვეული შუალედის შემდეგ.

მართვის სისტემის არსებული მდგომარეობიდან სასურველში გადასაყვანად აუცილებელია მოქმედების კონკრეტული პროგრამა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ მოცემულ სიტუაციას სასურველისგან გამოყოფი პრობლემა.

ორგანიზაციის მიზნები ხორციელდება სტრატეგიით და ტაქტიკით და გამომდინარეობს ორგანიზაციის მისიიდან.

ორგანიზაციის მისია – ორგანიზაციის ძირითადი მიზანია, რომლის გულისთვისაც ესა თუ ის ორგანიზაცია შეიქმნა, იგი ახასიათებს მისი მოღვაწეობის გარკვეულ სახეს. მისია ორგანიზაციის სტატუსის და მოღვაწეობის მიმართულების დეტალიზაციას ახდენს მთავარი მიზნის მისაღწევად და ორგანიზაციის სტრატეგიის შესამუშავებლად. მისიის ფორმულირება ჩვეულებრივ მოიცავს: ორგანიზაციის მიზანს (ტრაექტორულს ან წერტილოვანს) საქონლის და მომსახურების, ბაზრების, ტექნოლოგიების მიხედვით; ორგანიზაციის კულტურის დახასიათებას; სამუშაოდ მოზიდული თანამშრომლების ტიპს.

არაკომერციული ორგანიზაციის, როგორიც შეიძლება იყოს კულტურის და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციები, მისიაა მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გარკვეული სახის სულიერი მომსახურებით, ინტელექტუალური პროდუქტებით.

სტრატეგია – ეს ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა. სტრატეგია გულისხმობს კონცეფციის, პროგნოზის ან პროგრამის შემუშავებას, რომელიც შეიცავს მეთოდებს და ღონისძიებებს მისიის განსახორციელებლად. სტრატეგიის შემუშავება ხდება:

- ორგანიზაციის გარემოს შეფასებით და ანალიზით;
- ორგანიზაციის შიდა გარემოს დიაგნოსტიკური ანალიზით;

- სტრატეგიული ალტერნატივების შემუშავებით და ანალიზით;
- სტრატეგიის ყველაზე უპირატესი ვარიანტის არჩევით;
- სტრატეგიის შეფასებით ორგანიზაციის მისიის და მთავარი მიზნის თანაფარდობაში;
- სტრატეგიის რეალიზაციით პროგრამის, ბიზნესგეგმის ფორმაში.

ტაქტიკა – ღონისძიებათა სისტემა ორგანიზაციის საქმიანობის გარკვეული დროის შუალედებში სტრატეგიის რეალიზაციისთვის. მისი დანიშნულებაა – ოპერატიული მართვა ორგანიზაციის მიზანთა მისაღწევად მისი საქმიანობის ამა თუ იმ პერიოდში.

მიზნის არჩევა, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების ფორმას იღებს, საშუალებას იძლევა გადავიდეთ პროგრამის შემუშავებაზე, ანუ მოქმედებათა გეგმის შემუშავებასა და აუცილებელი რესურსების განსაზღვრაზე მიზნის მისაღწევად.

არსებობს საერთო მოთხოვნები, რომელთაც უყენებენ მართვის მიზნებს. ჯერ ერთი, მიზნები უნდა იყოს კონკრეტული და გაზომვადი, მეორე – რეალური და მიღწევადი, მესამე – ურთიერთდაკავშირებული და იერარქიული (ურთიერთდაქვემდებარებული).

მიზანი შეიძლება დაიყოს ზოგადად და სპეციფიკურად.

- ზოგადი მიზანი ასახავს ორგანიზაციის კონცეფციას, მის მისიას, რომელსაც შეიმუშავებენ ხანგრძლივი პერსპექტივით, მაგალითად, ორგანიზაციის ბაზარზე სიმყარის უზრუნველყოფისთვის ახდენენ განვითარების ახალი მიმართულებების შემუშავებას.
- სპეციფიკური მიზანი მუშავდება საერთო მიზნის კონტურებში ორგანიზაციის და მისი განყოფილებების ან ქალიშვილ-ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებით. მათ გააჩნია ქვემიზანთა ხასიათი და აყალიბებს საერთო მიზნის და ორგანიზაციის შიდა ელემენტების სისტემურ ურთიერთკავშირს:

მიზნები <–> ამოცანები <–> კადრები <–> ტექნოლოგია <–> საორგანიზაციო სტრუქტურა, აგრეთვე ორგანიზაციის და გარემოს ურთიერთკავშირი;

მიზნები <–> შემოღებული რესურსები <–> მოღვაწეობის შედეგები <–> სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი <–> სოციოკულტურული ზემოქმედება <–> კონკურენცია <–> კანონმდებლობა და პოლიტიკური ზემოქმედება.

მიზნები აგრეთვე შეიძლება დაიყოს მათი მიღწევის დროის მიხედვით: მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი. მოკლევადიანი მიზნები – მიზნები, რომლებსაც შეიძლება მიაღწიონ ერთი წლის განმავლობაში; საშუალოვადიან მიზნებს აღწევენ ერთიდან ხუთ წლამდე; გრძელვადიან მიზნებს – ხუთ წელზე ზევით.

მიზნები განსაზღვრავს სწრაფვას, იმუშაონ ეფექტიანად მათ მიერ მიცემული მიმართულებით, ამიტომ აუცილებელია დრო მიზნის ეტაპებად დაყოფის მისაღწევად. ყოველ ეტაპზე მიზანი იყოფა ქვეეტაპებად, რათა მკაფიოდ განვსაზღვროთ რაოდენობრივად ზომვადი მიჯნები. იმისათვის, რომ თავად მიზანი და ქვემიზანი შესრულდეს სრული მოცულობით დადგენილ დროში, აუცილებელია ქვემიზანთა და მიზნის სრული შეთანხმება (დაკავშირება) რესურსულ უზრუნველყოფასთან. ამის უზრუნველსაყოფად მუშავდება მიზნობრივი პროგრამა, რომლის ტაქტიკური ინსტრუმენტი შეიძლება იყოს პროექტი ან ბიზნესგეგმა, რომელიც შედგენილია ამ პროგრამის კონტურებში.

ორგანიზაციის მიზნები აგრეთვე შეიძლება იყოს სხვადასხვა ორგანიზაციის საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმის, საკუთრების, საქმიანობის სფეროს, ასევე გარემოს მიხედვით. თუმცა მენეჯმენტის სამუშაოს სწორად წარმართვისას მიზანთა ფორმირების პრობლემის გადასაწყვეტად უნდა ხდებოდეს შესაძლო სიტუაციათა პროგნოზირება, ხოლო მიზანთა განსაზღვრის შემდეგ საჭიროა შევიმუშაოთ მათი რეალიზაციის ეფექტიანი სტრატეგია. პროგნოზირებას საფუძვლად უნდა დაედოს სისტემური მიდგომის პროცესული პრინციპი, რომლის განხორციელებაც ხდება შემდეგი თანამიმდევრობით (ცხრილი 1):

1) ორგანიზაციის გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვება (გარემოს ფონის შესწავლა);
2) პრობლემური დიაგნოსტიკური ანალიზის ჩატარება;
3) უმარტივესი საძიებო პროგნოზების შემუშავება აუცილებელ პრობლემატიკაზე;
4) ორგანიზაციის განვითარების სცენარის დაწერა;
5) მიზნების და ქვემიზნების ეფექტიანი მიღწევის შეფასების კრიტერიუმების არჩევა;
6) შესაძლო მიზნების (ქვემიზნების) განსაზღვრა;
7) „მიზანთა ხის“ აგება;
8) წარმოების აუცილებელი ფაქტორების გაანგარიშება „მიზანთა ხის“ მიხედვით;
9) მიზანთა (ქვემიზანთა) შეფასება საექსპერტო ან „ტვინით იერიშის“ მეთოდებით;
10) მიზანთა რეალიზაციის საალბათო ქსელის აგება;
11) ორგანიზაციის ფუნქციონირების საუკეთესო სტრატეგიის შემუშავება;
12) წარმოების ფაქტორების განაწილება საუკეთესო სტრატეგიით.

სქემიდან შეიძლება გამოვიყვანოთ მიზანთა დასახვის საერთო წესები შემდეგი თანამიმდევრობით:

- სიტუაციის აღწერა;
- პრიორიტეტების გამოვლენა;
- საერთო მიზნის სახით ერთ-ერთი ყველაზე არსებითი პრიორიტეტული მიმართულების არჩევა;
- მიზნის ფორმულირება საბოლოო შედეგების

ტერმინებით;

- მიზნის დეკომპოზიცია სისტემაში: „მიზანი – რესურსები – შედეგები“;
- „მიზანთა ხის“ მიმართული გრაფას (სვეტის) აგება;
- „მიზანთა ხის“ გრაფათა სისტემის შეფასება ქვემიზანთა შემადგენლობის სისავსეზე, მათ ურთიერთდაქვემდებარებულობაზე (იერარქიულობაზე) და რესურსულ უზრუნველყოფაზე;
- „მიზანთა ხის“ მოდელის კონფიგურაციის დაზუსტება;
- სხვადასხვა იერარქიული დონის მიზანთა ფორმულირების სისწორის შემოწმება;

**ცხრილი1**




ცხრილი 1. პროგნოზირების ბლოკ-სქემა მიზნის შესამუშავებლად და ორგანიზაციის მიერ მისი მიღწევის სტრატეგიის განსაზღვრა.

- მიზნობრივი ამოცანების ფორმულირება მიზნების და ქვემიზნების (ამოცანების) მიხედვით;
- ყოველი რგოლის მმართველი ქვესისტემისთვის მთავარი მიზნის განსაზღვრა;
- ყოველი მთავარი მიზნისა და მისი ქვემიზნებისთვის მიღწევის კრიტერიუმების და შეფასებითი მაჩვენებლების სისტემის განსაზღვრა.

მიზნის წესები და მიზანთა ფორმულირების წესები ერთმანეთს ავსებს. მენეჯერი უნდა ითვალისწინებდეს სამეტყველო კომუნიკაციის მნიშვნელობას მართვის სისტემაში. ნიშნები, რომლებიც ახასიათებს მიზანთა კორექტულ ფორმულირებას:

1) ზმნა განუსაზღვრელი ფორმით ახასიათებს შესასრულებელ მოქმედებებს;

2) აკონკრეტებს საჭირო საბოლოო შედეგს;

3) აკონკრეტებს მიზნის მიღწევის მოცემულ ვადას;

4) აკონკრეტებს დასაშვები დანახარჯის მაქსიმალურ სიდიდეს;

5) იძლევა სამუშაოს საჭირო შედეგის რაოდენობრივ მახასიათებელს, რომელიც აუცილებელია მიზნის მიღწევის ფაქტის დასადასტურებლად;

6) ათანხმებს მხოლოდ „როდის“ და „როგორ“ უნდა გაკეთდეს ეს;

7) უშუალოდ უპასუხებს ამა თუ იმ მმართველის და მისი პირდაპირი უფროსების მიზნობრივ დანიშნულებას და ფუნქციურ მოვალეობებს;

8) მიზანი ნათელია ყველასთვის, ვინც იმუშავებს მის მისაღწევად;

9) რეალური და მისაღწევია, მაგრამ არა იოლი;

10) უზრუნველყოფს დიდ უკუგებას დროის დანახარჯებისა და რესურსებისგან სხვა შესაძლო მიზნებთან შედარებით;

11) რეალიზებადია რესურსების არსებული ან გარანტირებული მოცულობის ფარგლებში;

12) გამორიცხავს ან ამცირებს ორმაგ პასუხისმგებლობას ერთობლივი მუშაობის შედეგებზე;

13) შეესაბამება პერსონალის მუშაობის ძირითად პრინციპებს და მეთოდებს;

14) ემთხვევა შემსრულებლების ინტერესებს და არ იწვევს სერიოზულ კონფლიქტებს ორგანიზაციაში;

15) დაფიქსირებულია წერილობით, ასლები ცნობებისთვის ინახება ხელმძღვანელთან ან ხელქვეითთან;

16) შეთანხმებულია მმართველთან ხელქვეითთან პირად საუბარში.

ამგვარად, მიზანი პირდაპირი კავშირია მართვის სუბიექტსა და ობიექტს შორის. უკუკავშირი საშუალებას იძლევა შევაფასოთ მიზანთა რეალიზაციის შედეგები ანუ გამოვავლინოთ მიზნის განხორციელების ხარისხი.

### 3. მენეჯმენტის ფუნქციები

მენეჯმენტის მეთოდოლოგიის შემდეგი კომპონენტებია ამოცანები და ფუნქციები.

მენეჯმენტის ამოცანები თავისთავად ქვემიზნებია, მათ ვაღწევთ ერთი ან რამდენიმე სამუშაოს ან მისი ნაწილის შესრულებით, რომლებიც უნდა დამთავრდეს დათქმულ ვადაში ორგანიზაციის ან მისი ცალკე ნაწილის საქმიანობის მართვის პროცესში. მოვალეობების ან შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად ორგანიზაციის ხელმძღვანელობა გვთავაზობს გადავჭრათ ერთი ან ამოცანათა ჯგუფი; მათი დამთავრება განიხილება როგორც აუცილებელი წვლილი ორგანიზაციის მიზნების მიღწევაში.

ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობაზე გავლენის ხასიათის მიხედვით ამოცანები შეიძლება გაერთიანდეს ოთხ ჯგუფად.

პირველი ჯგუფი მოიცავს ამოცანებს, რომელთა გადაჭრის შედეგი უშუალო გავლენას ახდენს ორგანიზაციის ეფექტიანობაზე. კულტურის და ხელოვნების ორგანიზაციაში ამ ჯგუფს მიეკუთვნება ძირითადი საქმიანობის უზრუნველყოფის ამოცანები, ინტელექტუალური მომსახურების გასაწევად ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება და განხორციელება.

მეორე ჯგუფი – ამოცანებს, რომელთა გადაჭრა

გავლენას ახდენს ორგანიზაციის მოქმედებებზე შუალედური საორგანიზაციო ფორმების მეშვეობით. ეს ჯგუფი მოიცავს მარკეტინგის ამოცანებს, ინტელექტუალური ან ინოვაციური პროცესის ბიზნესდაგეგმვას, კონტროლს, რესურსების განაწილებას.

მესამე ჯგუფი – ამოცანებს, რომელთა გადაჭრა გავლენას ახდენს პირველი ან მეორე ჯგუფის ამოცანების გადაწყვეტაზე. ამ ჯგუფში შედის აღრიცხის, ანალიზის, აუდიტის სხვადასხვა ამოცანა.

მეოთხე ჯგუფი – ამოცანებს, რომლებიც უშუალოდ გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ინტელექტუალური მომსახურების შემუშავებასა და გაწევაზე, თუმცა მათი შესრულება აუცილებელია ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

ჩამოთვლილი ჯგუფების მმართველობითი ამოცანების გადასაწყვეტად უნდა არსებობდეს შესაბამისი ტექნოლოგია და მომზადებული ხალხი – მენეჯერები და სპეციალისტები. ტექნოლოგია – ეს ცოდნის, ჩვევების, მოწყობილობის და ინფრასტრუქტურის სისტემური შეხამებაა, რომელიც აუცილებელია მომსახურების შესაქმნელად და შესასრულებლად. ამოცანები და ტექნოლოგიები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ამოცანათა შესასრულებლად გამოიყენება კონკრეტული ტექნოლოგიები როგორც ინფორმაციის და „მასალის“ გარდაქმნის საშუალება, რომლებიც მიეწოდება „შესასვლელს“ და გადის სისტემის „გასასვლელში“. ამოცანათა შესასრულებლად აუცილებელი მეორე შემადგენელი წარმოდგენილია ადამიანებით (მართვის პერსონალით).

ხელმძღვანელობა ამოცანათა გადაჭრას აღწევს სხვა ადამიანების მეშვეობით, ამიტომ ეს უკანასკნელნი ცენტრალური ფაქტორია ნებისმიერ ორგანიზაციაში. სისტემური მიდგომის პოზიციიდან გამომდინარე, ორგანიზაციის მართვაში „ადამიანური ცვლადის“ სამი ასპექტი არსებობს: ცალკეული ადამიანების ქცევა, ხელმძღვანელის (მენეჯერის) ქცევა ლიდერის როლში და მისი გავლენა ცალკეული ადამიანების და ჯგუფების ქცევაზე. ამასთან ყოველი ადამიანი ხასიათდება უნარით, აღქმით, თვალსაზრისით, ფასეულობებით, მოთხოვნილებებით, ლიდერობით, ადეკვატურობის ხარისხით გარემოსთან, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მისი უნარის და პიროვნული თავისებურებების გახსნას.

მენეჯმენტის ფუნქცია – ეს მმართველი ზემოქმედების მიზანმიმართული სახეა, რომლის განხორციელება განიხილება როგორც მართვის შემადგენელი ნაწილი, რაც ნიშნავს მართვის ისეთი ფუნქიების შესრულებას, როგორიცაა ორგანიზაციის აგება და ურთიერთქმედება ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაში, ტექნოლოგიაში, ინფორმაციაში ზემოგანხილული ამოცანების გადასაჭრელად.

მართვის ფუნქციები ყალიბდება შრომის განაწილებით მართვის პროცესში. ამ ფუნქციებმა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციაში ხელმძღვანელობა, მართვა და სამეურნეო საქმიანობის მომსახურება. ყოველი ფუნქცია ხასიათდება დანიშნულებით, განმეორებით, შინაარსის ერთგვაროვნებით, სპეციფიკით, რომელიც აუცილებელია პერსონალის მიერ მის შესასრულებლად.

მართვის ორგანიზაციაში მონაწილეობის ნიშნით ასხვავებენ სპეციალურ (კერძო) და დამხმარე ფუნქციებს.

მართვის ყოველი ფუნქცია ხასიათდება მიზნობრივი მიმართულებით და გააჩნია თავისებურებები, თუმცა ყველა მათგანი ურთიერთდაკავშირებულია და შეადგენს გარკვეულ, მჭიდროდ დაკავშირებულ სისტემას. მხოლოდ ყველა ფუნქციის ერთობლიობა ხსნის სავსებით მართვის პროცესს, ამიტომ მათი შესრულება უზრუნველყოფს ორგანიზაციის კომპლექსურ და სისტემურ მართვას და მისი სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობას.

მართვის ფუნქციას ობიექტური ხასიათი აქვს, რაც განისაზღვრება თავად მართვის პროცესის ობიექტური აუცილებლობით ადამიანთა ერთობლივი შრომის პირობებში. მართვის ფუნქციათა ობიექტურობა ვლინდება ყველგან, სადაც ხორციელდება მმართველობითი საქმიანობა. მართვის საერთო სისტემაში ამა თუ იმ ობიექტის ადგილმდებარეობის მიხედვით იცვლება მხოლოდ სამუშაოს მოცულობა ამ ფუნქციით, მაგრამ არ იცვლება მისი მიზნობრივი მიმართულება და შინაარსი.

მართვის ფუნქციების მიღებული დაჯგუფების მიხედვით არსებობს – ძირითადი (საერთო), დამაკავშირებელი, კერძო და სპეციფიკური ფუნქციები, განვიხილოთ მათი შინაარსი. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მართვის ფუნქცია საერთო წესის კატეგორიაა. ეს ნიშნავს, რომ იგი ერთნაირად გამოიხატება მართვის ნებისმიერი სუბიექტის საქმიანობაში, მაშინ, როცა კონკრეტული სუბიექტების ფუნქცია შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

**მართვის ძირითადი (საერთო) ფუნქცია** ვლინდება პრინციპულად ერთნაირად მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში ორგანიზაციის მართვისას. მათ მიეკუთვნება: დაგეგმვა, პროცესის ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი. ფუნქციებს შორის კავშირებია გადაწყვეტილების მიღების და კომუნიკაციის პროცესები.

***დაგეგმვა*** უპასუხებს შემდეგ კითხვებს:

1) როგორ მდგომარეობაშია დღეს ორგანიზაცია? ამისათვის საჭიროა შევაფასოთ მდგომარეობა ფინანსების, მარკეტინგის, წარმოების და სხვა სფეროებში.

2) როგორი უნდა იყოს ორგანიზაციის მიზნები? გარემოში შესაძლებლობების და საფრთხეების შეფასებით საჭიროა განვსაზღვროთ ორგანიზაციის მიზნები.

3) როგორ შეუძლია ორგანიზაციას მიაღწიოს მიზანს? საჭიროა გადავწყვიტოთ, რა უნდა გააკეთოს პერსონალმა მიზნის მისაღწევად, როგორი უნდა იყოს რესურსები.

ორგანიზაცია – ეს სტრუქტურირების პროცესია. ელემენტთა სიმრავლის სტრუქტურირება აუცილე-

ბელია. ასეთი ელემენტებია სამუშაო, ორგანიზაციისა და ცალკეული თანამშრომლების კონკრეტული დავალებები. ასე მაგალითად, ხელმძღვანელი არჩევს ადამიანებს, ავალებს მათ სამუშაოს, ცალკეულ ადამიანებს ანიჭებს უფლებამოსილებას და უფლებებს, გამოიყენონ ორგანიზაციის რესურსები. საბოლოო ჯამში, იქმნება ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა მთლიანობაში.

მოტივაცია უნდა იყოს ის, რომ ორგანიზაციის წევრებმა შეასრულონ სამუშაო გეგმის შესაბამისად. ადრე მიაჩნდათ, რომ მოტივირება – ეს შესაბამისი ფულადი დაჯილდოების შეთავაზებაა გაწეული ძალისხმევის სანაცვლოდ. თანამედროვე პირობებში მოტივაცია განიხილება მოქმედებებისკენ შინაგანი სწრაფვის შექმნის კონტექსტში. იგი მოთხოვნათა რთული ერთობლიობის შედეგია, რომელიც მუდმივად იცვლება, განსაკუთრებით ხელოვნების სფეროში. იმისათვის, რომ მოახდინოს მოტივირება, ხელმძღვანელს სჭირდება განსაზღვროს, როგორია სინამდვილეში ეს მოთხოვნები, უზრუნველყოს თანამშრომლისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება შესასრულებელი სამუშაოს მიმართ შემოქმედებითი დამოკიდებულების გზით.

კონტროლი – ეს მართვის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციისთვის თავისი მიზნების მისაღწევად. კონტროლი საშუალებას იძლევა მივიღოთ აუცილებელი ინფორმაცია ადამიანთა საქმიანობის შემდგომი დაგეგმისთვის, კოორდინაციისთვის. გამოყოფენ მმართველობითი კონტროლის სამ ასპექტს:

1) სტანდარტების დადგენა დაგეგმვის პროცესში – ესაა მიზანთა ზუსტი განსაზღვრა, რომლებსაც უნდა მიაღწიონ დროის გარკვეულ პერიოდში;

2) იმის გაზომვა, რასაც მიაღწიეს სინამდვილეში გარკვეულ პერიოდში;

3) მიღწეულის შედარება მოსალოდნელ შედეგთან. კონტროლი საშუალებას იძლევა, აუცილებლობისდა მიხედვით მივიღოთ მაკორექტირებელი ზომები მიზნებზე გადახრის ან ცვლილების აღსაკვეთად.

დამაკავშირებელი ფუნქციები – ესაა გადაწყვეტილებების მიღება და კომუნიკაცია. მენეჯერი გადაწყვეტილებას იღებს სხვადასხვა ვითარებაში. გადაწყვეტილების მიღება გარკვეულობის პირობებში ჩნდება მაშინ, როცა გადაწყვეტილების შედეგი ფასდება ერთდროულად რამდენიმე კრიტერიუმით და ერთი შედეგი უკეთესია ერთი კრიტერიუმის მიხედვით, მეორე კი – სხვა კრიტერიუმით. გადაწყვეტილების მიღების თეორიის მეთოდები იმ შემთხვევაში შეიძლება გამოიყენონ, თუ:

- გადაწყვეტილებათა სიმრავლეში ხერხდება გადაწყვეტილებათა იმ დარგის გამოყოფა, რომელიც ოპტიმალურია რაიმე მოსაზრებით;
- კრიტერიუმები ერთმანეთზე დამოკიდებული არაა.

თუ ალტერნატივათა შედეგები ფასდება ერთი კრიტერიუმის მიხედვით, მაშინ ვარაუდობენ გადაწყვეტილების მიღებას სკალური კრიტერიუმით, თუ რამდენიმეთი – ვექტორული კრიტერიუმით.

რისკის პირობებში ალტერნატივის რეალიზაციამ შეიძლება მიგვიყვანოს სხვადასხვა შედეგთან, რომელთათვისაც ცნობილია მათი დადგომის ალბათობა. ასეთ შემთხვევაში განსახილველი პრობლემისთვის უნდა შეგროვდეს მნიშვნელოვანი სტატისტიკური მასალა, ხოლო გადამწყვეტი წესი უნდა მოიძებნოს სარგებლიანობის თეორიის ფარგლებში.

გაურკვევლობის პირობებში ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს ამა თუ იმ შედეგის დადგომაზე, ბოლომდე ცნობილი არაა. შედეგი დამოკიდებულია იმაზე, ორგანიზაციის მდგომარეობის სიმრავლიდან გარემოს რა მდგომარეობაა ნამდვილი.

მმართველობითი გადაწყვეტილება მართვის პროცესის კონცენტრაციაა მის დამამთავრებელ სტადიაზე. თუმცა გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღონ მართვის შუალედურ ეტაპებზეც და ისინი პროცესების დამაკავშირებელი იყოს. მაგალითად, სტრატეგიის, ბიზნეს-გეგმის, საინვესტიციო და ინოვაციური წინადადებების შემუშავების პროცესში და ა.შ. გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ მათი შემუშავების მსვლელობისას და გავაფორმოთ დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს ხელქვეითთა საქმიანობას ორგანიზაციაში.

მართვის სტადიისგან დამოუკიდებლად, გადაწყვეტილებები გამოიყურება როგორც მმართველობითი ზემოქმედების ფორმულა მართვის ობიექტზე და უნდა უპასუხებდეს გარკვეულ მოთხოვნებს: იყოს დასაბუთებული, ხასიათდებოდეს ფორმულირებათა მკაფიოობით, განხორციელების რეალურობით, ეკონომიურობით, ეფექტიანობით.

გადაწყვეტილების მიღება, სულ მცირე, მოიცავს შემდეგ სტადიებს: ამოცანის დასმას, გადაწყვეტილებათა ვარიანტების ჩამოყალიბებას, საუკეთესო გადაწყვეტილების არჩევას, გადაწყვეტილების საკუთრივ მიღებას. გადაწყვეტილებას იღებენ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში გადის სამ ფაზას:

1) სტრუქტურიზაციას ანუ საინფორმაციო ელემენტების გამოყოფას, ურთიერთობათა დამყარებას მათ შორის, რის შედეგადაც ვლინდება ინფორმაციის მოწესრიგებული სისტემა შესაძლო ჰიპოთეზების სახით, „მიზანთა ხე“, „რესურსების ხე“ და ა.შ.;

2) დახასიათებას ანუ მახასიათებელთა სისტემის განსაზღვრას, რომლის დახმარებითაც გამოვლინდება გადაწყვეტილებათა სარგებლიანობა, მათი მიღწევის ალბათობა და ა.შ.;

3) ოპტიმიზაციას ანუ მთელი ინფორმაციის გარდაქმნას საბოლოო ფორმად საუკეთესი გადაწყვეტილების მისაღებად, მის დასაბუთებას და მიღებას.

აღნიშნული სტადიებიდან თითოეული თავის მხრივ შედგება რიგი თანმიმდევრულად შესასრულებელი პროცედურებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან პირადაპირი და შებრუნებული საინფორმაციო კავშირით და განსაზღვრავს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების იტერა-

ტიულ ხასიათს.

ორგანიზაციის წარმატებით მუშაობისთვის ხელმძღვანელი მუდმივად უნდა აკეთებდეს სწორ არჩევანს რამდენიმე ალტერნატიული შესაძლებლობიდან. ერთ-ერთი ალტერნატივის არჩევა – ესაა სწორედ გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღება – ეს არჩევაა, რა და როგორ დაიგეგმოს, მოხდეს მისი ორგანიზება, მოტივირება და გაკონტროლება. ეფექტიანი გადაწყვეტილების მისაღებად ძირითადი მოთხოვნაა ადეკვატური და ზუსტი ინფორმაციის არსებობა.

კომუნიკაცია – ეს ინფორმაციის გაცვლაა მისი აზრობრივი მნიშვნელობით ორ ან მეტ ადამიანს შორის. კომუნიკაციის პროცესში ინფორმაცია გადაეცემა იმისთვის, რომ ხელმძღვანელებმა შეძლონ აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღება და მათი შესრულება. გეგმების შესრულება შეუძლებელია, თუკი ისინი გაუგებარია ადამიანებისთვის, რომლებმაც უნდა შეასრულონ. სანამ თანამშრომლები ვერ გაიგებენ გეგმების დასაბუთებულობას, არ ეცოდინებათ, რა ჯილდოს შესთავაზებენ კარგად შესრულებული სამუშაოსთვის, ისინი კარგად არ იმუშავებენ.

**კერძო ფუნქციებს** მიეკუთვნება საქმისწარმოება, ორგტექნიკით უზრუნველყოფა და მისი გამოყენება. ორგანიზაციაში კერძო ფუნქციებს ასრულებენ თანამდებობის პირები და ცალკეული სტრუქტურული განყოფილებები.

მართვა ყოველთვის ზემოქმედებას ახდენს კონკრეტულ ობიექტზე, რომელსაც აქვს გარკვეული დარგობრივი მიმართულება, ამიტომ მართვა იწვევს სპეციფიკური ფუნქციების განხორციელების აუცილებლობას. კულტურის და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციისთვის მართვის სპეციფიკური ფუნქციებით არსებობს ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის მიერ ინტელექტუალური პროდუქციის და მომსახურების მიღებასთან. ამასთან დაკავშირებით, კულტურა და ხელოვნება უნდა განვიხილოთ, ერთი მხრივ, როგორც ადამიანური კულტურის უმნიშვნელოვანესი სფერო, ხოლო, მეორე მხრივ – როგორც ეროვნული ეკონომიკის დარგი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანური კაპიტალის საგანმანათლებლო, კულტურული, ზნეობრივი და პროფესიული შემადგენლების ფორმირებასთან.

ორგანიზაციაში მართვის ერთ-ერთი მთავარი სპეციფიკური ფუნქციაა კულტურულ-საგანმანათლებლო მისიის შესრულება. მმართველობის სხვა სპეციფიკური ფუნქციები ყალიბდება საქმიანობის სპეციფიკის გავლენით. კულტურას და ხელოვნებას ეკონომიკის სხვა დარგებისგან განარჩევს:

- კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა დიდი რაოდენობა;
- მიზანთა მრავალმნიშვნელოვნება;
- არა საქონლის, არამედ ინტელექტუალური მომსახურების წარმოება;
- დაჟინებული საზოგადოებრივი ყურადღება და არასაბაზრო წნეხი მომსახურების გაწევაზე.

ამ სპეციფიკის გათვალისწინებით არა მარტო მთლიანობაში დარგებისთვის, არამედ ცალკეული ორგანიზაციებითვის, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მართვის სპეციფიკური ფუნქციები:

1) კულტურის და ხელოვნების გარე კავშირის პოტენციალის რეალიზაცია. ეს ფუნქცია გულისხმობს ორგანიზაციის ორიენტაციას განათლებასთან, წარმოებასთან, კულტურულ გარემოსთან, მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირზე, რაც უზრუნველყოფს განათლების დამოუკიდებელი კონცეფციის შემუშავებას კულტურის და ხელოვნების დარგში, აგრეთვე – ინდივიდის განვითარების პროგრამას მისი მიდრეკილებების და უნარის, ფასეულობათა სისტემის მიხედვით, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს კულტურის და ხელოვნების განვითარების კონცეფცია;

2) კულტურასა და ხელოვნებაში საკუთრების სხვადასხვა ფორმის რეალიზაცია;

3) სახელმწიფო პოლიტიკის ცხოვრებაში განხორციელება კულტურის, ხელოვნების და განათლების დარგში;

4) ტერიტორიული და საერთაშორისო თანამშრომლობის კოორდინაცია კულტურის და ხელოვნების სფეროში.

კულტურის და ხელოვნების ორგანიზაციაში მართვის სპეციფიკურ ამოცანათა განხორციელება მჭიდროდაა დაკავშირებული საერთო (ძირითად) ფუნქციებთან.

ამგვარად, შრომის განაწილების შედეგად ფუნქციების მიხედვით მენეჯერების და თანამშრომლების პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს ორგანიზაციის ძირითადი პროფილის და სხვა საქმიანობის ხელმძღვანელობას, მართვას და მომსახურებას. ფუნქციათა რაციონალური განაწილებისას უნდა იყოს უზრუნველყოფილი:

- საწარმოო საქმიანობის სფეროში – პერსონალის რაციონალური გაწესება(განლაგება), მენეჯმენტის და თანამშრომლების კოორდინირებული მოღვაწეობა, ინოვაციურ ტექნოლოგიათა გამოყენება საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციაში;
- სოციალურ-ფსიქოლოგიურ დარგში – თანამშრომლებში შრომითი დაკმაყოფილების გრძნობის გაზრდა, ორგანიზაციის მიმართ პატრიოტიზმის განცდა, ფსიქოლოგიური დაძაბულობის მოხსნა, პიროვნებათშორისი ურთიერთობის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციის ეკონომიკის დარგში – შემოსავლების უზრუნველყოფა მყარი ფინანსური მდგომარეობისთვის, კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაპყრობა.

ცხრილში 2 მოყვანილია მენეჯმენტის ფუნქციათა შესრულების ალგორითმი მართვის ტექნოლოგიურ თანამიმდევრულობაში, განმეორებადობაში, მმართველობითი საქმიანობის პროცესების შინაარსის და დროებითი ჰორიზონტის გათვალისწინებით. ალგორითმის ეს ვარიანტი შეიცავს მათი შესრულების იმ ფუნქციებს და ვადებს, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება კულტურის და ხელოვნების ორგანიზაციებში.

**ორგანიზაციაში მენეჯმენტის ფუნქციათა შესრულების ალგორითმი**

| **მართვის ფუნქცია** | **ფუნქციის მოქმედების დროებითი ინ-ტერვალი** | **მმართველობითი საქმიანობის შინაარსი** |
|---|---|---|
| მიზანი | შეუზღუდავად ხანგრძლივი | ორგანიზაციის მიზნების გა-ცნობიერება და ფორმირება „მიზანთა ხის“ სახით |
| მართვის პროცესის ორგანიზაცია | უწყვეტად | მართვის პროცესის ყველა კომპონენტის ორგანიზებულობის უზრუნველყოფა |
| დაგეგმვა: | | |
| სტრატეგიული | ხანგრძლივვადიანი პერსპექტივა (5 წელზე ზევით) | გარემოს ქცევის პროგნო-ირება; განვითარების სტრატეგია |
| ტაქტიკური | საშუალოვადიანი პერსპეცტივა (5 წლამდე) | გარემოს ქცევის პროგნოზი-რება; ღონ-ისძიებათა დაგეგ-მვა ახალი ბაზრების, ახალი პროდუქციის და მომსახურ-ების გასათვისებლად; განვი-თარების მაჩვენ-ებლების შემადგენლობის და მნიშვნელობების განსაზღვრა |
| მიმდინარე (ბიზნეს-დაგეგმვა) | მოკლევადიანი პერსპექტივა (1 წლამდე) | გარემოს ქცევის პროგნოზი-რება; წლიური,კვარტალური, თვიური გეგმე-ბის მაჩვენებელთა მნიშვნელობების და შემადგენლობის განსაზღვრა |
| საქმიანობის კოორდინაცია | მოკლე და საშუალოვადიანი პერსპექ-ტივა | ორგანიზაციის სტრუქტურის განსაზღვრა; შემადგენელ ნაწილებს შორის ურთიერთ-ქმედების მოგვარება; პერსო-ნალის მოვალეობების განაწ-ილება და მოქმედებების შე-თანხმება |
| რეგულირება | მოკლევადიანი პერსპექტივა | გეგმიური დავალებებისგან გადახვევათა გამოვლენა და ასეთ გადახვევათა აღკვეთა |
| კონტროლი | უწყვეტად | საქმიანობაზე დაკვირვება; მაჩვენებელთა ფაქტობრივი და მოცემული მნიშვნელობების შედარ-ება; აღმოჩენილი გადახრების სიდიდის, მიზეზის, ადგილის და დროის გამოვ-ლენა |
| აღრიცხვა | უწყვეტად | საქმიანობის ოპერაციათა დაკვირვება, ფიქსაცია და  რეგისტრა-ცია; შედეგების და ჯგუფება შეჯამე-ბული მონაცემების მისაღებად საქმი-ანობის მდგომარეობის შესახებ |

## 4. მენეჯმენტის მეთოდები

მეთოდი (ბერძნ. მეტჰოდოს) ნიშნავს საშუალებას, იმოქმედო, მოიქცე რამენაირად. მენეჯმენტის მეთოდოლოგიაში მეთოდებს განსაკუთრებული ადგილი უკავია, ვინაიდან მათი დახმარებით შესაძლებელი ხდება სასურველი მიზნის მიღწევა სხვადასხვა საშუალებით. ერთსა და იმავე მიზანს შეიძლება მიაღწიონ სხვადასხვა მეთოდის დახმარებით და, პირიქით, რამდენიმე მიზნის მიღწევა შეიძლება ერთი მეთოდით. შესაბამისად, ნებისმიერ ორგანიზაციაში უნდა არსებობდეს მეთოდების სისტემის მონაცემთა ბანკი, რომელსაც ეწოდა „მეთოდური აპარატი“, ანუ „მეთოდური ინსტრუმენტარიუმი“.

ამგვარად, მენეჯმენტის მეთოდი სუბიექტის ზემოქმედებაა მართვის ობიექტზე, კონკრეტული მიზნის მისაღწევი საშუალებაა ორგანიზაციის სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის მართვის პროცესში.

მართვის მეთოდების დახმარებით ხორციელდება მენეჯმენტის ფუნქციები. ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა სტრატეგიული დაგეგმვა, სტრატეგიის რეალიზება, მარკეტინგი, დაფინანსება, წარმოების ფაქტორებით – კონტროლით, აღრიცხვით და სხვა – საქმიანობის უზრუნველყოფა ხორციელდება მეთოდებით, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს თანამშრომელთა ეკონომიკურ ინტერესებზე და ქმნის ეკონომიკურ მოტივაციას მართვის ობიექტში.

მართვის ყველა მეთოდი მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და გამოიყენება მენეჯმენტის მიერ ოპტიმალური შედეგების უზრუნველსაყოფად ორგანიზაციის მიზნების მიღწევისას. მართვის მეთოდების ერთიანობა განისაზღვრება ამისთვის გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომების მთლიანობით. მაგალითად, პროგრამულ-მიზნობრივი მართვა გულისხმობს ამ მეთოდური მიდგომის ელემენტების სისტემურ შეთანხმებას – მიზნის და მისი მიღწევის ეტაპების მკაფიო განსაზღვრას, აუცილებელი საშუალებების და რესურსების გამოყოფას; შემუშავებული გეგმის განხორციელება საჭიროებს მართვის სპეციალური აპარატის შექმნას და ფუნქციონირებას, ხოლო მიზნის განხორციელებისთვის ყველა მონაწილის ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად უნდა ფუნქციონირებდეს შრომის მოტივაციის სისტემა და ა.შ.

თანამედროვე მენეჯმენტის მეთოდების კლასიფიცირებას მათი გამოყენების ნიშნით ცოდნის ფორმირების დარგებში ახდენენ ზოგადმეცნიერულებად და სპეციფიკურებად (კერძო).

ზოგადმეცნიერული მეთოდების კლასი წარმოდგენილია მეთოდური ინსტრუმენტარიუმით, რომელიც გამოიყენება არა მარტო მართვის მეცნიერებაში, არამედ ცოდნის სხვა დარგებშიც. ზოგადმეცნიერულ მეთოდებს მიეკუთვნება ისტორიული, სისტემური და კომპლექსური მიდგომა, მოდელირება, ექსპერიმენტირება, მათემატიკური აპარატის ალგორითმების გამოყენება, სტატისტიკური, სოციოლოგიური, პოლიტოლოგიური და კვლევის სხვა დარგები.

სპეციფიკურ (კერძო) მეთოდები, რომლებიც გამოიყენება მენეჯმენტში, ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით, რაც აიხსნება მათი დახმარებით მიღწეული მიზნების სიმრავლით და მართვის ობიექტების სხვადასხვაობით. კერძო მეთოდების ფართო მრავალფეროვნება და მენეჯმენტის მიერ ყველაზე მისაღების არჩევის აუცილებლობა კონკრეტული მიზნის მისაღწევად საჭიროებს მათ კლასიფიკაციას. საკლასიფიკაციო ნიშნების სახით წარმოდგენილია: შინაარსი, მოტივაცია, საორგანიზაციო ფორმები და მეთოდების გამოყენების სფერო.

ცხრილში 3. მოყვანილია მენეჯმენტის მეთოდების კლასიფიკაცია დასახელებული ნიშნების მიხედვით.

*ცხრილი 3.*

**თანამედროვე მენეჯმენტის კლასიფიკაციის მეთოდები**

| მეთოდის საკლასიფიკაციო ნიშანი | მართვის მეთოდების ჯგუფი |
|---|---|
| მართვის შინაარსით | ეკონომიკური საორგანიზაციო-გამანაწილებელი სოციალურ-ფსიქოლოგიური სამართლებრივი (იურიდიული) |
| ზემოქმედების მოტივაციით | მატერიალური მოტივაცია მორალური მოტივაცია იძულებითი (მბრძანებლური) მოტივაცია |
| საორგანიზაციო ფორმით | ერთპიროვნული (ინდივიდუალური) კოლექტიური<br>კოლეგიური |
| გამოყენების სფეროს მიხედვით | საერთო, გამოსაყენებელი მართვის მთელი<br>სისტემისთვის ლოკალური, გამოსაყენებელი მართვის სისტემის ცალკეული ნაწილებისთვის |
| მართვის ობიექტის მიხედვით | წარმოება ადამიანები ორგანიზაცია გარე კავშირები |

როგორც აღინიშნა, მართვის ფუნქციები ხორციელდება მეთოდების საშუალებით. მართვის ისეთი ფუნქციის განხორციელება როგორიცაა ორგანიზაციის აგება, დაკავშირებულია, მაგალითად, ეკონომიკურ, საორგანიზაციო-გამანაწილებელ და სამართლებრივ (იურიდიულ) მეთოდებთან, რომლებიც მოწოდებულია შექმნას ეფექტიანად მომუშავე ორგანიზაცია მკაცრი შესაბამისობით არსებულ კანონმდებლობასთან და ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებთან სამეურნეო საქმიანობის და სამოქალაქო ურთიერთობის დარგში.

სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები დამყარებულია მენეჯმენტში ქცევითი მეცნიერებების მიღწევების კომპლექსურ გამოყენებაზე და ორგანიზაციის და პერსონალის ურთიერთქმედების, შემოქმედებითი ინდივიდების და ჯგუფების მოტივაციის ფუნქციათა გამოსახატავი ინსტრუმენტია.

მართვის ფუნქციის რეალიზაციისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესის განსახორციელებლად, ორგანიზაციის ქვესისტემების მართვისთვის საჭიროა მართვის მეთოდების სიმრავლე. აუცილებელია მათი არა მარტო კლასიფიცირება, არამედ სტრუქტურირება პრობლების გადაჭრის, პირობების და ფაქტორების მიხედვით, რომლებიც თან სდევს პრობლემის გადაჭრას. ამისათვის კულტურის და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციაში უნდა გროვდებოდეს მართვის მეთოდების მონაცემთა კომპიუტერული ბაზა პრობლემებთან, სიტუაციებთან, გადაწყვეტილების პროცესის სტადიებთან ურთიერთკავშირში.

განსაკუთრებით მიზანშეწონილია შეიქმნას მართვის მეთოდების მონაცემთა კომპიუტერული ბაზა კულტურის და ხელოვნების ორგანიზაციის ჯგუფების მიხედვით.

მართვის მეთოდების სიმრავლე ამავდროულად ართულებს მათგან იმის არჩევას, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტიანია კონკრეტული მმართველობითი ამოცანის გადაწყვეტისას ორგანიზაციაში.

ამიტომ ყოველი ორგანიზაცია მეთოდების ფონდის შესაქმნელად უნდა იყოს ორიენტირებული მმართველობითი პრობლემების გადაჭრაზე, რომლებიც დამახასიათებელია ორგანიზაციისთვის. (ცხრილი 4).




ცხრილი 4 მართვის მეთოდების არჩევის სქემა კულტურის და ხელოვნების ორგანიზაციაში

მეთოდების ფონდის ფორმირების პრინციპები საკმაოდ რთულია და თავისი რეალიზაციისთვის საჭიროებს შემდეგ პირობებს, რომლებიც ნაწილობრივ ზემოთ იყო განხილული:

· მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომა პრობლემების გამოსავლენად („მიზანთა ხე“, პრიორიტეტები, პრობლემათა გრაფები და სხვ.);

· პრობლების აღწერის სისრულე (არსი, შინაარსი, სტრუქტურა, მიზეზები, გამოვლენის საზღვრები და დონეები, ზემოქმედების ძალა და სხვ.);

· პრობლემათა ტიპების მიხედვით სტრუქტურირება, პრიორიტეტულობა, ფორმალიზების ხარისხი, ფუნქციურობა, მმართველობითი საქმიანობის სახეების მიხედვით და ა.შ.;

· ყოველი პრობლემის გადაჭრის შესაძლო მეთოდის წარმოდგენის სისრულის უზრუნველყოფა;

· ინფორმაციული უზრუნველყოფა (გადასაწყვეტ პრობლემაზე ინფორმაციის მოცულობა და შედგენილობა, დრო და საშუალებები (რესურსები)).

აღნიშნული სირთულეების მიუხედავად, კულტურის და ხელოვნების სფეროში პრაქტიკას აქვს მართვის ეფექტიანი მეთოდების არჩევის ამოცანის გადაწყვეტის აღნიშნული ალგორითმის რეალიზაციის მაგალითები.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. მ.პ. პერევერზევი, ტ. ვ. კოსცოვი მენეჯმენტი კულტურისა და ხელოვნების სფეროში. მოსკოვი, 2009, ინფრა.
2. ე. ბარათაშვილი, ლ. ქოქიაური მენეჯმენტის პრინციპები, თბილისი, 2010.
3. გ.პ.ივანოვი კულტურის ეკონომიკა, მოსკოვი, “იუნიტი-2001.”
4. ინტერნეტ რესურსები: ა) კულტურა და ეკონომიკა



### რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში განხილულია მენეჯმენტის ძირითადი კანონზომიერებები და ზოგადი პრინციპები.

გაშუქებულია კულტურისა და ხელოვნების ორგანიზაციების მენეჯმენტის სპეციფიკური პრინციპები და ფაქტორები, რა ფაქტორებითაც განისაზღვრებიან ისინი.

ჩამოყალიბებულია მიზნის ფორმირების ეტაპები, მიზნის დასახვის ტექნოლოგია, ორგანიზაციის მისია და ტაქტიკა.

განხილულია მენეჯმენტის ამოცანები და ფუნქციები, აგრეთვე მართვის ფუნქციების შესრულების ალგორითმი. განსაზღვრულია “მენეჯმენტის მეთოდი”. მისი კლასიფიკაცია და აღწერილია ორგანიზაციაში მართვის მეთოდების არჩევის ტექნოლოგია.



### SUMMARY

N. Gigauri

“Methodological Basis for Management
In the field of culture and art “

The article discusses the basic regularities and general principles of scientific management.

Covers arts and culture organizations in the management of specific principles and the factors that will determine what factors.

Set the goal of forming stages, the goal of setting the technology, the mechanics and tactics.

Discusses management tasks and functions, as well as management functions algorithm. Defined as “a method of management.” He describes the classification and management methods in choosing the technology.

# The Islamic Renaissance or Radicalization of the North Caucasus Region?

*Emilia Alaverdov*
*GTU, PhD Student III Year*

Islam started its revival in 1970-1980, but we have to mention that the event that took place in the year 1990 was called a Religious Renaissance: the whole Dagestan's Muslim community started to united, they began to restore mosques, open Muslim's schools (Medresse), institutes and universities. In the January, same year was founded a council of Muslims, 345 citizens of Dagestan took part into the first Soviet Union pilgrimage (Hajj). The number of people participate in the Hajj grew over the years.

The above mentioned events that took place in the North Caucasus: the unifications of Muslims communities, the restoration of mosques, opening religious schools, institutes and universities, the foundation of Muslim council and last but not least Hajj turned out as a great danger for Russian Federation and began to threaten seriously both its territorial integrity and national security.

It is very strange but in the modern, XXI century Muslims try to return back for many centuries - in the days of the Prophet Mohamed - the VII centuryand live according to the Fundamental Islamic courses - Quran and Hadith. This style of social life they call the Fundamentalism or pure Islam which is inspired by well-known religious movement Wahabbizsm – an ultra-conservative branch of Sunni Islam.

In 1990 in North Caucasus began to the distribution of religious literature, from Arabic and other languages was translated A. Tamim's, M. Usemin's, A. Magdis's and other Wahhabi's literature authors literature. In order to encourage young people to learn Arabic some of the literature were spread in Arabic language. In the region was spread the literature written by of religious-political groups and extremists. The main author were – Bahaudtin Magomedov, Magomed Tagaev, Akhmad-Kadi Aktaev and others. The aim of literature were the introduction of Islamic Laws (Sharia), to ruin the state security system, create chaos among society and propagated the religious and national clash.

Muslims may be divided into 3 groups: 1- traditional, who try to keep religious, political and social institutes unchanged and remain them as they are, 2- modernists (reformists), its followers are intelligentsia and they try to interpret the dogma of Islam in modern ways, based on the scientific, technological and social progress, and 3 – fundamentalists or Wahhabists – who try to return to the Mohamed's day. The third type of group mainly represents illiterate, poor, unemployed – people from the from lower layers of society. [1]

Since the mentioned period Dagestan and the whole North Caucasus became Russia's "Tinderbox", as the region faces the continuous turmoil and political instability. Of course all this affects Russia's home and foreign policy.

The outcome of the re-Islamization was that the region lost stability and security, as the region suffered from two Chechen wars (1994-1996 and 1999-2000). In 1996 the Chechen Republic Ichkeria was declared as an Islamic republic and there were introduced the Islamic laws. In 1994-1996 there were 26 Sharia's courts, many Islamic political Parties, charity funds and organizations and last but not least the Wahhabi's structures [2].

Wahhabizm gained it peak of popularity in the North Caucasus region in 90s of last century, when they created political parties, organizational structures, establish contacts with the overseas Islamic radical parties and organizations and started "verbovka" - youngsters' recruitment. All this were done with the help of foreign mercenaries, especially in Dagestan and Chechen Republics [3].

It is well known that the youngsters were illiterate, from the poor families and did not have any chance for social success. This is the reason that encourages the flourish of international terrorism and religious radicalism. There were countless military camps, where the mercenaries were taught the Qur'an. This impressed and influenced their ideology. Of course they and their families wereprovided with money. Thus a young man becomes a member of Wahhabi team. They were under such a strong ideological affluence that immediately fulfill all orders.

The outbreak of hostilities in 1994 led to the radicalization of the Chechen society. In situations of armed conflict, many political forces appealed to Islam, often with extreme positions. Besides the traditional Sufi during the first military campaign (1994 -1996) in Chechnya, appeared a considerable number of adherents of revivalist movements in Islam, calling for a literal implementation of the provisions of the Quran.

Recent events have shown that for the last 15 years, the revival of religious Islam was a revival of political organizations and activities. Where religion is connected to the politics and criminal activities.

A small North Caucasian republic, where the population before well-known wars was about a million, immediately turned out at the center of Russia's recent history. The first war in Chechen Republic ,was an outcome of the Yeltsin's weak government. At the same time, however, this war was a good and profitable plan for his political team's business interests, as through Chechen Republic, where Russian laws did not act any more, could easily pass weapons to Iraq, the Balkans and Yemen.

The situation changed dramatically, when a significant number of Islamic mercenaries came to the Republic. It is necessary to mention that this was organized by the help of

Islamic organizations as the mercenaries were well-armed and trained team of the above mentioned organizations. All the all, military operations were carried out under the guise of "Jihad" and coincided with the general radicalization of the Chechen society. However, it should be noted that the ideology of radical Islam was part of the popular so-called leadership of the Chechen Republic of Ichkeria.

The starting point in the policy creation in Chechnya "Islamic state" can be considered 12 September 1996, when the President Zelimkhan Yandarbiyev signed the law and introduced to the country a new legislation based on Sharia. Soviet and Russian laws did not act any more and what's more secular courts were abolished.

The second Chechen war (1999-2000), Russia called the operation against terrorist groups - "Counter-Terrorist Operation". The main leader of the Chechen militants was field commander Shamil Basayev and political figure,Emir Ibn al – Khattab, more commonly known as Emir Khattab Arab, whose exact origin is still unclear, who acted as the main connecting link between the Chechen "militants" and international terrorist organizations.[4]

The whole of the North Caucasus region, where in recent years became a tangle of political, national, religious, economic, and other not less important problem, which should be solved politically and not by violent means. All this happened due to 4 reasons: 1 – the region suffered from the lack of the qualified government - there was no strong and fair leader in the region,: II – there were too many weapons: III - the population was uneducated and poor: and last but not least - the spiritual rehabilitation of oppressed people - Chechens, Ingush Karachi.

Relations with Russia and the North Caucasus – is a very significant event in the world history. Over the centuries was being created a joint Russian - Caucasian political, economic and cultural space. To the end of the XX century, the region ran into constant political tensions, economic instability and turned into an armed conflict region, which threatens Russian unity and territorial integrity. As was already mentioned, Dagestan in the point of socio - economic problems which are related to national security and the wealth of natural resources is a very important republic for Russian. In the modern era of globalization, Dagestan may become a certain kind of transit of Russia - Western Europe - Middle East Middle East - North. [5]

In the first place, the Chechen conflict began amid a general 'Islamic renaissance' on the territory of the former USSR, including Russia. In the North Caucasus this process was particularly vigorous in Dagestan and Chechnya.

The Islamic rebirth facilitated the regeneration of the Chechens' historical memory in which Jihad – Holly War (gazavat) figured prominently. It revived in people's minds a sense of dignity, pride and belief in their ability to oppose any external enemy. It would be fair to say that the early 1990s were a brief period of emotional religious euphoria which was capitalized on by the then Chechen politicians, and above all by General Dzhokhar Dudayev, the first president of the self-proclaimed Chechen Republic, who at first had no intention ofappealing to Islam for political purposes.

In the second place, if Moscow had not set out to suppress the Chechen separatists by military methods (whether this was justified or not) the Chechen Islamic rebirth would not have taken such radical, even extremist forms. It was only when the conflict between Moscow and Grozny became a militaryconfrontation that the Islamic rebirth in Chechnya assumed the form of Jihad. 'Russia forced us to enter on the path of Islam, although we were not prepared well enough to accept the Islamic values', Dudayev said in 1996.The transformation of religious renaissance into a holy war made Islam one of the key factors in the Chechen conflict, as well as in the overall situation in the North Caucasus. Only after that did outside influence from radical Islamic organizations as well as certain Muslim states begin to be felt. (Jordan, Saudi Arabia, Syria and Turkey are the countries most often named in this connection. This overlooks the fact that initially this outside influence was generated by Chechen rather than Islamic solidarity, since there is a united and influential Chechen Diaspora in those countries.)

Historically, Chechnya's goal was not to secede from Russia, but to be considered a federal republic by Moscow, a prestigious upgrade from that of "autonomous region." "Moscow's lack of response to (then-Chechen President) Dudaev's demands had a radicalizing impact on the Chechen nationalist agenda". Most importantly, this impact includes the shift of political agenda from ethnicity/nationalist based to religious-based.

Dudaev increasingly incorporated Islam into his politics, whereas previously he had stressed the national character of the Chechen movement for independence. "Dudaev's appeal to Islam had an important propaganda function: it sought to attract international Islamic support for the Chechen cause."

Thus, as Islam was co-opted for political gains, it is important to note that "Islamic radicalism in the Northern Caucasus is of a pseudo- religious character and is a manifestation of nationalist and strategic aspirations by specific political groups – as a rule, remote from Islam." Few Chechen leaders "turned to Wahhabism in the mid-1990s when they realized that support for their secessionist goals was not forthcoming from western states and international institutions such as the U.N". Although effectively bringing muchneeded finances to Chechnya to conduct the conflict, Wahhabism did not prove to be the decisive factor the Chechens had hoped. The turn to Wahhabism gave an opportunity for extremist Islamic leaders with ties to groups in Yemen, Afghanistan and other centers of radical Islam to hijack the Chechen conflict. "Wahhabism primarily has attracted nonreligious young men, many of whom were unemployed after the end of the first war. They embraced its ideology of armed jihad rather than its Islamic doctrines." [6]

The Wahhabis' vision of a fundamentalist Islamic society was quite extraneous to most Chechens, who tend to

be quite secular and typically follow no more than a few basic religious norms. Although Islam is a vital block of Chechen identity, "the eruption of armed Wahhabi gangs attempting to force women to wear the veil or erecting roadblocks to search for alcohol in cars provided a serious shock." As Miller put it, "although Wahhabi intervention became a principal reason why the Chechens gained support from neighboring regions and countries, their infiltration into Chechnya led to considerable internal chaos and confusion. Toward the conclusion of the first war in Chechnya, however, relations between the Wahhabis and Chechen Sufis abruptly deteriorated, as the Arab mujahideen continued their jihad against Russia and nonbelievers." Several obstacles stand in the way of any long-term solution to the Russian –Chechen stand-off in the North Caucasus. The main obstacle is Russia's fear that Chechen secession would be the final drop to unravel the Caucasus, and then the Russian state. "From Russia's standpoint maintaining political control over the territory was very important to prevent the new Russian Federation from falling apart." Russia is home to "at least ethnic minorities with some kind of pretension to autonomy," and thus successful Chechen secession could "trigger additional declarations of independence and plunge into the chaos of civil war a vast area stretching from the Arctic Ocean to the Black Sea and from Kaliningrad to the North Pacific." [7] Wahhabi movement has demonstrated the role of radical Islam, not only as a mobilizing ideology, but also a major political force.

Radicalisation of the political elite was a result of internal power struggles and lack of resources. Shamil Basayev, as a military strategist, was one of the first to realize the organizational benefits of Islamist structures, their mobilization appeal and capacity to generate funds from Islamist donors. In 1996, he helped the foreign jihadis Ibn alKhattab and Abu Fatqh found a training camp near the village of Serzhen-Yurt that offered courses in jihadi ideology and guerrilla warfare until almost the beginning of the second war. Several thousand from around the North Caucasus reportedly took part, later returning home to become Islamist or militant leaders. A Dagestan fundamentalist, Bahhaudin Magomedov (aka Kebedov), reportedly was prominent in the Chechen leadership's radicalization after forming a fundamentalist enclave in the Chechen town Urus-Martan in 1997. By February 1999, Maskhadov was trying to appropriate his opponents' slogans, proclaiming the introduction of "full Sharia rule".

Among the Chechen insurgents, a more moderate group committed to retaining the national-liberation agenda and aiming at military but not civilian targets in and outside Chechnya continued to function. However, a radical wing has committed major acts of terror, including over 40 in the rest of Russia, since 1999, many attributed to groups commanded by Basayev. An ethnic Chechen pro-federal side led by Akhmad Kadyrov, who as a Sufi leader was strongly against the republic's slide toward radical Islamism (Salafism), and later his son, Ramzan Kadyrov, also rose to prominence, breaking with Basayev and welcoming Moscow's military backing.However, the "Wahhabi" gangs movement continues to be the backbone operating in the Chechen illegal armed groups.

Literature


1. Ханбабаев К.М. РЕЛИГИОЗНО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЭКСТРЕМИЗМ. Учебное пособие для студентов высших учебных заведений. Махачкала – 2008,стр. 35-38
2. «НовоеДело», 24.07.92.
3. «Халифат», 17.10.98.
4. Abu Hafs, "Youth Is Going Out for Jihad," November 12, 2006, http://kavkazcenter.com/eng/content/2006/11/12/6388.shtml
5. http://spectrum.library.concordia.ca/974634/4/Grebennikov_PhD_F2012.pdf
6. А. М. Буттаева ИСЛАМСКОЕ ВОЗРОЖДЕНИЕ В РОССИИ. Дагестанский государственныйуниверситет http://www.dncran.ru/vestnik/36/Buttaeva.pdf
7. http://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/220-the-north-caucasus-the-challenges-of-integration-i-ethnicity-and-conflict.pdf


*რეზიუმე*


***ემილია ალავერდოვი,***
*სტუ-ს დოქტორანტი, მე-3 კურსი*


**ისლამური რენესანსი თუ ჩრდილოკავკასიური რადიკალიზაცია?**


სტატია ეხება ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის ბოლო 20წლისმოვლენებს, კერძოდ, რუსეთისფედერ აციაშიისლამისაღორძინებას,რომელიცმიმდინარეო ბსისლამიზმისფორმით, სადაცრელიგიისაღორძინე-ბაიხრება და მიდრეკილია პოლიტიკურიორგანი-ზაციებისაღორძინებისაკენდაგააქტიურებისაკენ. როგორც ირკვევა, ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონ-შირელიგიაგადაჯაჭულიაპოლიტიკასადაკრიმინალ-ურსაქმიანობაზე. სტატიაში აგრეთვე ავტორის მიერ განხილულია ჩეჩნეთის ომები, უცხოური ბანდ-ფორმირებების საველე მეთაურების ჩრდილოეთ კავკასიის მოვლენებში ჩართულობა-საქმიანობა და ჩეჩნეთის ლიდერების ისლამით აპელირება.

# ექვთიმე თაყაიშვილი – ისტორიული მეთოდოლოგიის დიდოსტატი

*ეკა ბუხრაშვილი,*
*სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი*

ისტორიის, როგორც სამეცნიერო დარგად და აკადემიურ დისციპლინად ჩამოყალიბება XIX საუკუნეს უკავშირდება. ამ პერიოდში შემუშავდა ისტორიის მეცნიერული კვლევის მეთოდი და ეს საქმე პროფესიად იქცა. „გადმოეცი ისტორია ისე, როგორც ეს სინამდვილეში ხდებოდა — ეს იყო XIX საუკუნის ისტორიკოსების ძირითადი მოთხოვნა, თუმცა საამისოდ ინფორმაციის საკმაოდ დიდი ბაზა იყო საჭირო და კვლევის ძირითადი მიმართულებები ამ კუთხით მიმდინარეობდა. ასეთი აქცენტირება მეთოდებზე გულისხმობდა არა მხოლოდ ისტორიული წყაროების კრიტიკულ შესწავლას, არამედ წარსულის ინტუიციურ წვდომასაც. ეს უკვე იყო ისტორიის მეცნიერული, პროფესიონალური შესწავლის მოთხოვნილება. უკვე საუკუნის ბოლოს ისტორიული კვლევის მეთოდებში გამოიკვეთა ცნობილი ტრიადა-ევრისტიკა-კრიტიკა-ინტერპრეტაცია. ევრისტიკის საფეხურზე ისტორიკოსი მოიძიებს ისტორიულ წყაროებს, მეორე ეტაპზე კრიტიკულად სწავლობს მათ და, ბოლოს, დადგენილი ისტორიული სურათის გადმოცემის პროცესში ახდენს მათ ინტერპრეტაციას, ანუ ცდილობს გაიგოს და გასაგები გახადოს ესა თუ ის ისტორია.

ევროპულ ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულებით ფართო მეთოდოლოგიური ბაზა შექმნეს ლეოპოლდ რანკემ, თეოდორ მომზენმა, იოჰან გუსტავ დროიზენმა. მართალია, ისინი თეორეტიკოსები უფრო იყვნენ, მაგრამ მათი კვლევის მეთოდები იმთავითვე მოექცა პრაქტიკოსი ისტორიკოსების ყურადღების ცენტრში. XIX საუკუნის ბოლოს ე.წ. პოზიტივისტებმა მეცნიერული კვლევის მეთოდები კიდევ უფრო დახვეწეს – მათი მიზანი იყო ისტორიის შესწავლის გზების მეცნიერულობის დადგენა და შემდეგ ამ მეთოდებით ისტორიული სინამდვილის დადგენა. შარლ სენიობისი, ოგიუსტ კონტი, შარლ ლანგლუა, იპოლიტ ტენი და სხვ. კვლევის მეთოდის სრულყოფის ძიებაში მთელ მსოფლიოში იყვნენ ცნობილები. თავის მხრივ, კოლნგვუდის და ბენედიტო კროჩეს მოღვაწეობამ კიდევ ერთი ახალი ტალღა შემოიტანა ისტორიული მეცნიერების სფეროში, ხოლო XX ს-ის დასაწყისში ფრანგული ე.წ. „ანალების სკოლამ“ (მ. ბლოკე, ლუსიენ ფევრი, ფერნან ბროდელი და სხვ.) უფრო მეტი „მეცნიერული“ ხასიათი შესძინეს ისტორიოგრაფიას. მათი პრინციპის მიხედვით ისტორიულ კვლევას ადამიანის საქმიანობის უკლებლივ ყველა სფერო უნდა მოეცვა, რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა ისტორიის კვლევაში დისციპლინათშორის კავშირს, რაც გულისხმობდა ორი პრინციპის განსახორციელებლად ისტორიის მომიჯნავე სხვა სამეცნიერო დარგებთან – გეოგრაფიასთან, ხელოვნებასთან, ფილოსოფიასთან, ფილოლოგიასთან, ლინგვისტიკასთან, ნუმიზმატიკასთან, არქეოლოგიასთან და ა.შ. თანამშრომლობას და მათი კვლევის მეთოდების შეთვისებას (ბ. კროჩე ხაზგასმითაც კი მიუთითებდა, რომ ისტორიკოსმა არა მარტო უნდა აღადგინოს, არამედ უნდა დაწეროს კიდეც ისტორია). ფაქტი იყო, რომ თეორიულმა კვლევებმა დღის წესრიგში დააყენა ისტორიული წყაროების გამოვლენა – როგორც ისტორიული გამოკვლევის საფუძვლის წინ წამოწევა – ისტორიული თხრობა წარმოუდგენელი გახდა თავად წყაროების დამოწმების გარეშე.

როგორც ვხედავთ, ისტორიკოსის მიერ მოძიებული წყარო არაა არგუმენტაციისათვის ვარგისი მტკიცებულება. მას ასეთად ისტორიკოსი აქცევს. ისტორიული რეალობის შეძლებისდაგვარად ზუსტად აღსადგენად ისტორიკოსმა რთული გზა უნდა გაიაროს. მიყვებოდნენ თუ არა ამ გზას XX საუკუნის ქართველი ისტორიკოსები? იზიარებდნენ თუ არა იმდროისათვის აღიარებულ მეცნიერული კვლევის მეთოდებს? და, საერთოდ, როგორ, რა ფონზე წარმოგვიდგება XX საუკუნის ქართული ისტორიული მეცნიერება მსოფლიო ისტორიოგრაფული სკოლების ფონზე?

ასეთ საკითხებზე მსჯელობისას აუცილებლად გაგვახსენდება ქართული ისტორიოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენელი ექვთიმე თაყაიშვილი.

ექვთიმე თაყაიშვილი აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწოდა. იგი გახლდათ ისტორიკოსი, არქეოლოგი, ქართული მწერლობის ისტორიის მკვლევარი, მსგავსად იმდროინდელი ევროპელი ისტორიკოსებისა, მასაც კარგად ესმოდა როგორ უნდა მომხდარიყო ისტორიული ცოდნის ორგანიზება და რომ საამისოდ ყველაზე მოსახერხებელი ამ ცოდნის შენახვა, გადარჩენა და მომავლისთვის გადაცემა იყო. ასე შეიქმნა მისი თაოსნობით 1907 წელს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი, რითაც მან მეცნიერების მრავალი ნაშთი სამუდამო და უდაო დაღუპვისაგან იხსნა და ქართულ სიძველეთა და ხელოვნების მეცნიერების მომავალს განვითარების საუკეთესო პირობები შეუქმნა. საზოგადოება პირველი დღეებიდანვე შეუდგა საგამომცემლო მუშაობას და დააარსა ორი პერიოდული ორგანო: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. პირველში იბეჭდებოდა რეფერატები და გამოკვლევები, საქართველოს შესახებ ნათარგმნი სტატიები, ქრონიკები და ფოლკლორული მასალები, მეორეში კი – ქვეყნდებოდა სიგელ-გურჯები, ისტორიული წერილები და სხვა დოკუმენტური აქტები. საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა ზეპირსიტყვიერების შესწავლას, როგორც ისტორიის

შესწავლის ერთ-ერთ აუცილებელ ხერხს. მკვლევარი ზეპირსიტყვიერების შესწავლას მოითხოვდა კომპლექსურად, მოსაზღვრე დისციპლინების გათვალისწინებით. მისი ძალისხმევით ქართული ზეპირსიტყვიერების მრავალი ნიმუში გადაგვირჩა და შემოგვინახა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1907-1917 წლებში ქართული ფოლკლორის ადგილზე საპატიო ადგილი უჭირავთ: თუშეთში – ივანე ბექურაულს, ფშავში – ვაჟა-ფშაველას, ქართლსა და კახეთში – ია კარგარეთელს, თედო რაზიკაშვილს, ქიზიყში – აკაკი შანიძეს, იმერეთში — სევასტი გაჩეჩილაძეს და მესხეთში – კონსტანტინე გვარამაძეს, ასე იყო სხვა კუთხეებშიც. ექვთიმე თაყაიშვილის ორგანიზებით მათ მრავალი ძეგლი შემოუნახეს მომავალ თაობებს. ექვთიმე თაყაიშვილის არც ამ ლეგენდების საფუძველზე ისტორიული რეალობის აღდგენის მცდელობა იყო უცხო.

ისტორიული კვლევის მეთოდებში უმნიშვნელოვანესია ლინგვისტური მასალების როლი. ე. თაყაიშვილმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან ლინგვისტური განყოფილებაც დააარსა. მეცნიერი ეხებოდა ლიტერატურული ძეგლების ენას, ლექსიკისა და აქცენტუაციის საკითხებსაც კი ქართული ხელნაწერების შესწავლაში დიდ ყურადღებას უთმობდა კატალოგიზაციის როლს. იგი აგროვებდა ხელნაწერებს, სწავლობდა მათ. 1895 წელს გამოაქვეყნა „სიბრძნე ბალავარი“, იასე ტლაშაძის „კათალიკოზ-ბაქარიანი“, ვარდან აიგაკელის (XII ს.) იგავ-არაკები, კრებული „მედის წიგნი“ (1899 წ.). იგი გამოსცემდა ბარათაშვილის ლექსებსაც და წერილებსაც. ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომების გარეშე ძველი ქართული ლიტერატურის კვლევა და მეცნიერული შესწავლა იმ სიმაღლეზე ვერ ავიდოდა, როგორც ეს დღესაა.

ექვთიმემ დიდი როლი შეასრულა რუსთველოლოგიაშიც. მან თავი მოუყარა „ვეფხისტყაოსნის“ 17 ხელნაწერს, 24 ხელნაწერის შესახებ კი ინფორმაცია შეკრიბა. მათ შორის, უძველესი იყო 164 წლის ხელნაწერი. ხელნაწერების დიდი ნაწილი მოხატულიც კი იყო (პელაგია წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“).

ექვთიმესთვის, როგორც ისტორიის შესწავლის კარგი სპეციალისტისთვის, დახვეწილი მეთოდოლოგიისთვის, რომელიც მთელი ძალისხმევით ცდილობს ისტორიის შესწავლისთვის საჭირო ფაქტების გამოვლენას, დამახასიათებელი იყო უცვლელი სახით გამოეცა ის, რასაც ნახავდა – ქართლში მოგზაურობის დროს მან აღმოაჩინა „სახელმწიფოს კარის ----------“ ხელნაწერი, რომელიც უცვლელი სახითაც გამოაქვეყნა და მრავალი სხვა.

განუზომლად დიდია ისტორიის შესწავლის საქმეში არქეოლოგიის როლი. 1917 წლამდე ექვთიმე თაყაიშვილი იყო ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც გათხრებს აწარმოებდა. თანამედროვე გაგებით არქეოლოგია მხოლოდ გათხრების წარმოებას გულისხმობს, ექვთიმეს თანამედროვეთ კი, ისევე როგორც მას, ეს ტერმინი უფრო ფართოდ ესმოდათ: მასში შედიოდა ტაძართა და საეკლესიო ნივთთა აღწერა, ჩაფლული განძის აღწერა დას ხვ. ექვთიმე ამ მიზნით ბევრს მოგზაურობდა, ხშირად პირადი ხარჯებითაც. მეცნიერება იმოგზაურა და აღწერა: კახეთში – ალავერდი, შუამთა, ბოდბე, თელავი, გრემი, იყალთო, ახმეტა და სხვ. იმერეთში – საჩხერე, ჯრუჭი, კაცხი, გელათი, ქუთაისი და სხვ., რაჭაში – გლოლა, ჭიორა, ღება, ონი, წესი, მრავალძალი, სხვავა, ბეგეული, ნიკორწმინდა და ა.შ.; სამეგრელოში აღწერა – მარტვილი, ცაიში, ზუგდიდი, წალენჯიხა, ბანძა, აბაშა, სუჯუნა და სხვ., ლეჩხუმ-სვანეთში – ლაბეჭინა, საირმე, ლაჯანა, ორბელი, ლენტეხი, ჩოლერი, საშხეთი, უშგული და სხვ. მართლაც რომ შთამბეჭდავი იყო ექვთიმე თაყაიშვილი – როგორც წყაროების გამომვლენი და მისი ინტერპრეტატორი.

ამავე დროს, მან მრავალი ცალკეული სტატია მიუძღვნა საქართველოს არქეოლოგიურ მასალებს, გამოაქვეყნა ცალკეული ისტორიული ძიებანი, უყურადღებოდ არ ტოვებდა საქართველოს ისტორიიდან საკამათო საკითხებსაც კი, და თავისი შეხედულებები გააჩნდა ბევრ მათგანზე.

მართალია, ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემებისთვის დამახასიათებელია სუფთა არქეოლოგიური კვლევის ხასიათი, მაგრამ ისინი ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა ასევე საქართველოს ხელოვნების ისტორიისთვის, რამდენადაც მოიცავენ ძალიან დიდ ფაქტობრივ მასალას. მიუხედავად იმისა, რომ, ისინი, ასე ვთქვათ, ხანდახან არასრული კვლევითი ხასიათისაა, ნაჩქარევი, ფრაგმენტული და შესაძლოა, მცდარი დასვენებისა, წარმოდგენილი მასალა მაინც ფასდაუდებელია საქართველოს ხელოვნების ისტორიისა და ამ სფეროს – კონკრეტულად ისტორიის, ისტორიული მეცნიერების შესწავლისთვისაც.

ამით იგი ნამდვილად რომ გვევლინება მეცნიერად, რომლისთვისაც უმნიშვნელოვანესი იყო დისციპლინათშორის კავშირების დადგენა და კვლევის მეთოდებად მათი გამოყენება და, რაც მთავარია მისი პრაქტიკული განხორციელება.

არქეოლოგიური გათხრების დროს იგი ავლებდა პარალელებს არა მარტო ხელოვნების ისტორიასთან, არამედ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლანდშაფტს და, საერთოდ, ძეგლის ადგილმდებარეობას, მის გეოგრაფიას; არანაკლებ ყურადღებას აქცევდა ძეგლის ფოტოფიქსაციასაც. მას მუდამ ახლდნენ თან ფოტოგრაფები, თვლიდა რა, ძეგლის აღწერის ტექსტუალური წნილის ყველაზე დიდ საყრდენს ფოტო წარმოადგენდა. სამუშაოს დასრულების შემდეგ დიდ ყურადღებას უთმობდა ძეგლის იდენტიფიცირებას – ძეგლი-ფოტოს ნუმერაციის პრინციპზე დალაგებას, რათა არაფერი დაუზუსტებელი არ გაპარულიყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრი ძეგლი დღეისთვის დაკარგულია, ექვთიმეს შრომებს ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ; ხშირად ექვთიმესეულ ძეგლის აღწერას აქვს ინვენტარული ხასიათი, მაგრამ თითქმის ყოველთვის ახლავს თარიღი – ექვთიმეს

მიერ დაზუსტებული, ყოველ შემთხვევაში იგი ძეგლის დათარიღებას ისტორიის კვლევის აუცილებელ დეტალად თვლიდა.

არქეოლოგიური მასალის დახარისხებისას დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიული პირების იდენტიფიკაციას, თუმცა იყო ხარვეზებიც, რომელთა მოძიება დამატებითი მასალების გარეშე შეუძლებელი იყო, მაგრამ გარემო პირობების გამო (თუნდაც ემიგრაციის გამო) მას ხშირად არ მიუწვდებოდა ხელი ასეთ მასალებზე. მთავარია, რომ კვლევითი მეთოდების დახვეწისათვის იგი ამ სფეროსაც დიდ ყურადღებას აქცევდა (მაგალითად, ივანე ვარდანისძე, ლაბეჭანის და ლანჭვანის წმ. გიორგის ხატის წარწერაში – მან მიიჩნია გიორგი III-ის თანამედროვედ და თუმცა, ხელოვნებათმცოდნეები (გ. ჩუბინაშვილი) იგი ცალსახად XI საუკუნედ ათარიღებენ მხატვრული სტილის მიხედვით).

როგორც აღვნიშნეთ, ექვთიმე ბევრს მოგზაურობდა, რომლის კროსი იგი არქეოლოგიურ გათხრებსაც აწარმოებდა (1889-1917 წწ.). 1902, 1907, 1917 წლებში მან იმოგზაურა სამხრეთ საქართველოში, რომელიც ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია. ეს მოგზაურობები, ძალიან იყო ნაყოფიერი. მან აღწერა ოშკი, ხახული, პარხალი, იშხანი, ტაოსკარი და სხვა ძეგლები და ფასდაუდებელი მასალა შემოგვინახა.

მოპოვებული მასალების გამოცემისას ექვთიმე ხაზგასმით აღნიშნავდა კვლევის დაწყება დაგეგმვის აუცილებლობას და მიღებული დასკვნების საფუძველზე – სამომავლო მეცნიერული დასკვნების გაკეთებას. ამ საქმეში მნიშვნელობას ანიჭებდა უწვრილეს დეტალებსაც კი. მაგალითად, სვანეთის ეკლესიების აღწერისას მრავლად აღმოჩნდა რელიკვიებიც, რომლებიც ამ ტაძრებში ინახებოდა. ბევრი მათგანი ადრექრისტიანული ხანის იყო (სირია-პალესტინა — არქემენიდური პერიოდის, ასევე — ევროპული და სხვ.). ასეთ დეტალებს ექვთიმე თაყაიშვილის მხარის ზოგადი ისტორიული კონტაქტების დადგენისთვის იყენებდა – თუნდაც შესაძლო სახელმწიფოებრივი კონტაქტების დადგენისათვის.

ექვთიმე თაყაიშვილი იზიარებდა იმ აზრს, რომ სვანეთი ნამდვილი „სამჭედლო“ იყო ქართულ კულტურის ძეგლებისა, თუმცა იმასაც აღნიშნავდა, რომ ეს მხარე მართლაც იყო ქართული განძის „შემნახველი ადგილი“, „შესანახი ადგილი“. არქეოლოგიურ ძეგლებზე მუშაობისას და ძეგლის სტრატიგრაფიისას მეცნიერი ითვალისწინებდა მის შესაძლო, სავარაუდო დანიშნულებას და აღწერდა მას; ციხე-სიმაგრეთა დროს აუცილებლად აქცევდა ყურადღებას საფორტიფიკაციო ნაგებობებს და მათ ისტორიულ დანიშნულებაზე სათანადო დასკვნები გამოჰქონდა.

არქეოლოგიური მოგზაურობის დროს არ ივიწყებდა საეკლესიო ისტორიისთვის საჭირო მასალის მოძიებასაც. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი იყო მონაცემების ჩაწერა ჩანგლის შესახებ – ეს იყო სომხეთის ტერიტორიაზე არსებული საეპისკოპოსო კათედრა – ალაშკერტში. ჩანგლი სომეხ ქალკედონიტებს ემსახურებოდა, რომლებიც მსახურებას ქართულად აღასრულებდნენ.

ექსპედიციების დროს არ გამორჩებოდა არც ნუმიზმატიკის როლი – იგი სწავლობდა ძველი ლითონის ფულებს, მედლებს, იძლეოდა მათ თავდაჭერილ, მაგრამ სწორ დახასიათებებს, მიუთითებდა ამა თუ იმ მონეტის გავრცელების არეალზე და სხვ. იგი ერთ-ერთი პირველი იყო ასეთი მასალების შეგროვებაშიც.

არანაკლებ ყურადღებას აძლევდა ექვთიმე თაყაიშვილი სამეცნიერო შრომების, წიგნების, სტატიების — არქიტექტონიკის, რათა ისინი ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო და პრაგმატიკულადაც ადვილად გამოსაყენებელი მკითხველისთვის აუცილებლად თვალში მოუხვდებოდათ მის მიერ გამოცემული წიგნების სტილიც. ფაქტია, რომ მისი წიგნები დამსახურებულად ითვლება ძველი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო გზამკვლევად.

გამომდინარე ზემოთქმულიდან ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი შეიძლება რამდენიმე ასპექტით წარმოვიდგინოთ: პირველ რიგში, იგი უნდა განვიხილოთ როგორც არქეოლოგიური მეთოდებით კარგად „შეიარაღებული მკვლევარი – ისტორიკოსი, რომელიც მიზანმიმართულად გეგმავდა ექსპედიციებს; მეორე მხრივ, იგი წარმოგვიდგება როგორც ისტორიის სისტემური მკვლევარი და კვლევის მეთოდებად იყენებს: ფიტოფიქსაციის, წყაროთა მონაცემებს, ეპიგრაფიკას, ეთნოგრაფიულ მასალებს, ისტორიულ დოკუმენტებს, აგიოგრაფის, ზეპირსიტყვიერებას, პირად წერილებს, მემუარებს; ამავდროულად ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკურ ფაქტორებზე (ცდილობს დაინახოს მხარის ეკონომიკური მდგომარეობა ძეგლის აგების პროცესში), იყენებს ისტორიულ პარალელებს და მიღებულ შედეგებს უდარებს გამოთქმულ ჰიპოთეზებს; დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიის პოპულარიზაციას და სხვ.

თავისი კვლევის მეთოდებით ექვთიმე თაყაიშვილი ახლოს დგას თანამედროვეობის ცნობილი ისტორიოგრაფების გვერდით და ქართულ საისტორიო მეცნიერების ღირსეულ ადგილს უმკვიდრებს მსოფლიო მეცნიერებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. Б. Кроче, Теория и история историографии, 1998, с. 1-192.
2. Блок М., Апология истории или ремесло историка, М.: Наука, 1986, с. 254.
3. შ. კვანტალიანი, ზეპირსიტყვიერების კომპლექსურად შესწავლის ცდები კრებულში ექვთიმე თაყაიშვილის „ძველ საქართველოში“, თბ., 2010, ლიტ. ინსტ, გვ. 214-227.
4. იქვე.
5. იქვე.
6. იქვე.
7. რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება; თბ., 1982; ი. მეგრელიძე, „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 1989.
8. იქვე.
9. რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება; თბ., 1982; ი. მეგრელიძე, „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 1989.
10. Сообщения АНГССР, т.х. 1949, №1,6,8. Труды Тбил. Университета, м. 34 (1948); 39 (1950); 43 (1951); Вестник музея Грузии, м. XVI-B (1950); Хроника Сумбата Давидовича о Тао-Кларжетских Багратионах, 3- е изд., Тб., 1943; Сообщения АИ ГССР, м-IX, 1948, №9-10, Вестник Музея Грузии, м. XVII – B Воспоминания о грузинских писателях в Литературули Моамбе, м. VI, вын. 1, (1952).
11. იქვე; მარტვილის მონასტერი, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1993, რედ. ბ. კუდავა, გვ. 1-80.
12. იქვე.
13. საქართველოს სიძველენი, ტ. 2., 1909, გვ. 500; ქართული ხელოვნება, თბ., 1991.
14. იქვე, რ. მეტრეველი;
15. იქვე, E. C. Такаишвили, Археологическая эксредиция, 1917-го года, Тб., 1952.
16. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარხლი, 1938, გვ. 88.

# არჩილ ჯორჯაძის კულტურული ნაციონალიზმი

***გიორგი ჩხიკვიშვილი,***
*სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი*

არჩილ ჯორჯაძის კულტურული ნაციონალიზმი განპირობებული იყო  იმ ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტით, რომელშიც მას უხდებოდა მოღვაწეობა. მისი სიკვდილის შემდეგ XX ს-ის შუა წლებიდან განსაკუთრებით გაძლიერდა ეს მოძრაობა ევროპაში, როდესაც უელსელები დიდ ბრიტანეთში და ბრეტონელები და ბასკები საფრანგეთში შეეცადნენ დაეცვათ თავიანთი ნაციონალური კულტურა, რომელთაც მრავალეროვანი სახელმწიფოს წევრობა საფრთხეს უქმნიდა.

არჩილ ჯორჯაძის მიერ განხილული ყველა საკითხი უკავშირდება ერის თვითიდენტიფიკაციის პრობლემის განსაზღვრას. არჩილ ჯორჯაძის კულტურული ნაციონალიზმი მიზნად ისახავს ერის, როგორც უნიკალური ისტორიული და ორგანული მთლიანობის აღორძინებას, რომლის პირველი საფეხური ქართული ენის დაცვა უნდა გამხდარიყო. არჩილ ჯორჯაძემ ქართული ენის დაცვის საკითხი, რომელიც ,,საერთო ნიადაგის თეორიის'' პირველ და უმთავრეს პუნქტად გამოაცხადა. ,,ჩვენი ცხოვრების საფუძვლად და მის სახელმძღვანელო დედა-აზრად'' გამოაცხადა, რომელიც მიწასთან ერთად შეადგენდა ,,ორ ძირითად ფაქტორს ჩვენი ეროვნებისა'', ამიტომ ქართველი ერის წინაშე სასიცოცხლო ამოცანა იყო პრაქტიკული ღონისძიების შემუშავება, რათა სიკვდილს გადავარჩინოთ მშობლიური ენა და მასთან ერთად ჩვენი ეროვნული ხასიათი'' [1. 279]. ნიშანდობლივია, რომ მეფის ხელისუფლება განსაკუთრებით სიმკაცრეს იჩენდა ქართველთა მიმართ, რადგან ამიერკავკასიის ხალხებში მწიგნობრობით სწორედ მათ ეჭირათ პირველი ადგილი. ჩვენი დაწინაურების ერთ-ერთ მიზეზად გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი ასახელებს ქართულ ენას, მისი ანბანის გენიალურ სიმარტივეს. იგი იმოწმებს მეცნიერ უსლარს, რომელსაც უთქვამს, რომ ქართული ალფავიტი ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილია მსოფლიოს ხალხების ყველა ალფავიტს შორის. [2. 22-23]. ამ ფონზე წარმოუდგენელ ცინიზმად ჟღერდა მეფის მოხელეთა გამოხდომები, რომლებიც ჩვენს უმდიდრეს ენას ,,ძაღლის ენად'' ნათლავდნენ. ყველაზე სავალალო კი ის ფაქტი იყო, რომ ცარიზმს თავისი პოლიტიკის განხორციელებაში გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად თვით ქართული ინტელიგენცია ეხმარებოდა. ,,საკვირველია, კაცის ბუნება იმ გვარადაა მოწყობილი, წერს არ. ჯორჯაძე წერილში ,,ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელო დედა-აზრი'', – რომ თავისი შეცდომა და დანაშაულობა სხვას თუ არ დააბრალა, ვერ მოისვენებს, ჩვენც სწორედ ეს გვემართება. რასაკვირველია, სკოლებში რომ ქართულს არ გვასწავლიან და საზოგადო დაწესებულებაში რომ არა ხმარობენ ჩვენ ენას, ყველა ამას დიდი ზიანი მოაქვს ჩვენთვის, ცოტა არ იყოს გვავიწყებინებს დედა-ენას. მხოლოდ, თუ ჩვენ მართლა გვესმის სამშობლო ენის საჭიროება, რატომ არა ვხმარობთ მას შინ, ოჯახში, გარეთ სხვადასხვა ქართულ დაწესებულებაში, სადაც ქართული ენის ხმარება კანონით არ არის აკრძალული?.. ხალხის დაქვეითება ნივთიერი მოუწყობლობის გარდა გაუნათლებლობითაც არის გამოწვეული. განათლება და ცოდნის შეძენა კი დედა-ენის საშუალებით უნდა იყოს შეძენილი'' [1. 274].

არ. ჯორჯაძე მრავალგზის უბრუნდება ამ საკითხსა და ცარიზმის მიერ მშობლიური ენის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ანალიზს. აღსანიშნავია, რომ თვით არ. ჯორჯაძეც ვერ ასცდა იმ მავნე გავლენას, რომელიც იმდროინდელი ინტელიგენციის წრეებში იყო გამეფებული. სამშობლოში დაბრუნებულ 28 წლის არ. ჯორჯაძეს თავიდან მოუხდა მშობლიური ენის შესწავლა. ამ გარემოების ერთ-ერთი მიზეზი საზღვარგარეთ მისი ხანგრძლივი ცხოვრებაც იყო.

კლარანსიდან ანეტა ოქრომჭდლიშვილისადმი 1904 წლის 16 იანვარს გამოგზავნილ წერილში არჩილი მიუთითებდა: ,,თქვენს წერილში ორი საგანი მაჯავრებს და საღერღელს მიშლის. პირველი გახლავთ წერის რუსული მანერა (ენას ვიღა ჩივის). ვერ წარმომიდგენია, რომ ქართველი ქალი, რომელსაც რუსეთში თავის დღეში არ უცხოვრია, იმ ზომამდე გარუსებულიყოს, როგორც თქვენ ხართ გარუსებული... ამ გზით რომ ვიაროთ, ყველანი დავკარგავთ ენას, ლიტერატურას, ხელოვნებას და მის დაკარგვა ერის სიკვდილს მოასწავებს და ერთი მიბრძანეთ, რომელი სარწმუნოება, ანუ ფილოსოფია ამართლებს ერის განადგურებას'' [3. 146].

სამწუხაროდ, ანეტა ოქრომჭედლიშვილი გამონაკლისი არ იყო. მის პოზიციას იზიარებდა ინტელიგენციის ნაწილი. ისინი ,,შეუგნებლივ ეხმარებიან პოლიტიკას, რომლის სიახლოვეს სდგანან'' [4. 227]. ხოლო, როდესაც ინტელიგენტები რუსული პრესის მეშვეობით ცდილობენ ქართველი ჭირ-ვარამზე წერას, ეს უკვე ნიშნავს, რომ მათ მთლიანად გაწყვიტეს ,,კავშირი, როგორც საქართველოს ისტორიულ იმედებთან, ისე ეროვნულ კულტურასთან'' [4. 227]. ,,რატომ გავიწყდებათ ის უბარლო აზრი, ეკითხება არჩილ ჯორჯაძე ქართველი ინტელიგენციის ამ წარმომადგენლებს, რომ კულტურის აყვავება უენოდ შეუძლებელია, რადგან ენა არა მარტო იარაღია გრძნობისა და აზრის გადმოცემისა, არამედ იგი სულია ეროვნული არსებობისა. თქვენ კი ხალხს ამ ენას ართმევთ და ავიწყებთ, რადგან სცდილობთ, რაც შეიძლება მეტად და ფართოდ გაავრცელოთ თქვენი ფურცლები ქართულ საზოგადოებაში და ამიტომ შეუგნებლად თუ შეგნებულად თქვენა ხართ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის ორმოს მთხრელნი და ნუ დაგვემდურებით, თუ ისე მოგექცევით, როგორც შეგფერით'' [4. 221].

ამ ამონარიდში ნათლად ამოიცნობა ნიკო ნიკოლაძის პიროვნება, რამეთუ საქართველოში ძნელად მოიძებნებოდა მეორე ისეთი ეროვნული მოღვაწე, რომელსაც ასე ნაყოფიერად და მასშტაბურად

ეთანამშრომლოს რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. ცნობილია, რომ იგი მოღვაწეობდა ჩერნიშევსკის ,,სოვრემენნიკ''-ში, გერცენისა და ოგარიოვის – ,,კოლოკოლ''-ში, სალტიკოვ-შჩედრინის – ,,ოტეჩესტვენნიე ზაპისკი'' და სხვადასხვა გაზეთების ფურცლებზე. მან დააარსა და წლების განმავლობაში მისივე რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი ,,კრებული'', გაზეთები: ,,დროება', ,,ტიფლისსკი ვესტნიკ'', ,,ობზორ'' და ,,ნოვოე ობოზრენიე''. ნიკო ნიკოლაძის ,,ობზორი'' ყველაზე პოპულარული პროვინციული გამოცემა იყო, რომელიც ოდესმე არსებულა რუსეთში'', რამაც ბოლოს და ბოლოს მისი დახურვა გამოიწვია. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჟურნალ ,,იმედის'' თანამშრომელი მაშინდელ ადმინისტრაციასა და ცენზურას სარკასტულად წერდა: ,,თქვენ ადგილას რომ ვყოფილიყავი, ნიკოლაძისათვის რაიმე კანონს გამოვიგონებდი, მოვითხოვდი, რომ მას წაერთვას ნიჭი წერისა, კითხვისა, ფიქრისა, ლაპარაკისა, დაჯარიმდეს ასი ათასი თუმნით და უკეთუ ფული არ ექნება, ათის წლით კატორღაში იქნეს გაგზავნილი'' [5. 20]. გაზ. ,,ნოვოე ობოზრენიე'' ნიკოლაძის სტატიების წყალობით ისე სწრაფად იყიდებოდა, რომ ზოგჯერ მის ხელმეორედ დაბეჭდვასაც კი მოითხოვდნენ. 1868 წელს ნიკო ნიკოლაძემ ცნობილ რუს ემიგრანტთან ლევ მეჩნიკოვთან ერთად ჟენევაში გამოსცა ჟურნალი ,,სოვრემენნოსტ'', რომლის გამოჩენასაც აღფრთოვანებული შეეგება გერცენი თავის ,,კოლოკოლ''-ში (მოგვიანებით ,,ნამყოსა და ნააზრევში'' გერცენმა ნიკო ნიკოლაძეს ,,ვეფხვი'' უწოდა მისი გარეგნობის, მებრძოლი ხასიათისა და მგზნებარე ტემპერამენტის გამო) [5. 21].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძემ თავისი პოზიცია დააფიქსირა წერილში ,,ჩემ პოლიტიკაზე'', სადაც ბ. მეუნარგიას პასუხად წერდა: ,,ღრმად ჩავუკვიდრეთ ამ საკითხს'': ავნებს, თუ არგებს ქართულ საქმეს, ამ ხალხისათვის დანიშნული გაზეთი ჩემის თაოსნობით რომ გამოდიოდეს და არა ბ. პალმის ან ბ. გერმანის მეთაურობით?.. ჩვენი სწავლა, მმართველობა, მსაჯულება, გზები, ნაოსნობა, მისვლა-მოსვლა, აღებ-მიცემობა, ერთი სიტყვით, მთელი ცხოვრება, ისეთი პირების ხელშია, ვისაც ქართული არ ესმის? მაშასადამე, თუ ქართველობის საბოლოო დამხობა არ გვინდა, რუსულადაც უნდა ვწეროთ ამ ცხოვრების ბრუნვა, დარდი, წამალი, სახსარი.

ქართულ მწერლობაში ეს საგანი ყოველმხრივ გაისინჯა. ვისაც ქართველი ხალხისათვის გული ეწვის, მან ქართველებისათვის ქართულად უნდა სწეროს და რუსებისათვის რუსულადო. ის საქმეები, რომლის მზადება და გადაწყვეტა ქართველების ხელშია, ქართულად უნდა ირჩეოდენ და, რომელიც რუსულ საზოგადოებას ან მთავრობას ექვემდებარება, რუსულადო. ათასჯერ რომ ხელახლა წამოაყენოთ, ატრიალოთ, სჯიჯგნოთ, ღეჭოთ ეს საგანი, შეიძლება განა მისი სხვანაირად გადაწყვეტა, სანამ საქართველოს ბედ-იღბალი, ჩემი ბრძანებით კი არა, ხალხთა და საუკუნეთა ტრიალის ძალით, რუსეთთან შეუღლებულია? უტვინობამ უტიფრობას, თუ უვიცობამ, სტაცა ხელი ჩემ წინააღმდეგ ამ ხეპრულ იარაღს? ორივე შემთხვევაში სატირალი ყოფილა მისი მომხმარებლის ,,ზნეობრივი და გონებრივი სიღატაკე'' [6. 143].

არჩილ ჯორჯაძის ნაციონალიზმი გამოიხატებოდა ხალხური ტრადიციების აღდგენაში მსგავსად XIX საუკუნის გერმანული კულტურული ნაციონალიზმისა, როდესაც ძმებმა გრიმებმა შეკრიბეს და გამოაქვეყნეს გერმანულ ხალხური ზღაპრები, ხოლო კომპოზიტორმა რიხარდ ვაგნერმა ძველი ლეგენდებისა და მითების მიხედვით არაერთი ოპერა შექმნა. ჰერდერისა და ფიხტეს მსგავსად, არჩილიც საუბრობს ,,ეროვნულ სულზე'', რომელმაც ხალხს შემოქმედებითი მუხტი უნდა მიანიჭოს.

თხზულებათა მესამე წიგნში არჩილ ჯორჯაძე ხელოვნების, ფილოსოფიისა და რელიგიის საკითხებს ეროვნული თვალსაზრისიდან გამომდინარე განიხილავს და საუბრობს მაგიური ფილოსოფიური ფორმულის პოვნის აუცილებლობაზე, რომელიც ეროვნული ხელოვნების აღორძინებას შეუწყობდა ხელს. ,,ჩვენ გვესაჭიროება ფილოსოფიური ფორმულა, რომელიც ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული ეროვნული კულტურის ვითარებასთან და სანამ ამ ფორმულას არ მოვნახავთ, ყოველი ფილოსოფიური მსჯელობა ჩვენთვის მეტხორცი იქნება''. მისთვის ამ ფორმულის განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო ის ფაქტორი, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ერის სულის უღრმესი ინტერესების გამოხატვისა და სასიცოცხლო ინტერესებთან მორგებასთან. სწორედ ეს თვალსაზრისი აქვს არ. ჯორჯაძეს გამოხატული წერილში: ,,ქართული მუსიკის შესახებ'' (1910 წ.), სადაც იგი დიდ შეშფოთებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ ,,მთელს საქართველოში თითქმის აღარ ისმის ქართული სიმღერა და გალობა. ეს გარემოება დიდი უბედურების მომასწავლებელია, არა მარტო ჩვენთვის, ქართველებისათვის, არამედ მუსიკის საქმისათვის საზოგადოდ. ქართული მუსიკა მდიდარი მასალაა სიმფონიურ მუსიკის შემოქმედებისათვის'', მაგრამ ჩვეული ოპტიმიზმი არც ახლა ტოვებს არ. ჯორჯაძეს და იქვე წერს: ,,ატმოსფერო და ნიადაგი იმგვარია, რომ დღეს თუ ხვალ უნდა გამოჩნდეს შემოქმედებითის ნიჭით აღჭურვილი ადამიანი, ქართული ოპერისა და სიმფონიის დასაწერად''. ასეთ ადამიანად მას ჩვენი სასიქადულო ზაქარია ფალიაშვილი მიაჩნია! როგორც ჩანს, საიმდროოდ, ზ. ფალიაშვილს, უკვე დაწყებული ჰქონდა მუშაობა თავის უკვდავ ,,აბესალომზე'', ხოლო შეჭირვებათა ჟამს არ. ჯორჯაძისაგან დიდ სულიერ სიმხნევეს ღებულოებდა, რასაც აშკარად მოწმობს დიდი ივანე ჯავახიშვლის წერილი, მიმართული ჯორჯაძისადმი: ,,ზაქარია ფალიაშვილს მეც მივწერ პირადად და თქვენც გადაეცით, რომ დამშვიდდეს და თავისი შრომა დაამთავროს: ყოველნაირად ვეცდები და იმედი მაქვს, რომ მის თხზულებას გამოცემას მოვუხერხებ. საჭიროა მხოლოდ, რომ თხზულება დამთავრებული ჰქონდეს, მე აქ გამოვარკვევ სულ რამდენი დაჯდება და მაშინ უფრო ადვილი იქნება საქმის გარჩევა''. ძალზე საინტერესოა არ. ჯორჯაძის მოსაზრებანი ქართული თეატრის ირგვლივ, რომელიც გამოთქმული აქვს წერილებში: ,,ქართული თეატრი'', ,,თეატრი და ხელოვნება'', ,,ხელოვნების გამარჯვება'', ,,თეატრი და ხალხი'' და სხვ. XX საუკუნის გარიჟრაჟზე არ. ჯორჯაძე ქართული თეატრის პრობლემას უტრიალებდა. ქართული თეატრი

მისთვის, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ქართულ ენაზე მეტყველ თეატრს არ ნიშნავდა. სახიფათოდ თვლიდა ქართულ სცენაზე უცხოურიდან გადმოქართულებულ (ქართულ რეალობას მორგებულად) პიესების დადგმას, ვინაიდან, ერთი და იგივე ფასეულობების აღქმა სხვადასხვა ერების მიერ განსხვავებულად ხდება. მართლაც, ცნობილი ფაქტია, რომ ის, რაც ერთი კულტურისათვის პოზიტიურად აღიქმება, მეორესათვის არის მთლიანად მიუღებელი. მაგალითისათვის, იაპონელებს პრინციპულად არ შეუძლიათ ,,არა''-ს თქმა, რადგან ეს მათ კულტურაში უზრდელობად ითვლება. ამიტომ მოლაპარაკების დროს ისინი ათასგვარი ზრდილობიანი ფორმით ცდილობენ უარის თქმის აცილებას, რასაც ხშირად შეცდომაში შეჰყავს მათი დასავლელი პარტნიორები; არაბები ყავის სმასა და საუბარს საქმის კეთებად მიიჩნევენ, ამერიკელები მას დროის ფუჭად ფლანგვად თვლიან, ჩინელები და იაპონელები უდიდეს პატივს სცემენ იერარქიულ ურთიერთობებს, ამერიკელები კი მუდმივად თანასწორობის ხაზგასმას ცდილობენ. ამერიკული ინსტრუქციები იმასაც კი ითვალისწინებს, რომ აზიის წარმომადგენლებთან ფოტოგრაფირების დროს სასურველია ჯდომა, რათა თვალშისაცემი არ იყოს სიმაღლეში სხვაობა.

,,ჩვენ გვესაჭიროება გაბედული მხატვარი, დიდი ოცნების პატრონი, რომელიც გულში სევდას ატარებს, თავი კი გაშუქებული აქვს ღრმა და ფართო აზროვნებით – მიუთითებდა არჩილი. ესკიზებმა, ეტიუდებმა, პატარა მოთხრობებმა ვერ გამოსახეს ის, რაც უნდა იყოს გამოსახული. ჩვენ გვესაჭიროება, თუ შეიძლება ითქვას, სინტეტური სურათი ქართული ცხოვრებისა. დროა ვნახოთ ჩვენი თავი, ყველანი ვინცა ვართ, მხატვრულ ნაწარმოებში. ამ სინტეტურ სურათის შექმნა შეუძლიან დიდ სულოვნებას, დიდ ოცნებას და თუ არ გამიწყრებით, ,,მშვენიერ მატყუვრობას''. ჩვენი ცხოვრება მეტად დაკუწული, განკერძოებულია. არ სჩანს საერთო ძარღვის ცემა, არ სჩანს მთელი, არამედ მხოლოდ ნაწილი, პროვინციის კუთხეები, ხევი, ფშავ-ხევსურეთი, გურია და სხვა. არსად ვხედავთ მთელი ერის სულის ძგერას, მის შემადგენელ ნაწილების მთლიან ურთიერთობას. ვიმეორებ, სინამდვილემ ვერ დაგვანახა სინტეზი ჩვენი ცხოვრებისა. ხელოვნებამ უნდა გაბედოს და მხატვრულ ნაკვეთში დაგვანახოს ის, რაც ისახება, ხოლო სავსებით არ გამოსახულა, რაც იზრდება და მწიფდება, ხოლო სავსებით ვერ გაზრდილა და მომწიფებულა. ხელოვნებას აქვს ძალა ამგვარ საქმისათვის და ხელოვნება, ოცნებით ფრთაშესხმული, ,,მშვენიერი სიცრუით'' აღფრთოვანებული, რეალური ცხოვრების შემოქმედებითი განმარტება და შევსება იქნება. აქ საშიში არაფერია, მშვენიერებას რელიგიად არ ვაღიარებთ, იგი ერთგვარი ჭვრეტის და მზერის პროცესია და პროცესი უნდა იყოს ფართო, სინტეტური, რათა დავაღწიოთ თავი ესკიზებს და ეტიუდებს და შევქმნათ ქართული რეალისტური რომანი, სადაც გამოსახული იქნება არამარტო ის, რაც სინამდვილეში არსებობს, არამედ ისიც, რაც შეიძლებოდა რომ არსებობდეს, ხოლო ჯერ არ არსებობს. ხელოვნების ძლიერებაზეა დამოკიდებული, რომ შესაძლებელი რეალობად იქცეს და მით იგი შემოქმედ ძალად გახდეს'' [7. 14].

,,საერთო ძარღვის ცემა'' და ,,მთელი ერის სულის ძგერა'' არის მისთვის ხელოვნების ძირითადი განმსაზღვრავი კრიტერიუმი. ამით აიხსნება მისი დამოკიდებულება ახალი ქართული ფერწერის შესანიშნავი წარმომადგენლების: გ. გაბაშვილის, მ. თოიძის, ალ. მრევლიშვილის. ა. ნიკოლაძის და სხვების მიმართებაში. წერილებში ,,ქართული ხელოვნება გამოფენაზე'', ,,გიგო განაშვილის მხატვრობის გამო'' და სხვ., იგი, გარკვეულწილად, უკმაყოფილებას გამოთქვამს ამ ახალგაზრდა მხატვრების მიმართ, რადგან მათ შემოქმედებაში იგი ეროვნული ტრადიციებისა და საწყისების ერთგვარ იგნორირებას ხედავს.

არჩილ ჯორჯაძე თვლიდა, რომ ჩვენი ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის, მხატვრობის და მეცნიერების აღორძინება თვისობრივად ახალ სიმაღლეებზე უნდა ასულიყო, ქართული ხელოვნების საკითხები უნივერსალურ სიბრტყეზე უნდა დასმულიყო და განხილულიყო. მისი რეცენზიები ,,პოეზიის სამფლობელოში'' (1909 წ.) და ,,ნავთსაყუდელის ძებნაში'' (1910 წ.), რომელიც მან დაწერა მისი მეგობრის, ევროპულად განსწავლული მწერლისა და მოაზროვნის გრ. რობაქიძის ლექციათა ციკლზე – ლექციები ბარათშვილზე, ნიცშეზე, ოსკარ უაილდზე და ვაჟა-ფშაველაზე), არიან განმსჭვალულნი ,,დიდი მოლოდინით'', რომ დღეს თუ არა ხვალ ქართველი ერის ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვლება. რასაც ამჟამად ვამბობთ, ან ვაკეთებთ, სამომავლოდ სამოქმედო პროგრამად უნდა გავიხადოთ. და მართლაც, სულ მალე, არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებიდან მცირე ხნის შემდეგ, ქართულ ლიტერატურაში მოვლენ ევროპულად განსწავლული მწერლები – გრ. რობაქიძე, მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია და სხვები, რომლებიც მოძღვრის მოწოდებასა და პროგნოზებს ხორცშესხმულ რეალობად აქცევენ და შეიქმნება ,,სინტეტური, რეალისტური რომანი''. 1916 წელს კი ქუთაისში გამოსვლას დაიწყებს ჟურნალი ,,ცისფერი ყანწები'', რითაც სრულიად საქართველოს ეუწყება, რომ ამიერიდან ლიტერატურულ აზროვნებაში დაუნდობელი ბრძოლა აქვს გამოცხადებული რუტინასა და შაბლონს, მეშჩანობასა და უნიჭობას, რომ იწყება ქართული პოეზიის ,,ევროპის რადიუსით გამართვა''. ,,ცისფერყანწელების'' ერთერთი ალამდარი – ტიციან ტაბიძე კი, ჟურნალის საპროგრამო წერილში სრულიად არაორაზროვნად მიუთითებს: ჩვენთვის, ,,ცისფერყანწელებისათვის'', არჩილ ჯორჯაძე ერთგვარი ფილოსოფიური საყრდენი და წარუვალი მნიშვნელობის იდეური ავტორიტეტი არისო [7. 14].

## გამოყენებული ლიტერატურა


1. თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, თბ., 1911.
2. კ. ტოტოჩავა, იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი, თბ., 2000.
3. გაზ.: ,,სახალხო საქმე''. 1920, №810. ასევე ჟურნ. ,,მნათობი'', 1987, №10.
4. თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, თბ., 1911.
5. პაატა ნაცვლიშვილი. ქაღალდის წერო, თბ., 1986.
6. ნ. ნიკოლაძე, 150 საიუბილეო კრებული, თბ., 1896.
7. გაზ.: ,,ლიტერატურული საქართველო'', 1987 წ. 6 ნოემბერი.

# სიტყვათა დაწერილობაში არსებული ვარიანტულობის ძირითადი ფაქტორები

*ეკა რუსიეშვილი,*
*სტუ-ს დოქტორანტი*

ასეთი ვარირება განპირობებულია ლინგვისტური, ექსტრალინგვისტური და ფიზიოლოგიური ფაქტორებით. ლინგვისტური თვალსაზრისით, იგი დაკავშირებულია იმასთან, რომ ერთი ბგერა წერილობით შეიძლება სხვადასხვა ასოების კომბინაციით გამოისახოს. ცხადია, რომ მრავალი დაწერილობა, რომელიც შეესაბამება პრესკრიპციულ ორთოგრაფიულ ნორმას, წარმოადგენს ორთოგრაფიის მორფოლოგიური, ეტიმოლოგიური ან ტრადიციულ-ისტორიული პრინციპების რეალიზაციას, რომელიც სინქრონულ დონეზე ნაკლებადაა გააზრებული ენის მატარებლების მიერ.

ექსტრალინგვისტური ფაქტორი იმაში გამოიხატება, რომ დაწერილობა ხშირად ექვემდებარება მომხმარებელთა სწრაფვას სიახლისადმი, ნოვატორობისადმი, ერთგვარი ინოვაციური საქმიანობისადმი. როგორც უკვე ითქვა, ინტერნეტი ერთგვარ სიახლედ აღიქმება და მისი მომხმარებლები თავად ქმნიან "თამაშის წესებს" ამ ვირტუალურ სივრცეში.

მოძრაობის ფიზიოლოგიის თვალსაზრისით, რეპლიკების აკრეფა კლავიატურაზე გამოცდილ მომხმარებლებთან ავტომატიზებულ ჩვევას წარმოადგენს, რის გამოც მოძრაობები ბეჭდვისას გაუცნობიერებელია, რადგან კონტროლდება არა წამყვანი, არამედ ფონური დონეებით.

ამ ფაქტორების ურთიერთქმედების გამო ხდება ენაში დაშვებული გრაფიკული ვარიანტების თავისუფალი მონაცვლეობა - მომხმარებელს შეუძლია ერთ შემთხვევაში გამოიყენოს დაწერილობის ერთი ფორმა, ხოლო რამდენიმე სტრიქონის შემდეგ - სხვ. ამის შედეგად, ინტერნეტ-შეტყობინებებში გამოყენებული მრავალი გრაფიკული ვარიანტი სიტყვების დაწერილობის გამარტივების საშუალებას იძლევა. ამას შეიძლება ბგერების დაწერილობის ვარიანტების კონვერგენცია ვუწოდოთ.

ინგლისურენოვანი ჩატები გვაწვდის მდიდარ მასალას ისეთი მოვლენის კვლევისათვის, რასაც ბგერების დაწერილობის კონვერგენცია ვუწოდეთ. მას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ ინგლისურ ენაში ერთი და იგივე ბგერა შეიძლება სხვადასხვანაირად ჩაიწეროს. ასე, მაგალითად დიფტონგი [ai] შეიძლება გადმოიცეს ასო i-თი ღია მარცვალში, ასევე ასოთა შეთანხმებით igh (შეადარე: time და light). შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ერთი დაწერილობის შეცვლა მეორეთი მყარადაა დამკვიდრებული ინგლისურ ენაში, რადგან იგი არ შექმნილა ჩატების ენის განვითარების შედეგად, არამედ მის გამოგონებამდე არსებობდა. აშშ-ში დიდი ხანია იშვიათობას აღარ წარმოადგენს სასტუმროების რეკლამირება "5$ per nite" ტიპის აბრებით (ერთი ნომრის ფასი 5 დოლარი ერთ ღამეში). ეს ომოფონია დიდი ხანია გამოიყენება ინგლისურენოვან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და რეკლამაში და, როგორც ჩანს, იქიდანაა ნასესხები ჩატების მონაწილეების მიერ როგორც გრაფიკული კოდის გამარტივების ერთ-ერთი საშუალება.

ინგლისურენოვან ელექტრონულ დისკურსში ყველაზე პოპულარულია სიტყვების: night და tonight გადმოცემა, შესაბამისად, ნიტე და ტონიტე-თით. სიტყვების ამგვარი დაწერილობის გამოყენება შესაბამის ჯგუფში 30% შეადგენს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისური ენისათვის ბგერების გრაფიკული გადმოცემის საშუალებების კონვერგენცია სიახლეს არ წარმოადგენს, ენას გააჩნია უკვე ჩამოყალიბებული, მზა ფორმები. ამიტომაც ინგლისურენოვანი ჩატების მონაწილეები უფრო ხშირად სარგებლობენ ამ მზა ფორმებით და არ ქმნიან ამ პრინციპზე აგებულ ახალ ფორმებს.

უშუალოდ ინგლისურენოვანი ჩატების მონაწილეთა მიერ შექმნილი ბგერების გადმოცემის საშუალებებიდან აღსანიშნავია:

**მონოფტონგები**.

ბგერა [ə].

ინგლისურ ენაში ამ ბგერას შეესაბამება რამდენიმე ორთოგრაფიული დაწერილობა. წერაში იგი შეიძლება გადმოიცეს უმახვილო პოზიციაში მყოფი ასოებით e, a, u, o, i. ამიტომაც ჩატში მომხმარებლები ხშირად ურევენ აღნიშნული ბგერის გადმოცემის ხერხებს. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი მომხმარებელი სიტყვა ponda-თი (3) ცვლის ჩატის ერთ-ერთი მონაწილის პოუნდერ-ის ფსევდონიმს. სიტყვის ბოლოში a ასოს გამოყენება ადეკვატურად გადმოსცემს ამ სიტყვის წარმოთქმას - [ˈpɔndə].

შევნიშნავთ სიტყვის - character -ის დაწერილობის ცვლილებას, -er იცვლება -or-ით. ეს ორი მორფემა ხშირად გამოიყენება სიტყვის ბოლოში და გადმოსცემს ერთსა და იმავე ბგერას [ə]-ს, რის გამოც ენის მატარებელს ამა თუ იმ სიტყვის დასაწერად სხვა გზა არ რჩება, გარდა იმის უბრალო დამახსოვრებისა, როდის დაიწეროს -er და როდის -or. ამიტომაც არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მომხმარებლები თავიანთ შეტყობინებებში ურევენ ამ ორ მორფემას. იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე

ასევე –om-ის -um-ით შეცვლისას (ბლოსსუმ ბლოსსომ ნაცვლად), -an-ის -en-ით შეცვლისას (თარზენ თარზან -ის ნაცვლად), -a-ის -u-თი შეცვლისას (შადდუმ შადდამ ნაცვლად) - ყველა შემთხვევაში, უმახვილო ხმოვნები წარმოითქმება, როგორც ə] _ [ˈblɔsəm, ˈtɑːrzən, ˈsʌdəm].

შეიძლება დავაკვირდეთ, მომხმარებლები თუ რო-

გორ გამოსახავენ გრაფიკულად ოპოზიციის [æ] - [e] ნეიტრალიზაციას [ə] არქიფონემის სასარგებლოდ, რომელსაც ადგილი აქვს უმახვილო პოზიციაში: I was young than (I was young then) (8).

ბგერა [ɔ:].

ინგლისურ ენაში ბგერა [ɔ:] სხვა ხერხების გარდა შეიძლება გრაფიკულად წარმოდგენილი იქნას ალლ შეთანხმებით (როგორც ცალლ) და, იშვიათად, როგორც -al (როგორც Almighty-ში). ელექტრონული ურთიერთობებისას შეინიშნება, რომ მომხმარებლები ბეჭდავენ სიტყვა all-ს (ყველა) უკანასკნელი ასოს გარეშე, რომელიც ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ადამიანს სურს მიმართოს ჩატის ყველა მონაწილეს ერთდროულად: nite al (Good night, all).

ბგერა [ʌ].

ინგლისურ ენაში იგი შეიძლება გადმოიცეს ასოთა შენაერთით oo (blood, bloody _[blʌd, ‘blʌdi]), ou (rough, cousin _ [rʌf, kʌz(ə)n], ასევე ასო u-თი დახურულ მარცვალში (must, sun [mʌst, sʌn]). მოცემულ შემთხვევაში მომხმარებლები ასევე ისწრაფვიან დაწერილობის გამარტივებისაკენ, რისთვისაც სამივე ვარიანტში [ʌ] ბგერის გადმოსაცემად იყენებენ ასო u-ს. ამ მაგალითებში ჩვენ ვხედავთ შემდეგი სიტყვების გადმოცემის ხერხებს: love-ის - Luv, Boody-ის - Bluddee, სიტყვიდან cousin შემოკლების ვარიანტს - cuz. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში გამონათქვამის ავტორი, ტრადიციული დაწერილობის საპირისპიროდ muddy, risky და ა.შ. ტიპის ზედსართავი სახელების ბოლოში იყენებს [i]-ს ასოთშენაერთის ee-ს სახით (როგორც, მაგალითად, seek, peel), რომელიც გამოიყენება [i:] ბგერის გადმოსაცემად.

ბგერები [u:] და [u].

ბგერა [ʊ:]-ის გადმოსაცემად შეიძლება გამოყენებულ იქნას ასო o (როგორც სიტყვაში მოვე [mu:v]), ასევე შენაერთი oo (როგორც სიტყვაში look[lu:k], ტოო [tu:]). გარდა ამისა, როგორც გრძელი, ასევე მოკლე ბგერები შეიძლება თვისებრივ რედუქციას დაექვემდებაროს არქიფონემა /ə/-ს სასარგებლოდ. ამ ორი ფაქტორის ზემოქმედებით, სავარაუდოდ, ჩატებში შესაძლებელია oo-სა და o-ს ურთიერთმონაცვლეობა: our police are not to bad da, პირიქით, they don’t need too (They don’t need to).

**დიფტონგები.**

დიფტონგებს შორის ტრანსფორმაციას ყველაზე ხშირად ექვემდებარება წერაში [əu] ბგერის გადმოცემის საშუალებები - დიფტონგების არასტანდარტული დაწერილობის 83 %, ყველაზე ხშირად ეს გვხვდება სიტყვებში no და oh: naw, aw. საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ინგლისურ ენაში ასოთშენაერთი აწ, რომელსაც ხშირად იყენებენ მომხმარებლები, ინგლისური გრაფიკის კანონების თანახმად, გადმოსცემს ბგერას [ɔ:]. კვლევის ამ ეტაპზე რთულია იმის თქმა, თუ რა უბიძგებს ქსელის მომხმარებლებს ო-ს აწ-ით ჩანაცვლებისკენ. შესაძლოა ეს, ისევე როგორც სხვა ბევრ შემთხვევაში იყოს სწრაფვა თავისუფალი მონაცვლეობისაკენ და ორთოგრაფიულ წესებზე უარის თქმა, საკუთარი წესების შექმნის მცდელობა, რომელიც ხშირად ეფუძნება სხვებისგან გამორჩეულობის სურვილს.

ზოგიერთი მაგალითები წარმოადგენს ერთეულ შემთხვევებს, რომლებიც, ამისდა მიუხედავად, ჩვენი მოსაზრებით, ასევე იმსახურებს ყურადღებას, რადგან წარმოადგენს ომოფონიაზე დაფუძნებული ენობრივი თამაშის მაგალითებს. მაგალითად გამონათქვამის ავტორი ცვლის -wear-ს -ware-თი ამ სიტყვების ფუძეთა [weə] ომოფონიის გამო, ან თამაშობს სიტყვებით და წარმოქმნის ახალ სიტყვას ამგვარი ანალოგიით სოფტწარე (პროგრამული უზრუნველყოფა) და hardware (მყარი დისკი, აპარატურა): I was in my underware (I was in my underwear).

მხოლოდ კონტექსტიდან ხდება გასაგები, რომ არის პასუხი კითხვაზე მოსაუბრის სქესობრივი კუთვნილების შესახებ — Are you m/f? (are you male or female). პასუხი მოცემულია უჩვეულო ფორმით: eye be m. მოცემულ შემთხვევაში, სავარაუდოდ, eye (თვალი) გამოიყენება I-ს (მე) ნაცვლად — ამ შემთხვევაში, ავტორი თამაშობს ამ ორი სიტყვის ომოფონიით [ai]. შემდგომ, ზმნის — to be (am) — შესაბამისი ფორმის მაგივრად მომხმარებელი იყენებს ინფინიტივ be-ს, მამრობითი სქესი ისევე, როგორც კითხვაში, აღინიშნება m- ასოთი, რომლის ალფაბეტური დასახელებაა [em]. გაუგებარია, შემთხვევითია თუ არა მოცემული ფრაზის ომოფონია კომპიუტერების გამომშვები ფირმის აბრევიატურასთან IBM [აი ბი ემ ]. შესაძლოა, ინფინიტივი be აქ ავტორის მიერ სწორედ ამ მიზნით იყოს გამოყენებული.

-’s-ის და –s-ის გამოყენება. ძალზე ხშირად კვლევის კორპუსში გვხვდება არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმების გრაფიკული ვარიანტები: the video’s are for classes; suddam’s son’s; 200 bodys; lots of good men and woman.

ზემოთ ხსენებულ ყველა შემთხვევაში შეინიშნება მრავლობითი რიცხვის გრაფიკული მარკირების ვარიანტულობა, რომელიც დაკავშირებულია “s” მორფემის ომოფონიასთან, რომელიც, წესისამებრ, გამოიყენება ამ მიზნით და -’s მორფემის ომოფონიასთანაც (კუთვნილებითი ბრუნვის მარკერი). თუმცა, ვარიანტულობა ხელს არ უშლის არსებითი სახელების აღქმას მრავლობით რიცხვში. მოცემულ შემთხვევაში მონაწილეები იყენებენ ენის არსებულ სიჭარბეს — მრავლობითი რიცხვი გამოიხატება არა მხოლოდ -s დაბოლოებით, არამედ ზმნის ფორმით მრავლობით რიცხვში, ასევე კონტექსტით, ამიტომაც მიიღწევა მიზანი — წერილობით სიტყვის ბგერითი სახის გადმოცემა იმგვარად, რომ მომხმარებელი ინარჩუნებს გამონათქვამის ინფორმაციულ და კომუნიკაციურ წარმატებულობას. მაგალითებში შეინიშნება მრავლობითი რიცხვის ფორმის წარმოების წესებისგან გადახვევა, რაც ხელს არ უშლის მოცემული სიტყვების ერთმნიშვნელოვნად აღქმას: bodys (bodies); lots of good men and woman (Lots of good men and women). არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის წარმოების ასეთი ხერხები შეიძლება აიხსნას პირ-

ველ რიგში იმით, რომ მომხმარებლები, ინტერნეტში ყოფნისას, ნაკლებად კრიტიკულად არიან განწყობილი სხვადასხვაგვარი ენობრივი ინოვაციების მიმართ, ვიდრე ინტერნეტს მიღმა და ხშირად იღებენ ბევრ რამეს იქიდან, რაც ინტერნეტის წარმოშობამდე ერთმნიშვნელოვნად მიიჩნეოდა უხეშ გრამატიკულ შეცდომად.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. Гак В.Г. Структура языка и лингвистическая теория // Современные проблемы романистики: прагматика, семантика, синтаксис: Тезисы докладов VI всесоюзной конференции по романскому языкознанию. Том I. - Москва - Воронеж, 1991.
2. ლებანიძე გ. კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი, 2004.
3. Wallace St. Figure and Ground: the Interrelationship of Linguistic Categories / Tense - Aspect: between semantics and pragmatics: Containing the contributions to a Symp. on tense and aspect, held at UCLA, May 1979 / Ed. By Hopper P.J. - Amsterdam; Philadelphia (PA): Benjamins, 1982. - IX, 350 p. - (Typological studies in lang. (TSL); Vol.1).


### რეზიუმე


საკვლევ ენაში ორთოგრაფიის მორფოლოგიური, ტრადიციულ-ისტორიული და ეტიმოლოგიური პრინციპები სუსტად მოტივირებულია. სინქრონულ დონეზე ამ პრინციპების გამოყენება განაპირობებს ენაში გრაფიკული ასიმეტრიის არსებობას. ამის შედეგად ჩატების ენაში შეინიშნება ბგერათა გრაფიკული ფიქსაციის საშუალებათა კონვერგენცია, რომელიც გამოიხატება ენის სისტემაში დაშვებული გრაფიკული ვარიანტების მონაცვლეობაში.

შეიძლება გამოიყოს ბგერათა გრაფიკული ფიქსაციის საშუალებათა კონვერგენცის ორი სახე:

1) მარტივი კონვერგენცია, რომელიც ეფუძნება მხოლოდ ენობრივ სისტემაში არსებულ გრაფიკულ ასიმეტრიას; და 2) კომპლექსური კონვერგენცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ა) გრაფიკული ასიმეტრია და მ) მარცვლის სტრუქტურა, გრაფემის მდებარეობა მახვილიან მარცვალთან მიმართებით, აღნიშნული ფონემის კუთვნილება ამა თუ იმ გრამატიკული პარადიგმისადმი, გრაფემის გარემოცვა და ა.შ.


SUMMARY

*E. Ruseishvili*


In study language morphological orthography, traditional-historical and etymological principles are poorly motivated. The use of these principles leads to asymmetry in the language of graphics in synchronous levels. As a result, in chat rooms noticed the voice graphical fixation convergence, which is expressed in a graphical language options to allow alternation.

We can distinguish two convergence faces of voice graphical fixation:

1. Simple convergence, which is based on the linguistic system of the graphical asymmetry;
2. Complex convergence, which is based on such factors as:

a) graphical asymmetry;

b) grain structure, which respect the phonemes belonging to certain grammatical paradigms, grapheme circle, etc.

# ახალი წიგნები

## რეცენზია წიგნზე: სერგო ლომინაძე. ბრენდი და თანამედროვე ბრენდინგის ტექნოლოგიები.

*მურად შონია,*
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

ჩვენს წინაშეა ახალი წიგნი. იგი გამოცემულია როგორც დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. წიგნი ამ მხრივ რეკომენდებულია სტუ-ს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ.

ეს არის პირველი სახელმძღვანელო ქართულენოვანი სტუდენტებისათვის თანამედროვე ბრენდინგის ტექნოლოგიებში. ეს კი ახალი სფეროა ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

თანამედროვე მსოფლიო დაიპყრო ახალ-ახალმა ტექნოლოგიებმა, რომელთა შორისაც გამორჩეული ადგილი განეკუთვნება სწორედ ბრენდ ტექნოლოგიებსაც.

სრული პროფესორის, სერგო ;ლომინაძის წიგნიც ეძღვნება სწორედ ამ უახლეს ტექნოლოგიებს აღნიშნულ სფეროში და იგი პირველი ცდაა ამგვარი სახელმძღვანელოსი ქართულ ენაზე. ამაში კი მას ნამდვილად მადლობა ეთქმის, როგორც პიონერს თავის საქმეში. თუ არადა, არცთუ ისე ადვილია  გზის გაკვალვა მეცნიერების ახალ დარგში.

ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას ისიც, რომ მან ქართულ მეცნიერებაში გზა გაუხსნა კიდევ სხვა მიმართულებებს პიარის, ბიზნესისა და ბრენდინგის სფეროში.  ყველა ამ სფეროში მას სხვა წიგნებიც აქვს დაწერილი და გამოცემული. და უფრო მეტიც, იგი ამ მიმართულებით უკვე კარგა ხანია წარმატებით კითხულობს ლექციებს და ხელმძღვანელობს სემინარებს სტუ-ში.

ავტორი ამ ფრიად საჭირო წიგნისა (ხოლო მისი საჭიროება განპირობებულია თავად აღნიშნული თემის აქტუალობით — ბრენდისა და ბრენდინგის ფენომენებმა ხომ, მართლაც, „დაიპყრეს“ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრება) თავის ნაშრომში გამოჰყოფს ოთხ თავს და თხუთმეტ პარაგრაფს. ყველა ეს თავიცა და მასში შემავალი პარაგრაფიც ერთ მთლიან სისტემას ქმნიან, რაც გვაძლევს ჩვენ ერთიან ცოდნას აღნიშნულ სფეროში.

ავტორი, უპირველეს ყოვლისა, განიხილავს ბრენდის საკითხს. იგი მას წარმოგვიჩენს მთელი მისი სიგრძე-სიგანით, წარმოადგენს რა მას საკვლევ ობიექტად დაწყებული თავად ბრენდის ცნებით და დამთავრებული ბრენდის ღირებულების გამოვლენის საკითხით. ამ შუალედში კი იგი განიხილავს მთელ რიგ სხვა ისეთ საკითხებსაც, რომლებიც დაკავშირებულია ამ ფენომენთან. სხვათა შორის, ბრენდის ფენომენთან დაკავშირებით, ბრენდი ჩვენი თანამედროვე  ცხოვრების რაღაც არა მხოლოდ ჩვეულებრივი მოვლენა, არამედ, უფრო მეტიც, ერთგვარი „მისტიკური“ ფენომენიც კი შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენს თვალში. და ეს იმიტომ, რომ ბრენდი თანამედროვე ცხოვრების, მართლაც, „იდუმალი“ მოვლენაა.

ავტორი მთელი თავისი სიგრძე-საგით განიხილავს ყველა იმ, ჩვენის აზრით, აუცილებელ და საკმარის საკითხებს, რომლებიც საჭიროა ბრენდინგის ტექნოლოგიების საკითხის გარკვევისათვის. კერძოდ, იგი ამ წიგნში განიხილავს ბრენდის იდენტურობის, რეკლამირების, ეფექტური უზრუნველყოფის საკითხებს; იგი განიხილავს ასევე სპეციალურად: მერჩანდაიზინგს, ბრენდის პრომოუშენს, მის იმიჯს მთელი თავისი მხარეებით, მომხმარებლის მოტივაციების, ასევე ბრენდის სიცოცხლისუნარიანობის გაზრდას.

დაბოლოს, ავტორი, ჩვენის აზრით, განიხილავს ზოგიერთ იმ ჩვენი თანამედროვეობისათვის მნიშვნელოვან საკითხსაც, რაც უშუალოდ როდი ეხება თავად ბრენდ-ტექნოლოგიების თემას, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ თემაზე ჩვენთვის. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის საკითხები, თუ რა დამოკიდებულებაა ბრენდსა და სახელმწიფოს შორის, ასევე საინტერესო საკითხი — ბრენდინგი ტურიზმში (ტურიზმმა ხომ, მართლაც, „წალეკა“ მთელი თანამედროვე მსოფლიო).

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად ჩვენ მეთოდოლოგიურად (და არა  მარტო ამ მხრივ) მიგვაჩნია მაინც ბოლო თავი ამ წიგნისა, სადაც ავტორი ბრენდსა და ბრენდინგს განიხილავს სახელმწიფოსთან, და განსაკუთრებით კი, ადამიანთან კავშირში,

მათს ურთიერთდამოკიდებულებაში ერთმანეთთან.

მაგრამ ყველაზე უფრო შთამბეჭდავია მაინც ის ნაწილი ამ წიგნისა, რომელშიაც ავტორი ეხება თავად ადამიანის როგორც ბრენდის საკითხს. და, მართლაც, ადამიანი ხომ ეგ უკვე ყველაზე უფრო ძვირფასი არსებაა ამქვეყნად და როდესაც ავტორი ბრენდისა და მისი ტექნოლოგიების საკითხს ეხება, თავ-თავის ადგილას, იგი ყველგან მაინც ადამიანს ეხება და ამ ასპექტით განიხილავს მათ. ამ მხრივ კი ყველაზე მთავარი პარაგრაფი მაინც გვგონია „ადამიანი — ბრენდი“.

ბრენდადამიანთან დაკავშირებით ცალკე გამოსაყოფია ბრენდსახელმწიფოს საკითხიც, რომელსაც ეხება ავტორი. და, მართლაც, ლოგიკურია ავტორის პოზიცია ამასთან დაკავშირებით. ადამიანი ხომ პოლიტიკური არსებაა.

დაბოლოს, ავტორი ეხება რებრენდინგის ანუ ხელახალი ბრენდინგის საკითხს. და, მართლაც, აბოლოვებს ლოგიკურად თავის საქმეს.

წიგნი დაწერილია გასაგებ ენაზე და ამ მხრივ იგი მისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველებისათვის და არა მარტო სტუდენტთათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართული სამეცნიერო ლიტერატურა შეივსო კიდევ ერთი საჭირო წიგნით.